

114

1962

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

მედიტატიონი



8

1

9

6

2

მნათობი

საბჭოთავო
საბავშვო

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უწყისი

წელიწადი 39-ე

№ 8

აგვისტო, 1962 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ზუბა ბერულავა — გამარჯვებულებს — ლექსი	
ლადო მრეღაშვილი — ყაბახი, რომანი, გაგრძელება	3
რევაზ მარჯანი — ელეგია მეგობრის სიკვდილზე, ლექსი	33
დავით კვიციანი — აღმართი, რომანი, გაგრძელება	41
მეყვალა მრეღაშვილი — საირმის ეტიუდები, ლექსები	66
ჰაბუა ამირეჯიბი — მეციოს სიყვოლა, მოთხრობა	67
გიორგი კაპახიძე — ლექსები	93
ზარიტონ ვარდოშვილი — ლექსის გაჩენა, ლექსი	94
იონა ფაქელი — ხელაშვილების ოჯახი, პიესა, დასასრული	95
ივანე ალან პო — უძრავი, ლექსი, თარგმანი ინგლისურიდან ფილიპე ბერიძისა	117
პიატრას ცვირკა — მოთხრობები, თარგმანი ლიტვურიდან ნ. მიქაეასი	120

5628

პრიბიბა და პუბლიცისტიკა

სერგი ქილაია — პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგია	131
გიორგი თავაშვილი — სოციალისტური ჰუმანიზმი	142
გივი ვაჩეილაძე — მხატვრული თარგმანის თეორიის შესახებ	148

პედაგოგიკის საკითხები

მაკალი თოღუა — მეტივენიშენები ეფესისტყაოსანზე	155
განრიელ პონდოვი — რუსთაველის გმირი ტარიელი	159

მეცნიერება

იოსებ მგერელიძე — აღმოსავლეთმცოდნე და რუსთველოლოგი	163
ვახტანგ ვაგოძე — ივანე თარხნიშვილის მსოფლმხედველობისათვის	169
გივი უორდანი — უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში	174

(იხ. მე-2 გვ.)





ვლადიმერ ჯიბუტი — მარიჯანის მოთხრობების კრებული	185
ფაშა ციციაშვილი — გული დაქვებულს	185
გიორგი შალაშვილი — წიგნი სალიტერატურო ენისა და მწერლობის საკითხებზე	183
ნოდარ მშვილდაძე — გოეთეს — „რაინვეგ მელა“	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე
 პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე, ბ. ჟღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ზელმონერილია დასაბეჭდად 17/VIII 1962 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108. ანაწყოების ზომა 7 1/4 × 12 1/2
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პარობიზ ფორმათა რაოდენობა 16. უე 02837
 ტირაჟი 6500 შეკვეთა № 1355.

საქ. კბ ცკ-ის გამოცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.



გ ა მ კ რ ა ჯ ე ბ ი ბ უ ლ ე ბ ს

მზრინაფ-კოსმონავთბას ა. ნიკოლაევისა და პ. აოპოვიჩის

ჩვენ მღედვარების კოსმოსს ვებრძოდით, ✓
როცა თქვენ ნამდვიდ კოსმოსს იპყრობდით,
თქვენთან ვიყავით, განა ვერ გრძნობდით,
თქვენთან ვიყავით, თქვენზე ვფიქრობდით.

გიდოცავთ, გკოცნით, მადლობას გითვლით
სამშობლო, ზაღნი, დედა-ბუნება...
ახლაც თქვენთან ვართ გუდით და ფიქრით,
ვაშა, დიდება თქვენს დაბრუნებას!

სუბა პიკულავა

აღმოსავლური

ყ ა ბ ა ხ ი *

აქ მოუყვანია მექადანა და მედინადან დაწყებულ ხანძარს არაბეთის უდაბნოს მხით დამწვარი სარკინოხები.

აქ უძოვებიათ ვერაგ თურქებს თავიანთი ფიცხელი და ველური ცხენები.

აქ მისხველევადა გრძელტარა შუბით გაფრინდაული სპარსელ სარბაზებს და სააკაძის აქ მოქნეული მიძიმე ხმლის ჩახუნი ცხრაჯარას საყდარსაც კი მისწვდენია.

ოდესღაც უდაბურ ველზე, რომელიც მხოლოდ სახამთრო სამოვრად ჰქონდათ მიუვალ მთებში შეყუჩულ თუშებს, ნელ-ნელა გაჩნდა მწყემსთა ფარეხებთან ქოხები და გომურები. მერე თანდათან ერთმანეთში აირია ქვიშა და კირი და ქვის შენობები აღიმართნენ მიწიდან ცისკენ.

და ახლა აგურისა და ქვითკირის ორსამართულიანი სახლები, ისარივით გასროლილი ქუჩები და ბაღი-ბაღები ანციფრებენ საოცარი სიღამაზით სხვა კუთხეებიდან აქეთ მოხვედრილთ.

კორესპონდენტის თხოვნით მანქანამ სვლას უკლო და უცხოთ თვალწინ მწყობრად მიდიოდა გზის ორთაფ მხარეს ცაღაწვდენილ ალგათა მწყრივი. აქაიქ საუცხოო აუზებში მოჩანჩქარებდნენ ბროლივით გამჟვარვალე მთის ცივი ნაკადები. მოლმოსშირებულ ეზოებში ფაცრის წვრილ მესერს ოქით მოჩანდა ხეხილისა და ვაზის ხეივანები. ფათალო და სურო ამწვანებდა აიენის სვეტებს. კედლებზე ჯიხვის რქები და აქაიქ ტახის თავი იყო მიკრული, — ნიშანი თუშის მუხლისა და გულის სიმაგროსა. ზოგან ფერადნატულა ხალიჩებთან

ერთად მოაჯირზე გადმოეფინათ დათვის, შვლებისა და ნიამორის ტყავები.

აიენებზე ისხდნენ შავთავსაფრიანი და ლამაზწინსაფრიანი დედაკაცები და თუშურ ჭრელ წინდებს ქსოვდნენ.

მანქანას ჩაუვლიდნენ უღარდელად მოკისკისე ქერა და წაბლისფერ ნაწნავებიანი ვარდისფერლოყება გოგონები. მზერასა და ზოგჯერ ნედლი ხის პატარა ტოტს ესროდნენ მანქანას.

კორესპონდენტს ღიმილისაგან გახსნილი ვეება პირი კარგა ხანს არ დაუხურია და როდესაც მანქანა ორსართულიანი მაღალი შენობის წინ გაჩერდა, ჩამოვიდა და კანტორის კიბე ნელა აიარა.

კუმბრაქამ „პობედის“ უკანა სავარძლის კუთხეში მიყუჩულ მოფერს დაუბარა, ფრთხილად იყავი, ბალღებმა არა იეშმაკონ რა მანდაო, და უკან გაპყვა თავის თანამგზავრს, კიბის თავში გაასწრო მას, შევიდა ბირველ ოთახში და ქაღალღებში ჩაფლულ ბუღალტერს რაღაც უჩუროხულა.

კანტორაში უეცრად დაფაცურდნენ დაბნეული სახეები, ოთახიდან ოთახში დაიწყეს სირბილი, მაგრამ რაკი გაიგეს მაღალსა და ხმელ-ხმელ კაცს მათდამი „მტრული“ კი არა, მეგობრული ზრახვანი ამოძრავებდა, დამშვიდდნენ და მსხვილფეხარქიანე საქონლის რაოდენობისა და მისი გაზრდის გეგმები, წველის ნორმებისა და მათი შესრულების ცხრილები, მატყლის დამზადებისა და შესრულების ცნობები, ყველისა და ერობო-კარაქის ნამეტობა და ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის პროცენტები სულ წინ დაულავეს მოანგარო

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 7.

შეგება, ბულატრის მაგიდასთან ჩამოგდარს.

— ეს რატომ არის, რომ სოფელში მხოლოდ ქალები ჩანან და მამაკაცს სულ ვერ მოგვაჩიო თვალი, სანამ აქ არ მოვედი? — იკითხა! კორესპონდენტმა და მორცხვმა მონაგარიშე ქალიშვილმაც დააკმაყოფილა ძვირფასი სტუმრის ცნობისმოყვარეობა.

— კატების უმეტესობა ცხვარშია მთაში წასული. დანარჩენნი კი ეენახებ-სა და მინდვრებში არიან.

— მწყემსები არ ჩამოდიან ზაფხულობით ალვანში?

— როგორ არ ჩამოდიან, — გაიღიმა ქალიშვილმა.

— ახლა არავეინ არი მწყემსებიდან აქ ჩამოსული?

— არა, არავეინ ჩამოსულა ჯერ. მაგრამ დაიცაო! — აქ ქალიშვილი უცებ გავარდა მეორე ოთახში.

ოთახიდან ბულატერი გამოვიდა, აიგანზე გადადგა და ცაცხვის ქვეშ მთელუმარე ბიჰს გასძახა:

— გაიქე, ბიჰო, და ფორეს უთხარი, ამ წუთში აქ ამოვიდეს. უთხარი, თბილისიდან არიან და შენ გეძახიან-თქო.

სანამ მთელ საათს ოთახის კუთხეში მიმჭდარი კუბრაქა მოწყენილად იმზირებოდა და სანამ კორესპონდენტი მოაზრებოდა და სანამ კორესპონდენტი მოაზრებოდა და სანამ კორესპონდენტი მოაზრებოდა, ქაღალდებში იქვეჭებოდა და ბლოკნოტშიაც რაღაცეებს იწერდა. მანამ ოთახში მალალი და წარმოსადეგი ჯარისკაცურ ფარაჯა გადაცემული და ნაბდის ქუდიანი ხნიერი კაცი შემოვიდა შემკრთალი სახით.

კორესპონდენტმა თავი აიღო და სალამზე საღმით უპასუხა.

— გაგიმარჯოს, დაბრძანდით. — ანიშნა სკამზე.

— მადლობთ, ძმობილო, ფეხზე ვიქნები.

— როგორც გერჩივნოთ. სჯობდა კი, რომ დამჭდარიყავით. რა გქვიათ?

— ფორე ვარ, ლუხუმიძე.

— ლუხუმიძე? ოპო, გვარი მართლაც გვარიანი გაქვთ. თქვენი წინაპარი

ხომ არ იყო ბახტრიონთან დაკრული ლუხუმი?

— ყაჩაღები რომ დაჰხედნენ? — ის ნა-სიბაიძეა. ნიკალას დროს მოხდა ეგა.

შენ საიდან იცი, ძმობილო?

კორესპონდენტს გაეღიმა.

— არა, მე იმ ლუხუმიზე არ მოგახსენებთ. თუმცა, დაიცა, ერთი ეს მითხარით: სად მუშაობთ?

ფარაჯიანი გაოცდა.

— თუში სად იქნება? ცხვარში ვარ მწყემსად.

— დიდი ზანიია?

— ოცდაჩვიდმეტი წელი გახდება ენკენისთვეში.

კორესპონდენტი სიამოვნებისაგან აცმუკდა სკამზე.

— კარგია, ძალიან კარგია. რამდენ ცხვარს უვლით?

— მე ცხვარს არ ვუვლი, ძმობილო.

კორესპონდენტი შეცბა:

— როგორ, წელან არა სთქვი, რომ ცხვარში ვარო?

— ჰო, ძმობილო, ცხვარში ვარ, მაგრამ ცხვარს აღარ ვუვლი. ეს მეორე წელია, ბატკანში გამგზავნეს.

კორესპონდენტს გაეცინა.

— ცხვარი და ბატკანი ერთი არ არი?

— არა, ძმობილო, ერთი რად არი? ცხვარი იწველის და უფრო დაბლა სძოვს, ბატკანი კი მყინვარის ძირებშია.

— ოპო, ეგ კი არ ვიცოდი. კარგია, ძალიან კარგია. ერთი ეს მითხარი: რა ზომებს იღებთ მოვლა-პატრონობაზე?

— რა ზომები უნდა მივიღოთ? რაც კი ხელიდან გამოგვივა, ყველაფერს ვაკეთებთ.

კორესპონდენტმა მწყემსი წააქეზა.

— ილაპარაკეთ, თავისუფლად ილაპარაკეთ.

თუშმა უნდობლად გადახედა მოსაუბრის ბლოკნოტს.

— მანდ რასა სწერ, ძმობილო, ფინთი არაფერი ჩამიწერო, ჩემზე კარგი ბატკანი მთელ ასახოს ხეობაზე არა ჰყავთ ფერმებს.

— ნუ გეშინიან, პირიქით, რადიოში

იქნები, როგორც საუკეთესო მწყემსი. ბატკანს როგორ უვლი?

პირისპირ მჯდომის სანდო ღიმილმა მწყემსს ეპვი მთლიანად მაინც ვერ გაუფანტა და ფრთხილად დაიწყო.

— ბატკანს ეგრე უვლით, რომ მთელი დღე და ღამე არა გეძინავს. დღით სით საძოვარსა და წყალს ეურჩევთ და საღამოთი დასაყრელ ადგილს ქვიშიანს.

— ქვიშიანს? რატომ მაინც და მაინც ქვიშიანს?

— იმიტომ ძმობილო, რომ ბატკანი გრილად იყოს, არ ჩახურდეს და ფილტვები არ გაუფუჭდეს. გველაძეა უჩნდება ბატკანს ფილტვებში ამ დროს, პოდა, დაფერით თუ არა აღზაჯზე ბატკანს...

კორესპონდენტმა უცებ გააწყვეტინა:

— მოიცა, მოიცა, სად დაფერითო?

— აღზაჯზე-მეთქი.

— აღზაჯზე? ჰმ, — ჩაიცინა! — შე აღქაჯი გავიგე, აღზაჯი რაღაა?

— ცხვრის საყარია ღამით.

— აჰა, მერე, განავრძეთ.

— რაღა გავავრძელო, ღამეში სამჯერ-ოთხჯერ მაინც ვაფრთხობთ.

— აფრთხობთ? ბატკანს აფრთხობთ?

— გაოცდა მოსული.

— ბატკანს, მამ.

— რატომ აფრთხობთ მერე?

— იმიტომ რომ წამოხტეს, შეიბღურტოს, გატოკდ-გამოტოკდეს, ჩაახელოს და ყელი ჩაიწმინდოს, ბატკანი საღი და ჯანმრთელი გამოვიდეს.

— ყელი ჩაიწმინდოს, — შეიშმუშნა კუთხეში მიმჯდარი კუბრაქა, — კაი სათამადო ბატკნები კი გიზრდია.

ახლა შეამჩნია თუშმა ფანჯარასთან მჯდარი და ის იყო მისთვისაც პასუხს აპირებდა, რომ კორესპონდენტმა შეაჩერა და ჰკითხა:

— დაიცათ, თქვენ ეს მითხარით, რაც თქვენ მწყემსად ხართ, ნადირი თუ დასცემია თქვენს ცხვარს.

— როგორ არ დასცემია, — გაეცინა თუშს, — აღამიანიდან მოკიდებულ იყავს მაგის მტერია.

— კეთილი და პატიოსანი. აი, თქვენ

ამ შემთხვევის დროს მგელი თუ მოგიკლავთ.

— მგელი? — იკითხა თუშმა და შეჩერდა.

— ჰო, მგელი.

— არა, ძმობილო, მგელი არ მომიკლავს.

კორესპონდენტი განცვიფრებისაგან კინაღამ ხელიდან კალამი გაუვარდა.

— როგორ, თქვენ, მწყემსს, ოცდაჩვიდმეტი წლის შეცხვარეს მგელი არ მოგიკლავთ?

— არა, ძმობილო, მანდ რასა სწერ, ზომ ვითხარი, რომ არ მომიკლავს-მეთქი.

კორესპონდენტი შეჩერდა და აუხსნა, რომ ყველაფერი, რასაც ის იწერდა მისგან, რადიოში იქნებოდა და მთელი საქართველო მოისმენდა მისი გამირობის ამბავს.

თუშმა მის კეთილ განზრახვაზე ცოტათი გული დაიჭერა და დანანებით ჩაილაპარაკა.

— არ მომიკლავს, ძმობილო.

— როგორ, ნუთუ მართლა არ მოგიკლავთ? აბა, კარგად გაიხსენეთ: ნუთუ ფარას თქვენს იქ ყოფნაში მგელი არ დასცემია?

— როგორ არა. ერთხელ ღამე დაეცა და დილით მატყლი იგრე იყო ვარშემო თეთრად გაფენილი, გეგონებოდა, წუხელ თოვლი მოსულაო. ტბალი ნადირია მგელი, იმდენს არა სჭამს, რამდენსაც აფუჭებს.

— მერე, თქვენ თოვები არ გჭონდათ?

— მწყემსს თავის განზიდანვე აქვს თოფი, მაგრამ ვერ მოეასწარ სროლა.

— აბა, სხვა შემთხვევა გაიხსენეთ.

— ერთხელ ნისლეზში მოიპარებოდა რაღაც ბანჯგვლიანი. ეგეთი ამინდი უყვარს ნადირს. მგელი შეგონა, მაგრამ დოთვი გამოდგა.

— მოჰკალით? — აღტაცებულმა დაიძახა მოსაუბრემ.

— მაჯარი ნისლი იყო და დაეცდინე. კორესპონდენტი მოეშვა.

— რატომ დაეცდინეთ? აბა, კიდევ სხვა შემთხვევა გაიხსენეთ.

— ერთხელ ჭიხვზე ვიყავი წასული სანადიროდ. ნაშალზე დაყრილებს ვეპარებოდი. უცებ ხოროდ წამოიშალნენ ჭიხვები და თვალთ მიმეფარნენ. ვაბრაზებულმა ქაიბაფს ვაგზედე და ორი მგელი დავლანდე კეტამს რომ გადაეფარა. ვესროლე გულამღვრეულმა, მაგრამ ვერ მოვარტყი.

კორესპონდენტს იმედი გადაუწყდა.

— აბა, აბა კიდევ გაიხსენეთ, დაბრძანდით და ისე გაიხსენეთ.

— მადლობთ, ძმობილო, ფეხზე ვიქნები.

— კარგი, იყავით, ოღონდ გაიხსენეთ. მწყემსი ჩაფიქრდა და ჩაახველა.

— ერთხელ ქარსტყვაში დაგვეცა მახალათის ხორბთან. დედის ძმისშვილი მეტანა თან. ესროლა, მაგრამ წაუვიდა.

— თქვენ არ გისვრიათ?

— ერთი მეც მოვასწარი.

— ვერ მოკალით?

— ვერა.

კორესპონდენტმა სასოწარკვეთით ამოიკვნესა.

— რატომ ვერ მოკალით, რატომ. მაშ ნუთუ მგელი არ მოგიკლავთ?

— არა, ძმობილო, არ მომიკლავს.

კორესპონდენტმა რაღაც ჩაიწერა და მწყემსს უთხრა, თავისუფალი ხარო.

თუშმა ერთხელ კიდევ გადაბედა უნდობლად ბლოკნოტს და ოთახიდან გავიდა.

სტუმარი გამოემშვიდობა იქ მყოფთ, იმედი მისცა, რადიოში იქნებოთო, და მანქანას მიაშურა.

— საით წავიდეთ? — ცოცხლად იკითხა აქამდის მოწყენით მტდარმა კუბრაჰამ და საჭეს მიუჯდა.

— პალსპირში. დღესვე დავიწყებ ნაკრევებზე მუშაობას.

ისევ დაიწყო ლარივით სწორი ქუჩა.

ისევ აეშალა კუბრაჰამს ლაპარაკის საღერღელი...

— კი, მაგრამ შენს ამდენ ეშმაკობას რომ აძლავნებ, ჩემგან მაინც არ გეშინიან? — ჰკითხა ღიმილით კორესპონდენტმა.

— მეშინიან? — დაცინვით მოწყურა

თვალეები კუბრაჰამ, — შენგან რაზე უნდა მეშინოდეს? მგელმა თქვა: ჩემს დამპყრველს ერთი შეხედვით გეცნობო. შენ რომ კაი კაცი არა ყოფილიყავ, ძია ნიკო ჩემთან არც გამოგზავნიდა.

კორესპონდენტმა წაუყრტა და არა თქვა რა.

კუბრაჰამ განაგრძო:

— შიშით იმას უნდა ეშინოდეს, ვინც დამნაშავეა. დამნაშავე კი ის არის, ვისაც დანაშაულს გამოუჩხრევენ და დაუმტყიცებენ. კატა კი ისე უნდა დაიჭირო, რომ ხელები არ დაგაფხაჭნოს. ამის გულისთვის ტყუილსაც არ უნდა მოერიდო.

კორესპონდენტი არ დაეთანხმა:

— ტყუილი რა საკადრისია?

კუბრაჰამ დამცინავი თვალი დაასო მისაუბრეს და მერე სტორში ფრთხილად გავიდა.

— წიდან ზეენ რომ კანტორაში ვიყავით, შეამჩნიე, რომ ბულალტერს ორი ქამარი გადაეხა ერთმანეთზე და ის ერთკა მუცელზე?

— რა ვუყვით მერე, მსუქანია და მაშ რა ქნას?

— მერე, რატომ არი მსუქანი?

— სამსახური აქვს ისეთი. ერთ აღვილს ჯდომისაგან არი გასუტებულო.

— ერთ აღვილს ჯდომისაგან? ერთ აღვილს ჯდომისაგან კიარა, ტყუილისაგან. თუ ტყუილი არა თქვი, ვერ მოიპარავ, ხოლო თუ არ მოიპარე, ვერ გასუტდები. აბა, მე იმისი დედის სულიცა, იმ საწყალმა მწყემსმა როგორ უნდა იცხოვროს, როცა ერთი ტყუილი ვერა თქვა. ჯერ შენ რა ვითხრა, რომ ოცდანივთამეტ წელიწადს მეცხვარედ ნამყოფს ეკითხები: მგელი მოგიკლავს თუ არაო და მერე კიდევ იმ მეცხვარეს, რომ ვერ ვითხრა ტყუილად — მოკალიო. ეთქვა, იმ მამაცხონებულს, შენ არ დაუჯერებდი? არა, ის მგელი მოვილოდა და პირზე დაადგებოდა: „როდის მომიკალო?“

კორესპონდენტი ხარხარებდა.

— რამდენი რაიონი მოვიარე და ასეთი გამოცდილი კაცი ჯერ არ შემხვედრია, როგორც თქვენა ხართ.

— გამოცდილი? — გაიკვირვა კუპრაქამ, — ერთი ბუღდოზერი არ გადაუტარებიათ ჩემს თავზე, თორემ დანარჩენს ყველაფერს გადაუვლია.

— და მაინც ყველაფერს ფულით ზომავთ?

— ფულითო? — კუპრაქამ მარცხენა ხელით საჭე გაასწორა, მიბრუნდა და მარჯვენა ხელით უკანა სავარძელზე მისვენებულ ბიჭზე მიუთითა მოსაუბრეს. — მოფერი მე კი არა, ანდუ, ეგ ბიჭია მოფერი. მაგრამ მავას უფლება არა აქვს ტარებისა, რადგან საშოფრო წიგნაკი არა აქვს.

— მერე ვინ უშლის? ჩააბაროს და მისცემენ.

— ეჰ, დალოცვილო, მისცემენ თითქოს არ იცოდეს, იქით რამდენი უნდა მისცე, რომ აქეთ წიგნაკი მოგცენ. ეს სულ ერთია, ჩააბარებ, თუ არ ჩააბარებ. აი, მე კი მოფერი არა ვარ და საშოფრო წიგნაკი ჯიბეში მიდევს. რათა? — იმიტომ რომ ფული მაქვს.

— მერე იმ ფულით ხომ შეგიძლიათ, რომ მავასაც აუღოთ წიგნაკი?

— შემიძლია და ავუღებ კიდევაც. აქამდე სხვა მყავდა მოფრად. მაგრამ ის გავაგდე, რადგან ერთ საქმეში მიღალატა. ეს კი არი დღეა, რაც ავიყვანე... აი, მოვედით კიდევ. როგორ მეტყვი: აქ გავაჩერო, თუ პირდაპირ ძია ნიკოსთან ავიყვანო?

— არ მინდა მანქანით აყვანა. აქ გააჩერე, იქამდე ფეხით ავაღ.

მანქანა სასადილოსთან გაჩერდა და მგზავრები გადმოვიდნენ. ღია კარებში თეთრხალათიანი მებუფეტის სქელი ტანი გამოჩნდა და რაკი გამვის სანიშნებელი მზერა ვერ დაიჭირა, უკანვე სწრაფად შეტრიალდა.

კორესპონდენტმა ულრმესი მადლობა გადაიხადა და კუპრაქას ხელი მაგრად ჩამოართვა.

— შევბრუნებულაყავით, თითო რამე დაგველია.

კორესპონდენტმა შორს დაიჭირა.

— აჰ, არა ვმადლობთ. ისედაც დიდადა ვარ დავალებული თქვენგან.

— რის დავალებული, რა დავალებუ-

ლი. სანამ აქა ხარ, როცა კი დაგვიხედს მასხენე და, — აქ კუპრაქამ თავის „პობედის“ სახურავზე ხელი დაარღვიანდა ლად დაქრა, — მასხენე და ჩემი თავი შენიიი ფეეშქეში

2

ნამის ასიათასი საყურე დაჰკიდებოდა ტყის ფერდობზე ლორთქო ბალახს და მათ ნახ ღიმილში დნებოდა ამომავალი მზის ოქროვანი სხივების კონა. ყვითლად ყვავოდა გელური ტუბტი და ტყიდან ფეხაკრეფით შემოპარულ სიოს ცელქობაზე თეთრ თავებს აქანავებდა ფერიცვალა. მზის თვალი მიბჯნოდა კარდაღეწილ თორღვას ციხეს და ლურჯ ლოდებზე იცინოდა. დილის ნისლისაგან კალთადაბლერტილი ეგებებოდა პირველ სხივებს მთა პირიმზისა.

არჩილმა უკან მოიხედა და მოიღუშა: მიწის პირამდე მოძოვილ ბალახს ნაფეხურიც კი არ ეტყობოდა. თავი გაიქნია, ციხეს მიუახლოვდა და აღმოსავლეთის კედელზე ამოსულ აკაცის ხეს ძირიდან კენწერომდე შეავლო თვალი. აქედან აღიოდა ყოველთვის, როცა ქონგურებზე უნდოდა ჩამოჯდომა. ახლა კი სინანულით დაიხედა შეხვეულ და კისერზე ბანდით ჩამოკიდებულ მარჯვენა ხელზე, ციხეს უკანიდან შემოუარა და კედლის ნანგრევს ფრთხილი ფოფხვით აუყვა.

კედლის თავზე ასული შედგა და ძირს ჩაიხედა. კვრინჩხი და ტყემალი, მყვლის ბარდები და შამში ვადანლართულიყვერთმანეთში. ვეება ლეშივით ეგდო ჩამოტყეული ჩრდილოეთის კედელი და ზედ ანწული ხარობდა. ჩამავებულიჩამავსებულყო თავქვე ირიბადდაშეებული სათაფურები, ხოლო ქონგურები, ნაწილი ქარწყვიმას დაედნო და ნაწილი ისევ მიდიოდა ციხის თავზე მეჩხერი კბილებით.

აღრე ამდგარი პატარძალივით იმზირებოდა განაზებული, თავხუჭუქა და შრიალა ტყე. ახოვანი მუხები და თელამუშები მოსჯაროდნენ ციხის გარემოს.

ამოღტილი ქორაფები და ტანდაძარ-
ღვული რცხილები გარეუღიყვენენ ში-
გადაშიგ. ტყეში ამოხეთქილი წყარო ვე-
ლომზე გამოდიოდა. ჯერ ლიკლიკით მო-
უყვებოდა ველური პიტნითა და ბატის-
ფეხათი ამწვანებულ ნაპირებს და შერე
ღარტაფში გასული პატარა და კრიალა
ტბად გუბდებოდა, რომლის გამჭვირვა-
ლუ სარკვეშიც დალალებს იქნევდნენ
გარს მომდგარი ტირიფები.

ტყე აქ წყდებოდა და შემდეგ იწყე-
ბოდა ბერხევის ორთავ ნაპირზე გაშლი-
ლი, მუქ-ლურჯ ბოსტნებსა და ხეთა სიმ-
წვანეში ჩაფლული ჭალისპირი.

ციხის გადაღმა კრთოდა წმინდა
ელიას სახელობაზე აშენებული მცირე
საყდარი და სასაფლაოს რუხ-მომწვანო
ლოდები. იმას ძქით, შორს, სტორის ხე-
ობა და ტაბტიგორა, ხოლო თვალმისა-
წიერამდე ოქროვან ბურუსში ლივლივე-
ბდა ალვანის ველი.

არჩილი ქონგურის თავზე მოხერხე-
ბულად ჩამოჯდა და ის დრო გააბსენდა,
როცა ეს ადგილი მთელი სოფლის სი-
ლაამაზე და გასართობი იყო. ახლა კი
გავერანებულა ირგვლივ ყველაფერი.
ბალახი ნახირს გადაუძოვია და მის
ნაცვლად ნაკელის გროვები დაუტოვე-
ბია, წყაროს კალამორი აქა-იქ გადაუთ-
ქერია, წყალი ნაპირებზე გადმოდის და
ტაფობს ტბამდე აქაზმებს, ხოლო თვით
ტბა ნახირს შეუბღალავს შიგ გდებითა
და ბანაობით, ნაპირები კი ისე ატქინუყ-
ლია ნაფებურებით, რომ ვისაც წინან-
დელი სილაამაზე უხილაეს მისი, ახლა
გული სიბრაულთით აუტირდება.

ჯერ დიღზა და წყალი კამკამაა. შუ-
ადღე იჩენს შეუბრალებლობას მხო-
ლოდ. მორეკავს პატარა მენახირეებს
ნახირით და ამღვრევენ იქაურობას.

ბღავეიან ხზორები.

ყოყინებენ ზაჭებში.

ზმუიან ცურმობირთავებელი ძროხე-
ბი.

ზანტად იცოხნებთან წყალში კისრამდე
ჩამალული კამეჩები და დროდადრო
სიამოვნებით აპარტყუნებენ ზედაპირზე
ყურებს.

მხოლოდ ტყეა ხელუხლებელი, წინან-
დებულად მყუდრო და მშვიდი. პერამ-
ზისას დამრეც კალთებიდან ლაღად ეშ-
ვება და სოფლის თავამდე, თითქმის
გენერლისეულ ბალამდე მიდის.

არჩილმა თვალი ბალიდან იქვე ჩადგ-
მულ სახლზე გადაიტანა და დიდხანს
უცქერია.

იქ აგრონომი ცხოვრობს!

იქ რუსუდანია.

ღმერთო, რა უბედურ დღეზე გაგი-
ჩენია არჩილი!

ციალა იყო, — თბილისში გაიქცა
სასწავლებლად, იქ ვილაც თაღლითს გა-
დაეყარა, ფეხი წაიტეხა და ახლა ჭა-
ლისპირში სირცხვილით ველარ გამო-
ჩენილა.

თამარი იყო, — ისე გაუქრა ხელიდან,
რომ ვერაფერი გაიგო, სანამ შარშან,
ზაფხულის ერთ ღამეს ის უცხვირპირო
ბრიგადირი არ დიანახა მათი ბაღის
ღობიდან გადამხტარი ბერხევაში. ფუი!
კაცი მაინც იყოს. ისეთი მოპირქუშებუ-
ლი დადის, ხელში რომ პური ექიროს,
ძაღლი არ გამოართმევს... ანგელოზივით
გოგო იყო და რა ეშმაკმა შეაცდინა?

მხოლოდ რუსუდანი... ..

ნუთუ რუსუდანსაც წაართმევენ?..

არა, რუსუდანს არჩილი უყვარს ნამ-
დვილად, თორემ აქამდე გათხოვდებო-
და. მხოლოდ რატომ არ მოსწონს მი-
სადმი მიძღვნილი ლექსებიდან რომე-
ლიმე? ოცამდე ლექსი დაუწერა და წა-
აკითხა, მაგრამ ყოველთვის ამას ეუბ-
ნება:

„ეს ლექსები თითქმის იმავე დონი-
საა, რაც ახლა ასე ხშირად იბეჭდება
ქურნალ-გაზეთებში“.

არჩილს ვერა გაუგიარა: თუ იმავე
დონისაა, მაშ რად არ მოსწონს? იქნება
ზაქრო უყვარს?

ბიკი შეკრთა და ისე შეირბა, რომ
კინალამ კედლიდან არ გადმოვარდა.
მარცხენათი ქეას ჩააფრინდა, დაბლა
შეშინარევედ გადაიხედა, შერე ადგა და
ძირს ფრთხილად დაიწყო დაშვება.

ტყე ისევ დაყურსული და იღუმალე-

პით მოცული იმზირებოდა, დაუოკებელი ძალით იზიდავდა თავისკენ.

ოდითგანვე ტყე და ქალაქი ყოფილა შობელი დედა პოეზიისა.

არჩილმა ცდუნებას ვერ გაუძლო. წყაროსკენ გასწია, ზედ გადაახტა და ტყეს შეერია.

მიდიოდა არჩილი და სიყვარულით იცქირებოდა ირგვლივ. აქ ყოველი ხე, ბუჩქი და ბალახი ნაცნობი იყო. დაკორძებულ ტანზე ნაზად უსვამდა თითებს, რტოებს ოდნავ ღუნავდა და მერე ისევ ასწორებდა. ფოთლებს ლოყაზე იდებდა და მათგან მოგვირილი სიგრილე მაცოცხლებელ ძალად ეღვრებოდა სხეულში.

რამდენიმე დღე იყო, რაც ტყეში ფეხი არ დაედგა და ახლა თითქოს ებოდიშებოდა, ყველას უღიმოდა და თავს უქნევდა.

მხოლოდ წყაროს სათავესთან შეიკრა წარბი და კარვახანს გულამდვრეული დასცქეროდა გათელილ ბალახს, ნაცყებლარ მიწას და მუგუზლის ნამწვებს.

უცქირა, უცქირა, მერე ნაღვლიანად მობრუნდა და გზა განაგრძო.

იარა, იარა, პატარა ლარტაფი გაიარა და უფრო პატარა მინდორზე გავიდა.

მინდორის იქით უზარმაზარი წიფელი იდგა. შუატანზე რვეულის ფურცლის ოდენი ადგილი ჩამოთლილი ჰქონდა, ზედ დიდ-პატარა წრეები ეხატა და ამ წრეებში რიცხვები იყო მწკრივზე ჩაწერილი ერთიდან ათამდე.

არჩილი მიუახლოვდა, შეჩერდა და ისე დაჟინებით დააქერდა მკითხავივით, თითქოს თავისი ბედ-იღბლის გამოცნობა უნდაო. წრეები დაჩხვლუტილი იყო, თითქოს დანის წვერი ურუკვით შიგო, და ძალიან უთანაბროდაც.

ერთხანს უცქირა ასე და სახე მწარე ღიმილმა დაუვრია. მარცხენა ხელი ასწია და შუა პატარა წრიდან შიგ ჩაქედილი წვეტიანი რკინის ნატეხი ძლივს ამოაძრო. შეატრიალ-შემოატრიალა. თითქოს მისი სიმძიმის გავება უნდაო, ხელის გულზე აწონა რამდენიმეჯერ. მერე

გაბრაზებულმა მოიქნია და მიწაზე დაანარცხა.

წიფლის ძირში ორმეტყველიანი წვერილი ჯოხი ეგდო. დახედა, ქუსლი დასცა, ორადგატეხილი ქვინტის კერით შორს გადისროლა და იქვე მღვარი იელის ბუჩქისკენ გასწია ბუტბუტით:

— ეს წყეული რაღა მაშინ გატყდა, როცა ცხრიანში მოვარტყი? ყველაზე მარჯვე ისარი იყო.

ბუჩქთან მივიდა, შიგ ხელი შეყო და წნელით შეკრული კონა გამოიღო ათიოდე ისრით. ნატყენი ხელი გადაუსცა და ზედ მიკრული ლოკოკინა ძირს ჩააგდო. მერე ფეხი დააჭირა და ბრაზიანად მისრის-მოსრისა.

რის ვაივაგლახით მოხსნა კონას წნელი და ისრებსაც სათითაოდ დაუწყო მტკრევა.

— რილასთვის მინდა? რილასთვის მინდა?

და როცა ყველა პირწმინდად და პატოსნად მიღეწ-შოლეწა, თითქოს გულზე ცოტა მოეშვაო, დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა.

ალარაფერი იყო დასამტკრევი.

— ამბობენ ფოტოგრაფებმა დააფრთხეს ცხენიო. ჯანდაბაშიამც წასულა ყველა ფოტოგრაფი თავიანთი წყეული აპარატებით! ყველგან ეჩრებიან არამკითხე მოამბესავით, იგრიხებიან მაიმუნებივით და აღქაჯებივით დაბტთან. ცხენი კი არა.—მე რომ დამენახა, მე დავფრთხებოდი იმ დროს იმათი შემხედვარე... კინაღამ მშვილდით არ დაგვარგე. კმ! ჩემი მშვილდით სხვამ ისარგებლა და მე ხახამშრალი დავრჩი! ეს ხელი მაინც არა მღრძობოდა, ხელმეორედ ეცდიდი ბედს. ფუი! ყველა დაკარგულმა იმ დღეს საიდან მოიყარა მოედანზე თავი? ან ის ვილა ოხერი იყო, იმ სამგლე ცხენს რომ მოხტომია ჩემს მერე? არაა, წელს ჩემმა იღბალმა არ გასჭრა!

მერე დაწვის თავები სიწათლემ შეუღება და თვალბზე სირცხვილის ცრემლი მოადგა.

— მე თითონ, ამ ჩემი დასამიწებელი პირით მაინც არ მეთქვა: „წამოდი, და“

მესწარი, ყაბახს ცოცხალი თავით არავის დავანებებ-მეთქი?" მგონი ესლა გუნებაში დამცინის კიდევ. მერიდება. ალბათ, იმიტომ ველარსად მოგვარი თვალი.

ცოტა ხანს შედგა, მერე თვითონვე მოხალა ბოდში და თავი იხუტეშა:

— საავადმყოფოში ხომ მინახულა? ოპ, იმ ქალს ოქროს გული აქვს და კაცის უბედურებას არ დასცინებს.

ისევ ჩამოთლილ წიფელს შეხედა, ერთხანს დანანებით უცქირა და მერე წუხანდელი დაწერილი ლექსის ბუტბუტი დაიწყო:

შენ მე დამადე სიყვარულის ტკბილი

ხუნდები,

შენ მე მიჩუქე სურნელება ნახა

ციცყელის,—

მე ცას მოუწვევით ვარსკვლავების იაკუნება,
ლექსის ბუტბუტში ჩაეყარე და შენ
მოგიძღვნა...

არჩილმა ლექსი აქ შეწყვიტა, რადგან ღარტაფს იქით ისეთი ღრიალით ჩაუხტნენ ბარათაშვილს, რომ ბიჭს მოულოდნელობისაგან გული გადაუტრიალდა.

— ოპო,—წამოიძახა,—სასადილო არ გყოთ და ახლა აქ დაიდეს ბუნავი. პოი, რა წყაროს ბილწავენ ეს უწმინდურები. ნამდვილად ესლა ბოთლები ექნებათ ჩაყრილი შიგ ჩასაცივებლად. ის საცოდავი ლეო რაღას აპყოლია ამ ლოთ-ბაზარებს, არა რცხვენია ცოლშვილიან კაცს? ნამდვილად ისინი არიან, სერგოს ხმას ისე ვიცნობ, როგორც ქათამი საკენეს. ახი არ არი, რომ მივიდე და „სუფრა“ სულ აფურ-დაეურიო?

და რადგან გაახსენდა, რომ ვალერიანს მსუბუქი თავი და მძიმე მუშტი ჰქონდა, კეთილგონიერებამ უკარნახა და ვანზრახული გადაიფიქრა.

გულამღერეულმა დატოვა უკვე შერყენილი „პოეზიის წმინდა სადგური“ და ხავსიანი ღარტაფით თავქვე დაეშვა.

3

წინათ ამ ადგილს სამკედლო იყო და ცისკრიდან შუაღამემდე ისმოდა მძიმე

ჩაქუნების რახუნნი და პატარა კვერის კაკი-კუკი. წყაროებდა ნალ-ყაირო და ზმუოდა დასანალად წამოქცეული საჭონელი. შიშინებდა ცხელი რკინა ციფ გეჯაში და ღონიერი მკედლები უსახო ლითონს მუშტრისათვის სასურველ ფორმას აძლევდნენ. საგსე იყო უკანს ეზოცა და წინა დერეფანიც გზის პირამდე საჭირო ხარახურით, მაგრამ დამბერა დასავლეთიდან სუსხიანმა ქარმა და სოფელი დაცარიელდა ახალგაზრდათაგან. მალე მათ უფროსებიც მიჰყვნენ და სამკედლო დაიკეტა. თანდათან ეზოდან გაიკრიფა რკინა თუ ხე და, ბოლოს, თავი შენობასაც მოსძვრა კარი. კოლმეურნეობამ ძლივს მოასწრო საბერველისა და ვრდემლის გატანა, რომ კედლებიც შეიჩუა. ორიოდ წლის შემდეგ კი ნანაცრალ-ნანახშირალზე თუ მიხედვბოლით, რომ აქ სამკედლო იდგა. დარჩა მარტო წყარო, რომლითაც შორეული უბნებიც კი სარგებლობდნენ ერთ ხანად იწანწყარა ამ წყაროშიც. ივავლახა, იშავდღევა და მერე ესეც ნელ-ნელა დაიჭურა, დაიწურა და, ბოლოს, სულაც დაშრა.

პატარა ბიჭებმა ჩარდახი გადუნგრიეს და მილი დაქვეყეს. მაღალი აუზი თითქმის მიწის პირამდე გაასწორეს და ახლა ისეა გზის პირას გაწოლილი, მოხუცები საღამოობით თავისუფლად ჩამოსხდებიან ხოლმე. „სავარძლის“ მოვალეობა წინათ წყლიგივის კარზე დაგდებული უზარმაზარი კუნძი ასრულებდა. მოვიდნენ, დახსდომისთანავე გამოამტვრევდნენ ღობიდან ჩხირს, თლიდნენ დანით ნელ-ნელა და იხსენებდნენ იმ გარდასულ ტკბილ-მწარე ახალგაზრდობას, როცა ტოლს არ უდებდნენ ერთი მეორეს, ისხდნენ შუა ღამემდე. ტუჩების ზანტი პლაკუნით ხრჩოლავდა ყალიონი და ტკბილ საუბარში იკრებდა ღონეს დამამვრალი მარჯვენა.

მაგრამ ერთ ზამთარს, „დიდ თოვლობას“, წყლიგიემა კუნძი დაჩეხა და თავშესაკრებმა ადგილმა წყლის აუზზე გადამონაცვლა.

ამ საღამოთიც არ უღალატეს დროუ-

ლებმა ჩვევას და იმდენნი შეიკრიბნენ, რომ, როცა გოდერძი მოვიდა, დასაჯდომი ადგილი ძლივს გამოძებნეს.

— ღამეც ბევრი მივლია, მაგრამ არასდ არ გადაყრდევარ მაცდურს, — ამბობდა შაშვიანთ საბა და თან წვეტიანი ჯოხით ჩიქნიდა მიწას.

— ტობრაკა იტყვის ხოლმე, — წაიჩიფიდა ზურიაძე, — საჩაღის ბოგირთან დამხვდა, ახმეტედან რომ მოვდიოდით. აი, განა წყლიგიჟს კი არ ესსოშება!

— პიტ, მაგის დედაც ვატირე! ტყუის ტობრაკა. ქალაქში იყო დუქნის ბიჭათა და აქ ჩამოსული გვეუბნებოდა: ინდოეთში ვარ ნამყოფიო.

— ტყუილი ბევრი იცის დმერთაღლმა, მაგრამ, თუ ერთი კაცს ყბა დაადგა, არ გაახარებს, — თამბაქოს ქისა ჩაბერტყა ჩიბუხში ლურჯანამ.

— ინდოეთი ძალიან შორსა ყოფილა, ტობრაკა ვერ ჩავიდოდა იქა, — არ იჭერებდა დაბალ-დათია, — ეშმაკზედაც აღბათა ტყუის. რატო ჩვენ არ გაგვეკარა ანლო როდისმე?

— შეიძლება მართლა შეხვდა! აჩიფიდა ზურია, — ეგ წინათ იქნებოდა, ჭეილობაში. ესლა კი ადამიანი თითონ გაეშმაკდა. ეშმაკაც იფიქრა: ჩემი ადგილი აქ აღარ არიო და დელამიწიდან აიბარგა. ესლა იმიტომ აღარსადა ჩანს.

— მართალია, — დავმოწმა დაბალ-დათია, — ესლა თითონ კაცია გაეშმაკებული. ჩვენი ბრიგადირი არც კი დახედვს და არც კი ზომავს, დღეს რამდენი გავთხნე სიმიინდი ან ყანა მოვმკე, ზებირად მიწერავს შრომადღეს. იმ დღეს ვანგარიშებინე მონგარიშებს და ხუთი შრომადღე მაკლია. სად წავიდა? წინათ მუშა ბიჭი იყო, აირჩიეს ბრიგადირადა და გაეშმაკდა.

— თითონ დაიწერდა, — დაასკვნა საბამ.

— მე ფეხით ჩავდივარ და ამოვდივარ აღზნის პირასა და ეგ მაცაკიკლტია თუ რალაც ჭანდაბაა, იმითი დაგრილობს, — წაეხმარა აბრია.

— მართო ბრიგადირი? სხვებიც არ აკლებენ.

— ეპ, ვისაც რამ პატარა ალაგი უჭირავს კანტორაში, ყველა ჩვენს კანტორაზე შემსხდარი! — შეებრალა თავი მუვირალა გაბრუს.

— ნეტა ჩვენ რა დავიხოცებით, რა ეშველებათ მაგათ? — დაინტერესდა წყლიგიჟი.

— რა უნდა ეშველოთ? — გაიოცა გოდერძმა, — განდებთან ახალი აბრიები და დათიები, საბაები და ზურები, მოხნავენ, დათესავენ, მოიყვანენ და მიართმევენ. ხოლო ახალი ეფრემები უჭურველს მოჭრიან და ახალ გაბრუებს წაიღებინებენ თეთრ-წყაროში გასაყიდად გაზურებული მუშაობის დროს.

გაბრუა აიმჩინა.

— ქურა არ იყო შენი და თიხა, ამ ჩემს ცხენ-ურემთან რა გინდა? შენ წინათაც გადმოგიკრავს, გოდერძო, და გგონია, ვერ მივხვდები? ჯერ არც ეგვრე ვარ გადაყრუებული. ვიცო, სადაც უმიზნებ.

— მაშ არ დამიცდენია? კაცი ხანჯალივით პირდაპირი უნდა იყო. არ გეგონოს, თავმჯდომარის ნათესაობა გინის სოფლის პირიდან და გამოუქნელი მოხვერივით განზე წევით აშენდები. ზომ ზედავ, რა სიცხეები დაიჭირა. თუ დროით არ მივხედეთ ყანასა, თავთავი ჩაეწვება, კილი გაეხსნება და მიწაში ჩაგვებნევა. შენ ეფრემას აყოლა რა ხელს მოგცემს? კაცს, რომელსაც საკუთარი ვენახიც ვერ დაუმუშავებია, რა უნდა მოსთხოვო?

— ფეხებზეც არა შეიღია ეფრემამ! — გაბრაზდა გაბრუა და თავისებურად აყვირდა, — მე კი თავი დამანებე. ვისაც დედას მივცემ, მამაც ის იქნება. ქირა იმან მაძლია და მეც იმას გაყუყუ. თავმჯდომარის წარამარა ხსენებას კი ვადანეჩვიე, თორემ ერთხელაც იქნება მაგ რქებს დაგამტვრევენ.

გოდერძიმ წარბი შეიკრა.

— ჯიში გაგიკრეთ, უჯიშოებო, კაი ხალხი თქვენ არ იყოთ. იმითი იცევით, რომ თელავში ხელის გულზე დაატარებენ? რატო რა! ყველაზე აღრე ეგ იღებს მოსავალს, ნატურ ანაზღაურებას

ყველაზე ადრე ეგ აძლევს ემტეეს, ყველაზე ადრე ეგ აბარებს სახელმწიფო გადახასადს და ყველაზე მეტს ეგ აქაზებს.

გაბრუამ ხელები ჯანზე გაფარჩხა, გოცებით გადახედა იქ მსხდომთ და მერე ისევ გოდერძის მიუბრუნდა:

— ეგეცა გოცონია, შე დალოცვილო, და რაღასა ჰლანძღავ და თათხავ იმ კაცსა.

— გასალანძლი უნდა გაილანძლოს და პირშიაც მითქვამს. შინ რო ყმაწვილსა ჰშოიდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვს? კოლმურწნობაში კილო მარცკულულს ძლიეს აწაწილებს და იქ გადაჭარბებით აბარებს? კარგი, გეგმა რაცა ვაქვს მოსული, მიეცი, მაგრამ ზედმეტს რად აძლევ, როცა მთავრობა არც კი გთხოვს? თავის გამოჩენა უნდა — კისერი წინ წაძებნა გოდერძიმ და რისხვიანი თვალით ჩაჰკითხა! — სახელის დაგდება უნდა? იქნება გგონია, არ ვიცი სად არი ჯორის ნალი ჩაფლული?

ორლოზიდან მანქანა ამოვიდა, შარაზე გაბრუნდა და შუქფარები აუხის ნანგრევებზე ჩამომსხდართ მიანათა.

გაბრუამ თვალები ხელით დაიფარა, სახე შუქს აარიდა და კარგა ხანს აღარც გამოუხედა.

მოხუცთა კრებულს შევლევო მიუახლოვდა, მიესალმა, ყველანი მოიკითხა და მათთან ჩამოჯდომის ნებართვა ითხოვა.

სიამოვნებით მიიწვიეს მოსული იქ მყოფთ.

შარაზე ნამჯით დატვირთული ურმები გამოჩნდნენ. დაწალაკებული მოდიოდნენ ტაბით და თან ღობის პირს ეკვრებოდნენ მანქანების საყვირზე.

მეურმეები ზანტად უტყლაშუნებდნენ მელდარევილ კამეჩებს მოქნილ სახრეებს და თან პატრონის დედას აგინებდნენ.

გოდერძი წამოხტა, მეურმეთა სალამზე პასუხი არც კი გაუცია, ერთ ურემს გვერდიდან მოუარა და მთელი ბლუჯა ნამჯა ჩამოჰკლიჯა.

აი, აბა, დახედე, — გაბრუას ცხვირ-

წინ მიუტანა, — დახედე კარგად ზედ ნაოთხალი მაინც ექნება შერჩენილი. სად არი თავმჯდომარე? ვერა, ხედავს, ლედამიწის ქვეშ რა ხდება, ის იცის და შენ გჯერა, რომ ამას ვერ ხედავს? კომბაინს ნაწილები არ უფარგა, ლექავს როგორც მოხედება და გარეთ იგრე აფურთხებს. მზე თავს უხვრეტავს ბალებსა და დედაკაცებს თავთავის კრეფით. დღედაღამ გაჰყვირის: ერთი თავთავი არა ვნახო ნამკალში დარჩენილიო, და ხედავ, აქ როგორ იღუბება ზორბალი? ცხვრებივით ჩაგვიჭინდრავს თავები, ხმას არ ვიღებთ და ტიალდება მთელი წლის ნალოლიავეები. აბა, დახედეთ, კაცს გული აუტირდება, ეშმაკმა წაილოს ის შენი თავმჯდომარე! ცუდს ნურაფერს აკადრებთ, — უნამუსო ვირს უნამუსო პალო უნდა. მაგან სასახლე გამართა და ჰკითხე აბრისა, რაში ცხოვრობს, ჰკითხე დათიას. მე ისიც კი ვიცი, კლუბი რომ დაანგრეეს, მუხის კოქები სად წავიდა.

გაბრუა აიქოჩრა.

— მე წავიდე? არა, მითხარი, მე წავიდე?

— შენ ვინ გაგატანდა? იმას შენამდე ვინ მოასუნინებდა?

— მაშ რა მიქელ-გაბრიელივით დამდგომიხარ თავზე?

გოდერძიმ ზიზლით მიუყარა კალთაში ნამჯა, გაბრუნდა და თავის ადგილას დაჯდა.

— ჭრილობას ქათმის ნისკარტი კი არა, ძალღის ენა უნდა, შენ რა დამცველი გამოუხეველი?

— არც ეგერა, გოდერძო, საქმე, — გაბედა ბოლოს საბამ საუბარში ჩარევა. — ყველაფერში ნუ ჩაუფურთხებთ კაცსა. ბევრი რამ გააკეთა და მაგას უნდა ვუშაბლოდეთ, ჰალისპირაში თუ კარგი რამ არი.

— მართალია, — დემოშმა დაბალიათიცი. — ყველაფერი წყალში არ უნდა გადაუყარო. ალბათ არ იცის ამ ნამჯის ამბავი; თორემ ეგვეც გლეხია, მაგასაც გული აქვს და ძარღვში სისხლი უდგა.

გაბრუამ იდროვა და აწუწუნდა:

— ბერო, მადლიო... რომ იტყვიან, ეგრეა, კაცს როცა ბედი არა აქვს, რას იზამ.

აბრაამ გაიღიმა, თამბაქოთი გაყვითლებული ულვაშები ხელის გულთ გაიწმინდა და ჩაიქნია თავი.

— მართლაც რომ ბგდია, თორემ ოცდასამი წელიწადი თავმჯდომარედ ვერ იჯდებოდა.

— ეგ — ამოიოხრა ლურჯანამ, — ბედი მომეც და თუ გინდა სანებვეზე გადამაგდე.

ილუას ხითხითისაგან კინალამ ჩიბუხი გაუვარდა პირიდან.

— შენ რაღა სანებვე გინდა, ბიჭო, სიმსუქნითა ხარ დამპალი.

გოდერძიმ აუჩქარებლად გააწყო ჩიბუხი, აუჩქარებლად მოუკიდა და აუჩქარებლადვე გადაავლო დამცინიანი თვალი მოსაუბრეთ.

— ბედით? ფარსმა-გალაენის ერთ სიბზე ეწერა:

— ვისაც ჭკუა აქვს, თავში აქვსო“. გამვლელები ჩაუვლიდნენ, წაიციტხავდნენ და იტყოდნენ:

„მართალიაო“.

ერთხელ ერთმა სულელმა გაიარა, წაიციტხა და შეუჯერტხა:

„ეს რა სისულელე დაუწერიათ, კაცს თავში აქვს ჭკუა, მას ფეხებში ხომ არ ექნებაო?“

აიღო ერთი დიდი ქვა, თხლიშა და დაამტვრია. გასკდათუ არა სიბი, ნახეთქიდან სულ ოქრო-ვერცხლი წამოვიდა ჩხრიალით...

ეგრეა, ბედის ლოლიავე ხელს არ მოგცემს. ბედი ბრმა არი, ხშირად იმას აძლევს, ვისაც ის არა სჭირდება.

— შენ გაიხარე, გოდერძო, რომ მართალი კაცი ხარ, — მხარი დაუჭირა ზურია მძაკაცს, — მაგას ერთი წირბლიანი გოგო ჰყავს და „ღვარეციბი“ უდგა, დათიას რვა ბალდი კი ერთ ბუდრუგანაში ძლივს ითქვამს სულსა.

— რაცა აქვს, თავისი მარჯვენითა აქვს, — მოიღრუბლა გაბრუა.

— დათია ეიღამ ნახა უქმად დამჯდარი? — შეუტია ზურია.

— ეშმაკი არ არიო? ვეხბა რომეიწუ არიო? რის ბედი, ეხლა მხოლოდ ეშმაკობა და მოხერხებულობა აკეთებს საქმეს, — ჩიბუხს ზედხედ ექაჩებოდა გოდერძი.

ილუამ გვერდზე გააბურჭვა და გოდერძის მიუბრუნდა:

— ანდაზას გეტყვი: ერთი მდიდარი კაცი იყო და ძილში რაღაცა ხმა ჩასძახოდა:

„რაც შენ სიმდიდრე გაქვს, სულ მეჭურჭლე გოგავისაო“.

იმდენი უძახა, იმდენი, რომა ადგა ეს მდიდარი კაცი და გაბრაზდა:

„არც ჩემთვის იყოს და არც იმისთვისაო“.

აიღო ერთი დიდი ხე, გამოუღრუტნა გული, თავისი ქონება ფულად აქცია, იმ ხეში ჩაყარა და წყალში ჩააგდო.

წყალმა წაიღო, ატარა, ატარა და ქალაქში ჩაიტანა. მტკვარში ერთი კინტო თევზაობდა და, ნაპირზე გამოჩიყული ხე რომა ნახა, გაუხარდა:

„მოდი, ამას წავუღებ, ჩემს მეზობელ მეჭურჭლეს მივეტან, ჩარხის ლერძად გამოთლს. მე მაინც არაფერში გამომადგება და ერთ ქილას მაინც მომცემს თევზების ჩასაყრელადო“.

წაიღო და გოგავს მიუტანა. მეჭურჭლემ როგორც კი ჩამოათალა ცალი გვერდი, მაშინვე ფულმა მოიღო ჩხრიალი. ადგა, დიდი ქარხანა გამართა, დასხა მეჭურჭლეები, დაჯდა თითონაც და დაუწყო ჭურჭელს ჭრა. იგრე გამდიდრდა, რომა იმ ფულის პატრონამდის მივიდა იმისი სიმდიდრის ხმა. იმ კაცმა თქვა:

„ერთი უნდა წავიდე, ვნახო, როგორა ცხოვრობსო“.

მივიდა და ნახა: იმოდენა ქარხანა გაუმართანია, თვალს ძლივს მიაწვდენ. შიგ მეჭურჭლეები უსხედან და ჭურჭელსა ჭრიან. რიგი თაროებზე აწყვია, რიგი საფარში შრება, რიგი ქურაში იწვება, რიგს ალაგებენ ურამებზე და ვასასყიდად მიიჭუ.

ეს მეჭურჭლე ძალიან ღვთისნიერი კაცი იყო. ფეხშიშველი და ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი კაცი რომ დიანახა მოსული, დაენახა და ფული აძლია. იმ კაცმა არ აიღო:

„ხედს რომ ჩემთვის ფული სდომებოდა, როცა მქონდა, იმას არ წაშართმევდო“.

მაშინ მეჭურჭლემ დასვა, კარგა ასადილა და თანაც სამი პური გაატანა. გზაში მოგწოდებოდა. ის პურები განგებ გამოაცხობინა და შიგ თქრობები ჩააწყობინა მეპურეს.

წავიდა ეს კაცი, წაიღო ის პურები, ხარაზისაგან ჩუსტები იყიდა და ის პურები მისცა იმაში.

ხარაზის ცოლს მეჭურჭლის ცოლისა სამი პური ემართა. ადგა და ის პურები ისევ მეჭურჭლეს მიუტანა.

მეჭურჭლემ ნახა და მაშინვე იცნო თავისი გატანებული.

აიღო, გადატეხა ორივე და ფული სკივრშივე შეინახა:

„რას იხამ, იმ კაცს მართლა ბედი არა მქონიაო“.

იღუპა ერთიც გადააწიტა, ჩიბუხს თავი წამოუბერტყა, ქაშარში გაიყარა და „ანდაზაც“ ამით დაამთავრა.

შეკრებილებმა თავების კანტურით მისცეს დასტური.

მხოლოდ გოდერძიმ გაიღიმა უნდობლად და შავლეგოს გადახედა მხარის დასაპერად.

მაგრამ შეილიშვილს მისთვის არ ეცალა: ჯიბიდან ბლოკნოტი დაეძრო და კალმის უთანაბრო ცაცუნით რაღაცას იწერდა შიგ აჩქარებით.

4

რუსუდანი ჯიქურ მიეჭრა ტრაქტორის, მათრახის ტარი მუხლუხოებზე რამდენჯერმე ძლიერად დამჭრა და ტრაქტორისტს უბრძანა:

— გააჩერე, ახლავე გააჩერე!

ტრაქტორისტმა ჭუროს ფეხი დააკი-რა, მუხრუჭის ბერკეტი თავისკენ გაღმოსწია და შემცბარი თვალი აგრონომს შეაგლო.

— რა მოხდა, რუსუდანი?

მაგრამ რუსუდანი გამობრუნდა უკან, ნაძვის საყრელს შემოთარა და კომბაინზე ავიდა.

კომბაინერმა საჭეს ხელი შეუშვა, ზეთის ლაქებით მოსვრილი ქუდის კეპი გაზინებული ხელით მაღლა ასწია და შუბლშეჭმუხულმა უკმეხად იკითხა:

— რაო, წამოდიო?

— სად ემშავებში აპირებ წასვლას?

— უარესად გაცხარდა რუსუდანი, — ამ წუთში დაუშვი დაბლა ხედერი და ტრაქტორისტს უთხარი, ჩართოს სიჩქარე.

კომბაინერმა მომუტრულ და მზით დამწვარ სახეზე თეთრი კბილები დამცინავად გააღვია, დოინჯშემოყრილმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ბაქანზე ამოსული იქიდან გასინჯა.

— შენ რა, მინისტრი ხარ, თუ რაიკომი? აქ რა განკარგულებებს იძლევი?

— უეცრად მიტრიალდა და ტრაქტორისტს დაუყვირა: — შენ რაღა შელოცვილი ვირივით გაჩერებულხარ? აუშვი მუხრუჭი, დოყლაბია!

რუსუდანი აიღეწა და გასძახა:

— ტრაქტორი არ დასძრა, ბაგრატი!

— მერე ისევ კომბაინერს მიუბრუნდა: — როგორ თუ ჩემი საქმე არ არი? მაშვისი საქმეა? ძსარგებლე ჩემი სხვა ნაკვეთში წასვლით და ისევ მაღლა ასწიე ხედერი? ახლავე დაბლა დაუშვი! რას გავს ეს? რატომ მხოლოდ ნაკვეთის ნაპირები უნდა მომკა როგორც წესია, ხოლო შიგნით ნამჯას მართო თავთავები წააჭრა? ამ წუთში დაუშვი საჭირო სიმალღეზე ხედერი!

კომბაინერი მარცხენა ილაყვით ჩამოყარდნო საჭეს და ფეხი ფეხზე შემოიღო.

— იცი, რა ვითხრა? მრდი, ჭკუის სწავლებას თავი დაანებე და შენს საქმეს მოუარე. შენ რა გადაარდებს? ვინც რაიონიდან მოდის, ნაპირს დახედავს, ნახავს, რომ კარგად არი მომიკლი და წავა. შუა ნამკალში ბირკების აკრობის შიშით არავინ შემოვა. შენ რა, არ გაიოტერესებს დროზე ადრე აიღო მოსავე-

ლი და რაიონის მადლობა დამისახურო? მოულოდნელობისაგან შემცობარმა რუსუდანმა უკან დიხია.

— რაო, რაო, მადლობაო? — შერე კი თვალებიდან ცეცხლი დააკეცა. — რის მადლობა, რა მადლობა? ნუთუ ფიქრობთ, რომ საქმის გაფუჭებაზეც მადლობას ეუბნებიან ვინმეს? რა მიქვიან ვადაზე აღრე აღება? აბა, გახედე ნამკალს, რამდენი თავთავი რჩება მოუმკეული. ყოველ ჰექტარზე ამდენი დანაკარგი? გესმით, რას აკეთებთ თქვენ?

კომბაინერი წელში გასწორდა და აგრონომი ისევ შეათვალღერა.

ქალს განიერფარფლებიანი ჭილის ჭუდით დასჩრდილოდა შეწითლებული და ოდნე მზემოკიდებული სახე. შავი, წყლიანი თვალები ანთებოდა და კოხტა ცხვირის ნესტოები ყვავილზე დამკდარ პეპელას ფრთებივით უთრთოდა გაბრაზებისაგან.

კომბაინერმა მალა მკერდსა და ლამაზად აღერილ თეთრსა და ქათქათა ყელს ძლივს მოსწყვიტა თვალი და მომბალი ხმით უთხრა:

— დაკარგვით არაფერი არ დაიკარგება. თავთავს დედაკაცები მოკრეფენ ან მოწაფეები. გეგმა კი გადაქარბებული გვექნება.

რუსუდანი განაცვიფრა გაუმართლებელმა სითავეხდემ.

— რა სპუიროა ამდენი იწილ-ბიწილო? თავთავი წარადგებშიაც საკმარისი იქნება მოსაკრეფად და განა დედაკაცებს სხვა საქმე არა აქვთ გარდა თავთავის კრეფისა? ახლავე დაბლა დაუშვი ხედერი და მადლა აღარ ვნახო აწეული!

კომბაინერმა ახლა კი კები წარბებამდე ჩამოიფხატა და ტუჩების მოძრაობით ზიზღი გამოხატა.

— დაბლა დავწიო ხედერი? — წყნარად იკითხა და მერე ხმას აუწია, — შენ თუ აგრონომი ხარ, რატომ ყარგად არ გაამარგვლინე ყანა, რომ ამდენი სარეველა შემორჩენია? რატომ ყარგად არ დააფარცხვინე, რომ დაუფხენელი ბელტები აყუდია ყველგან? — აქ ისევ

დაუდაბლა ხმას და დარიგებით უთხრა: — წადი, ჩემო დაო, კეუა სხვაგან დარიგე. მე შამბსა და კაქაქს ცელს ვერა დაეამტრევიცებ.

— მაშ არ ასწეე, ხედერს?

— არა

რუსუდანი მოტრიალდა და ძირს დაეშვა.

— ყარგი. ახლავე თავმჯდომარეს შევატყობინებ თქვენს თავხედობას.

— წადი, მხოლოდ ქოლგა ხვალისათვის მაინც არ დაგავიწყდეს. შეიძლება მზემ... — და აქ თვალებისა და წარბების ცბიერი მოძრაობით რალაც იგულისხმა, შემდეგ კი საშეს ჩასქიდა ორივე ხელს და ტრაქტორისტს გასძახა: — გაუტეე, ბაგრატი!

ბაგრატიამაც „გაუტია“.

მიდიოდა ნამკალში რუსუდანი და მსუბუქად გადადგმული ნაბიჯებისას შრიალით იწეოდა განზე თავთავქარილი ყანის ღერები. წვივებსა და მუხლის თავებზე ჩხვლეტდა ნაძვის მონაქრები. აქ-იქ კიოტა და გოქმო მოჩანდა ნამკალში, ხოლო იშვიათად კანაფა.

— ნაწილობრივ მართალია ის ნაბიჯი. ყანა მართლაც ცუდად არი გამოარგული, მაგრამ ბელტებს რა დაარჩენდა აქამდე დაუშლეს? ან განა ამით შეიძლება გამართლდეს მისი კადნიერება? აი, მივალ და ვეტყვი თავმჯდომარეს, რომ მასაც კი არ ერიდებიან, თუმცა ის აქვე, მუხის ქვეშ არი.

უეცრად მოესმა ჩახანი და გოცობულმა ქალმა ძირს დაიხედა.

მწყრის ბუდეზე დაედგა ფეხი და ათიოდე კვერცხი ერთმანეთში არეულიყო.

რუსუდანმა ერთი ბლუჯა ნამჯა მოწყვიტა და ცილითა და კვერცხის გულით მოსვრილი სპორტული ფეხსაცმელი გაიწმინდა. ინანა, რატომ გადაეუთელე საბრალო მწყერს ბუდეო, და ისევ მოშორებით მდგარ მუხისაკენ გასწია.

ხედ ცხვირწინ წამოუფრინდებოდნენ თავიანთ სიცოცხლეში ხეზე შეუმჯდარნი და ფრთების სწრაფი ფართხუნით, ისევ ახლო საღმე ჩაეშვებოდნენ. გარ-

შემო ისმობდა წიწილისებრი წიაღ-წიაღი მათი ჯერ კიდევ დაუფრთხიანებელი ოჯახობისა.

გაბმულად კრიჭინებენ კრიჭინები.

ნამჯიდან ნამჯაზე დახტოდნენ ვასაკასავით მწვანე კუტკალიები. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას მარჯვენითა და მარცხნივ გადაფრინდებოდნენ ხოლმე მიწისფერი და შავად დაწინწკლულ ფრთიანნი. და მათი რიცხვი ისე მრავალი იყო, რომ შორიანხლოდან მაყურებელს ეგონებოდა კატერი მიდის ტბის გლუვ ზედაპირზე და მისი წვეტიანი ცხვირი აქვთ-იქით ისვრის წყლის შხეფებში.

განალეწი ნამჯის ბულულიდან წამოდგა ძერა, ფრთების. ზანტი ფრამფრამით გადაუარა ნამჯალს და ალაზნის ჰალისაკენ აბმალა.

ირგვლივ იდგა გამამარუებელი სურნელი მზით გახურებული მიწისა, გადამხმარი გვირილისა, წელგადაჭრილი კანაფისა, ყვითლად მოვლვარე ნამჯისა და მწიფე თავთავისა.

უზარმაზარ ათასწლოვან მუხას, თავისი განზე გაზრდილი ტოტებით დაეჩრდილა ნაკვეთის ნაპირი. ძირი ისეთი განიერი ჰქონდა. თორმეტი კაცი აღვილად ვერ შემოაწყდენდა ხელს. ნამჯხარს ფულერო გასჩენოდა, გული გამოსწყობდა, და ეს გამომწვარი იმოდენა იყო, რომ შივ ერთი საწყალი კაცი თავისი ოჯახით მოთავსდებოდა. მოხუცები ამბობდნენ, თითქოს ერთ თვეს აქ შეეფარებინოს თავი დაჭრილ ხარებას — მთელ კახეთში განთქმულ ცხრასს ხუთელ პატრიზანსა და უბადლო მსროლელს. დღემდე აქ პატარა ტყე იყო, ამ სამი წლის წინ კი გაკაფეს ისა და ახლა ეს ერთი ხეა შემორჩა აჭაურობას.

მუხის მახლობლად ნავთისა და ბენზინის დაკლილი და საესე რკინის კასრები ეყარა, იდგა კამეჩებგამომშვეებული სამნე ურემი, ეგდო ზედერის გადამტვრეული ცელი და მანუთში მოსვრილი ჭაჭვი, უტეცხლო თაფლივით ეღვარებდა ტაოტი პირმოღრეცილ ვედროში. ერთმანეთში არეულიყო ტრაქტორისა

და კომბაინის დამტვრეული და გაკვეთილი ნაწილები. ვიწრო და პატარა სანგარივით გაეჭრათ მათ ახლო მიწა და ზედ საძროხე ქვაბი შემოედგათ, რომლის ქვეშაც ისევ ბოლავდა მუგუზლის ნამწვი და ნაცრად იფერფლებოდა ღველფი.

უამრავ ხალხს მოეყარა აქ თავი.

მუხის ძირას მიმსხდარიყვნენ ქალები, რომელთაც კისერზე გადაეწივნათ თავსაფრები. ზოგს მთლად მოეხადა და ბალახზე გაეფინა. ჩრდილში იყვნენ, მაგრამ დასავლეთისაკენ გადაბრილ ივლისის მზეს მათს ზედა ტუჩზე აყრილ ბუსუსების ძირებში ოფლის პაწაწკინტელა წვეთები დაესხა.

კაცებიდან ზოგნი ბალახზე გაშლართულიყვნენ და ნებვივრად ხვრინავდნენ, ზოგნი დამჯდარიყვნენ, ჭამებით წყალი წინ დაედგათ და ყუით დაყუდებულ ნამჯლებს ზოზინით უხახუნებდნენ მჭადა მჭას... გაბრუს კელი ტარით ჩაესომიწაში და თხელ პირზე ჭლიბს ისეთი ოსტატობით უსვამდა აღმა-დაღმა, რომ მისი „შოუ-სოუ“ ნანასავით ეღვრებოდა ბალანმომხირებულ ყურებში იქვე ჩამომჯდარსა და მთელეშარე კოპელას.

იქვე იდგა იშვიათი ხელოვნებით ნაკეთი ვირის ურემი. ყოველი მისი ნაწილი, დაწყებული ხელნებითა და გათაგებული სოლებითა და უბრალო ჩხირებით, საგულისგულოდ იყო გამომხარატებული. ზედ ნამჯა ეყარა და ამ ნამჯაზე წყლით სავსე მოზრდილი კასრი იდო. ხელნაზე ჩამომჯდარიყო ჭავახიანთ ია, ბარაქიანად ილუქემბოდა და თან იქვე გამობმულ თავის საყვარელს ვირს გათიბული ბალახნარევი ნამჯიდან ურჩევდა საუკეთესოებს და თავიაც ხელით ატენიდა პირში.

გამაყებული პირუტყვი მადიანი ხრამუნითა და თვალების ბრიალით ათვალერებდა ჩრდილში მყოფთ, — თითქოს ეუბნებოდა:

„აბა, შემომხედეთ, რა პატრეში ვყავარ ჩემს ჭკვიან პატრონსო.“

რუსუდანმა გაოცებით გადახედა პუროთა და სანოვავით გატენილ ამგას და

უმალვე ირწმუნა ის ზღაპრები, რომელიც იას მადახე დადიოდა სოფელში. გაიკვირვა ჭობელას სამუშაოდ გამოსვლა და მისკენ წამოსულ გოგოს შეეკითხა.

— თავმჯდომარე სად არი და ან ეს ხალხი აქ ვინ შეკყარა, ლამარ?

გოგომ მკლავში ხელი გაუყარა და ქალებისაკენ წაიყვანა.

— ვისევენებთ. მოდი, დაჯექი და შენც დაისვენე. სულ ხეტიალი და ორთვალას ჰენება გაწყენს სიცხეში. დაგვიანებით კი დაიგვიანე, — ცხიერად ახედა გოგომ რუსუდანს — იცი, აქ ვინ იყვნენ?

რუსუდანი მობრუნდა.

— ვინ იყვნენ, ლამარ?

ლამარა ფეხის წვერებზე შედგა და ყურამდე ძლივს მიწვდა ტანკენარ აგრონიმს.

— არტისტები იყვნენ აქა და კონცერტი გამართეს. ჩვენც კი დაგვიძახეს. ვაზებს ვფურჩინდით და თავებს ვაჭრით კონდახასეულში.

რუსუდანი შედგა და გოგო შეათვალიერა, მერე უცებ მიხვდა, თბალისიდან რაიონში ჩამოსულ მსახიობთა ბრიგადა უნდა ყოფილიყო, რომელთაც დაველებული ჰქონდათ კოლმეურნეობებისათვის მინდვრად გაემართათ კონცერტები.

აგრონიმის მისვლამ გამოაღვიძა ზოგიერთი წაძინებული და დედაკაცების ყუყანში ჯაიგო რუსუდანმა, რომ მსახიობებს ორიოდ რაღაც წაემღერათ და მერე რაიკომის ინსტრუქტორი გასძლიოდათ ალაზნის ჰალისაკენ.

— თავმჯდომარეც იქ წაიყვანეს, — დაუმატა ლამარამ.

მაშინვე გამობრუნდა უკან რუსუდანი.

გვერდით გაუარა არხეინად მიწოლილ გიშრის ბეწვიან კამეჩებს, რომელნიც ზანტად იცოხნებოდნენ და თანაც წარამარა აქნევდნენ ბოლოთეთრ კულებს.

ერთიანი ბზულით აიშალნენ პირუტყვებზე მიხვეული ბუზები. ზოგი რუსუდანს დაედევნა და ზოგი ისევ კამეჩებს მიუბრუნდა. ქალმა ხელის ბრაზი-

ნი აქნევით მოიშორა აბეზარი მწერები და ჩრდილიდან გავიდა. **ერტყულში** ისევ გადასჭრა ნამკალთქდა ყანეს ვანაპირას, კუნლის ჩრდილში მიტოვებულ ორთვალასთან მივიდა.

ცხენი შორჩილად იდგა, მარცხნივ და მარჯვნივ შხევავედა ძუით ჰაერს და თან განუწყვეტლივ იქნევდა თავს ზევიდან ქვევით. თითქოს ვიღაცას მადლობას უხდის თავის დაკვირვით.

ქალმა გამოხსნა თვლის სოლზე გამობმული სადავე, ჩაჭდა ორთვალაში და უცხუნა მათარახი.

ცხენი შეხტა მოულოდნელობისაგან და აგრონიმი ალაზნის პირისაკენ გაიტაცა. რუსუდანი ქალში შევიდა და ცხენის სადავე თელის ტოტს გამოაბა. მალე მიაგნო მოქეიფეებს.

ზედ მდინარის პირას გაეშალათ „სუფრა“ და ირგვლივ მოსხდომოდნენ.

პირდაპირ ბალახზე ეყარა სანოვაგე: წალმა-უკულმა ეწყო ცერიან მწვადასხმული შამფურები. გაზეთის ნახევებზე ელაგა თხლად დაჭრილი თუშური ყველი, მოხარშული ხორცი და მწვანელი. ერთმანეთში არეულიყო ჭიქა და ყანწი, ხის კასრიდან და ტიკტორის გახსნილი თითიდან მოჩქეფდა ქარვა და ქეიფში შესული მსახიობები მღეროდნენ, ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ და თან ხორცის ვეება ნაჭრებს ჯენტლმენურად სთავაზობდნენ იქვე მჭდარ ორიოდ ქალს.

ერთი მალალი და წვერ-ულვაშ სუფთად გაპარსული გრძელ თმაგაჩიჩილი წამომღვარიყო და რომელიდაც გმირის რომელიდაც მონოლოგს ამბობდა რომელიდაც პიესიდან.

სათამალო ადგილას, უზარმაზარ ყანწს უკან დამჯდარიყო ინსტრუქტორი ვარდენი და ალტაცებული თვალით ელოდა მონოლოგის დამთავრებას, რათა მორთვი სადღეგრძელო წარმოეთქვა.

გარშემო ეყარა გამოხრული ძვლები და პურისა და მწვანელის ნარჩენები.

გვერდზე ბუტბუტით ჩამომდინარე ალაზანში ისროდა ხორცის ნაჭრებს ერთი და ზედ უმატებდა:

5262



— გაუშვი, თევზებმაც გაიხარონ... გვენიც ღვთის გაჩენილები... არიან.

ამ საერთო „მზიარულებაში“ ერთადერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იჭლა საღ ქვეა შერჩენილი. ოდნავ მოღუშულს მხოლოდ მაშინ გაეხსნებოდა სახე, როცა რომელიმე სტუმართაგანის თვალსა და თავს შენიშნავდა მისკენ მოქცეულს.

რუსულდანი უკან გამობრუნდა საფარიდან, გვერდი აუქცია საბარგო მანქანას და თავმჯდომარის „პობედას“ და თავჩაქინდრულმა უსწორმასწორო ნაბიჯებით გასწია თავისი ორთვალსაკენ.

ხოლო საღამოთი, თავის სიცოცხლეში პირველად, უკითხავდ შველო კანტორაში თავმჯდომარის კაბინეტის კარები. შველო და იქვე გაჩერდა, ვინაიდან გაიგონა ძია ნიკოს საქმიანი კილო. ხოლო თითონ თავმჯდომარე არ ჩანდა, რადგან ვილაციის უზარმაზარი ზურგს ეფარებოდა.

რუსულდანმა გამობრუნება დააბირა, მაგრამ ფეხზე ამდგარმა თავმჯდომარემ თვალს მოჰკრა და დაუძახა:

— მოდი, შვილო, კარებში რას გაჩერებულხარ? — და უცებ მოსაუბრეს მიუბრუნდა.

— აი, ეს არის ჩვენი აგრონომი. ეს კი, რუსულდანი, — ძია ნიკომ ახლა აგრონომს მიუბედა, — ეს კი, აბა თუ სადმე გინახავს?

უცნობი მოტრიალდა, წამოდგა, ერთბაშად მთელი თავით ასცილდა თავმჯდომარეს და განცვილებისაგან სქელი წარბები ზევით აჰყარა.

ძია ნიკო შეაშფოთა აგრონომმა. ქალი წიგნების კარადს მიეყრდნო, თითქოს ჰაერი ეცოტაეო, შუბლზე ხელი გადაისვა და მერე ნაქანდაკე ყელთან მიიტანა.

— ის არის, — რეკავდა გონებაში, — ნუთუ უკვე მოასწრო ნაქაობარში მომხდარის მოყოლა?"

და უცებ ისეთი ზიზღი იგრძნო ამ არამკითხვ „რაინდისადმი“, რომ სახის საოცარი მშვენება, გულგრილობამ და სიკუშტემ დაჩრდილა.

შეშფოთდა თავმჯდომარე.

— რა მოხდა, შვილო?

ქალი მალე მოგვო გონს და მიუგო:

— არაფერია, ძია ნიკო, დღეს მთელი დღე დავდიოდი ნაკვეთებში, ალბათ, დამცხა და ამ ქუდის ზონარამაც გამაწამა, ძალზე მიჭერს ყელში.

აგრონომმა ჭილის ქუდი მოიხადა და უცნობმა დაინახა, როგორ ჩამოეშალა კისერზე ქალს წაბლისფერი თმის ღამაზი ბულული.

— არ ვარგა, შვილო, აძლენი სიარული სიცხეში, — სკამი გამოსაწია ძია ნიკომ, — მოდი, დაჯექი და დაისვენე.

უცნობი უცებ გამოემშვიდობა თავმჯდომარეს, ქალთან ზრდილობიანი ბოდიში მოიხადა და, განიერი ნაბიჯებით წასული, ძლივს გაეტია კარში.

— ვინ არი ეს ახალგაზრდა, ძია ნიკო? — მოქანცულად იკითხა ქალმა, როცა გარეთ გასული უცნობის მძიმე ნაბიჯების ქვეშ აჭრიალებული კიბე მიეუჩნდა.

— აქაურია. შენ რა დაგემართა?

ქალი უცებ წამოდგა სკამიდან.

— აქაური? როგორ თუ აქაური?

— ჰო, აქაური. ნინოს მახლია.

— აჰ, ნინოს მახლია? ეგ არის ნინოს მახლი?

— ჰო ეგ არი, რა მოხდა მერე?

აგრონომი ისევ სკამზე დაეშვა.

— არაფერი. რატომ გაიქცა?

თუმცა ძალიან გაუხარდა ქალს მისი წასვლა.

— იუხერხულა, ალბათ, დასწრება ჩვენს საუბარზე. შენ რაო, რაზე გარჯილხარ?

რუსულდანი უცებ მოაგონდა აქ მოსვლის მიზეზი, წამოდგა, წარბი შეიკრა და სეტყვისაგით მიაყარა:

— ეს როგორ შეიძლება, ძია ნიკო, რომ კომპაინერი ნაპირზე კარგად მკიდეს და შუაში არა? განა ცოტა შრომაა დახარჯული მის თესვა-მოყვანაზე? რა უფლება აქვს მას, რომ აგრონომის სიტყვა არ გაიგონოს და უკმეხადაც და-

უწყოს ლაპარაკი? ყანა მტრისა ხომ არ არის?

თავმჯდომარე კვლავ დაჯდა სკამზე, ორთავ ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდის მინაზე დააწყო.

— ჰო, რაო, რა გითხრა, შვილო?

— რა მითხრა? მითხრა, ძია ნიკო. მთავარი ეგ კი არ არი, მთავარი ის არი, რომ დიდ მუხასთან ყანას აფუჭებენ. კომბაინერს დაუჭინია, გეგმის შესრულება და მალე მომკის საბაბით ხედერს მაღლა დაატარებს. ალბათ იმიტომ არ მიმამბევიანა კომბაინზე თეფშებიანი კულტივატორი.

ძია ნიკომ გაუღიმა აგრონომს და დაამშვიდა.

— ენას ქალი არ მოედება, შვილო, და კომბაინერსაც მეტი არ მოეთხოვება. საჩეჩის მიუბმელობა კი არც მაინცა და მაინც დიდი ზარალი უნდა იყოს.

ქალი უსიამოდ შეიშმუნა.

— კომბაინერს ერთი მხრივაც მეტი მოეთხოვება, ძია ნიკო, და მეორე მხრივაც. ხოლო, რაც შეეხება კულტივატორს, ხუთიოდ სანტიმეტრზე აჩენილ მიწაში სარეველა მცენარეთა ჩაცეენილი თესლი განა აღარ ღვივდება? განა წინა სახნისიანი გუთნით ხვნის დროს მიწაში ჩახნული სარეველები კიდევ დააყვავილებენ?

ძია ნიკო წამოდგა, ხელები წელზე შემოიწყო და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ვიცი, შვილო, როგორ არ ვიცი, მაგრამ შენ გახარებას, ამდენი დრო სად არი?

— სახნავად ხომ უნდა ნაყანებს მომზადება, ძია ნიკო?

— როგორ არ უნდა, უნდა და ხომ გამოყვავით მთიბავეები ნაჭის სათიბად?

— რა უნდა მოასწრონ საბაბა და მძინარა მიხამ? დანარჩენებს კი მხოლოდ ნამგლები აქვთ. ვერ მოასწრებენ, ძია ნიკო, ხოლო თუ ნაკვეთი არ გამზადდა, მე რომ ვიცი, არც ერთი ტრაქტორისტი არ შევა სახნავად შიგ.

ძია ნიკოს ეწყინა დაეინება.

— ნუ იცით ხოლმე, შვილო, ჩამოკი-

დება. ვერ გათიბავენ და გადაეტყუავეთ მინდორს.

რუსულდანი ფეხზე წამოვიდა.

— შარშანაც არ დამიჯერეთ და ასე გააკეთეთ, ძია ნიკო. წელს კი არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ ამის ნებას,

— აგრონომი თანდათან ფიცხდებოდა, — ნუთუ თქვენთვის საკმაოდ ცნობილი არ არი, რომ გადატუსვის დროს წყალი ორთქლდება, ტენი იკარგება, ქერჭი ხმება მტერიანდება და ნიადაგის სტრუქტურა უარესდება?

თავმჯდომარე მოლბა.

— ნუ გიყვარს ხოლმე, შვილო, ათასი ხათაბალის მოყოლა. ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ სად არის იმდენი ხალხი რომ ყველგან გასწვდეს? ხომ ხედავ, კოლმეურნეობაში მუშაობას გაურბიან ახალგაზრდები? — ძია ნიკო მცირე ხანს შედგა და მერე ღიმილით ჩაურთო, — მეტი რა ჩარაა, ისევე ჩემსთანა ბებრებით უნდა დავკმაყოფილდეთ, თორემ ამ გასაწყვეტებთან არც სიტყვა გადის, არც ლანძღვა-გინება და არც მოფერება-დაბირება.

ახლა კი მთელი ტანით გაიშართა ქალი და ისეთი მტკიცე ხმით უთხრა, როგორითაც დღემდე არ ულაპარაკენია თავმჯდომარესთან.

— ნუ გგონიათ, ძია ნიკო, რომ დოს მარილი აკლია. არავინ არ გარბის სოფლიდან და თუ მიდიან, ძალიან მცირენი, ისინიც სასწავლებელში მიდიან. საკმარისზე მეტი კი აქ არიან დარჩენილნი, რომელთაც მოვლა-პატრონობა უნდათ და არა ლანძღვა-გინება. დაპირება კი არა, საქმე უჩვენე და გამოგყვებიან.

ძია ნიკომ ხელები განზე გაშალა.

— აი, შვილო, საქმე უამრავია. მიდი, აბა, გამოგყვენ.

ქალს წარბი არ გაუხსნია.

— მაგ საქმემდე რომ მიიყვანოთ, მანამდე სხვა საქმით უნდა დაინტერესოთ. ლომებივით ბიჭები არიან, რომლებიც მხოლოდ იმას უყვებიან საღამოობით ერთმანეთს და მახლობლებს, იმ დღისით, ვინ რამდენი ბოთლი ღვინო

დალია და ვინ სად დაისისხლიანა ჩხუბში ცხვირ-პირი.

თავმჯდომარემ ხელი ჩაიქნია.

— არა, შეილო, როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდება, ეგრე მავათი გამოსწორება არ შეიძლება. ეხლა გვიანდაა.

— ძია ნიკომ უგუნებოდ ახედა გაფიცებულ ქალს და დანანებით ჩაილაპარაკა: — საწყალი მამაშენი უფრო წყნარი და ჰკვიანი კაცი იყო. ცხოვრებული, ომში რომ მიდიოდა, მითხრა: ეს გოგო და სახლ-კარი შენთვის ჩამიბარებიაო. ხელი შეუწყვე. ამ ხორბლის თავთავი არ გაიწყვიტოს და ეგეც ჩემ გზას დაადგესო, მართლა, ამ გახსენებაზე, რას შერება ის შენი დატოცილი თავთავის ყანა, როდის უნდა შეეუშვათ შიგ კომბაინი?

რუსუდანმა რომ დაატყო, თავმჯდომარემ საუბრის წყალი სხვა ღარში გადაუგდო, თვალები დაწყურა და წარბი უფრო შეიკრა.

— იცი, რა გითხრათ, ძია ნიკო? მე ბავშვი აღარ ვარ და არც ისე დაბნეული, როგორც შეიძლებოდა წელან მოგჩვენებოდით. მე მოვედი აქ, გითხრათ, რომ მინდორში მოსავალი ფუჭდება და ოხრდება. თქვენ კი აქ გულის ამაჩუყებელ მოგონებებს მიყვებით. რა საჭიროა ყველაფერი ეს, როცა მე საკმაოდ ნათლად ვთქვი სათქმელი?

ძია ნიკო უცებ სკამის ზურგს მიიწვება ბეჭებით და გაოცებით შეათვალიერა ქალი. მერე რაკი დარწმუნდა, აგრონომს ჩემდა შეუშინებლად სიმტკიცე შეუძენაო, დაუტკბა.

— რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? ერთს ვიტყვი, რომ ორსა სჯობდეს, ქათამს დავკლავ, ღორსა სჯობდესო. მე ვიცი, შეილო, რომ შენ კარგა მესხიერება გაქვს და არ დაგავიწყდება გურჯაანის რაიონში სოფელ შრომის არსებობა.

რუსუდანი გაოცდა.

— მერე რაო, ან ეგ აქ რა მოსატანია? თავმჯდომარეს თითქოს კითხვა არ გაეგონოს, განაგრძო:

— განა არ გახსოვს, შეილო, რომ ქა-

ლისპირელებსა და შრომელებს ერთმანეთთან სოციალისტური შეჯიბრება გვაქვს?

— ეს რაღაო, ვითომ?

— ან განა დაგავიწყდა, რომ ამ შეჯიბრებაში ეს სამი წელია, სულ ისინი იმარჯვებენ?

ქალი უფრო და უფრო ცვიფრდებოდა.

— მერე ეს რა შეუშია, ძია ნიკო?

თავმჯდომარემ ხმაში თავლი გაურია.

— განა არ გინდა, წელს მაინც ვაჯობოთ, შეილო?

ახლა კი მიხვდა რუსუდანი, ქარი საიდანაც უბერავდა. მაგიდას მოსცილდა და აღელვებულმა ძირს ჩამოშვებულ მათრახის ენა ხელში აიკეცა.

კომბაინერის ჯიუტობა თავმჯდომარის წაყრუებიდან მოდიოდა.

ჭრუტა და გამჭრიახმა თვალბმა უმალ წაიკითხეს უეშმაკო ქალის სახეზე მისი სულის მოძრაობა და ძია ხიკიმ, თითქოს ბოდინს იხდისო, თბილად უთხრა:

— ამ ბოლო დროს ნუ გახდი ახირებული, შეილო, იმ კომბაინერს კი, თუ რამ ცუდი შეგკადრა, ტყავს გავაძრობ.

მაგრამ გულდაწყვეტილს, ნაწყენსა და უკან ცივად გამობრუნებულ ქალს მისი იტყვები არც კი გაუგონია. მხოლოდ მაშინ გაახსენდა კარი რომ გამოუხურავი დატოვა, როცა კანტორის დამრეცილი კიბის საფეხურები ჩამოათავა.

5

სამკითხველოს პატარა ოთახში მახარი და ნოდარი ჭადრაქს მოსახლოდნენ, ხოლო მაგიდის თავში მსაჯად ოთარი დავსვით. იქიდან უწყევდა იგი ვარაუდს მოთამაშეთა სვლებს.

მაგიდა ქურნალ-გაზეთებით მოფენილიყო, ერთადერთი მკითხველი „ნიანგს“ ჩაპირკიტებდა და თავისთვის ჩუმად ქირჭილებდა.

მაგიდის ბოლოში სამკითხველოს გამგე დამკდარიყო, შიშველი და ხორცმრავალი მკლავები გაშლილ გაზეთზე დაე-



წყო და მსუქანი ლამაზი ტუჩების ნელი ცმაცუნით კითხულობდა. იგი არაერთარ ყურადღებას არ აქცევდა ოთახში მყოფთ, მიშტერებოდა გაზეთს, წინ გადახრილს ბარაქიანი მკერდი მაგიდაზე დაედო, ისედაც მოღვლილი გულისპირი უფრო მოღვლოდა, ოდნავ გამოჩენილი ამორცვილი ადგილები სინათლეს დაეთოვა და სადაფივით აებრჭყვიანებინა, ხოლო მკერდის შუა გამყოფ ზოლზე ჩრდილი მჭრქალად, ძლიერ მჭრქალად შიბინდულებოდა.

ნოდარმა კუთხის პაიკი მეორედან მეოთხე კვადრატზე გადასწია, მარჯვენა ფალანგი გააშინებდა და ამით შავ კუს დაცვა მოაკლო.

მახარემ მაშინვე ისარგებლა შეცდომით, თეთრი მხედრით შეტევა დაიწყო, ფიგურა მოიგო და შავების მეფეს საშინო მდგომარეობა შეუქმნა.

ნოდარმა პაიკი ისევ დასწია უკან და მოწინააღმდეგეს სთხოვა, კუ დაებრუნებინა.

მახარე გაჯიუტდა.

— ხომ დავთქვით, დაბრუნება არ არიო? სანაძლეო, სანაძლეო.

— მეც ხომ დაგიბრუნე ერთხელ?

— დამიბრუნე? — გაოცდა მახარე, — როდის? შენ ჩემთვის არაფერი არ დაგიბრუნებია.

— დაგიბრუნე.

— არ დაგიბრუნებია.

ოთარ, აი, ვკითხოთ ოთარს. ოთარ, დავებრუნე თუ არა წელან ფიგურა?

— არ დაგიბრუნებია, მიდი, ჰკითხე.

— ოთარ, არ, დავებრუნე წელან ფიგურა? ოთარ, რამ გამოგაშტერა, კაცო, — ხელი წაჰკრა გარინდულ ბიჭს.

— პა, რაო? — შეკრთა ოთარი.

— არ დავებრუნე წელან მამ ფიგურა მახარეს?

— რომელი ფიგურა, რა ფიგურა?

— ცხენი რომ მოგვალ ამისი, ისევ არ დავსვი?

— ცხენი დასვი? ჰო, როდის დასვი? მოუვკალ თუ არა, მთხოვა და დავსვი მეც მაშინვე.

— გთხოვა და დასვი?

— ჰო, ხომ დანახე?

— ცხენი დასვი?

ნოდარს ბრაზი წაეკიდა, თავი გაიქნია და უნებლიეთ მაგიდის ბოლოსკენ გაიხედა. თითქოს სინათლემ თვალი მოსჭრაო, ნელ-ნელა დაუვიწროვდა ქუთუთოები, მცირე ხანს გარინდდა, მერე ძლივს მოსწყვიტა მზერა ასადავებულ ფიქლსა და უშალვე მიხედა, რომ „მიუღგომელ“ მსაჯს არც ფიგურის დაკარგვა დაუნახავს და არც მისი დაბრუნება.

ნოდარმა წაიღრინა და ჰადრაკს ხელი აჰკრა.

ფიგურები ჩხრილით გაიბნენ მაგიდაზე.

სამკითხველოს გამგემ წარბი შეჰკურა და აიშრა:

— აი, ამიტომ არ მიინდა ხოლმე, რომ გარეთ გაგატანოთ ნარდი ან ჰადრაკი. ერთი ხომ მოინელეთ, ახლა ესლა გაკლიათ.

წამოდგა, დიფა ვადმოაბრუნა, აკრეფილი ფიგურები შიგ ბრაზიანად ჩაყორა და მერე წიგნების კარადის თავზე შედო.

მახარე მოუბრუნდა ნოდარს და ღია კარებში სოსო და შაქრია დაინახა.

ჩასაბერმა დინჯად მოავლო თვალნიკაურობას და იკითხა:

— დანარჩენი ბიჭები სად არიან?

ნოდარმა არ უპასუხა.

მახარემ მხრები აიჩეჩა.

— ხიდზე იქნებიან, — გაეპასუხა ოთარი.

— გინდათ ამაღამ სიცილით დავხოცოთ? — შესთავაზა ჩასაბერმა ბიჭებს. მახარემ ყური ცქვიტა.

ნოდარიც გამოცოცხლდა.

— აბა, წამოდით ჩემთან.

მოთამაშენი გარეთ გაგარდნილ ჩასაბერს გაჰყვნენ.

ოთარმა მხოლოდ ფეხები გაიტანა გარეთ და თვალები სამკითხველოში დატოვა.

ხიდის მოაჯირზე მხოლოდ შალვა და დათა ისხდნენ.

— მურთაზა სად არი? — იკითხა სო-
სომ.

— მურთაზა დღეს სამკალად იყო და
დაღლილობა ბრძანა.

— ფირუზა?

— სერგომა და ვალერიანმა წაიყვა-
ნეს შუამთაში საპურმარილოდ.

— ის რა იმათი ამფსონია — გაუკვი-
რდა ჩასაბერს.

— სალამური წააღებინეს, დაუკრავს.

— კარგი, არა უშავს, წაეიდეთ.

— სად გევატრეები? — დაინტერეს-
და ნოდარი.

— წაშლით და გაიგებთ.

ბიჭებმა ძველი უბანი გადასჭრეს, სო-
ფლის თავში გაედინენ, ყლორტიანის
ჯაგნარი გაიარეს და სიმინდების პირში
მუხის ქვეშ შეჩერდნენ.

— რომელი საათია? — იკითხა ჩასა-
ბერმა.

— თორმეტი დაწყებული.

— არა უშავს, მოვასწრებთ. ჭოპე-
ლაც მალე მოვა.

— ჭოპელა რაღად გინდა? — გაოც-
დნენ ბიჭები.

— უნდა მოვიდეს, უჭოპელოდ მად-
ლი არ ექნება.

— გვითხარი, ბარემ, ან მაგისიზო
შოლტი რად გინდა?

ჩასაბერმა არა უბასუხა რა და პირ-
დაპირ შეეკითხა:

— გინდათ, რომ ჩვენი ბოსტნებიც
იგრე ირწყვებოდეს, როგორც კოლექ-
ტივისა ირწყვება?

— როგორ არ გვინდა, მაგრამ მერუფე
რომ სულ თავზე ადგა?

— ბიჭებო, ერთ ღამეს ყველას გვე-
ყოფა, ეს წყალი რომ გავინაწილოთ.
ხედავ, რამოდენა მოდის?

— გვეყოფა, მაგრამ ვინ დაგვანებებს
— ხელი ჩაიქნია ოთარმა.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, მე ვიცი,
რომ ჭოპელა მალე ამოვა აქ რუს შესა-
მოწმებლად. ყლორტიანს იქით არ დაკ-
ვირეებისხართ? ვილაყას უცდია წყლის
მოპარვა, მაგრამ ჭოპელას გაუგვია და
ლორდებითა და ღორღით ამოუვსია ის
იდგილი.

— რამ მოგაპრიანა ჩასაბერო, ბოსტ-
ნის მორწყვა. როდის იყო, რომ ბოს-
ტანზე ზრუნავდი?

— დედაჩემმა შემეპაძა და გამათავა-
ბოსტანი გადაგვიხმებო.

— ბოსტანი არა და მე კი სიამოვნე-
ბით მოვრწყავდი ეენახს.

— მეც. სწორი ვითხრა, პამიდორი
მიყვარს ძალიან, ნოდარ.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჭოპელას
ამალამ კი არა, იქნება სამუდამოდ დავუ-
კარგო აქ მოსელის ხალისი.

ჩასაბერმა მოკლე, მსხვილი შოლტი
მოიმარჯვა და წელზე ისე შემოიკრა,
რომ ფოჩებიანი ბოლო უკან კუდივით
დაეკიდა.

— ეხლა, ბიჭებო, ბერხევაში ჩავი-
დეთ, გავტიტვლდები და ზედ ლაფი წა-
მისვით.

მცირე ხნის შემდეგ ბიჭები მიხედნენ
და სიცილით დაიფხრხიწნენ.

— ზედ მივახმება ლაფი, ჩასაბერო.

— ნუ გეშინიათ, თორღვას ციხესთან
აეღ და ტბაში ვიბანავებ. მანამდე
თქვენ მიუგდეთ წყალი, მხოლოდ ჩემი
ბოსტანიც არ დაივიწყოთ, რეგვენებო.

ბიჭები ბერხევაში ჩავიდნენ და ლაფი
მოძებნეს.

ჩასაბერმა გაიხადა, შოლტი შემოიკრა
და მეგობრებს მიუბრუნდა.

— წამისვით.

ბიჭები თან სიცილით იხოცებოდნენ
და თან შავად თხუნიდნენ გატიტვლე-
ბულს.

— მხოლოდ, ბიჭებო, სიმინდისა და
რუს სხვადასხვა მხარეს უნდა განაწილ-
დეთ. ზოგი ხეებზე აღით და იქიდან და-
კვიელეთ და იხარხარეთ, როცა მე გა-
მოვხტები სიმინდებიდან.

ღამე მშვიდი იყო და მყუდროებას
მხოლოდ კალიების ქიანური არღვევდა.
ღროდაღრო რუდან წაიყიყინებდნენ ბა-
ყაყები და მერე ისინიც მიჩუმდებოდ-
ნენ.

მთვარე მჰადის ნახევარვით ეკიდა
ცაზე და თავისი ცივი სხივებით ცდო-
ლობდა დედამიწის სიმხურვალის დაო-
კებას.

ტანაყრილი სიმიწდები გაბმულად და ძლივს გასაგონად ჩუჩუნებდნენ.

თორღვას ციხიდან ზარნაშო იძახოდა.

ჭობელამ იღროვა. მხარზე თოხი გაიღო და როცა ყლორტიანს მიუახლოვდა, მერტად გაკვირვებული დარჩა, წყალი რომ დაწყვეტილი დაინახა.

— ძაღლო, ძაღლო! — გაბრაზდა მიხა. — ერთი მანდ ამოვიდე, ვინ ეშმაკი ხარ! — დაიჭაღნა და სიმიწდების პირს მიუახლოვდა.

— ე, რა უქნია, კაცო, სად მიუხევებია ამოღენა წყალი! — ბუტბუტებდა მიხა და თან თოხით ცდილობდა ძველ საღინარში მიეგდო რუ:

— ჭობელ! — დაიძახეს სადღაც მარჯნივ სიმიწდებიდან.

მიხა თოხის ტარს დაებჯინა და გაუძრაბა.

— რომელი ხარ მანდა?

— ჭობელ! — ახლა მხარმარცხნიდან მოისმა და მიხა აიძულა კისერი იქით მიეღრიცა.

— ჭობელ, ჭობელ! — ბერხვევადანაც მოაწვდინეს ხმა.

ჭობელა გარინდდა და სმენად იქცა.

— ჭობელ! ჭობელ! — ერთხმად ატყდნენ მუხიდან, ყლორტიანის ჯაგებიდან და ბერხვევადან.

და მიხას კარგად აღარც ახსოვს, რუდან ამოვიდა თუ სიმიწდებიდან ამოიზარდა შავი, შავი, როგორც ბუხრის საწმენდელი, საოცარი არსება და ხითხითითა და უცნაური კლავნა-გრეხით მიხას გარშემო დაიწყო თამაში და ბუქნაობა.

მიხას ჯაგარი ყალუზე დაუდგა, ნაბღის ქუდიც ერთ ციდაზე ასწია და უცებ მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე.

— განვედ, მაღღურო, განვედ, მაღღურო! — მკერღზე მიიბჯინა თოხის ტარი და აჩქარებით დაიწყო პირჯვრის წერა.

მაღღურმა ერთი მკვახედ გადაიხარხარა და განზე გასვლის მაგიერ საცეკვაო წრის დაეწროება დაიწყო მიხას გარშემო.

— ვიხიხიხიხიხი-იი-იი! ჰიყ, ჰიყ,

ჰიყ! — მოისმა ყველა მხრიდან მასუხალ და მოებმა, ხეობებმა, ჯაგებმა და რუმაღ კი ერთხმად მოსცეს! მანდა!

— ვიხიხიხიხიხი-იი-იი! ჰიყ! ჰიყ! ჰიყ! — ავუგუნდა იქაურობა და მიწამ იგრძნო, როგორ დაიწყო აღმა-დაღმა რყევა მიწამ.

ღმერთო მიშველო! დაიძახა საბრალომ, მაგრამ რაკი დაატყო ღმერთს მისთვის არ ეცალა და ქვეყანა ეშმაკთა საუფლოდ გადაქცეულიყო, დააგდო თოხი და იმ ჯაგებზე ისეთი გაენთო თავქვე, რომ კაცოს მწვევარიც ვერ დაეწყოდა.

თავი მესამე

მზე სულის შემსუთველად აცხუნებდა და სიგრძეზე გაქიმული უზარმაზარი გომურის ეზოში ბუღს ატრიალებდა ძლივს დალასლასებდნენ დასიცხული ქათმები და ღობის პირას დაგროვილი ფუჩჩინისა და დამწვარი ნეხვის გროვაში ზარმაცად იქექებოდნენ. კაკლის ჩრდილს შეეფარებინა ეფრემას ანჩხლი ნაგაზი ზანტად ლულავდა მოქანცულ ქუთუთოებსა და წითელი ლავაშივით გაღმოგდებული ენიდან დორბლი გასდიოდა. ბუზებისაგან დაკბენილ ცხვირს ხან მიწაში წაპყოფდა და ხან წინათათს ჩამოიკრავდა ზედ უნდილად.

გაუწმენდავ ეზოს ნარეკალი, ძურწა და ბირკა მორეოდა. და იქაურობა ძნელ გასაგალი გაეხადა. მხოლოდ ერთგან გაეწმინდათ მიწა ეკლებისა და ქვა-ღორღისაგან და უზარმაზარი კალო გაეკეთებინათ.

კაკლის იქით ძველსა და დაქანგებულ ტრიერს აღმური ასდიოდა და გავარვარებული ჰაერი ისე მოჩანდა, თონის პირი გეგონებოდათ. ეკლებში იწვა დამტვრეული სანიავებელი. მის ახლო დამალსა და კუზიან კუნძს მიპყუდებოდა ვახეთქილი ქვევრის ნახევარი, რომელსაც ნაკოწიწები ცემენტი და ორიოდე რიყის ქვა ისევ ზედ ჰქონდა მიკრობილი.

კალოზე ხორბლის ხეავი იდგა და მზის გულზე ოქროს ქვიშასავით ბრწყინავდა. კალოს თავში მდგარ სასწოროს

ვერცხებზე დამჯდარი ბატივით აეწივნა მრუდე კისერი და თავზე დიდ-პატარა საწონებდაწყობილი ვარინდებულები. იქვე ესო თელის მოჭრილი ტოტი სამარდილობად და სიციხისაგან უკვე დაბრუებული. ფითლებით შესაბრაღისად გამოიყურებოდა.

კაკლის ქვეშ მიწოლილიყო თავზე ცხვირისახოცწაკრული ლეო, ფანქარი და ქვითრების დასტა გვერდზე მიეგდო და გუნებაში უხვად ლანძღავდა იმ ქვეიანს, რომელმაც თითქმის შუა ეზოში მოიფიქრა კალის გამართვა. ყოველი ურმისა და მანქანის მოსვლაზე უხდებოდა წამოდგომა და სასწოროთან ტრიალი, მანქანა-ურმები კი განუწყვეტლად მოედინებოდნენ. იგი შურის თვალით გადახედავდა იქვე პირველ დაყრილ ტომრების დამცლელ ბიჭებს, რომელნიც მცირე დროიანი შესვენების დროს ნებიერად წათვლემდნენ ხოლმე.

გომურის თავზეც ხორბლის გროვები იდგა. გარშემო დედაკაცები მოსხლო-მოდნენ, თათრულად ფეხმორთხმულნი, და ხელში ცხრილებს ისე კოხტად და სწრაფად ათამაშებდნენ, გეგონებოდათ, უნმო დაირებს უკრავენო. ხრიალებდა ერთად ერთი დამხარისხებელი მანქანა და სახელურს ჩაფრენილი ვოგო ცალი ხელით ბორბალს ატრიალებდა, ცალითავე შევეგრემან ყელ-კისერზე ჩამომდინარე ოფლს იწმენდა ჩითის თავსაფრით. მეორე ვოგო ხვავიდან ხორბალს ეზიდებოდა ვედროთი დამხარისხებლის ხვიშირავი ჩასაყრელად და თანაც გაწიწკებულ ბელურებს აფრთხობდა მკლავის ლაშაზი აქნევით. ბელურები ერთიკი გაფრთხებოდნენ, მაგრამ როგორც კი ვოგოს ცოტა იქით გაიგულვებდნენ, მაშინვე შემობრუნდებოდნენ და პარალელზე გამოსული სალდათებივით გაჭიმულნი მტკავლიანი სკუპსკუბით ისევ ხვავისაკენ მიიწევდნენ.

გომურს იქიდან სამქედლოს ღია კარიო მოისმოდა მძიმე ჩაქუჩების ცემა და მიწიდან ასული სიმხურვალით შედედებულ პაერში ძლივს ატანდა საწყობის გამგემდე.

ეზოში სატვირთო მანქანა შემოგრი-ალდა და კალისთან გაჩერდა. კაბინიდან მარკოზა გადმობტა და კაკლის ჩრდილს მიაშურა.

— აბა, ჩამოცალეთ. რას წამოტყლარქულებართ და ჰგორაობთ.

ბიჭები უნდომლად წამოიზლანენ.

ლეომ უღიმიამო თვალი შეავლო ბრიგადირს და იკითხა:

— კიდევ ბევრია?

— ჯერ სადა ხარ! — მერე გვერდით მიუქდა, ჯიბიდან რაღაც ქალაღი ამოიღო და ტუნები ყურთან მიუტანა. — სამასი კილოა მეტი ამ გზობაზე, აი ქვითარი.

საწყობის გამგე მოიღუშა.

— ძალიან ნუ ამლამებთ, აი. ეხლა ეს ნაგაზიც კი არ არის სანდო. შექსპირმა თქვა: ცოტა იყოს და ტკბილი, ვიდრე ბევრმა მომგვეთოს კბილით.

მარკოზამ ჯიბე მოიხხრიკა, მაგრამ, რაკი ვერაფერს მიაგნო, კუჭუიანი ხელისგული მოისვა ოფლიან შუბლზე.

— რა გამოუცდელი ბალღივით შეუბნები, შარშანდელი დაგავიწყდა? წელს ხომ ხედავ გამგეობის სხდომაზე რა გავაკეთეთ? ეხლა საწყობის გამგე შენა ხარ და საშრობისაც. ნახე ქვითარი, რა სწერია. ადექი და შენც ის ჩაწერე. რა გაშინებს, ემტეესის მწონავთან შეთანხმებულია. ერთი სამი კოდი. და გაჩუმიდება.

ლეომ ცალი თვალი სასწოროს გაუსწორა და ცალითაც ბრიგადირს ახედა.

ვინც ფეშხვას ებლაუტება, იმან შეიძლება თავ-ფეხიც დაკარგოს.

მარკოზამ იწვინა:

— შაში-ბეშივით რომ გაგირბის ეგ თვალეზი, შე ჩემალაღე, ვერა ჰხედავ რამდენ ძაღლს დაუღია პირი, იმათ ჭამა არ უნდათ? ი ღვინით რო შეხურდები და სიმღერას მეხურნე გოგოლასავით აუწევ ხოლმე, გახსოვს, მაშინ საიდან მოდის?... ადგი, ადგი, წელი ნუ გწყდება, აგე, ბიჭებმა ტომრები გაავსეს და სასწოროზედაც დადეს. — მერე შარვალი გაიბერტყა და აღმაცერად ახედა: —

დღეს რაღაც ბრძენის კილოზე მეჩვენებო.

— რა ეშმაკად მინდოდა საშრობი, საწყობის გამგეობა არ მყოფინდა?.. ეგპ, კაცი როცა ეშმაკის ვირზე ჯდება, მაშინ თითონაც ეშმაკის მუშა ხდება.

ლეო მოკლე ხელეზზე დაეყრდნო, მსუქანი ტანი ძლივს აიტანა და კაკლის ქვეშიდან დაღმეჭილი სახით გამოგორდა.

2

თავმჯდომარემ ბულალტერი იხმო თავისთან და კაბინეტში წაიკეტა.

— შენ არ იცი, რამ მოაპრიანა იმ ხეპრეს ჩემი ეზოდან ყოჩის წაყვანა?

ბულალტერი მიხვდა, რაზედაც ეკითხებოდნენ, სკამზე ცივად დაჯდა და უარის ნიშნად გრძელი ცხვირი და ტუჩები ერთად აგრიხა.

— დიდი ბრიყვი რომ არი, ეგ ვიცოდი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ ძაღლის ჯიშისა იქნებოდა.

ბულალტერს ხმა არ ამოუღია და წარბებს იქით მიუღუჯული თვალებით ისე მისჩერებოდა, რომ, ეტყობოდა, კარგად იცნობდა ძია ნიკოს. სათქმელი იმ სიტყვებს იქით იმაღებოდა.

თავმჯდომარემ მიუხვდა და ბევრი აღარ ალოდინა.

— მთიდან ხომ არავენ არ ჩამოსულა?

— იყენენ ჭენჭებიდან. პურის ფქვილი, ლურსმანი და ძაღლების ჯერი წაიღეს.

თავმჯდომარემ თვალი თვალში გაუყარა.

— ცხვრის ფერმიდან გეუბნები.

ბულალტერმა ირთხანს უცქირა და მერე მოკლედ მოსჭრა.

— არა.

თავმჯდომარემ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სათვალე მოიხსნა, მინები დააორთქლა, დახედა ზედ და მზრუნველად დაუწყო წმენდა.

— როცა ჩამოვლენ, თუ მე აქ არ ვიყო, უთხარი, რომ ორი კარგი ბატკანი,—

იმ ერთი ყოჩის წონისა რომ გამოეყრდეს, აარჩიონ და ჩემი სერი დააღონ. — მერე ქერა წარბები შეიკრა და შეკვანდა თქვა: — არტიტები ჩემთან კი არ მოსულან, კოლმეურნეობაში მოვიდნენ.

ბულალტერს არც ერთი კუნთი არ შესტოკებია სახეზე და არც თვალი დაუხამხამებია. მხოლოდ ცხვირში წაიღულუნა ერთი სიტყვა.

— კარგი.

— ესეც უთხარი, რომ ერთი იქ დატოვონ და ერთი აქ ჩამომიყვანონ.

ბულალტერმა ცოტათი შეიკვირვა.

— ამ სიტყვეში ბატკანს ბარში რა უნდა აკეთებინო?

ძია ნიკოს გაეღიმა.

— იმსიგრძე ახმახს ჭამა არ უნდა?

— რაო, რას ამბობს, როდემდე აბირებს აქ დარჩენას?

— ეშმაკმა იცის იმისი თავტანი. იქნება მთელ ზაფხულსაც.

ბულალტერმა ერთხანს იცადა და რაკი აღარა უთქვამს რა, დარბაზობა დამთავრებულად ჩათვალა. ის იყო გაბრუნდა, რომ თავმჯდომარის ხმამ უკანვე დააბრუნა.

— დიდა, საქმე მაქვს.

ბულალტერი ისევ პირისპირ ჩამოჯდა სკამზე.

ძია ნიკომ სათვალე ბუღეში ჩადო, გულჯიბეში შეინახა, ხელები მაგიდის მინაზე დააწყო და თითები ერთმანეთში გაუყარა. ერთხანს ასე იყო ზედ ნიკამ ჩამოდებული, მერე თავი აიღო და იკითხა:

— ბიჭები დაბრუნდნენ შირვანიდან?

ბულალტერმა გაიკვირვა კითხვა, რადგან თავმჯდომარემ კარგად იცოდა, რომ დაბრუნებულები იყვნენ. მაინც მიუგო:

— დაბრუნდნენ.

— რაო, რა ვქენითო?

— ბინები შეუკეთებიათ და სამოცდათვრამეტი ტონა თივა გაუთიბავთ. დაუდგამთ და გაუმზადებიათ ცხვირსთვის საზამთროდ.

თავმჯდომარემ გრადინიდან წყალი დაასხა, ჭიქა ნახევრად მოსვა და რაც

ჩარჩა შიგ, ადგა და ფანჯარაზე ქოთნით მდგარ გერანის ყვავილს ძირში დაუსხა.

— ფული რამდენი წაყიდა?

— კარგა ბლომად.

— მაინც რამდენი?

ბულალტერი დაჰკვდა.

— რაზე ჰკითხულობ?

— მკირდება.

— ჩემთან არ ითქმება?

თავმჯდომარე ისევ სკამზე ჩამოჯდა, მარჯვენა ხელი ფართოდ ჩამოსვდა სხეზე, ტურნიკაპთან შეაჩერა, იდაყვით მაგიდის კიდეს დააწვა და ბულალტერს კვლავ თვალი თვალში გაუყარა.

— შენ იმ თანხას უნდა დაუმატო ათასი მანეთი. — აჰ მცირე ხანს შედგა და მერე მძიმედ შეეკითხა: — შესძლებ?

ბულალტერს ტუჩის მარცხენა კუთხე ოდნავ შეერხა, ნიშნად იმისა, რომ აღ-ლომ არ უმტყუნა.

— შეუძლებელი რა არი? ილუა როცა ჭურჭელსა სჭირდა, საითაც უნდოდა სურას ყურს იქით უშვებოდა.

— მართალია. — დაეთანხმა ძია ნიკო. — ეფრემაც ეგრე აკეთებს ხოლმე.

— მაინც რად გინდა?

— ჩემს მანქანას საბურავები გაუცვ-ლა.

— მერე მაგას ათასი მანეთი რად უნ-და?

თავმჯდომარემ გაკვირებული თვალი მიაპყრო უმეტყველო და გახევებულ სახეს.

— კანონით აღარ მეკუთვნის, ვინმეს-გან უნდა ვიყიდო. კერძოდ კი ძვირი ღირს.

ბულალტერი მცირე ხანს იცავდა დუ-მილს.

— აღვილია, — დაეთანხმა მერე.

— რაზე შეგიძლიან გაატარო ეგ ფუ-ლი?

— ბევრ რამეზე.

თავმჯდომარემ ცოტა ხანს იყუჩა, მე-რე აღმაცერად გახედა და თითონვე შე-აშველა.

— ათასი კონა ჩალა ვიყიდეთ თათრე-ბისაგან ფარეხებზე დასახურად.

— კარგია.

— კონა მანეთად.

— მშვენიერია.

— ეგრე.

— უთუოდ მეც მაგაზე შევაგდებლი არჩევანს.

— ეგრე.

ის იყო ბულალტერმა კარი გააღო და გასვლას აპირებდა, რომ ღია კარში პა-ტარა ბიჭი შემოვარდა ქოშინით და თავ-მჯდომარეს სხაპასუხით მიაყარა:

— ნიკო პაპავ, გომური ჩაინგრა და ცალყურაანთ მართაც ჩავარდა შიგა. ბე-ვრი პური დაიბნა, ხალხიც ბევრია, ყვე-ლანი იქ არიან, უჰ, რამოდენა პური იყო, დიდი კოკოლა. ზედ მართა ძალუა იდგა. ხელში ვედრო ეჭირა. ვედროც ჩავარდა.

გაფითრებულმა თავმჯდომარემ კარე-ბში გაშეშებულ ბულალტერს გახედა და მერე აჩქარებული ნაბიჯით მისკენ წავი-და.

3

ძველი ღობის ნამტერეე ჩინჩხვარსა და წოწკებს ტაკაც-ტაკუცი გაუღიოდათ ბუხარში. განიერი მუცლით მიფიცბე-ბოდა ღობიოს სადუღარი ცეცხლსა და მოძალებული ორთქლი ჩუჩუნ-შოშინით იკვლევდა გზას სარქველსა და ქოთნის ტუჩს შუა.

სასიამოვნო სიგრილე ასდოდა ახ-ლადმორწყულ მიწის იატაკს.

ბუხარს აქეთ დაფუტუროებულ დი-რესთან დედა-კატა მიწოლილიყო და თათების სწრაფი და ალერსიანი ქნევით იგერიებდა ზედ მისეულ შთამომავლო-ბას.

შავლევო დაიხარა, ერთი კნუტი აიყ-ვანა, მუხლზე დაისვა და მიეფერა.

კნუტმა იუცხოვა, გადმობტომა სცა-და, მაგრამ რაკი მიხვდა, რომ არ გაუშ-ვებდნენ, მუხლის თავზე გაიშხლართა და წირპლიანი თვალების ეშმაკური ნაბევით სასიამოვნოდ აკრუტუნდა.

— მაშ ალარაფერი ისმის, საბედა ძა-ლო?

ოთახის ღია კარის გვერდით ძველ სკივრზე მჯდარმა დედაკაცმა ამოიოხრა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— აღარაფერი, შვილო. ეგრე დამწვა და დამაქცია იმ ჩემი ცოდვით საესემე.

— რატომ გადაიკიდნენ?

— აბა, რა ვიცი, შვილო, ჩემ ბიჭს სწავლა უნდოდა და მაგან არ გაუშვა, — რალა დროს შენი სწავლააო. მაგას ეგონა, რომ კოლმეურნეობაში მუშაობა არ უნდოდა. ნამდვილად უნდოდა სწავლა, შვილო. არ გაუშვა და სოლიკო თითონ წავიდა თელავსა. წავიდა და მაგან სმოანგარიშო კურსებიდან გამოაგდებინა: ტყეში ხეებს იპარავს და კოლმეურნეობიდან არი გამოქცეულიო. გაბრაზდა სოლიკო, აღარ გავიდა კოლექტივში და შინ დაიწყო ჩემად ჭურჭლის ჭრა. თავმჯდომარემ ფინაგენტები დაასხა თავზე და დააბეგვრინა... მემრე ნიკოს მოხვერი წაეყვანა ტყიდან და ერთი თიანეთელი კაცისთვის მიეყიდნა. დააჭერინა თავმჯდომარემ და ორ წელიწადს იჭდა ციხეში. იქიდან მთლად გადარეული დაბრუნდა, შვილო. ერთ დამეს მაგის ეზოდან ძროხა გაიყვანა და ყარაჯალელ თათრებს გაატანა. ნიკომ მაშინვე მაგას დაადო ხელი. ვერ გამოტყეს, მაგრამ მაინც დაიჭირეს (ვაიმე შვილო!). იქიდან გამოსული მთლად გაქსუვდა და გაგარეულდა. ომი დიდი ხნის გათავებული არ იყო, რომ კოლექტივის კამეჩები დაეხოცნა და გაეტყავეებინა... იმის მემრე გადაკარგეს, შვილო, ციხიარში და ეს სამი წელიწადია აღარა ვიცი რა, ცოცხალია თუ მკვდარი.

ყელში მომდგარ ქეთიანს იკავებდა დედაკაცი და გაბზარული ქვაბივით ეღარუნობდა აკანკალებული ხმა და სიტყვები.

და მსმენელს გაახსენდა შუატანის ჩახსმული, კეთილი ბიჭი, რომელმაც ერთხელ გოდორყური დაუწნა ჭერ კიდევ პატარა შავლეგოს ალაზანში ჩასაგდებად. გაახსენდა მისი პირველი დაბატირება, „ლილეიკაში“ რომ ჩასვეს მილიციელებმა და წაიყვანეს: საბჭოს ეზოდან შარაზე გამოსულმა ეტლმა როცა ძია ნიკოს სახლს ჩაუარა, წამოდგა მაშინ სოლიკო ფეხზე და მალა

აწეული მუშტით დაემუქრა თავმჯდომარეს: რწილმა რომ გეკბინოს დამელოგინში, იცოდე, მე ვაპყენო... მას შემდეგ ჯარში გაქცევა. შემდეგ კი ეს ტიალი ომი და აბა, ჭერაც არ დაბრუნებულა მშობელ კერაზე კალაპოტიდან ამოვარდნილი კაცის ცხოვრება.

შავლეგომ ბუხრიდან ტყაცანით გამოვარდნილი წოწკი ისევ შიგ შეავდო და ცეცხლს მიუჩინჩხლა.

— საბჭო თუ გეზმარება მაინც.

დედაკაცმა თვალეზი ზევით აღაპყრო და ხელალებით დაუწყო კრულვა საბჭოსაც, იმის თავმჯდომარესაცა და მის გამომგზავნსაც.

— არც მარტმა დამაყარა ხეირი, შვილო და არც აპრილმა. საბჭო უნიკოდ ნაცარსაც არ გაკვეის ბუხრიდან. აღარც კაცს ვახსოვარ და აღარც ღმერთსა. ვარ ეგრე საცოდავად ოთხ კედელშუა გამომწყვდეული მარტოღმარტო და ძალიც კი არა მყავს, რომ ჩემს ბარობაზე დაიყეფოს, — იმასაც ერთი ადამიანის ოდენა ქამა უნდა. ანდე ეგ გამვალტყავებული კატალა მიგდია და ეგეც ძლივსა დგა ფეხზე შიმშილისაგან, რადგან თავგები აღარსად ჩანან. იმათაც მიმტოვეს, რაკი კბილვასაკრავი ვეღარაფერი დაიგულეს... ხანდახან ენუქაანთ რევაზა თუ გამომიგლის და ხელს წამახმარებს... ზოგჯერ ის ჩვენი აგრონომიც მოდის. ძალიან ღვთისნიერია, შვილო, და შარშან გოჭიც მაჩუქა საქოსმენედ. ვაიმე, შვილო, ვაიმე...

კარგა ხანს უგდებდა შავლეგო ყურს დედბრის უსასოო მოთქმასა და უნუგეშო მწუხარებას, მერე მუხლიდან ნეზიერად მოკრუტუნე კნუტი აიყვანა, ძირს დასვა და წამოდგა.

— ნახვამდის, ძალო, გული არ გაიტეხო და ყველაფერი კარგად იქნება.

წამოდგომისას კარგად ვერ მოზომა თავისი სიმაღლე და დაბალ კავებშუა ჩაწყობილ კრამიტებს შეახალა თავი.

დედაკაცს შეეშინდა და წამოდგა.

— ნელა, შვილო, საყუე დამაპლია და კავებიც გამოსაცვლეულია, ცოტაცა და თავზე ჩამომეშლება სახურავი. შარ-

შანე შემპირდა ი ბიჭი შეკეთებას და ვეღარ მოიცალა. რა ქნას, შვილო, ბრიგადირია და იმასაც ბევრი საქმე აქვს.

შაულებრამ ტკივილი არ შეიმჩნია, დაიხარა და დერეფნიდან გავიდა.

— სად მიხვალ, შვილო, პური მიინცა ჰამე, ეგრე როგორ იქნება. ნუ დამიწუნებ, შვილო, ლობიოს მეტი არა მაქრა მე საცოდავსა.

— მადლობელი ვარ, ძალო, არა მინდა რა. ძალიან მიყვარს ლობიო, მაგრამ არა მშინ. მეჩქარება და ერთ ადგილზეც მისასვლელი ვარ.

— ღმერთა ვადაგინადოს სამაგიერო სიკეთე, შვილო, და შენ გაუმრავლდი შენს პატრონსა. იმოდენა ძნების დადგმას ერთი კაცი მაინც უნდოდა საღამომდის. ჯავახიანთ ია შემპირდა გამოვლასა, მაგრამ ესლა კოლექტივსაც უჭირს მუშა და ალბათ იქ გაგზავნეს სამკალათა. მადლობელი ვარ, შვილო, დიდი მადლობელი.

— არაფერია, ძალო, თუ კი რამ დაგჭირდეს, კიდევაც გამაგებინე.

დედაბერს უხმო ჭვითინისაგან უსიამოდ დაემანუა დამკნარი ტუჩები და მადლიერი თვალი გააყოლა ეზოდან გასულს.

4

ბიუროს ორსაათიან სხდომას ცუდგუნებაზე დაეყენებინა რაიკომის მდივანი. საწერი მაგიდის კიდეს ორივე ხელით ჩაფრენილს ზედ მიმოფანტულ საქმეებისა და ქაღალდების გროვისათვის თვალი უსაგნოდ გაეშტერებინა. უამრავ ნასუნთქსა და მამაკაცთა ოფლის სუნთან იგლისის დღის მხურვალემა შერწყმული ჰაერი გულისამრევად მოქმედებდა მისზე. საზაფხულო კიტელის ზედა ორი ღილი გაეხსნა, თელმის მომგვრელად მოღუღუნე ვენტილატორი თავისაკენ მიებრუნებინა და ოფლიანი მკერდი მიეშვინა.

დილიდანვე დაეღალა უამრავ მთხოვნელთა გულის გამაწვრილებელ ღიჯინსა და ზოგიერთ აბურღულ-დაბურღულ

საქმეებს. წონასწორობას უკარგავდა და ერთმანეთში ირეოდა გაუმამლორბა რევიზორ-ბუღალტრისა და რაიკომის გამგეობის უყურადღებობა, დაუდევრობა, თუ მალაზიების გამყიდველთაღმი წყურუება. საქმით იყო ნადიკვარის ბლატოზე საზაფხულო რესტორნის მოწყობა და საცუკვაო მოედნის გაფართოება. ზოგიერთ ქუჩაზე ნიაღვრებისაგან აყრილი ქვაფენილის აღება და ასფალტის დაგება, ავტოსატრანსპორტო სადგური უკეთეს ადგილსა და გაფართოებას მოითხოვდა, სასადილოების ტრესტი შუამთის წყაროსთან სასადილოს გახსნას, ხოლო კულტახლი თოჯინების თეატრს მოხალისე მსახიობთა ბაზაზე.

თითქმის კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდნენ ოლქიდან, მთელი დღეები ისხდნენ აქ გაფუჟულნი და ზედამხედველის მკაცრი თვლით ჩხრეკდნენ რაიონს. ყოველი მათგანი რაღაცას პოულობდა, ყოველი მათგანი რაღაცას აგნებდა და იგნებოდა თაბახები ოლქკომისადმი მოხსენებითი ბარათებით. უმეტეს მათგანს კი აზრად არ მოსვლია რაიმე საქმიანი რჩევა-დარიგების მიცემა, ანდა დახმარება იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რომელსაც ასე ქედმაღლურად უყიენებდნენ.

ამის ზედ ერთვოდა ოჯახური ამბოხი და უზომო მფლანგველობა ცოლისა და ქალიშვილისა. ხოლო დაცარიელებული „სალარო“ საეკვო გზებით იგნებოდა და „დიპლომატიური არხებით“ მოსული ცხოვრების საკაზმი ილუზიონისტის სიმარჯვით ქრებოდა თეთრ, ჰაეროვან ხელთათმანთა ფაფუკ თითებშუა.

და განა მარტო ოჯახში? თვით მილიციაში... და მდივანმა ყური წაუგდო საორგანიზაციო განყოფილების გამგეს, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა გამოსარკვევად დავალებული.

ამჟამად იყო, რომ მილიციის უფროსსა და მის მოადგილეს შორის არსებობდა ქიშპობა და ინტრიგა. მთელი მილიცია ორ ბანაკად გაყოფილიყო. თითოეულ მათგანს თავისი ხალხი ყავდა გამშ-

ვებული და ერთი მეორის საწინააღმდეგო განმაქიქებელი მასალები ჰქონდათ შეკრებილი. ყოველ მათგანს უნდოდა მეორე მოეშორებინა თავიდან და მართო ემართა რაიონი უშიშრად და შეუზღუდველად. ყოველ მათგანს იმედი ჰქონდა გამარჯვებისა და მომხრენიც გაემხნეებინათ.

საქმე იმით დაიწყო, რომ საპასპორტო მაგიდის უფროსს, რომელიც ზოგიერთი წინასწარი გამორკვევით მილიციის მოადგილესთან ბლოკში აღმოჩნდა, ბრალად ედებოდა ვიღაც ორჯერ ნასამართლევ და ციხიდან ახალ გამოსულ ედიკ გელამას-ძე მანუქიანზე ახალი პასპორტის გაცემა და ნათლობის სახელის თვითნებური შეცვლა. საქმეს ქრთამის სუნი უდიოდა, რომელსაც მილიციის უფროსის მოადგილე მაიორი ჯაშიაშვილი აფარებდა ხელს და დღემდე საამკარაოზე არ გამოეტანა.

მაგრამ საპასპორტო მაგიდის უფროსმა თავი ბრწყინვალედ იმართლა, რადგან იგი არმიიდან ახალი დემობილიზებული იყო და ეს საქმე მისი წინა მოადგილის დროს მომხდარიყო. ხოლო ახლა, უფროსს გამოძიებულს საიდანღაც გამოეჩხრიკა და ალბათ, მილიციის უფროსის დავალებით მისთვის მიეწებებინა.

— შენ რას იტყობი, ჯაშიაშვილი? — მდივანმა ფანქარი ბოლოთი ააკაჯუნა საწერი მაგიდის მინაზე და დაღლილი სახე მილიციის უფროსის მოადგილისაკენ შეაბრუნა.

მაიორი წამოდგა.

— მე რაღა უნდა ვთქვა, გიორგევიჩ, ეს კაცი მართალია ორი-სამი თვეა რაც საპასპორტო მაგიდას განაგებს და ჭერაც არ ვიცი, რაზე გადაეკიდა დაღანაშვილი. თუ ძველი ამბების გამოჩხრეკაზეა საქმე, რატომ იმას არ იხსენებს, ის ვილისის საბურავები რა უყო, ამ შედიდი თვის წინ რომ ჩვენმა სამმართველომ მოგვცა და გამოძიებულმა ჯავახიშვილმა ჩამოიტანა. ოთხი ახალთ-ახალი საბურავი სად გაქრა? ყველამ იცის, რომ ჩვენი რაიონი საბურავების სი-

ნაკლულეს განიცდის და მანქანა კარა იცი, როდის და სად დაგვირდება. არც ის არი გამორიცხული, რომ ძველი საბურავი უადგილო აღვიღას არ ვილაღატებს.

ბიუროს წევრთა მაგიდის კიდესთან მჭდარმა ემტევისის დირექტორმა მელოტ თავზე ცხვირსახოცი ვადისვა და კისერი სკამების რიგებისაკენ მიაბრუნა.

— საინტერესოა, ამაზე თითონ ჯავახიშვილი რას იტყვის.

— აბა, ჯავახიშვილო, ბიუროს მოახსენე, შენი ჩამოტანილი საბურავები რა უყო მილიციის უფროსმა, — საქალაღდე გვერდზე მისწია რაიკომის მდივანმა და სცადა გულისყურიანად ყოფილიყო ამ საქმეზე.

მაღალი, შეეგვრემანი ლეიტენანტი წამოდგა, თეთრი ტილოს კიტელი შეისწორა, მოხდილი ქუდი ხელში ერთიორჯერ შეატრიალ-შემოატრიალა და გულდასმით დააკვირდა მის წითელ მაუღზე საკმაოდ მაგრად მიკრულ კოკარდას.

რაიკომსკომის თავმჯდომარემ სქელი ტანი საქმიანად შეაბრუნა მისკენ, კისერში ჩადენილი აბრეშუმის ნაქერი უფრო მოხერხებულად შეისწორა და ქვეშევშევმ გახედა.

— დაიცა, დაიცა, შენ ის ჯავახიშვილი არა ხარ, ახმეტრიდან რომ გამოთავდეს უხეშობისათვის?

ლეიტენანტმა დაბნეული თვალი შეავლო რაიკომსკომის თავმჯდომარეს, ცოტა ხანს გაუმართა შხერა ვერცხლისფერ ქალარას, რომელიც მის შავ თმებს შუაზე ვიწრო ზოლად გასდევდა და ისევ თავისი ქუდის კოკარდას მიუბრუნდა.

— კი არ გამოთავდეს, გადმომაგზავნეს.

მდივანს თითქოს რაღაცა გაახსენდაო, მაგიდაზე დაყრილი ქალაღლები გადაქექა, რამდენიმე აღვიღს აფათურა ხელი, ბოლოს ერთი რვეულის ფურცელი ამოძრო საიდანღაც, აქარებით ჩაათვალიერა, მერე განზე გადადო, სახეზე საუდრო ღრუბელი გადაათარა და კედ-

ლის პირას, გაუქმებული კარის ძირში მიმჯდარ პროკურორს მიუბრუნდა.

— შენ ვასულ შაბათს ორდერი გაცი, რომ ვარდისუბანში ბურკაძის ბინა ვაგზბრკია ლეიტენანტ ჯავახიშვილს და აბესალომ ბურკაძე დაეპატიმრებინა?

გამხდარმა, ყბებჩაცევილიმა პროკურორმა გაცემისაგან წარბეზი აქიმა, ქვედა ტუჩი გადმოაბრუნა და უარის ნიშნად თავი გაიქინა.

— არც მოადგილეს გაუცია?

— რამდენადაც ვიცი, ჩემი მოადგილე ლავოდებში იყო შაბათს საქმეზე.

— იქნებ შაბათზე ადრე იქნა გაცემული?

— არც ეგა მგონია.

— მაშ შენ, ჯავახიშვილო, რა უფლება გქონდა, რომ ნებადაურთველად სხვის ბინაში შედიოდი, ჩხრეკავდი იჭაურობას და სახლის პატრონს აპატიმრებდი?

ლეიტენანტს კოკარდისთვის თვალი არ მოუწყვვებია, ისე წაიბუტბუტა:

— მთხოვეს, ამხანაგო მდივანო და ჩემი მოვალეობაც ეს არი.

— მთხოველი იყო შენი ბიძაშვილი, რომელსაც ვენახში ვაზებზე მავთული აუხსნეს. მან კი შენ იმ კაცს მიგისია, რომელთანაც ვერ იყო კარგ განწყობილებაში.

მდივანი ცოტა ხანს შეჩერდა და ჩამოთვალა.

— ჯერ ერთი: დამარწმუნებელი საბუთი არაფერი გქონდა ხელში, მეორეც: ვარდისუბანი შენი ზონა არ არი და, მესამეც: კაცს, რომელიც თავისი ოჯახის ხელშეუხებლობას იცავს, რა უფლება გაქვს, რომ იაბალით ემუქრები და აპატიმრებ?

ლეიტენანტის ქუდმა ბრუნვას მოუმატა და ორი ჩაიციებული თვალი კარგა ხანს ვერ მოიშორა.

მდივანი ბიუროს წევრებს მიუბრუნდა და იკითხა.

— რა ვუყოთ ამ კაცს?

სინამდვილე ჩამოვარდა.

— რას იტყვი, ღირსია თუ არა სას-

ჯელისა? — გაიმეორა მდივანმა და ისევ ფეხზე მდგარს მიაჩერდა.

— საყვედური მივეცი, — უკმაკსეშარის რაიკომის მდივანმა უკანასკნელად მოუსვა ფანქარი წინ მდებარე ჭაღალზე სახელდახელოდ დახატულ მილიციის ლეიტენანტის პორტრეტს.

— სასტიკი საყვედური, — დაეთანხმა მას ემტევისის დირექტორი.

— პირად საქმეში შეტანიოთ, — დაუშვამატა კურდღელაურის მოწინავე ბრიგადირმა.

— პირად საქმეში შეტანიოთ უკვე მაგას აქვს საყვედური, — აცნობა ბიუროს მილიციის უფროსის მოადგილემ.

— ოჰო! — აღმოხდა ბიუროს რამდენიმე წევრს, — მაშინ პარტიიდან უნდა გაირიცხოს.

რაილმასკომის თავმჯდომარემ თავი გაიქინა.

— პარტიიდან გირიცხვა დალუბვას ნიშნავს, ახმეტელეებს გავხარდებათ. მოდი, გავათავისუფლოთ აქედან და თავიანთი კაცი ისევ ახმეტელეებს გადაეუგზავნოთ.

წყნარმა სიცილიმა გაიბრინა კაბინეტის ბოლოს და ბიუროს წევრთა მაგიდაზე.

მდივანსაც გაეღიმა.

— სანამ „გადავაგზავნიდეთ“, მანამდე მაინც ვათქმევიანოთ, რა უყო თბილისიდან ჩამოტანილი საბურავები. აბა, ჯავახიშვილო, არ ვახსოვს?

ლეიტენანტის ქუდმა ახლა დაბლა მალა დაიწყო ხელში ხტუნვა.

— როგორ არ მახსოვს, მოვიტანე და საწყობს ჩავაბარე.

კაბინეტის ბოლოდან მილიციის ფორმითა და პოდპოლკოვნიკის სამხრეებიანი საშუალოზე მაღალი, სქელი, შავგვრემანი კაცი წამოდგა, ხარის შავი, ჩასისხლიანებული თვალები დააბრიალა და განაცხადა.

— თუ გინდ ახლავე ვაგზავნეთ კაცი და შეამოწმოს, ის საბურავები ისევ იქ არი, თუ არა.

— თუ, ლაღანაშვილო, საქირო იყო და იყიდე, რატომღა ჩაეკეტ საწყობში?

მეორე მდივანმა სკამი ააჭრიალა და შრავალმინიშენლოვანდ ღიმილით გადახელა პირველ მდივანს.

პირველმა მდივანმა არ გაიზიარა მისი ღიმილი, ფანქარი ისევ ააკაუნა და პოდპოლკოვნიკს მიუბრუნდა.

— აი, გეკითხებიან: რატომღა ჩაეცტე, თუ, რა თქმა უნდა, საპირობისათვის იყიდეთ.

მილიციის უფროსი ორივე ხელით წინა რიგის სკამის ზურგს დაეყრდნო ჩაქინდრული თავი ასწია.

— ჯერ საპიროდ არ ვცანი მისი მოხმარება. ძველი საბურავები ერთ თვეს კიდევ ატარებენ ვილისს.

— მაშ ისევ საწყობშია?

— საწყობშია. გაგზავნეთ კაცი და შეამოწმოს... მაგრამ ერთი ეს მიზრძანეთ: თუ ჭავახიშვილს სასჯელს ადებთ დამნაშავეის დაპატიმრებისათვის, მაშინ ჩემს მოადგილეს რა ეკუთვნის მილიციის სამორიგეოს კამერებიდან დამნაშავეთა გაშვებისათვის?

— როგორ, განა ჭავახიშვილი პატიმრებს თვითნებურად ათავისუფლებს?

— აი, ჰკითხეთ მილიციის უფროს სერჯანტ სიდონაშვილს. თორმეტ მაისს ღამის თორმეტ საათზე ჭავახიშვილი უგონოდ მთვრალი გამოცხადდა სამორიგეოში და როცა პატიმართა გაშვებაზე მოზიგემ უარი მოახსენა, მაიორმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და პირველი და მეოთხე კამერების კარტ თითონ გაუღო დამნაშავეებს.

მდივანი გაოცდა.

— მართალია, ჭავახიშვილი?

— მართალია, — დაუმოწმა მაიორმა, — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე მთვრალი არ ვიყავი. ვაფიგე, რომ პატიმრები უღანაშაულოდ ისხდნენ მთელი სამი დღე და ეს მე არაადამიანურად ვცანი.

— სერჯანტს რატომღა მიაყენე ფიზიკური შეურაცხყოფა?

— არავითარი ფიზიკური შეურაცხყოფა მე მისთვის არ მიმიყენებია. განათავისუფლებაზე უარი მითხრა და რო-

ცა მე თითონ მოვინდომე კარის გაღება, ეს წინ გადამიდგა.

— მერე?

— მერე ახსნა-განმარტება დაეწყო.

— მეტი არაფერი?

— არაფერი.

— მართალია სიდონაშვილი?

დაბალი, საყვირის ბოლოსავით ცხვირგანიერი სერჯანტი წამოდგა და ქროდა თვალები მოკრძალებით შენათა მდივანს.

— მართალია. მხოლოდ ის ახსნა-განმარტება რაკი ცოტა ბუნდოვანი მომეჩვენა, უფრო ნათლად ვარკვევისათვის ზედ ერთი ლაზათიანი სილაც დაუმატა. აქა-იქ ჩუმად ჩაიჭირჭილეს.

— მოგიხდება, შენგან ნაცემი არუთინოვის სამაგიერო მაგას გადაუხდია.

მდივანმა ყური ცქვიტა.

— ეს რომელი არუთინოვისა, ბაზრის დირექტორად რომ იყო?

— დიახ, გიორგივენი, — დაუმოწმა მაიორმა. — სამმა მილიციონერმა და ამ სერჯანტმა ღანაშვილის წაქეზებით ისე სცემეს უღანაშაულო არუთინოვს, რომ მარცხენა გვერდის მეხუთე ნეკნი გაუტეხეს ჩემის ქუსლით; საწყალი კაცი დღესაც ძლივს დადის ფეხზე.

— ძველი ამბავია, — ჩაიქნია ხელი მდივანმა, — მაგრამ რატომ გაარტყი არუთინოვს, სიდონაშვილი?

— პირველად თითონ მომიქნია, პატივეცმულო, — თავი ჩაღუნა სერჯანტმა.

— ტყუილია, — გაბრაზდა მაიორი, — არუთინოვს ბაზარში ჩხუბი აუტეხა ორმა მთვრალმა თბილისელმა. არუთინოვმა მათ წესრიგისაკენ მოუწოდა. მათ კი გინებით უპასუხეს. მაშინ მილიციელი მოიხზო მან და მილიციაში თითონაც გამოჰყვა. აქ ეს ორი თბილისელი ღანაშვილის ნაცნობი გამოდგა და, რადგან ბაზრის დირექტორს პატიოსან კაცად სთვლიდა და მისგან „პატივისცემა“ არ ახსოვდა, ადგა, მიუსია თავისი ხალხი და შედეგი თქვენც იცით ჰკითხეთ ავტონისპექტორს, ისიც იქ დასწრებია იმ დროს.

მილიციის უფროსს ქუთუთოები დაე-
ბერა, თვალები უფრო გაუფართოვდა
და ჩაუსისხლიანდა.

— ცილისწამებაა. მთვრალი იყო არ-
უთინოვი და სამორიველოში ივინებოდა.
იმ თორთნ ერთად უსვამს ღვინო და მე-
რე ერთმანეთში ჩხუბი აუტეხიათ. მი-
ლიციელებს მან თითონ დაუწყუო ცემა.
ნეკნისა რა მოგახსენოთ, ამბობენ ხიდან
ჩამოვარდაო.

— ეგ თქვენ მოუგონეთ ხიდან ჩამო-
ვარდა. წააქციეთ და ჩეჭმებით სცე-
მეთ, — არ ცხრებოდა მაიორი.

—ის თითონ სცემდა მილიციონე-
რებს, — საფეთქლებზე აწეებოდა სისხ-
ლი მილიციის უფროსს.

— საწყალი მილიციელები, — ირო-
ნიულად გაიღიმა მოადგილემ, — ერთ
კაცს აცემინეს თავი სამმა და ისიც სა-
მორიველოში, მილიციის უფროსის თან-
დასწრებით.

— მორჩით ერთმანეთთან კამათს. აბა,
აგტონისპექტორო, მართალია, რასაც
მაიორი ჯამიაშვილი ამბობს? ეშმაკმა
იცის თქვენნი თავი. რას არ მაიმუნობთ
იქა. არც შენ უნდა იყო მთლად წმინდა
წყლისა. ტყუილად კი არ გეძახიან „ტა-
რზანს“.

ბიუროს წევრებს გაეცინათ.

აგტონისპექტორსაც გაეღიმა.

— მე კი არ დავირქვი, შოფრებმა და-
მარქვეს, — წამოდგა ჯმუხი უმცროსი
ლეიტენანტი.

— რატომ დაგარქვეს მერე?

— აბა რა ვიცი, — გაოცდა ინსპექ-
ტორი, — შოფრებისას კაცი ვაიგებს
რამეს? მეტრ სახელი არა მქონდა, როცა
თვალეში მოვედი სამუშაოდ და მათი
ჰკუით კი აუცილებლად საჭირო იყო.
რალაცა ხომ უნდა მქვიებოდა? ეგენიც
ადგნენ და „ტარზანი“ შემირჩიეს.

— რალა მაინცაღამაინც „ტარზანი“?

— მე მოგახსენებთ, — ისევ ვეება
ხელებში მოიქცია წინა სკამის ზურგი
მილიციის უფროსმა. — „ტარზანი“ იმ-
ტომ დაარქვეს, რომ ხალტურაზე წა-

სულ შოფრებს სწორედ იქ უხვდებოდა.
სალაც ისინი არ ელოდნენ. ჯაჯივით
დაპყავს მოტიციკლი. ხშირად გარკვეულ
ადგილებში აკრძალული სიჩქარით და-
დის. აი, რისთვის დაარქვეს. თქვენ
სხვათაშორის სწორად შენიშნეთ, რომ
ეს პატიოსანი კაცი არ არი. მე ცნობები
მაქვს, რომ შოფრების გარკვეულ ნა-
წილს ხელს აფარებს, და ნებას რთავს
კერძო მანქანის პატრონებს იარაღ ხალ-
ტურაზე. დანარჩენთ კი გასაქანს არ აძ-
ლევს. ამ სამშაბათს კულტსახლის ეზოს
სასაუბრეში ორ კერძო მანქანის მძღო-
ლთან ნახეს სუფრაზე, — მერე პირდა-
პირ აგტონისპექტორს მიუბრუნდა, —
იყავი თუ არა, ხაჩიძე, მუგზურასთან“
და „კრუხთან“ პურმარილზე?

აგტონისპექტორმა წარბი შეიკრა და
უშიშრად უბასუხა:

— ვიყავი. მერე რა მოხდა? განა შე-
იძლება, რომ სუფრაზე მივიწვიონ და
ქართველმა კაცმა უარი თქვა ჩვენ საბ-
ჰოთა კავშირში ვცხოვრობთ და შოფ-
რები დაბალ რასას არ ეკუთვნიან. რაც
შეეხება „ტარზანს“, ეს სახელი მე არ
შემირჩევია ჩემთვის. „ტარზანი“ არა-
ფერ შუაში არ არი. შენ ხილი იხილე,
ბაღს რასა კითხულობ? იი, ნახეთ მი-
ლიციაში ყველა საბუთები. რაც მე მო-
ვედი, იკლო თუ არა აფარიების რიცხვმა
ყველა კვარტალში. სამჯერ მადლობა
მაქვს მიღებული ჩვენი სამმართველო-
დან და ხალტურაზე მავალი კერძო მან-
ქანების რიცხვიც შემცირდა.

— სწორია.

— მართალია.

დაემოწმა აქეთ-იქიდან რამდენიმე კა-
ცი.

— მაშ რად მოდიან შოფრები ჩემთან
საჩიველად, უხეშად გვექცევაო?

— რა ბოსტანიც არი, წყალიც ისეთი
უნდა მიუგდო, — არ შედრკა უმცროსი
ლეიტენანტი, — მგელს რომ ჰკითხო,
იმის აზრით ცხვრისთვის მწყემსი სუ-
ლაც არ არი საჭირო.

აპუს მარკიანი

ელენია მემოზრის სიკვდილზე

ჩვენს მიწას ხნიერს
ბევრი გმირი
ახსოვს ქებული.
კურთხეულ იყოს
მათი ხსოვნა
და მოგონება!

მაგრამ გმირები,
მამულისთვის
თავდადებულნი
ო, არ იციან,
არ იციან
მხოლოდ ომებმა.

ვიქვანა ძარტვილ მთაცვალეებს

ცისკენ გზას ჰკაფავთ,
შეუდრეკნი,
წარბშეუხრეღნი.
ყინულებს ამტვრევს,
ნისლებს ფანტავს
ძალა შედგარი.

ღიმილგამწრალი
ტიან-შანი
დგას და გიცქერით.
არწივთა გუნდი
შესევია
ცას გამყივარი.

მწვერვალებისკენ
ისწრაფვიან
თქვენი მუხლები
და უკან რჩება
გათელილი
ბევრი კლდეკარი.

დგას მოღუშული,
მოუხრია
გვერდზე კისერი,
ნისლით და ჯანლით
დაუფარავს
მკერდი მტკივანი.

თითო ნაბიჯი,
ნაფეხური
ცისკენ გაკრილი —
თითო სიტყვაა
ყინულებზე
ამოკვეთილი.

დგას დასერილი,
დაბზარული
საშინელება,
პირდაბჩენილი
ნაპრალევი
ქარიშხლიანი.

და ძღვეის პწკარებს
უკვდავების
მისდევს აჩრდილი
და გამარჯვების
მწვერვალია
თვითონ წერტილი.

ადუღებული
ქვესკნელიდან
ისმის ხველება,
ამტუტებელი
შავი-ღრუბლის
ისმის შრიალი.

თქვენ კი გზას ჰკაფავთ,
ნაპერწყალები
ცვივა ყინულებს.
მიიწევთ წინ და
მზრები ღრუბლით
დავმომივბიათ.

ზვავებს საომრად
შემართულებს,
თავგანწირულებს
ციცაბოებზე
ერთი წამით
ჩასძინებიათ.

ო, ჩუმაღ, ჩუმაღ!
შეძახილი
კმარა მცირედი,
გაეღვიძება
რომელიმეს,
კლდიდან მოწყდება.

და გაფრინდება
გადარჩენის
ყველა იმედი,
უფსკრულისაკენ
გაფრინდება
ყველა ოცნება...

* * *

აჰა, მწვერვალიც,
წერაყინმა
უკანასკნელი
ბილიკის კიბის
საფეხური
გაქრა წვალებით

დაბლა აღმოჩნდა
• ერთმანეთზე
გადანასკვული
დამარცხებული
კლდეკარები
და მწვერვალები.

აჰა, მწვერვალიც...
გეტმასნებათ
ღრუბლის ნახევრი,
თქვენ გამარჯვება
კავკასიონს
უნდა ახაროთ.

მალა ასწიეთ
საქართველოს
წმინდა სახელი,
ფეხქვეშგართხმული
ღრუბლის ზღვაში
ცურავს სამყარო.

დიდება თქვენს გზას!
ელვასაფით
ცაში კრიალებს.

მე მჯერა, მჯერა
თქვენ ამ გზებზე
არ შეგზრდებით!
ჩემს ოცნებაში
ვერესტზეც
ჩაიგრიალებს
თქვენი მარჯვენით
მოგლუჯილი
ყინვის ბელტები...

...დგას ტიან-შანი
სილურჯეში
თეთრად მდუმარი,
თქვენს ფერხთით ღელავს
კუშტი, ცივი,
მიუქარები.

ხელით, ფრჩხილებით
თქვენ გაკაფეთ
გზა გაუვალი
და ყინულებზე
უკვდავების
დარჩნენ პუკარები...

ილიკო გაბლიანი



შენ იქ დაგტოვეს
მარტოდმარტო,
მიუსაფარი.

ნისლში, ბურუსში
გახვეული
შენი სხეული.

შენ იქ დაგტოვეს,
ახლა გხურავს
თეთრი საბანი
და წვეხარ ჩუმად,
როგორც მუხა
გადამსხვრეული.

შენ იქ დაგტოვეს
უსასრულო
ცის სილურჯეში,
სადაც თვით ორბებს
სუნთქვა უჭირთ,
სუნთქვა ძნელია.

სასთუმლად თურმე
ყინული გაქვს
ქვაზე უხეში
და მჭისე ნისლი
ფიქრებივით
შემოგხვევია.

შენ იქ დაგტოვეს,
ისე მოხდა
მათ უნებურად.

იქ, სადაც თურმე
სიფრიფანა
არის ჰაერი.

და ტიან-შანი
სატიალე
გაფითრებულა—
გრანიტის, თოვლის,
ნისლისა და
ღრუბლის ნარევი.

• • •

...და დარჩი მარტო,
მალე მოვა
შენთან ზამთარი...

თუმცა რას ვამბობ,
ზამთარია

შენთან მარადი,
ილიკო, ბიჭო,
ორმოცი წლის
ზღორუბლზე დამდგარი,

ასე უდროოდ
ყინვარებში
გაქალარავდი.

ძმაო, მულახში
მოსათიბი
დაგრჩა სათიბი.

როგორც თივაში
ახალ თოვლში
ისე ეფლებია
და მწვანის ნაცვლად
თეთრად დელავს
შენი ქათიბი
და ფუსფუსებენ,
ფუსფუსებენ
თეთრი პეპლები.

შენ მარტო დარჩი
გახვეული
მჭისე ღრუბელში,
ეს დედის ლანდი
მოგჩვენა.

მას ეფერები:
—ო, დედა, დედა...
გესმის, გეძებს
შენი ნუგეში,

გალურჯებული,
კოყრიანი
დალილ ხელებით...

მინელდა, მიწყდა
ტიან-შანზე
ზვავის ზრიალი

და გასაოცარ სიჩუმეში
თვლემენ
დევები.

—ო, დედა, დედა...
 გაფანტულად
 ისმის წკრიალი—
 უკანასკნელი,
 გაყინული
 შენი ბგერების...

* * *

ლამდება. ცაზე
 ბღუჯა-ბღუჯად
 გაჩნდა ვარსკვლავი.
 ძმაო ამგვარად
 მოჩახჩახე
 ცა არ მინახავს.
 თითქოს ღრუბელზე
 გამოუბამთ
 ნიშა-საკლავი,
 რქებზე სანთლები
 აუნთია
 ბნელში წინაპარს.
 და ციმციმებენ
 ლაპლაჟებენ
 მუნჯი სანთლები,
 ლოკავენ ზეცას
 და ჩინსხლები
 დაბლა ცვიფან.
 შენს ამაყ სულში
 კი ტრიალებს
 კორიანტელი
 და ვიცი, ვიცი,
 რომ არაფრის
 არ გეშინია.

* * *

ახლ ზღუღუხვი
 შემოდგომა
 სუფევს მულაბში.
 ყვეთელი ფერი
 შეიპარა
 მულბრის ჭალაზე.
 უშენოდ ვდგები,
 ვეშურები
 დილის ბურანში,
 უშენოდ ვეტრფი.
 ამ სიცოცხლეს,
 ამ სიღამაზეს...

ქრიან დღეები
 და შენ, ძმაო,
 უფრო ბერდები.
 შენ წვერ-ულვაში
 წამოგზარდია
 გადართვილული-
 სარკეს დაეძებ?
 ნუ იწუხებ,
 ნუ აღელდები,
 სარკედ დგას შენ წინ
 ტიან-შანის
 კედლის ყინული...

* * *

გულზე კი, გულზე
 დარდი გაწევს
 უზარმაზარი..
 მე ვიცი გცივა,
 ხრიალებენ
 დაბლა ხეები.
 ამოდის შთვარე.
 მიუფიცხე
 ტუჩი დამზრალი,
 ყინვით დამზრალი,
 გადაღლილი
 შენი ხელები.
 ვარსკვლავებს ხელი
 მიუფიცხე,
 ნუ აგვიანებ!
 ვარსკვლავებისგან
 ბევრჯერ გქონდა
 ზელი დამწვარი...
 ო, შენს ლოყაზე
 გაყინული
 ცრემლი ციალებს—
 ერთი კურცხალი,
 ალბათ, სიმწრის
 ერთი მარცვალი...
 * * *
 შენ იქ დაგტოვეს
 დარდით, ოხვრით
 და სიმძიმით.
 უღვთოდ, უღმერთოდ
 უცხო მზარის
 მზეში დამწვარი.



სადღაც იელვა,
შემომესმა
შენი კივილი...
ჯუმბერს და თემურს
გადაუგდე
ელვის ბაწარი.

კიდეც იელვა.
გრგვინვამ ზეცა
შეაზანზარა,
დაეცა ყინულს,
ჩაუნგრია
გულის ფიცარი.

ეს თურმე შენმა
წერაყინმა—
ძღვეით გაზზარა
კლდე და ბურუსში
ანთებული
თვალით გიცანი.

აქ კი, მულახში
ჯერ არ ცივა,
მხოლოდ დართვილა
შენი ვაშლის ხე,
მოუკრეფი
შენი ვაშლები.

მოულოდნელად
შევამჩნიე
მხოლოდ ამ დღით,
უთვალთვალეზდნენ,
შესცინოდნენ,
სოფლის ბავშვები...

მაღე გაივლის,
ეს ზამთარიც
მაღე გაივლის
და გაზაფხული
გაგვიღიმებს
მარტის ბრძანებით.

საქართველოში
შემოგვციონებს
მინდერის ყვავილი
და მწვანე გულმკერდს
გადილელაფს
სოფლის ყანები.

შენ შორს იქნები,
სადაც მეფობს
მხოლოდ ყინული
უსაზღვრო სივრცე,
შენი თეთრი
თავშესაფარი...

მოგეჩვენება:
მოკისკისებს
სოფლად ბინული
და ენგურს უკვე
გაუშლია
რუხი ფაფარი.

ნექტრის საძებრად
გამოშლილა
სკიდან ფუტკარი...
ვხედავ: მე და შენ
სოფლის ბავშვებს
ვეთამაშებით...

შუა ყანებში
ჩაგრჩენია
ბიჭო, გუთანნი
და დაღვრემილი
დაცქერიანი
შენი ბავშვები.

შენ კი შორსა ხარ,
ცხრა მთას იქით,
ტუცხო მხარეში.
გავიგე; თურმე
გაზაფხული
იცის გვიანი.

ამობოქრებულ
ქვესკნელებში
და ნაპრალებში
გვიან ატყდება
გაზაფხულს
გრგვინვა-გრიადი.

შენ კი ეს გრგვინვა
ლილეოს ხმად
მოგეჩვენება
და ცივ სხეულში
ერუანტელი
უცბად იელვებს.

იფიქრებ, ალბათ,
მომაკიობხეს
აქაც ჩვენებმა,

ძმის დავიწყება
არ სჩვევიათ
თურმე მთიელებს.

• • •

ზაფხულის დამდგეს
როცა შვებას
იგრანობს სხეული,
როცა მჩქეფარე
ნაკადულებს
ბარში უხარით...

შენ დედის ცრემლი
სიმწრისაგან
სეტყვად ქცეული,
გაქვავებული
დაგეყრება
ცრემლი მდულარი.

• • •

ზაფხულის დამდგეს,
როცა წვიმა
ზოგეპარება,
მხრებდათოვლილი
ერთი წამით
შეიშქუნები.

მოულოდნელად
დაიმსხვრევა,
დაიბზარება
შენი აკლდამის
გამქვირვალე
ყინვის შუშები.

და მოვა წვიმა.
დაეშვება
ციდან სიმებად,
ცხენის ძუაზე
უფრო წვრილი,
• პაწაწინები.

ჩამოჰკარ თითო
და ჩანგივით
აქვითინდება,
აწკრიალდება
ნალვლიანი
წვიმის სიმები.

• • •

ილიკო, ბიკო,
შენ გამიგებ
რად მწვავს წუხილი,

მე მხოლოდ შენი
ვატკაცობის
მქონდა იმედით...

მე აქ, თბილისში
გავეგონე
შენი ქუხილი
და არ მეგონა,
არ გნახავდი,
არ გიტყვებდი!

წუხილი ჩემი,
აღბათ, შენთვის
გასაგებია.

მწველია, ვიცი,
აბა, რით გცე
აბლა ნუგეში.

მე ორი ბიჭის
შავი კუბო
დამსიზმრებია...

ღვიძლი ძმებზე
დავიტირე
ჩვენს დიდუბეში...

• • •

რას ვიფიქრებდი
ყველასათვის
მოულოდნელად
გილაღატებდა

წრფელი გული—
შენი ჯავშანი.

და კავკასიონს
შენი ძმების
მოთქმა-გოდებას

ელვის ანბანით
ვადასცემდა
მთა ტიან-შანის:

რომ აღარა ხარ,
აღარ სუნთქავ,
აღარ ციმციმებს

თვალები შენი
სათნო, თბილი,
საცრისოდენი.

რომ სამუდამოდ
ყინვარებში
გზურავს სიცივე

და აკლდამაში
ციმციმებენ
ყინვის ლოდები.



ქუთუთოებზე
 შავი ლიბრი
 გადაგფენია
 და წამწამებზე
 შეგყინვია
 დილის ცისნამი.
 შენ ბრძოლის შემდეგ
 გამარჯვებულს
 ჩაგდინებია
 და შეუმჩნეველად
 მოფრენილა
 შენთან სიზმარი.

• • •

...შენ გძინავს, გძინავს
 სიზმარში ხარ
 ახლა ჩაფლული,
 გაგრძელებს
 რაღაც ფიქრი
 გაწევს გამოუთქმელი...

უკანასკნელი
 იწურება
 შენი ზაფხული
 და სიზმრის ფრთებზე
 ზუზუნებენ
 შენი ფუტკრები.

შენი შეილები
 ზუზუნებენ
 შენი ფუტკრები.

თეთრ ყვავილებში
 გაფანტულან,
 თავს გველებიან.

შენ მათზე დარდი,
 მათზე ფიქრი
 განსაკუთრებით

აქ, ამ შორეულ
 ტიან შანზე
 აგდევნებია.

ეს ნიავია?
 ნაზად, ფრთხილად
 ვეალერსება
 და თმებს ეხება
 მისი სუნთქვა
 გაფაციცებით.

ეს ნიავია?
 არა, არა
 შენ გეჩვენება
 შენი ასულის,
 გულდამწვარი
 თლილი თითები.

მაგრამ ვაი, რომ...
 სიზმარია,
 მხოლოდ სიზმარია
 ცხადში, შენამდე,
 უნდა ჰქაფო
 გზა ვარსკვლავებში...
 შენ კი შორსა ხარ,
 გატყორცილი
 როგორც ისარი
 და ტიან-შანზე
 ჩარჩენილხარ
 დევის მკლავებში.

• • •

აქ, კი გიტირეს,
 ო, რამდენი
 ცრეული დაღვარეს
 და შენს მაგიერ
 ტახტზე იწევა
 შენი ხალათი.

მესტია—ზულახს
 არ ეძინა
 თურმე ცხრა ღამეს
 და გლოვის ზარი
 გუგუნებდა
 მთიდან ბარამდი!
 — ივავი, ვაი,...

სად წავიდეთ,
 სად დავიტიროთ,
 ასე მოთქვამდნენ,
 გუგუნებდნენ
 მშობელ მხარეში,
 ძმობის, კაცობის
 ხერხემალო,
 ჩვენო ქვეთკირო,
 ასე უდროოდ
 დაკარგულო
 ცივ ყინვარებში.

• • •

მე ჯერ სიკვდილზე
 ძმაო ჩემო,
 არ მიფიქრია.
 სიცოცხლის ტრფიალს
 მეძახიან,
 მზეში ვიწეები.

სიბერისაკენ
 აწ განვლილი
 დღენი მიჭრიან.

წელი წელს მისდევს,
გამალებით,
თავდავიწყებით.
სიკვდილს არ ვნატრობ,
მაგრამ თუ კი
წამომეწვია,
არ მინდა შეგებდე
დავრდომილი,
ლონეშიხილი.
ბუმბულში მოგვედე?
ო, არ მინდა,
უმჯობესია,
ცისკენ მიმაფალს
მომეწვიოს
გზაში სიკვდილი.

* * *

შენ იქ დაგტოვეს
მარტოდმარტო,
მიუსაფარი.
ნისლში, ბურუსში
გახვეული
შენი სხეული.
შენ იქ დაგტოვეს.
ახლა გხურავს
თეთრი საბანი
და წიებარ ჩუმიდ,
როგორც მუხა
გადამსხვრეული...
მე წარმართივით
შენ ამაყ სულს
იქ ვერ დაგტოვებ.
იქ სიფრიფანა
პაერია,
სუნთქვა ძნელია.
მე მჯერა, ვიცი,
ვერ გაუძლებ
ამ სიმარტოვეს;
და თეთრ სამეფოს
გირჩენია
შენი კერია!
მე წარმართივით
ლილეოს ხმით
აღვიპურვები.
წამოვალ შენსკენ,
ჩემი მამლით,
ჩანგის წკრიალით.
მე და შამალი
წუთისოფლის
ფეელი სტუმრები

ციცაბო აღმართს
შევეუდგებით
გულნადღვლიანნი...
ჩამოვკრავ სიზებს
და ბგერები
აქვენესდებიან,
შემოგესმება
გაზაფხულის
ფივილ-ხივილი.
ჩანგის ბგერები
მალა ცისკენ
გაფრინდებიან
და ტიან-შანზე
გაგაღვიძებს
მამლის ყივილი.
და შენი სული,
სული შენი
ქარიშხლიანი
ჩანგის სიმებზე
დაიბუდებს,
როგორც ოცნება.
და მე იარა,
ძმაო, ჩემო,
მწველი იარა,
ასე მგონია
სამუდამოდ
შემიხორცდება.
* * *
და ვივლი, ვივლი,
გადავივლი
ცხრა მთას, ცხრა
წყაროს
ჩვენს საქართველოს
მოვადგები
გულსიტკივილით...
შენ სულთან ერთად
მოვიარე
მთელი სამყარო
და შენს კერიას
დავუბრუნდი
მამლის ყივილით,
...მე გხედავ დგახარ,
გაუტეხი,
ზხარბეჭიანი.
თვალები შენი
შუეს შესცინის,
საკრისოდენი.
მე მესმის, მესმის
შენი ჩანგის
სიმთა წკრიალი
და გულნადღვლიან
სამღერაში
კვლავ მეორდები...

რეკომენდებულია

ს ლ მ ა რ თ ი *

რომანო

სანდრო დივანზე იჯდა და იცდიდა.

იმ საღამოს შემდეგ ხალისი დაჰქარგა ბერიძის ქალმა. მთელი დღე მაგიდას უჯდა და ეზოშიც კი არ გამოდიოდა. შესვენებაზე სასადილოში შევიდოდა, კუთხეში მაგიდას მიუჯდებოდა, კერძს შესჭამდა და ისევ თავის ოთახში ბრუნდებოდა. თვალის უბეები შეუღოურჯდა და ლამაზ სახეზე უძილობის კვალი და აჩნდა. ხანდახან ფანჯარასთან მივიდოდა და მთელი საათი გასცქეროდა ქარხნის ეზოს. კარის ყოველ ვალებზე შეკრთებოდა, მისდაუნებურად მოიხედავდა, ეგონა, გოგი შემოვიდაო, მაგრამ ამ დღეებში ლომიძე არ გამოჩენილა. არც უფროსებს დაუვალბათათ მისი გამოძახება.

სანდრომ ჩაახველა, გაზეთი გვერდზე გადასდო და ლაღისას საწყლად უთხრა:

— რას მერჩი, ადამიანურად მაინც შემომხედდე, კაცის მქამელი ხომ არა ვარ... ნუთუ თავად არავინ გყვარებია...

ლაღისამ თავი ასწია, თითქოს ელოდა ამ სიტყვებს. ყოველ შემთხვევაში, გრძნობდა, რომ სანდრო ასე მუნჯად ვერ გაძლებდა. მელისას მიაჩერდა. სანდრომ გაუძლო ამ შემთხვევას. უცქირა ლაღისას, უცქირა და მიხვდა, რომ ამ დილით ბერიძის ქალი ისე უგულოდ არ მოეპყრობოდა. ლაღისა ოდნავ შეცვლილი, სათნო და ლომბიერი ჩანდა. ამ გამოხედვაში რაღაც ახალი, იმედის მომცემი სხივიც აღმოაჩინა.

„მართლაც რას ვერჩი ამ კაცს, რა დამიშავა. ალბათ, ვუყვარვარ და ცდი-

ლობს, რამდენჯერ მივაყენე შეურაცხყოფა, რამდენჯერ აუღუქნიე ხელი და მაინც არ მშორდება, მეც ხომ მასავით გაწბილებული ვარ, მაგრამ ფარხმალს რომ არ ვყრი? რამდენჯერ მიტირია ჩემთვის, რამდენჯერ დამილოცნია და დამიწყევლია გოგი ლომიძე, მერე... არაფერი. პოდა, რას ვერჩი ამ კაცს?“ — ფიქრობდა ლაღისა: წამოდგა...

სანდროს კი შუბლზე ხელი მიედო და თითქოს ლაღისას ფიქრს უსმენდა.

ლაღისა ამ წუთში სანდროსადმი სიბრაღულსაც კი გრძნობდა, „შე უბედურო, ორმოც წელზე მეტი გიცხოვრია ამ ქვეყნად, ვინ იცის, რამდენ ქალს გადაყრიხარ ცნობრებაში და ჩემთან რა გინდა“ — ლაღისამ წამით თვალები დახუჭა, რაღაც ბინდის მაგვარი გადაეფარა თვალებზე, როცა ისევ გააღო სანდრო მელისას ადვილზე გოგი მოეჩვენა.

— ...არა, ეს მელია არ არის, ეს ლომიძეა, შავი ხუჭუჭი თმებით, დიდრონი თვალებით. ზის მის დივანზე თავდაბრალი, სიყვარულს თხოვს. ლაღისა მასზე ნაწყენია და შორს იჭერს თავს. ჭერ ილაპარაკოს, თხოვოს, თხოვოს... რა ეუყოთ ქალთან ლაპარაკი რომ არ ეხერხება, ენა ებორკება, მაგრამ რასაც ამბობს სიმართლეა. უნდა მივიდეს, თავი აუწიოს და ერთსა და იმავე დროს თვალსა და გულში ჩახედოს...

მელია დივანიდან წამოიწია. ლაღისას შეცვლილ სახეზე ღიმილი წაისწრო. იმედმიცემული გაიმართა, ნაბიჯიც კი გადადგა მისკენ, მაგრამ უცებ ლაღისას თვალებიდან გაჰქრა ღიმილი, სანდრომ ისიც კი შენიშნა, თუ როგორ გადაურბინა ჩრდილმა სახეზე ბერიძის

* გვერდებზე, იხ. „მნათობი“ № 7.

ქალს. ლალისამ ღრმად ამოიოხრა და მოწყვეტილად დაეცა სკამზე. ამ დროს მოსაცდელი ოთახის კარები გაიღო და ორივე ლომიძე შემოვიდა.

გიორგი ლალისას მიუახლოვდა, გაუღიმა და ხელი ჩამოართვა. ო, როგორ ასიაოვნა ამ გაუღიმარმა კაცმა!

გოგი მამის უკან იდგა. ეუცნაურა მისი მოქმედება და თავი უხერხულად იგრძნო.

მხოლოდ ახლა გაასხენდა ის საღამო, როცა მარინესთან ერთად საცეკვაო დარბაზში შემოვიდა. რა თვალებით შემოხედა ლალისამ მამის. იმ წუთში ყურადღება არ მიუქცევია, არც შემდეგ მოგონებია ეს შეხედვრა, მაგრამ ახლა თვალწინ დაუდგა შუბლზე კულულებჩამოშლილი, სახელაღწილი ბერიძის ქალი.

მიუახლოვდა, გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და მოიკითხა.

ასე ხდებოდა ყოველთვის, მაგრამ ლალისამ იგრძნო, რომ ეს უფრო მეტი იყო, ბევრად უფრო მეტი.

მელიაძე წამომდგარიყო და ყოველ წერილმანს, რაც ამ წუთში ოთახში ხდებოდა მისებურად სწონდა.

ჯერ ის არ ესაიამოვნა, მამა-შვილმა რომ უბრად ჩაუარეს გვერდით.

გიორგის სულ ერთი საათის უკან დასცილდა, მაგრამ გოგი არ უნახავს დღეს და საღამოს რაღა ედგა წინ.

„ვერ შევნიშნა, თუ არ შევნიშნა!“ — ისე დასწვდა ვახეთს, ჩამოვდა და გაზეთი თვალბზე აიფარა.

ოთახში ოთხნი იყვნენ.

ოთხი საკუთარი დარდი და სიხარული. ერთმანეთისათვის გაუგებარი, გამოუცნობელი და მიუწყვდომელი.

მამა-შვილი დირექტორის კაბინეტში შევიდნენ.

სანდრო მელიამ კი მთავარი ინჟინრის კაბინეტის კარები შეაღო.

ლალისა მარტო დარჩა.

— ერთი პატარა საკითხის გამო გაწუხებთ, სერგო! — მისალმებლად შემდეგ უთხრა გიორგიმ ქარხნის დირექტორს და სეკრეტელში ჩაჯდა.

დირექტორმა ღიმილით შეათვალიე-

რა მამა-შვილი და გოგის ანშინა დამჭდარიყო.

— გისმენთ, გიორგი!

— ამ ყმაწვილს კარგი აზრი მოსვლია, მომეწონა. თუ დასძლია, დიდებულ საქმეს გავაკეთებთ.

დირექტორი დაინტერესდა. გოგიმ მამას გადახედა. შერცხვა. აჯობა მამამ, აქაც აჯობა. მცირე ვაბარიტიანი ტრაქტორის შექმნა გიორგიმ ურჩია შეიღოს.

ერთხელ თბილისიდან მოდიოდნენ მანქანით. უღელტეხილს რომ გამოსცდნენ გიორგი გოგის მიუბრუნდა:

— მთაგორიანია ჩვენი მიწა, გოგი. დაუკვირდი, სულ აღმართები და დაღმართები. იშვიათია ვაკე, განსაკუთრებით, იმერეთში.

— მერე რით არის ცუდი?

— უჭირს კოლმეურნეობებს, ვერ იმართება ტრაქტორი ფართობებში. აი, ასეთ ადგილებში ისევე კავით ხნავენ. აბა, ახლა რაღა დროს კავია, ამაზე უნდა ვიფიქროთ...

გოგი ფანჯრიდან გასცქეროდა გორაკებს. ვერ მიუხედა მამას. ვერ გაუგო, რა აწუხებდა გიორგის გულს.

— მცირე ვაბარიტიანი ტრაქტორი უნდა შეიქმნას. ჩვენთან ავტოქარხანაში უნდა ვაკეთოთ. აბა, წარმოიდგინე პატარა მანქანა, რომ გაძვრება და გამოძვრება ამ ბორცვებში. მოხნაეს, გათონოს, გამარგლოს, თესლს მიიტამს, ნაყოფს წამოიღებს. გაიარე სოფლებში, ესაუბრე კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, თავად მიგანიშნებენ.

გოგი სდუმდა, ფიქრობდა და თანდათან უფრო მოსწონდა მამის აზრი.

„უცნაური კაცია, სულ სიახლეზე ოცნებობს“.

— იქნებ შენ თითონ მოგეკიდა ხელი, მამა, გამოცდილება გაქვს, მე ისე მოგეხმარებოდი...

გიორგიმ გაიღიმა.

— ვერა, შვილო, მანქანის გარეშე კილომეტრის ვავლაც არ შემიძლია და ეს გულიც... ეგ კიდეც არაფერი, გავებდავდი, მაგრამ შენ უნდა შექმნა რა-

მე... ახალგაზრდა კაცი ხარ, ნიჭიერი, შეგძლია სასარგებლო საქმე გააკეთო და უნდა გააკეთო კიდევ...

— კარგი, მამა, ვეცდები, მოვიფიქრებ.

მეორე დღეს გოგამ ზესტაფონისკენ გასწია. არგვეთის მეურნეობასთან მანქანა დააყენა და თავად ფეხით გაუდგა სოფლისკენ მიმავალ შარას. მალეა მწვანეში ჩაფლული სოფელი მოჩანდა. გოგამ გზიდან გადაუხვია, ერთ დამრეცილ ბილიკს გაჰყვა და ოფლში გაღვარულმა ძლივს ააღწია სკოლის შენობამდე. სკოლის შენობის გვერდით ძველი ოდა სახლი იდგა. როგორც ჩანდა, სახლის ასაგებად სპეციალურად მოესწორებინათ მიწა. ეზოს მოუხნავი ფართობი ეკრა. ლობესთან ტანშალალი კაცი იდგა და თავს აქეთ-იქით აქნევდა.

— გამარჯობათ! — მიესალმა გოგი.

მოხუცმა თავი მოაბრუნა, უცხო კაცი შეათვალიერა და სალაშზე მოგვიანებით უპასუხა.

— დაუხნავი დავრჩენიათ ამოდენა ფართობი, ძნელი დასამუშავებელია, არა?

— ვინ ბრძანდებით?

— სტუჰარის ვარ, ქუთაისიდან!

— ძნელი მოსახნავია, ბიძია, მაგრამ თავს თუ გაუჭირებ, მუშაკაცს წინ რა დაუდგება.

— დიდი დაქანება აქვს, ხარები ვერ გასწევენ! — მცოდნე კაცის იერით თქვა გოგი.

მოხუცმა გამოძედილი თვალით შეხედა ლომიძეს.

— ძნელია! — თქვა ბოლოს.

— რჩევა მინდა გკითხოთ! — გოგი გაუბედავად მიუახლოვდა მოხუცს.

— ბრძანეთ!

— მე საავტომობილო ქარხნიდან ვარ. ახალი, პატარა ტრაქტორის შექმნას ვაპირებ, აი, ასეთ ადგილებში რომ ვაზოლდეს...

— აჰ! რაზე იწუხებ, ბიძია, თავს, აქ ტრაქტორი კი არა და თხა ვერ იკიდებს ფეხს. — ჩაიციხა მოხუცმა.

— პატარა ტრაქტორი?

— ლმერთი შეგეწიოს, მაგრამ... მოხუცმა თავი გადააქნია.

— უკაცრავად! — გოგამ გზა განაგრძო.

— ფიცები ყოფილხარ, ყმაწვილო, მომიტოვინე! — გოგი შედგა.

— მე, ბიძია, სამოც წელს გადავბოჩე. მახსოვს ამ კოლმეურნეობაში ტრაქტორი რომ მოიყვანეს, ახლაც გვაქვს, მაგრამ რათ ვინდა... ქვევით ცოტა ვაკეა და კიდევ შეიძლება ტრაქტორის მუშაობა. ისიც გაჭირვებით, აქ კი... ნუ კი გეწყინება, ყმაწვილო, მაგრამ აქაურობას შენზე უკეთ ვიცნობ, აქ კავისა და ბარის ვარდა, საშველი არაა...

— კოლმეურნეობის კანტორა საითაა?

— მოხუცმა გზა მიასწავლა.

— სახლში შემობრძანდი!

— არა, მადლობთ, მეჩქარება. მოხუცს მადლობა გადაუხადა და წავიდა.

ახლა უფრო დაყინებით ფიქრობდა ტრაქტორზე — მიდიოდა და ფიქრობდა... მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და აგრონომებს ესაუბრა. ჩანაფიქრი მოუწონეს. იმ დამეს თეთრად გაათენა, უბრალო ნახაზიც გააკეთა.

გულში გაუტყდა მამას. ნახაზი მიყენა. ვიორგიმ მოუწონა და აი, ახლა უკვე ღირექტორის კაბინეტში სხედან. გოგამ ღირექტორის წინ ნახაზი გაშალა და აუხსნა. სერგო სულ წვრილმანებში ჩაეძია, ბევრი სასარგებლო რჩევაც მისცა.

— აბა, შენ იცი, გოგი, რაც კი დაგჭირდეს, პირდაპირ მე მომხარეთ. — მამაშვილს ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გამოაიქილა.

თავი მეთხუთე

ციხურაჲ ზაღაშილი საამი

ნოემბერში თბილი ამინდები დაიქიორა, ქუჩებში დაყვიტლებული ფოთლები დაფართატებდნენ. თბილოდა და ქარხნის ეზოში გაშენებულ სკვერში, რომელიც ჭერ კიდევ მწვანედ ხასხასებდა, მერცხლებივით გოგო-ბიჭები თამაშობდნენ. მარინე ცისფრად შედებულ სკამის საზურგეს მიყრდნობოდა, პატარების თამაშს თვალუფრს ადევნებდა.

ბუთხუზა ბიჭი მიუახლოვდა, სკამთან შეჩერდა და მასწავლებელს მორიდებით მიმართა:

— მარინე მასწავლებლო, გიამ ყვა-ვილი მოწყვიტა!

— ოჰ! ეს როგორ შეიძლება! — გაიკვირვა მარინემ, — აბა, წავიდეთ, მაჩვენე! — წამოდგა, ბიჭს ხელი ჩაჰკიდა და წაიყვანა.

გიას ყვავილი გულზე მიეხუტებინა და ნაძვის უკან ჩამალულიყო. მასწავლებლის დანახვასე ყვავალი ზურგს უკან დამალა. მარინემ ყვავილი გამოართვა და დატუქსა:

— ყვაფილი ცოცხალი არსებაა, გია, მას მოვლა და მოფერება უნდა!

— სხვები რომ სწყვეტენ?

— ცდებიან!

— შალხიებში საიდან მოაქვთ ყვავილები, მარინე მასწავლებლო?

მარინეს გაეცინა და პასუხის მაგიერ ლოყაზე მოუთათუნა.

— შენ კი, ზურგიკო, — ახლა მეორეს მიუბრუნდა მარინე, — გახსოვდეს, მეგობარი არ უნდა დააბეზლო, ეს ცუდი ჩვევია...

— აბა, რა უნდა მექნა, მასწავლებლო?

— უნდა დაგეშალა, აგეხსნა, რომ ყვა-ვილის მოწყვეტა დანაშაულია, გაიგე?

— გაიგე! — თავი დახარა ზურგიკო.

— ახლა ითამაშეთ!

ბავშვები ერთმანეთს გაშორდნენ მასწავლებელს. ჩიტების ტიკტიკს მოჰგავდა მათი წყრილა ხმები. მარინე სკამს დაუბრუნდა. უცქერდა პატარებს და ფიქრობდა.

ასე იზრდებოდა თვითონაც. ამ პატარა კულრატებს საღამოს მშობლები მოაკითხავენ. ბაღში მიღებულ სითბოს დედისა და მამის ალურსი დაემატება...

მარინეს კი არასოდეს არ ჰქონია ეს ბედნიერება...

არც გუგის...

შორს გაეშტა ფიქრი.

მალე ისინიც დაოჯახდებიან, დაზრდებიან შეილებს და რაც თავად დააკლდათ, ერთი ასად მისცემენ მათ.

— ოცნებობთ?

მარინე შეკრთა. მის წინ ჭარხინის პატრიული კომიტეტის მდივანი, გლადიმერ ჭულელი იდგა.

მარინე წამოდგა.

— უკაცრავად, ვერ შეგნიშნეთ!

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ, პატივცემულო ვლადიმერ!

ჭულელმა ქალიშვილს ხელი ჩამოართვა, მერე შებრუნდა და ბავშვებში გაერია. ორ ბიჭუნას ხელები ჩაჰკიდა, წელში მოიხარა და წრე შეჰკრა. პატაროები თეთრულვანა ბიძიას ვერ ერიდებოდნენ, მაგრამ მალე გაუთამამდნენ. ვლადიმერი ბავშვებს ენას უჩლუქდა, აცინებდა და თავდაც იცინოდა.

წრეში მარინეც ჩადგა. პატარების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

— აბა, ახლა გეყოფათ, ეშმაკებო, დავიდალე! — თქვა ჭულელმა. ძლივს მოიშორა ბავშვები, სკამთან მივიდა, ჩამოჯდა და მარინეც მოიწვია.

— კარგები არიან!

— ძალიან კარგები, პატივცემულო ვლადიმერ, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ამოდენა ქარხანას უკეთესი ბინა უნდა ჰქონდეს საბავშვო ბაღისათვის! ვლადიმერ ჭულელის სახიდან უცებ გაჰქრა ღიმილი. ეს შენიშნა მარინემ და უთხრა:

— გეწყინათ?

ვლადიმერი კარგა ხანს სდუმდა, მერე ქალიშვილისკენ ნახევრად შებრუნდა, მხრებზე ხელი დაადო და უპასუხა:

— გვექნება, შვილო! სულ მალე ჩვენს საბავშვო ბაღებს ახალთახალ ბინებში გადავიყვანთ! კმაყოფილი ხარ?

— მე თქვენი მჯერა!

— ნდობისათვის დიდი მადლობა! ახლა ეს მითხარი, ქორწილს როდის გვაჰმევთ?

მარინე წამოწითლდა. ჭულელის კითხვამ გააოცა, საიდან იცისო, უეცრად ხეივანში გიორგი ლომიძე დაინახა...

ვლადიმერმა გვიან შენიშნა ოდნავ კოკლობით მომავალი მეგობარი, მარი-

ნეს გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და მოახლოებულ ლომიძეს შეეგება.

— მოხუცებს ბავშვებისკენ გვიზიდავს გული, ჩემო გიორგი, ხომ ასეა? ლომიძემ არაფერი უპასუხა, ორივეს ხელი ჩამოართვა და ჩამოჭდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ელადიმერ ჯუღელი გიორგის მიუბრუნდა.

— მარინემ არ მიპასუხა და იქნებ შენ გამახარო, გიორგი?

ლომიძემ ჯერ მარინეს გადახედა, მერე ელადიმერს.

— ქორწილს ველოდები! — უთხრა ჯუღელმა. გიორგიმ მარინეს გაუღიმა. ქალიშვილმა მორცხვად დაპასუხა თავი.

— ქორწილი ამათი საქმეა, როცა მოსურვებენ, მიმსახურონ...

მარინემ უდიდესი სიხარული იგრძნო, არა მარტო ამ სიტყვების გამო, არა; ქალიშვილი ამ თავშეკავებულმა დიმილმა გაათბო, რომელიც პირველად გაიმეტა გიორგი ლომიძემ. რამდენჯერ უძებნია ამ პირქუში კაცის თვალებში სიხარულის თუნდ მცირედი ნაპერწკალიც, მაგრამ ეერასოდეს უპოვნია იგი და ამიტომაც კიდევ უფრო მეტად ერიდებოდა.

ხშირად ძალიან ხშირად უოცნებია მარტოდდარჩენილს. თვალწინ დაუდგებოდა ის წუთები, როცა გოგისთან ერთად ახალ ცხოვრებას დაიწყებდა. მაშინ უფრო გაუთამამდებოდა მამამთილს. არაფერს ითაკილებდა, ოღონდ მისი მამობა ეგრძნო.

კეთილი კაციო, ხშირად უთქვამს გოგის. იქნებ მართლაც ასეა. მარინე ცდილობდა, როგორმე გამოეცნო ეს სიკეთე... მაგრამ გიორგი ლომიძე მისთვის მეტად მკაცრი აღამიანი რჩებოდა და ახლა სქელ, ქაღარა უღვაშებში ჩამალულმა დიმილმა ქალიშვილს ერთბაშად ჩაუგუბა თვალებში ცრემლი.

— აგერ, გოგოც! — სიჩუმე დაარღვია ელადიმერმა.

მარინემ გზას გახედა. ნაძვებს შორის გოგი მოარხევედა მხარბუქს. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო უკლებდა

ნაბიჯს, თითქოს ველარ გადაეწვევინა, მოსულიყო თუ არა.

შორიდან ჯუღლის მოხდობა მისსაღმა სკამზე მსხდომი. იქვე შებრუნდა და ბავშვებში გაერია, მიუალერსა პატარებს. ერთ ბიჭუნას ხელი ჩააკიდა, მეორე ზურგზე შემოსიკუპა და ასე დამშვენებული მიუახლოვდა სკამს.

მარინე წამოდგა.

სამუშაო დღე დამთავრებულიყო.

ქარხნის ეზოდან ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდნენ მუშები გასასვლელისაკენ.

ჯუღელი გიორგის მიუბრუნდა.

— ხვალ გელათისაკენ აპირებენ ამხანაგები, წამოხვალთ?

გოგიმ მარინეს გადახედა.

— წავიდეთ, კვირა დღეა და ამინდიც ხელსაყრელია!

რას იტყვი, გიორგი!

— რატომაც არა, მეც წამოვალ! — ისევ გაიმეტა დიმილი ლომიძემ.

ჯუღელი მარინეს და გოგის გამოეთხოვა. პატარებს ხელი დაუქნია და გოგისთან ერთად წავიდა.

ახალგაზრდებმა თვალებით გააკილეს მიწავალნი.

მარინემ ბავშვებს თავი მოუყარა.

მაღე დაცარიელდა სკვერი. ხელი-ხელჩაკიდებული პატარები მარინემ და გოგიმ საბავშვო ბაღისკენ წაიყვანეს.

ბავშვებს მშობლები შემოეგებენ. მარინე ბაღის შენობაში შევიდა. გოგი იქვე სკამზე ჩამოჭდა და მარინეს მოლოდინში ქარხნის საკვამლე მილიდან ბოლქვად მომავალ კვამლს უცქერდა.

ვიღაცამ ზურგს უკან სანდრო მელიას სახელი ახსენა. გოგიმ მოიხედა. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ორი მუშა საუბრობდა. ეტყობოდა, ისინი სანდროს გაეჯავრებია. გაიძვერა და არაკაციო, ზემო იმერულად უქცევდა ერთი მათგანი.

— რას ერჩი, რა დაგიშავა? — ეკითხებოდა მეორე.

ისევ შეუჯერტხა მელიას პირველმა, მაგრამ მაინც არ თქვა, ასე გულდაგულ

რისთვის ლანძღავდა მომარაგების ექსპედიტორს.

— თავი დაანებე, კაცო, შგონი, განყოფილების უფროსად ნიშნავენ!

ინჟინერთს მოახლოებაზე ორივენი გაჩემდნენ.

გოგამ საჩამომსხმელო საამქროს მუშა შოთა ვარდანიძე იცნო და ხელი ჩამოართვა.

ვარდანიძემ მეგობარი გააცნო გოგის.

— ჩვენი ახალი ოსტატი!

— გივი ჩხეიძე!

— ლომიძე!

გოგის ხელი მცირე ხანს დააყოვნა თავის ხელში ჩხეიძემ. რაღაც უცნაური მონდომებით უქექრდა გოგის.

ახალი ოსტატი არც თუ ისე დიდი ხნის ჩანდა. ტანშალალი იყო და პირბმელი. შავ, შეთხელებულ თმებში ოდნავ ვარვარა ქაღარა. ჩხეიძე ისევ დაქინებით მისჩერებოდა ლომიძეს.

— მელიას რას ერჩით? — შეეკითხა გოგი.

— პირწავარდნილი აფერისტია, მავასთან სხვა ანგარიშები მაქვს.

ლომიძეს გაეცინა.

— თუ შეიძლება გკითხოთ! — მორიდებით მიმართა ჩხეიძემ გოგის. მის პასუხს აღარ დაელოდა.

— მამა გყავთ?

— მყავს! რატომ შეითხეთ?

— სამხედრო სამსახურში ყოფნისას ვიცნობდი ერთ კაპიტანს. გიორგი ლომიძეს, თქვენ მის მაგონებთ და...

— მამაჩემია, აქ მუშაობს!

ჩხეიძე სიხარულისაგან შეხტა.

— რას ამბობთ, მოხუცდა?

ისევ გაეცინა გოგის.

— არა, მხნედ არის, თმა გაუთეთრდა მხოლოდ.

— მე ალბათ აღარ ვეხსომები, ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია... თუ არ შეწუხდებით, გთხოვთ, მოკითხვა გადასცეთ.

— გამდლობთ, გადაეცემ, თქვენც ინახულეთ!

— მე აქ ახალი კაცი ვარ. ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნიდან გად-

მოვედი. რუსთაველიც ვმუშაობდა ერთ ხანს.

— რატომ გაუჯავრდით ზესტაფონს?

— ოჯახობამ აჯობა პატივცემულ გოგი. ქუთაისელი ქალი შეირთო და აქ ამჯობინეს ცხოვრება.

— ხვალ გელათში მივიღვიართ, მამაც იქნება. თქვენც წამოდით!

— წავიდეთ, შოთა! რას იტყვი?

— წავიდეთ!

ამ დროს საბავშვო ბაღიდან მარინე გამოვიდა. გოგამ ბოდიში მოუხადა ორთავეს, ხელის ჩამორთმევით გამოეთხოვა, მარინესთან მივიდა და მკლავში ხელი გამოსდო.

გასასვლელისაკენ გაემართნენ.

დიდხანს უქექრდა ჩხეიძე ხეივანში მიმავალ წყვილს.

— მისი მუშაობა? — ჰკითხა მან შოთას.

— არა; საცოლე!

— მამის ასლია, სწორედ ასეთი ზორბა იყო გიორგი ლომიძე ამ ოციოდე წლის უკან.

თავი მახუთი

ა ლ ბ ა ტ ი

კარებზე მორიდებით დააკაუნეს. მარინე საწოლში შეინძრა. წამოიწია. პირველად კედლის საათს გახედა.

დილის 9 საათი სრულდებოდა.

კაქუნი განმეორდა.

„ალბათ, გოგია“, — გაიფიქრა მარინემ, წამოდგა, თბილ ქოშებში ფეხი გაუყარა. ხალათი ნაუტბათევად მოიხურა, კარებთან მიიბრინა და გასაღები გადააბრუნა. თვითონ კი საწოლისაკენ გამოიქცა.

გოგამ სწორედ მაშინ შემოაბიჯა ოთახში, როცა მარინე ხალათის ჩაცმას ჩქარობდა. მისდაუნებურად დაუცურდა მხრებიდან ხალათი, ეს დაინახა ვაჟმა და გაქვავდა.

პირველი სურვილი, რაც იმ წამში დაეებადა, უკან გაბრუნება იყო, მაგრამ მოულოდნელობისაგან დაბნეული ადგილიდან ვერ იძროდა. თვალები გაფართოებოდა და მონუსხულივით მიჩერე-

ბოდა ქანდაკებით ჩამოსხმულ ქალიშვილის ტანს. მარინეს მხრები უფროთოდა. ასე არასოდეს არ უნახავს იგი ლომიძეს. გული მაინც შებრუნებას და ოთახიდან გასვლას ითხოვდა, თავად კი ნელა მიიწვედა საწოლისაკენ.

მუხლები უკანალებდა და საკუთარი გულის ბავა-ბუვი აშინებდა. მაინც მოკრძალებით დგამდა ყოველ ნაბიჯს და რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი მათ შორის, მით უფრო მატულობდა გულისცემა და მღუღეარება.

მარინე ჩქარობდა, ზურგით იდგა გოგისაგან და ცდილობდა, როგორმე ჩაეცვა ხალათი, მაგრამ სიჩქარეში ვერას-გზით სახელოში ხელი ვერ გაუყარა. ამან კიდევ უფრო მეტად დააბნია და მისდაუნებურად გოგისაკენ შებრუნდა.

მხოლოდ წამით შეხვდა მისი თვალები ვაჟის თვალებს.

მათ შორის ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ვაჟმა ძალდატანებული სიმშვიდით ჩაჰკიდა მხრებში ხელი ფერდაკარგულ ქალიშვილს, რომელიც თითქოს და იატაკზე მილურსმულიყო, იდგა, თრთოდა და ელოდა...

თავდაც მთელ სახეზე ცეცხლი წაქედნებოდა ლომიძეს. მსუბუქად, ფრთხილად და მორიდებით ოდნავ მიიზიდა ქალიშვილი და მაინც შეკრთა და აცანცახდა იგი.

რა ხდება? ვისი ხელეზია მარინეს მხრებზე?

ჰო, ეს გოგია, მისი სიყვარული, მისი ჩუმი და სანდო მეგობარი. რა ვუყოთ, ხელები თუ უკანალებებს, ეს მისი შინაგანი ცეცხლის ბრალია. რამდენი ხანი უყვართ ერთმანეთი, რამდენი ხანია ერთი სიცოცხლითა და ერთი სურვილით ცოცხლობენ, მაგრამ საკოცნელადაც არ წაწვეულა გოგი, და ახლა...

— მარინე!

ნუ თუ ეს ლომიძის ხმაა...

თვალი გაუსწორა წამით, მხოლოდ ერთი წამით და ასე უბრალოდ, მაგრამ ახალგაზრდული მოწყურებით ჩაეკერნენ ერთმანეთს.

რადაც გაუგებარს ჩურჩულებს ვაჟი...

რადაც საალერსოს ბუბუბუებს ქალი და ჰკოცნის, ჰკოცნის თავდავიწყებით. ვაჟი ბორგავს. ქალის ყოველი კოცნა ნაკვერჩხალოვით სწვავს ლოყებს, შებლს, ტუჩებს... თავდაც თავშეკავებულიად ჰკოცნის ქალის აღმოდებულ ლოყებს...

მოსკდა ნიაღვარი, ახალგაზრდული გრძობის ნიაღვარი და არც ერთი არ აპირებს მის შეკავებას.

ხალათი მხრებიდან დაეცურდა და საწოლზე გადაეფინა.

აატარა ბავშვივით აიტაცა ქალი და ძკლავებზე გადაიწვინა. დიდი სარკის წინ მივიდა.

შელის ნუკრივით ცახცახებს ქალი ვაჟის ღონიერ მკლავებში. სადღაა განსჯის უნარი. სუნთქვა უჭირს, იღრჩობა.

ო, რა წუთებია...

და მართლაც, რა ხდება მარინეს პატარა ოთახში?

„ჩემო მარინე, ჩემო მარინე! — ბუბუებს ლომიძე.

ეუცნაურა ეს ხმა, მაგრამ ნუთუ უნდა მიწებდეს მის ძალას?

გამოერკვა.

ნახად მოიშორა ვაჟის მკლავები, დინარა და ხალათს დასწვდა. იმ წამსვე ერთხელ კიდევ იგრძნო ვაჟის ტუჩების ცეცხლი.

გოგი შებრუნდა და კარებისაკენ გაემართა.

— ქვევით დაგელოდები! — თავი მი-აბრუნა კარებიდან გასვლისას. მორცხვად ახედა საცოლეს და თავი ჩაღუნა. გოგიმ კარები გაიხურა და როგორც კი მისი ფეხის ხმა მიწვდა. იმავე წამს საწოლზე დაემხო მარინე. კარგა ხანს ასე დარჩა გაუნძრევლად. მერე ზანტად წამოდგა, ტანსაცმელი მოიძია და გაემზადა.

ლომიძე ქუჩის პირას, ჭადრის ხესთან იდგა და პაპიროსს აბოლებდა.

ჩუმად იდგნენ ქარხნის ვეუბერთელა კორბუსები. მზე მიდგომოდა საამქროთა უზარმაზარ ფანჯრებს.

უცნაური სიწყნარე იყო აეტოქარხნელთა უბანში. ხანდახან ქალაქიდან მო-

მავალი მანქანა გაიშლივინებდა ქუჩაზე და ეს არღვევდა მყუდროებას.

კვირა დღე იყო, მზიანი და ნათელი. მარინემ ფრთხილად გამოსდო ხელი მკლავში გოგის. ერთმანეთს გაუღიმეს და ავტობუსის გაჩერებისაკენ გაემართნენ. მალე ჩამოდგა ავტობუსიც, შევიდნენ და თავისუფალი ადგილები დაიკავეს.

„ზომ არ მიწყრებაო“, — ფიქრობდა გოგი.

— მარტო ჩვენ მიედივართ? — იკითხა მარინემ.

— მოედანზე იკრიბებიან, მგონი, დავაგვიანეთ! — უპასუხა გოგიმ და ქალიშვილის პატარა თითებს მიუაღერსა.

ერთ-ერთ გაჩერებაზე ლალისა ამოვიდა. თვალის ერთი მოვლებით შეათვალიერა მგზავრები და მხერა გოგიზე შეაჩერა. ყველა სკამი დაკავებული იყო. ლომიძე წამოდგა და თავისი ადგილი ბერიძის ქალს შესთავაზა. ოდნავ თავდაკვრით მიესალმა ლალისა მარინეს და ჩამოჯდა.

— გელათში აპირებთ? — გაბზარული ხმით შეეკითხა იგი მარინეს.

— დიახ, თქვენც მოდიხართ?

— მინდა წამოვიდე, თუ მანქანაში ადგილი იქნება! ეს თქვა და გოგის ორბროვნად ახედა.

— როგორმე მოვეწყობით!

ლომიძე ქალიშვილების საუბარს ისმენდა, იდგა და ერთმანეთს ადარებდა მარინესა და ლალისას.

მარინეს საზაფხულო კაბა ეცვა. უქულოდ იყო და ხვეული წაბლისფერი თმა ოდნავ აშლოდა. დიდრონ თავლისფერ თვალეში ბედნიერების სხივი ჩაღვრილიყო. პატარა, ლამაზი ტუჩები ოდნავ გახსნოდა, იღიმოდა და ბროლისფერ კბილებს აჩენდა.

ლალისა კიდევ უფრო მსუბუქად მორთულიყო. მოხდენილად შეკერილი კაბა შეენოდა. თავზე სალათისფერი ქუდი ეხურა. თმა კობტად აეკეცა შუბლთან. ისიც იღიმებოდა, მაგრამ თვალეში სევდა მეტი იყო, ვიდრე სიხარული.

ნათელი, მზიანი დღე იდგა.

ავტობუსი რახრახით მოწვევდა წინ. თეთრი ხიდი რომ გადაიარეს, პირველსავე გაჩერებაზე ჩამოვიდნენ ფეხით გააყენენ მოედნისაკენ.

მანქანა წამოეწიათ.

შოფრის გვერდით გივი ჩხეიძე იჯდა. როგორც კი მოჰკრა ლომიძეს თვალი, შოფერს მანქანა გააჩერებინა, ჩამოვიდა და მისალმების შემდეგ გოგის უთხრა:

— გელათში მიბრძანდებით?

— ვაპირებთ, მაგრამ მგონი, დავიგვიანეთ!

— მობრძანდით!

— მარტო ხარ?

— შოთას ველოდი, ვარდენიძეს, არ მოვიდა და თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, უკანვე მინდოდა გაბრუნება.

გოგი მარინესა და ლალისას შუამოეწყო. გივი კი ისევ შოფრის გვერდით დაჯდა.

— თუ ძმა ხარ, ნელა იარე, არსად მიგვეჩქარება! — მიუბრუნდა იგი შოფერს.

— იქნებ მეგზურობა გავციწოთ, გოგი! — თავი არ აუწყევია ისე თქვა ლალისამ.

— მე რა მეგზურობა შემიძლია, იმდენი ვიცი, რამდენიც თვითეთულმა თქვენთაგანმა. თუმცა გზაში დიდად საინტერესო და საგულსხმო არაფერია. თვით მონასტერში კი პეტრე ჭაბუკიანი დაგვიხვდება. ყოვლის მცოდნე პეტრე ჭაბუკიანი, ასე თქვა გუშინ ვლადიმერ ჯუღელმა.

ჯაფარიძის ქუჩიდან მანქანამ გელათის ქუჩაზე აუხვია, მალე ქალაქს გასცდა და აღმართზე ასრიალდა. გზის ორივე მხარეს მთავორები. მიწას ზოგან თეთრი ფერი გადაჰკრავს, ზოგან მოწითალო.

ტყიბულის რკინიგზა ვადასტრეს და მდინარე წყალწითელას მიადგენ.

— ეს გელათის ძველი გზაა, — ხელი მარცხნივ გაიშვირა გოგიმ, — თუ არ ვცდები, 1888 წელს იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლის გამო გაუყვანიათ სახელდახელოდ. აქეთ კი, — მარჯვნივ მიახედა ქალიშვილები ლომიძემ, — ცო-

ტა უფრო მაღლა, მოწამეთის მონასტე-
რია, მერვე საუკუნის ძეგლი.

— თუ გნებავთ, ჭერ მოწამეთში ავი-
დეთ!

— არა, გივი, დღეს კოლექტივს ნუ
ჩამოვრჩებით, მოწამეთში ასეა სხვა
დროისათვის გადავდეთ.

— გოგი! — ჩაერია საუბარში მარინე,
— ცოტა რამ მაინც გვითხარი მოწამე-
თის შესახებ.

„შენობით მიმართავს, როგორ გაშინა-
ურებულან“, — ტუჩებზე იკბინა ლალი-
სამ.

— პეტრე ჭაბუკიანი ხომ არ გგონი-
ვართ, — გაიცინა ლომიძემ, მაგრამ მა-
ჩინეს ხათრი მაინც არ გაუტეხა.

— ძეგლი მერვე საუკუნისაა, მურვან
ყრუს შემოსევის დროინდელი. თვით
მონასტერი ახალია. იმ დროს მანდ პა-
ტრა ეკლესია ყოფილა მხოლოდ, სა-
დაც დავით და კონსტანტინე მხეიძეების
ცხედრები ჩაუტანებიათ. ამ გმირებისა-
დმი თაყვანისცემა და მოკრძალება საუ-
კუნეების მანძილზე შემოინახა ჩვენმა
ხალხმა. აკი წმინდანებადაც მიიჩნიეს.
მეტი რაღა გითხრა, ავტოინფერისაგან
ესეც ბევრია.

ქალიშვილებმა გაიცინეს.
წყალწითელას ხიდი გადაიარეს და
აღმართის წინ შეჩერდნენ.

ვლადიმერ ჭულელს და გიორგი ლო-
მიძეს მანქანა გზის პირას დაეყენებიათ
და საუბრობდნენ.

ახალგაზრდები მანქანიდან ჩამოვიდ-
ნენ.

ჭიქურ მიიჭრა ლომიძესთან გივი ჩხე-
იძე. ყველანი გაკვირდნენ, მხოლოდ გო-
გის ეღიმებოდა ჩუმად.

— გიორგი ვასილიჩ! ამხანაგო კაპიტა-
ნო!

მკლავები გაშალა გივიმ, მაგრამ ლო-
მიძის სახეზე საპასუხო ღიმილი ვერ
შენიშნა და დაიბნა.

— ვერ მომიგონეთ? მე ჩხეიძე ვარ.
გივი ჩხეიძე, მეორე ბატარეიდან...

როგორ არა, როგორ არა, ახსოვს ლო-
მიძეს მეორე ბატარეია... ბელოსტოკი.

ეს ცოცხალი, დაუდგარი ყმაწვილად
აგონდება, მაგრამ ბელოსტოკმა უფრო
მეტი, ძნელად დასაიფიცი და მოუშუშე-
ბელი იარაღ გაუხსნა. რად გაახსენა იგი
ძველმა ჭარისკაცმა, რად... მაინც რო-
გორ შეცვლილა ეს ბიჭი...

ცუდად იქცევა გიორგი, რაღაც უნდა
უთხრას, თუნდაც გაუღიმოს, ხელი ჩა-
მოართვას.

მართლაც გახსნა ტუჩები, თითქოს
გაიღიმა, მაგრამ არა, ეს თურმე სურ-
ვილი ყოფილა მხოლოდ.

— ცოცხალი ყოფილხარ, ბიჭო! —
ამოთქვა ბოლოს, როგორც იქნა, და მე-
ტი აღარ აცალა ჩხეიძემ. მივარდა და
გიორგის ფართო მკერდში ჩაეკრა.

— თქვენს ვაჟს შეგვხვდი გუშინ და ამ
წამსვე თქვენ მომაგონდით, ბატონო
გიორგი! — ჩხეიძის თვალებში ცრემლი
ბრწყინავდა.

— სად მოღვაწეობ, ჩემო გივი? —
უხერხულობისაგან თანდათან გამოერკ-
ვა ლომიძე.

— თქვენთან, ავტოქარხანაში, ახლა
ხან გადმოვედი ზესტაფონიდან.

— რომელ საამქროში ხართ? — იკითხა
ჭულელმა.

— საჩამომსხმელო საამქროში!
— ოსტატია, პატივცემულო ვლადი-
მერ, — წამოეშველა გივის გოგი.

— ომის მეგობრები ვართ, ვალოდია,
უფრო აღრინდელიც... — როგორც იქ-
ნა, გაიღიმა გიორგიმ.

— ბედნიერი შეხვედრაა!

მარინე განაბულიყო. ფართოდ გახე-
ლილი თვალებით ხან ერთს მისჩერებო-
და, ხან მეორეს და როცა გივი გიორგი
ლომიძეს ჩაეხვია, ცრემლი ვეღარ შე-
იკავა, შერცხვა, ცხვირსახოცი ამოიღო
და მანქანისკენ შებრუნდა. ლომიძეს
არ გამოპარვია მისი მოქმედება.

ახალგაზრდები თავიანთ ადგილებ-
ზე მოეწყვენენ. მანქანა დაიძრა და მალე
თვალს მიეფარა.

ვლადიმერ ჭულელმა შოფერი მოიხშო.

— ოთარ, შენც მიჰყევი მათ. მე და
გიორგი ფეხით წამოვალთ ცოტაზე.

მთლად არ მიგვატოვო, ბიჭო, თორემ მონასტრამდე ვერ ამოვალწევთ.

— წყაროსთან დაგელოდებით!

— აჰ, წყარო შორსაა, უფრო ახლო გაჩერდი.

მანქანა წავიდა. ვლადიმერი და გიორგი ნელა შეუყვანენ აღმართს.

კარგა ხანს ხმა არ ამოუღია არც ერთს. ჩუმად მიაბიჯებდნენ.

— ცხოვრებაც ასეთია, ჩემო ვლადიმერ! — გზას ვახედა ლომიძემ. — ზოგი მანქანით მიდრინავს მალა, ზოგი ფეხდაფეხ მიაბიჯებს. მიდის, არ ჩერდება, რადგან შეჩერება დაღმართზე დაშვების დასაწყისია.

ასე ვარ მეც...

ოდესღაც ცისკენ მეჭირა თვალი, ახლა... მუხლის ძვალი მაქვს გატეხილი და სიარული მიჭირს, მტკიავა და მიჭირს. განა მართო მუხლი მტკიავა? გული, გულსათვის ვერაფერი მიწამლია. აღმართი კი ასავლეულია და ვაი, თუ ვეღარ შევძლო. ვაი, თუ დავქანდე ამ შუა წლებში...

ვლადიმერ ჯუღელი ლომიძის სიტყვებში ჩააფიქრა და კარგა ხნის შემდეგ ამოიღო ხმა.

— შე და შენ სხვა წართობის ადამიანები ვართ, გიორგი. სხვა წართობის თქვა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს თავზე მძიმე წლებმა გადაიარეს. ბევრი ტვირთი ზიდეს ჩვენმა მხრებმა წარბშეუხრებლად, უწუწუნოდ. ომში ჩაკლა ჩვენში ყველაზე ძვირფასი, ახალგაზრდობა, დრო, როცა მართლაც თავაწეული დინხარ და მხოლოდ ბედნიერებაზე ოცნებობ. ომში დარჩა ჩვენი ყმაწვილკაცური სული. აღმართიც ბევრჯერ აგვივლია და დაღმართზეც დაგვშვებულვართ. უფსკრულის პირასაც ვყოფილვართ, მუხლის ძვალიც დაგვმსხვრევია, გულიც დაკოდილა და უფრო მეტიც, მაგრამ მაინც ეს გული შემოგვინახავს ვაჟკაცური, გაუტეხავი და იმედიაინი! ესაა, რომ გვამხნევებს და გვანსხვავებს ბევრისაგან.

განა არ მესმის შენი წუხილი, ჯერ ნახევარ საუუუუნესაც არ გადაგბიძგებია

და ათი კაცის სადარდო მთავიზღო ცხოვრებამ. ვაჟკაცი ხარ და არავის არასოდეს არ სმენია შენგან წუწუნნი უმართადულზე.

— შენთან მაინც ვერ შევიკავე თავი...

— ეგ არაფერია. ჩასთვალე ისე, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდო მართოდ ყოფნისას. მე უფრო მეტი ვიცი შენი ცხოვრებისა. ძნელი გზაა, მართლაც ძნელი, მართლაც აღმართია და მაინც ბედნიერი ხარ, რადგან გოგია გიდას გვერდში. ნუ სცოდავ, თავი ნუ მოგიკვდება. შეილის ერთმა ლომილმა უნდა დაგავიწყოს ყველა წუხილი. დაფიქრდი და უკეთ განსჯი. ზოგს, ჩემო გიორგი, აღარაფერი დარჩა გასახარელი, მაგრამ თავი არ მოუტლავს და არც არავისათვის შეუჩივლია საკუთარი ნაღველის გამო.

გიორგი ლომიძე ფიქრობდა:

„მართლაც არასოდეს სიტყვა არ დასცდენია ვლადიმერს თავის წარსულზე. ეტყობა, არც თავადაა დაღმარებული, მე კი თავი მოვაბეზრე“.

— უთქვამთ, — წამოაწყობ ძველ ჯუღელმა, — კაცს რომ მწუხარება დასთურგნის, მანამ ვერ მოისვენებს, სანამ ამ მწუხარებაზე მეტს არ ნახავსო და რაკი შენ შენი დარდი გამიმხილე, მეც გეტყვი ჩემსას...

— რალაც ვერ გამომივიდა კარგად და მამატიე!

— არაფერია, ჩემო გიორგი, ჩვენ ვალდებულიც ვართ ერთმანეთთან გულახდილნი ვიყოთ.

— მოდი აგერ, ამ ქვაზე ჩამოვსხდეთ!

— დაილაღე, გიორგი?

— ცოტა დავილაღე და ეს გულიც...

ტანაყილ ნიგუზის ძირას მიდებულ ლოდზე ჩამოსხდნენ.

ვლადიმერმა პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

შორს, გორაკზე, უკვე ფოთლებზეყვითლებულ ტყეს გასტყვართა ჯუღელი. ფიქრით კი სულ სხვაგან იყო...

— ეს მოხდა დასავლეთ უკრაინის ერთ პატარა სოფელში, — დაიწყო მან. — კვირა დღით დაბომბეს ლეოვი. მიწასთან გაასწორეს ეს მშვენიერი ქალა-

ქი. მე ბატალიონის კომისარი ვიყავი. ცოლ-შვილიც იქ მყავდა იმ დროს და ლეოვიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით ვიდექი სოფელში.

ბიჭი ორი წლისაც არ იყო მაშინ, სწორედ იმ ხანებში ამოიღდა ენა და ტიტინებდა უსასრულოდ. ბედნიერი მაშინ ვიყავ, გიორგი. ხან მუხლზე დავისვამდი, ხან კისერზე შემოვისკუბებდი ჩემს შალიკოს და დავარბენინებდი ეზოში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ჯუღელი. ხანდახან პაპიროსს ორჯერ სამჯერ მოქაჩავდა და პირიდან ბოლქვად უშვებდა კვამლს.

— განგაშის ხმაზე წამოვდექი და სწრაფად ჩავიციე. გუმანით მიგხვდი, რომ რალაც დიდი უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავზე. შეუღლეს ორიოდ სიტყვა ვუთხარი და ბიჭთან მივედი. ეძინა. პატარა ტუჩები მოკუმბა და სუნთქავდა ზომიერად. დავისხარე და ვაკოცე, ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ...

სახლიდან გამოვვარდი. თენდებოდა. ცაში მტრის თვითმფრინავები ირეოდნენ და საშიშად ღმუროდნენ. ცეცხლში გახვეულიყო ლეოვი. ჭიშკართან მისულმა, ერთხელ კიდევ მოვიხედე იმ ოთახისაკენ, სადაც ჩემს პატარას ეძინა და...

სახლის მაგიერ ცისაკენ ასვტილი ალი დავინახე. დავბარბაცდი და ჩავიკეცე. მალე დამიბრუნდა ცნობიერება. ძალღონე მოვიკრიბე, წამოვდექი და გივივით შევევარდი უკვე ცეცხლმოდებულ სახლში. დავრბოდი. რალაც გაუგებარს ვყვიროდი. ვეძახდი შვილს, ცოლს, ხელებს ვაფათურებდი, ვეძებდი და ვიპოვე...

კიბესთან ჩემი ბიჭის მოწყვეტილი მკლავი ეგდო. პატარა თითები მუჭად შეკვროდა. შევხედე მე უბედურმა და ხელმეორედ დავკარგე გონი.

ვლადიმერმა ისევ ბოლქვად ამოქუშვა პაპირი და კვამლი. მცირე ხანს სდუმდა.

— მერე ვიბრძოლე. ბარე ოთხჯერ დავიჭერი და არ მოვკვდი...

ბერლინშიც ვიყავი, დავესწარი იმ ბუნების დამხობას, მერე მე რა...

ლომიძე იჯდა გაფითრებული და გამ-

შრალი. ჯუღელი გაჩუმებულიყო, მაგრამ გიორგის ვლადიმერის პატარა შალიკო ედგა თვალწინ.

მძიმედ სუნთქავდა გიორგი ლომიძე.

შეგირცხვეს ვაჟაკობა, გიორგი. რამ გაზბარა შენი ხმა. რა მოხდა! რა დაკარგე ასე მოუწუნებელი! აგერ, შენს გვერდით ნიგვზის ძირას ლოდზე ზის ლოდევით კაცი. შენზე უხნესი. ნამდვილი კაცი, რომელმაც ყველაფერი დაჰკარგა. დიას, ყველაფერი, მაგრამ დღეს ამოდენა ქარხანას მართავს, ყველას პატრონობს და მამასავით ეფერება. მერე და შენ, შენ რაღა დაგემართა! ადექი, ხელი ჩამოართვი ჯუღელს, კაცს კი არა, ძელქვას, ნამდვილ ადამიანს. მხარში შეუდექი და შეჰყევით ალმართს. უტყუარი კაცი. ბევრის კი არა, ყველაფრის მნახველი და გადამტანი.

წამოდგნენ.

თავთავიანთ ფიქრებით დატვირთულბმა უსიტყვოდ განაგრძეს გზა, რომელიც სულ მალდა და მალდა მიიწევდა.

წინ გოგონები შემოეყარნენ. ხტუნვა-ხტუნვით მოდიოდნენ თავდაღმართში.

ნიგვზის ხის ტოტებზე ფოთლების მაგიერ ბედურები ისხდნენ. გზაზე ყვითელ-ყვითელი ფოთლები ეფინა.

კარგა ხანს იარეს უხმოდ და ბოლოს ისევ ვლადიმერმა ასწია თავი:

— ხედავ, გიორგი, ხვამლს? მზიანი დღე გვშველის. ოპ რა დიდებულია. აგერ, უშმა, თეთსუღი. კავკასიონის უმაღლესი ზურგი...

გიორგიმაც გახედა ხვამლს. ცოტა ხანს ასე იდგა ქანდაკივით.

ხვამლზე ფიქრობდა თუ ვლადიმერ ჯუღელზე!

თოვლიანი მწვერვალები იდგნენ ცასა და მიწას შორის. იდგნენ მთელი თავისი დიდებულებითა და სილამაზით.

დათოვლილი მთები...

მოსახვევში მანქანა იდგა. გიორგისა და ვლადიმერის დანახვაზე ოთარმა მანქანას უკან დაახვეინა.

„აგაშენა ღმერთმა, თორემ მეტი აღარ შემეძლო“, — გაიფიქრა გიორგიმ.

ჩასხდნენ. მანქანა ნელა შეუყვა აღ-

მართს. მოასფალტებულ გზაზე მანქანას სელა არ უჭირდა, მაგრამ ოთარის ხშირი მოსახვევები უჭირებდა საქმეს, თან ჭულელისა და ლომიძის ერთდებოდა.

გელათის მისასვლელთან შეჩერდნენ.

— წყაროს წყალი დავლიოთ, რას იტყვი! — მიუბრუნდა ვლადიმერი გიორგისა და ახლა შენიშნა, რომ გიორგის ფერი დაჰკარგოდა.

მანქანიდან გადმოვიდნენ.

მთის ძირიდან გრანიტში ჩასმული წყარო მოჩუხჩუხებდა. ოთარმა ჭიქა მიაწოდა ვლადიმერს. ვლადიმერმა ააგსო და გიორგის მიუბრუნდა.

— დალიე, წყალი უმცროსისა!

გიორგიმ უარი აღარ უთხრა. წყაროს წყალმა ცოტა ხასიათიე გამოუყვთა, მერე თავად დაიხარა და ვლადიმერისათვის ააგსო ჭიქა.

მალღობზე გედივით ჩანდა გელათის მონასტერი.

რძისფერი ნისლი დნებოდა მის გუმბათზე.

მონასტრის კარებთან რამდენიმე მანქანა იდგა. ოთარმაც იქვე, ნივგზის ძირას დააყენა თავისი „ბობუდა“.

ვლადიმერი ხარის დასარეკად დაწინაურდა. ქვის ბოძთან მივიდა და მავთული ორჯერ დაჭახა.

ნაუ! ნაუ!

გაისმა სადღაც ეზოში და რამდენიმე წუთის შემდეგ მუხის ჭიშკარი გაიღო.

— მიგვიღებთ, ბატონო კოლია!

— მობრძანდით, თვითონ ბატონო! ოკ, ვლადიმერი ბრძანდებით, კარგა ხანია, არ გინებებიათ აქეთ ამოსვლა! — ვლადიმერმა ხელი ჩამოართვა და გიორგის მიუბრუნდა.

— ორმოც წელზე მეტია გელათს დაჩაჯობს ეს კაცი, ხშირად სულ მართა და მონასტრის დასათვალიერებლად მოსულთ თავად ესაუბრება, ლექტორის მაგივრობას სწევს.

ლომიძის წინ ტანდაბალი მოხუცი კაცი იდგა და თეთრ ულვაშებში მორიდებით ილიმებოდა. უბრალო ხალათზე მსუბუქად შემოეჭირა ქამარი. ფეხზე

წვეტიანი კალოშები ეცვა. თავდაცვა გულიმა გიორგიმ და ხელი ჩამოართვა.

— შვილები ხომ კარვად ვყავს, კოლია?

— ცოცხლობენ, ღვთის წყალობით, ჩემო ვლადიმერ.

— პეტრე აქ ბრძანდება?

— კი ბატონო, აქ გახლავით!

ეზოში შევიდნენ. ათი წელია გელათის მონასტერი აღარ ენახა გიორგის და ამიტომ ხარბად ათვალიერებდა ყველაფერს.

ორი ნაძვი, ორი ანთებული სანთელივით იდგა პირდაპირ მონასტრის წინ.

ავტოქარხნელები უკვე ტაძარში უსმენდნენ ჰაბუკიანს. ვლადიმერმა დავით მეფის საფლავისაკენ წაიყვანა გიორგი. მიდიოდნენ საუბრით.

ვლადიმერ ჭულელი გელათის ისტორიას უამბობდა ლომიძეს.

— გელათი, როგორც მოგეხსენებათ, დავითმა აღაშენა მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს. დასრულებით მის ვაჟს დაუსრულებია, დემეტრეს.

დავით აღმაშენებლის ეკლდერში შევიდნენ და საფლავის წინ შეჩერდნენ.

თვალთ გაზომა ლომიძემ სამარის ქვა...

— ადრე, აქედან შემოდოდნენ თურმე მლოცველები. აქვე ეკიდა განჯის ცნობილი კარები. აი, ერთი ნახევარი იმ კარებისა, შეხედე როგორ შეუქმანია ჯანგსა და ღროს. ეს ჭიხურიც საგანგებოდ დავითის საფლავისათვის აუგიათ. დავითის ანდერძის მიხედვით ყოველ აქ შემომსვლელს საფლავის ქვაზე უნდა გადაეარა უცილოდ. ვინ დათვლის რამდენ ადამიანს დაუდგამს ფეხი ამ სამარეზე... ამიტომაცაა წარწერა გადაშლილი...

თამარის საფლავიც აქ უნდა იყოსო, ამტიციებს, ჩვენი პეტრე და მართლაც, ვინ იცის...

ფიქრებით დამძიმებულნი ამოვიდნენ ეკლდერიდან. დუმილით მიაბიჯებდნენ მწვანე ბალახით დაფარულ ეზოში.

აკადემიის შესასვლელთან შეჩერდა ჭულელი.

— ეს კოდი ხორბლის შესანახად ჰქონდათ წინაპრებს, სამი ვაჟიაცი ვერ შემოაწვდნენ მკლავს და ერთი თხილის ხისგან კი არის გაკეთებული. ახლა ამ ბოძებს დაუკვირდით! — ოდნავ შებრუნდა ვლადიმერი.

— ოთხი ბოძია, ოთხივე სხვადასხვა ფორმისა. უბრალო თვალის ადვილად შეამჩნევს, რომ ჩუქურთმა არც ერთ მათგანზე არ მეორდება. ეს ქართული ჩუქურთმის დამახასიათებელია საერთოდ. რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწიეს და ისევე განაგრძო ვლადიმერმა.

— აქ იყო აკადემია. საქართველოში მესამე აკადემია. აი, კათედრა, სადაც იკითხებოდა ასტრონომია და ფილოსოფია, მუსიკა და მედიცინა. აქვე ხდებოდა წიგნების გადაწერაც. ახლა ამ ჭურს შეხედე!

გიორგი დაიხარა და უხარმახარ ჭურს სარქველი ახადა.

— სამასსამოცდა ხუთი ფუთი ღვინო ჩადის შიგ, იმდენი, რამდენიც დღეა წელიწადში...

ლომიძე ჭულელს უსმენდა, თან გულდასმით ათვალეირებდა ხავსითა და სურათი დაფარულ აკადემიის ჩანაგრეულ კედლებს.

ოდესღაც აქ ჩქეფდა სიცოცხლე, ისხდნენ დიდი ქართველები, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ. ბჭობდნენ ერის ჰირვარამზე. საქვეყნო ავკარგზე, მომავალზე...

ტაძარში იმ დროს შევიდნენ, როცა პეტრე ჰაბუკიანი მსმენელებით გარს შემორტყმული იქვე, შესასვლელში იდგა ერთ-ერთი საფლავის წინ.

იდგა ტანდაბალი, ჯმუხი აგებულეების კაცი. ოდნავ მოქუტულები ცოცხალი თვალებით, ბამბის ფთილასავით თეთრი შოლიო თმები უკან გადაფინა. თითქოს თავისთავს ესაუბრებო, ისე კითხულობდა წარწერას სამარის ქვაზე.

მარიწე და გოგი პატარა ბავშვებივით გაღურსულიყვნენ. იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ პეტრეს. თითქოს უნდოდათ ყოველი მისი სიტყვა ჩაესუნთქათ.

ცოტა მოშორებით ლალისა იდგა. ჰაბუკიანს ისიც უსმენდა, მაგრამ ხანდახან თვალს გოგისაკენ გააბრუნებდა და სწორედ ამ დროს, თითქოს და განგებ ერთმანეთს გაუღიმებდნენ მარიწე და გოგი.

ბერიძის ქალი ყველაზე ადრე გამოვიდა მონასტრიდან.

მალე ყველანი ეზოში გამოეფინენ.

მზიანი და თბილი დღე იყო.

ტაძარში მხოლოდ გიორგი ლომიძე და ვლადიმერ ჭულელი დარჩნენ პეტრესთან ერთად. დაუღალავმა პეტრემ ძველ მეგობარს ხათრი არ გაუტეხა და ხელახლა დაიწყო საუბარი.

ტაძარში შებრუნდნენ.

— ქართული მხატვრობის ისტორია თავისებურია, — თავი ასწია და ტაძრის კედლებს თვალი მოავლო პეტრემ.

— რამდენადაც ძველია მხატვრობა, იმდენად მაღალია ხარისხი,

— ეს რით უნდა იყოს გამოწვეული?

— იკითხა გიორგიმ.

— როცა საქართველო მტრულად განწყობილ მუსულმანურ სახელმწიფოთა რკალში მოემწყვდა, მოსწყდა განათლებულ მსოფლიოს. ქვეყანა ყოველდღიურ რბევას განიცდიდა და ამის გამო ქვეითდებოდა ერის კულტურაც. აი, ხომ ხედავთ, — ხელი ვაიშვირა მან კედლისაკენ, — მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის პირვანდელი მხატვრობა.

ეს ფერწერის უმაღლესი ნიმუშია. აქეთ კი მეთორმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეების ნიმუშებია. ახლა ამას დაუკვირდით! — მაღლა აიხედა პეტრემ და მის მავალით მიჰბამდა გიორგიმ და ვლადიმერმა. — ეს არის გელათის მონაზაიე; მთელ მსოფლიოში ვერსად ნახავთ ამის ბადალს. მონაზაიის ხელობა ქართველებმა და ბიზანტიელებმა იცოდნენ მხოლოდ, მაგრამ ბიზანტიური მონაზაიე დიდრონი კუბიკებისაგან კეთდებოდა, ქართული კი უფრო ფაქიზი ნამუშევარია.

მხატვრობას მოვლა უნდა, საუკუნეების მანძილზე მიყრილ მტერისაგან უნდა გაიწმინდოს და გამაგრდეს ფრესკები. ეზოშიც, გვიანდელი, მე-19 საუ-

კუნეში დაყრილი ქვებია და აუცილებელია მისი გატანა. თუ შეამჩნიეთ, ბევრი დაქონილი ქონმახებიცაა და ეს არღვევს გელათის საერთო ანსამბლს.

ხახულის ხატი იკითხა ლომიძემ. გაგონილი ჰქონდა, რომ ეს ხატი გელათში ინახებოდა.

— ხახულის ღვთისმობლის ხატი რესპუბლიკის ხელოვნების მუზეუმშია ამჟამად, — უპასუხა პეტრემ.

— უძვირფასესი ხატიო, გამიგონია, და არა მქონია შემთხვევა საკუთარი თვალთ მენახა ეს დიდებული ნივთი.

— ნივთი? თქვენ მას ნივთს ეძახით? — ოდნავ ჩაიციხა პეტრემ, — რაკი ასეა, თუ არ დაგლალეთ, ცოტა რამეს კიამბობთ ამ ხატზე.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა გელათში ძვირფასი საეკლესიო ნივთების სახელოსნო დააარსა. ასეთი სახელოსნოები სამხრეთ საქართველოს მონასტრებთან არსებობდა. აქ, გელათშია გაკეთებული ხახულის ხატი. თვით ხახულის მონასტერი სამხრეთ საქართველოშია, ისე როგორც ოშკი, ბანა, ხანძთა, შატბერდი, ტბეთი და სხვა მრავალი ხახულის მონასტრიდან ჩამოუტანიათ უძვირფასესი ღვთისმობლის ხატი. დემეტრეს ბრძანებით, ხატის გარშემო გაუკეთებიათ კარელი. დახედავთ ამ ხატსა და თქვენ თვალწინ წარმოდგება შუა საუკუნეების გაძლიერებული საქართველო მთელი თავისი დიდებულებით. ფონი მთლიანად ოქროსია. ზედ ხატზე შვიდასი პატიოსანი თვალი და სამდე მიწაქრის ხატი და ჯვარი განლაგებული.

მცირე ხანს სდუმდნენ. ლომიძე ნერვიულად ატრიალებდა ხელში მოუკიდებელ პაპიროსს. სტუდენტურად მისჩერებოდა პეტრეს. უნდოდა კიდევ და კიდევ გაეგონა მისი მალღიანი ქართული.

ეზოში ამ დროს გოგი მესამეჯერ აესებდა ჰიქას წყაროს წყლით.

— დალევ? — მარინეს გაუწოდა ჰიქა.

— არა, არ მინდა!

სამრეკლოს ახლო ნიგვზის ძირას განცალკევდნენ.

— რა უცნაურად დაიწყო დღევანდელი დღე, გოგი...

— მიწყრები?

მორცხვად ახედა საცოლემ და პასუხი არ ვასცა. მცირე ხანს სდუმდა. მერე ჩურჩულით დაიწყო. ლაპარაკობდა სვენებსკენებით, მკაფიოდ. ყოველი სიტყვის თუ აზრის გამოთქმის წინ ფიქრობდა. გოგი უსმენდა და ოდნავ გაკვირვებულად ჩანდა.

— მე ქართველი ვარ, გოგი. თბილისში გაზრდილი, ქართულ ენაზე, ქართულ ჩვეულებებზე გაზრდილი. უმაღლესი განათლება მიმიღია და უკითხავი ქალიც არ უნდა ვიყო. გელათშიც ვყოფილვარ რამდენჯერმე, მაგრამ, რაც დღეს ამ ადამიანისაგან მოვისმინე, ეს უფრო მეტია. ამ დღეს მე ვერ დავივიწყებ...

— პეტრეზე ამბობ?

— ჰო, რა დამაჯერებელი საუბარი იცის. თავად სათნო ადამიანს, ხმაც ტკბილი აქვს და სათნო. უსმენ და გიპყრობს, გაჯადოებს. დადის ამ წმინდა ალაგზე. ამ დიდებულ ტაძარში უბრალოდ ჩაემული, უბრალო კაცი, მართლაც როგორც წმინდანი, როგორც ფეხადგმული პატიოსნება. მაინც რა წარსულია. ზღაპარი მგონია ყოველივე აქ თქმული და გაგონილი. შენ, შენ რას გრძნობდი, გოგი?

თვალეში ჩასცქეროდა ოდნავ გაფითრებულ ქალიშვილს გოგი და უხაროდა. ამ წუთში მარინე ერთიორად გაიხარა მის თვალში.

— მართალი ხარ, ჩემო მარინე. როცა გელათში ამოდიხარ და უცქერი ამ დიდებულ ტაძარს, მშვიდდები და თან მალდები სულიერად. ამაცობ, ფრთები გესხმის. ვინდა უკეთესი იყო ყველაზე კარგი იყო.

ისევ პეტრეს გარშემო შეჯგუფდნენ ყველანი.

— ეს ქვა ერთ ბერს ეკუთვნის. სიციოტხლის უკანასკნელი 40 წელი ხმის ამოუღებლად გაუტარებია უბედურს.

— რატომ? — წამოცდა მარინეს.

— ალექსა, შეილო. სინუშის ალექსა მიუცია ღმერთისათვის, ახლაც დუმს. არავის ეუბნება, წამომავყენეთო და კია ასე წაჩოქილი, — წაიხუმრა ბოლოს პეტრემ.

ვლადიმერ ჭულელი მონასტრის გაღმა, უკვე შეყვითლებულ ტყეს გასცქეროდა.

— თითქოს განგებ გაუშენებით ეს ტყე, როგორც მცველი და დამამშვენებელი გელათისა.

— ოჰ, ეგ კარგია, მაგრამ ერთხელ მაგ ტყის აჩეხვაც კი დააპირეს, — თავისთვის ჩაილაპარაკა პეტრემ.

— რას ერჩოდნენ!

— რა ვიცი. რამდენი უჭკუო დაბადებულა ამ ქვეყნად...

მოსაუბრეებს გვი ჩხეიძე მიუახლოვდა. იგი კარგა ხანს იდგა ჩუმად და მხოლოდ მაშინ მიმართა ვლადიმერს, როცა საუბარი დაამთავრეს.

— პატივცემულ ვლადიმერ! ნუ გვეტყვით უარს, წამობრძანდით, ვისადილოთ!

— დაეულოცოთ სუფრა ახალგაზრდებს, რას იტყვი, გიორგი!

— თქვენი ნებაა!

— წაიღეთ, ჩემო პეტრე, გელათი ვალდებულებოთ!

ეს თქვა ვლადიმერმა, პეტრეს მკლავში ხელი გამოსდო და ტაძრის სამხრეთით ერთ განცალკევებით მდგომ სახლისაკენ წაიყვანა.

ყველანი მათ მიყვნენ.

კარგა მოზრდილ ოთახში ორი მაგიდა ერთმანეთზე მიედგათ. მაგიდები საესე იყო ხაჭაპურებით, მჭადებით, მოხარშული ქათმებით და მწვანელით.

ლალისა დისახლისობდა.

ჩხეიძემ საესე სასმისი მიაწოდა ვლადიმერს და უთხრა:

— ქურის ღვინოა, ბატონო ვლადიმერ! მამამ ჩამომიტანა ამასწინათ არგვეთიდან.

დიღხანს არ შეწყვეტილა სადღეგრძელოები. მოგვიანებით გვი ჩხეიძემ სუფრაზე „მრავალყამიერიც“ შეაპარა.

ლოყები აწითლებოდა ლალისას, რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია და ოდნავ უბრუნოდა თავი.

ლამდებოდა, როცა მანქანაში ჩასხდნენ.

ბერიძის ქალი გოგის გვერდით აღარ იჯდა.

ისევ დნებოდა ნისლი ტაძრის გუმბათზე.

ისევ გედევით ჩანდა გელათის მონასტერი.

მალე გამოჩნდა გაჩირაღდებული ქუთაისი. თეთრ ხიდს უწიეს, გაბაშვილის გორასთან უცნაურად კიაფობდნენ ელნათურები. თითქოს ვარსკვლავებით მოქედილი ცის ერთი ნაწილი მიწაზე დაშვებულიყო და რიონის ხეობაში ისვენებდა.

გოგიმ კარებამდე მიაცილა მარინე. უნდოდა მცირე ხნით მიინც შეჭყოლოდა ოთახში, მაგრამ ცოტა ნასვამი იყო და ქალიშვილმა დაუშალა.

გულთბილად გამოეთხოვენ ერთმანეთს.

მძიმედ დაეშვა კიბეზე ლომიძე. ქუჩაში გამოსულმა ქუდი მოიხადა. ცრიდა და ოდნავ სციოდა კიდეც. წვიმის წვეთებს საზე შეუშვია, ეამა. ქუჩაზე არავინ ჩანდა.

მიღირდა, მიბაიჯებდა ახალგაზრდა კაცის მხენ ნაბიჯით. რალაც გაუგებარს ღიღინებდა.

მოსაწვევთან ვილაც გადაუდგა უეცრად, მისდაუნებურად მხრებში ჩაჰკიდა ხელი, ლალისა შეიცნო და გაუქვირდა.

— აქ საიდან გაჩნდი?

— შენ გელოდი!

— მართლა! — გაიცინა გოგიმ.

— რად იცინი, მე არ ვხუმრობ. შენ გელოდი! — ოდნავ კანკალებდა ბერიძის ქალის ხმა.

— რატომ, — გულუბრყვილოდ ჰკითხა გოგიმ. პასუხი არ გაუცია ლალისას. იდგა და პირდაპირ თვალებში უცქეროდა ვაჟს. მთავარ ქუჩიდან სინათლე აღწევდა და გოგიმ შენიშნა, ფერი

დაპყრობდა ლალისას. ბოროტად იღი-
მოდა, უცნაურად კვესადნენ მისი თვა-
ლები.

— რატომ? რატომ? — ხმას აუწია
ლალისამ, მაგრამ გოგომ აღარ აცალა,
მკლავში ხელი გამოსდო ბერიძის ქალს
და თითქმის ძალით მიიყვანა ბინამდე.

— გოგი!

— ახლა არაფერი მითხრა, სხვა
დროს... — ოდნავ უხეშად უპასუხა და
სახტადდარჩენილ ქალიშვილს გაშორდა.

თავი მთავარი

პირველი

გვიან გამოვიდა ქარხნიდან გიორგი
ლომიძე. ვლადიმერ ჯუღელის კაბინეტ-
ში იჯდა კარგა ხანს. პარტიული კომი-
ტეტის მდივანთან საუბარს რომ შორჩა,
შვილთან უნდოდა შეველა. გოგი დილი-
დან საღამომდე თავის პატარა ტრაქ-
ტორს, რომელიც უკვე „რიონის“ სახე-
ლით მონათლეს, უქირავებდა. ტრაქ-
ტორი უკვე ფეხს იდგამდა. „რიონით“
მთელი ქარხანა იყო დანტერესებული.
დღე არ გავიდოდა, რომ გოგისთან ვის-
მეს არ შეველო. მთავარ კონსტრუქტო-
რიდან დაწყებული, უბრალო მუშამდე
ამ დღეებში ყველა ამ პატარა ტრაქ-
ტორზე ფიქრობდა. ამ ევებერთელა
ქარხანაში იგი ბავშვების სათამაშო
მანქანად მოსჩანდა, მაგრამ ყველა
გრძნობდა, რომ „რიონს“ დიდი მომავა-
ლი ჰქონდა. თავად დირექტორი აუცი-
ლებლად შეივლიდა დღის ბოლოს, გო-
გის ტრაქტორს ჩაართვევინებდა და თა-
ვისი ხელით გაატარებდა სათავსოში.
თითქოს მზად იყო „რიონი“, ასე ეგონა
ყველას, მაგრამ გოგი რატომღაც არ
ჩქარობდა. კიდევ აზუსტებდა, ყოველ
წვრილმანს ითვალისწინებდა, თვითე-
ულ დეტალს მეათეჯერ ამოწმებდა.
ტრაქტორი ყველას მოსწონდა, თავად
კი ჯერ მთლად კმაყოფილი არ იყო.

ახლაც დაბალ სკამზე იჯდა გოგი,
რადაცას ქლიბავდა თავისი ხელით. კა-
რის ჭრილიც არ გაუგია. კარები გიო-

რგიმ შემოალო, მაგრამ სათავსოში არ
შესულა. ერთხანს უცქერდა საქმიო
გართულ შვილს. უნდოდა შესულიყო,
მიხმარებოდა, რაიმე ერჩია, მაგრამ არა,
კარები ფრთხილად გაიხურა და წავიდა.
ეზოში გამოსულს შესცივდა. მართა-
ლია, დილიდანვე თოვდა, მაგრამ დღის
განმავლობაში ამდენ თოვლს თუ დას-
დებდა, არ ეგონა. პალტოს საყველო
აიწია.

თოვდა ხევერიელად. სულ რაღაც
ათიოდე წუთში ჭულზე სქლად დაეფი-
ნა თოვლი. სიარულში შეხურდა და ახ-
ლა ფანტელები სახეზე რომ ეცემოდ-
ნენ, სიამოვნებდა კიდევ.

შორეული წარსული მოაგონა ხამ-
თარმა.

დასავლეთ ბელორუსია. ბელოსტო-
კი. დათოვლილი ნაძვები. ჯარისკაცუ-
რი ცხოვრება. არკადი ტიაპკინის ოჯა-
ხი...

მიდიოდა, გაუყვალავ თოვლში მია-
ბიჯებდა და მხოლოდ ამ მოგონებებს
უტრიალებდა გონება.

ბელოსტოკი, არკადი ტიაპკინის ოჯა-
ხი...

ოთახის კარებს რომ მიადგა, მაშინ
გამოერკვა ჭული მოიხადა და მუხლებ-
ზე დაიბერტყა, მერე პალტოს ღილები
შეიხსნა და მხრები შეარხია.

სიცივისაგან გაყინული ხელები დიდ-
ხანს აფათურა ჭიბეებში, გასაღებს დაე-
ძებდა. როგორც იქნა, იპოვნა, მაგრამ
ვერ იქნა და ვერას გზით გასაღები კა-
რებს ვერ მოარგო. ხელებზე დაიოროთქ-
ლა შეისევნა და ისევ დაიწყო ჩხიკინი,
მაგრამ ამაოდ. გული მოუვიდა. გასა-
ღებს დაუკვირდა, ხომ არ შემცვლიათ.
მაგრამ არა, ეს სწორედ თავისი ბინის
გასაღები იყო.

„დავებრდი, ნამდვილად დავებრდი“,
— გაიფიქრა გიორგიმ და გაიღიმა. ისევ
დაიოროთქლა ხელებზე და გასაღები სა-
კეტში გაუყარა. ხან ერთ მხარეზე გა-
დააბრუნა, ხან მეორეზე, დიდხანს უჩხი-
კინა, მაგრამ კარები მაინც ვერ გააღო.
უფრო გულდაგულ დაუკვირდა საკეტს.
ლითონზე განაფხაპი შენიშნა, თითქოს

ვიდაცას ეწვალეზინოს საკეტი. არც ამისთვის მიუცია დიდი მნიშვნელობა, ერთხელ კიდევ სცადა ვაღება და, როგორც იქნა, ეშველა. ოთახის სითბო ესიაშოვნა და საკეტი იმ წუთსავე მიავიწყდა. სწრაფად გაიხადა პალტო, სოცარ დაღლილობას გრძნობდა. უნდოდა მიწოლილიყო, მაგრამ თანაც შიოდა. მეორე ოთახში გავიდა და იეახშემა.

ნავახშემეც უკვე აღარ უნდოდა ჩაწოლა. გამობრუნდა, ოთახში გაიარგამოაიარა და წიგნების კარადასთან შეჩერდა, ერთი სქელყუდიანი წიგნი გამოილო, მაგიდას მიუჭდა, ვადაფურცლა კიდევც, მაგრამ უცებ შვილის ნახაზები გაახსენდა. იცოდა, მაგიდის ქვედა უჯრაში ინახავდა გოგი ამ ნახაზებს. უჯრა გამოალო და ფაქიზად შეხვეული ნახაზები მაგიდაზე დადო. პაპიროსს აბოლებდა და თან ნახაზებს ამოწმებდა, გულდასმით უკვირდებოდა, სინჯავდა.

თოვდა. ფანჯრის მინებზე სქლად ეფინა თოვლი. გიორგი წამოღდა, პაპიროსი ჩააქრო, მეორე ოთახში გავიდა და საწოლზე ჩამოჭდა. ასე იყო ერთხანს, მერე ბალიშზე მიწვა და ხელები თავქვე ამოიწყო. საწერ მაგიდაზე პატარა სოკოს მსგავი ნათურა ენთო. გარეთ კი თოვდა განუწყვეტლივ. იდგა მართლაც სამარისებური სიჩუმე და სწორედ ამ დროს, ამ სიჩუმეში კარის საკეტმა ფრთხილად გაიხრჭირა. გიორგიმ ჯერ ყურადღება არ მიაქცია. ისევ გაფაჩუნდა რაღაც და კარმაც გაიხმაურა. ახლა გარკვევით მოესმა გასაღების ჩხაკუნი. „აღმათ გოგია და ჩემსავით წვალობს“, — გაიფიქრა გიორგიმ, ერთხანს აცალა, მერე უგუნებოდ წამოღდა და მეორე ოთახისაკენ გაემართა.

ღია კარებში ვიდაც იდგა, მაგრამ ეს მისი შვილი როდი იყო... თვალებით გახვრიტა კარებში ატუხული უცნობი.

— ვინ ხარ?

უცნობი დაიბნა და, როგორც გიორგიმ შენიშნა, გაქცევაც კი დააპირა, ტანმადალი, ფერმკრთალი ახალგაზრდა იყო, ცალ მხარეზე ოქროს კბილი უჩანდა. კარის სახელურისთვის ხელი ჩავე-

ლო, მთელი ტანით კანკალებდა, ეტყობა ვერ გადაეწყვიტა გაქცეულიყო თუ გიორგის თავს დასხმოდა. ლომიმე თვალს არ ამორებდა უცნობს და ხელი მიიწვედა მისკენ. უცებ უცნობმა ხელი პიჯაკის შიგა ჯიბეზე იტაცა, იქედან კარგა მოგრძო დანა ამოილო და თვალის დახამხამებაში ლომიდეს ესროლა. გიორგი მიუხვდა და ყმაწვილკაცური სისხარტით დაიხარა, დანა წიგნების კარადის მინას მოხვდა, მინა ჩამსხვრა. გიორგიმ ისევ სხარტად წამოიწია და ორი ნაბიჯით უცნობთან გაჩნდა, უნდოდა ხელი ეტაცა, მაგრამ იგი ხელიდან დაუძვრა, კატასავით მიანტა მავიდაზე ანთებულ ნათურას და ჩააქრო. ბნელაში დარჩენილმა გიორგიმ მეტი ვერაფერი მოისახრა და კარები ჩაქეტა. თავადაც გაფინიანდა და გადაწყვიტა, სიცოცხლის ფასად რომ დაჯდომოდა, ქურდი შეეპყრო. უცნობი იატაკზე ხელებს აფათურებდა, აღმათ დანის პოვნა უნდოდა, მაგრამ ლომიდემ არ აცალა. ერთმანეთს შეებნენ. ქურდი კარებისაკენ გაიქცა.

— კარები დაკეტლიო, აქედან ვერსად წახვალ! — შეუყვირა გიორგიმ. ქურდი ქლოშინობდა, ხან საეარქელს იფარებდა, ხან სკამს, პასუხს კი არ აღევდა, ცდილობდა, როგორმე გამძვრალიყო ოთახიდან. გიორგი საწერ მაგიდასთან მივიდა და დიდის წვალებით პატარა ნათურა მოიძია და აანთო. უცნობი კარებთან იდგა და მთელი ძალით ექიდებოდა კარის სახელურს. გიორგი მასთან გაჩნდა, უცნობმა ჯერ უკან დაიხია, მერე ჯიბეში მოიფათურა ხელი, მაგრამ გიორგის მისი უკვე აღარ ეშინოდა.

— ჩამომეცალე! — შეპყვირა ქურდმა და წელში მოიხარა, თითქოს ნახტომისათვის ემზადებოდა.

— ვინა ხარ?

— ეგ შენი საქმე არ არის, გამიშვი!

— ამ შუალამისას აქ რა გინდა? — თვალები დაუბრიალა ლომიდემ.

— გამიშვი, მეთქი! — განწირულის

ხმით დაიძაბა ქურდმა და გიორგისაკენ წაიწია.

— არ გაგიშვებ!

— შენი თავი მაინც შეიკოდე!

— ჯერ მითხარი, რა გინდა, რისთვის მოხვედი!

ქურდმა მწარედ ჩაიციინა.

— რა მინდა? ფული, გესმის ფული!

— ფული? სხვისი ფული?

— საკუთარი მე არა მაქვს!

— არა გაქვს და იშრომე, ქურდობა, ავანაყოობა კაცის მოკვლა რამ გაგაბედვინა? — ხმას ოდნავ დაუწია გიორგიმ.

— გზა მომეცი მეთქი, კეკე სტუდენტებს ასწავლე! — ეს უთხრა და სკამს ხელი მოავლო. გიორგიმ ხელზე ხელი სტაცა და სკამი დააგდებინა.

— გულს უნდა მოერიო, ბიჭო!

— გამიშვი!

— სახლში შემომივარდი, არ დამინდე და გაგიშვა! ვერა, ძმობილო!

ქურდმა მუჭზე იკებინა.

— ვაი, რომ დანა დაგაცილე!

— არ მეტყვი, ვინა ხარ?

უცნობი მთელი ტანით გაიმართა, ლომიძეს ორიოდ ნაბიჯით მიუახლოვდა და კბილებში გამოცრა:

— ან გამიშვი, ან და...

— ან და რა?

— დაუძახე მილიციას, აიდე, დარეკე, დამიჭირე, ჩამომახრჩე! დარეკე მეთქი! — ერთბაშად არაადამიანური ხმით შეჰყვირა მან. თვალები გადმოკაკლოდა მთელი ტანით ცახცახებდა და გიორგის შესაქმელად მისჩერებოდა. ერთ ხანს დაყინებით უცქირა ლომიძემ ავანაკს. უცნობი თვალს არ აშორებდა გიორგის, ხან ტელეფონისაკენ გაიხედავდა.

— დარეკე მეთქი! — ისევ შეჰყვირა მან.

ლომიძემ მხოლოდ თავი გადააქნია და პასუხი არ ვასცა.

— დამცინი? ვითომ არ გინდა დარეკო? მაშინ მე თვითონ... უცნობი ტელეფონს მივარდა და ყურმილი ხელეში ჩაბღუჯა. გიორგი მშვიდად მიუახ-

ლოვდა, ყურმილი ხელიდან გამოგლიჯა და ტელეფონზე დასდო.

ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

გიორგიმ კრემლის ნასახი შენიშნა მის თვალეში. უცნობი ერთხანს ხმას აღარ იღებდა, თითქოს შეგუებოდა თავის ბედს, თითქოს მორჩილად იდგა, მაგრამ უცერად ისევ მთელის ხმით დაიყვირა, არა ეს უფრო დაბლაღვლება იყო.

— დაურეკე, დამიჭირე, თორემ, აი იმ ფანჯრიდან გადავხტები, დაურეკე!

ეს კი დაიჭერა ლომიძემ. მხარზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა:

— დამშვიდდი ბიჭო, ჩემი ნუ გეშინია...

— მე არავისა არ მეშინია, დაუძახე მილიციას!

— მოვესწრებით, ჯერ ეს მითხარი, ვინა ხარ, რა გიჭირს?

— სიკვდილს დავეძებ! — ისევ დაიყვირა ქურდმა.

— თუ კაცი ხარ, ნუ ყვირი, მეზობლები გაიღვიძებენ, საუბარი ხმადაბლა შეიძლება. ვინა ხარ?

— აღსარებას მთხოვ?

ლომიძეს გაეღიმა.

— დაჯექი, დაჯექი!

ქურდი სკამის კიდზე ჩამოჯდა.

— აი, ასე, ახლა კი მითხარი რა გიჭირს?

უცნობმა თავი ჩალუნა, ერთხანს ასე იჯდა ხმის ამოუღებელი. მხრებში მოიხარა, ეტყობა, მოითენთა, მოემგა და თავი ხელეში ჩარგო.

— გადასახლებიდან ჩამოვედი და მიჭირს...

— გადასახლებიდან? სად იყავი?

— შორს, ავარაკზე... — თავი ასწია და ლომიძეს პირდაპირ შეხედვას ვერა, ვერ გაუძლო და ისევ მოიკუნტა.

— ახლადგანთავისუფლებულებს სამუშაოზე აწყობენ, შენ უარი გითხრეს?

— არა, მეც ვიყავი, იქ...

— სად?

— იქ... მეც დავესწარი თათბირს მდივანთან. გველაპარაკა, დაგვარიგა, გვირჩია და მეორედ მაინც არ მივავით-

ხე, სახლში დედა დამხვდა შიშივ ავად-
მყოფი, საწოლიდან ვერ დგება. ხან
ერთს დავესესხე, ხან მეორეს, ბოლოს
ყველანი შემომეცალნენ. ავადმყოფი
დედის ამარა დაერჩი. ჩემს თავს არ და-
ვეძებ, დალხინებული არასოდეს ვყო-
ფილვარ. გაჭირვებაში გაჭირვებით მივ-
ლია მუღამ და სადაც სხვა ვერ გასულა,
მე გამიტანია ჩემი ოხერი თავი. ახლაც
არ გავუჭირვებდი თავს, მაგრამ დედის
ავადმყოფობამ გადამრია... დედა მიკვ-
დება...

ამას ყვებოდა და ლაბარაკში თავი
ერთხელაც არ აუწევია.

— განაგრძე, მე გისმენ! ჭერ ეს მით-
ხარი, რა ჯქვია?

— ლადო! — ახლა შეხედა ლომიძეს
და თითქოს გაელიმა კიდევ.

— ილაბარაკე, ლადო, არ მომერიდო!
ლადომ თავი ისევ ჩაპკიდა და ყრუდ
განაგრძო. თითქოს ცოდვებს ინანიებ-
სო, ლაბარაკობდა ნელა და ყოველ
სიტყვას მკაფიოდ გამოსთქავდა.

— ორი ღამეა ქუჩა-ქუჩა დაწვანწა-
ლებ. ხან ერთ სახლს მივადგები, ხან
მეორეს, ხან კაცი გავაჩერე. ხან ქალი
და აბა, უნდა ამეწია ეს დასამიწებელი
ხელი, უნდა... მაგრამ სწორედ იმ წუთ-
ში გული დამქაჩავდა, მანხვედა. მეც
დაფიქრდებოდი და გზას განვაგრძობ-
დი. ასე ვებრძოლე ამ ოხერ გულს, ვე-
დავე, ვებრძოლე და ბოლოს მაინც ვა-
ჯობე...

— თქვენი ბინის გასაღები...

— არ მინდა, მაგას ნუ მომიყვები!

— მაბატოეთ, ახლა კი გამიშვით,
თქვენი მადლობელი ვარ...

— დედა!

— დედა? — ლადო წამოდგა.

— ჰო ავადმყოფი დედა?

— ორი დღეა არ მინახავს!

ლომიძეც ადგა, კარადანთან მივიდა
და ზედა პატარა უჯრა გამოაღო. ლადო
თვალს არ ამორებდა გიორგის.

პატარა უჯრაში დაკეცილი ასიანები
ეწყო.

წუთით დაკვესა ნაავიაცარის თვა-
ლებში...

კარადის სარკეში დაიჭირა მისი თვა-
ლების ელვა ლომიძემ. ოდნავადაც არ
შერხეულა. მშვიდად შემობრუნდა და
სანამ ლადოს ხუთ ათმანეთიანს გაუწო-
დებდა, გაიფიქრა: „ნუთუ წყალში
ვყრი?“

— აილე!

ლადომ ბოროტად გახედა ჭერ ფულს,
მერე გიორგის.

— მოწყალეა არასოდეს ამილია!

— არც მე ვარიგებ მოწყალეებს. სე-
სხად გაძლეე! იმუშავე და პირველსავე
ხელფასზე დამიბრუნებ. ეს დაიხსომე,
ვალს გადამიხდი!

— სად ვიმუშავე?

წრფელი ეჩვენა ამ კითხვის მოცემი-
სას იგი ლომიძეს და სწრაფად უბასუხა:

— ჩვენთან ავტოქარხანაში!

— უკაცრავად, თქვენ რა გვარი
ხართ?

— ლომიძე, გიორგი ლომიძე!

ფული ჩამოართვა ჭიბში ჩაიდო და
კარებთან მისული ერთხელ კიდევ შე-
მობრუნდა.

— ჩემი დღე და მოსწრება სულ ბო-
ნდის ხიდზე ვდგავარ. სულ წყვდიადი
და უბედურება მეღანდება. ბევრჯერ
ჩამწყვებია ბონდი და აქავებულ ტალ-
ლებს გავუტაცნივარ, მაგრამ გავსულ-
ვარ... ოცდარვაწლისაც არა ვარ ჭერ და
ცხოვრებაზე ხელი ჩამიქნევია...

კარები გამოაღო, რატომღაც საეცტს
დაუკვირდა, მწარედ გაიციხა და პატა-
რა გასაღები ჩუმად იატაკზე დააგდო.

— სად ცხოვრობ, ლადო?

ტყვიასავით მოხვდა ლომიძის სიტყ-
ვები. „არ მენდობოა“, — გაიფიქრა და
პასუხის მაგიერ კიბე ჩაირბინა.

• • •

დიღხანს არ დაეძინა გიორგის. სა-
წოლზე წრიალებდა. ვერას გზით ვერ
მოხუტა თვალი. „მოვა თუ არ მოვა?“

— ეს კითხვა არ შორდებოდა მის გო-
ნებას. თავის თავს მაინც უმადლიერე-
ბოდა, რომ გზასაცდენილი კაცის შე-
მობრუნება სცადა.

მეორე დღესაც ვერ მოისვენა. მილი-

ციის საქალაქო განყოფილებაში შეი-
რა და განყოფილების უფროსს ესაუბ-
რა. ახლადგანთავისუფლებულების საქ-
მეები გადასინჯეს. მიაგნო ლადოს
კვალს. მისამართი ამოიწერა და ქარხ-
ნის საავადმყოფოში მივიდა. მეგობარი
ექიმი მანქანაში ჩაისვა და სრულიად
მოულოდნელად ლადოს ბინას მიაღდა.
თვითონ ლადო სახლში არ იყო, ოთახ-
ში, სუფთად გაწყობილ საწოლში მო-
ხუცი ქალი იწვა. სასთუმალთან სკამი
ედგა, ზედ წამლის შუშები ეწყო. ვი-
ლაც ქალი შემოხვდათ.

გულდასმით გასინჯა ექიმი ავადმყო-
ფი და წამლები გამოუწერა.

— ვინ ხართ, ბატონო, ვის უთხრა
მადლობა... — ძლივს ამოთქვა ავად-
მყოფმა.

— ლადოს მეგობრები, თქვენი კე-
თილის მსურველები...

მოხუცი მკლავებზე დაეყრდნო, წა-
მოდგომა სცადა. ხელი შეაშველა გი-
ორგამ და ისევ დააწვინა. მცირე ხანს
რალაც გაუგებარს ჩურჩულებდა თა-
ვისთვის მოხუცი, ვერც ერთი სიტყვა
ვერ გაიგონა გიორგამ, მერე ისევ წა-
მოწია თავი და გიორგის შეხედა.

— ერთი მყავს, ერთადერთი, თუ
ღმერთი გწამთ, მიშველეთ, უშველეთ...
— ისევ ბალიშზე მიწვა და თვალები
დახუჭა.

წამოსვლისას ოცდაათი მანეთი ჩუ-
მად ამოუდო ბალიშის ქვეშ გიორგამ.
ხოლო ორი საათის შემდეგ წამლები
გამოუგზავნა.

ამ შემთხვევის შემდეგ სამი დღე გა-
ვიდა. ლადო არ გამოჩენილა. გიორგი
ნერვიულობდა. გადაწყვეტილი ჰქონ-
და, ერთხელ კიდევ მისუღიყო ლადოს
ბინაზე, მაგრამ ერთ დღეს გიორგის კა-
ბინეტის კარები შეიღმა შეაღო. მორი-
დებით ჩამოჯდა სკამზე.

„ალბათ ტრაქტორზე უნდა მესაუბ-
როს“, — გაიფიქრა გიორგამ და უცდი-
და, სანამ შეილი ხმას ამოიღებდა, უც-
დიდა, მაგრამ გოგი იჯდა და არაფერს
ამბობდა.

— გინდა რაიმე, შვილო?

— არაფერი, მამა, ისე შემოვიარე...

— ტრაქტორის საქმე როგორ მიდის?

— გამოვა, მე მგონი, გამოვა...

— ხომ არ გაეჩხირე, ბიჭო? — გაუ-
ცინა გიორგამ შეილს.

— არის დაბრკოლება... მაგრამ ჯერ
არ მინდა შეგაწუხო, იქნებ მე თვი-
თონ... ჰო, მართლა. კიშკართან ვილაც
ახალგაზრდა გკითხულობდათ, მამა! მე
გამომიძახეს თქვენს მაგიერ!

— სად არის? — გიორგის ხმას მო-
უთმენლობა დაეტყო.

— ხვალ დილით მოვა!

— რატომ ახლავე არ მომიყვანე,
შვილო!

— განა ასე სასწრაფო საქმეა?

— ჰო, სასწრაფოა!

— დილით დავიბარე. მე თვითონ
მოგიყვან! — გოგი წამოდგა და გრძე-
ლი კაბინეტი ჩქარი ნაბიჯით გაიარა.

თვალი არ მოუცილებია მისთვის გი-
ორგის.

„შესაკითხად მოვიდა. რჩევას სა-
ჭიროებს, მაგრამ არ მითხრა ერიდება
ჯიუტობს თუ?...“

მამა, ან და რომ ჰყავდეს უფრო აღ-
ვილად გაუმხელდა, უფრო გაუხსნიდა
გულს, ჩემს დახმარებას კი შეიძლება
თაკილობს კიდევ.

ეპ, შვილო, ვისაც მეტი და-მამა ჰყავს,
მხრებიც იმას აქვს განიერი“.

მეორე დილით გოგამ ლადო წარუდ-
გინა.

— ეს ამხანაგი გკითხულობდათ, მა-
მა?

— ოჰ, გამარჯობა, ლადო, დედა რო-
გორ არის? — ხელი გაუწოდა გიორ-
გამ.

— უკეთ! — დარცხვენილი ჩანდა
ლადო.

— ეს ჩემი ვაჟია. გაიცანი?

— დიახ!

— წადი, შვილო, ჩვენ პატარა საქ-
მე გვაქვს!

გოგამ ლადოს გაუღიმა და კაბინე-
ტიდან გავიდა.

ლადო ჩამოჯდა.

— გელოდი და მჯეროდა...

თავდახრილი იჭდა ლადო გიორგის წინ. ამ სიტყვებზედაც ვერ გასცა პასუხი. ეს რამდენიმე დღეა სულ ამ კაცზე ფიქრობს. სად არ ყოფილა. რა უბედურება არ დატყდომია თავს. ციხეც ბევრჯერ უნახავს და გადასახლებაც. სიცივეც და შიმშილ-წყურვილიც. ამ უკუღმართ გზაზე კარგი ადამიანიც შეხვედრია და წყალწოდებულებიც. ოცდარვა წლის კაცს, ოცდარვა თვე არ უცხოვრია მოსვენებით იქ, შორეულ ციმბირში, ოთხკედელში თუ კოლონიებში ათასჯერ მოუსმენია უფროსების საუბარი, დარიგება და ერთხელაც არ დაფიქრებულა ადამიანურ ცხოვრებაზე. მგლის თავზე სახარების კითხვად მიაჩნდა მათი ცდა. მეგობრულ რჩევასა და კეთილ სურვილებს. ერთ აკვიატებულ სიტყვას „აგიტაციას“ ეძახდა. შეიძლება თავად არა, მაგრამ ასე ამბობდნენ სხვები და ისიც მათ ფეხის ხმას ჰყვებოდა. უფრო გვიან კი თვით ლადოს თვლიდნენ თავკაცად. რასაც იგი იტყოდა, ყველასათვის კანონი იყო. აღრიდანვე ჩაელტრსმნა გონებაში ეს ერთი სიტყვა „აგიტაცია“ და ერთხელაც საღი გონებით არ განუსჯია, თუ ასე დაჟინებით რატომ ცდილობდნენ მის შემობრუნებას. მერე და მერე შეეჩვია კიდეც და უფროსების მრავალსაათიანი ქადაგი მასზე უკვე აღარ მოქმედებდა.

დიდი ხანია ფეხი არ დაუდგამს ამ მიწაზე! აღარც კი ახსოვს, უკანასკნელად რამდენი წლის უკან ჩაიდინა დანაშაული. არც ის ახსოვს, რისთვის, ან სად დააჯავეს, რადგან დანაშაული კვალდაკვალ სდევდა და ამა, გაანთავისუფლეს. ერთხელ კიდეც „უჭადაგეს“, ერთხელ კიდეც მოისმინა ცალი ყურით „აგიტაცია“ და იმავე წუთში მეორე ყურში გაუშვა, მაგრამ, როგორც კი ფეხი დადგა რიონის სადგურზე, ტანში დაბურჭგლა... მისდა გასაკვირად ცრემლიც კი მოადგა და პირველად მის სიცოცხლეში შერცხვა. ჯერ კიდეც ბნელოდა და არავის შეუძინებია მის თვალზე ცრემლი. სადგურს გასცდა და ვიწ-

რო ბილიკით ავიდა მაღლა ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე.

...მერე დედა, ისევ ცრემლი და პირველი ადამიანური დაფიქრება.

მეორე თუ მესამე დღეს გამოუძახეს. ვერადრით ვერ წარმოედგინა, თუ რა საკითხზე უნდა ესაუბრა ასეთ დიდ კაცს ყოფილ დამნაშავეებთან... მართალი რომ ითქვას, საუბარი მოეწონა, არ ჰგავდა „აგიტაციას“. ეს უფრო მეგობრული; ასე რომ ვთქვათ შინაურული მოლაპარაკება იყო.

გულდასმით უსმენდა, ყოველ სიტყვას თავისუფლად ახურდავებდა და სულით და გულით უნდოდა მდივანი რაიმეში გამოეცხრა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მის საუბარში არც მუქარა ჩანდა და არც თხოვნა, რაღაც საშუალო, კარგად შეზავებული მოსაუბრება იყო. ამ გულახდილობამ ბევრს გაუხსნა წლების მანძილზე ამოჭედილი გონება და ყველა ამის შემდეგ მაინც არ მივიდა მათთან, არ მიაკითხა, არ მოინდობა.

მაშ ამ კაცში, ამ ჰელარით დამშვენებულ დევკაცში, შუბლზე ნაოჭები რომ გახშირებია და ოდნავ კოკლიც ყოფილა, თურმე, რა ნახა! რამ მოიყვანა მასთან?

ამაზე დიდხანს ფიქრობდა. იქნება დედის სიყვარულმა! იქნებ მყუდრო ოჯახის სურვილმა! იქნებ...

ამ კაცში ყველა ადამიანურ წვრილმანს მოუყრია თავი.

ეს არც მდივანია, არც მშობელი... ერთი ჩვეულებრივი ქართველია... მაინც როგორ მიავნო ჩემს ბინას?!

ჰო და, სიკეთეს სიკეთით უნდა უპასუხო. უნდა დაუმტკიცოს ამ კაცს, ახლაც რომ არ აშორებს დიდრონ, კეთილ თვალებს, რომ ლადოსთანა ბიჭებსაც აქვთ გული...

— უცნაური კაცი ყოფილხარო, ბატონო გიორგი!

— რატომ?

— ამაზე ვერ გიპასუხებთ. იმ დამის შემდეგ სულ თქვენზე ვფიქრობ...

— მე.კი შენზე!

ერთმანეთს პირდაპირ შეხედეს. ორივეს გაეღიმა.

„ამ ბიჭიდან, კაცი გამოვა“, — ფიქრობდა ლომიძე.

„ლომიძეს ვერ მოვატყუებ“, — ფიქრობდა ლადო.

— რატომ არ შეკითხვებით, რისთვის მოვედი?

— რაჟი მოხვედი, ყველაფერი გასაკვებია.

— შე ხომ არ დაგპირებია...

?!

— საქმეც მაგაშია!

— როგორ მოვიქცე!

— იმუშავე. არ გაგიპირდებამ!

ლადოს გაეცინა.

— რა გაციინებს, ლადო!

— არ გაგიპირდებო, თქვით და ამაზე გამეცინა...

— რატომ?

— სამუშაო ვერ გამაყვრებებს, ვერც ვაპირებ...

— ეს ჭარხანაა. აქ წესრიგია, დიდი საქმე...

— ავტომანქანა ვიცი!

— ეგ კარგია, მაგრამ მანქანის ცოდნას ერთი რამ უნდა დაუმატო, სურვილი...

— ვიცი!

— და მეორეც; ამ კორპუსებში ქართული ბიჭები სულს უდგამენ ქართულ მანქანას. სჭედენ და ქვეყნის ყველა კუთხეში ქუთაისის მარკით გზავნიან. საამაყოა, არა?

— დიან! იქაც მინახავს თქვენი მანქანები... ყურადღება არ მიმიქცევია...

— არ გამტყუებ, მაგრამ, როცა საკუთარ ოფლს ჩააწვეთებ, შეგიყვარდება და შენც იამაყებ!

ლადო ერთ ხანს სდუმდა. გიორგიც ფიქრობდა:

„არ არის საჭირო ამდენი შემზადება, სხვაგვარად უნდა ველაპარაკო“, და უთხრა:

— მე მაინც მგონია. რომ გაგიპირდება... აქ ლონეც საჭიროა, გონებაც და მოთმინებაც...

— ვიმუშავე!

— სად, რომელ საამქროში გირჩევნია?

— არ ვიცი, ეგ თქვენს საქმეებს ვთხოვთ. იოლ საქმეზე ნუ ვამგზავნით. გამიშვით იქ, სადაც მეტი ღონეა საჭირო, სადაც მეტი ცეცხლია...

„საჩამოსხმელო საამქრო, — გაუელვა გიორგის უცებ. — მაგრამ რომ შეშინდეს, რომ გაიქცეს, — და ერთხელ კიდევ ახედ-დახედა ლადოს. კუნთმაგარი ჩანს, თუ გულმა გაუძლო, არ წავა“.

— აბა ახლა კადრების განყოფილებაში წაივით!

ორივენი კაბინეტიდან გამოვიდნენ. ლადო უკან მიყვებოდა გიორგის. გრძელი დერეფანით მიდიოდნენ. ლომიძე ოდნავ კოჭლობდა და რატომღაც გული ტკიოდა ლადოს. „ნაომარია“, — დაასკვნა თავისთვის.

...გიორგი ლომიძის რეკომენდაციით ლადო გორდაძე საჩამოსხმელო საამქროში გაგზავნეს მუშად. თვითონ მიჰყვა საამქროს უფროსთან. ლადო გივი ჩხეიძეს ჩააბარა.

დულდა და ბორგავდა ლითონი და ნიაღვარივით მოედინებოდა. გუგუნებდა საამქრო. უმისამართოდ დაფრინავდნენ ჩინჩხლები. ერთხანს უცქირა ლადომ ამ სურათს. იმ წუთშივე უნდოდა პალტო გაეძრო და რაღაც გაეკეთებინა...

— შენს ცვლაში იმუშავეებს, ჩემო გივი! მოუარე და დაიმეგობრე. ეს ჩემი თხოვნაა! — მოეწონს? — მიუბრუნდა გიორგი ლადოს. ლადომ თავი დაუქნია.

— ახლავე შევეუდგები? ხომ არ შეკრთი?

— ენაბოთ! — პალტო სად დავკიდო. ძმობილო?

გიორგიმ გივის თვალი ჩაუკრა. გივიმ ლადოს მკლავში ხელი გამოსდო და საამქროს ბოლოსაკენ წაიყვანა.

ერთხელ მაინც მოუხედა გორდაძემ ლომიძეს. იყო რაღაც ახალი ამ შემოხედვაში. თავისთავით კმაყოფილ გიორგის გაეღიმა.

იმ დღეს მკლავები მოექანცა ლადოს, მაგრამ არ იმჩნევდა. ყველას მაგივრობა უნდოდა გაეწია. ბიჭებმა შეამჩნიეს და მალე გაუშინაურდნენ.

„რაკი მოვედი, უნდა შევეჩვიო“, — ჭიუტად იმეორებდა ამ სიტყვებს მთელი დღე.

ჩხეიძეც მოეწონა. შოთა ვარდანისის გოლიათური მკლავები აკვირებდა. ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი შუბლზე. პერანგიც დაუსველდა, მაგრამ არ წუხდა. პირიქით, მოსწონდა კიდეც, რომ მის სხეულს შრომით დადენილი ოფლი აჩნდა.

სამუშაო დღე დამთავრდა. ტანი დაიბანა და ახალ მეგობრებთან ერთად ეზოში გამოვიდა.

მაინც უხერხულად მიიბიჯებდა მათ გვერდით.

ახლა უფრო გულმოდგინედ დაუკვირდა ქარხანას, ეზოს. ხეივანებში გაბნეულ გზატკეცილებს. „მთელი ქალაქი ყოფილაო“, — გაიფიქრა.

გასასვლელისაკენ ჭგუფ-ჭგუფად მიემართებოდნენ მუშები. გუნდაობდნენ კიდეც. აქეთ-იქით აცეკვებდა თვალს ლადო. რატომღაც არ უნდოდა, რომ ნაცნობს შეხვედროდა დღეს...

თოვდა.

მიდიოდა და სადღაც გულის ერთ კუნჭულში პატარა სიამაყე სახლდებოდა.

აეტობუსში ჩასხდნენ. მეხუთე თუ მეექვსე გაჩერებაზე გივი და შოთა ჩამოვიდნენ, ლადოც ჩამოიყვანეს.

— მოდი, დღეს ერთად ვისადილოთ! რას იტყვი ლადო?

დაცეცხლა. ჯიბეში ერთი ხუთმანეთიანი ელო. ამაზე არც უფიქრია, ქარხანაში რომ მიდიოდა. რა ქნას, მართლაც და საჭიროა მეგობრებთან პირველი დღის აღნიშვნა. მიიხედ-მოიხედა. ამ უბანში არავინ იცნობს. თვით ქალაქში კიდეც მოძებნიდა ისეთ სასადილოს, სადაც სიტყვას ეტყუოდა და ენდობოდნენ.

— რამ ჩაგაფიქრა?

— წავიდეთ! — უგულოდ უპასუხა ჩხეიძეს.

პატარა სასადილოში მსუქებქვეყნა და კუთხეში მდგომ მაგიდას მიუსხდნენ.

— აბა, ძმობილო, მოგვხედე! ჩასუჭებული ახალგაზრდა კაცი იმ წამში მათთან გაჩნდა.

— საქმელი მოგვიტანე, თითო ბოთლსაც გაგისაღებო?

— ამ საათში!

— ერთი ეს მოგვცა საამქროში, ორ დღეში დაეყარევიანებო ქონს! — მიუბრუნდა გივი მეგობრებს. მათ გაეცინათ.

მალე მაგიდაზე გაჩნდა კერძები. გულში იანგარიშა. რა თქმა უნდა, მისი ხუთი მანეთი ამ მაგიდას ვერ გაისტუმრებდა.

— საქმეში შეგხვდით, პურ-მარილშიც გავიცნოთ ერთმანეთი! ეს ჩვენი მეგობრობისა იყოს! — ჭიქა ასწია გივიმ. ჭერ ლადოს მიუჭახუნა, მერე შოთას.

სვამდნენ და საუბრობდნენ. მოგვიანებით ლადომ ორი თითით ანიშნა მომტანს და ორი ბოთლიც შემოემატა მაგიდას. ჩხეიძეს არ გამოჰარვია ეს და გულში მოუწონა კიდეც.

ლადოს ეგონა, ახლა გამოკითხვას დამიწყებენ ვინ ვარ, სად მიცხოვრია, საიდან მოვედიო... და უხერხულად იშუმუშნებოდა. მაგრამ არც გივი და არც შოთა მის კითხვებით შეწუხებას არ აპირებდნენ. პირიქით, უფრო მეტს თავის თავზე ლაპარაკობდნენ. ეტყობოდათ ცოტაოდენი იცოდნენ კიდეც გორდაძის შესახებ.

ჩხეიძე ნაომარი ყოფილა, გიორგი ლომიძესთან ერთად უბრძოლია. ოდესმე უნდა მოაყოლოს ლომიძის ამბავი. ვარდანის ახლახან დაუმთავრებია საშუალო სასწავლებელი და ქარხანაში წასულა მუშად...

ლადოსაც უნდა რაღაც უამბოს ახლად შეძენილ მეგობრებს, მაგრამ რა.

ლადოს სადღეგრძელო შესვა ჩხეიძემ. მოკლედ მოჭრა, არ გააზვიადა.

— ვიყოთ მეგობრები! შენი თავი

ისეთმა კაცმა ჩამაბარა, სიკვდილამდე უნდა ვიმშო. ეს ჩემი ვალია...

მაინც რაღაც უნდა უამბოს ამ გულ-ლია ბიჭებს. იფიქრა, იფიქრა და მონახა.

— აღრე გარდამეცვალა მამა, — ხმადაბლა დაიწყო მან, — ღარიბად ვცხოვრობდით. კვირა ისე გაივლიდა, საღილი არ გაკეთდებოდა ჩვენს სახლში. დედა მუშაობდა, მე ვსწავლობდი. სკოლიდან მოსული მოთმინებით ველოდი დედის დაბრუნებას. ვიცოდი, პურის ნატეხს მაინც მომიტანდა. მერე ერთ ხანს იავადმყოფა დედამ. საწოლიდან რომ წამოდგა, ძლივს დალასლასებდა. სახლში ლუკმა პური არ მოგვეტეოდა და მაშინ, მაშინ პირველად ვიქურდე...

ლაღომ მეგობრებს გადახედა. ვერც გვიხსია და ვერც შოთას სახეზე გაკვირვების ნასახიცი ვერ შენიშნა და განაგრძო:

— ვიქურდე. მაღაზიაში შევედი და პური მოვიპარე... გახარებულმა მოგქუსლე სახლისაკენ, მაგრამ პური დედამ მეზობლის ძაღლს გადაუგდო, მე კი მცემა.

ერთი კვირის შემდეგ ისევ წამძლია სულმა და ისევ მოვიპარე პური...

ფრთხილად შევძვერი სახლში.

ამხელად დედამ ისევ მცემა, მაგრამ პური, პური აღარ გადაუგდია ძაღლისათვის...

მერე და მერე გამოგვისწორდა მდგომარეობა. არც საკმეელი გვაკლდა და არც სასმელი მაგრამ მე...

ლაღო შეჩერდა. არ მოეწონა ნაამბობი. — ეს რა თავს ვაცოდებ ვისმეს, თუ?

ჩხეიძე მიუხვდა და სიტყვა ჩამოართვა.

— ახლაც მუშაობს, შენი დედა?

— ავად არის!

— წევს?

— წევს!

— მერე!

— ექიმი და წამალი აღარ აკლია, მაგრამ დღეს რომ აქეთ წამოვედი,

მგონი ყველაზე უბარი წამალი ეს იყო მისთვის. დამკოცნა და დამლოცა...

— ვერ გამაკვირვებ, ჩემო ლაღო! ბავშვობა არც მე მქონია შაქარწყაროლი, — თქვა გვიმ. — ერთი შეზობელი მჭადს მომიტეხდა მეორე ყველს და ასე ვიზრდებოდი. ჰინჯის ბურთისაგან ფეხის თითები მქონდა დასისხლული, დღეს კი ჩემი ბიჭები...

მართლა ცოლი გყავს?

— არა!

— რატომ კაცო? — გაუკვირდა შოთას. ლაღომ ვარდანიძეს გადახედა. ოცი წლისაც არ იქნებოდა ჯერ შოთა, მაგრამ, ეტყობოდა, დიდხანს ვერ მოითმენდა უცოლობას.

— მოხდა ასე...

— ჩვენთან, ძმაო, ისეთი გოგონებია, თვალის ჩინს წაგართმევენ. მიიხედ-მიიხედ და...

გაციანეს.

არც ერთს არ მოეკიდა ღვინო. ვარდანიძე ტუჩებს აცმაცურებდა, მაგრამ თამადა წამოდგა.

ო, როგორ უნდოდა ლაღოს ამ დანახარჯის გადახდა, მაგრამ გვიმ სიტყვის თქმაც არ აცალა.

— მე ვარ მასპინძელი, დღეს ჩემი სტუმრები ხართ, — და მიმტანი იხმო.

სასადილოდან გამოვიდნენ. ერთმანეთს გამოეთხოვნენ და თავთავიანთ სახლებსაკენ წავიდ-წამოვიდნენ.

სახლის კარები რომ შეაღო, დედის საწოლისაკენ მიიხედა და ელდა ეცა.

საწოლი ცარიელი იყო.

— დედა!

მეორე ოთახიდან ჯოხზე დაბჯენილი მოხუცი გამოფიქნდა.

— დედა, ადექი?

— ადექი, შვილო, ვახშამიც მოგიმზადე...

მივიდა უსიტყვოდ ჩაეკრა მკერდში. დანაოქვებული სახე დაუკოცნა.

— დავიწყე, დედა! — ჩაუჩურჩულა ყურში.

— ივანშებ, შვილო?

— კი დედა, ო, როგორ მშია...

— დედა-შვილი მაგიდას შემოუხსნდა.

ლადო მადიანად ილუკმებოდა და დედას იმ დღინდელ ამბებს უყვებოდა.

მეორე დღით ადრე გაღვიძა.

— არ დაგაგვიანდეს, ლადო! — მოესმა დედის ხმა.

საამქროში რომ შევიდა, ჯერ კიდევ არ ჩანდნენ გივი და შოთა.

მიიხედ-მოიხედა. უნდოდა მათ მოსვლამდე რალაც გაეკეთებინა.

მაგრამ რა, ამდენი ჯერ არ იყოფა...

* * *

— ლადო!

ლადო ჩხეიძისკენ შებრუნდა. გივი შეუბლიდან იდაყვით ოფლს იწმენდა. ერთიანად გამურულიყო. ლადოს გაეცინა.

— რას იცინი!

— გამურული ხარ, მოიცა, გაგწმინდო! — ლადო გივის მიუახლოვდა. ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო, მაგრამ ჩხეიძემ არ დაანება.

— უფროსები მოდიან. ხედავ? — უთხრა გივიმ. ლადომ მოიხედა, რატომღაც სწრაფად, მივიდა თავის ადგილზე, სადაც შოთა ვარდანიძე ყულაბის ასაწევად ჯერ კიდევ ისევ ისე დახრილი იყო, როგორც ლადომ დასტოვა. ერთხანს უცქირა მის გაოფლილ ზურგს.

— აბა, ასწი შოთა!

ერთბაშად აიტაცეს ყულაბი. მიდიოდნენ კუნთებდაკიმულნი, საამქროში გიორგი ლომიძე და ვლადიმერ ჯუღელი შემოვიდნენ.

— ის მეორე ვინ არის? — შეეკითხა ლადო ვარდანიძეს.

— პარტიული კომიტეტის მდივანი, ჯუღელი.

ცეცხლადქცეული ფოლადი ფორმები ში გადაუშვეს. ლითონის სითხე ცივ სილაზე ისხმებოდა და ტკაცატკუცი გაქონდა. ყურისწამლები ხმაურითა საამქროში. მუშები ერთმანეთს ყვირით ელაპარაკებოდა. მუქწითელ ტალღად მოედინებოდა ლითონი. ცეცხლი უკიდია ლითონს, ცეცხლი უკიდია ბიჭებსაც და ერთი შეხედვით ასე გეგონებათ თითქოს მთელ საამქროს მოსდებოდეს ალი. აქ არის ჭიდილი ცეცხლთან. ნელა არავინ დააბიჯებს. გარბიან და გამორბიან, მიაქვთ და მოაქვთ. დაპქრიან მუშები ამ თავიდან იმ თავამდე. ცოცხლობს საამქრო, დულს და ბორგავს ყველაფერი. ოფლში გაწუწულ ბიჭებს ვლადიმერი და გიორგი მიუახლოვდა.

ამ ორომტრიალში არც ერთს არ გაუგონია მათი ფეხის ხმა.

ჩინჩხლები კი დაფრინავენ როგორც კუდიანი ვარსკვლავები.

ლადომ უკან მოიხედა. ლომიძე იქვე იდგა. გიორგი ჩხეიძეს ჩაყვირის ყურში რალაცას. გივის არ ესმის, უცინის და თავს უქნევს. ლომიძის ახლო კი სცივიდან და სცივიდან ნაკვერჩხლები...

გორდაძე აიწია და ყველას შეუმჩნევლად ლომიძეს აეფარა. არავის შეუმჩნევია ეს მოძრაობა და ამით უფრო კმაყოფილი დარჩა.

გიორგიმ სველ მხრებზე ხელი მოხვია და რალაც უთხრა. ვერც ლადომ გაიგო მისი ნათქვამი, მაგრამ თავი დაუქნია და გაეცინა.

(გაგრძელება იქნება)

გაყვალა მრავლი

საირმის ეტიუდები

ციკლიდან: „საირმიდან ზეკარამდე“

• • •

მთები ჩახვეწეს ქულა ნისლებმა,
კლდენი ამოსხდნენ ცეცხლის

მკვესავი.

შუქთა ისრებით ზეცა იხსნება
ქვეყნის პირველად შექმნის დღესავით.

ტალღებს ჩამოჰკრა სხივის

დანაკმა

და აბედივით იწვის ღრუბელი.
ნაპრალთა ბინდი ფიცხლავ დანადმა,
ზედ ჩამოლენა ნისლის ზღუდენი.

სიცხის ფოცხვერი დაუგეშავი
ტყორცნა და ბწყკალით პირქვე

ჩაჰკიდა.

ქვეყნიერების პირველ დღესავით
ღილა დაინთო სველი ჭანდიდან.

ცხრატოტად მოსკდა სუნთქვა

მსურველი

მთა გოლიათის ნესტოებიდან,
ნესტი ბალახის მწვანე ყურბალიშს
ცვარ-მარგალიტად შემოეფინა.

აი, სამოთხის კარი პირველი —

ტყე იორთქლება ახალმოზილი
და სხივთაფენის ლურჯი ფრინველი
ხეებს ჩაეჭრა ქარაშოტივით.

ჩვენს გზას ხანძარი წაჰკიდებია,
სად მომიყვანე, შენი კენესამე!
შენივთებულ ნაპერწკლებიდან
ქვეყნის პირველად შექმნის დღესავით!

• • •

ამ ტყის სიმორცხვედ და
ქალწულებად
მოჰფერებია წიფელს წიფელი.

რიდგ მოგვავლეს ცად ასულებმა
წმინდა ცისფერი, თუ მტრედისფერი.

ჩიტის საფრენი ხეობის კალთას
სდის ოზშივარი ირმის რძესავით.
ცხრათავე კართა, სამოთხის კართა
შეხსნა-შეღეწვა მზისგან ეს არი.

სიყვარულივით მაღალ აღმართებს
გაუკვალათ ცათა კიდენი.
— როგორ არ შეეცხვდით ერთერთს
აქამდე
ჩენი გულების გადამკიდენი.

რომ ნიაე-ქარის ნიამორებმა
მოგვდიონ, ფანტონ ნამი სუეკალი...
შენს ნატერფალებს ეამბორება
მიუწვდომელი მაღლით ზეკარი.

გადაიწირონ გზა უფსკრულებმა,
მოგვტაცონ სული დაუდგვარი.
წინ რომ იჩქარი დაუსრულებლად —
სამოთხის კარი აი, ეგ არი.

საით ეძინათ ნეტავ აქამდე, —
ტყეს შეერივნენ ლალი ირმები.
მზის საქანელით აღმა აქანდნენ,
აი, საირმის კარი პირველი.

• • •

ჭერ მხოლოდ სულით, ადამის ძეო,
ჭერ მხოლოდ სულით ხარ ნათესავი.
ლამობ, სამყარო გადამიმშეო,
ქვეყნიერების პირველ დღესავით.

შენ უცოდველი მიძღვი ადამი
პირველ ხილვათა თვალის ამხელი.

ეშმას გულისას მოვწევ სადავით
და არ მერქმევა ქალის სახელი.

ადამის ძეო, ხარ უცოდველი.
შენი წიბო ვარ მეც ამ წამიდან.
ლანდი ვარ მხოლოდ — ბეწვის
ოდენი
ჩამორღეული თბილ წამწამიდან.
და თუ დიაცის წუთისოფელი
ევაზე იქით ვერსად წავიდა —

ეშმას გულისას მოვწევ სადავით
და არ დავირქვამ მაცდურს სახელად.
ამ სახითათო გადასავალით
თვითონ ზეკარმა შემასახელა.

აქ არ ქაქანებს ძე-ხორციელი.
ნურც ვიყო ცალი შენთან დევნილი.
ჩვენ მაყრები ვართ მზის ქორწინების
წყვილად გატყორცნილ
შევარდენივით.

დამაფრთიანე, გავგარეული
და ჩვენს პატარა პეშმანს სადღაც —
თავისუფლებით გადარეული
დიდი ბავშვობის ნათელი ადგას.

• • •

თვალს ჭრის ქახქახებს, ყვირის და
მღერის
საირმის ტყეში ყოველი ფერი.

და ფერთა შუა კიდევ ფერია
ფერიული ფარდებით ვხედავ —
შენთვის რომ ფენდა ფარვით ფერია
და ჩვენ მოგვიძღვენ, ადგილის დედავ!

ტყეში ჩაჭრილან ლურჯი ფანჯრები,
შიგ ამომჯღარა მთელი ზეობა,
როგორც სახტომი გადასაფრენი
ან — მიმზიდველი ძალმომრეობა!

გულმა ჩსკუბა მალალ ქედებზე
მერე ბურთივით აქ ამოვარდა.
და აუშალა კვლავ საღერღელი
პაერმა მსუყე ლაყვარლოვანმა.

თვალს ჭრის. ქახქახებს. ყვირის და
მღერის
საირმის ტყეში ყოველი ფერი.

ჩადედებულა თრიმლი სისხლავით,
ზედ გაშვებართულა შქერი წითელი.
ცისკენ გზებივით ტანასხებილი
თავს გადაგწონის ვერცხლის წიფელი.

შიშველი ზორციით იწვის ფიქვები
მზის ლაქებივით გაჩაღებული, —
მხედაკრული და მარჯვე ბიჭები
ხელაღებული ყაჩაღებივით.

არ დამსიცხოსო, — მწვანე ჩოხები
დაუხვევიათ ყაბალახებად.
ცის ლურჯ სუფრაზე უყვართ
მოლხენით
ფარა ნისლებს წაბალახება.

აიშ საირმეს ამ ნუერიანებს
რა ფერადები ჩამოთვლის ნეტავ,
ნეტავ რამდენჯერ მაგულიანებ
შენდა სიმღერად, ადგილის დედავ.

• • •

ერთი ხე-შავი, როგორც ავსული
განშორებია ხეებს მოლხენილს
და კრულვასავით ცისკენ წასული
განზე გამდგარა ობოლ-ოხერი.

მეზით? ხანძრებით ჩამოსხეპილი?
თუ შერისხული მტერთა მსტოვარი...
სამშობლოს ჭირზე მოთქმა ზებირი? —
წარსულის მძიმე დანატოვარი:

როცა აქედან ცხემლის ციხემდე
ფხოქნიდა ბრჭყალი ყოზილბაშური,
გეგუს და გელათს რომ ვერ
იღებდნენ,
კლდეს და ადინეს ცრემლის ნაყური.

ხალხი გმინავდა: ამართეს ძელი! —
და ენგიჩართა სათარეშოდან
ასეთი ბნელი, შავი და ძნელი
წამების ძელი ვაჟყაცს ელოდა...

დამურასავით გამოფიტულა
რადაც... სიკეთის პირი არ უჩამს.

სახრჩობელასთვის თუ იმეტებდნენ
ასე გლუვსა და ასეთ კაუჭას...

ეგებ ძმის მკვლელმა შიში გაწირა, —
ნათი და კუპრი თავზე გადისხა?
ცა კი — სპილენძის თუნგი თანგირა
ასმევს ნისლეუბის ვეძას ხანდისხან.

რტოთა ნასახიცი აღარ ატყვია,
ვინ გააშავე ასე საშინლად.
ვამ, თუ სამშობლოს მოღალატეა
და სინანულმა დაანახშირა!

— ხე ბოროტისა იქნებ შენა ხარ,
ბიწიერების თესლის მომცემი,
ყველა კიდური ისე შეგახმა
ხის ნიშანწყალსაც ვერსად მოძებნი.

თუ ახოვანი, სატრფოს ერთგული,
გაწვდილ მკლავებით, განა რტოებით
მწარე ლოდინში გახევებული
ცოცხლად იწვოდი განმარტოებით!

ხეო, შავ-ხეო, რა ხარ, ვინა ხარ,
შავოსან მწირად ჩამოსხეპილი?
მე შენს სახეებას ახლაც ვინახავ
სიმარტოვეთა შავბნელ სვეტოვით.

• • •

წვიმამ ტყისპირი გადმოვლო ღხენით,
წვეროკინებზე კოცნის მოღხენით.
ჯერ ისე ნაზად დარია ხელი.
ოღნავ დანამა ფოთლის ნოხები.

ფერად ფანქრებსაც, გაუსვა ხელი
წამოიფარა ბური ნაცარე ~~რქონულნი~~
ისე დალია ყოველი ~~ღერბურობისას~~
ფანქრების ყუთი უცხად გაცალა.

სულ აურია წყლის ფერადები
მღვრიე ლურჯი და ღია სოსანი.
ფოთლის საცერზე ცრის ხელადებით
წყრიალა ნამის კრიალოსანი.

მიხაზ-მოხაზა რუხი ფანქრებით
ზედ გადაუსვა წვრილი საშლელი...
მთებო, საცაა სულმთლად გაჭრებით—
აღარ ჰქონია წვიმას საშველი!

მზეს ბაწაწინას ხატვა აცინებს:
— რას შერება წვიმა გადარეული?
თვალი წამითაც ვერ მოვაცილე,
სულ დამიჯღაბნა ხატვის რვეული!

ონავარს, აბა, ვინ ყავს დამშლელი.
კმარა, დათხუნა მთელი ქალღი.
ყველა წაშალა ღრუბლის საშლელით,
არ ენანება ჩემი ნახატი! —

მზემ თქვა, და ერთი ხელის აქნევით
გადაბრწყინა მოლი ბიბინა.
წვიმამ დაყარა ყველა ფანქრები
მთა ასკინკილით ვადიირბინა.

ხელად მოძებნა თავისი ეზო
დაბლა ჩავარდნილ აგარაკებთან...
მზის გაცეცხლება ცოტაც რომ
შესძლო,
ფეხს სიხარულით არ აყარებდა.

ჭაბუა ამიკაჯივი

გუციოს სცევოლა

მოთხრობა

თავი პირველი

ეს იმ ზაფხულს მოხდა, ლითონდამ-
შუშავებელ საწარმოში რომ ვიმუშავე
და ველოსიპედის საყიდლად ფული შე-
ვაგროვე. აგვისტოში მამამ ზღვაზე წა-
მიყვანა. დედა და ქეთინო უკვე იქ იყ-
ნენ, ჩემს ჩამოსვლას ელოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ყვე-
ლას ვიცნობდი.

კარგად ვცურავდი. ჩემზე შორს გა-
ცურავა მხოლოდ ჩვენი სახლის პატრო-
ნის ბიუს, ჭეშალას შეეძლო, ლევანს და
კიდევ კაკოს, რომელიც ერთთავად ჩემი
ქეთინოს და მისი მეგობრის ლილის
გვერდში იყო ატეზული. სამაგიეროდ,
მე უფრო ღრმად ვყვინთავდი და უფ-
რო ზანგრძლივად ვრჩებოდი წყალქვეშ.
აღბათ, მეც შემიძლო ჭეშალასავით
შორს გაცურავა, მაგრამ დედამე იმ არ
მაცლიდა; მუხლემამდე შემოტოპავდა
წყალში და დაიწყებდა ყვირილს:

— ამიყო, დაბრუნდი ახლავე, თორემ
თავს დავიღრწობ!

მე ვიცოდი, რომ თავს არ დავიღრწობ-
და, ისე ყვიროდა, შესაშინებლად, მაგ-
რამ მაინც ებრუნდებოდი ხოლმე, რა
გაეწყობოდა.

ნაპირზე ტევა არ იყო ვის არ ნახავ-
დით აქ.

ერთი ოჯახი ისვენებდა—დედა, მამა
და მათი თერთბაბთიანი ტყუბი გოგონე-
ბი. დედა ვეებერთელა ქალი იყო და ისე-
თი სქელი, ვერ ავიწყრთ. მამა დედაზე
ბევრად მალალი ჰყავდათ, მაგრამ ძალზე
გამხდარი წვრილი და ბეჭებში მოხრი-
ლი; მათ ნავტიკა მოჰქონდათ ხოლმე.

დასხდებოდნენ ცოლ-ქმარი და იყო ერ-
თი ხვნეშა და ბერვა ლოყებს დასკლო-
მამდე — ტუმბო არ ჰქონდათ, ხან ერ-
თი უბერავდა, ხან მეორე, გაბერავდნენ,
შეაცურებდნენ წყალში, შიგ ცაცოს და
ფაცოს ჩასხავდნენ. ნავტიკს ბაწარი
ჰქონდა. ქმარი ამ ბაწრის მეორე ბოლოს
ცოლს შეაბამდა, ცოლი ბაყაყურად და-
ცურავდა და ბალღებს ბუქსირზე აყუ-
ნილი ნავტიკით დაასეირნებდა. არასო-
დეს არ მინახავს ქმარს ებანავოს; მუ-
დამ წყლის პირას იდგა და დროგამოშ-
ვებით ამბობდა:

— მოუხვიე, შორს არ წახვიდე! —
თავისთვის იტყოდა ხოლმე, მაგრამ
ბრაზიანად, ბრძანებს კილოზე.

ცოლი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გა-
იგონებდა — შორს იყო.

ბაბოს ბუქსირი შევარტევი. ისილო-
რეს — ანძა.

ანძინაირი ტანისა იქ კიდევ ერთი
კაცი იყო — ძია კოტე, ოღონდ იმ გან-
სხვავებით, რომ ძია კოტეს ძვლის ნა-
სახი არსად უჩანდა. და, მგონი, არცა
ჰქონდა ძვლები. მელოტი იყო. სათვალე
ეკეთა. ტანზე, მზის საწინააღმდეგოდ,
რალაც ცხიმს ისვამდა და სელაბივით
ლალაპებდა. გამომხნდებოდა თუ არა,
ყველა თვალს გააყოლებდა და ჩურჩუ-
ლი ატყდებოდა. ისეთი იერი ჰქონდათ
დამაინებს, თითქოს რალაცაში სდებ-
დნენ ბრალს, ან ეშინოდათ მისი. არ ვი-
ცი, ამ ხალხს რა ამურჩულებდა და მე
კი არც მესწიოდა მისი, არც ბრალს
ვდებდი რამეში. ის თავისთვის იყო, მე
ჩემთვის. ძია კოტეს ჰქონდა უშველე-
ბელი ქოლგა, და ეს ქოლგა სახლიდან-

ვე გაშლილი მოჰქონდა. მე მის ადგილზე დავეცილს მოვიტანდი და აქ გავშლიდი. ქოლგა მოკლფეხიანი იყო. დაარკობდა და ჩრდილში შეჭდებოდა. ხანდახან გამომტერებოდა და მაშინ გრძელი, ლაღაღა ძია კოტე ძლიერ წაგავდა ლოკოკინას, რომელიც თავის ნიჟარას ღრობით ტოვებს და სასეირნოდ მიდის. თითქმის არავინ იცოდა მისი სახელი, ყველა ლოკოკინას ეძახდა, ზურგსუკან, რა თქმა უნდა.

ჩემი დის ქეთინოს ამხანაგი ლილი ოციოდე წლის პრანკია გოგო იყო. მე მასზე აქამდე არაფერი ვიცი. დედაჩემი იტყოდა ხოლმე, გათხოვება უნდა, ლამის გაგიდესო. ლილის დედა ამბობდა, ჩემი შეიღისთანა ნიჭიერი გოგო ძნელად მოიძებნებაო. ხომ შეიძლება უნიჭიერეს გოგოს გაგიყვებით უნდოდეს გათხოვება? ნამდვილად ვიცი, რომ კაცოსაც ეპრანკებოდა და ლევანსაც და თუ კიდევ გამოუჩნდებოდა ვინმე, საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. დასაძრახისად არ ვაშბობ. მერე რა? ყველა გოგო ასეთი არ არის?

კაკო ბაყბაყ დევივით ტანზორბა და მხარბევიანი სტუდენტი იყო. სულ ვიწროებს და განტელებს ექაჩებოდა. თვითონ ამბობდა, რვა წელიწადია ვვარჯიშობო. ცალკე ჩემოდნით ჰქონდა ჩამოტანილი განტელები — სულ პატარებიდან დაწყებული, უშველებლებამდე. მხარბევი და მკლავები კი საუკეთესო ჰქონდა, მაგრამ მხდალი იყო, ნამდვილად ვიცი.

იყო აქ ერთი ოთხმოცი წლის ბერიკაცი, მეჭლუდა. ამბობდნენ, მთელი სიცოცხლე ზღვის ნაპირზე აქვს გატარებული და ტალღების ხმაურმა დააყრუაო. მეველუდა ნელი ნაბიჯით დასეირნობდა, ან იჭდა და მობანავეებს ადევნებდა თვალყურს, არავინ დამღრჩვლიყო და თუ დაიღრჩობოდა — გამოეყვანა. ასეთი იყო მეველუდას დანიშნულება სანაპიროს იმ უბანზე, სადაც ჩვენ საბანაოდ დავდიოდით. მეველუდა ხანდახან გულხელდაკრეფილი იდგა და ზღვას გასცქეროდა. ისეთი იერი ჰქონ

და, ისეთი თვალეზი, თითქოს ოთხმოცივე წელიწადი ვიდაცის ლოდინს შეალოა, და არ იქნა, არ მოვიდა. წვესი გადაღმიდან ის, ვისაც ელოდა. მე მომწონდა მეველუდა ასეთ წუთებში. კაპიტან ნემოს მაგონებდა, როდესაც იგი გულხელდაკრეფით დგას „ნაუტილუსის“ გემბანზე შავი ღროშის ქვეშ, და გარშემო სამხედრო ხომალდიდან ნასროლი ყუმბარები სკდება.

ლევანი მეველუდაზე ამბობდა, ზღვის მარილით არის გაყენთილიო.

ლევანი, ჩემი ჩამოსვლის შემდეგ, შესამე, თუ მეოთხე დღეს გავიცანი. ასე გავიცანი:

გამოვედი წყლიდან, პირქვე დავწეკი აქვე, ჩემს ცხვირწინ, ვხედავ, კარვად დატყეპილ სილაზე ვიდაც კაცმა ჩხირით სახლი დახატა, ისეთი, მე რომ პატარაობაში ვხატავდი. გვერდით ლილი უჯდა, იმასაც ჩხირი ეკავა. ლილიმ სახლს საკვამური მიხატა და ბოლიც გაუკეთა. მაშინ კაცმა სახლს წინ ადამიანი დახატა. ლილიმ მეორე ასეთი ნახატი მოუყენა გვერდში. კაცმა ეს ნახატი წაშალა, მოშორებით დააყენა და ამ ორ ადამიანს შორის პატარა ადამიანებუ ჩახატა, ექვსი ცალი. ლილიმ შესწივლა და ხუთი პატარა ადამიანი უშალ წაშალა. კაცმა ექვსივე აღადგინა. ხატეს დაშალეს, ხატეს და შალეს, მაგრამ კაცის დაყინებამ ლილისას სძლია. ლილიმ ცოტახნის ფიქრის შემდეგ ვკლავ წაშლა განიზრახა. კაცმა შეაჩერა და დათმობაზე წავიდა: სამ პატარა ადამიანს თავზე ბაფთები გაუკეთა. ლილი ახლად მიხვდა, რომ კაცი თავიდან ექვსივეს ბიჭებად გულისხმობდა და საშინლად განრისხდა; უშალ დანარჩენებსაც ბაფთები გაუკეთა. ამ დროს ჯემალამ დამიძახა, საჩქარო საქმე გვექონდა; ასადგომად წამოვიფიქე, ხელები დავიშველიე და ავი შევ ნახატში ჩაეკარი თათი! სახლი, კარი, ბალი, ლობე, დედა, მამა, ბალები — ერთიანად წავეშალე. ელდამეცა. ხან კაცს შევეცქეროდი, ხან ლილის, ხან აობრებულ სახლკარს. წამით ისინიც გაინაბნენ. მერე კაცს სინანუ-

ლეს ღიმილი მოედო სახეზე. ღილი ბრაზიანი, ავი თვალებით მიყურებდა, ვითომ ნამდვილი სახლი დამენგრის და ნამდვილი ადამიანები ამომეყლიტოს. მხად იყო მცემოდა და თვალები წამოეთხარა, ღმერთმანი!

კაცმა დაინახა, რომ მე ძალიან დაბრუნებულ ვიყავი და ღილი ძალიან გაკაპსებულ. გულთბილად გამიღიმა, თავისი თეთრი კბილები შემომანათა და მითხრა:

— ბიჭო, მოდი, რას გეტყვი, ეს ნახატი მაინც ვერ იყო რიგიანი. სულ წაფშალათ, ისევ გავასწოროთ სილა და ახალი დაეხატოთ. ვინდა? დატყენე. — მან ისევ მოიმარჯვა ჩხირი, — რა გქვია?

— აჩიკო — ვუბახუხე მორცხვად და ხელისგულები სილას დაუფრეხაუხე.

— მე — ლევანი... ბიჭოს! ცაცია ყოფილხარ?

როგორ შემამჩნია!

— სცევოლა ყოფილხარ!

— სცევოლა რას ნიშნავს? — ვკითხე მე.

— ლათინურად ცაციას ნიშნავს. — განმიმარტა ლევანმა.

— სცევოლა გვარია და არა „ცაცია“! — შენიშნა ღილიმ სიხარულით და უკვე მხად იყო კიდევ რაღაცეები ეთქვა, რომ ლევანმა დაუდასტურა: — თითქმის ასეა, შერქმეული გვარია, უფრო სწორად — მეტსახელია. სცევოლა რომელი ჰქაბუქა, მუციოსს შეარქვეს.

— რატომ შეარქვეს? — დაინტერესდი მე. — ცაცია იყო? მერე რა, რომ ცაცია იყო? მეც ცაცია ვარ და მეტსახელი არა მაქვს. ცოტაა ცაცია?.. ვინ იყო სცევოლა?

ლევანმა სილაზე ეტრუსკების მიერ გარემოებული რომი დახატა. მერე დახატა ეტრუსკების მეფე პორსენა და მისი ჯარისკაცების მიერ შეპყრობილი რომელი ჰაბუკი მუციოსი, რომელიც მტრის ბანაკში პორსენას მოსაკლავად იყო შემოპარული. მას ამით სურდა რომი ეხსნა. მუციოსი წამებით უნდა მოეკლათ. სამსხვერპლოზე ცეცხლი გი-

ზგებდა და მუციოსმა, ნიშნად იმისა, რომ არავითარი წამებისა არ ეშინოდა, ცეცხლში მარჯვენა ხელი ჩაყო და იქ ჰქონდა იქამდე, სანამ სანახაობით აღმოეთებულმა პორსენამ არ ბრძანა, განზე გაიყვანეთო. მუციოსის გმირულმა საქციელმა პორსენა დაარწმუნა, რომ შეუძლებელია იმ ქალაქის აღება, რომელსაც მუციოსისთანა შვილები ჰყავს. თვით მუციოსს სიცოცხლე აჩუქა, გაანთავისუფლა, რომს ალყა მოხსნა და თავის სამეფოში დაბრუნდა. რომელებმა მუციოსს სცევოლა შეარქვეს, რადგან მარჯვენა ხელი დაუსახიჩრდა და ყველაფერს მარცხენათი აკეთებდა.

ლევანი ამ განსაცვიფრებელ ამბავს ყვებოდა, და ღილის ისე ეჭირა თავი, თითქოს სრულიადაც არ აინტერესებდა. მამ რატომ ამთქნარებდა? აბა, კაბებზე ან მსახიობებზე ყოფილიყო ლამაზი!

ასე გავიცანი ლევანი, კაცი, რომელმაც აუარებელი გადასარევი ამბავი იცოდა. ასე გავიგი, თუ ვინ იყო მუციოს სცევოლა და რა გმირობა ჩაიდინა.

არავინ არ იცოდა რამდენი წლის იყო ლევანი: ზოგი ოცდაათს აძლევდა, ზოგი ორმოცს, თმა შეთხელებული და ჰალარაშერეული ჰქონდა, მოუხედავად ამისა, ჩემთან და ჭემალასთან კენჭობდა და გვეჭინჭყლებოდა კიდევ, თუკი გაუჭირდებოდა. ღილის დედამ ბარე სამჭერ თქვა:

— ეჭვთიმე გვაძაბისაც მასე უნდა და ჩემთვის თავისი თავის შემოტყუება. ვიცი მაგათი ამბავი, ორმოცს გადააღაჩებენ და მერე დაიწყებენ ოცი წლის გოგონებთან სიყვარულობას.

ლევანს ლამაზი, კუნთოვანი ტანა ჰქონდა. მარდი კაცი იყო და ისე სკიმივდა ყირას, ისე აკეთებდა ბაყაყს და ხიდს, როგორც არავინ. ეჭვთიმე გვაძაბისი რა მოგახსენოთ, კაცოც კი ვერ სჯობნიდა. ლევანი დღეს თუ ხვალ მეცნიერებათა კანდიდატი უნდა გამხდარიყო, ასე ამბობდნენ და მართალიც იყო. ჩემი თვალთ მინახავს გვიან ლამემდე წიგნებში ჰქონდა ჩაყოფილი ცხვირი

და თაბახ ქალღღებზე წერდა. დაწერილი თაბახების მთელი დასტა ჰქონდა. ახლა რომ კანდიდატებით არის საქართველო საგვ. მაშინ ასე კი არ იყო. ლილის ვიღაც ზულიგენებმა უწყალო სიტყვები უთხრეს. ოახნი იყვნენ, ერთს აქარული ბებუთი ჰქონდა. ლევანმა ბებუთი წაართვა, ოთხივეს ვაი დედა აძახებინა. ლევანი მამას დაგანახე; მამას ძალიან მოეწონა. ასე თქვა, წარმოსადეგი და ჯიშინი კაცი იყო. ლევანი ისტიოლოგი იყო — თევზების მეცნიერი, და სხვადასხვა ექსპედიციებში ძალიან დიდი ხანი ჰქონდა გატარებული. საინტერესო ამბებს გვიამბობდა. დიდებიც კი პირღია უსმენდნენ. ლევანისთანა ახლავანი კაცები მხოლოდ კინოში მინახავს, ისიც ზოგიერთში. მართალია, სახეზე, აქა-იქ ნაოჭები ჰქონდა, მაგრამ ძლიერ მსუბუქი და თითქმის შეუღმნეველი. გაიღიმებდა თუ არა, ერთიმეორეზე მიჯრილი, თვალისმომკრელი სითეთრის კბილები გამოუჩნდებოდა და ნაოჭებს ვინღა დაინახავდა. გოგოები ალტაცებული იყვნენ მისი კბილებით, შურდათ კიდევ, განსაკუთრებით ლილის შურდა, არ ვიცი რატომ შურდა, თვით ლილის უარესი კბილები როდი ჰქონდა.

ამის შემდეგ ცაცობა აღარ შემრცხვენია. პირიქით, ყველას ვეუბნებოდი ცაცია ვარ-მეთქი და იქვე მუციოს სცევოლას ამბავსაც დავაყოლებდი ხოლმე. ღამით ხშირად მესიზმრებოდა, თუ როგორი შიშხინი გაუდიოდა ჩემს მარჯვენა ხელს სამსხვერპლოზე მოგიზგიზე კეცხლში, საშინელ ტკივილებს განვიცდიდი და არამზადა პორსენას ჯიბრით ამაყად ვიღიმებოდი.

კარგი იყო!

მას დღეს აქეთ ლევანს აღარ ვასვენებდით; შევეუხნდებოდით ბიჭები და ვაამბობინებდით ათასნაირ ისტორიებს. ლევანი დაუხარებელი და ხალისიანი კაცი იყო. რა არ გავიგე მისგან! თურმე ზვიგენის კუჭში აღმოუჩენიათ ვისკით საესე დაბეჭდილი ბოთლი. ბოთლის კედლების სისქე ერთ მილიმეტრს არ აღემატებოდა. შუშა ზვიგენის კუჭის

წვენს გაუსიფრიფანებია. რაც შეეზება კალოშებს, თითქმის ყოველი ზვიგენის კუჭში შეიძლება თითო კალოშის პოვნა. სადღაც ბერუში ყოფილან ველურები, რომლებიც ადამიანის ხორციით იკვებებიან და, განსაკუთრებით, ინგლისელების ხორცი უყვართ, დანარჩენებზე გემრიელიაო. აფრიკაში კაციკამია ხეები იზრდება, მაგრამ სინამდვილეში კაციკამიები როდი არიან...

მუციოს სცევოლას გმირობის წინაშე მაინც ყველაფერი სისულელე იყო.

ლევანი ძალიან შემოიყვარდა. ჩემთვის ქვეყნიერებაზე ორი კაცი იყო უძლიერესი, ულამაზესი და უყეთილშობილესი: მუციოს სცევოლა და ლევანი. ხანდახან გავიფიქრებდი, რომ მალე დაიწყება, სწავლა, და მე და ლევანი ერთად აღარ ვიქნებოთ... გამაფრთხილებდა, გუნება წამისდებოდა ხოლმე.

მიდიოდა დღეები. მშვენიერი დარები იდგა. ზღვა წყნარი იყო. ბიჭები ყოველდღე ვთამაშობდით სცევოლობანას. ლევანი და ლილი მუდამ რაღაცაზე საუბრობდნენ, მაგრამ აუცილებლად ქეთინოს თანდასწრებით, ასე განზრახ კეთდებოდა, მე ვიცი რატომ.

საქმარისი იყო ლევანი წყალში შესულიყო, რომ კაკო უმაღ ლილისთან გაჩნდებოდა.

მოკლედ, ყველაფერი რიგზე იყო. სანამ არ მოხდა ერთი რამ.

ქვმალას ბრალია: პირველად მან გვითხრა, მზის ამოსვლამდე ბანაობას არაფერი ჭობიაო. თურმე ეს სხვებმაც იცოდნენ და კიდევ დადიოდნენ.

ქვმალა მართალი აღმოჩნდა. კარგი იყო ზღვა დილაობით. ცა მოლურჯოა. ცისფერი მერე ხდება, როდესაც მზე ამოვა და კაბადონს გაახუნებს. ზღვაც ლურჯია, ცაზე ბევრად მუქი და ქვევსაც ცისავე ფერი აქვთ. წყალი თბილია, უფრო თბილი, ვიდრე ჰაერი და, რა თქმა უნდა, წყლისპირა ქვიშაზე თბილიც.

სამი-ოთხი დღე ვიარეთ. ყველამ გაიგო და მზის ამოსვლამდე ბანაობის ქონი ყველას სენივით მოედო. ყველას,

ლოკოკინასაც კი, ნაეტკიან ოჯახსაც. აქამდე ვერ გამოვიდა, ცაცო-ფაცოს რატომღა აღვიტებდნენ ასე დილაადრინან. ისხდნენ საწყალი ბავშვები ნაეტკში და სთვლემდნენ. შევლულა ხომ აქ იყო და აქ. იმას ღამეც აქ ეძინა, ზემოთ რომ დაპირქვავებული ნავი ევლო, იმ ნავის ქვეშ.

ლევანი, მე და ჭემალა ქეთინოს და ლილის მოლოდინში ენქაობას ვთამაშობდით. ლევანმა გვაგობა, ვადაიხარხარა, ენა გამოგვიყო, ვაიხედა გოგოები ხომ არ მოდიანო და წყალში შევარდა. ხანამ მე და ჭემალა დავამთავრებდით თამაშს, გოგოებიც მოვიდნენ და თამაშში ჩაგვერივნენ. ლილი აგებდა. ცალი თვალი ხან ლევანზე პქონდა, ხან ქვევით ეჭირა, იქით, საიდანაც კაცო მოდიოდა ხოლმე; წააგებდა, მაშ რას იზამდა! კახზე ბოლო ხანებში გული ამიჯარდა. ერთი იმიტომ, რომ ლილის ელაქუცეზოდა. მეორეც ისა, რომ საკუთარი ყურით გავევიგნე, ლილის უთხრა:

— სად არის ჩვენი ახალგაზრდა ბერეკაცი?

ლევანს გულისხმობდა.

ლილიმ გაიცინა... ისიც კარგი მეტრიჩარა იყო.

...წამოვდექი. წყალში შესვლა მეზარებოდა. მივიხედ-მოვიხედე.

ლოკოკინა თავის ნიჟარაში იჯდა, პაპიროსს ექაჩებოდა. ღმერთო ჩემო, რაში სჭირდებოდა ამ კაცს ქოლგა, ჭერ ხომ მზის მესამედიც არ იყო ამოსულნი?!

შევლულა გულზელდაკრფილი იდგა, ლევანს გასცქეროდა თავისი სევდიანი თვალებით.

ლევანი ორმოცდაათიოდე მეტრის სისორეზე, წასულიყო. კარგახნით ჩაყვინთავდა, ამოვიდოდა, დაწვებოდა ზურგზე, დაძვევებდა, ისევ ჩაყვინთავდა.

ქვევიდან კაცო გამოჩნდა. ბაყბაყ დევით მოალაჭებდა.

ლილიმ თვალი მოჰკრა და პრანჭიობას უმატა. ამის შემყურეს გული მომი-

ვიდა, მივანებე იქაურობას თავი, წყლისკენ გავეწიე.

ანდა, ესე იგი, ძია ისიდორე ნაპირზე იდგა. დეილა ბაბო-ბუქიანი ცაცო-ფაციოიან ნაეტკს ეწეოდა.

გასწვრივ მივეტურავდი. დამინახა, უხარამზარი ქველი გამოუშვა და გოგოებს შეუძახა:

— ფაცო, გაუშვი ბაწარს ხელი!

ცაცო-ფაცოს აზრად არ მოსვლიათ ბაწარის ხელის ზღება. ასეთი რამ არც სხვა დროს შემინიშნავს. დედა კი ამას ხანგამომშვებით მაინც ეუბნებოდა.

ცაცო-ფაცო ნაეტკში ისხდნენ. მე მათ დაქმუქნულ ბაფთებს შევხედე და გავეფიქრე, მზე ამოვა და გაიშლებიან-მეთქი.

მივეტურდი ლევანთან: იქვე, ახლოს ზურგზე გავეწიე. ლევანის ამოყვინთვის მოლოდინში ნაპირს გავხედე.

შევლულა გამახვილებული ყურადღებით გამოგვეცქეროდა.

ბაღებში დაფლულ აგარაკებს დილის მსუბუქი ბურუსი წაჰკიდებოდათ. კიდევ ცოტახანიც, მზე ამოვიდოდა, ბურუსს გაჰფანტავდა, ფერებს გაამკაფიოვებდა.

ლევანმა ამოყვინთა, ცოტა დაისვენა, სულ ცოტა და ისევ ჩაყვინთა.

მეც ჩაყვავი.

ღრმა ადგილი იყო. წავედი ფსკერი-სკენ. მეგონა, ვერასოდეს ვერ ჩავაწევდი. ძალიან ღრმა იყო, მაგრამ ფსკერი მაინც ჩანდა. დიდის წვალეებითა და ვიი-ვაგლახით ჩავედი. ქვას დავტაცე ხელო, ლევანი დაგინახე, ზედ ფსკერზე დაცურავდა და, რამდენადაც მიხვდები, რაღაცას დაეჭებდა. მერე ლევანმა მიწას ფეხი დაჰკრა და ზევით წავიდა. მეც ამოყვინთე, სული მოვიტყვი, ლევანს ქვა დავენახე.

— ლევან, ხედავ? ქვა! ათი მეტრი იქნება?

ლევანმა არ მიბასუხა.

გამიკვირდა, რომ არ მიბასუხა. მეგონა, მეტყობდა:

— ყოჩაღ, ამხანაგო სცევოლა!

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ამის

მაგვარ რაიმეს მეტბნებოდა ხოლმე და ისე გამიღიმებდა, რომ გულზე დამთბებოდა.

არც კი გამოუხედავს ჩემსკენ. ისევ ჩაყვინთა... ისევ ჩაყვევით. მეორედ ისე ღრმა აღარ მეჩვენა. ახლა კი ეპვი არ იყო, რაღაცას ეძებდა.

რას? ამოვედი ზედაპირზე და მაშინვე ვკითხე:

— რას ეძებ, ლევან, ხელაობ? ძალზე შეფიქრიალებული და შეწუხებული იყო.

მეც შეწუხებული.
— რაშია საქმე? — ჩაველაპარაკე მევერც ახლა მივიღე პასუხი. ლევანმა ჩაყვინთა.

აღარ ჩაყვევით. ზურგზე ვიწეკი, ვფიქრობდი და ვგრძნობდი, რომ რაღაც გამოუსწორებელი მოხდა.

მე არ ვიცოდი, სახელდობრ რა მოხდა. აღარც მივითბავს. შევეყურებდი და მეშინოდა, რომ ეს კაცი, ეს უსაყვარლესი ადამიანი რაღაცას ისეთს მეტყუოდა, თავხარი დამეცემოდა. მეშინოდა. იმ რაღაცისა მეშინოდა, რომელიც, ჩემის აზრით, ნამდვილად მოხდა.

— აჩივო, მოდი ჩემთან! მოსვლას რა უნდოდა! ერთი ორჯერ დაგვარი მკლავური და მივეცურდი.

— ხედავ? — თქვა ლევანმა და კბილები დაკრიჭა.

თეთრი, მიჯრილი კბილების მაგიერ, შიშველი...

ისე გამივივირდა, რომ ჰაერს ყმული ამოვაყოლე.

დარეტიანებულივით ვიყავი, აღბათ, ძლიერ სულელური, ძლიერ სასაცილო გამომეტყველება მქონდა.

— ჩამივარდა!... დასწყველოს ღმერთმა, არასოდეს არ მომხდარა ასე. — თითქოს ბოდიში მომიხადა ლევანმა.

სინამე იყო.

— ვეძებოთ, აჩივო, აუცილებლად უნდა ვიპოვნოთ!

ლევანმა ნაპირს მიაპყრო თვალი, იმ ადგილს, სადაც კაკო ლილის ემასლა-

თებოდა. უყურა. მერე მე შემომხედა და თითქოს თვალებით მეკითხა:

— გესმის? მესმოდა. ყველაფერი მესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი. იქნებ ჩემებურად მესმოდა. შესაძლებელია, მაგრამ მე ვიცოდი, რომ აუცილებლად უნდა გვეპოვნა, ყოველ მიზეზს გარეშე, რაღაც არ უნდა დაგვკვდომოდა...

რა არ გამოგონია ლევანზე! ეს ამოღენა ხალხი რას არ კორობდა. არასოდეს მომიკრავს ყური, ლევანს ხელოვნური კბილები აქვსო. ეს იყო ისეთი კბილები, ისეთი ბუნებრივი, ისეთი ჩვეულებრივად ლამაზი, ისეთი არაჩვეულებრივად ლამაზი...

ეს რომ ნაპირზე დამენახა ბნელად მომივიდოდა. წყალმა გამომაფხიზლა, ყვინთვამ მომიყვანა გონს...

არც იქამდე, არც მას შემდეგ იმდენ ხანს წყალში არ ვყოფილვარ, მით უმეტეს, ამდენი არ მიყვინთია!

ორთავანი გავლურჯდით, ნაპირზე გოგობი ხელების ქნევით დაიხოცენ. ჩვენ კი ვყინთავდით, ვეძებდით, არაფერი გამოგვდიოდა.

ფსკერი ავემღვრა, აღარაფერი ჩანდა. ხანგრძლივად ვისვენებდით, სანამ ლამი ილექებოდა.

ვიწეკით ზურგზე, ლევანი მიამბობდა როგორ დაქარგა კბილები და მე წარმოდგენაში მეხატებოდა ეკვატორიალური კუნძულები ბანანისა და ქოქოსის დაბურული ტყეებით, შიშველი ველურებით, ლამაზი ხომალდით ცისფერ ყურეში და ახალგაზრდა კაცი, საბჭოთა ინტილოგიური ექსპედიციის წევრი, რომელსაც საოცარი ავადმყოფობა შეხვდა, ვერ უშველა ვერც ექსპედიციის გამოცდილმა ექიმმა, ვერც ადგილობრივი ექიმბაშების წამლებმა და ორიოდე კვირაში დასცივიდა ზემოთა კბილები.

ლევანს თვითონ გაუკეთებია ეს, მართლაც, შესანიშნავი, უაღრესად ბუნებრივი პროტეზი. ექიმის დახმარებით გაუკეთებია.

გული მეკუმშებოდა, ლამის ცრემლი

დამედვარა. ვყვინთავდით, ვეძებდით ვერაფერს ვერ ვპოულობდით.

ლილიმ, ქეთინომ და კაკომ დიდხანს გვიჭინეს ხელები. მერე შემოცურდნენ, იბანავეს და ისევ ნაპირზე გავიდნენ. კიდევ გვიცადეს. საუზმის დრო გადავიდა. გოგოებს დაუძახეს. მაინც გველოდებოდნენ. შემდეგ იმედი გადაუწყდათ, გვინი მალე არ გამოვლენო და დაიშალნენ.

სამინლად დავიქანცეთ. ვერაფერს გავხდით. ვინ იცის, სად, რომელ ქვებში იყო მიმალული. იქნებ, ლამიანზე დაძირა და ჩაიფლო. იქნებ წყალმცენარეებში ჩავარდა...

— აჩიკო! — მითხრა ლევანმა, — ასე... უკბილოდ ვერავის ვერ დავენახებები ერთ საათში მატარებელი ჩამოვივლის. წავალ თბილისში, სამი დღის შემდეგ ზუსტად ასეთივე კბილებით დავბრუნდები... — დაფიქრდა და ჩაილაპარაკა: — ერთიც ვნახოთ და, ელიზბარი თბილისში არ დამიხვდეს? იქნებ სადმე... აგარაკზეა წასული?

— ელიზბარი ვინ არის?

— ექიმი! არაფერია, მაშინ სხვასთან მივალ. ნაპირზე ვადი, ჩემი ტანსაცმელი ჩუმად მიიტანე ცისფერ კანკოსთან. მე იქ გამოვალ.

მე ნაპირისაკენ მოვუსვი.

— მოიცა, დაბრუნდი.

დავბრუნდი.

— არავის არაფერი, არც ერთი სიტყვა! ვესმის? ვაყვაცი თუ ხარ, ახლა გამოჩნდება. ეს ჩემი საიდუმლოებაა. ვაყვაცი თვისთვის უფლება არ უნდა მისცეს სხვისი საიდუმლოება ვასთქვას, ხმა, კრინტი. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა გკითხონ — ხმა, კრინტი! მპირდები? მომეცი სიტყვა!

— ვაყვაცი ვფიცავ, პატიოსან სიტყვას ვაძლევ, თუნდაც მაწამონ. — ცოტა არ იყოს, ნაწყენი ვიყავი, რომ ლევანმა ჩემს სიმტკიცეში ეჭვი შეიტანა.

ლევანი შემომყურებდა და მილიმოდა. მე კი სხვა აზრმა გამიელვა.

— მე შენს ადგილზე არ დავმალავდი, ვიტყვოდი. არ წახვიდე, ლევანი! კა-

კოს სამსართულიანი ღრჭოლები კონდეს, მაინც შენ უფრო კარგი ხარ, ლილის ისეთ შეუყვარდები, მე ვხედავდი ლევანის წასვლა არ მინდოდა!

— წასვლა აქვთ, არჩილ, ლილი ისეთ ასაკშია... როდესაც ყველაფერს მინიშნელობა აქვს. აბა, ნახვამდის! — გამოემშვიდობა და გასწია.

— ყოჩაღად იყავი, ვაყვაცი სიტყვა არ დავაფიქრებდი!

— სცევოლა, მუციოს სცევოლა! — მივიძახე მე.

სანამ ნაპირისაკენ მოვუსვამდი, გავიფიქრე:

„ვინ თუ აგარაკზეა ის ელიზბარი? სხვა ექიმთანაც, რომ ვერ მოხერხდეს? მაშინ რა იქნება? გაფუჭდა ყველაფერი!... მე უნდა ვეძებო... უნდა ვიპოვნო. სამ დღეში ვერ ვიპოვნი? ამ ადგილს უნდა დახსომებო.“

პირდაპირ გავუკერი წყალი, სწორი ხაზით ვიარე ნაპირამდე და დავთვალე, თუ რამდენი ხელის მოსმა მოუნდა გასვლას. ის ადგილიც ზუსტად დავიხსოვე, სადა მიწაზე ფეხი დავდგი... დავავლე ხელი ლევანის ტანსაცმელს და ცისფერ კანკოსკენ გავიქეცი.

თავი მეორე

სახლში საჩქაროდ ვისაუხმე და ნაპირს მივაშურე. მაშინ მეგონა, ადვილად ვიპოვნიდი, ყოველ შემთხვევაში, ჩემს განკარგულებაში სამი დღე იყო.

თურმე რამდენი წამება მელოდა! ზუსტად იმ ადგილზე შევეცურდი, სადაც წყლიდან გამოვედი. სწორი ხაზით ვიარე და იმდენჯერ მოვუსვი ხელები, რამდენიც ნაპირზე გამოსასვლელად დამპირდა. ჩავეყინეთ და სხვა ადგილზე მოვხვდი.

გულზე შემომეყარა.

წყალი წყალია, ზემოდან სხვა რა ხერხით უნდა დამხსომებინა ის ადგილი? მე შენ გეტყვი, ბუჩქი იყო, ან ხე, ან ხევი, ან კიდევ სხვა რამ.

მთელი საათი მოვანდომე ადგილის ძებნას. მახსოვდა, აქა-იქ წყალმცენარე-

ები იყო, წყალმცენარეებს შორის — რიყის ქვის პატარ-პატარა კუნძულები და უფრო მოშორებით, იქით, საითაც მზე ჩადის და დახველეთია, — ვეებერთელა ლოდები. ლამიანიც იყო. ლამიანი ბეჭრი იყო. მაგრამ ის ლოდები! ის ლოდები კარგად მახსოვს, ხელოვნურად დალაგებულბს წაავადნენ.

„იმ ლოდების პოვნა შეიძლება, — ვფიქრობდი მე, — ვთქვით ვიპოვენ. გავალ ნაპირზე და ისევ თუ დამეკარგა მაშინ? —“

ყველაფრის გათვალისწინება, მოფიქრება და თადარიგი იყო საჭირო. რაღა წყალში ზურგზე მოლიარეს მეფიქრა? მოვუსვი ნაპირისაკენ, ჩვენების მახლობლად დავეშვი ქვიშაზე და შევუდექი გეგმის შედგენას. თან ურეი მეჭირა, ლევანზე ზომ არაფერს ლაპარაკობენ — მეთქი.

ორ საათამდე ვიწექი სილაზე. გეგმას ვაწყობდი.

მინცდამინც არავინ დაინტერესებულა ლევანის მოუსვლელობით. ერთადერთი ეს იყო:

— ლევანი სად დაიქარგა, ნეტავი? — ჰკითხა ქეთინომ ლილის.

— არ ვიცი. — ლილის გულგრილად თქმა უნდოდა, ვერ გამოუვიდა.

— წყალტუბოს რადიოაქტიური წყლები საუკეთესო საშუალებაა ნეკრესის ქარების წინააღმდეგ! — თქვა კაკომ.

კაკოს ეგონა ვერ მივხვდებოდი, რასაც გულისხმობდა?

— ნაქარტალა ხარ — მეთქი, ვუთხარი და გაეჩქეცა.

სახლიდან ბოთლის საცობი და ფული წამოვიღე. ვიყიდე მაღაზიაში ერთი გორგალი კანაფი. ცალი წვერი ფიცარს გამოვადი, გორგალი ფიცარზე დავამაგრე, წყალში შევცურე და ფიცარი წინ გავიგდე.

მივედი იმ ადგილამდე, სადაც ჩემი ვარაუდით, სასურველი ფსკერი უნდა დამხედროდა. ფიცარი წყალს მივანდე,

დაე, იტივტივოს — მეთქი, და ჩავეგინეთ.

ვეძებე, სანამ ძაღლონე შევხე. შერე დასასვენებლად ნაპირზე გავედდი. მივხვდი, რომ ყურადღება მივიქციე; მეველუდა და ლოკოკინა ეჭვით მათვალერებდნენ.

ქვმაღამ დახმარება შემომთავაზა, ზომ არაფერში გამოვადგებიო.

გავივირვე, რაში უნდა გამომადგე, ყვინთავაში ვვარჯიშობ-მეთქი, უარი ვთქვი.

— ამხანაგებო! სადღაც ამ ადგილებში ხუთასი წლის წინათ სან-მარინოს რესპუბლიკის სამხედრო ზომალდი ჩაიძირა. ოქროს ზოდებითა და თვალმარგალიტით იყო დატვირთული. ჩვენს ამოცანას შეადგენს აღმოვაჩინოთ სტიქიათა მიერ მიტაცებული საუნჯე, ესე იგი ოქროს ზოდები! — განაცხადა კაკომ და გავოებმა კისკისი ატეხეს.

გული მომივიდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

ქეთინო უკვე მიყვიროდა და ხელებს მიქნევდა, — სადილად მეძახოდა. მე კი ჭერაც არ მქონდა ის ადგილი ნაპოვნი.

ვისადილე, ისევ დავბრუნდი. შევლულამ მიმიხზო.

— რა იქნა ის კაცი? — მკითხა.

— რომელი?

— მაღალი, დილის შერე არ ჩანს.

— არ ვიცი. რა ვიცი?

შევლულამ რიგიანად ჩამათვალერა, იყუჩა და კვლავ მკითხა:

— რასაა, რომ ეძებ?

— არაფერს.

— არაფერს? — გაიმეორა შეველულამ, ხელი ამიქნია, წადიო და ისევ ზღვას გახედა.

ამ შესვლაზე ბედმა გამიღიმა. მესამედ თუ მეოთხედ ჩავეყვინთე და ზედ იმ ლოდებზე დავეშვი.

ახლა ადგილის დანიშვნა იყო ალკოლებელი. დავტოვე საცობი, იმსათვის, რომ მცოდნოდა, სად დავბრუნებულყავი, და მოვუსვი ფიცრისაკენ, რომელიც კაი ოცი-ოცდაათი მეტრის მოშორებით ტივტივებდა.

ცოტახნის შემდეგ წყლის ზედაპირზე იჩნებოდა ფიცარი, ფიცარს ჰქონდა წაბ-
მული კანაფი, რომლის მეორე ბოლო
ლოდს ება ფსკერზე. ყველაფერი ეს მე
თვითონ გამოვიგონე. ასეთი რამე არც
წამეკითხა სადმე, არც მენახა, არც გამე-
გონა და ლევანსაც არასოდეს არ უამბ-
ნია რაიმე ამდაგვარი.

იმ დღეს აღარც მიძებნია. ფსკერის
უბნებად დაყოფას მოკუნდი, რომ ძებ-
ნა გაადვილებულიყო. ამასობაში მზეც
ჩავიდა.

სადამოზე საყურადღებო არაფერი
მომხდარა გარდა იმისა, რომ ქეთინომ
ძილის წინ დედას უთხრა:

— ლილი და ლევანი, მგონი, გაიბუტ-
ნენ. როდის გაიბუტნენ ნეტავი?

ამაზე ქეთინომ, ალბათ, ბევრი იფიქ-
რა. მე პატარაობაშივე ვიცოდი, რომ
გოგოები ასეთ რამეებზე ფიქრს თავს
ჯლავენ.

თლით ყველას ავასწარი. პირველი
მე მივედი ნაპირზე, მევლუდა ჩემს შემ-
დეგ მოვიდა. სხვებიც ნელ-ნელა გროვ-
დებოდნენ.

ჩვენი გოგოებიც მოვიდნენ. კაკომ
თან მოიტანა ყველაზე დიდი განტელები
და აქე, გოგოების დასანახად, ვარჯი-
ში დაიწყო. მარდად ატრიალებდა იმ
სიმძიმე რკინეულობას, რაც მართალია,
— მართალია!

ლილი წარა-მარა ქვევით იყურებოდა,
ლევანი ხომ არ მოდისო და ქეთინოს
ეჩურჩულებოდა. კაკომ ისევ წყალტუ-
ბოსა და ნეკრესის ქარები ახსენა. ლი-
ლიმ და ქეთინომ დუმილით უპასუხეს.
მაშინ კაკოც დადუმდა და რაღაც სერი-
ოზულ ფიქრებს მიჰყვა. ჭეშმალაც შე-
ფიქრიაუნებული ჩანდა. ლოკოტინას კი
სერი მოედრიაცა გოგონებისაკენ ცქერით.
თან მე მადვენებდა თვალს, გულდასმით
მადვენებდა, თითქოს ეშინოდა ნაბიჯიც
არ გამოჩენოდა ჩემი. ანბა, როგორც
ყოველთვის, ნაპირზე იდგა. წარა-მარა
ლილის, ან ქეთინოს მიაბჯენდა თვა-
ლებს, ისევ ზღვისკენ იბრუნებდა პირს
და ამბობდა:

— მოუხვებე, შორს არ წახვიდე! —

უფრო ბრახიანად ამბობდა, ვიდრე სხვა
დროს.

ბუქსირმა ცაცო-ფაცოვს და ჩემს
მოაცურა, ჩემი ფიცარი მოსიხჯა, ბაწარ-
საც ჩააყოლა ხელი, სადამდეც ჩაუწე-
და, და დამაკვირდა. შემდეგ ლილისკენ
გაიხებდა, ისევ მე მომიტრიალდა, შად-
რევეანი ჩემი მიმართულებით გადმოაფ-
რქვია და გამეცალა. მართო მევლუდა
დარჩა მშვიდი. როდესაც ლოკოტინამ
ჰკითხა:

— ამხანაგო მევლუდი! თქვენ ხომ არა-
ფერი იცით იმ ამხანაგზე? — მევლუ-
დამ სამჭერ გამეოროებინა და უპასუხა:

— წავიდა, ალბათ.

ნაპირზე მითქმა-მოთქმა იმატა. ინ-
ტერესი ლევანსადმი და ჩემი ყვინთ-
ვითი საქმიანობისადმი თანდათან გა-
ლიერდა.

მე ჩემსას ვაკეთებდი, — ვეძებდი.

შუადღემდის ორი უბანი დაეძებნე.
მართალია, ვერაფერი ვიპოვე, სამაგი-
ეროდ დავარწმუნდი, რომ ლამიან უბნე-
ბზე არაფერი იყო. წყალმცენარეებისანი
სამი უბანი და ერთი, ძალიან დიდი,
ლოდებიანი უბანი დამჩა მოსაკვლევი.

გამოვედი თუ არა ნაპირზე, ქეთინომ
დამიძახა.

— რა იქნა, აჩიკო, ლევანი? — მკი-
თხა მან.

— მე რა ვიცი?

— როგორ თუ რა იცი? ერთად არ
იყავით გუშინ დილას?

— მერე რა, რომ ერთად ვიყავით. მე
რა ვიცი, რა იქნა!

ამას სიჩუმე მოჰყვა. სამივე დაიბნა.
გაუკვირდათ ასეთი ცივი უარი.

— იქ რას აკეთებ? — მკითხა კაკომ.

— ვცურაობ. შენ რა გინდა?

— ორი დღეა ყვინთავ. აღარ მოგებუ-
რდა?

— ეგ ჩემი საქმეა!

— შენ რა, მართლა ოქროებით სავსე
ჩაძირული ხომალდის პოვნა გადაწყვი-
ტე? ის ხომალდი აქ არ ჩაძირულა. ზე-
მთო ჩაიძარა, ციხისძირთან. დროზე
გეთქვა, შე კაი კაცო! მე ის ადგილი
ზუსტად ვიცი. გინდა გასწავლო?

— შენ თავს ასწავლე.

— კომპანიონად არ ამიყვან?

— შშიშარა ხარ, არ გამოდგები!

კაკო მიხვდა, იმდღევანდელ ჩხუბზე რომ ველაპარაკებოდი, მაგრამ ვითომც არაფერი...

— მეც მინდა ოქროები! — შემომხვეწა იგი.

მშობოდა, წასასვლელად გავიწიე.

კაკო წყალში შეტურდა და ჩემი ფიცრისკენ აიღო გეზი.

მიცურდა. ერთხანს გარშემო უტრიალა და ჩაყვინთა; რამდენიმეჯერ ჩაყვინთა. როდესაც დაბრუნდა, გოგოებს თვალი ჩაუკრა და მითხრა:

— ვინ ამოგაწორდა ფსკერიდან ის ბაწარი?

— შენ არ ამომაწორდე?

— არ მითხრა, იმ სიღრმეზე ვყვინთავო.

— მე ვყვინთავ. შენ ვერ ჩაყვინთავ?

კაკომ აგდებულად გაიციანა.

— შენ ვერ შესძელი ფსკერამდე ჩაყვინთვა, — ვუთხარი მე. — აბა, თუ ბოლომდე ჩაყვინთე, მითხარი ის კანაფი რახეა გამობმული?

დავიჭირე. არ იცოდა კაკომ, რახე იყო ბაწარი გამობმული.

აქაც იპოვნა გამოსავალი. მხარზე ხელი დამითათუნა და გოგოებს უთხრა:

— საინტერესო ხალხია პატარა ბიჭები! გული ერთით, აღარ იციან რაში დახარჯონ ენერგია. ოღონდ რამე აკეთებინე, აქვს აზრი, არა აქვს — ამათთვის სულერთია. — მერე მე მითხრა — მიდი, ძმობილო, უქმად ჯდომას, უქმად შრომა ჯობიჯო, ნათქვამია.

— მე უქმად არ ვშრომობ, საქმეს ვაკეთებ!

სამთავემ ერთად გადაიხარხარეს: ქეთინომ წრიბინით, კაკომ ქუხილივით, ლილიმ — თითქოს წამლით ანგინიან ყელს ირეცხავსო, ისე... ერთი კაკანი და კრიახი მომეყოლეს კვალში ქოქოლასავით.

აზრი ამეკვიატა, ვაი, თუ ლევანს თბილისში არ დაუხვდეს ის კბილის ექიმი და მეც ვერ ვიპოვნეო, მაშინ?

ძალიან შემომიჩინდა ეს ფიქრი. გულწაილო, გუნება მომიწამლა.

ერთი წყალმცენარეებიანი უბანზე დავტყებნე რიგიანად. აქაც არაფერი აღმოჩინდა.

დსასვევებლად გამოცურე ნაპირზე.

— აჩიკო, მოდი აქ, ახლავე! — დამიძახა დედამ.

გავიხედე.

საოცარი შემადგენლობის ჭგუფი დავინახე; არასდროს არ მენახა ერთად მსხლარეყვენ ლილო, ქეთინო, კაკო, ლილის დედა, და, დედაჩემი და მათთან მგვლუდა, ძია კოტე-ლოკოკინა, ისიდორე-ანძა, და ბაბო-ბუქსირმა თავიანთი ცაცო-ფაცოთი და ნავტიკით.

რალაცნაირად ისხდნენ... შეთქმულებს ჰგავდნენ.

— ერო-ბაა! — გავიფიქრე მე, — რიგიანად ვერ არის საქმე!

— დაგვიჩქეი აქ! — ბრძანა კაკომ.

დედაჩემი დამატყერდა, ლოყაზე წაივლო ხელი:

— ღმერთო, მომეალი! რას დაემსგავსე, აჩიკო, შენ გენაცვალოს დედა!

მეც ვიცოდი, რომ ბოლო ორ დღეში ძალიან გავხდი, — ლოყები ჩამიკვივდა, თვალეები სიღრმეში წამივიდა.

მაშ რა იქნებოდა! — ამოდენა მღელვარება და ჯაფა!

დავჩქეი თუ არა, ისიდორე-ანძამ იმ წამსვე შემომიტირა:

— ადექი ახლავე!

აედექი. რატომღაც საკმაოდ მარდად ავდექი.

— ფეხზე იდგეს! — განაცხადა ისიდორე-ანძამ, — ბავშვი არასდროს არ იტყვის მართალს, თუ ფეხზე არ დგას. მე ვიცი, პედაგოგი ვარ... მასწავლებელი... ქიმიის, რუსულ სკოლაში.

— ისიდორე, ცოტა ხმადაბლა! — ესროლა ბაბო-ბუქსირმა ქმარს.

ცაცო-ფაცომ ბაფთები შეარხიეს. მგვლუდა ზღვას გაჰყურებდა. ამ საზოგადოებაში ყოფნა აშკარად ერთობურებოდა.

— რატომ, ამხანაგო, დაჯდეს ბავში. ყველაფერი ნორმალურ ბირობებში უნ-

და მოხდეს, — გამომესარჩლა ძია კოტე-ლოკოკინა. — დაჯექით, ბიჭოკო, დაჯექით. თქვენ ხომ კარგი ბიჭუნა ხართ! შემპარავად, ტკბილად მითხრა; ფრუ-ანტელმა დამიარა და შიშმა შემიტოკა გული...

ამდენი უფროსი იჯდა ჩემს წინ და ყველაფერი ნორმალურ პირობებში უნდა მოხდესო. რას შიპირებენ?..

სათითაოდ შევხედე ყველას. ფეხებში თვითონ გაიწიეს გასაქცევად.. გადავიფიქრე, უკედ ვთქვა, თავი შევიკავე, არ ღირდა.

— დაჯდეს! — თანხმობა განაცხადა ისიდორე-ანძამ, — დაჯექი! — ძალიან მკვახედ მიბრძანა.

ამ კილომ, ამ ბრძანებამ ქედმოუხრელობა და ჯიბრი ამინთო.

დაკითხვავ? კეთილი და პატიოსანი!

— დაჯექი. რას დაუუდებულხარ? — შემომღრინა კაკომ — სად არის, ბიჭო, ლევანი!

— არ ვიცი!

— გასწორდი, ეგრე ნუ ზიხარ! — შესროლა ისიდორე-ანძამ.

— ისიდორე! — შეახსენა თავი ბაბო-ბუქსირმა.

— პიონერი ხარ? — მკითხა ისიდორე-ანძამ უფრო ხმადაბლა.

— არ ვიცი! — გავიმეორე დაუფიქრებლად.

ისიდორე-ანძამ თვალები გადმოკარკლა, და მე უმალ მივიღე ზომები, რომ „ეგრე“ აღარ ვმჭადარიყავი.

მხრები გავშალე, მდგომარეობა შევინაცვლე, ვიგრძენი, რომ უარის თქმა მაშინ უფრო ადვილია, როდესაც მხრებში გაშლილი ვარ, თავი მაღლა მიჭირავს, და დამატებით უარი ვთქვი:

— არაფერი არ ვიცი!

უდავოა, მეშინოდა. მეშინოდა იმისა, რომ ამდენი უფროსი ერთად გამიჭავრდებოდნენ, დამტუქსავდნენ, შემარცხვენდნენ, მაგრამ ამ მომენტში მაინც უშველებელი გული მქონდა, მკერდი მთლად გულით იყო სავსე, მხოლოდ გულით და გულს უნდოდა, რომ რომელიმე ამათგანს, ვთქვათ, ისიდორე-ან-

ძას, შაშხანის ზუმბა აეწიელებინა ჩემს ზურგზე, ეკიხა, ვიცი თუ არა?!

უბეველად ვიტყვოდი — არაანა... მე დავემტკიცებდი... მე ვაჩქუნებდი მათ, რას ნიშნავს სიტყვა — „ვაქცავი“.

— გამაგოეებს ეს კაცი! — წარმოთქვა ისიდორე-ანძამ, თქმობზე დაილაგა ხელები და დასძინა — არ იცი, ხარ თუ არა პიონერი?

— პიონერია, როგორ არა! — უთხრა დედაჩემმა.

ისიდორე-ანძამ განცვიფრებულ თვალები მოავლო დამსწრეებს.

— თქვი პატიოსანი პიონერული სიტყვა, იცი თუ არ იცი, სად არის ის... — ყველამ ერთდროულად შეაშველა:

— ლევანი!

— ლევანი! — გაიმეორა ისიდორე-ანძამ, — თქვი!

დავიბენი.

როგორ მეთქვა პატიოსანი სიტყვა, არ ვიცი-მეტი? ვიცის თქმაც თავისთავად იყო გამორიცხული, ვაქცავის სიტყვა მქონდა მიცემული.

ისიდორე-ანძამ დაბნეულობა შემნიშნა და დამაწევა:

— თქვი, შენ გელაპარაკებინა!

— თქვი, აჩიკო, დედა გენაცეალოს!

— აჩიკო, თქვი ახლავე! — შემომიტირა ქეთინომ.

— თქვი, შე კაი კაცო, აღთქმა გაქვს დადებული? რას გატრუნულხარ! — კაკომაც მოიტანა იერიში.

გული მომივიდა რომ მიყვიროდნენ. გონს მოვედი.

— აო ვიტყვი! — ვთქვი მტკიცედ და ქეთინოს ენა გამოვუყავი.

— თქვი ახლავე, ცოცხალია თუ შეკვდარი ის კაცი, თორემ... — დამიტირა კაკომ, — რას მიედ-მოედები!

— მე შენი გაბერილი მკლავების არ მეშინია. არც ერთისა არ მეშინია, არაფერს არ ვიტყვი!

ზეზე ავდექი, მკერდი გავშალე და ძალიან მომიხდა რაიმე ვაქცავთი ლექსი მეთქვა. მომავონდა კიდევაც, პირზეც მომადგა. „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“, მაგრამ

ამ სტროფის მეორე ნახევრის უადგილობას დროზე მივხვდი და თავი შევიკავე.

მინდოდა კი, ძალიან მინდოდა ლექსი შეთქვა.

— შეხედლე ერთი ამას! — წამოიძახა ბაბო-ბუქსირმა და მე გამიკვირდა, რომ ამხელა, დევივით ქალს ისეთი წვრილი, მისასვსავებული ხმით ლაპარაკი შეემლო.

ცაყო-ფაცომ ისევ გადაიქნინეს ბაფთები და ახლა თავიანთ დედას ახედეს.

— აჩიკო, თქვი ახლავე, თორემ ქეთინოს გეფიცები, თავს დავიდრჩობ და მამას ვეშვვი ყველაფერს! — გაკაპასდა დედაჩემი.

მამის ხსენებამ მკერდში რაღაც დამიდრა და გადამიყარა, მაგრამ სული მოვთქვი როგორც იყო, და ვთქვი:

— არაფერი არ ვიცი!

— ღმერთო ჩემო, ეს როგორი ბავშვები იზრდებიან! — ამოიოხრა ლილის დედამ.

საერთო ყაყანი ატყდა, არც ერთს არ მოსწონდა მოზარდი თაობა.

— მოითმინეთ! — დააწყნარა ძია კოტე — ლოკოკინამ ადელევებული საზოგადოება, დამსწრეებს თვალი ჩაუკრა და ისევ ტყილად თქვა: — იქნებ მართლა არაფერი იცის ბიჭუნამ? გამოვარკვიოთ! აი, მაგალითად, თქვენ. რატომ გგონიათ, რომ აჩიკომ... აჩიკო, არა?.. ჰო, რატომ გგონია, რომ აჩიკომ რამე იცის? — შეეკითხა იგი ლილის და მე ჩამაშტერდა თვალბში.

— იცის. გუშინ ერთად ბანაობდნენ, და მერე ლევანი აღარავის უნახავს.

— მართალს ამბობს? — მკითხა ძია კოტემ და თვალები დამიბრიალა.

— არ ვიცი. ჩვენ ერთად არ შევსულვართ წყალში! — მართალი ვთქვი, ლევანი უფრო ადრე შევიდა.

— აი, ზედავთ? იქნებ მართლა „არ იცის, არ შესულა“? თქვენ რას იტყვით?

— იმ კაცის სახლის პატრონს რძე მოაქვს ჩემთვის, — დაუნახა ხმას დედა ბაბომ, — ასე მითხრა: რძე წამოვიღე სახლში იყოთ. დაებრუნდი, —

აღარ დამხედდრიაო, აღარც მინახავსო. ამ ბიჭმა იცის ყველაფერი! — ცაყო-ფაციომ პირიდან ქვა! — ცაყო-ფაციომ გამოიღო. ფაცომაც.

— მე რა ვიცი მერძვე! — ვთქვი და მართალიც ვთქვი, არც ერთ მერძვეებს არ ვიცნობდი იმასაც კი, რომელსაც ჩვენთან მოჰქონდა რძე.

— აი, ზედავთ? „მე რა ვიცი მერძვეო“, ამბობს. იქნებ მართლა არ იცის? თქვენ?

— მე თვითონ ვნახე, აჩიკომ ლევანის ტანისამოსს დასტაცა ხელი და ქვევით გააქცუნა! — ცაყო ხელით მიანიშნა, საითაც „გააქცუნე“. — მაგან ყველაფერი იცის.

— არაფერი არ ვიცი!

არ იყო ქვეყანაზე ძალა, რომელიც ვაჟკაცის სიტყვას დამარღვევინებდა. აღარავითარი დაკითხვისა არ მეშინოდა.

— აი, ზედავთ? ტანისამოსიც არ იცის.

რატომღაც ძალიან გამეზიარებულდი. უცებ მომეჩვენა, რომ ყველა ესენი ბავშვები იყვნენ ჩემთან შედარებით. სიამაყე ვეგრძენი, რომ მე ამათზე დიდი და ძლიერი ვარ, რომ ჩემთან ვერაფერს ხდებიან და ვერც გახდებიან რასმე. გული დამწყდა: არც შამხანის ზუმბა წივის, არც შანთები ხურდება ქურახე.

— თქვენ რას იტყვით?

ანძამ ჩახხველა, როგორც მშობლების კრებაზე იციან.

— დაიდრჩო. ამან ყველაფერი იცის!

— წარმოთქვა მან.

— ისიდორე, ბავშვები! — ესროლა ბუქსირმა.

ყველამ მისკენ იბრუნა პირი, თვალბში ყველას შიში ჩაჰბუღებოდა, გარდა ლოკოკინასი, რომლის თვალბში არასოდეს არაფერი არ იყო, და გარდა მეულუდასი, — მეულუდა ყრუ იყო.

— დედა, ღმერთო მომკალი აჩიკო, თქვი, შეილიკო! — შესძახა დედაჩემმა და გაფითრდა.

— დამშვიდდი, დედიკო! მე არაფერი არ ვიცი, — გავამხნევე დედა.

ლოკოკინა შეინძრა, სხვა ყაიდაზე

დაჭდა, ხან საით წაიღო ფეხები, ხან როგორ დაალაგა.

— აჩიკო! შენ თუ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე ხარ, ამდენი მხილების ქმედების ქვეშ, მართალი უნდა თქვა, — ლოკოკინა ძალიან მკაცრად და დიდის ღირსებით ლაპარაკობდა. — წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ უფრო ეფექტურ ზომებს!

— უფრო ეფექტურ ზომებს! — გაიმეორა ანძამ არანაკლებ მტკიცედ და შთამაგონებლად.

მე მაშინ ძლიერ ბუნდოვნად მესმოდა, თუ რას ნიშნავდა „ეფექტური“, და ერთი წამოდგერება მძლავრად წამომიძგერდა გული, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამოდგერება იყო და ისიც სიხარული-სა და არა შიშისა.

„აჰა, დადგა ნამდვილი განსაცდელის ეპოქა...“ — გავიფიქრე მე.

— არაფერი არ ვიცი, არაფერს არ ვიტყვი! — განვაცხადე ისე მტკიცედ, როგორც არც მანამდე, არც შემდეგ არაფერი არ განმიცხადებია, და იმ წამსვე გული დამწყდა: ამ ხალხს ილაჯი არ გასწვდებოდა „უფრო ეფექტური ზომებისათვის!“ ისინი ჩემთვის იყვნენ ლოკოკინა, ანძა, ბუქსირი და არა ძია კოტე, ძია ისილორე და დედა ბაბო.

ყველა სახტად დარჩა. უნდა გენახათ როგორი თვალებით შემომყურებდა ჩემი ძმაცაიე ჯემალა!

— ამას რალა უხარია, ნეტავი! — შეუყვარა კაკომ და ქეჩოში წაუთაქა, თითქოს ჯემალას ბრალი ყოფილიყოს რამე.

— ასე, ასე, ამხანაგებო! — თქვა ლოკოკინამ. — აჩიკო, წადი ცოტახნით აქედან, ცოტა იქით წადი! შენც! — დაუბრიალა თვალები ჯემალას.

ჩვენ განზე დავდგექით. არც ისე ახლოს ვიყავით; ყველაფერი გვსმენოდა. არც ისე შორს, ვერაფრისთვის მოგვეკრა ყური.

ჯემალა რალაცნაირად მიცქეროდა, მგონი, თანავრძნობით. იქნებ შურდა კიდევ ჩემი.

— ამდენი ფაქტების სიმძიმის ქვეშაც 6. „მნათობი“, № 8.

კი... მეტისტმეტად რთული ფსიქოლოგიური მონაცემები... არასწორი აღზრდა... არასასურველი ზეგავლენა... ჯვარედინი დაკითხვა... — ისმოდნენ ლოკოკინას სიტყვები და ანძა წარა-მარა უდასტურებდა:

— დიახ, დიახ, სრული კეშმარიტება!

— რას ბრძანებთ, როგორ შეიძლება... — სცადა დედაჩემმა შედავება.

— ამხანაგო.. გამოირკვევა... ვიდრე მილიციამდე... — პასუხობდა ლოკოკინა და სხვები თავებს აქნევდნენ დასტურის ნიშნად.

ლოკოკინა დედაჩემის პასუხს აღარ დალოდებია. ადგა, თავისი ქოლგისკენ გასწია.

რალაცას მიპირებდნენ.

მე ყველაფრისთვის მზად ვიყავი, იმისთვისაც კი, „ინკვიზიციის ისტორიაში“ წამების მანქანა-იარაღები რომ ხატია.

— აჩიკო, მობრძანდით ჩემთან! — მოისმა ქოლგის ქვეშიდან.

— თქვენ რას იტყვით, ამხანაგო, რატომ მალავს ეს ბავშვი ყოველივე ამას? — შეეკითხა ანძა მეველუდას, როდესაც ლოკოკინასკენ მივამბიჯებდი მათ გასწვრივ.

— მაგ ხდება... დოუვარდებათ და იკარგება. მარა, ვეძიე მე. აფერი არაა იქანა. ფსკერი შავია და რომ იყოს იქ, გამოჩნდებოდა თეთრი.

ელდა მეცა. კინალამ ზღართან მივავლინე.

მეველუდამ, ცოტა დარჩა, ერთი მოსმით დაანგრია ყველაფერი, რასაც მე ასეთი ფეხმოუცვლელი სიმტკიცით ვაშენებდი. კინალამ უქმად ჩამიარა ყველაფერმა... კიდევ კარგი, ვერაფერს ვერაფერს მიხვდა. ნათქვამი ყრუ კაცს შეუსაბამ ლაპარაკში ჩამოართვეს. მეველუდამ დაინახა, მისი მოსაზრება აინუნში არავინ აიღო და თავის გზას გაუდგა.

უნებურად შევჩერდი, თვალი გავაყოლე.

რა ეშმაკი, რა გამჭრიახი ბერიკაცი ყოფილას!

— ჩამოჯექით აქ, — მიმოითთა ლოკოკინამ.

ჩამოჯექი.

— ლახტის თამაში გეხერხებათ? — მკითხა, და მე გამოვიკირდა, რომ თქვენობით მელაპარაკებოდა, ისიც ლახტზე!

— ისე-რა.

— ეპე-პე! როგორ მიყვარდა, — თქვა და მიაშბო ვიღაც მიხას შესახებ, რომელიც წრიდან ხუთ ქამარს იტაცებდა, ხუთი, ერთი მეორეზე მიყოლებული დაგორებით და ჯერ მიხაზე ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უეცრად ნიუარიდან, ესე იგი, ქოლგის ქვეშიდან თავი გამოყო და მომახალა: — რა გაწყენინა ამ მამაძაღლმა, გცემა? — თვალზე დამიბრიალა. ძალიან დამიბრიალა.

ცოტა არ იყოს შემეშინდა. კიი ხანი გავიდა, სანამ შიში გამომხელდა.

— არაფერიც არ უწყენინებია, არც უცემია და მამაძაღლი... სრულებითაც არ არის ლევანი მამაძაღლი, — ვთქვი მე, და ლოკოკინა ისევ ნიუარაში შესრიალდა.

— ნაყინი გიყვარს? გინდა, ნაყინი გიჭამო?... იცი, როგორ აკეთებენ ნაყინს? — ლოკოკინამ დაიწყო ახსნა, თუ როგორ აკეთებენ ნაყინს.

ჩვენი სახლის პირდაპირ, სარდაფში, ნაყინის საამქრო იყო. მე ყველაფერი ვიცოდი ნაყინისა. ვუსმინე, სანამ შეცდომაში არ დაეიჭირე. ლოკოკინამ არ იცოდა, რომ „ესკიმოში“ ჩხირებს გაყინვამდე სდებენ.

— ეგ ლოკოკინების ნაყინია, — ნავურთე მე.

— ხელს ნუ მიწლი! — ვიპასუხა ლოკოკინამ და განაგრძო.

აღარ შეინტერესებოდა მისი ლაპარაკი. განზე გაიხედე და რა ვნახე?

ჩემი დაკითხვის მოწაწილეთა გარდა, იმ ადგილზე ბარე ოცდაათი ქალი და ვაკი მოქურხებულიყო. ყურები დაეკვიტათ, იქნებ გავიგონოთ რამეო. გავი-

ფიქრე, რომ სცენიდან, აღმათ, ასეთი მაცურებლით სავსე დარბაზი და რაღა მე და ლოკოკინა სცენაზე გამოვხედოდით, ეს ხალხი კი პარტერში, და ყველა განცვიფრებულია ჩემი ვაჟაკობით.

თან ცოტა მეუხერხულა კიდევ ამდენი ხალხის ყურადღების ცენტრში რომ აღმოვჩნდი.

ლოკოკინამ დიდხანს ილაპარაკა ნაყინის დამზადების ტექნოლოგიაზე. ამასობაში მიუხედავად, რასაც აბორებდა. ისეთივე ფანდს მიმზადებდა, როგორც ლახტის თამაშზე გამოიკეთა, და მოვემზადე.

— რა გაქვს დამალული ფსკერზე? — შემეკითხა მოულოდნელად, ისეთი ფაცხა-ფუცხით, რომ რიგიანად ვერც გავარჩიე, რა თქვა.

გავაშეორებინე.

ნიუარაში შებრუნდა და იქიდან მიყურებდა.

— ყურში გეტყვით — ვთქვი მე ხმადაბლა.

იმ წამსვე ეცვალა სახე, გაძოსრიალდა, ყური მომიმარჯვა და გაფაციცებით მელოდა, რას ჩავჭურჩულებდი.

პირი ყურთან მიუფტანე, პარტერს ვავებდე.

ჩასაფრებულებს გავდნენ.

— ლოკოკინა! — ჩავჭურჩულე მე ყურში.

— ჰა?

— ლოკოკინა!

— ლოკოკინა. — გაიმეორა მან, და ფიქრდა და შემომხედა, — რისი ლოკოკინა ბიჭო. რას ბოღიალობ!

წამოვხტი და ღრეჭალრეჭით ვუთხარი:

— ლოკოკინა!

თითქოს ნემსი ატაკა ვინმემ, ისე შეხტა, ისე მალდა შეხტა, რომ ქოლგა წაიქცია. სანამ ქოლგას თავი დააღწია, მე უკვე წყალში ვიყავი და ვყვიროდი:

— ლოკოკინა, ლოკოკინა, ლოკოკინა!

— პოტენციალური რეციდივისტია. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! — აუწყა ლოკოკინამ პარტერს, რითაც დედაჩემის და ქეთინოს აღშფოთება გამოიწვია, და ქოლგის დარქობას მიპყო ხელი.

მას შემდეგ ვიცი, რასაც ნიშნავს სიტყვები: „ბოტენციალური“ და „რეცილივისტი“.

ბუქსირმა თავისი ნატიკი დაიხუტა. ნატიკი შიშის მორჩა და პარტერიც დაიშალა.

დედაჩემმა კარგახანს მიყვირა, გამოდი, მამაშენს ვეტყვიო, და წავიდა. მე ჩემს საქმეს შევეუდექი.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მიჭირდა ყვინთვა. სამჯერ თუ ოთხჯერ ჩავედი, და თავბრუს ხვევა დამეწყო.

დასასვენებლად რომ გამოვედი, უცნაური გამოცოცხლება შეენიშნე. მოზახვეები და მოსეირნეები ლაპარაკში ყვინთვას გართული, რაღაცას უამბობდნენ ერთმანეთს.

კვითხე, რაშია—მეთქი საქმე.

ხმა გავარდნილა, ზღვამ დამდრჩეალი შამაკაცი გამორიყაო.

ნელ-ნელა აიყარა ხალხი, ბორცვებისკენ დაიძრა, იქით, სადაც ვითომ დამდრჩეალი კაცი გამოერიყა ზღვას.

ყური მოკარი ვიდაც კაცი ორ ტიტლიკანა ქალს უამბობდა, თვითონ ვნახე. ის დამდრჩეალი ლევანი არისო.

ქალებმა ერთი ვაი-ვიში ატეხეს. ლამის თმები ჩამოგელიჯათ.

— შეუძლებელია!

— Ах какой красавец, как жалы!

კინალამ ძეც გავიჭეცი სანახავად.

ამოზაში ჭემალა დაბრუნდა და თქვა, რომ ეს არ არის ლევანი და რომ უახლოეს ხუთ კილომეტრზე საერთოდ არაფერი არ გამოურიყავს ზღვას ბორჯომის ბოთლის ძეტი, ეს არის იქიდან მოვდივარო.

მზე ჩასული იყო, როდესაც ძლივს მივალსალსდი სახლში.

თავბრუს ხვევამ შიშატა, თვალეზში მიბნელებოდა.

მადიანად ვივახშმე, შევექეცი რამდენიც შემეძლო. ლევანის ნაამბობი მომაგონდა, შოკოლადი ყველაზე ნოყიერი საქმელიაო. დედაჩემს ერთი

კოლოფი შოკოლადი ჰქონდა სტუმრებისთვის გადანახული. მუვიბარე... ესე იგი, შეუმჩნევლად გამოვიდქ! კარადიდან. როდესაც ცარიელ კოლოფს ადგილზე ვაბრუნებდი, ხაზილალს მოეკარი თვალი. ესეც ვიახელით. აღარ შშიოდა, ძალით ექამდი.

დაეწეკი და ქეთინოც დაბრუნდა კონოდან. თან ჭორი მოიტანა, რომლის თანახმადაც ლილის სიყვარულით დიტანჯულმა ლევანმა თავი დაიბრჩო და თავისი დისერტაცია ლილის უანდერძა. დედამ ჰკითხა, საიდან იციო. საიღუმლოაო, დამალა.

ამას ლილის დედის მეტი ვერაყინ გამოაცხობდა. დისერტაციაც რომ არ დავიწყა!

თვალეზი მეღულებოდა, მაგრამ ვერ ვიძინებდი. იმიტომ ვერ ვიძინებდი, რომ აღტაცებული ვიყავი: ლევანის საიდუმლო ქვეყანაზე შარტო მე ვიცოდი! კარგი ვრძობაა, როდესაც მხოლოდ შენ იცი ერთმა კაცმა, ამხელა მსოფლიოში ისეთი, რაღაც, რომელიც არავინ არ იცის და არ ეცოდინება... ამ დროს ქეთინო მომიჯდა, ფიჭვი შემაწყვეტინა.

იცოდა, აღერსი მევაჯერებოდა, მაინც მომიალერსა.

— აჩიკო, ჩემო საყვარელო ძამიკო! შართლა ჰქონდა ლევანს დიდი ქვა კოსერზე შებმული, როცა ზღვაში შეტურდით?— მკითხა მან.

— არაფერი არ ვიცი! წადი, მეძინება.

— ეუბასუხე ცივად.

წავიდა კუდამოძუებული.

გულში ვეცინოდე; მაინც რატომ არიან ვოგოები ასე სულელები? ნუთუ ძნელია იმის მოფიქრება, რომ თუ კისერზე ისეთი სიმძიმე, შეიბი, რომელიც დაგძირავს და დაგდარჩობს — იმ სიშორეს როგორღა გაცურავ, მე და ლევანი რომ ვიყავით!..

გულში ჩავიყოლე, სიზმარში არაფერი წამოვკაყრანტალო-მეთქი და მკვდარივით ჩამეძინა.

თავი მასხვი

სისხამ დილით ნაპირისკენ მივაბიჭებდი.

თავბრუ აღარ მეხვეოდა, აღარც თვალი მიბნელებოდა. შოკოლადმა და ხიზილალმა თავისი გააკეთეს, მაგრამ დიდიანვე ისევ ის საწუხარო შემიჩნდა: უკვე მესამე დღე გათენდა, ლევანი უნდა გამოჩენილიყო. მე ვერაფერი ვიპოვე და ვაი, თუ ვერც ლევანი გახლარასმე!? მაშინ?

ცივ ოფლს მასხამდა ეს ფიქრი.

დილის ძებნამაც უქმად ჩაიარა. სამაგიეროდ წყალმცენარეებიანი უბნების საგულდაგულ დაძებნას მოვრჩი. დამრჩა ქვა-ლოდიანი ფსკერი და რწმენა, რომ აქ უეჭველად ვიპოვნიდი.

შუადღეზე სახლში მივირბინე, ვისაუბრე, შოკოლადისა და ხიზილალის გაქრობით გამწარებული დედაჩემის მძაფრი იერიშების ნაწილი მოვიგერიე, ნაწილს გამოვექეცი.

თავბრუს ხვევამ შემიხსენა. შეეფიქრინა.

მაინც ვეძებდი. გული არ ამცრუებია, არც მომბეზრებია. პირიქით, გაათქეცბული მხნეობით ვყვინთავდი და დავბობლავდი ლოდებიან ფსკერზე. ცოტა ის მადარდებდა, რომ მეგლუდასაც უძებნია თურმე და ვერ უპოვნია. მე როგორღა უნდა ვიპოვნო — შეთქი... როდის ეძება? ალბათ, გამოთენისას, ჩემს მოსვლამდე.

მეგლუდამაც კი ვერ იპოვნა!

მაგრამ მაინც ხომ სადღაც აქ არის. რა ეშმაკს უნდა წაეღო!

თავბრუს ხვევამ მიმატა. ყურებში რაღაც ბეჭილი ვიგრძენი.

გავიფიქრე, ჭემალას გავანდობ, ვაეკაცი ვაკიცა, არ გამცემს, მომეშველება, იქნებ ორმა უფრო ადვილად ვიპოვნო... მაგრამ არა, სიტყვა სიტყვა! არავის, მასასადამე არავის!

შუადღე გადასული იყო. სილაზე ვიწქი და მივივრდა, რომ დღეს არც

ლოკოკინას გამოუტანია თავისი ნიჭი, არც ანძა ჩანს სადმე. ვოგოები და კაკო ხომ რაღაცამ ჩაყლანა, ბუქსირმა ცაცო-ფაცო ახლახან მოიყვანა და თან ნაეტკი არ მოუტანია. დაუზიანდათ?... მეგლუდა მთელი დილა არ ჩანდა. ესაა ახლა გამოცხადდა. ჭემალა სადღა?

ისევ ლევანზე ფიქრმა გამიტაცა. ამასობაში რიგიანად დავისვენე, შესვლას ვაპირებდი, რომ ჭემალა ერთი ქოშინით მოვარდა.

სასწრაფოდ მაცნობა: ლოკოკინა დილით მილიციაში ყოფილა. მარწმუნებდა ლევანის დაკარგვის განცხადება შეიტანაო. ამის შემდეგ, ჭემალას თვალი უდევნებია, ლოკოკინა ორი მილიციელის თანხლებით წამოსულა. ერთი მილიციის უფროსი ყოფილა, მეორე — გამოძიებელი. ჭერ ლევანის სახლის პატრონთან შესულან სამივენი. მერე დაუჯიბნათ კაკო. შემდეგ ანძა, ბუქსირი, მეგლუდა და ბოლოს ლილი, ლილის დედა, ქეთინო, დედაჩემი და კოდემ ვილაციები.

— იქედან ჩვენსას მოვიდნენ, — თქვა ჭემალამ, — ოთახში ვიყავი დედაჩემს ჰკითხა უფროსმა, შენი ჰინკა ჭემალა სადააო. გადავხტი ბაღში!

ჭემალამ რამდენჯერმე გაიმეორა, ბაღში გადავხტიო.

— დავიმაღე და მოვედი შენთან. რა ექნათ ახლა?

ვედარაფერს ვიზამდი, რადგანაც თავზე ლოკოკინა, ანძა, დედაჩემი და მილიციის ორი მუშაკი გვადგა.

ჭემალა ხელიკივით გაცურდა და ისე სწრაფად მიეფარა თვალს, რომ პირებილია დარჩათ. მე გაქცევა არ დამიპირებია. ასეთი რამე გეგმებში არ მქონია... მქონოდა კიდევ, სიმართლემ პური ჭამოს, ვერც მოვახერხებდი. მილიციის თანამშრომლების დანახვაზე ტანში გამცრა, რომ იტყვიან, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინაო, ისე დამემართა.

დედაჩემმა მკლავში მაგრად ჩამჭიდა ხელი და გაფთხრებული, მუხლებში მოსუსტებული, სახლისკენ წამიყვანა.

უკან ბაღრაგი მომდევდა — შეიარა-

ღებული მილიცია, ლოკოკინა და ანძა. მეტად საზეიმო სიტუაცია იყო ჩვენს ოთახში შემოყვანეს. ქეთინო თვალტრემლიანი იჭდა თავის ლოგინზე... მაკვირებს გოგოების საქმე, სულ იცრემლებიან. უცხოებთანაც კი არ იკადრა დაწყენარება.

სახლის პატრონმა დამატებითი სკამები მოგვამგვლა. მილიციის თანამშრომლებმა, ლოკოკინამ და ანძამ მაგიდა დაიკავეს. დედა ნავთქურას მიუჭდა, სადილს მიხედა. ქეთინო თავის ლოგინზევე დარჩა. მეც ნავთქურასთან დამიდგეს სკამი, დედაჩემის პირდაპირ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

გამომძიებელმა პლანშეტი გახსნა, ქაღალდები ამოიღო, ქმიური ფანქარი მოიმარჯვა. მილიციის უფროსმა ბლოკნოტი ამოაცურა.

პლანშეტების შესახედაობამ, ქაღალდების შრიალმა და მილიციის ფორმამ ჩემზე, ცოტა არ იყოს, დამაჯერებლად იმოქმედა. ვიფიქრე, ეს უკვე სახუმარო საქმე აღარ არის-მეთქი. წამით შევეყოყმანდი, ვიტყვი რომ თბილისშია და მომშვებიან მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი ყოყმანი იყო. ამაში უტბად დავრწმუნდი, რადგან პირველსავე შეკითხვაზე ისეთი ცივი უარი ვახალე, რომ თვითონ გამიკვირდა, ეს რა ვყოფილვარ-მეთქი!

ესეც დაკითხვა იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მილიციის თანამშრომლების გარდა, არავინ გჩრებოდა საქმეში, თავის შეკითხვებსა და ჩემს პასუხებს გამომძიებელი სიტყვა-სიტყვით ქაღალდზე სწერდა და კიდევ იმ განსხვავებით, რომ ეს იყო ნამდვილი დაკითხვა და არა ლოკოკინას „ლახტი“, „ესკიპო“ და ლათაიები.

მე ნამდვილ დაკითხვაზე ვიმყოფებოდი!

ერთი რამ არ მომწონდა. არ მომწონდა, რომ მილიციის უფროსი ძლიერ დაკვირვებით მიმზერდა და, მგონი, იცინოდა. მხოლოდ თვალებით, სხვა არაფრით არ იცინოდა.

მთელ საათს ვასტანა დავითხვამ. მთელი საათი წერა გამომძიებელმა თავისი კრცელი კითხვები და ჩემი მოკლე პასუხები. ვერაფერი ვერ გაიგეს ვარდა იმისა, რომ მე ყველაფერი ვიცოდი და აოაფერს არ ვამბობდი.

დედაჩემი გულდასმით უსმენდა. ერთხელაც არ ამოუღია ხმა. არც ჩემთვის უთქვამს რაიმე, არც ვისმე სხვისთვის. ძალიან დამშვიდებული მეჩვენა.

— ამხანაგებო!—მიმართა მილიციის უფროსმა დამსწრეებს,—იდვილი შესაძლებელია, რომ ბავშს არ სურს ვისიმე თანდასწრებით თქმა. გთხოვთ, დაგვტოვოთ ათიოდე წუთით. ყველას ეხება. თქვენ, ქალბატონო, შეგიძლიათ დარჩეთ. როგორც ინებებთ,—ეს დედაჩემს უთხრა.

საზოგადოება წამოიშალა და უგუნებოდ დაიძრა კარისკენ.

დედამ ერთხელ კიდევ ჩაიხედა ქვაბში, ძირს ჩამოსდგა, ხორცი არ დაიწვა-სო და შემომხედა.

სულ სხვანაირი სახე და თვალების გამომეტყველება ჰქონდა. ვერ მივხვდი, რაზე ფიქრობდა.

— გასწორდი, მოკუზული ნუ ზიხარ. თმები გადაივარცხნე!—მითხრა დედამ და ოთახიდან გავიდა.

ვაპირებდი რითიმე გამეშხნევებინა დედაჩემი, მოვიფიქრე კიდევ, რაც უნდა მეთქვა, მაგრამ აღარ მითქვამს, არ იყო საჭირო.

გამომძიებელმა სასწრაფოდ ჩარაზა კარი.

ახლა კი დავრჩი მარტო-მარტო მილიციის თანამშრომლებთან.

ღმერთმა იცი, რა მელოდა! მუხლები ამიკანკალდა, დამცბა, ოთლის წვეთები გამომიყარა.

— აჩიკო, აბა, გვითხარი ყველაფერი რაც იცი ამ საქმის გარშემო,—მთხოვა მილიციის უფროსმა, და გამომძიებელმა იქვე დასძინა:

— თქვი, ბიჭო! ცუდ საქმეს ნუ გვაქნევინებ. დაამლერებ ყველაფერს,

აბა რა იქნება, მარა გვიან არ იყოს მერე!

მუქარამ ძალზე გამაბრაზა, სიმტკაცვე ვიგრძენი. უზარმაზარი ძალა მომაწვა.

— არაფერს არ გეტყვიო! — ვთქვი მე, ნავთქურაში ჩავეყვი ხელი და როდესაც აღმა კბილები ჩამქიდა, დავძინე: — არაფრის არ მეშინია!

მილიციის თანამშრომლები სახტად დარჩნენ და ისეთი თვალებით დააშტერდნენ ნავთქურას, თითქოს ნავთქურა კი არა, ნადმი იყო და საცაა გასკდებოდა.

საშინლად დამეწვა ხელი. უნებურად ცოტა ზევით ამოვწიე. აქ ისე აღარ მეწვოდა. მე კი მინდოდა, რომ ძალიან დამწვოდა, როგორც მუციოს სცევოლას ეწვოდა და ისე ვაეკაცურად ამეტანა, როგორც მან აიტანა. ამიტომ ისევ ჩავეყვი და უფრო ღრმადაც, ვიდრე პირველად.

მილიციის თანამშრომლებს სახეები გადაებრიცათ.

— ამოიღე, ბიჭო, ხელი!!! — შეჰყვირა გამომძიებელმა, მეცა და ძალით ამომალეზინა ნავთქურიდან უკვე კარგა მაგრად დამწვარი თითები.

მილიციის უფროსს საუკუნე დასჭირდა, სანამ გამოერკვა.

— რას შეგები, ბიჭო, შენ! — თქვა, და მე ნათლად დავინახე, რომ მისი თვალები აღარ იცინოდნენ.

იგი უზომოდ განცვიფრებული იყო. სინამდვილე ჩამოვარდა. გამომძიებელი მილიციის უფროსს შესცქეროდა პირდაღებული. მილიციის უფროსი მე მათვალეობდა. მე ზღვას ვაეკატეროდი თანჯარაში.

როგორც მევლუდა, ისე ვაეკატეროდი — კარგი, აჩივო, არაფერი არ გვინდა. მხოლოდ ეს გვითხარი, ცოცხალია ის კაცი, თუ არა?.. აქ, ქალები რაღაც ხმებს ავრცელებენ. მართლა ხომ არ დაიღრჩო? — მკითხა მილიციის უფროსმა.

— ცოცხალია! მეტს არაფერს არ ვიტყვი.

— ხომ არ ცრუობ, ბიჭო?! — მესროლა გამომძიებელმა.

ძალიან მეწყინა, რომ ჩემს პიტიოსს ბაში ეჭვი შეიტანეს.

„რას იზამდა მუციოს სცევოლა? — ვაფიქრებ მე და ისევ ნავთქურაში ჩავეყვი ხელი.“

— გვჯერა, გვჯერა! — დაიძახა მილიციის უფროსმა, ეს ამოდენა ბიჭი ამიტაცა, ლოგინზე გადასვლა, ნავთქურას ჩაუბერა და ოთახიდან ტყვიასავით გავარდა.

უბის წიგნის წაღებაც კი დაავიწყდა. გამომძიებელმა აცახცახებული ხელებით მოხვეტა ქალღებები და გაიქცა. მეც ვაეკატე, ფანჯრიდან ვისკუბე.

პირდაპირ ჯემალს დავახტი ზურგზე; ფანჯრის ძირში ყოფილა მიყუყუელი, ყურს გვიგდებდა და თავის თვალით უნახავს როგორ ჩავეყვი ხელი ნამღვილ ცეცხლში.

ნაპირისკენ ვაეკატე. ჩემზე ბედნიერი, ალბათ, დედამიწაზე არავინ იყო.

ჯემალა თვალს ვერ მაცილებდა. მე მისთვის ზღაპრების წიგნიდან ცოცხლად გადმოსული გმირი ვიყავი. მართალია, ფეხშიშველა, ტრუსუნის ამარა. მაგრამ მაინც საზღაპრო ვაეკატე.

სუმრობა იყო დამწვარი ხელით მლაშე წყალში ცურაობა!

მომხვდა თუ არა დამწვარზე, ცრემლი გადმომადინა. უფროსებისგან მქონდა გაგონილი, თუ დაითუთქე რამე, დუღუღოებზე მართლი უნდა დაიყარო, უებარი საშუალება არისო. არასოდეს არ მისინჯავს, ახლა ესინჯე!

ვაეწამე. ვერ იქნა, ვერ შევიკავე ცრემლი. საიდანღაც მოსული ჯიბრი და წინააღმდეგობის გრძნობა არ მრთავდა ნებას ხმამალა მეტირა, უხმოდ ვტეროდი, მაგრამ წყალქვეშ კი არა, ზემოთ, წყალქვეშ თავისთავად წყდებოდა ტირილი. სანამ ფსკერს დაეტრიალებდი, წყალმცენარეებში ვიქმებოდი და ქვებს ვაბრუნებდი, სულაც არ ვგრძნობდი ტკივილს. საკმარისი იყო

ამომეყვინთა, რომ მაშინვე სასტიკი ტკივილი ამიტყდებოდა. რამ გამამღებინა, რამ ამბატანინა ეს არაადამიანური ტკივილი, აქამდე მიყვირს!

საქმე იქამდე მივიდა, ფსკერზე ყოფნისას თვალთ დამიბნენდა და თავებრუ დამესხა. ყურების ბეჭედი ხომ ლამის გადამიტანა.

ამჯერად, უფრო მალე დავიდალე, ისე დავიდალე, რომ დასასვენებლად გასულისას, სანამ ნაპირს მივღწეე, მგონი, ხუთჯერ მომიხდა სულის მოსათქმელად ზურგზე დაწოლა.

ჭეთინო, ლილი და კაკო მახლობლად ისხდნენ, მასლაათობდნენ. მესმოდა მათი ლაპარაკი, ლევანის ხსენებაც არსად იყო: ნიანგის ტყავის საფულებით, ვირის ტყავის გადასარევი ფეხსაცმელებით და ბნელისში ადამიანის ტყავის ყდიანი ბიბლიები არსებობსო... აი, რაზე მუსაიფობდნენ!

აღშფოთებული ვიყავი ადამიანთა მოდგმის უგულობით.

კაკომ ხმადაბლა გადაულაპარაკა გოგოებს, ჩემთან მოვიდა და შროლიარეს, ყურებს უკან რაღაც მომიხინჯა.

— ამხანაგებო! ბავშვს ლაყურების ჩანასახი დაემჩნა. კაცობრიობა უაზლოვს მომავალში იხილავს ცოცხალ კაც ამფიბიას!— თქვა კაკომ და გადაიზარხარა.

გოგოებს მაინცდამაინც სასაცილოდ არ ეჩვენათ ლაყურების ამბავი, და კაკო სულ მალე დაცხრა.

სილის ზრამა-ზრუმზე ავიხედე. დედა მოვიდა, ჭეთინოსთან დაჯდა.

— უთხარი რამე! ძალიან შორს მიდის და სულ ყვინთავს, — ეუბნებოდა ჭეთინო დედას ხმადაბლა, მაგრამ მე მაინც მესმოდა. — მწვანე კონცხზე გუშინ ვოღაც ბიჭი დაღრჩობას ბეწვზე გადაურჩენიათ.

დედამ არაფერი არ უპასუხა.

ლოდების გროვას ოცამდე კვადრა-

ტული მეტრი ფართი ეკავა და უფრო-ღავი პატარა-პატარა ნაპრალი ჰქონდა. ყოველ მათგანში ჩახედვა და... ბიჭ უმეტეს ხელით მოსინჯვა ერთი კაცისათვის წარმოუდგენლად დიდი სამუშაო იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა!

ხელის ტკივილმა მიკლო. სამაგიეროდ თავებრუმ მიმატა, უვიღურესად დავიქანცე.

ლოდების ზედაპირის მოკვლევა დავამთავრე: ახლა იწყებოდა ყველაზე მძიმე, საცოდვილო სამუშაო, ნაპრალებსა და ხერგელებში სავულდაგულა ძებნა. მე კი არაქათი მქონდა გამოცლილი.

დარწმუნებული ვიყავი, სადაცაა ვიპოვნიდი, და ფსკერამდე კი ვერ ჩავდიოდი. საკუთარი უილაჯობა ცრემლებად მომეწვა ყელში, მე მაშინ პირველად გავიგე, რა მწარეა, როცა გინდა და უმწეობის გამო არ შეგიძლია მიზანს მიიღწიო. ნაპირზე მხოლოდ იმატე არ გაუდიოდი, რომ ხელების ასამოძრავებელი დონეც არსად იყო.

ლეღვამ იმატა. ზღვას უკვე მოზრდილი ტალღები მოჰქონდა ნაპირისკენ. მოიღრუბლა, ქარმა დაუბერა. ბარე ათ დღეს იყო ზღვა მშვიდი და ლურჯი. ალბათ, ლეღვისა და მღვრიე წყლის დრომ მოაწია.

ლევანის ნაამბობი მომავონდა, როგორ დაიღუპა რომაელების უზარმაზარი ფლოტი აფრიკის სანაპიროებზე ლეგიონებითურთ. რომაელები ენერგიულები იყვნენ. წარბიც არ შეუხრიათ. უმოკლეს ხანში თავიდან ააშენეს ფლოტი, ახალი ლეგიონები შეკრიბეს, საუცხოვოდ გაწვრთნეს და ისევ გაგზავნეს...

კიდევ რომ დაენთქა ზღვას ფლოტი და ლეგიონები, კიდევ ააშენებდნენ, ისევ გაგზავნიდნენ.

როდესაც ამაზე ფიქრს მოვრჩი, უკვე აღარ ვტიროდი. სხეულშიც ძალა ვიგრძენი და ყვინთვა განვაგრძე.

ჩავიდოდი, ფსკერს მეძებარივით დავტრიალებდი, სიღრმის ბინდს ვებრძოდი, ქვეს ვაბრუნებდი, წყალმცენარეებში ვიქექებოდი... ისევ ვასკდომავ იყო გული, ისევ მიბუჯოდა ყურები, ისევ მესხმოდა თავბრუ და საბოლოოდ გამომეცალა არაქათი: ორჯერ ვცადე ფსკერამდე ჩასვლა, — ნახევარზე ვერ ჩავაწიე.

ზღვა ღელავდა. ორთავ ხელებით ვიყავი ფიცარს ჩაქიდებული. ხან ტალღის ქოჩორზე ამიტაცებდა, ხან ღრმულში მისროდა ორ ტალღას შუა და თვალბეჭდებში მიტრიალებდა ორი ვეგება ლოდი ვიწრო ნაპრალით. ძალიან მინდოდა ხელი ჩამეყო ამ ნაპრალში. ვხედავდი კიდეც, როგორ ჩავყვინთე, როგორ ჩავყავი ხელი და ამოვიღე...

ბაწარი სიმინით იჭიმებოდა, როცა დიდი ტალღა მოდიოდა. — თუ ღელვამ იმატა, ბაწარს გამიწყვეტს, ფიცარს წაიღებს, ეს ადგილი ისევ დამეკარგება, — გამიღვია აზრმა, და უმალ ისევ ის ორი ლოდი წარმომიდგა თვალწინ.

რას ამეკვიატა ეს ორი ლოდი! მარჯვენა ყურზე დამთბა, ძალიან დამთბა. ხელი მოვისვი, დავხედე.

ხელისგული წითლად მქონდა შეღებილი, მეჭ-წითლად.

რამდენიმე ხნით გონება წამერთვა. უნებურად ნაპირისკენ გავიწიე და ისევ ის ორი ლოდი მომაგონდა. ისევ ლოდებზე ფიქრმა წამილო. — იქ უნდა იყოს, სხვაგან არსად! — გავიფიქრე.

კიდეც მოვისვი ხელი ყურზე. აღარაფერი იყო.

მარგალიტზე მონადირეები მომაგონდა. წაკითხული მქონდა, რომ მათაც ხშირად ემართება ასე, დიდ სიღრმეზე წასვლისა და წყალქვეშ ხანგრძლივი ყოფნის გამო.

ცამ ღრუბელი გადაიყარა. ქარმა იქლო. დათბა.

— იქნებ აღარ იმატოს ღელვამ, — ვფიქრობდი, — იქნებ არ გამიწყვეტოს

ბაწარი... იმ ლოდებშია, სხვაგან არსად! ჩავყვინთე.

აღარ მქონდა ღონე. ვცხადავ ვხსნა, ფსკერამდე ველარ ჩავაწიე.

ამოვყვინთე და საიდანღაც მეცა ერთი მუხთალი აზრი:

— ლევანი ისეთივე ლამაზი და ბუნებრივი კბილებით დაბრუნდება, როგორც მქონდა. თავს რისთვისღო ვიკლავ? ვთქვათ, კიდეც ვიპოვნე. მერე რა? ვის რაში სჭირდება? ლევანს რაში გამოადგება? ეს უქმი მუშაობაა. კაკომ, რომ მითხრა, უქმად შრომაო...

ამდენმა წვალებამ ფუჭად უნდა ჩაიაროს?

— იქნებ არ დახვდა ის ექიმი... ნეტავი არ დახვდეს! — ეს იყო ერთადერთი ხსნა. — ეპ, დახვდება. არ დახვდება და სხვა ექიმთან მივა. ცოტანი არიან? ნეტავი, არცერთი ექიმი არ დახვდეს. — მაგრამ ვიცოდი, ეს შეუძლებელი იყო.

ამ მოსაზრებამ საბოლოოდ გამანადგურა და განაწამები სულის ნარჩენი დაუნდობლად ამომხადა. მე უკვე მკვდარი ვიყავი.

როგორღაც გავაწიე ნაპირამდე, როგორღაც გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, პირქვე დავემხე, თავი მკლავებში ჩავმალე და მწარედ ავტირდი.

— რა ქენი, ბიჭო, ვერაფერი იპოვნე? — გამომელაზღანდარა კაკო.

გული მომივიდა, მაგრამ ძალი არ მეყო პასუხი გამეცა.

თანდათან დავშვიდიდი. მუხმ მომიადურსა, დამთბა და ჩამთვლიმა.

დამესიზმრა ორი ლოდი. ჩავყავი ხელი, მოვაფათურე და ვიპოვნე. ისიც დამესიზმრა, რომ კაკო მეუბნებოდა:

— მოეშვი მაგ სისულელეს! რას აიტყვხე, რას ეჭებ, რისი მოგონელი ხარ! მაგრამ ეს თურმე მართლა იყო. ვიხედე. თავს კაკო დამდგომოდა.

— ვიპოვნი. სულერთია ვიპოვნი!—
ვუპასუხე მე და ზეზე ავდექი.

მეველუდა მოგვიახლოვდა, დამაკვირ-
და.

— რას იპოვნი, ბიჭო, რა გაქვს საპოვ-
ნელი, წადი კენჭობანა ითამაშე!— მას-
ხარად ამიგლო კაკომ.

— ვიპოვნი!— ისევე გავიმეორე მე.

— გაჯობა წყალში! წყალი ღონიერიია,
ბიძიკო,— თქვა მეველუდამ და წავიდა.

— მაჯობა? ვერაფერიც ვერ მაჯობა!

ამ წუთში დარწმუნებული ვიყავი,
რომ აი, ახლავე შევეცურავდი, მივიდო-
დი ფიცრამდე, ჩაყვინთავდი, ჩაყყოფ-
დი ხელს ნაპრაღში და ამოვიღებდი. და-
ნარჩენზე აღარ მიფიქრია. შევედი აზ-
ვირთებულ წყალში.

— დაეტეე შენ ტყავში, შე ცინგლია-
ნო!— მომამახა კაკომ—ქათამივით ჩაიღ-
როზობი და... ნახვე მერე.

ქათამივითაო! კინაღამ გულზე გავსკ-
დი...

მევეცურე ფიცართან, პაერი შევი-
სუნთქე, ნიშნისგებით გავხედე ქეთი-
ნოს, ლილის, ღრეჭაზე გადაყოლილ კა-
კოს და ფსკერისკენ დავეშვი.

საკუთარი ღირსების გრძნობით აღ-
სავსე ვეშეებოდი, მტკიცედ და ნამდვი-
ლად ვიცოდი, უყოყმანოდ მწამდა, რომ
ეს ჩემი უკანასკნელი ჩაყვინთვა იყო.

მევეცურდი ლოდებთან, ჩაყავი მკლა-
ვი ნაპრაღში, მოვხედე, ამოვიღე, დავრ-
წმუნდი, რომ სწორედ ის იყო, რასაც
ვეძებდი, და წავედი ზევით.

ეს ასე იყო, მხოლოდ ასე, — ვფიცავ
აღამიანობას!

მე რამდენჯერმე განმიცდია დიდი,
უზარმაზარი სიხარული, ისეთი, რომ სა-
კუთარი წონის გრძნობა დამიკარგავს,
ისეთი, როდესაც ყელში რაღაც მაწვე-
ბოდა და ღრიალად ამოხეთქვას ღამობ-
და, ისეთი, როდესაც მიწოდდა ყველას
გადავხვეოდი და მეკოცნა, მეკოცნა, მე-
კოცნა...

ის, რასაც მე მაშინ ვგრძნობდი, სიხა-
რული არ იყო. ეს ის სიტყვა არ არის,
რომლითაც აღფრთოვანების, აღტკინე-

ბის, ბედნიერების გამობატვა შეიძლე-
ბოდეს. არც მაშინ მესმოდა რა ხდებო-
და ჩემს სულში, გულში და გონებაში,
არც ახლა გამეგება რამე. ერთი რამ
ცხადია: ეს იყო დიდი და ვეებერთელა
გრძნობა ძლიერი და ყოვლისშემძლე. მე
ვიყავი წამოპირქვევებული, პირწმინ-
დად დაცლილი ჭურჭელი, რომელიც იმ
ერთმა პირთამდე აავსო ხელახლა, ავე-
სო ისე, რომ სხვა აღარაფერი ჩაეტეო-
და, ერთი ბეწო, ერთი ციციქნაც კი აღ-
რაფერი ჩაეტეოდა. ეს ძლიერი და ყოვე-
ლისშემძლე დულდა და ლეღავდა, ნა-
პირებს აწყდებოდა, ამოხეთქვას ღამობ-
და...

დასწყევლოს ღმერთმა, რა იყო, ნე-
ტავი, ეს!?

ზღვა აღარ ხუმრობდა. ჩემ სიმაღლე
ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ გაშმა-
გებით. ზვირთის ქოჩორზე გასულს ფეხ-
ქვეშ გაიგებული მეგონა ნაპირიცა და
ხალხიც.

მე უფრო მაღალი ვიყავი, ვიდრე ისა-
ნი.

თითქმის მივაწიე ნაპირს, გასასვლე-
ლად ვეშახდებოდი. ასეთ ღელვაში გას-
ვლა არცთუ ისე ადვილია... ლილის, ქე-
თინოს და კაკოს ერთი ამბავი ჰქონდათ.
სიცილით იბოცებოდნენ, ზეზე წამოც-
ვივდნენ, ნაპირს მოუახლოვდნენ.

კაკო შემოსასვლელად მოემზადა:
აქაო და, თვითონ ვერ გამოევა, გამო-
ვიყვან ღვთის გულისთვისაო!

მათმა დანახვამ და საქციელმა ძარ-
ღები ამიშალა. რა მქონდა მათი დასაცო-
ნის!

ტალღამ ფაფარზე შემისროლა. მარ-
დად, სხარტად დაეახტი კენჭებს და სირ-
ბილით გამოვასწარი შემდგომ ტალღას.

კაკომ ხარხარს უმატა.

— რაო ყმაწვილო, სტიქიებმა შეგამო-
ნეს?— დაიძახა მან.

— რანაირად გამორობოდა!— იცი-
ნოდნენ გოგოები.

ვიდექი, ღრმად ვსუნთქავდი და ვათ-
ვალღიერებდი ამ უტვინო გოგოებს, მათ

ზე უკეთეს კაცოს და ბოღმა მალჩობდა.
რა უნდოდათ ჩემგან?

— შიშარა და მხდალი შენა ხარ, —
მივხალე კაცოს, — განტელების ქაჩვა შე-
გიძლია, მეტი არაფერი!

ჩემს გზას გაუღეძე.

— რა ქენი, ვერაფერი იპოვნე? —
მომაყოლა ზურგიდან კაკომ და ისევ
სიცილ-კისკისი დამეწია.

მე ამღენი.. მე, ხომ სულერთია... მე
ხომ მიანიც ვიპოვნე და ესენი კი დამცი-
ნოდნენ!

მიეტრიალდი. პირისპირ მივედი მათ
თან. რიგინად მოვათვალოერე სამთავე,
ხელისგული გაეშალე და ჭიბრით ვთქვი:
— ვიპოვნე!

სიცილ-კისკისი ანაზღად შეწყდა. სა-
მივენი ჩემს ხელისგულს დაამტერდნენ.
კარგახანს გაგრძელდა სიჩუმე.

— მაგ ხშირად ხდებია! — მომესმა მევე-
ლუდას ხმადაბალი ლაპარაკი, ძალიანი
ძნელია პოვნა. დევიტოტბიატში ასი მა-
ნათი ფარა მამლია ფრანგმა, ვერ ვი-
პოვნე ვერასგზით. კაი ფარა იყო მა-
შენ ასი მანათი...

— ეს, ლევანის... — წამოილაპარაკა
ქეთინომ და სიტყვა გაუწყდა.

— აი, თურმე რაშია საქმე! — თქვა
ლოკოკინამ და ჩემი ხელისგულიდან
პროტეზი აიღო.

— ჩინებული ნამუშევარია. ლევანი-
სა? ვის გააკეთებინა ნეტავი? — დაინ-
ტერესდა ანმა.

— აქაური არ უნდა იყოს. საზღვარ-
გარეთულია!

— Какая опрятная, удобная ве-
щица!

— ოქროს ხელი ქონია, დალოც-
ვილ!

გამეხარდა, რომ ასე მოსწონდათ ლე-
ვანის ნახელავი.

— თვითონ აკეთებს! — ვაცნობე ამა-
ყად სახელდახელოდ მოგროვილ მობა-
ნავეებს და კაცოს შევხედე ნიშნისგე-
ბით.

ასე შეწუხებულნი, ასე გაფითრებულნი
და თავზარდაცემული ადამიანი არსად
მენახა.

— ეს რა ჰქენი, აჩიკო! — ჩაიღულ-
ლულა კაკომ, უღონოდ ჩაჯდა და დაბ-
ყოლა — რატომ არ მითხარი... რატომ
გამოაჩინე!

ლილის სახე დაებრია, დამსწრეებს
მოავლო თვალი, რატომღაც ძალზე გა-
წითლდა, ზურგი იბრუნა და სახლისკენ
წავიდა.

მხოლოდ ახლა მოვედი გონს და მიე-
ხედი რაც ჩავიდინე.

ვიღაც ხანში შესულ კაცს ეჭირა პრო-
ტეზი, ათვალაერებდა და ამბობდა:

— სად არის ეს კაცი? საინტერესოა,
რამდენს გამომართმევს. დიდი მეძვი-
რება, უთუოდ.

მივევარდი, ხელიდან ჯავტაცე და სახ-
ლისკენ გავიქეცი.

გტიროდი, გულამოქდარი ვქვითი-
ნებდი.

სახლში ტირილით შევევარდი, ლოგინ-
ზე დავეშევე.

კრემლები ნაკადულივით მდიოდა.
დედამ ხან მომიადერსა, ხან წყალი
დამალევიანა, ვერაფერმა ვერ მიშველა.
დიდხანს ვეტირე, სანამ კრემლი არ გა-
მიშრა და რული არ მომერია.

დედა გვერდით მექდა. დედისაც
კრემლიანი თვალუბი ჰქონდა.

ჩამეძინა.

დიდხანს მეძინა დაქანცულსა და სუ-
ლითა და ხორციით განაწამებს.

როდესაც გამომეღვიძა ზღვა ნაკლე-
ზად დედავდა, ცა მოწმენდილი იყო,
მზე ნახევრად იჯდა წყალში.

დედა და ქეთინო ხმას არ იღებდნენ,
კოთომ ვერც მხედავდნენ. სახლში აღ-
რამიდედა გული, ნაპირისკენ გავწიე.

უკან მოვიხედე.

დედა და ქეთინო ფანჯარაში გადომ-
დგარიყვნენ, მიყურებდნენ.

ნაპირს მიეფახლოვდი.

კინალამ ვიყვირე სიხარულისაგან.

ლევანი და ლილი ერთად ისხდნენ.

ლევანისკენ გავიქეცი, მაგრამ ათიოდ
ნაბიჯიც არ მქონდა გაღადგმული, შეე-
ღეძე.

ზღვა დედავდა. ტალღები ხმელეთს
ენარცხებოდნენ.

მზე საცაა დაიძირებოდა.
 ლევანმა ლილის რაღაც ჰკითხა.
 ლილიმ მოხედა. კარგახანს ელაპარაკა.
 მერე ლევანი ლაპარაკობდა და ლილი
 უსმენდა.

გული ამიჩქროლდა, გამეხარდა.
 მე ძალიან მინდოდა, რომ ლილი...
 ისევ დადუმდნენ.
 ნელა დავიძარი, ლევანისა და ლილის-
 კენ წვედი.

ზღვა ღელავდა, ტალღების ხმაური
 აყრუებდა აქაურობას ზოგი ლამის ლე-
 ვანისა და ლილის მოსწევდომოდა.

მათ ზურგსუკან გაეჩერდი, ვერცერთ-
 მა ვერ გაიგონა ჩემი ფეხის ხმა.

ლილიმ ჩხირი აიღო, ხელში ატრია-
 ლა, კენჭები ჩიჩქნა მერე სილაზე სახ-
 ლი დახატა, ისეთი, მე რომ პატარაობა-
 ში ვხატავდი ხოლმე.

ლევანმა გაიღიმა, მანაც იპოვნა ჩხი-
 რი, საკვამური და კარ-ფანჯარა მიხატა.

ლილიმ ჩამავალ მზეს გადახედა. ნა-
 ხატისკენ აღარ მობრუნებულა.

ლევანი ელოდა, რომ ლილიც მიხა-
 ტავდა რამეს.

მეც ისევ ამიჩქროლდა გული.
 „მიხატავს, თუ არა?“

ლილი ზღვას გაჰყურებდა.

მამინ ლევანმა სახლს თვითონვე გა-
 უკეთა ღობე და კარიც შეაბა.

— თბილისში სიცხებია? — იკითხა
 ლილიმ, არც კი მოუხედაია, ისე.

ლევანს იმ წამსვე ჩაუქრა ღიმილი.
 თავზარი დაეცა, მაგრამ ეს მხოლოდ
 თვალის ერთი დახამხამება იყო.

— აუტანელი. — უპასუხა ლევანმა,
 და ისევ სიჩუმე იყო დიდხანს

ძალიან მინდოდა, რომ ლილის ვარდ-
 ნარა დაეხატა ეზოში.

ზეერთი მოვარდა. ლილიმ თავისი
 ჩხირი წყალში გადაისროლა.

მზე ძალიან სწრაფად ჩადიოდა, ისე
 სწრაფად, რომ ჩანდა კიდევ, როგორ
 მცირდებოდა გვერვარებული დისკო.

ლევანმა ვარდები დარგო და ადამიან-
 ნებიც დახატა: ორი დიდი და შუაში ერ-
 თი პატარა, ბაფთიანი.

ლილიმ ნახატს დახედა, ისევ დასაე-

ლუთისკენ გაიხედა და თქვა: — ძალიან
 მტკივნეულიაო, გამიგონია!
 ლევანს სახე ერთიანად დაღწეული
 უპასუხა.

მე ყველაფერს მივხედი და ისევ და-
 მეცა თავზარი, ისევ შემეგუშმა გული,
 ისევ გადმომვარდა ბოლმის ცრემლი.

— არც ისე... გააჩნია, ვინ როგორ უძ-
 ლებს! — თქვა ლევანმა.

ახლა იგი ისევ მშვიდი, ლამაზი და
 ახოვანი იყო.

მან ნელა გადაუსვა ჭეიშას ხელისგუ-
 ლი, ნახატი წაშალა. მერე, ალბათ, გულ-
 მა უგრძნო, რომ ზურგსუკან ვილაც იდ-
 გა და მოიხედა.

დამინახა.

ძალიან სევდიანი თვალები ჰქონდა და
 ძალიან ნაწყენი.

მხოლოდ ერთი წამი ჰქონდა ასეთი
 თვალები.

დამაკვირდა და შეწუხდა.

წამოდგა. ქორბრზე დამადო ხელი,
 თავი მაღლა ამიწია, მიყურა. თვალებში
 ჩამაცქერდა... ჩემი მარჯვენა ხელი ეცა
 თვალში. ხელში აიღო, დიდხანს მითვა-
 ლიერა ღუღუღოები.

სიჩუმემ გული წაიღო: ძალიან მინ-
 დოდა რამე ეთქვა ლევანს, ვინმეს რამე
 ეთქვა.

არავინ არაფერს ამბობდა. ვარტო
 ტალღების ტლაშანი და კენჭებში მიმ-
 პარავი ქაფის შიშინი ასმოდა.

მამინ მე თვითონ ვთქვი:

— კაკოს ბრაღია. კაკოს რომ არ გა-
 ვებრაზებინე...

მე არ ვიცი, გაიგონა თუ არა ლევანმა
 ჩემი ნათქვამი. ლილიმ კი ამომხედა,
 მაგრამ არ დამინახავს, როგორ ამომხე-
 და თვალები ცრემლით მქონდა სახეს.

ლევანს შევხედე.

ახლა იგი თავისი სანდომიანი ღიმი-
 ლით შემომყურებდა. ყველაფრით მი-
 ღიმიოდა. თეთრი, ერთმანეთზე მიჯრილი
 და ძალიან ბუნებრივი ხელოვნური კბი-
 ლებიც კი მე მიცინოდნენ.

არცერთს არ ამოგვიღია ხმა, ისე წა-
 ვედით წყლისკენ.

ვეებერთელა ტალღას თავებით შე-
ვუვარდით მუცელში და მოვუსვით.

ნაპირისკენ მოვიხედე.

ლილი ნელი ნაბიჯით მიდიოდა სახ-
ლისკენ.

დილით გამგზავრება გადაწყვიტა ლე-
ვანმა. მთელ ღამეს არ მოეშორებოდა.
ბარგი ერთად შევკარით, ერთად ვივან-
შმეთ, გათენებამდე ვისაუბრეთ.

რას არ მიამბობდა ლევანი, როგორ არ
ცდილობდა გუნებაზე მოვეყვანე.

ერთხელაც არ გავიღიძე. ვგრძნობდი,
რომ რაღაც ჩამწყდა და აღარასოდეს
გამთელდებოდა.

ფანჯარაში დილის სინათლე შემოიჭ-
რა და გამაღვიძა.

ლევანი სარკეში იყურებოდა, ლოყა-
ზე თითს ისევამდა.

დავაკვირდი.

ულვაშების გვერდით, ორთავე მხა-
რეზე, პატარა ნაოჭები შევნიშნე, უწინ
არ ჰქონდა.

მე მაშინ არ ვიცოდი, რომ ადამიანს,
ხანდახან ერთ ღამეში უჩნდება სახეზე
ნაოჭი, თმებში — ჭაღარა...

სადგურამდე მივაცილე. ბარგი დავა-
ბინავეთ და ბაქანზე დავბრუნდი.

ვიდექით.

სასტვენის ხმა მოისმა.

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, აჩიკო!
ნამდვილი ადამიანი, სცევოლაზე ნამდ-
ვილი! — ლევანმა გადამოცნა და ვაგო-
ნის კიბეზე შეხტა.

ორთქლმავალმა დაიკვივლა, მატარებე-
ლი დაიძრა.

მე ხელს ვუქნევდი ლევანს და ვიცო-
დი, რომ ცუდი ბიჭი ვიყავი, ძალიან
ცუდი.



გიორგი კაჭხიძე

წყალო მთავისავ, საით იჩქარი!

გზა-კვალს მოიკვლევს მთების კალთაში,
ხევს ნაკადულად მოსდევს, მოჰყვება,
მთას გამოსცდება ქვებზე თამაშით,
მოდის და ისევ მთას ემოყვრება.

ვერ დაივიწყებს მთათა სიკეთეს,
მალღი მათ მისცეს მის დაბადებას.
ყოველ ხვეიდან ტოლებს იერთებს,
ფხა ემატება და თამამდება.

ნირს ვერ უფუტებს ლოდი გულცივით,
იცის ზედ ტალღის გადატარება.
ვით ნებიერი—ხან მზეს უცინის,
ხან იფნებს ჩრდილში შეფარება.

არ მოინატრებს აქ სხვა თანამგრძობს,
მათ ქვეშ დასიცხულ გულს გაიგრძობს,

სულს მოიბრუნებს და გზას განაგრძობს
აახმაურებს გზაში წისკვილებს.

მოდის სიმღერით წუხილს უჩვევი,
დაუდგრომლობა მისი წესია.
გზა-გზა ქოჩორა მაცულის ბუჩქები
ანკესებივით ლერწებს ესვრიან.

წყალო მთებისავ, საით იჩქარი,
რომ არც იღლები, არც გზა გერვეა!
გასწიო,—აღმათ გირჩევს მთის ქარი,—
მაგ სელაშიაო ბედნიერება.

აღმათ, გაჩქროლებს ეს სილამაზეც
სხვა მიდამოსთვის სხვა იმედებით.
რახან შობილხარ ამ ქვეყანაზე,
უნდა იარო, ვერ შეჩერდები.

შემოდგომა, იმერეთია

ქართლი გადმოვჭერ სვენებ-სვენებით
ნერგად სიცოცხლეს შეტოტებულმა.
შეჭრელებულან აქაც სერები,
ზემოთ ქედები შეთეთრებულან.

ღღეს თავს იწონებს აქაც სიმდიდრით,
ღროა მპჭრობის, ხილის შენახვის.
აღებულა მინდვრად სიმინდი,
დაკრეფილია ბევრგან ვენახი.

ტყეს თავს აფარებს ნისლი დაღლილი,
ერემლად მიჟონავს ხევში მეწყერი.
გზა-გზა ტოკავენ მიწის ძარღვივით
ნაყოფავადილი კვახის ლერწები.

ჩვენში რა დაღვეს ცისფერ ჩანჩქერებს,
აქაც მამრმავეებს მათი ციმციმი.

სოფლის შეღმართთან წყარო ნაჩერებს
გლების გულღია ბიჟის სიცილით.

ღრო გამახსენა ტკბილად განცილილი,—
დავეშვეილობე, როგორც ჩემიანს,
ერთიც მოხებდე მუშააკაცივით,
მასთან ნამგალი რომ დარჩენია.

რაა აქ შუქის ასე მომფენი,
ვერ მიპოვნია მისი სახელი,
ყლყულოაობენ სერზე სოფლები,
ცერზე დგებიან ოდა-სახლები.

ზენი ჩალისა, ქვეყნის საცქერად
ხეზე გასული, ლაფვარდს შერთვია...
გულო, რა მოგდის, რამ აგაძგერა,
შემოდგომაა, იმერეთია!

საკიჟონ პაროზიდი

ლექსის გარეშე

უღმობელი და ავის მზრახველი
უცხო ზმანება თან დამღევს კვალად,
მზიური ჰანგი მან შემობლალა
უნაზეს გრძნობის გამომსახველი.

მაგრამ გულში ვერ ჩამიქრო სხივი,
ბრძოლის ხალისი და აღმაფრენა.
სიკეთის მაღლი ჩემი არჩივი
შთაგონებისთვის რაც მიძღვნა ზენამ.

მე ხშირად ვიწვი გრძნულ ჰანგებით,
ცეცხლს ვერ ვიოკებ მგზნებარე
გულის,
და მიმუქრება გაჩანაგებით
მოზღვავებული გრძნობის გუგუნი.

მაგრამ ცეცხლის აღს
უბრწყინვალესი
მოჰყვება ელდა და ქრუანტელი,
გულის სიღრმეში გაჩნდება ლექსი
და დამშვიდდება ოცნება ხელი.

მომისალბუნებს სხივი ცისფერი
და გაშილიძებს ზეცა ნათელი.
და მიხარია — გული სიმღერით
სასიხარულო მომავალს ელის!





ორმა პაპად

ხელაშვილების ოჯახი*

სურათი მხატვნი

გაიოზის ბინა. იგივე მოწყობილობა, რაც წინა სურათში იყო, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ახლა აქ მარიკელს ახლად დაწყებული ქანდაკება მოჩანს, მარიკელა ჩოიბას უკრავს, შემოდის გაიოზი.

მარიკელა — რა ქენი, გაიოზ, ისევ უყან შოიტანე?

გაიოზი — არსად ლებულობენ.

მარიკელა — აკადემიაში რა ამბავია?

გაიოზი — (ღუპს).

მარიკელა — რა იყო, კიდევ ხომ არაფერი მომხდარა?

გაიოზი — ისეთი არაფერი.

მარიკელა — ჩემ თავს ვაფიქვებ, მართალი მითხარის?

გაიოზი — აკადემიაში საათები ჩამომართვეს.

მარიკელა — როდის?

გაიოზი — არ მინდოდა მეთქვა, ვიცოდი, შეწუხდებოდი. ხომ ხედავ, რა მზავროლად შექცვიანი უნდა მიმშლით ამოგვხოცონ!

მარიკელა — შენ ამხუე ნუ ფიქრობ. ოჯახს მე მოუხველი.

გაიოზი — მაინც სანამდე ვიყოთ შენი ხელის შემყურე?

მარიკელა — რას მიქვია შენი და ჩემი ცოლ-ქმარი ვინ გაყო? მე ივერ ფილარმონიდან ცოტა ფულიც მოვიტანე.

გაიოზი — პარდაპირ მრცხვენია...

(შემოდის სიმონი).

სიმონი — ბოდიში, გაიოზ, მგონია, მუდრობა დაგვირღვეთ!

გაიოზი — მოზრჩანდით, პატივცემულო სიმონ!

სიმონი — არ მინდოდა შემეწუხებინეთ, მაგრამ...

გაიოზი — ჩათი შეგვიძლია გემსახუროთ!

სიმონი — ავერ სკოლაში, სადაც ჩემი ბავშვი სწავლობს, მასწავლებელს დღეობას უხდიან და ბავშვისათვის მასაკეში ფული არა მამებს... იქნებ, ერთი თუმანი მასესხოთ გამეჩიას მიღებაშლუ.

გაიოზი — მერე-და ამან დაგასხა, შე კაცო სიმურის ოფლი?

სიმონი — ასწა... ქართველ კაცს სიკვდილზე უფრო თხოვნა უჭირს...

გაიოზი — ეგ არაფერი. მარიკელა ერთი თუმანი გამოუტანე ჩვენ სიმონს! (მარიკელა ფულს გამოუტანს და სიმონს გადასცემს).

სიმონი — გმადლობთ. ჰო, მართლა, ერთი სათხოვარი კიდევ მამებს თქვენთან!

გაიოზი — ბრძანეთ!

სიმონი — ჩემი გიგლა დიდხანია ცოლვილობს... ჩაღაც-ჩაღაცეები უყენ დახატულიც აქვს. როცა მოიცილით, ერთი ნახეთ, თქვენი ჭირიმი!

გაიოზი — ეი, ბატონო, ახლავე ვიახლებით!

(სიმონი და გაიოზი გადიან, შემოდის ლუარსაბი).

ლუარსაბი — ეი, მასანძელო! ნეტავ არავინაა შინ?

მარიკელა — მოზრჩანდით, პატივცემულო ლუარსაბ!

ლუარსაბი — გაიოზი სად არის?

- მარიკელა** — მეზობელთან ვაგიდა, მალე დაბრუნდება... დაბრძანდი, ბატონო!
- ლუარსაბი** — არა, ვაიოზს ვერ დავეცი, მიხერს, ძალიან განიცდის თერმე სამსახურის დაკარგვას.
- მარიკელა** — ძალიან უსინდისოდ მოგტყენს.
- ლუარსაბი** — თუ საჭირო დარჩეს, მიმსახურეთ... დიდი არაფერი შემოძლია, მაგრამ, თუ ჩემთან კონსულტანტად იყადრებს მუშაობას — ამას კი აუცილებლად მოვეხერხებ. ეს მე აბესალომმა დამივალა.
- მარიკელა** — აბესალომმა?!
- ლუარსაბი** — დიახ, ბიუს მიმიხედეთ, ასე მიხერა. ნახვამდის, ჭალბატონო! (ლუარსაბი გადის).
- მარიკელა** — დედა, ეს რა თქვა! აბესალომმა დამივალაო! საყვარელია, ნუთუ ვაიოზი ცდება აბესალომში? (შემოდის ვაიოზი) რა ქენი?
- ვაიოზი** — ძალიან ნასიამოვნები დაებრუნდა... ჩვენი გვილა აღარ ხეშრობს...
- მარიკელა** — მართლა?
- ვაიოზი** — ნამდვილად კარგია.
- მარიკელა** — აბა, მოდი, წახეხე ცოტა!
- ვაიოზი** — არ მინდა არაფერი. მუშაობის ხალისიც აღარა მაქვს.
- მარიკელა** — რა იყო, მე ხომ არ გიწლი ხელს?
- ვაიოზი** — პირიქით... შენით მიდგა სული...
- მარიკელა** — (დუმს).
- ვაიოზი** — რა მოგივიდა? გვიმს ცუდი ხომ არაფერი უთქვამს?
- მარიკელა** — არა, ცუდი არაფერია.
- ვაიოზი** — ჩემს თავს ვაფიციებ, ნურაფერს დამიშალავ!
- მარიკელა** — ჩვენ შეილი გვეყოლება.
- ვაიოზი** — ა?!
- მარიკელა** — რა იყო!
- ვაიოზი** — შენი ჭირიმე, გოგო... შენი სულის ჭირიმე! (აკოცნის).
- მარიკელა** — პო, მართლა, ლუარსაბი იყო ახლა ჩვენთან.
- ვაიოზი** — რაო, რა მინდაო?
- მარიკელა** — აბესალომის დაველებით მოვიდა.
- ვაიოზი** — როგორ, აბესალომმა გამოგზავნაო?
- მარიკელა** — თუ ჩემთან კონსულტანტად იმუშაებს, დღესვე მივიღებო!
- ვაიოზი** — ნუთუ აბესალომი შეიცვალა?
- მარიკელა** — როგორ? შენ გონია, რომ იგი ჩვენთან კარგ კაცობას თამაშობს?
- ვაიოზი** — რა თქმა უნდა. უოველმა უპატიოსნო კაცმა იცის, რომ პატიოსნება ამ ქვეყნად დიდი სიკეთეა და თუ თვითონ დაკარგული აქვს ეს საუნეცი, იმას კი ცდილობს შეილი მაინც გაზარდოს პატიოსნად!
- მარიკელა** — ფიცხი ხარ, ფიცხი, ვაიოზ, შენ მხოლოდ მტრებს იძენ შენი შეურაცხველი ხასიათით! ვთქვათ, აბესალომი არ გიყვარს, მაგრამ მოჩილება მაინც გმართებს!
- ვაიოზი** — კარგი, თუ ღმერთი გწამს, რა დროს აბესალომმა ჩვენ ახლა ბედნიერები ვართ... ჩვენ მალე პატარა გვეყოლება. (ჩაკოცნის).
- მარიკელა** — გიყვ ხარ, ვიცი! (მარიკელა რთიანს მიუძღვება. მას ვაიოზიც ეხმარება).
- დღე და ღამ გული, ჩემო პატარა,
შენს მხოლოდინში მწუხვენ ფიჭრები,
როდის გაწლი ფრთებს მზით მოხატულებს
და ჩემს ოთახში შემოფრინდები.
მოდი, მოფრინდი, ჩემო კურიალა,
გულით შენს გარდა არც არ გული,
კეთილი იყოს შენი მოფრენა,
და ღმერთი იყოს შენი მფარველი.
- (ვაიოზი ერთხანს მშვილად უფურებს, შემდეგ მღელვარება ერევა, მივარდება თავის სამუშაო ტილოს და ფუნჯით გამალებული მუშაობს. მარიკელა დამოთვრებს დაკერას და ვაიოზისაყენ მოიხედავს).
- მარიკელა** — ვაიოზ!
- ვაიოზი** — გისმენ, გისმენ!
- მარიკელა** — (ახლოს მივა) მამ ასე ხომ? ახლა მე მკითხე ხელის შეშლა, როგორ უნდა? (მივარდება და თმებს აუნეწავს).
- ვაიოზი** — კარგი, გეყოფა!

მარიკელა — აბა ნახე, როგორ ავიჩაო!

გაიოზი — გოგო!

მარიკელა — შეე მუხა მეწვია, ყმწვილო, არეე-დარევის ცელქი მუხა!..

გაიოზი — კარგი, თორემ...

მარიკელა — თორემ, რა?

გაიოზი — თუ დაგიბარე...

მარიკელა — არა, არა, ეხედაე ხელს გიშლი...

გაიოზი — პირიქით, ახლა მინდა შენს ქანდაკებაზე ვიმუშაო.

მარიკელა — ავიდე ზემოთ?

გაიოზი — ადი, ოღონდ არ იცელქო!

(მარიკელა ტანზე გაიხდის და კვარცხლბეგზე დადგება. გაიოზი მიდის ქანდაკებასთან და იწუებს მუშაობას).

მარიკელა — გაიოზ!

გაიოზი — რა იყო?

მარიკელა — იცი, როგორ მადლობელი ვარ შენი?

გაიოზი — რის მადლობელი?

მარიკელა — შენთან დახლოების შემდეგ ლევანს ვედარ ვცნობ, სულ გამოიცვალა ბიჭი!

გაიოზი — ჭერ სად ხარ! თუ სამოქმედო სარბიელს არ დაუსწობენ, ყოველი გზას ამცდარ კაცის გამოსწორება შეუძლება.

(ისმის მანქანის მოსვლის ხმა. აბესალომი ივსს აივნადან ვადასახებს).

აბესალომი — ახლა შენ წადი, ივა, თავისუფალი ხარ, მაგრამ მალე მომავიხებ!

ივა — რომელ საათზე?

აბესალომი — ექვსზე, წყნეთში ვარ წასასვლელი!

ივას ხმა — შესის, გენაცვალე! (მუშოიძის აბესალომი. მარიკელა მოსასახს მოიხურავს და ძირს ჩამოიძის).

აბესალომი — ზოდიში, უდროოდ მოესულვარ... (გაიოზს) ბარაქლა, ბიჭო! ამის შემყურე მუშაობას რომ კიდევ ახერხებ! (აბესალომი კედელზე ერთ სურათს შენიშნავს და დიდხანს ათვალიერებს) — ეს სერადიტაა?

გაიოზი — დიახ.

აბესალომი — როდის დახატე?

გაიოზი — მაშინ დაგამთავრე, როცა შენ კავშირში ჩემი დამუშავება გქონდა განაღებულ!

აბესალომი — კარგია, მაგრამ თანამედროვე არ არის.

გაიოზი — თუ ნაწარმოები მხატვრულია იგი ყოველთვის თანამედროვეა.

მარიკელა — ეს როგორ მოხდა, რომ გაგვიხსენე, პატრეცემული აბესალომ? დიდი ხანია აღარ ყოფილხართ ჩვენთან!

აბესალომი — საქმეებმა, გენაცვალე, საქმეებმა ჩამულაბეს... აბრილში ჩინეთში ვიყავი, ივლისში ამერიკაში მიმავლინეს. იქიდან დაბრუნება ძლავს მოვასწარი და უცებ ტურისტულ ჯგუფს გამაყოლეს იტალიაში. მართალია, იქიდან მალე დაებრუნდი, მაგრამ რად ვინდა, მაინც თავის მოსაქვეი დრო არა მაქვს. უველა იქით-აქეთ მეწვია... ეს დელეგაცია მიიღე, ის დელეგაცია გააცილე... ამას ხიტყვა უთხარი, იმას კონსულტაცია გაუწიე... წარმოიდგინე, დროც არა მაქვს, სამსახურში ორი საათი გამოეცხადდე! მიუხედავად ამისა, მაინც გინახულეთ!

გაიოზი — ვითომ ასეა?

აბესალომი — (ცხვირი მოფერებით ყელს გადაუწევს) ო, რა ურჯუკი ხარ! ყველას გასწორება მოხერხდა და შენი კი არა!

გაიოზი — გულს ნუ გავლია. შენ მეც ვამასწორე!..

აბესალომი — ო, რა ადვილად იფიქვებ ხალხის ამავს! აღარ გახსოვს რამდენი რამ გაგიკეთე, რამდენჯერ ფულად დაგეხმარე და ეს იმიტომ რომ შმაჩემის ნათელ-მირახი იყავი! (მარიკელას) ამასწინათ, ჩემს მახსენებაში ერთი სურათი დაუწუნე და და მას შემდეგ ყოველთვის ის უნდა წამომიხახოს!

მარიკელა — შერე, რად დაუწუნეთ?

აბესალომი — არა, ცუდი არ ყოფილა, მაგრამ ზომ იცი, დროის მოთხოვნები, სტილი, იდეოლოგია... ჩვენ ზომ დროს ვემსახურებით და არა კერძო ადამიანს!

გაიოზი — შერე, ვის ესაპიროება ასეთი სამსახური? შენ ამით შეცდომაში შეგვავს საზოგადოებრივი აზრი!

მარიკელა — გაიოზ!

- აბესალომი — შენ დღეს რა შწარე გენებაზე ხარ, ყმაწვილო! ეიფიერე, შევალ, შობაზედღე-
ბებს, გავუზიარებ-მეთქი და შენ კი...
- მარიკელა — ნუ გეწყინებათ, პატრიცემულო აბესალომ... სამინისტროს სურათების შექმნაზე
უარი უთხრა. საათებიც ჩამოართვეს აკადემიაში. ხელმოკლეობას განსტყობის...
- აბესალომი — მეტე, ეს რა ზემი ზრალია?
- მარიკელა — იქ ასე გვიხარეს, თითქოს თქვენ იყავით წინააღმდეგე!
- აბესალომი — ღმერთო, მომკალი! რას არ გამოთვლებენ ინტრიგანები! განა ლუარსაბი თქვენ-
თან არ მოსულა?
- მარიკელა — იყო, პატრონო.
- აბესალომი — მე გამოვეგზავნე... მართლა ასე ვიჭიბს, ბიჭო?
- გაიოზი — თითქოს არ იცი.
- აბესალომი — დავიჯერო, მართლა არაფერი ვიჭყავი ჩიბეში?
- გაიოზი — ჩიბე მე მხოლოდ ზელის ვასათობად მაქვს ზამთარში!
- აბესალომი — აბა, დაწერე განცხადება...
- გაიოზი — არ არის საჭირო.
- მარიკელა — ნუ, თქვენი ჭირიმე, ნუ შიამკვეთ უფრადლებას!
- აბესალომი — შეხედეთ, ფული არ გაჩნია, მაგრამ ვული კი დიდი აქვს ყმაწვილს!
- გაიოზი — ფული თუ არა მაქვს, სულიერი სიმდიდრე მაინც გამაჩნია!
- აბესალომი — უქონლობამაც იცის, ყმაწვილო, სულის გაღარიბება. აბა, დაწერე, გვეოფა ქო-
უტობა! (კალამს შიამწვილებს).
- გაიოზი — ვნახოთ... ამ ერთზედ კიდევ გამოგვდი. (წერას შეუდგება).
- აბესალომი — (ათვლიერებს ოთახის მორთულობას) სასიამოვნოა. ქალის ზელი უკვე დასტ-
ყობია აქაურობას!
- მარიკელა — მაინც ეიწროდა ვართ. უდაგილობის გამო აღარ ვიცი თ სურათები სად შევიანახო!
- აბესალომი — ეგ არაფერი. მე მალე საკუთარი სახლის მშენებლობას დაემათავრებ ვაკეში. თუ
კვიანად იქნებით, ახლანდელ ჩემს ბინას თქვენ დაგითმობთ! პო მართლა, ახლა
გამახსენდა. მე მიიხარეს, ამ დღეებში შენ, თურმე ძალიან დიდკაცთან ყოფილ-
ხარ სახლში მიწვეული!
- გაიოზი — ეიყავი.
- აბესალომი — ამისას ვისადილნია!
- გაიოზი — ვისადილე!
- აბესალომი — ჩემზე ვილაპარაკნიათ!
- გაიოზი — აბა, ჩვენ ზელოვნებაზე გეკონდა საუბარი...
- აბესალომი — უყურეთ! სადილი გემრიელად მიიჩაფა და ამბის ვამხელა კი არ უნდა!
- გაიოზი — ეს რა უბედურება ხდება ფიზიოლოგიაში! სადილი მე გვამე და ამას ვერ მოუნე-
ლებია!
- აბესალომი — კარგი, კარგი, დაწერე, ზელს არ შეგიშლი! (აბესალომი ვაგელ-გამოივლის, შემ-
დედ ეზოსაკენ გადაახედას) იი ეს მომწონს! მართალია, პატარაა, მაგრამ ეზო
კარგი გქონიათ. აუხიე ჩემსას მომავლებს — წინეთში რომ მაქვს... მაგრამ ჩემი
უფრო დიდია. შიგ თევზებიცა მყავს: ხრამული, მურწა, ორაგულიც... ამ გამაფ-
ხელზე ღორბა გოჭები დაყარა, ახლა ისეთებია, რომ ცოცხლად შექამ! პო, მარ-
თლა, გაიოზმა ნახა ამას წინათ. გაიოზ, უთხარი როგორია!
- გაიოზი — რა როგორია?
- აბესალომი — ჩემი წყნეთის გოჭები!
- გაიოზი — კარგებდა.
- აბესალომი — ხომ სათუთად მოვლილები არიან?
- გაიოზი — ჩემზე უკეთესად. მე რომ მთავრობა ვიყო, შენ აუცილებლად ავარაყ წყნეთის მე-
ლორედ დავნიშნავდი!
- აბესალომი — ხედავ, რა იკანა!
- მარიკელა — გაიოზ!
- გაიოზი — კარგი, თუ ღმერთი გწამს. უველაფერს თავისი საზღვარი აქვს!
- აბესალომი — ვერა, ყმაწვილო, რაც უნდა, ეცადო, წონისწირობიდან ვერ გამოიყვან მე რომ
ცუდი მინდოდეს, ამას ვინამდი! (ჩიბიდან ქალაღს ამოიღებს) იი შუამდგომ-
ლობა, სამინისტროს წინაშე შენი სურათებს გამოთენის შესახებ! (ქალაღს მა-
რიკელას გადასცემს, მარიკელა გაიოზს).
- მარიკელა — გაიოზ!

- გაიოზი** — (კიბულაძის) საეკრეველი ამბავია! არ შეგონა, თუ შენ ამახ ჩემთვის გააქვებდი!
- აბესალომი** — ვაი, საერთოდ შენ ეჭვიანი კაცი ხარ... მაგრამ ჩვენ შორის დათხილი ნათელ-
მირონი ბევრ რამეს შეაღებს. წადი და ეს ქალაქი სამინისტროში შეიტანე!
- ის კი, ბინის შესახებ, როგორც შეგბირდი, ასე იქნება.
- მარიკელა** — არ ვაი, რა ეთქვა, სიტყვები აღარ მყოფნის...
- აბესალომი** — რა საჭიროა სიტყვები, გამოფენისათვის ფულა საჭირო.
- გაიოზი** — რამეს ვიღონებ!
- აბესალომი** — აი, იმ სურათს თუ შეეღვია, ფულს მე მოგიბრებ.
- გაიოზი** — (ღუმს).
- აბესალომი** — არა, თუ არ გონდა, არ ვამალებ.
- გაიოზი** — კარგი, თანახმა ვარ!
- მარიკელა** — იმ სურათს ახლავე მოგარამვეთ, პატრიცეშელო აბესალომი!
- აბესალომი** — (მობრუნდება) პო, მართლა, ერთი რამ გულწრფელად უნდა გითხრა, სურათება
კარგი გაქვს, მაგრამ მათ ცოტა თემატურად გამაღიარება კირდება.
- გაიოზი** — როგორ?
- აბესალომი** — შენი გამოფენისათვის რომ ვიბრძოლოთ, საჭიროა მეც უნდა ნიადაგი მტკიცე
შქონდეს!
- გაიოზი** — მაინც!
- აბესალომი** — დახატე ერთი მქსოველი ქალი, აა ისეთი, — დაზგასთან რომ დგას და შაქობებს
ქარასავით ატრიალებს!
- მარიკელა** — სწორია, აბესალომი სიმართლეს გუბნებდა!
- აბესალომი** — ეს შენ თემატკაში საწარმოო ელფერს გააძლიერებდა, მოწინააღმდეგეებს
ენას მოაკენტიებდა და, რაც მთავარია, შენ გამოფენას საგზურს მისცემდა
ცხოვრებაში.
- გაიოზი** — კი, მაგრამ ვინ დახატო, ვინ მოაქლის ახლა ჩემთვის?
- აბესალომი** — ამაზე ნუ წუხარ. მსურველი ბევრია. მე ერთი უკვე შევარჩიე და დღესვე გა-
მოგვზავნი!
- გაიოზი** — დიდი მადლობელი ვიქნები.
(ისმის მანქანების გაჩერების ხმა. შემოდის ივა, შემოაქვს პატარა ელია, რომელ-
შიაც ორი თუთიყუშია).
- აბესალომი** — ეს რაა, ბიჭო?
- ივა** — თუთიყუშებია, გენაცვალე. მომეწონა და ამით მოგუყვანე.
- მარიკელა** — გმადლობთ, ივა!
- აბესალომი** — რა მიეცი?
- ივა** — ამაში სამი თუმანი, იმაში კი ხუთი.
- აბესალომი** — ხუთი? ეს ხუთთუმნიანია, ალბათ, ძალიან თავშემაქცევარია!
- ივა** — არა, გენაცვალე!
- აბესალომი** — ალბათ, უკეთესად ვალობს და იმიტომაც ასე ძვირი!
- ივა** — არა, ვალობა სულ არ იცის ამ უბედურმა!
- აბესალომი** — აბა რა მოხელეა, რას აკეთებს?
- ივა** — რას აკეთებს და ამ სამთუმნიანის მხატვრული ხელმძღვანელია.
- აბესალომი** — აი, შენ შეგაჩვენებს ღმერთი! აბა, ჩამოიღე კედლიდან ის სურათი და წავიღეთ!
(ივა სურათს კედლიდან ჩამოხსნის და მიაქვს. აბესალომი ფულს ვადაიხდის და
მიდის).
- მარიკელა** — გაიოზ, ახლა მეც უნდა წავიდე, მაგვიანდება!
(მარიკელა გადის. შემოდის ლევანი და ნოდარი).
- გაიოზი** — მოდი, ლევან, მოდი, ჩემო მეგობრებო! სხვა, რას შეებით, როგორა ხართ?... გამო-
შადეთ, ხომ აკადემიიდან?
- ნოდარი** — აბა, რას ბრძანებთ, პატრიცეშელო გაიოზ!
- ლევანი** — შენი წასვლის შემდეგ, თითქოს დაცარიელდა ჩვენი კათედრა... ხალხის აღარ არის...
- ნოდარი** — შენს მაგიერ ვალე მოიყვანეს, მაგრამ ახლოს არაფერ ევარება...
- ლევანი** — პო-და, ამის გამო ნოდარმაც იწვნია კარ საყვედური.
- გაიოზი** — ნოდარს რას ერჩოდნენ?
- ლევანი** — დარეკტორის პირდაპირ მიხალა: მას შემდეგ, რაც ხელახალი აქედან დაითხოვეთ,
აკადემიამ მის ბინაში გადაინაცვლაო.
- გაიოზი** — მართლა ასე უთხარი, ბიჭო?

ნოდარი — შენთან ერთი საათის მეცადინეობა მთელ აკადემიას მირჩევნია!

გაიონი — მერე, რა საჭიროა ასეთი გამოწვევა! ეს არაფერს არ იძლევა. აბა, შევედგეთ საქმეს... ლევან, მიჩვენე ერთი შენი ჩანაწერი!

(ლევანი ამოიღებს ჩანაწიდან პატარა პლაკატს).

გაიონი — რა არის ეს?

ლევანი — რა იქნება! პლაკატი ასანთზე.

გაიონი — მაგისი ფასი კაპიკია!

ლევანი — ასანთი კაპიკი ღირს და აბა პლაკატს ხომ არ გავაძვირებდი იბა, ახლა ეს ნახე როგორია!

გაიონი — რა არის ეს?

ლევანი — ძროხა ბალახს ძოვს.

გაიონი — მერე, სად არის ბალახი?

ლევანი — იგი ძროხამ შეჭამა...

გაიონი — მერე, სად არის აქ ძროხა?

ლევანი — ძროხა სულელი კი არაა. შეჭამა ბალახი და წავიდა...

გაიონი — ფეხბურთის საქმე როგორა გაქვს? კიდევ გავაქვს ბურთი საკუთარ კარში?

ლევანი — მოვეშვი.

გაიონი — კარგი გიქნია. აბა, ნოდარ, შენ რითი გამიხარებ?

ნოდარი — (ნახატს ჩანაწიდან შორსხედ ამოაძვრენს). აი, ეს დავხატე!

გაიონი — ოპო! ხელი გაგისწორებია. ასე უნდა, მიხარია, რომ საკუთარ გზაზე დამდგარხარ. ცოტა კრიტიკა ხომ შეიძლება?

შვილი — როგორ არა, შეიძლება.

გაიონი — ეს ხომ ცეცხლია?

ნოდარი — დიას.

გაიონი — მერე? ასეთი მიმკრალი!... ეს მე აბსტრაქციონისტებს მაგონებს. ცეცხლი ისე ცოცხლად უნდა ლეიოდეს, რომ შეცივებულმა კაცმა ზედ ხელები მიაწვიროს. (პაუზა) ეცადეთ, ყოველთვის სასარგებლო ემოციები აღძროთ ხალხში. ცრვი და უსულგულო ხელოვნება არავის უიარება. შემარცხნეობა სენია, მოდა — წარმავალი. მე შებრალებიან ისინი. ვინც ამ დროს იცხოვრა და თავისი დროის ვერც სიხარული გაიგო და ვერც შწუხარება!

(შემოდის გივი).

გივი — ამ შესანიშნავ კრებულს გაუმარჯოს!

გაიონი — ო, მოდი, მოდი, ჩემო მეგობარო!

გივი — გამოდის რომ ის ზეზი, რომელიც ახლა ხალხში დადის — აკადემიამ ხელაშვილის ბინაზე გადაინაცვლაო, სულ ხუმრობა არ ყოფილა!

გაიონი — კარგი, თუ კაცი ხარ!..

ლევანი — აბა, ნოდარინო, წავიდეთ!..

გივი — ჩემი მოსვლა ხომ არ გეწუხინათ?..

ლევანი — ეგ რა სათქმელია! ნახეამდის, გაიონ!

(ლევანი და ნოდარი გადიან).

გივი — მამ ესეც იკადრეს, ა? საათებაც ჩამოგართვეს აკადემიამ!

გაიონი — შაინე რა მოხდა, რას ვაღამეკიდნენ?!

გივი — რა მოხდა-და, შურთ, ძმავო, შურთ შენი წარმატება, ხომ იცი, შურა სხვისა სიტყვით გამოწვეული შწუხარებაა.

გაიონი — მერე, ამისთვის უნდა ამომამრონ სული?

გივი — ასეა, საქართველოში ყველაფერს აპატიებენ კაცს, გარდა ტალანტისა. (პაუზა) ახლა რას აკეთებ?

გაიონი — რა გქნა, დიდ იღმარას მივაღვექ!

გივი — ნუ გეშინია, იღმარას — დაღმართიც მოსდევს.

გაიონი — მერე, ამ წინააღმდეგობის აღმართზე ასეა არ უნდა?

გივი — ერთი შემოკვრით ხე არავის წაუტყევი. შენი გამოყენისათვის შე უკვე დაეწევი მზადება.

გაიონი — არა, გივი, ეს საქმე არ გამოვა.

გივი — ისე გამოვა, როგორც მზე ღრუბლებიდან!

გაიონი — შენი ჭირიმე, ბიჭო! რა უცებ იცი გულის ვაკეთება! ახესალოშიც ასე მეუბნება. ახლა იყო ჩვენთან, იმედი მომცა...



ვიცი — რაო?

ვაიოზი — შეამდგომლობის ქალაქი მომიტანა სამინისტროში წახალაგენად...

ვიცი — არ ეშვებოდნენ, ბიჭო!

ვაიოზი — აბა, რა ვიცი!

ვიცი — არაფერია. ფიზიკა ვიყავი. აბა ნახავდის. თუ დრო დაგჩვენს, შემოიარე, ხვალ ვრთავდი ეისადილოთ!

(ვიცი გადის, შემოდის ეთერი).

ეთერი — შეიძლება?

ვაიოზი — როგორ არა, მობრძანდით, ქალიშვილო!

ეთერი — ბოდიში, მგონია, ხელი შევიშალეთ!

ვაიოზი — თქვენ, აღბათ, ჩემთან აბესალომმა გამოგზავნათ!

ეთერი — დიახ.

ვაიოზი — თქვენი სახელი?

ეთერი — ეთერი, ბატონო.

ვაიოზი — აბა, დაბრძანდით, ქალიშვილო, შევედგეთ მუშაობას!

(ეთერი მისთვის მიჩნეულ სკამზე ჯდება. ვაიოზი მოღებრებს ახლოს მიიტანს ეთერსთან და იწყებს მუშაობას).

ეთერი — სულ გაუნძრევლად უნდა ვიჯდე, ბატონო?

ვაიოზი — თქვენ პირველად ხართ მხატვართან?

ეთერი — დიახ. აქვს ამის რაიმე მნიშვნელობა?

ვაიოზი — არა, ისე გვითხეთ. აი აქეთ იყურეთ, ჩემსკენ. თავი თავისუფლად გეპიროს!

ეთერი — ლაპარაკი შეიძლება?

ვაიოზი — შეიძლება.

ეთერი — დღეს დამითარებთ, ბატონო, მუშაობას?

ვაიოზი — აბა, რას ბრძანებთ! ოცეფერ მაინც მოგინებთ მოსვლა.

ეთერი — უჰ! დიდი უხეირო საქმე ყოფილა!

ვაიოზი — შეეცადე გეპირობ. თავსაც ვაწვალე და სხვასაც.

ეთერი — ჩვენ ფაბრიკაშიც არიან მხატვრები, მაგრამ ისინი ქსოვილებს ხატავენ... ბევრ ფულს აკეთებენ.

ვაიოზი — ვიცი.

ეთერი — ჰა-და, თუ იცით, რატომ ჩვენთან არ მოხვალთ სამუშაოდ?

ვაიოზი — ენახოთ... თუ იძულებული გაგხდის, შეიძლება ასეც მოვიქცე-

ეთერი — როგორ? ვინა იძულება ახატინებს კაცს სურათებს?

ვაიოზი — რა თქმა უნდა. ზოგს შინაგანი იძულება, ხალისი, აღმაფრენა, და ზოგსაც კიდევ თავის გამოჩენის სურვილი. (ეთერის მოუწყვრობა ეტყობა. თითქოს უნდა რაღაც მოამოქმედდეს, მაგრამ ყოყმანშია) რა ვატარებთ? ჩემსკენ იყურეთ, თავისუფლად!

(ვაიოზი რომ ეთერის თავს ხელით შეეხება, იგი სკამიდან გაფარებული წამოვარდება).

ეთერი — რასა ჰგავს ეს? რად არ გცხვენიათ! ვის უბედავთ ხელით შეხებას!

ვაიოზი — (დაიბნა. არ იცის რა იღონოს) ღეთის გულისათვის, ნუ ევირი... რა მოხდა დაწინარდის, ქალიშვილო!

ეთერი — ჩემთვის უველაფერია გასაგებია. ვიცი, რისთვისაც დამიბარე, მაგრამ ჩემთან ასეთებო არ გაგვია. მე პატრონის ოჯახის შვილი ვარ!

ვაიოზი — მერე, პატრონისთან რა ხელი მაქვს?

ეთერი — ვიცი, რაც გსურდა. მამაკაცები უველანი ასეთები ხართ. არავისი დანდობა არ იცით!

ვაიოზი — უკაცრავად! ბოდიში მოიხადეთ ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, თავი გაგისწორე. სხვა განზრახვა შე არ მქონია!

ეთერი — რაო, რაო?

ვაიოზი — პროვოკაცია ნუ მიწყობთ... ღეთის გულისათვის, გაჩუბდით, მგზობლები გაგებენ!

ეთერი — არა, არ გაჩუბდები, თუ ქალი ვყოფილიყავ, მთელ ეზოს აქ შევიყვარო...

(შემოდის მარიკელა).

მარიკელა — რა ამბავია? რა მოხდა, ქალიშვილო?

ეთერი — ეს კაცი თქვენი მეუღლეა?

მარიკელა — დიახ!

- ეთერი — ეწებვარ, რომ თქვენი მეუღლეა... უნდოდა ძალა ესმარა ჩემზე, მაგრამ კარგ დროს მოხვედით და...
- გაიოზი — ღმერთო, ეს ვინ ყოფილა!
- მარიკელა — გაიოზ!
- გაიოზი — ახლაც მიბრძანდით აქედან, სანამ ჯერ კიდევ ჰკუთხე ვარ!
- ეთერი — წავალ, ახა აქ კი არ მოგიცდის... თუ ქალი ვყოფილვარ, ჰასუსს ვაგებინებ (ეთერი გადის).
- მარიკელა — (გაიოზს მრისხანედ მიაშტერდება) ეს რა ჰქენ, გაიოზ!
- გაიოზი — სინდისს გუფიცები არაფერი ყოფილა!
- მარიკელა — არც კი სცხვენია, თავის მართლებასაც რომ ამირებს!
- გაიოზი — მამ რა ვქნა, რაც არ ყოფილა, ის დავიბრალო?
- მარიკელა — (აქვითინდება) ღმერთო რა უიღბლო, რა უბედურა გაჩნდი ქვეყანაზე!..
- გაიოზი — (შიდის და ეღერება) მარი, მარიკო, ჩემო მარიკელა! განა ასე უნდა? ახლა მჭირდება შენი დახმარება, შენი გამამხნეველები სიტყვა... შენ კი, იმ ვილაც უცნობი ქალის ყვირილმა ასე როგორ ავირია გონება?
- მარიკელა — თავი დამანებე... აღარაფერი მჭერა შენი.
- გაიოზი — ესლა მაკლდა რა უბედურებაა, რა ემართება ამ ქვეყანას? უნიჭო პოულობს აღიარებას, უგულო საყვარულს, ხოლო ინტრიგანი პირველი კაცია ქვეყანაზე!
- ფ ა რ დ ა

სურათი მთავრად

- სამხატვრო აკადემიის სააქტო დარბაზი. აი, საცაა დაიწყება გაიოზის გამამართლება. მოსამართლის მაგიდას უსხედან: ალექსანდრე, გივი და ლუარსაბი. ახვალაში და იხა ჩუმად ლაპარაკობენ, ხოლო ლევანი, ნოდარი და სხვა სტუდენტები დარბაზში სხედან. გაიოზი მარჯვენას მიუახლოვდება.
- გაიოზი — მარი, კარგია, რომ მოხველი...
- მარიკელა — (ღუმს).
- გაიოზი — რა დაგიშავ?
- მარიკელა — (ღუმს).
- გაიოზი — ნუთუ შენ გჯერა, რომ მე სამარცხვინო საქმის ჩამდენი ვარ?
- მარიკელა — არა, გაიოზ, მე შეურაცხყოფილი მეუღლის შურისძიება არ მალაპარაკებს. მე ვიცა, შენ ეს, აღბო, მტრებმა მოგიწყვეს... თქვე ეს გულწრფელად. აქ ყველა კი არაა შენი მტერი!
- გაიოზი — არა, არაფის დავზოგავ... მე მაინც ვიბრძობ სიმართლის აღსადგენად და თუ ვერას ვახვხდი, მაშინ მყოფივი, რასაც ვიზამ!
- ალექსანდრე — ეთერი თულაშვილი!
- ეთერი — აქა ვარ, ბატონო!
- ალექსანდრე — გთხოვთ, გამობრძანდით აქ და გულწრფელად გვითხრათ საქმის ვითარება!
- ეთერი — (ტრახუნზე ადის) მე ჩემს აღრინდელ ჩვენებს ვერაფერს დავუმატებ. ნუთუ კიდევ გეძებებით, რომ ზელაშვილის ბინაში დიდი უსამოვნება განვიცადე!
- ნოდარი — ხედავ, რაზე ჰკლებია გული ამ ქალიშვილს?
- ალექსანდრე — გთხოვთ, რეპლიკები არ იყოს დარბაზიდან! (ეთერის) განაგრძეთ, მოქალაქე!
- ეთერი — განა საჭიროა განმეორება? თქვენ მანდ უველაფერი გაქვთ ჩაწერილი!
- ალექსანდრე — ახლა კი, სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ამხანაგო გაიოზ! აქვთ მობრძანდით, ტრიბუნაზე!
- გაიოზი — (ადის ტრიბუნაზე) ამხანაგებო, არც კი ვიცა, საიდან დავიწყო...
- ალექსანდრე — ნურაფერს დაფარავ! დაწერილებით მოახსენე სამამართლოს რაც იყო და როგორც მოხდა!
- გივი — აცალეთ ბატონო, ხელს ნუ შეუშლით!
- ალექსანდრე — ბოდიშო, გთხოვთ განაგრძოთ!
- გაიოზი — ამხანაგებო! მე თქვენ ბრალად გდებთ იმას, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. ამ ქალიშვილისათვის მე არაფერი მიკადრებია... თქვენ კი, წლების განმავლობაში ძიარს მითხრადით მე... შემოქმედებით ატმოსფეროს მიწამალადით, ხალხთან მისვლის საშუალებას არ მაძლევდით, ცოცხლად გინდოდათ დავეშორებთ და განა ეს დანაშაული არ არის? ამ პატიოსანი ადვოკატის წინაშე კატეგორიულად ვუარყოფ ჩემს მიმართ წამოყენებულ ბრალდებას და პირადად თქვენ, ამხანაგო ალექსანდრე, რომელიც ამ ამჟამად იცავთ ჩემგან კეთილშობილებისა და პატიოსნების ნორმებს,



რა კარგი იქნებოდა იგი თქვენ ცხოვრებაში ოღნაე მაინც გამოგვეყენებინათ სხელ-
მძღვანელო პრინციპად!

(სტუდენტების ტაში ადგილებიდან).

ლევანი — აუ, სად აუწია?

ნოდარი — ასე ვეადრება მავათ!

ლუარსაბი — რასა ჰგავს ეს? ასეთი უხეში სიტყვების შემდეგ ხომ შეიძლება ამ ხანში შესულ
ხალხს სისხლი ჩაგვექცეს ტენში!

გაიონი — არა, თქვენ ისეთი შეუბღმაგრები ხართ, რომ ამისაგან დაზღვეული ბრძანდებით!

ნოდარი — გენიალურია!

ლევანი — მიიღეს საკადროსი!

ალექსანდრე — მე შენ სიტყვას ვართმევ!

გაიონი — მე უკვე დავამთავრე.

ალექსანდრე — ამხანაგებო, როგორც ხედავთ, ბრალდებულმა თავის განამართლებელი ვერც
ერთი საბუთი ვერ წაამოგვიდგინა. როგორი იქნება თქვენი წინადადება? (ლუარსაბი
ხელით ანიშნებს) წინადადებისათვის სიტყვა ლუარსაბს გუთვინის.

ლუარსაბი — ამხანაგებო, ვინაიდან ხელაშვილმა ჩვენი კოლექტრის წინაშე თავი ვერ გა-
იმართლა, მიუხედავად ფერწერის დარგში მისი დიდი დამსახურებისა, ვაპირებო
იგი ერთი წლით ჩვენი კავშირიდან.

ალექსანდრე — არის კიდევ სხვა წინადადება?

აბესალომი — ამხანაგებო! ნუ ვიქნებით ასეთი სასტრუკო ადამიანების მიმართ... მართალია, გა-
იონმა დღეს აქ თავი ვერ იმართლა, მაგრამ ვერც დაზარალებული მხარე ამტკიცებს
თავის ბრალდებას, რადგან მოწმე არ არის და საერთოდ ძნელია ასეთ ვითარებაში
რისიმე დადგენა. ამიტომ ჩემი წინადადება იქნება: დარჩეს ხელაშვილი ჩვენი კავ-
შირის წევრად და გამოეცხადოს საყვედური!

გაიონი — რისთვის? მაინც რისთვის მიცხადებთ თუნდაც საყვედურს? ეს ჩემს ცოცხლად
დამარხვას უდრის და რაი ჩემ სისხლს ასე სასტრუკად თხოულობთ; მომირთმევია იგი
საესე კუთით, ამხანაგო ალექსანდრე, და ალავერდი აბესალომიან გადადიო!

(ჩონჩილი და ტაშის გრიალი სტუდენტების ადგილებიდან).

ალექსანდრე — მე შენ უკანასკნელად გაფრთხილებ, პირად შეურაცხყოფას თავი დაანებო!

გაიონი — არა, მე არივისი შეურაცხყოფა არ მინდა, მაგრამ აქ გამოსული ამხანაგებიდან
გულწრფელი არაეინ იყო. ზოგი ვნის წვერით ლაპარაკობდა, ზოგი ყელით, ზოგს
კიდევ კუბი ალაპარაკებდა და გულიდან თქმული სიტყვა, სამწუხაროდ ვერ არ
მოშისმენია!

ალექსანდრე — გაწმდი, თორემ დარბაზიდან გაგაძევებ!

გაიონი — ვერა, ვერ გამაძევებ. ვერც სიტყვას წამართმევთ. მე ბოლომდე უნდა მივყავ ჩემს
სიმართლეს. მართალია, მას აქ საბუთით ვერ ვამტკიცებ, მაგრამ მე მყავს ისეთი
ძლიერი მოკავშირე, რომელსაც ამ ქვეყნად სანდის ეძახიან და პირადად მივმარ-
თავ ჩემს ბრალდებულ ქალიშვილს, თუ მას ეს ძვირფასი ადამიანური განიი საბო-
ლოოდ არ დაუკარგავს, იგი იტყვის, რომ მე მას წინაშე სრულიად უბრალო ვარ!

ეთერი — (ადგილიდან წამოხტება) არა, მეტი აღარ შემიძლია... შაპატეთ, გაიონი.. (გული
აუჩუქდება). ვეღარაფერში მე ვარ დამანაშავე, რა მექნა... დამავალეს, იძულებული
გამხადეს...

გივა — მაინც საინტერესოა, ვისგან მიიღეთ, ქალიშვილო, ასეთი დავალება?

ეთერი — ამას ნუ შეითხავთ... ეს საიდუმლოება საფლავში თან ჩამყვება.

აბესალომი — ყოჩად გოგონა! კარგად მოიქეცი. ამის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი ნათელია,
გაიონი მართალი ყოფილა!

გაიონი — გზადლობთ, ქალიშვილო! მე შენ ახლა გვედრეთით აღმადგინე!

ეთერი — (გაიონს) შაპატეთ... დიდი ტკივალი მოგაყავნე. კინაღამ დაგღუპე...

გაიონი — (დუმს).

ეთერი — ველარ გიყურებ, უღირსად მოგვექცითო...

გაიონი — რა ვუყოთ... ხდება ხოლმე...

ეთერი — დიდი, სიყვითლ საესე გული გჭონია!

გაიონი — წადი, დამშვიდდი, ნულარ გაიხსენებ...

(ეთერი გულაჩუყებული გადის).

გაიონი — მაიკეკა, რატომ შორს დგახარ?

მარიკელა — რა ექნა, თითქოს ბურანში ვარ... ადგილიდან ვეღარ ვიძვრო...!

გაიონი — მადლობა ღმერთს, ხომ ყველაფერში დარწმუნდა?

მარიკელა — ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის.

გაიონი — ისიც ხომ გავიგე, თუ ვინ ყოფილა იმ გოგოს წამქეზებელი?

მარიკელა — ვიცი.

გაიონი — ასეა. ავკაცობის დამალვა არც ისე ადვილი საქმეა ქვეყანაზე!

ახესალომი — (გაიონს მიუბლოცდება) ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ ქუქყიდან სუფთად გამოხვეული!

გაიონი — კიდევ რას დაუმატებ შენს წვლანდელ ჩვენებას?

ახესალომი — ეს ირონია უადგილოა.

გაიონი — დარწმუნებული ვარ, რაც აქ ამბები დატრიალდა, სულ შენი მოწყობილი იყო!

ახესალომი — რაო?

გაიონი — ის ჭალი შენ შეიყვანე შეცდომაში!

ახესალომი — ეს რა თქვი, ბიჭო? საცაა მებს დაშეცემა თავზე?

გაიონი — ნუ გეშინია. ცარხელ ადგილას მებსი არ ეცემა!

უ ა რ დ ა

მოკვამიდაზა მისაში

სურათი მარში

ახესალომის ბინა. ლუარსაბი იმ დროს შემოდის, როცა აღტქსანდრე გამოდის ახესალომის კაბინეტადან.

ლუარსაბი — მასთან იყავი?

აღტქსანდრე — ჰო.

ლუარსაბი — რა საქმეზე?

აღტქსანდრე — ისე, თავი შევახსენე, გავეხუმრე, გავაცინე და ახლა მივდივარ ჩემთვის.

ლუარსაბი — კაი ეშვაკი ხარ!

აღტქსანდრე — ამა რა ვენა? უფროსებს ფერება უყვართ. თუ ასე არ მოიქეცი, ხვალ სხვა გამოუჩნდება შენზე შემაქცევეარი და მერე უყვარე კაკალი! ამა, ნახვამდის! (მიდის. შემოდის ახესალომი, აფორიაქებულია. ლუარსაბი თითქმის არც დაუნახავს).

ახესალომი — იმას რა ეუთხრა, ვინც ცხოვრებას ლამაზად ხატავს, ფერებით აშვენიერებს... პოეზია, ფილოსოფია, პოლიტიკა... სულ ციგნები არიან!

ლუარსაბი — რას ნერვოლოზ, შე კაცო, რა მოხდა ამისთანა?

ახესალომი — მარიკელას ვაყი შესძენია.

ლუარსაბი — მერე, რა ვუყოთ! ერთი კვი ბუთხუზა ბიჭი შესძინა სამშობლოს!

ახესალომი — ცოლად 'ომ გამოიყოლოდა, ახლა მე უკვე მამა ვიქნებოდი.

ლუარსაბი — ასე არ ვარგა, ლახუნდაროვიჩი! ხალხში ისედაც დიდი მითქმა-მოთქმაა თქვენსა და გაიონის შესახებ.

ახესალომი — რაო?

ლუარსაბი — გაიონისა და ეთერის შორის მომხდარ ამბავს შენ ვაგბარალებენ!

ახესალომი — რას ამბობ, ის ვის ახსოვს! სხვა რაღა არის!

ლუარსაბი — იმასაც ამბობენ: გაიონს ჭიბრში ჩაუღვია და მისი სურათების გამოფენას ხელს უშლისო!

ახესალომი — რაო?

ლუარსაბი — გაიონის გამოფენა რომ არ მოეწეოს, ამას ნამდვილად შენ დაგაბარალებენ!

ახესალომი — მამ როგორ უნდა მოვიქცე?

ლუარსაბი — საზოგადოების თვალის ასახვევად უშუამდგომლედ გაიონს საინინსტროს წინაშე. იქ კი, მთილე ზომები და დამუხრატე შენებურად!

ახესალომი — კვი ეშვაკი ხარ, მაგრამ მე უკვე მივიცი გაიონს უშუამდგომლობა საინინსტროსი წარსადგენად.

ლუარსაბი — ხა, ხა, ხა! როდის მოასწარი? რა შესანიშნავი ჩამწყობი ხარ!.. ისეთი გვირისტი გამოგყავს, რომ ნაკერი არ ატყვია!

ახესალომი — გაიონის ამბავს მოერჩი, როგორც იქნა, მაგრამ ახლა უარესი ვასპიური მიდგამს!

ლუარსაბი — მიინც რა დაგემართა ამისთანა?

ახესალომი — გაეწვი ჩემი სახლის მშენებლობა დაეამთავრე, მალე შიგ უნდა შევსახლდე, მაგრამ ამას რა ვუყო, ამ ძველ ბინას, მუქთად როგორ ჩავაბარო მთავრობას!

ლუარსაბი — ამას რა ყოყმანი უნდა. აღტქი და ვაედი.



- აბესალომი — რას ამბობ? თუ შემიტყუებს — პარტიიდან გამორიცხავენ!
- ლუარსაბი — აბა არ გინდა ვაუილო?
- აბესალომი — ვაუილდა როგორ არ მინდა, მაგრამ შეშინია...
- ლუარსაბი — ავარჯი გაქვს, სოფელში სახლი აიშენე... მგონია, ზღვაზეც გაქვს პარტიის კარტიკა...
ჩი... თუ დამიბადლებ, მე ვასწავლი ამ საქმეს როგორ მოველება?
- აბესალომი — აბა, მიშველე!
- ლუარსაბი — მე ვიცნობ ერთ ქალს. იგი შორეულ ნათესავად მერგება. მიხერხებული ქალია. ახლა ბინას ეძებს.
- აბესალომი — მერე?
- ლუარსაბი — მერე-და, ფორმალურად გატარდით აღმასკომის ეკლესიაში, ფული აიღე, შემდეგ გაეყარეთ ერთმანეთს... შენ შენთვის, იმას კი ბინა დაჩხება.
- აბესალომი — მერე, ის ქალი დათანხმდება ასეთ კომბინაციას?
- ლუარსაბი — ამას მე მოეხერხებ.
- აბესალომი — თუ ამას გამოიყვებ, იცოდე ავაშენებ!
- ლუარსაბი — შოიტა ხელი! (ერთმანეთს ხელს მისცემენ).
- აბესალომი — აბა, ეს საქმე არ გადავლოთ! წადი და ის ქალი საჩქაროდ აქ მომგვარე მოდი. ალექსანდრესაც დაეუბნებ!
- (ლუარსაბი გადის. აბესალომი ტელეფონის ციფრებს აკრფის).
- აბესალომი — ალო! ალექსანდრე ხარ? საჩქაროდ ჩემთან მოდი, ცოლს ვერთავ, ბიჭო, ცოლს...
პო, პო, აი ახლა გადაეწყვიტე უცებ!
(შემოდის ივა).
- აბესალომი — რა ჰქვნი, ივა? ხელაშვილებისას?
- ივა — ვაიოზი შენ არ იყო.
- აბესალომი — ბიჭი როგორი ყავს?
- ივა — გადასარევი. შენი სახელით ვაჟის შექმნა მივეულოცე.
- აბესალომი — კარგი გეჩნია.
- ივა — ერთი სამახარებლო კიდევ შენზეა, გენაცვალე!
- აბესალომი — რა სამახარებლო?
- ივა — რა-და, შესამე შრომის ორდენი მომილოცავს შენთვის!
- აბესალომი — ღმერთო, კი მომკალი! ლენინის ორდენის მოლოდინში ვიყავი და შრომის ორდენებში არ გამეყიბეს კაცი! ერთი რევოლუციის 25 წლისთავზე მივლე, მეორე — ხელოვნების დეკადაზე, ახლაც კიდევ შრომის ორდენი? კო, მარა, რა ამბავია ამდენი შრომის ორდენი, რა ვიშრომე მაინც ამისთანა? (ბაუზა) კიდევ რას მოკარი უფრი?
- ივა — უტრუხუნეს რომ მფარველობ, იმსაც საყვედურობენ!
- აბესალომი — ეგ არაფერია. იმ ბომბორა უტრუხუნეს მალე მოვიშორებ!
- ივა — მერე, ვის ნიშნავ მის ადგილას?
- აბესალომი — შენი!
- ივა — შეე? ვაეა ნანა!
- აბესალომი — რა გოკერს? კაცს საშუალო დაგიმთავრებია, ინსტიტუტშიაც დაუსწრებლად სწავლობ ყოველთვის მძღოლი ხომ არ უნდა იყო.
- ივა — რა ვიცი, რომ გამოვირდეს?
- აბესალომი — არაფერია, შეეჩვევი. ჭამავირი ასი მანეთი გექნება და დანარჩენი შენ იცი.
- ივა — ვაეა, ნანა! სწორედ ის არ ვიცი, რასაც შენ გულისხმობ.
- აბესალომი — ნუ გეშინია, ასწავლი. იმ როზროხა უტრუხუნეს როგორ ვერ აჯობებ! ხომ იცი, ახლა დიდი ჭკუა და სიფრთხილე სჭირდება აღამიანს!
- ივა — ვერ სადაა დიდი ჭკუა, მარა რომ მჭონდეს კიდევ, ვინ მომამხარა, გენაცვალე!
- აბესალომი — საიდუმლოს შენახვა ხომ შეგიძლია?
- ივა — საიდუმლოს შენახვა მე რომ ვიცი, ტყუილია იმისთანა!
- აბესალომი — ტყუილის თქმა?
- ივა — ვაეა, ნანა! ტყუილს როგორ ვიტყვი!
- აბესალომი — მაგრამ, თუ დაგპირდა?
- ივა — მაშინ, რა ვიცი, ეგება ჭე თქვა, გენაცვალე!
- აბესალომი — ასეა, სიმართლე კარგია, მაგრამ ვისაც დიოგენის ფარანი უჭირავს, იმას მისი ყავარჩენიც უნდა ჰქონდეს. რა ჩვენი საქმეა მაინცდამაინც სიმართლისათვის თ-

ვის გამოდება. აგერ, ცოტა ხნით შეეალ კაბინეტში, აქ დამიცადე, ჩემთან არაფერ შემოეშვა!

(აბესალომი გადის, შემოდის ტკიპა და უტრუხუნე).
 უტრუხუნე — ო, ჩვენს ოფისს გავმარჯოს!

ტკიპა — შეიძლება?

ივა — რავე არ შეიძლება!

უტრუხუნე — როგორა ხარ, ძმობილო, ან შენი ხაზეინი, როგორ გუნებაზე ბრძანდება?

ივა — რა უშავს. დღეს სანადიროდ აპირებს წასვლას.

უტრუხუნე — სულ სანადიროდ რომ დადიხარ, ნეტა რას კლავთ ამდენს!

ივა — დროს ვკლავთ გენაცვალე, დროს!

ალექსანდრე — (შემოდის აქომინებული) აქ არის აბესალომი?

ივა — აქ გახლავს, გენაცვალე!

ალექსანდრე — მადლობა ღმერთს! რომ სადმე ვაგსწრო, ნამდვილად დაეიღუბებოდი. (შედის კაბინეტში).

უტრუხუნე — ვაჰ, კაცო, გავვიშვი რა, ჩვენც საქმეზე ვართ მოსული!

ივა — საქმეზე კი ხართ, მარა დღეს არ მოხერხდება თქვენი მიღება...

ტკიპა — ვითომ და რატომია?

ივა — ხომ ვითხარ, სანადიროდ ვაპირებთ მეთქი!

უტრუხუნე — მერე, ძაღლები რომ არა გყავთ?

ივა — შენა და ტკიპას წაგვიყვანო...

უტრუხუნე — ენა დააყე, თორენა!

ივა — შეხედე! ჟერ არ წამიყვანია და უკვე ყველას იწყებს!

ტკიპა — შენ ეი, ამას ხედავ? ტყვიანად იყავი.

ივა — რომ იფხორება, შენი ვის ეშინია! ჟერ თქვენ აბესალომს გადაუტრით და მერე აბრალეთ თვალენი!

უტრუხუნე — რაგბს მიჭარავ!

ივა — აბესალომი თქვენზე ნაწყენია. მალე ორივეს ავიკრავენ აქედან გუდანაბადს!

ტკიპა — მაინც რაო, რაზე ხაზმუზიანობს?

ივა — შეწუხების ვარდა, მაგათგან არაფერი არ მახსოვსო.

ტკიპა — აფსუს!

უტრუხუნე — ნეტა რა უნდა! ერთი აგური ჩვენც ხომ მიგვიტანია საერთო მშენებლობაზე!

ივა — ერთი კი მიგვიტანია, მარა იქიდან სახლში ითი გაქვს წაღებული, აბა!

(შემოდის გივი).

გივი — აქ არის აბესალომი?

ივა — აქა, მარა არ ცალია, გენაცვალე!

გივი — არაფერია, მე მხოლოდ ორი წუთით. (შედის).

ტკიპა — ვაჰ, ის თუ შეუშვი, ჩვენ რა, ხალხნი არა ვართ?

ივა — ნუ ხართ, კაცო, სულწასული!

(შემოდის ლევანი).

ლევანი — აბესალომი მარტოა?

ივა — გივი და ალექსანდრე არიან მასთან.

ლევანი — არაფერია. (შედის კაბინეტში).

ტკიპა — ვაჰ, ესეც შევიდა უბოდიშოდ!

უტრუხუნე — აქ, ძმობილო, საიქიოს კარებია?

ივა — რავე ლამაზაკობ შენ, აქ საიქიოს რა უნდა!

უტრუხუნე — სულ იქით მიდიან, აქეთ გამოსულს კი ვერავის ვხედავ!

(კაბინეტიდან გამოდის გივი და აბესალომი).

აბესალომი — შე, რაც შემეძლო, გავაკეთე, სხვა არაფერი შემიძლია.

გივი — მაშ გამოდის, რომ გაიოზისათვის ყველგან გზებია დაკეტილი!

აბესალომი — სამწუხაროდ ასეა.

გივი — მერე, ვინ უშლის ზელს?

აბესალომი — ამას შენ გაიგებ?

გივი — გამოდენა უკვე მომზადებულია!

აბესალომი — მგერამ, რაც მთავარია, ნებართვა არა გაქვთ!

გივი — შენ დიდი გავლენიანი კაცი ხარ... თუ მოინდომებ, გავუეთებელი არაფერი დაგრიება!

აბესალომი — ვნახოთ, შევეცდები. (გივი გადის).



ლევანი — მაშ დღეს ნამდვილად არ გცალია?

აბესალომი — ძალიან დაკავებული ვარ... ერთი სასწრაფო საქმე გამომიჩნდა.

ლევანი — კარგე, სხვა დროს იყოს... (ლევანი გადის).

აბესალომი — ო, მოდი, ჩემო ძვირფასებო! სწორედ კარგ დროს გამომეცხადეთ!

უტრუხუნე — რა იყო, ხაზინ?

აბესალომი — ცოლს ვირთავ, უტრუხუნე, ცოლს!

უტრუხუნე — რათ, რაო?

აბესალომი — ცოლს ვრთავ მეოჲი. უცებ გადავწყვიტე.

ტკია — აუ, რა კაცო იღუპებია!

უტრუხუნე — შერე, შერე...

აბესალომი — ახლა შეირდება თქვენი შნო და მარიფათი. წადით, ერთი ისეთი სუფრა გამიწყვეთ რესტორანში, რომ ჩიტის რძეც არ აკლდეს!

უტრუხუნე — ეპა, მართლა არ ზუმრობ?

აბესალომი — რა დროს ზუმრობაა, საცა პატარძალი კარზე მომაღდება.

უტრუხუნე — ერთი პატარა საქმე გვექონდა, მაგრამ ახლა აღარა დარს... სხვა დროს იყოს. წავიდეთ, ტკია!

(ტკია და უტრუხუნე გადიან, კარებიდან თავს შემოყოფს ალექსანდრე).

ალექსანდრე — წავიდნენ?

აბესალომი — რესტორანში გაგვზავნენ, ბანკეტის მოსაწყობად.

ალექსანდრე — ლუარსაბი რად იგვიანებს?

აბესალომი — ჩემი ზედნიერი საცოლეს მოსაყვანად გაგვზავნენ.

ალექსანდრე — ხა,ხა, ხა... რა სასაცილო ამბავია!

აბესალომი — მასხრად მიგდებ?

ალექსანდრე — პირიქით, შშურს შენი. თუ კარგი ქალია, სულ ისე ნუ გაუშვებ, წავთამაშე ცოტა შენებურად!

აბესალომი — მოწმებდად შენა და ლუარსაბი უნდა იყოს!

ალექსანდრე — რაღა თქმა უნდა.

აბესალომი — შერე, ასე უნდა? სად არის ყვავილები?

ალექსანდრე — მოგიკედეს ხელის მომკიდე! ახლაც ჩავიბრუნ და ხელად თაიგულს გავამზადებ!

(ალექსანდრე გადის, შემოდის ივა).

ივა — მარკელა მოვიდა!

აბესალომი — სთხოვე! (ივა გადის. შემოდის მარიკელა).

აბესალომი — ო, მოდი, ძვირფასო... პირველად ვაქვს შეძენის მოგლოცვა!

მარიკელა — დიდად გმადლობთ!

აბესალომი — სახელად რა დაარქვით?

მარიკელა — დავითი.

აბესალომი — მოშწონს. კარგი სახელია.

მარიკელა — (დუმს).

აბესალომი — ძალიან გამიხარდა შენი მოსვლა!

მარიკელა — მე მხოლოდ ორი წუთით, პატრიცემულო აბესალომი!

აბესალომი — არა, ეგ არა თქვა, მე ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან!

მარიკელა — არ იფიქროთ გაიოზის დავალებით ვიყო აქ მოსული. პირიქით, გაიოზმა ეს რომ გაიგოს, საწყენად დარჩება.

აბესალომი — ვიცი. მე იმას არ ვუყვარვარ!

მარიკელა — ამა რას ბრძანებთ! მართალია თქვენ ზმირად დავობთ სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ ეს სიძულვილის რთვი ნიშნავს!

აბესალომი — როგორ არ ნიშნავს! სიძულვილი უფრო ძნელი დასაფარავია, ვიდრე სიყვარული!

მარიკელა — აქ ამისათვის არ მოესულვარ. მე ვიცი ყველაფერი თქვენ ხელის არის... თუ გამოიღწევა გზა არ გაგვიხსნა, ჩვენი საშველი არ არის. დღეს უკანასკნელი ვაზა გავიტანე სახლიდან!

აბესალომი — ხომ ზედათ, ხელმოკლეობამ სანამდე მიგყვანათ! ვისთვის სწირავთ თავს, სიციცხლეს, სილაშხვს?

მარიკელა — (დუმს).

აბესალომი — ვანა გაიოზი ამის ღირსია?

მარიკელა — მე იგი მიყვარს!

აბესალომი — მაგრამ სიყვარულს ფულის ბალიშზე უყვარს ძილი, თავის გუნებაზე ნებებობა,

კომფორტი, დროს ტარება. ეს კი უფულოდ წარმოუდგენელია!

მარიკელა — შე ფულის მონა არასდროს არ ვუოფილვარ!

ახესალომი — არ უოფილხარ, მაგრამ ხომ გახდის თუცა ამაში არაფერია სათაქლო. ფულთუ სულელის პატონია, ჭკვიანის მორჩილი მსახურია. მას შეუძლია უბედუო ბედს სწიოს, ზედნიერა მიწასთან გაასწოროს! მისი წყალობით ჩვენც შეგვძლია სიყვარულს ჩემად გავულოთ კარი და ეს ჩვენ შორის დარჩება საიდუმლოდ!

მარიკელა — შიმშილით რომ მოგვედე, შე ჩემს პატიოსნებას არავითარ საუნჯეზე არ გავყვიდი!

ახესალომი — აი ხომ ხედავთ, გამოდის, რომ პატიოსნება აღამაინისათვის ბორკილი უოფილა!

მარიკელა — ეს კეთილი ბორკილი რომ ყველას ედოს, მაშინ სხვა ბორკილიც საჭირო აღარ იქნებოდა!

ახესალომი — არა, ახესალომს ბორკილი არ აქლია. ყველგან ეს თავის მომამზრებელი ზღუდეები მაწუხებს. აქეთ ნღობა და სურვილები, იქით შიში და მორალის მოთხოვნები! ლამის არის ცხოვრება კოდექსის წიგნად გადაშქქცეს!

მარიკელა — აბა, რას ამბობთ, სინდისში ჩაიხედეთ!

ახესალომი — იცი, რა ვითხზა, მარიკელა! სინდისი ხელწამოსაკრავი ჭოხი არაა. ყოველ შემთხვევაში, შე ამ ჭოხით ეეჩავეინ შემაშინებს!

მარიკელა — კი არ გაზინებთ. პირიქით, ზრდილობიან მოქცევას მოვიტოვებ თქვენგან! ხომ ხედავთ, თქვენმა გულცივობამ გაიოზი სანამდე მიიყვანა?

ახესალომი — მაინც სანამდე?

მარიკელა — სასოწარკვეთილებამდე.

ახესალომი — ახლა იმას რატომ აღარ კითხულობ, თუ გაიოზმა რა მიყო შე?

მარიკელა — მაინც, რა ვიყო?

ახესალომი — შენი თავი წამართვა!

მარიკელა — შეეწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი. ეს შორის წაგვიყვანს.

ახესალომი — წაგვიყვანოს. შე არსად შეჩქარება.

მარიკელა — სამაგეროდ შე შეჩქარება. გაიოზი ისეთ გუნებაზე დაეტოვე, რომ არ ვიცო, რას ჩიოდენსი არ გეყოლებათ? იგი ხომ თქვენი ოჯახის ნათელ-მირონია!

ახესალომი — აჲ შე მისთვის არაფერს გავაკეთებ.

მარიკელა — შერე, ეს გეჯაფრებათ? კაცი თავს არ ზოვებს, დღე და ღამ მუშაობს... მრავალი შედეგრი დაუტოვდა... გამოფენისათვის უკუღაფერი მზადაა. ამაზე წერტილიც იყო გახეთქილი...

ახესალომი — მის ცხოვრებას პრაქტიკულად უნდა შეხედო და არა გაზეთის თვლით. გაზეთი რომ რამე იყოს, ორი რამიკი ელიტებოდა? მაგრამ გვეუოდა ამაზე ლაპარაკი. თუ ასე გავრძელება, ჩხუბი მოგვივა. (სუფრასთან შივა და სასმელს დაასხამს) შოიწი აქეთ... გასინჯე, კარგი სასმელია!

მარიკელა — (დღმს).

ახესალომი — (მიუხალვოდება) ხომ არ გაწყენინე?

მარიკელა — (დღმს).

ახესალომი — შმატიე. შენ კარგი ჭალი ხარ, მარიკელა, გაიოზი არ მიყვარს, მაგრამ შენი გულსათვის ყველაფერს გავაკეთებ! აი, თუ არ გჭერა! (ბეჭედს მიაწოდებს) მიიღე ჭემგან, როგორც კეთილი სახსოვარი!

მარიკელა — რა არის ეს?

ახესალომი — პრილიანტიანი ბეჭედი!

მარიკელა — ზემთვის იმეტუბო?

ახესალომი — დიახ, თქვენთვის.

მარიკელა — რა იოლია არამად შეძენილ ნიეთების გაზოქება. ეს ალბათ, ძღვნად მოგართვის ზელქვეოთებმა?

ახესალომი — რა საჭიროა ასეთი დაზუსტება. შენ იქნებ გკონია, ახლა მარტო ზელფასით ცხოვრობს ვინმე ჭვევანაზე!

მარიკელა — ასეთ ცხოვრებას სიყვდილი მიბრჩენია!

ახესალომი — სიყვდილი საერთოდ არაფერს არ ჭობია, ზემო ძვირფასო!

მარიკელა — როგორ არ ჭობია? რამდენია ცოცხალი და აღამაინებში არ იხსენიება!

ახესალომი — ამაზე შენ არ მეთქმის საყვედური. აბა, მითხარო, რა შაკლია, ფული თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა! არც ჭადღმს ვარ დაჩაგრული... მხოლოდ ეს არის, შენ ერთი გამოდექ განზე და დღემდე მაცოდვილებ!

მარიკელა — თქვენ ჩემი გმირი არა ხართ!



აბესალომი — მოგიკვდეს აბესალომი, თუ თავისი არ გაიტანოს!
(შიიჩეხს საკონცერალ).

მარიკელა — არ ვაბედოს!

აბესალომი — ეს ქვეყანა ვაბედული და ვეცაკი ხალხისა... ლაჩრებს უფლებას არა აქვს (დროცა) რებას რამე მოთხოვნილება წაუყენონ (წაუტანება).

მარიკელა — (არ მიიყარებს) საძაგელი!

აბესალომი — ომ! დიდგულობ კიდევ? ევ სიამაფე დერეფანში უნდა დაეკრებინა პალატოსთან ერთად!

მარიკელა — შენ გაეიწყობა, რომ მე ჭალი ვარ, ოჯახი მაქვს!

აბესალომი — კმ! ოჯახი! ოჯახი ობიექტის საბუღარია. ლოკოინას პატარა ნივარა და სხვა არაფერი. სიყვარული იქ არის, სადაც მორალური საზღვრების გადაღება იწყება!

მარიკელა — ო, რა უთვლიხართ! თერმე გაიოზს ტყუილად ვამტყუნებდი. ახლა უკვე ყველაფერი ნათელია ჩემთვის!

აბესალომი — მამატრე, მარიკელა ასე არ მიჩივოდა... შენ უნდა გამოვო...

მარიკელა — რა უნდა გავივო?

აბესალომი — იმიტომ ვაწვალებ, რომ გაიოზი გიყვარს!

მარიკელა — (ამაყად) დიახ, მიყვარს და სიკვდილამდე შევყვარება!

აბესალომი — მამ ასე ხომ? თუ აბესალომი გუოფილვარ, არც შენ გაღირსებ ბედით ტუბობას! შენ გგონია, ასეთ დაწიხლვას ვაპატრებ? ქვეყანა შურისძიების მოედანია, ჩემო ძვირფასო! იქ არავის არაფერს არ უთმობენ! რას ვანჯალბ, გეშინია? ახლა არაფერს არ ვაკადრებ. როდესაც გზაზე მივდივარ, თუ ფეხქვეშ კიანჭველა მომხვდა, ისე ვავსრებს, რომ ვერც კი შევამჩნივ... ხან შევამჩნივ და მაინც ვავსრებს. ისეც მომხდარა, შემომჩნივია და არ გამისრუსია! (ზარმა გაიწკრილა) ბედი გქონია! ახლა-კი წადი, შენთვის არ მცალია!

(მარიკელა სურათს დაეღუბეს ხელს და გადის. მცირე ხნის შემდეგ შემოდის ლუარსაბი ნანული და ალექსანდრე თაიგულებით ხელში).

ლუარსაბი — იცნობდეთ! ჩემი უახლოესი მეგობარი — აბესალომ გერგეთული!

ნანული — დიდად სსსამოვნოა. (ხელს ჩამოართმევს).

აბესალომი — გგონია, თქვენთვის ყველაფერი ნათელია, ქალბატონო!

ნანული — კო, ბატონო! ლუარსაბმა უკვე ამიხსნა საქმის ელოარება.

ლუარსაბი — მთელი ერთი საათი ვეჩინინე.

აბესალომი — ცოტა არ იყოს, უხერხული სამუალებით გვიხდება ბინის გაფორმება, მაგრამ...

ნანული — არაფერია, საბოლოო... ახლა ყველა დროს კვალობაზე დაეფიქროს... დროს თუ არ შევეგუეთ, ძალღები დაგვექს.

ალექსანდრე — კო, კო, კეშმარტიად ასე!

აბესალომი — თუ ბინის გაცნობა გინდათ, ოი ინებეთ! ეს მისაღები ოთახია. ის კვანტი. იქით დარბაზია. დარბაზის უკან — სასაღილო ოთახი სათავსოებით; სულ ასოცდაბუთი კვადრატული მეტრი ფართობია. აჩვენე ალექსანდრე!

(გაღიან, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ნანული და ალექსანდრე ისევ დაბრუნდებიან).

ნანული — სწორედ ამისთანას ვეძებდი!

ალექსანდრე — ღმერთს ყვარებხარ, ქალბატონო, ღმერთს!

აბესალომი — რაღა თანაბმა ხარ, ცერემონიება საჭირო აღარ არის. წაიღეთ ხელის მოსაწერად! ივია (შემოდის ივა) ახლაც აღმასკომისაყენ გავაჭანე!

ივა — რაო?

აბესალომი — სუ! რაც გიბრძანე, შეისრულე!

ივა — მესმის, გენაცვალე!

**მოგმეფება მისამი
სურათი მისხამი**

კაფე-რესტორანის ერთ-ერთი საბანკეტო ოთახი. ტუბა და უტრუხუნე სუფრას ვეფილებით როავენ. ომის მანქანის ვაჩერების ხმა. მზიარულად შემოდის: აბესალომი, ნანული, ივა და ლუარსაბი, ტუბა და უტრუხუნე ნეფე-დელოფალს ფეხქვეშ თეფსს დაუდგამენ გასატეხად. შემდეგ ალექსანდრე მესალმება მათ.

ალექსანდრე — სსსაილო კია, მაგრამ მაინც მომილოცავს, აბესალომი! თქვენც მოვილოცავთ ქალბატონო ნანული!



- ლუარსაბი** — სამი ხუტუქთმთიანი ბიჭი შეგძენოდეთ და ამდენივე ხუტუქთმთიანი გოგო!
- აბესალომი** — ხუტუქთმთიანი რომ არ იყოს, არ იყაბულბუ?
- ნანული** — ხუმრობენ, გენაცვალე, ნუ მოაქცევ უფრადლებას!
- აბესალომი** — აბა, უტრუხუნე, როგორ გაქვს სუფრის საქმე?
- უტრუხუნე** — ჩემმა შუემ, ჩიტის რძეც არ გვაკლია!
- აბესალომი** — ენა გვაქვს, პორფილე?
- პორფილე** — ენა რომ მქონდეს, აქ ვინ გამაჩერებდა, ხელად მინისტრი გავხდებოდი.
- აბესალომი** — აბა, აქაც გამიჩინე! ღვინო როგორია?
- პორფილე** — ა, ბატონო, გასინჯე!
- აბესალომი** — ეს რა, წყალს ურევთ, ბიჭო, ღვინოში?
- პორფილე** — არა, ბატონო, ამდენი ღვინო სადაა... პირიქით ღვინოს ეურევთ წყალში!
- ალექსანდრე** — აბა, რაც კი რამეა, სულ აქ მოიტანეთ!
- პორფილე** — თქვენთვის რას არ გვაჩენ, ბატონო. ბავშვობიდანვე მიყვარდა მხატვრობა.
- ლუარსაბი** — მაშ, ღერწმერის მოყვარული უოფილბაზ!
- პორფილე** — ვიყავი, ბატონო, ერთხელ იხვი დაეხატე, მერე ბატი, მარა კატის დახატვა ყოველთვის ძალიან მივირბა.
- აბესალომი** — აბა, რა შეგიძლია გვითბრა აღორძინების ხანის მხატვრებზე?
- პორფილე** — დახოცილები არიან, ბატონო!
- აბესალომი** — ხა, ხა, ხა... გვეყოფა ხუმრობა! ახლა სუფრისაკენ, მეგობრებო! თამადად შენ ვინწნავე, ალექსანდრე! აბა, ალექსანდრეს გაუმარჯოს!
- (ყველანი ფეხზე დგებიან და ალექსანდრეს ადღეგრძელებენ).
- ალექსანდრე** — გამაღობთ, მეგობრებო! რაკი თამადად ამირჩიეთ — უნდა გამოვიჩინოთ კიდეცა. აბა, ივა, სანამ სუფრის ეშხში შევიდოდეთ, შემოსძახე ერთი შენებურად!
- ივა** — ახლავ, გენაცვალე! (ივა იწყებს, სხვები ეხმარებიან).
- დღეხანს ვიარე სულ მარტო,
კენესდა უშენოდ გული.
არ იქნა, აღარ მელირსა
მე შენი სიყვარული.
და ხშირად ახლაც დავდივარ
იმ ხესთან, სადაც ვნახე,
სად ამოტყერი პირველად
მის ტანზე შენი სახე.
ხეს ის ურილობა მოურბა,
მე კი კვლავ მტკივა გული,
სად ხარ, სად ვნახო, ძვირფასო,
მოდო ვანჯურენ სული!
- ნანული** — დედა, რა შესანიშნავი იყო!
- აბესალომი** — ნამდვილად კარგი იყო მე და ჩემმა ღმერთმა.
- ალექსანდრე** — ერთ სადღეგრძელოს კიდევ დაველე და, იმედოა, გამიტანთ!
- ლუარსაბი** — გაგიტანთ, ბატონო, გაგიტანთ...
- ალექსანდრე** — ეს თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო აბესალომი! იცოცხლეთ, იბედნიერეთ... ასეთი წუთები კაცს ერთხელ აქვს ცხოვრებაში. დღეს თქვენი ბედნიერების * დღეა!
- აბესალომი** — არა, ეს კიდევ არ არის სრული ბედნიერება. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე დიდი ნაღველი მაქვს. რაღაც შინაგანი უკმაობის გრძობა მაწუხებს და ხშირად ვარ მოწყენილი!
- ივა** — მოაზროვნე თავს მოსაწყენად სად სცალია, გენაცვალე!
- აბესალომი** — ნუ დამკინი, მე ჩემი შინაგანი ტანჯვაეც შეყოფა. ორი წელია ფენჯი გამიშრა... ზვირიანი არაფერი დამიხატავს.
- ალექსანდრე** — ეგ არაფერი. სამაგიეროდ შენი ენერჯია სულ სხვა საქმეს ხმარდება, უფრო დიდსა და საპატიოს!
- ლუარსაბი** — ნამდვილად, გუთაყვანე. ვანა პატარა საქმეა ქვეყნის სამსახური!
- აბესალომი** — მერე, ვარჯია ეს? სულ სდომები, სათბორები, კონსულტაციები... იქაც კი მიწვევენ, სადაც არც საუბრო ვარ და არც კომპენტენტრო!
- ივა** — მერე, შენ თვითონ რას ეტანები ასეთ საქმეს!



აბესალომი — მოდი და გაეცევი, თუ ბიჭი ხარ! თუ ერთი სახელი გაგვიარდა, მერე მორბა თავლის ექიმი რომ იყო, აბორტს გაგაყეთებინებენ!

გაიზ — და შენც აეთუბ?

აბესალომი — კარგი, თუ ღმერთი გწამს, თითქოს მარტო მე ვიყო ასეთ დღეში!

ნანული — რას დავობთ, გენაცვალე, ამისათვის მომიყვანეთ? რა დროს კამათია!

უტრუხუნე — შარავალ: ხარ, რძალი! არც მე მიყვარს ქეიფში ტყინის ჭკულები!

ტკაპა — აქ ქორწილია, ჭკულებო, ქორწილი!

ივა — მო-და, თუ ქორწილია, ახლა მე შეითხე... აბა, ტაში და მუსიკა!

(ივა გამოეყოფა სხვებს და იწყებს ცეკვას. შემდეგ ტკაპა და უტრუხუნე ჩამოეყვინან.

სხვები კი ზღერან).

წისჭვილი და ქვაო; უტრუხუნემ თქვაო,
რა თქვა, ბიჭო, რა თქვა, ბიჭო,
რა თქვა, ბიჭო, რაო!

უტრუხუნე — აბა, მშენო, ახლა ჩვენი ნეფე-დედოფალი ვაცეკვოთ!

უველანი — ვაცეკვოთ, ვაცეკვოთ!

ნანული — ფოქსტრო ვიცეკვოთ, აბესალომ, ფოქსტრო!
(აბესალომი და ნანული იწყებენ ცეკვას. ბოლოს აბესალომი შეჩერდება, ხელსახოცი ოფლის მოიწმენდს შეზღუწ. ხელსახოცს ბუქვდი ამოკვება წიბიდან და ძირს დაეარდება).

ნანული — დედა, რა ძვირფასი ბუქვდია! ეს, ალბათ, ჩემთვის იყიდე, აბესალომი!

აბესალომი — შენთვისო? მო, კი, მაგრამ...

ნანული — მერე, აქამდე რას უცდიდი! ერთი შეხედე, ალექსანდრე, როგორ მიხდება!

ალექსანდრე — კო, კო, პირდაპირ დაგხატა, ქალბატონო!

ნანული — ვმადლობთ, აბესალომ, ვმადლობთ!..

(შემოდის გივი).

გივი — (ოფლს მოიწმენდს) ო, როგორ დავიდალე... რამდენი გემეზე; აბესალომი!

აბესალომი — რა იყო?

გივი — კაი ამაზე უნდა გითხრა!

აბესალომი — მაინც?

გივი — გაიზის გამოფენის საქმე უკვე მოგვარებულია.

აბესალომი — როგორ?

გივი — მივიღეთ ნებართვა... ახლა სამინისტროდან მოვდივარ.

აბესალომი — ნებართვა კი მიიღეთ, მაგრამ მაინც საეჭვოა. ზევით ამ ამბავს ირამად უყურებენ.

გივი — ოქვეც ამ აზრის ბრძანდებით, ბატონო ლუარსაბ?

აბესალომი — ლუარსაბს თავი დაანებე! ის არ ერევა ამ საქმეში.

ლუარსაბი — როგორ თუ არ ერევაო! ვერაფერი, მაგრამ რომ არ მირთვო!

აბესალომი — რა უნივერსიტეტის კარიბით იღებო, შე საწყვალო, თავშეკავების უნარი დაგვიარდა?

გივი — რა ექნათ, მე პასუხს ველო!

აბესალომი — ხომ ზედაც, ახლა არ მცალია. წადი, თადარიგს შეუღეცი, ოღონდ ყურ გახეთქებს არაფერია აცნობო!

გივი — იცოდე აბესალომ, ეს გამოფენა შენთვისაც დიდი სახელი იქნება. ხალხი დაგამადლებს!

(გივი გადის).

აბესალომი — რა იყო ახლა ეს? რამდენჯერ გავაფრთხილე სამინისტრო... მაინც საიდან გამოტყვრა ეს ქალბატონო!

ალექსანდრე — ამას მარტოელა მოახერხებდა.

აბესალომი — ვითომ?

ლუარსაბი — რა თქმა უნდა. ქალებმა იციან ისეთი საშუალება, რომლის წყალობით ისინი წყლიდან უფედღთვის მშრალად გამოდიან!

აბესალომი — მშ! რა მიქნეს, როგორ ამირიეს ყველგფერი! ახლაც სამინისტროში უნდა გავიქციე!

ალექსანდრე — რას ჩქარობ, მერეც მოესწრები!

აბესალომი — ლუარსაბ, უთხარი ამ ქალბატონს ფულები ჩამოთვალოს!.. თან იმ ბუქვის დატოვებაც არ დაგიწყდეს!

ლუარსაბი — ახლა უხერხულა.

აბესალომი — რას ამბობ! სალოლიაოდ სად მცალია (აბესალომი ტელეფონს მიაშვრებს) ვინ არის? მდივანი ხარ? მინისტრი გააფრთხილე, ჩემს მოხელამდე არსად წაიდე!

(უფრმისს ჩამოვიდებს) აბა, ლუარსაბ, როგორ არის საქმე?

ლუარსაბი — ქალბატონო ნანული ჩვენ დიდი მადლობელი ვართ თქვენი ასეთი ყურადღებ-
სათვის, ახლა კი დროა — გამოართვათ აბესალომს ბინის ვასალები და წაბრძან-
დეთ მოსასვენებლად!

ნანული — გმადლობთ, ლუარსაბ, დიდად გმადლობთ!

ლუარსაბი — მაგრამ ამისათვის, ქალბატონო, ჯერ ფულია საჭირო და არა მადლობა!

ნანული — რას ამბობ, გენაცვალე?!

ლუარსაბი — ჩვენ ხომ შევთანხმდით, აბესალომს ორი ათას თუმანს გადავუხდითო ბინაში
და შემდეგ გაეყრებოდი ერთმანეთს!

ნანული — ეგ ზღაპარია არც ერთ თუმანს არ ვიხდი და არც აბესალომთან ვაპირებ გაყრას!

ლუარსაბი — რაო, რაო?

ნანული — ძალიან მომწონს. შესანიშნავი კაცი ყოფილა!

ალექსანდრე — ქალბატონო ნანული!

ლუარსაბი — ხი, ხი, ხი, რა ხუმრობა იცი, შე სასიყვდილე... ვინც არ გიცნობს, მართალი
ეგონება!

ნანული — ვითომ, არაა მართალი თუ?

ლუარსაბი — მართალი როგორ არ არის, მაგრამ ბეჭდის ამბავიც მართალია?!

ნანული — კარგი, თუ ღმერთი გწამს... მაიმუნობას თავი დაანებეთ!

ალექსანდრე — არა, მართლა არ ხუმრობთ, ქალბატონო!

ნანული — რა დროს ხუმრობაა, ქალი რეგისტრაციამი ვარ გატარებულნი!

აბესალომი — რაო, რაო?

ნანული — ჩემ ბედს ენაცვალე, როგორ საუკეთესო ადგილზე მიმიყვანა!

აბესალომი — ბიუსი აქ რაღაც ახალი ამბავია!

ალექსანდრე — თქვენ ხომ იცოდით, ქალბატონო, პირობა, რტფორი იყო! ახლა პირის შემლა
შეიძლება?

ნანული — ძლივს ამისთანა კაცი ჩავიგდე ხელში და ახლა ამას ვაგვიყვები მე?!

ალექსანდრე — რას ბედავ, ქალო, შენი იცი ეს ვინ არის? ეს დიდი პასუხისმგებელი მუშაკია!

ნანული — იპ, იპ! ძალიან არ შემეშინო! სწორედ მაგისთანა პასუხისმგებელი მუშაკეშია, ახლა
რომ უველაფერს კადრულობენ!

აბესალომი — ჰეი რა გიყო ახლა მე შენ, მითხარი, რა გიყო?

ნანული — ცოლი ვარ, გენაცვალე, შენი და, რაც გინდა, ის მიყავი!

აბესალომი — რის ცოლი, რა ცოლი, რას მაქარავ!

ნანული — კანონიერი ცოლი, გენაცვალე! აი შეხედე, საბუთს ჯერ მელანი არც კი შემრობია
ხედი...

აბესალომი — მერე, რა ჯანდაბად მონდა შენისთანა ცოლი ეს რა გამოკეთებ, ლუარსაბ? (ცეცმა
და ანჭრევს) რა გამოკეთებ-მეთქი, გვიკითხები?! გამოკეთებოდე ხომ? (ალექსანდრე
შეაჩნა წაღება და აწველებს).

ალექსანდრე — აბესალომ... პატრიცემულო აბესალომ!

ლუარსაბი — ახი ჩემზე, ვინ შეიბავდა, რატომ ვერ გავაჩერე ჩემი ენა!

აბესალომი — უსინდისო! ეს რა უბედურება ამკოდე ზურგზე?

ნანული — მაშ, არ გინდიათ ხომ?

აბესალომი — ვინდიათ? ხა, ხა, ხა... არაერთარ შემთხვევაში!

ნანული — გნახავ, დარჩილი მეხვეწებოდე. ახლა მე წავალ, მაგრამ მალე უველაფერს სააშ-

კარაოზე გამოვიტან. (მიდის).

აბესალომი — მოგიკვდეს შემხვეწი!

ნანული — ახლა მაგარ გულზე ხარ, მაგრამ, როცა სამსჯავროს წინაშე წარსდგები, აი მაშინ
გნახავ, რა გუნებაზე დადგები! თქვენც მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ჩემო პატრი-
ცემულო მაყრებო!

ალექსანდრე — რის შეები, კაცო, ხომ ხედავთ მიდის ის აღქაფი..

აბესალომი — მერე, რას დგახართ, მღუპავთ, კაცო? ახლავე დააკავეთ!

(ლუარსაბი და ალექსანდრე ნანულის შეაჩერებენ).

ლუარსაბი — ნანული!

ალექსანდრე — ძვირფასო ქალბატონო!

ნანული — რა იყო, გენაცვალე?

ლუარსაბი — სირცხველს ნუ გვაქმევ...

უტარუხუნე — თავს ნუ მოგვკრბა...

ტიპა — დამბრუნდი, კუკლი!

ნანული — როგორ თუ დავბრუნდე! რომ არ ვუნდიათ?



- უყვლა — აბესალოში რას შევბი კაცო, ზნა ამოიღე!
- აბესალოში — მაპატიე, გენაცვალე! ცოტა უხეშად მოგვექვი, მაგრამ გამოვასწორებ ჩემს შეცდომას. დაბრუნდი, შენ შემოგვევლოს აბესალოში!
- ნანული — ვისთან, ვის უნდა დავებრუნდე?
- აბესალოში — ჩემთან! ისევე ჩემთან მოგოგმანდი, ჩემო ღერაჯო!
- ნანული — რომ დაებრუნდე, შენ ისევე დამიწყებ ჭიკინის და საყვედურებს!
- აბესალოში — არა. უკვე დავერწმუნდი იმაში, რომ შენი თავი განგებამ გამომიგზავნა!
- ნანული — ასე გეთქვა თავიდან, გენაცვალე, ასე არ ჭობდა!
- აბესალოში — რა თქმა უნდა, ჩემო სიცოცხლას ვაზაფხულო!
- ნანული — უი, რა ვალექსილა ენა გქონია. ამით შენ ვის არ შეაყდენ!
- აბესალოში — უკვე შემცდარიც ვარ და გაცუნცურებელიც! მაგრამ მას ახლა აღარაფერი ეშველება. რაც არის, არის. ახლა ვაიოზის გამოდენა გამიხდა თავსამტვრევ პრობლემად! წაიფანეთ ეს ქალი ჩემ სახლში და იქ დამელოდეთ! ივანე!
- ივა — აქა ვარ, გენაცვალე!
- აბესალოში — ახლევე სამინისტროში გამაქანე!

ფარდა.

სურათი მათი

- სამხატვრო გალერეა კიბეებზე ყვავილები, პალმები... შენაბის წინ გადაჭიმულია დიდი პლაკატი წარწერით: მხატვარ ვაიოზ ხელაშვილის სურათების გამოდენა. ხალხი ჯერ კიდევ არ შეგროვილა. მარჯვლად შემოიღის და ტელეფონით ლაპარაკობს.
- მარიკელა — კი, კი, სპირო ხართ... აუცილებლად მოდიო... გამოდენა ზუსტად თორმეტ საათზე გაიხსნება. ახლაგზარდებიც ღროვე მოვიდნენ, ნუ დაიგვიანებენ! (ყურმილს ჩამოკიდებს. შემოიღის რუსუდანი).
- მარიკელა — რუსუდანი, საიდან?
- რუსუდანი — სამსახურიდან გამოვიქეცი ორი წუთით!
- მარიკელა — ჰო, მართლა, როგორ შეეხვეუ ახალ სამსახურს?
- რუსუდანი — აბესალოშია თავიდან მომიშორა, მაგრამ არა უშავს, ახლა სამინისტროში ვმუშაობ. აქ ზომ არავინ გვიყურებს?
- მარიკელა — მოთხარი, რა მოხდა?
- რუსუდანი — აი რას წერს, გოგო, აბესალოში კულტურის სამინისტროს ვაიოზის შესახებ: „ამით გაცნობდნენ, რომ 12 ნომბრისათვის დანიშნული ვაიოზ ხელაშვილის სურათების გამოდენა სასწრაფოდ აიკრძალოს, როგორც ფორმალისტური ტენდენციების და ანტიხალხური მოვლენა ჩვენს ფერწერით პრაქტიკაში“. აგერ, მისი ხელმოწერა!
- მარიკელა — ღმერთო! რა კარგ დარს ჩამივარდა ხელში ეს საბუთი! მომეცი რუსუდანი!
- რუსუდანი — რად გინდა?
- მარიკელა — ახლევ აბესალომს თვალებს დაეყუყუნებ! ამ საბუთის ამხავს რომ ვიკვებს, თავის ხობოკვერამი ისე აწრიალდება, როგორც ლოკოინა!
- რუსუდანი — ღმერთო, ეს რა გქენი! უკვე, შეშინია, ვიცი, კი ამხავი არ მოყვება ამ საქმეს!
- მარიკელა — მაშ, არ ამირებს ამ საბუთის გამოჩენას?
- რუსუდანი — არა, გოგო, არ შემიძლია...
- მარიკელა — გრცხვენილდეს რუსუდანი, როგორ იქვევი!
- რუსუდანი — დედა, ეს რა ხათაბალა ვიტიტე! რას შევბი, გოგო ძალად მართმევ?.. წაიღე გაშეცა, არ დამლუბო, შენი ჭირიმე! (მარიკელა ქალაღლს წაგლეჯს).
- მარიკელა — ამ ქალაღლს ახლევ აბესალომს თვალეში მივებლი!
- რუსუდანი — არ გავლდე, თავი არ დაილუბო გოგო!
- მარიკელა — გეშინია?
- რუსუდანი — იმ ვერაგის ვის არ ეშინია?
- მარიკელა — შენ არ გამოგაჩენ ამ საქმეში!
- რუსუდანი — არა, შენი ჭირიმე, თუ სიცოცხლე გინდა, აბესალომს თავი დაანებე. თუ ვაღაგვიკოდა, მოგვსპობს შენც, მეც, გესმის, არავის არ დაგვიინდობს!
- მარიკელა — როგორ? ჩემ თვალწინ მართალი კაცი იჩაგრება, ჭოჭოს და ვაიძვირას ფეხი დაუბიჯებია ყელზე და ასრჩობს. მე შემიძლია ვუშველო ამ გაპირვებულს, ფეხზე წამოიფანეო და შენ მირჩევ, ასეთ დროს ჩემად ვიყო?

- რუსულანი** — რას ამბობ, განა ვაიოზი მე არ შეცოდება? იგი ათას აბესალომს მარტყენია, მაგრამ რა ექნა, არ შემიძლია იმ სასტიკ ურჩხულს შევეშალო!
(შემოდის ვაიოზი)
- ვაიოზი** — აბა, რას ვუცდით, შეგობრებო!
- მარიკელა** — ცული ამბავია, ვაიოზ! არც კი გავგაფრთხილეს, ისე გადასდეს გამოფენა!
- ვაიოზი** — რაო? სად არის გვიე, აბესალომი?
- მარიკელა** — გვიე და აბესალომი დარბაზშია, ლევანი კი ჯერ არ გამოჩენილა, აგერ აბესალომის სიადემლო დოკუმენტს გიყვანი!
- ვაიოზი** — (შეშარტება თვალს გადაავლებს) აი, სად არის ვერავინ? ხალხის თვალს ასახვევად ჯერ თვითონ მიმეფიდელომა, დახმარებასაც შემპირდა, შემდეგ კი აი, რასა წერს სამინისტროს! რა ჰქვია ამას? ნუთუ ეს უნდა შერჩეს არამზადას?
- მარიკელა** — ვაიოზ!
- ვაიოზი** — ხომ გეუბნებოდი, გისინდი, გარწმუნებდი, შენკი ჯიუტად იღებ და არ გჯეროდა იმ ურჩხულის აცაივობა!.. ახლა ხომ გაიგე?
- მარიკელა** — დამწვიდდი, ვაიოზ!
- ვაიოზი** — როგორ? კიდევ დამწვიდებავ შელაპარაკები? (ამ დროს გამოდის ფორიაჩებულო აბესალომი. მას უკან მოყვება გვიე, ლუარსაბი და ალექსანდრე, აბესალომი კიბით ეშვება ქვევით. იგი თითქმის არავის ამჩნევს).
- აბესალომი** — არამზადები, ფლიდები, თაღლითებო...
- ნანული** — წამო, გინაცვალე, გულს ნუ იხეთქავ... ჯანდაბას იქითაც გზა ჰქონიათ!
- აბესალომი** — მე შავათ ვუჩვენებ თვალის სვირს!
- გვიე** — პატრეცემულო აბესალომი!
- აბესალომი** — შენ კიდევ ჰმას იღებ? ჩქარა, მოხსენი ის პლაკატი!
- გვიე** — აი, იმის მომხსნელი მე არა ვარ!
- აბესალომი** — ნუთუ არ გავიგია, ყმაწვილო, რომ გამოფენა მოხსნილია!
- გვიე** — შერე, ეს საქმეა! ხან დაადგვო, ხან გააუქმებო, ასე, აღამიანის ნერგებზე თამაში შეიძლება?
- აბესალომი** — აჰ! როგორ საზეიმოდ მოუწყევიათ ფსაადი! პლაკატები, პალმები, ყვავილებო...
- გვიე** — პატრეცემულო აბესალომი!
- აბესალომი** — რამდენჯერ გავაფრთხილე, გაზეთებს ცნობა არ მოსცე-თქვია ახლა რას აპირებ, სკანდალს მაწყობ! ხალხი რომ მოაწყდეს, პასუხს ვინ აგებს?
- გვიე** — თქვენი!
- აბესალომი** — მე?! მე შენ გიბევენებ, თრმოს გამოთხრა როგორ უნდა!
- გვიე** — პატრეცემულო აბესალომი!
- აბესალომი** — ახლა შევუბნებ პატრეცემულო! ვერა, ყმაწვილო, ჩემთან ეშმაკობა არ გავივა. მე ეშმაკებს ღიდი ხანია თვეი დაეანებე და ახლა ჭაჭებს დაედღე!
(ვაიოზი წინ გადაუდგება აბესალომს).
- ვაიოზი** — სად მიდიხარ, მე შენგან პასუხს ველო!
- აბესალომი** — რა პასუხს?
- ვაიოზი** — რა მიზეზით გადასდეთ გამოფენა?
- აბესალომი** — შენმა გამოფენამ იმდენი უსიამოვნება მომაყენა, რომ მისგან ხელი დამიბანა!
- ვაიოზი** — ხელს მაშინ იბანენ, როცა კუჭკუიანია!
- აბესალომი** — ყმაწვილო!
- ვაიოზი** — მე მიზეზს გეკითხები!
- აბესალომი** — იგი არ არის სათანადოდ შემზადებულა. თემატურად გამდიდრება სჭირდება. აქა-იქ ისევე იგრძნობა ძველი ფორმალისტური რეციდივები!
- ვაიოზი** — ეს ცილისწამება!
- აბესალომი** — როგორ? განა ცილისწამებაა, შენ რომ შრომის პროცესებს გურბიხარ! ერთი მაჩვენე შენს მიერ შესრულებული ტრაქტორი, ქარხანა ან ბუღალთერი!
- ვაიოზი** — მე აღამიანის სულერი საშუაროს მხატვარი ვარ და არა მანქანების. მანქანებისათვის შენისთანა ფორმალისტურულზე გვეყოფიან!
- აბესალომი** — როგორ მიბედავ ასეთ თავხედობას! მე ვასე ნაკლები მხატვარი ვარ?
- ვაიოზი** — რაღა თქმა უნდა. შესანიშნავი მხატვარი ბრძანდებით, სარეკლამო ფარები და ფიჩნიშები სულ შენით სულდგმულბენ. „ვახაონში ნუ გადახელო“. „სვით ქართული შამანური“, „ქართული ლეინო“, „ქართული ზაი“!
- აბესალომი** — შერე, სულ ეგ არის ჩემი დანაშაული შენს წინაშე?



- გაიონი** — ნუთუ დაგაიწყდა პროვოკაციული მიზნით რომ ქალი მომიზიგენე! შარშან პრემია დამიჯარგე, წველს ავადემიანში კათედრა ჩამომართვი, ახლა ამ გამოფენის ამჟამად დღით ვიყავი და ესეც ჩამშალა შენი აცეკობით!
- (შემოდინ ივა, ლევანი, ნოდარი, მათ შემოყვებიან ავადემიის სტუდენტებს ჩხლნაკი თანდათან მატულობს, შემოდის ნანულიც).
- აბესალომი** — ჩემად, ხალხი გავიგონებს!
- გაიონი** — გავიგონოს! დაე, ქვეყანამ შეიტყოს შენა ნამოჭმეღარი!
- აბესალომი** — შერე, ეგ ნამუსია?
- გაიონი** — ეს კი ნამუსია? — იცნობ ამ ქალადს? ეს შენი უკანასკნელი გულმარდობის ნაყოფია!
- აბესალომი** — (შეკრთება) ეს საიდანა საიდან გამოტყუარა ეს ქალადი?!
- გაიონი** — ახლა რას იტყვი? ხალხს როგორ შეხედავ ამის შემდეგ?
- აბესალომი** — ახლავ მომეცი ეგ ქალადი! (აბესალომი წააგლეჯს გაიონს ქალადს, დაჭმუქნის და უცებ გადაუკლავს. მაგრამ გაიონი ისეთ სილას ვაწინავს, რომ აბესალომი ყირაზე გადატრიალდება).
- გაიონი** — ესეც შენ! შენისთანა წუნჯალს ასე ეკადრება! (გაიონი დარბაზში გაყავთ. ამ აშბის დამსწრენი სიცილს ვეღარ იყავებენ და ხიზითებენ).
- ნანული** — ღედა, ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა! (იწეეს) გამიშვიო, ხელი გამიშვიო... მე ამას ვაჩვენებ ცემა როგორ უნდა! — (იჭერენ).
- ალექსანდრე** — დამშვიდდი, ქალბატონო!
- ნანული** — თურმე რა ხალხში გქონია საქმე, შე უხედეურო! ამით შემეუბრემ აქამდე როგორ მოაღწე... შეხედე, შეხედე, როგორ იღიბებიან ეს გასაწყვეტლები!
- აბესალომი** — არაფერია, მაგათთვისაც მოციცლოთ, თუ კაცო ვყოფილვარ!...
- ალექსანდრე** — აბესალომ დახუნდაროვიჩი!
- ლუარსაბი** — როგორა ხართ, ხომ არაფერი გეტყინათ?
- აბესალომი** — დამკინით ხომ?
- ალექსანდრე** — აბა, რას ბრძანებთ, პატიეცემულო აბესალომი!
- ლუარსაბი** — ეწუხებათ... დიდად საწყენია!
- აბესალომი** — ა, ცხიერი მუცაულები, კომბინატორები, ქონდროს კაცუნები!... სანამ კეთილდღეობაში ხარ, ფეხტევე გეგებიან, მაგრამ, საქმარისია გაჭირებში ჩაეჩრდი, და ესენი მაშინვე სიცილს დაიწყებენ!
- ალექსანდრე** — ხედავ, ლუარსაბ, რა გვიყო? ორაჯეს თავსლადი დავეხსნა!
- ლუარსაბი** — ვაი ჩემს ქეთას! ვის შეეწირე ჩემი პატიოსანი სახელი!
- აბესალომი** — შენ რომელ პატიოსნებაზე ლაპარაკობ, ლაჩარო?
- ლუარსაბი** — უფროსი არ იყო, მე შენ გაჩენებდი! ლაჩარობას ვის დასცინი? ქალადი ხომ ვადაუკლებ? ახლა წადი და ბორჯომი დააყოლე, იოლად მოინდობი! (აბესალომი წაიწეეს ლუარსაბისაყენ, მაგრამ დააკეუბენ, რაჟი გულის ჭავრი ვერ დააცხრო, სწრაფად გადის).
- გაიონი** — რა გქნათ, ამით დამთავრდა ყველაფერი?
- გივი** — დამთავრდა კი არა, ახლა იწყება ნამდვილი ბრძოლა!
- გაიონი** — როგორ?
- გივი** — დღეს ცეცაში ვიყავი, იქ ყველაფერა იციან, ეტყობა აბესალომს მეტს აღარ აფარფაშებენ თავის ნებაზე!
- გაიონი** — შენი ჭირიმე, გივი! სადღაც მინც ყოფილა სამართალი!
- გივი** — წადი, ახლავე, წადი თვედარესთან... თუმცა არა, შენ ახლა აქა ხარ საქარო, ჭობია, შენ წახვიდე, მარიკელა!
- მარიკელა** — კარგი, შე წავალ. (მიდის. მას გაიონიც გაყვება, შემოდინ ტკიპა და უტრუხუნე, ხალხი და კომკავშირლები ნელნელა გროვდებიან).
- გივი** — აგერ აბესალომის აენაჩაქანებიც მოედინენ!
- ლევანი** — სად იყავით?
- ნოდარი** — კარგი სვირი დაეკლდათ! თქვენი აბესალომი ერთი კარგად მიბეჭეს!
- ტკიპა** — ვახ, ვახ, ვახ!
- ლევანი** — ერთი ისეთი აქამა გაიონმა, რომ აბესალომი ბზრიალასავით დატრიალდა!
- უტრუხუნე** — უოჩად, შლაბინაო! შნო ჭქონია, აი!
- (ხალხი თანდათან მოაწყდება ვალერეას, არას ხმაური, ჩოჩქოლი, შემახილები).

ხმები — ხალხო, რას ვდგევართ, რას ვუყურებთ... გახსენით კარი, უკვე პირველი დაიწყო...

(ამ დროს მიკროფონიდან გაისმის აბესალომის ხმა).

აბესალომი ხმა მიკროფონიდან — ამხანაგებო, სხვადასხვა მიზეზების გამო ღვინო-პირველი...

გახსნა არ შედეგბა. გთხოვთ დაიშალოთ!

გივი — არ დაუჭერთ, ხალხო, ტუფილია, ფეხი არ მოიცვალთ აქედან!

აბესალომის ხმა მიკროფონიდან — უკანასკნელად გაფრთხილებთ, ხალხო, წესრიგს ნუ დაარღვევთ... წადით აქედან, დაიშალოთ!

გივი — ახალგაზრდებო, სტუდენტებო, კომპაენიორებო, მოდით, მომყევით, არ შეშინდეთ! (ნანული გივის წინ გადაუდგება).

ნანული — ვინა ხარ, კაცო შენ! რა ამბავში ხარ, რა გინდა ჩვენთან?

გივი — შენ თვითონ ვინა ხარ, რას ვაღაგვევილ?

ნანული — მე აბესალომის კანონიერი მეუღლე ვარ!

გივი — აბესალომის კანონიერი არაფერი გააჩნია და მეუღლე საიდან ეუოლება!

ნანული — დედა, ეს რა თქვა, ეს რა გამოიბედა!

გივი — თავი დავეანებე, თქვენთვის არა ვეცალია, ქალბატონო!

ნანული — უკაცრავად! ჩემს აბესალომს არავის დავაზავებებ, მე!

გაიოზი — შერე, ვინ ჩივრავს აბესალომს? პირიქით, ის არის ჩვენი მტანჯველიც და ხულის ამომხდელიც!

ნანული — ერთი ამას უყურეთ! კაცს ღრანში წაქცეული საჩივით მოუქციეს და შიშაც ის არის დამნაშავე?

გივი — მომართეთ ეს ამარი დედაკაცი!

ნანული — დიდუმი! ეს რა გავიგონე! გამიშვით, ხელი გამიშვით, თორემ გავგიჟდები!

(ნანული გივის ქორივით დაეხლენება. მამაკაცებო აშეულებენ, მიგრამ ამ დროს შე-
მოადის აბესალომი).

აბესალომი — რა მოხდა, რა ამბავია?

გივი — არ ხედავ, აგვიკო შენმა დედაკაცმა!

აბესალომი — რა ვინდა, ქალო, თავს რატომ მტრი? წადი, ახლავე შინ წადი! (გივის) შენც აქედან გამეცალე, თორემ არ ეიცო, რას ჩავიდენ!

გივი — გულს ნუ ვაქალა. რაც შეგეძლო, შენ უკვე ჩაიღინე! (ამ დროს ხალხში შემოიჭრება მარიკელა).

მარიკელა — გვეშველა, გივი, აგერ ნებართვაც მოვიტანე!

გივი — ყოჩაღ, მარიკელა... აბა, რაღას უყურებთ, შეგობრებო, მომყევით, არ შეშინდეთ. მოძალადეს!

(გივის მოწოდებაზე შეჩერებული ხალხი წინ დაიძვრება. აბესალომის მომხრეები უკან იხევენ. გივი პირველი მიიჭრება და შეღწევის ზღუდეს. გაიხსნება კარები და უცებ დაბაზიდან გამოჩნდება დიდებული სანახობა: წარწარწარი სურათები, ქანდაკებები... ხოლო მთავარ კედელზე სურათებს შორის მოჩანს ზეითი შესრულებული მარიკელას დიდი სურათი. იგი თითქმის ცოცხალი იყურება კედლიდან. ამ დროს დაბაზში შემოიჭრება გაიოზი. აღფრთოვანებულ ხალხი ტანით ეგებება. გაიოზი მარიკელას მიაშურებს).

გაიოზი — მარიკელა... ჩემო ძვარფასო მარიკელა!

მარიკელა — ახლა ვერაფერ ევლარ დავჩივრავს, გაიოზი სულთ და გულთ კილოცაც გამარჯვებას! (ტყვიანს).

გაიოზი — ყველაფრისათვის გმადლობ, მარიკელა, ყველაფრისათვის. ამ სურათების შთაგონებისათვის. ამ გამოფენის გახსნისათვის და მრავალი სიყვარულისათვის, რაც შენ ჩემო ტანჯულ სულისათვის გემტებამ! (ხალხის აღფრთოვანება შეძახილებში გადადის).

ხალხი — ვაშაა... დიდოსტატს ვუემარჯოს!

(ხალხი ზელში აიტაცებს გაიოზს და სიმღერისა და ვაშის შეძახილით მიყავთ დიდა სიყვარულისა და პატივისცემით დადაფნული).

ფარდა.

მეგარ პან პო

ყ რ ა ნ ი

შუალამისას დაღლილი, ძველ ფოლიანტზე დახრილი,
ვფიქრობდი შეწუხებული, მისუსტებული, მდუმარე,
თითქოს კაკუნი მომესმა, უცებ ჩამთვლიმა, როდესაც
დაფეთებულმა თვალემა კარებს მივაპყარ უმაღვე,
„ეს სტუმარია, — ვჩურჩულებ, მოკრძალებული სტუმარი,
სტუმარი, მხოლოდ სტუმარი“.

ო, ცხადად მახსოვს ის ღამე, დეკემბრის ღამე მრისხანე,
ჭერს ნაკვერჩხლების ლანდები ლოკავს და ერთად გროვდება,
ვინატრე დღე და სინათლე, მაგრამ ამაოდ ვინატრე,
ვერ განმიქარვეს წიგნებმა ლენორას ბედზე გოდება,
ანგელოსებს რომ უქიათ, იმ კეკლუც ქალზე გოდება,
აწ ვილას მოავგონდება?


ამიცაცაბა სხელი ფარდის შრიალმა წყეულმა,
ავივსე შიშით, რომელსაც იუცხოებდა მისანიც,
და გულის დასაწყენარებლად ვიმეორებდი კარებთან:
„ვილაც სტუმარი მეწვია, აწუხებს რალაც მიზანი;
ეს სტუმარია კარებთან, აწუხებს რალაც მიზანი,
ის არი, მხოლოდ ის არი“.

გული იჭვს აღარ ამხელდა, ტანჯული სული გამხნევედა,
ბატონო თუ ქალბატონო, — ვთქვი მორიდებით, ალერსით,
ვთვლემდი ფურცლებზე დაკრული და თქვენი სუსტი კაკუნი
არ გამიგია, მთვლემარეს სუსტი კაკუნი არ ესმის,
ფართოდ გავალე კარები, ბოდიშითა და ალერსით.
მხოლოდ ღამეა კარებში!

წყვედიადში ხმა ვერ დაეძარი, შიშმა დამკრა და დამძალა,
რალა მედონა, რა ძლევდა უცხო ფიქრს გულში ჩაფრენილს,
დუმილი აღარ მოთავდა, ვწრიალებდი და ვმფოთავდი.
ჩურჩულით ვამბობ — „ლენორა“, ჩურჩულით, არ გამძაფრებით,
ექმე მესროლა — „ლენორა!“ ჩურჩულით, არ გამძაფრებით,
ეს იყო სხვა არაფერი.

რა მექნა, აღარ ვიცოდი, ცეცხლი მეკიდა, ვიწვოდი.
მომესმა მძაფრი კაკუნი, გული კვლავ შიშმა დარისხა,
იჭვი მიწვევს და მაქვზებს — რალაცა არის საარკმელზე.
ვთქვი — გავიხედავ, ეგების დაემშვიდღე, თავი დავიხსნა,

ეგებ ვიხილო. რა არის, დავშვიდდე, თავი დავიხსნა.

ისმოდა მხოლოდ ქარის ხმა, 

დაარბას ვალებ ჩურჩულით, მოქრის ყორანი ურჯულო,
ლეღის თუ ლორდის იერით, კარებზე ურჩად დაფრენით
გამოაცა და ჩამაქრო, საგონებელში ჩამავლო,
კარების თავზე ჩამოჭდა, ქვერეტს ღამეს შავად გაფენილს,
დაჯდა პალადის ბიუსტზე, ქვერეტს ღამეს შავად გაფენილს,
დაჯდა და სხვა არაფერი.

მედიდურობით მაცდუნა და გავიღიმე მაცდურად,
ასეთი მკაცრი იერით ფრინველი ვნახე პირველად,
შეგდახე — ოხერტილო, ღამეში მოხეტილუვე,
პლუტონურ ღამის სივრცეში, ესოდენ გასაკვირველი
რას ნიშნავს შენი სახელი, ესოდენ გასაკვირველი?

„Nevermore!“ — ჩხავის ფრინველი.

ვერას მეტყოდა, მჯეროდა და გამოაცა მსჯელობით,
სიმათლეს გავდა პასუხი, მაინც არ მჯერა ამ სახით —
კაცს, ცოცხალია რომელიც, მარადის ტანჯვა მოელის,
ვერც მხეცი და ვერც ფრინველი, კარებზე მჯდარი, ნაძრახი,
ვერც ღამაჯერებს ბიუსტზე ამაყად მჯდარი, ნაძრახი
და „Nevermore“-ს რომ დამძახის.

უძრავად იჯდა, მაღლიდან მხოლოდ ერთ სიტყვას მახლიდა,
სიტყვას — თან სულს რომ აყოლებს და მწარე შხამში ასველებს,
ხმაც არ დაუძრავს ურჯულოს, სანამ არ წაეჩიურჩულე:
„ვით მეგობრებმა დამტოვეს, ისიც დამტოვეს ასევე,
ვით იმედებმა დამტოვეს, დილით დამტოვეს ასევე.

„Nevermore“ — აღარ მასვენებს.

მომნუსხა სწრაფმა პასუხმა, ვიფიქრე, ვის ან რას უხმო,
ვთქვი — იგი სიტყვა ძლიერი მას შთააგონა ბატონმა,
რომელსაც ბედი გაუწყრა, სიმღერა ყელში გაუწყდა,
უბედურებამ მისდია, იმედმაც მალე დატოვა,
სიმღერა ყელში გაუწყდა, იმედმაც მალე დატოვა,

Nevermore-მ დაიმართოვა.

ყორანმა ისევ მაცდუნა, კვლავ გავიღიმე მაცდურად,
შეგბრუნდი ბიუსტისაკენ, ღიმილი გავიმეორე,
ვთვლემ საეარძელში ჩაფლული, დაიძრა ფიქრი ზღაპრული —
ამ უშნო ფრინველს საოცარს სანამდე უნდა ვეომო,
დაღრევილ ფრინველს საოცარს, სანამდე უნდა ვეომო,
რას ნიშნავს მისი Nevermore.

რა უნდა, რას მედაეება, შევშინდი, ენა დამება.
 ცეცხლიან თვალებს მანათებს და ლამის სისხლი გამიშრეს,
 გული ფიქრს კვლავაც არ იშლის, თავი ჩაეფალი ბალიშზე,
 ლამფის სინათლე ეცემა ხავერდის ზოლებს ბალიშზე,
 თმებს ველარ გაშლის ვერასდროს ლენორა აწ ამ ბალიშზე.

„Nevermore“ ამას მანიშნებს...

მოჩვენებები მესევა და სული კვამლით მევსება,
 საცეცხლურს დინჯად აქნევენ გრძნეული სერაფიმები,
 „ლენორა ჩემო!“ — შევძახე, განგება მართმევს შენს სახელს,
 დაიფიწყო! იმედად გულს ველარ დამეფინები,
 დაიფიწყო! — დამძახის, გულს ველარ დამეფინები,

„Nevermore“ — ჩხავის ფრინველი.

მისანო, გადავირევი. დემონი ხარ თუ ფრინველი?
 როგორ გაეუძლო ამ პასუხს, ავ სიტყვას გულში მოხვედრილს,
 მითხარი, ღმერთი იწამე ამ გაოხრებულ მიწაზე —
 საშინელ სახლში, გამოტყდი, როგორ, რა გზებით მოხვედი,
 გილედს თუ არი ბალზამი, ჩემთან რა გზებით მოხვედი?

„Nevermore“ — ჩხავის ოხერი.

მისანო, გადავირევი! დემონი ხარ თუ ფრინველი?
 ღმერთი იწამე, გიყურებ, თვალები ამოვითხარე,
 საიქიოში შემთხვევით ლენორას სულს თუ შეხვდები,
 იმ სხივმოსილი ქალის სულს, მითხარი, მალე მითხარი,
 ანგელოსები ლენორას, რომ ეძახიან — მითხარი,

„Nevermore!“ — ჩხავის მკითხავი.

დე, განშორება შეუწყე, მაგ სიტყვას ღმერთი გაუწყრეს!
 პლუტონურ ღამის სივრცეში წადი, ებრაძოლე ქარიშხლებს!
 შავი ფრთა არ დამიტოვო, უბედურების სიმბოლო!
 ჩემი გულიდან ნისკარტი ამოიღე და მანიშნე,
 რომ აწი მშვიდად ვიქნები, გულის სიმშვიდე მანიშნე.

„Nevermore!“ — მაინც არ იშლის.

უძრავად ზის და ოცნებობს. „გრძნეულო, ღამის მომცელო,
 რა მეშველება პასუხი კიდევ რომ გამიგორო“,
 ჭერზე ირბევა წყვეული, აჩრდილი მისი სხეულის,
 მან ჩემი სული მოწამლა და აღარ ძალმძის ვეომო,
 სული მხდება და ვილევი, ძალა არ შემწვევს ვეომო,

თან ვადამიტანს — Nevermore.

პიკას სიკა

ყვავის სიკვლიდი

ნაცრისფერ, გადამიშვლებულ ველებს თავს დასტრიალებდა ბებერი ყვავი. განთიადიდან ის სულ მიფრინავდა და მიფრინავდა, დასავლეთისკენ, დიდი მდინარისაკენ, დაიმედებულ, რომ მის ნაპირზე იპოვიდა მკვდარ ან ქარიშხალისაგან გარეტანებულ საჭონელს.

დიდი ხანია ის ამ მხარეს არ სწვევია, თუმცა პატარაობიდანვე კარგად იცნობდა მინდვრის ყოველ კუთხეს, ბუჩქნარს, ძველ სამრეკლოს. აქ ხომ პირველად იხილა თავისი სიცოცხლით სავსე, ფრთაფრთა მევგობარი, შემდეგ კი წლების მანძილზე ერთად იკეთებდნენ ბუდეს...

ბებერ ყვავს კარგად ახსოვდა ის უსასრულო, თბილი შემოდგომები, როცა ბებერი იყო ჭია, მარცვლეული და ნაყოფი. იმ შორეულ დროს ხშირი, მზარწყინავი ბუმბული იცავდა მას წვიმისა და სიცივისაგან, და ჩინჩახვიც მუდამ სავსე ჰქონდა.

მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაშინ ყვავი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ძლიერი, მაგარი ფრთები და მხურვალე სისხლი ჰქონდა. ხანგრძლივი გადაფრენის დროსაც, ქარიშხლიან ამინდშიც ის მდგრად მიარღვევდა ჰაერს და თვალეზიც კარგად უჭრიდა.

ახლა კი ყვავი ვერაფრით იამაყებდა. სულ უფრო და უფრო უმუნღღებოდა საკვების შოვნა, უფრო ხშირად უხდებოდა მთელი დღეები მშვიერი მკდარიყო თვალეზაბუქებული და თუ ზოგჯერ ძვალს იშოვიდა, ძალაც არ ჰქონდა გვეტება, რათა გემრიელ ტვინამდე მიეღწია.

რამდენიმე წლის წინათ ყვავს შეეძლო მაღლიდან ეგრძნო, თუ რომელ

ენოში ტრუსავენ ღორს, კარგად ამჩნევდა მიწაზე მსუქანი ჭიის მოძრაობას და ცელქ ბიჭუნებსაც ადვილად უხსლტებოდა ხელიდან.

ბებერი ახსოვს ყვავს თავის ცხოვრებაში უზრუნველი და ბედნიერი დღე, როცა ახალგაზრდა და ბებერი ყვავების გუნდს, რომელიც ზღვისპირეთის თბილი მხარეებისაკენ მიემართებოდა, იგი თავის ბელადად მიაჩნდა.

ყვავი ხან ყირა-ყირა დაბლა ეშვებოდა, ხან სწრაფად მაღლა აიჭრებოდა, ხოლო ახალგაზრდა ყვავებს გაოცებისაგან ნისკარტები დაელოთ და ისე შეკუყრებდნენ თავიანთ მდგარსა და ჭკვიან ბელადს.

გუნდში ბებერი არ მოიძებნებოდა ისეთი ყოჩაღი, რომელიც მასთან შეჯიბრებას გაბედავდა, როცა ის ფრენის დროს უცებ გადაკვეთდა ჰაერს ან ახალ ბნულში ცალ ფეხზე ხტუნვით მიჰყვებოდა მიწის მუშას ერთი შოლტის მოქნევის მანძილზე და არ უფრთხოდა მძღავრ, მტაცებელ ქორს.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბებერი ქება სმენია ბებერ ყვავს არა მარტო თავისი გუნდის წევრებისაგან, არამედ ადამიანებისაგანაც კი.

— უყურეთ, უყურეთ, ქორს ეშინია ყვავის!.. ხედავ, როგორ მოკურცებლა მაგ უხეირომ!..

ადამიანები მუშაობას სწყვეტდნენ, ჩერდებოდნენ და ხელის ქნევით გამოხატავდნენ თავიანთ გაოცებას. ისინი უყურებდნენ ყვავს, რომელიც ქორს სოფლიდან აძევებდა, როგორც საოცრებას, მიმალული ქათმები გულმოცე-

მული გამოდიოდნენ სახლის ყურედან, ხოლო ყვავი მზეზე ფრთების ბრჭყვიალით ბრუნდებოდა და თავმოდრეკილი ისმენდა, თუ როგორ აქებდა ადამიანი მას და მის პატივცემულ ნათესაებს.

— ყვავი დიდი ხნის ფრინველია. ჭკვიანი ფრინველი. თუ ყვავი ჩხავის, წვიმა იქნება, აი, ნახავთ, ერთი საათიც არ გავა, რომ ცა ღრუბლებით დაიფარება... — აჩერებულ სმენია მას, როცა ხალხს თავზე გადაუფრენდა.

ცარიელი სიტყვები როდი იყო, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ. ის შართლაც გრძნობდა ამინდის ცვალებადობას, წვიმას, სეტყვას, დროს, გვალვას და მაშინვე ჩხავილით აუწყებდა ამის შესახებ დედამიწის მცხოვრებთ. როცა ყვავს ფრთები უმძიმდებოდა, დედამიწისაკენ ეწეოდა, მან უკვე იცოდა, რომ ჩქარა ცას შავი ღრუბლები გადაეფარებოდა და წვიმა წამოვიდოდა. კარგი, უღრუბლო ამინდის დროს ყვავი ძალზე მალა დაფრინავდა და ხალხიც ამბობდა:

ახლა კი შეიძლება დავთესოთ ჭვავი, დიდხანს გასტანს კარგი ამინდი. ხომ ხედავთ, როგორ გადადის ყირაზე ყვავი.

ყოველივე ეს ახლა მხოლოდ წარმტაც მოგონებად იქცა. ყვავმა ხანდაზმულობას მიიღწია და უკვე დიდი ხანია აღარ სმენია ხალხისაგან კეთილი სიტყვა. ხმა ხრინწიანი გაუხდა. ფრთებს უკვე აღარ შეეძლო დიდსა და ძლიერ ქარს გამკლავებოდა. მას ახლა სულ ერთთავად სციოდა. სისუსტისა და ცუდი მხედველობის გამო, თითქმის ყოველ დღე შიმშილობდა და თუ ხანდახან დაიჩხავლებდა, მხოლოდ ამიტომ, რომ მოხეტეხულობის მწარე ხვედრზე დაეჩივლა.

ბოლოს და ბოლოს ყვავი იმ დღესაც მოესწრო, რომ ადამიანები გაიგონებდნენ თუ არა მის ჩხავილს, მაშინვე მიერეკებოდნენ სახლის სახურავებიდან და ხის კენწეროებიდან, თანაც მთელი ხმით ყვიროდნენ:

— ეს შენა ხარ, საზიზღარო, უწმინ-

დურო! შეხეთ, ერთი, ჩხავილი მოუხდა!

ისიც კარგი იყო, თუ მარტო ლანძღვა-გინებას აკმარებდნენ და ჯოხსა და ქვას არ დაუშენდნენ.

— დაე, ჩხავლოს, — შეიბრალა ის ერთხელ ვიღაც კაცმა. — სადღა უნდა წავიდეს ამ ყინვაში?..

— მეზობელ სოფელშიც ასე ჩხავდა ყვავი და მოხუცი კაცი გარდაიცვალა. ასეთი ჩხავილი კარგს არაფერს მოასწავებს.

ყვავს ძალიან სწყენდა, რომ ხალხი ასე ლაპარაკობდა.

აი, რა შეუსაბამობამდე მივიდნენ ისინი, რას არ ლაპარაკობენ: ვითომ ის წიწილებსაც იპარავს, კვერცხებსაც არ ტოვებს, სიკვდილსაც წინასწარმეტყველებს. ყვავს კი მთელი თავისი ნაწიგრილი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი ცოცხალი ფრინველისათვის არ მიუყენებია ზიანი. ბებერ ყვავს გულში მით უფრო სტყიოდა, რომ თავის გასაჭირს ვერავის უზიარებდა. უნდოდა გამოეძებნა რომელიმე შვილთაგანი ან შვილიშვილთაგანი, შეეჩივლა თავისი უბედურება, მაგრამ რისთვის უნდა ილაპარაკო ხალხის უსამართლობაზე. როცა ყვავებიც მას უკვე სულელსა და ჭკუადაკარგულ ბებერს უწოდებენ. ზოგჯერ, როცა ის ახალგაზრდა ყვავთა წრეში მოხვდებოდა, დარიგებას დაუწყებდა მათ ან რამეზე საყვედურს ეტყოდა, ისინი მთელი კილომეტრით წინ გაუსწრებდნენ, უღრსაც არ უგდებდნენ ბებერი ყვავის ნათქვამს.

ზოგჯერ, როცა ცარიელი კუჭის ამოსავსებად სრულიად ვერაფერს პოულობდა, ბებერი ყვავი მიფრინდებოდა ახალგაზრდასთან, რომელსაც სადღაც სოფელში ხორცის ნაჭერი ემოვა, და ბებრულად — საწყალობლად შესთხოვდა მისთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ ახალგაზრდები მას ახლოსაც არ იკარებდნენ.

არავინ არ იცოდა რამდენი წლისა იყო ბებერი ყვავი. როცა ის დათესილ ველებს გადაუფრენდა ფიქრობდა, რომ

ძალიან დიდი ხნის წინათ აქ შრიალე-
ბოდა ტყე, რომელიც თანდათან თხელდე-
ბოდა ადამიანის ნაჯახისაგან. შემდეგ
აქ აშენდა სახლები, გადაიჭიმა სასოფ-
ლო გზები. ყვავს კარგად ახსოვდა, რო-
გორ ააშენეს აქ ეკლესია. მერე აქ ქვე-
ყანას თავს დაესხნენ უცხო ადამიანე-
ბი, ის ამ დროს ტყეში იმალებოდა და
იქიდან ისმენდა შორეულ ქუხილს.

შემდეგ ეკლესია დაიწვა და მის ნაც-
ვლად ახალი ააშენეს. ყვავს კარგად ახ-
სოვდა შიმშილობის წლები. იმ წლებში
სოფლები დაცარიელდა, საქონელს სა-
ძოვარზე სული ხდებოდა. ერთმანეთის
მიყოლებით იხოცებოდნენ ადამიანები.
პატარა ადამიანებისაგან მის თვალწინ
გაიზარდნენ დიდი კაცები და ქალები,
შემდეგ ეს დიდები ბერდებოდნენ და
კვდებოდნენ. თავისი ასწლიანი სი-
ცოცხლის მანძილზე ყვავს ისეთი რა-
მეები უნახავს, რაზედაც ადამიანებს,
ამ ახალ ადამიანებს წარმოდგენაც კი
არა ჰქონდათ.

ამ შემოდგომაზე ბებერი ყვავი, რო-
მელსაც უკვე აღარ შეეძლო შეჯიბრე-
ბოდა ახალგაზრდებს და მოახლოვე-
ბულ სიცივლისაგან გრძნობდა, თავის
სიცივლეში პირველად, არ გაფრენი-
ლა სხვებთან ერთად. ის დარჩა, რათა
თავისი უკანასკნელი დღეები იმ მხარეს
გაეტარებინა, სადაც მის ახალგაზრდო-
ბას გაუფლია.

დაღლილი, ღამშეული, წვიმით გაე-
ღენთილი ფრთებით ის ძლივ-ძლივო-
ბით წევდა მაღლა დაუძღურებულ სხე-
ულს. მან გადაუარა დიდ ტყეს, მაგრამ
სიბნელიდან არც ერთი ფრინველის ხმა
არ სმენია. დასავლეთის მხარეს დაინა-
ხა ვეებერთელა, მოწითალო მზე, რო-
მელიც ღრუბელთა გროვის იქიდან
მოსჩანდა. ყვავი მიხვდა, ეს ღრუბ-
ლები თოვლის მომასწავლებელიაო, და
უცებ დაეფელა შიში მოსალოდნელი
სიცივეების წინაშე.

უეცრად მისი გული სიხარულმა ააჩ-
ქროლა, დაუძღურებულ ფეხებში ძა-
ლა გაუჩნდა: ძირს, ველზე იდგა მისთ-
ვის კარგად ნაცნობი სახლი. ამ სახლი-

დან გზა გამოდიოდა, რომლის ორივე
მხარეს მაღალი ალვის ხეები იყო ჩამ-
წკრივებული. მათ კენწეროებზე წიკ-
ბის მანძილზე იკეთებდა ის ბუდეებს,
რომლიდანაც ბევრი პარტყი ამოფრე-
ნილა, ხოლო სტუმართმოყვარე მას-
პინძლები არასდროს არ უნგრევდნენ
ბუდეს, არ ანადგურებდნენ დედალი
ყვავის მიერ დადებულ კვერცხებს.

ყვავმა სახლკარს გარს შემოუარა,
მერე რამდენჯერმე დაიჩხავლა და ჩა-
მოჯდა ალვის ხეზე, რომლის ყოველი
ტოტი მისთვის ნაცნობი იყო. ირგვლივ
მიმოიხედა და გვევი შეეპარა: იქნებ
შეცდა და ეს ის გარემო არ იყო, მაგ-
რამ კარგად დააკვირდა და იცნო კრამ-
ტით დახურული სახურავები. რა საოც-
რად გამოცვილია ყველაფერი, მზრუხ-
ველი ხელი დაჰკლებია. ქოხები გვერ-
დზე მოქცეულა, ღობე დარღვეულია
და ქარი არხვეს კრამიტებს შორის წა-
მოზრდილ შარშანდელ ზალახს. ალვის
ხეებზე არც ერთი ბუდე არ იყო, მხო-
ლოდ აქა-იქ ქანობდა სასწაულით გა-
დარჩენილი ნუერი. ხოლო სახსენებე-
ლიც არ იყო საშოშიებისა, რომლებიც
ხეებზე ოდესღაც ვიღაც კეთილ ადა-
მიანს გაეკეთებია.

როცა ძალიან ჯაჭვის ჩხრიალით გა-
მოძვრა თავისი სამყოფელიდან, ყვავს
უნდოდა მისალმებოდა, რადგან თავისი
ძველი მეგობარი რუდისი ეგონა. ის
რუდისი, რომლისათვისაც არა ერთხელ
წაურთმევია ხორცის ნაჭერი. მაგრამ
ძალმა დაინახა თუ არა დაუპატიებე-
ლი სტუმარი, ბორბოტი წკავწკავი გააბა.
არა, ეს რუდისი არ იყო. მესპინძლე-
ბიც აქ სხვები იყვნენ.

ყვავმა ვეღარცკი მოასწრო სული
მოეთქვა და ფრთები გაეთხო, რომ
კარებში უცხო კაცი გამოჩნდა პირში
გარკობილი ჩიბუხით. ყვავი რომ დაი-
ნახა, მაშინვე ჯოხი მოუქნია.

— ლოთო! — ტოტიდან აფრინდა და
დაიჩხავლა გაბრაზებულმა ყვავმა.

მან ფრენა განაგრძო, მაგრამ სულ
უფრო გრძნობდა, რომ სხეული უმძიმ-
დებოდა, ხოლო ფრთები ძლივს ინძ-

რეოდნენ. გზას, რომელიც ახალგაზრდობაში ნახევარ საათში გაუვლია, ახლა ნახევარი დღე მოუნდა.

ყვავს მძიმე და ბნელი ფიჭრები დაეუფლა, ისეთივე მძიმე და ბნელი, როგორც გვიანი შემოდგომის წვიმით გაქლენთილი მიწა.

მის სმენამდე მიაღწია შორეული სამრეკლოს ხმებმა. მათი ზუზუნნი მოდიოდა ნელა და მწუხარედ იმ მხრიდან, საითაც ყვავი მიფრინავდა. ზუზუნნი ხან ცხრებოდა, ხან კი უფრო თავისუფლად და გაშლილად იღვრებოდა, ყვავს უკანასკნელი ძაღლის დაძაბვა უხდებოდა. სიბნელეში ცის ტატნობთან მოსჩანდა დიდი სამრეკლო. მეტი ფრენის ღონე აღარ იყო და დასასვენებლად კოშკზე ჩამოჯდა.

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ სწორედ იმ სამრეკლოზე დაეშვა, სადაც ახალგაზრდობაში პირველად ნახა თავისი ლამაზი მეგობარი, რომელსაც პრიალა ნაცრისფერი ბუმბული ჰქონდა. ყვავს ის მაშინვე მოეწონა. თვითონაც მკვირცხლი იყო, სიცოცხლით სავსე და დიდხანს ალერსიან მზერას აყოლებდა დედალი ყვავის ქროლვას სამრეკლოს ირგვლივ. საბედნიეროდ დედალი ყვავი-მარტო იყო და გამომწვევი ხმით იწვევდა მას მწვანე ტყეებისაკენ. მაგრამ ყვავი მოსულელო იყო და ამაყი, ამიტომაც არც კი გამოეხმაურა. დედალმა ყვავმა რამდენჯერმე ჩაუფრინა ახლოს, შეეხო თავისი ფრთებით. თან ნელა ჩხაოდა, თიქქოს გაუბედაობისათვის საყვედურობდა. დედალი ყვავი მართლაც რომ ძალზე ლამაზი იყო. სამრეკლოსთან დაფრინავდა და აჯავრებდა მას. ელოდა, რომ ყვავიც შეეხებოდა თავისი ფრთით, მაგრამ ის სულ უფრო და უფრო იფხორებოდა.

თამაშით, თითქოს აღარც კი ესმოდა რას ბურტყუნებდა ის, სამრეკლოზე მკდომი, ჩხავილით აიჭრა დედალი ყვავი მაღლა და უცებ პორციონტზე გამოჩნდა შავი ფრინველების გუნდი, აქ კი ყვავმა მზრუნველად გაისწორა ფრთები. ყვირილითა და ყირაზე გა-

დასვლით ისე გაინავარდა გაზაფხულის მოწმენდილ ცაზე, რომ თითქმის ღრუბლებში იგრძნო საკუთარი თავის მერე ქვასავით მძიმედ იწყო ძირს დაშვება და მისი ფრთა ძლიერად შეეხო დედალი ყვავის ფრთას.

ერთი წუთით თითქოს თავდაიწყებაში გადავიდნენ და ქარიშხალით დარტყიანებულებივით სწრაფად დაეშენენ მიწაზე. აქ კი ისინი ჰვავის მაღალმა ჩვეილმა გათიშა.

ეს უმშვენიერესი დღე იყო მის ცხოვრებაში. დიდხანს უზრუნველად მისდევდნენ ისინი ერთმანეთს. დაღლილებმა ერთად ისაუბმეს, მერე ისევ დაფრინავდნენ მდელოების, სანაპიროების, ტყეებისა და სამრეკლოების თავზე. ის ღამე პირველად გაათიეს ერთმანეთის გვერდით, მაღალ ზეზე ჩამოქდარებმა და, როცა წვიმა წამოვიდა, ყვავმა დედალ ყვავს თავისი ფრთა გადააფარა.

მეორე დილას, მეგობრისათვის რომ არაფერი უთქვამს, ისე მოიტანა პირველი ფიჩხი ბუდისათვის, დედალი ყვავი მიუხვდა მიზანს და მეორე ფიჩხი თვითონ მოიტანა.

დღეები დღეებს მისდევდნენ და, როცა ყვავმა, გამოცდილი მშენებლის მსგავსად, თავისი სახლი დაამთავრა. მისმა ცოლმა გასული წლის ბუმბული გამოიძრო და ბუდეში ჩაფინა.

ასე დაიწყო მათი ბედნიერი იჯახური ცხოვრება, როცა ზეები ამწვანდნენ, ბუდეში პირველი ოთხი კვერცი გაჩნდა, რომლებიდანაც ჩქარა გამოიჩვენენ ყვითელნიკარტიანი ბახალები. ყოველ წელს ჩნდებოდა ყვავების ახალ-ახალი თაობები, სანამ კარმიდამოს აქამდე შიშველი ალვის ხეები ბუდეებში არ დაჰფარა.

ბევრმა წელმა განვლო ყვავის ქორწინების შემდეგ. ერთხელ, შემოდგომაზე, როცა ზღვის თბილი ნაპირისაკენ მიფრინავდნენ, გუნდი ჰვავის ჩვეილზე დაეშვა დასასვენებლად. არავის შეუმჩნევია, როგორ გამოვიდა ბუჩქებიდან ვიღაც კაცი, მხრიდან თოფი ჩამო-

„ლო და ფრინველებს დაუშინა. დაბნეული ყვავები შეეწყვილებად აიჭრენ მალა. საფრთხემ რომ გაიარა, ყვავემა შიშით დაუძახა თავის თანამეცხედრეს, მაგრამ არავინ გამოეპასუხა.

შეშფოთებული ყვავი გუნდს გამოეყო და უკან დაბრუნდა. ჭერ კიდევ შორიდან დაინახა ხნულში მდგარი კაცი, რომელსაც ხელში ჭოკი ეკავა და ზედ მკვადრ ჩიტს ამავგრებდა.

მერე კაცი წავიდა. ყვავემა მწუხარე ჩხავილით რამდენჯერმე გადაუფრიახკელს, მერე უფრო დაბლა დაეშვა და ამკარად გააჩნია თავისი მეგობარი: თავჩამოკიდული, თვალბედახუჭული ეკიდა და ქარზე ქანაობდა.

ამ დღის შემდეგ მოწყენილობა და მარტოხელობა გახდა ყვავის ხედერი.

ამ მწუხარე მოგონებიდან ბებერი ყვავი დღის ზარების ხმამ გამოაფხიზნა. ზუზუნის საღაცე, მის ფეხებზევე ისმოდა და ყოველი მხრიდან აწყდებოდა: ყვავს ეჩვენებოდა, რომ ზარების ხმა მას მოახლოებულ სიკვდილს უწინასწარმეტყველებს. და თითქოს თავი უნდოდა დაეღწია სიცივისა, შიმშილისა და ზარების შემზარავი ზუზუნისაგან. იგი მალა აფრინდა, თუმცა ძლივს ანძრევდა გაშეშებულ ფრთებს.

თითქმის მთელი საათი დაფრინავდა მალა, შემდეგ კი ძირს დაინახა მშვიდად გადაჰიმული წყლები, რომლებიც შიშველი ბორცვებით იყო გარშემორტყმული. მაგრამ, როცა მდინარის ნაპირს გადაუარა, არ შეუმჩნევია არც თევზი, რომელსაც ჩვეულებრივად მდინარე გამოირიყავდა ზოლმე, არც სხვა რამ საზრდო. ირგვლივ მხოლოდ სილა იყო და თეთრად ელვარებდა ნიქარები.

ყვავი ძირს დაეშვა, უხერხული ხტუნვით გაუყვა ნაპირს. რამდენჯერმე გაურბინა ნათელმა იმედმა: სილაზე ჩიტებისა და მხეცების კვალს ამჩნევდა.

ეს მოგზაურობა რამდენიმე საათს გაგრძელდა, სანამ ბორცვებიდან მის შესახვედრად ძალი არ გამოძვრა. მართალი რომ ითქვას, ეს მხოლოდ ჩონჩხი

იყო ოდესღაც მოზრდილი ძაღლისა — ისე იყო გამხდარი. შიმშილითა და ჯიხის სიშორით დაუძლურებული, ის მიდიოდა ქარის საწინააღმდეგე მიმართულებით. ქარი მას ნაფლეთებლად ცეცხლ ბეწვს უწეწავდა. ყვავს მოეჩვენა, რომ ეს ძალი მას ოდესღაც უნახავს.

რა თქმა უნდა, ეს ზომ რუდისი იყო, მისთვის კარგად ცნობილი კარმიდამოდანი!

აღბათ დაბერდა და სახლიდან გაავდეს.

რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ძაღლი შეჩერდა და თათით სილის თხრა დაიწყო. ყვავი გათამამდა, ხტუნვა-ხტუნვით ახლოს მივიდა, რათა შეეხედა, რას თხრის მის ბედში მყოფი მეგობარი. ძაღლი მიწას წინა თათებით თხრიდა. როცა ღრმა ორმო ამოთხარა, იქიდან ორი მოზრდილი ძვალი ამოთხრია, ზედ მიმხმარი ხორციით.

ახლა ყვავი მეტს არაფერს ხედავდა, სხვა არაფერზე ფიქრობდა. მას უკვე არ აწუხებდა მოახლოებული სიკვდილის შიში, არც საფრთხე აწინებდა — ყველაფერი ჩაახშო ხორცის მომხიბლავემა-სუნმა, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ განეცადა. ყვავი ერთი ნახტომით მიუახლოვდა თხრილს, რომელიც ძაღლმა ამოთხარა და ნელა დაიწყო მის ზურგს უკან უკვე ამოთხრილი ძვლის კორტხა.

რუდისი შემობრუნდა და ბოროტად დაუღრინა. ყვავემა საცოდაოდ დაიჩხავლა, მაგრამ ძაღლს ცუდი მხედველობა ჰქონდა და არ უცვნია თავისი ყოფილი მეგობარი. ძაღლს ისეთი გაუბედურებული შესახედაობა ჰქონდა. ისეთი გამხდარი იყო, რომ აუტანელი იყო მისი შეხედვაც კი.

ძაღლმა ძვალი დადო და ხანგრძლივი ყურადღებით დააჩერდა ყვავს თავისი ამღვრეული, აცრემლებული თვალებით. გაცვეთილი და გათოშილი ყვავის ცნობაც ძველი იყო. ქარი რომელიც არხევდა მის თხელ ბუმბულს, აჩენდა ლურჯ, ხორკლიან სხეულს.

ფრინველი ფართოდ აღებდა ნისკარტს და სულს ძლივს ითქვამდა.

როგორც ჩანდა, რუდისის გაბოროტებამ გაიარა და ის თითქოს სუფრაზე იწვევდა ამხანაგს, უფრო შორს გაათრია თავისი ძვალი, ხოლო მეორე ფრინველს დაუტოვა. ყვავმა მადლობის ნიშნად დაიჩხავლა და ძვალს მიუახლოვდა. ეს საკმაოდ მოზრდილი გოჭის ხერხემალი იყო და შუაგულში მიმაღული ჰქონდა გემრიელი ტენი.

ყვავმა ორივე თათი მარწუხივით წაუჭირა ძვალს და კორტნა დაუწყო. შემდეგ თვითონვე აოცებდა, საიდან აღმოაჩნდა ამდენი ძალა.

ძვალთან ბრძოლის რამდენიმე საათის შემდეგ, განაწამებმა და მოთხერილმა ყვავმა იგრძნო, რომ ჩინჩახვი უკვე საუსტე ჰქონდა. ეს ნამდვილი ქიფი იყო, რომლის მსგავსი დიდი ხანია არა ჰქონია.

როცა ორივე გაძღა, რუდისმა საკმლის ნარჩენები თხრილში ჩაყარა და ზედ სილა გადაათარა.

შემდეგ წელი ნაბიჯით, თავჩაღუნული გაემართა ბორცვებისაკენ, უკან ყვავი მისდევდა. ძალღი ბორცვთან თხრილში გაწვა ხოლო ყვავი მისი სამყოფლის ახლოს, ნაძვის ხის კენწეროზე მოეწყო.

მაწანწალა ძალღთან შეხვედრამ მკრთალი სინათლე შეიტანა ყვავის ცხოვრების უკანასკნელ დღეებში. ახლა ის უფრო იშვიათად ფიქრობდა სიკვდილზე, უფრო ხშირად ეწვეოდა ხოლმე იმედი, რომ გაზაფხულს შეესწრებოდა, როცა მიწიდან მუშლი და ქიები ამოძვრებოდნენ, მიწდვრებს გემრიელი მარცვლით დათესავდნენ, ხოლო ტყეებს აავსებდა ყვავების მზიარული ჩხავილი.

ყვავი და რუდისი დამეგობრდნენ. ძალღი მეტს აღარ წყრებოდა. ბოროტად აღარ უღრენდა ფრინველს. ყოველ დილას სილაში ჩაფლულ ძვალს იღებდა და ისინი იყოფდნენ საკმელს. როცა რუდისი თვლემდა, ხის კენწეროზე მჯდარი ყვავი გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს: ხომ არ გამოჩნდა ნა-

პირზე ადამიანი ან მაწანწალა ძალღების ხროვა, რომელთაც შეუძლიათ ნადავლის სული იგრძნონ. უბრალო საფრთხის დროსაც ყვავი ხრინწიანი ჩხავილით საჩქაროდ აღვიძებდა რუდისს და ორივენი მთელ თავიანთ შესაძლებლობას ახმარდნენ დანახოვის შენარჩუნებას.

ერთხელ, როცა შემფოთებული ათვალეობებდა ცას, ყვავმა დაინახა, რომ ჩრდილოეთიდან შავი ღრუბელი მოემართებოდა, რომელსაც უკვე მზე დაეფარა. დიდ, თეთრ ფანტელებად ცვიოდა თოვლი. რუდისი უფრო ღრმად შეძვრა თავის თხრილში, ხოლო ბებერი ყვავი ნაძვის ხშირ ტოტებს ამოეფარა.

დასაწყისში მშვიდი, უქარო ამინდი იყო, მაგრამ საღამოსათვის ქარიშხალი ამოვარდა. ყვავს ბუმბულქვეშაც ატანდა სიცივე.

მეორე დილას მდინარეს პირველმა ძვიფმა გადაუარა. თუმცა, სანამ სილაში საკმლის მარაგი იყო დამალული, მეგობრებს საფუძველი არ ჰქონდათ შემფოთებისათვის. რუდისი ჯერ თოვლს თხრიდა, მერე სილას და ისე საუზმობდნენ. ჭამის შემდეგ, როგორც ყოველთვის, ძვლებს მიწაში ფლავდნენ.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. თოვლი უკვე არ მოდიოდა. შემდეგ უცებ ისევ წამოვიდა წვიმები, თოვლი გადნა და მდინარე აღიღდა. ყვავს გაეხარდა, რომ ზამთრის სიცივეები და წამება ჩქარა დამთავრდებოდა.

მთელი დღედაღამე მატულობდა წყალი მდინარეში. როცა მეორე დილას რუდისი და ყვავი საუზმის ამოსათხრელად გავიდნენ, იდგა უცნაურად ნათელი, ცივი დილა, ხოლო ის ადგილი, სადაც გემრიელი ძვლები იყო დამალული, ყინულს დაეფარა.

რუდისმა და ყვავმა სასომიხილებმა ერთმანეთს გადახედეს. მათი საუზმე დამარხული იყო სქელ, მაგარ ყინულში. ძალღმა თავი ჩაღუნა და დარდისაგან აყმუვლდა.

რა უნდა ექნათ, საკმლის ამოსაღე-

ბად საქირო იყო გაეტეხათ ყინული, ამოეფხაჰნათ ბრჭყალებით. რუდისი მაშინვე საქმეს შეუდგა, მან თავისი მჭრელი ბრჭყალებით ფხაჰნა დაიწყო, ხოლო ყვავი ნისკარტით ხან ერთ, ხან მეორე მზრიდან შევლოდა. სამუშაო ადგილი არ იყო და რამდენიმე საათის დაძაბული შრომის შემდეგაც არ გატეხილა ყინულის სქელი ფენა. რუდისი ისე შრომობდა, რომ მისი გაცვეთილი ბეწვის ნაფლეთები ქარს მიჰქონდა და ბრჭყალებიდან სისხლი სდიოდა.

გვიან ღამე კი ორივე მეგობარს ყინულში ღრმად ჩაფლული ძვლების გვერდით დაეძინათ.

დილას ყინულოვანი ნისლი ჩამოწვა და ისე აცივდა, რომ არა თუ მოძრაობა, სუნთქვაც კი გაძნელდა.

კიდევ რამდენიმე დღემ განვლო. ყვავსა და რუდისს უკანასკნელი ძალღონე გამოეცალათ. ისხდნენ ყინულზე და უყურებდნენ, როგორ ჩადიოდა და ამოდიოდა ვეებერთელა, ცეცხლისფერი მზე. გრძნობდნენ, როგორ ეყინებოდათ ძარღვებში სისხლის უკანასკნელი წვეთები, როგორ სტოვებდა მათ სხეულს სითბო.

ყინვა სულ უფრო ძლიერი ხდებოდა და რუდისს ისლა შეეძლო ორჯერ ჩამოეფხაჰნა ყინული.

ყვავი რამდენჯერმე ეცადა ამდგარიყო და გაფრენილიყო საქმლის საშოვნელად სადმე სოფელში, მაგრამ დაღლილობა მიწას აკრავდა.

ერთ დილას ყვავმა შენიშნა, რომ რუდისი თითქმის ერთი საათი არ განძრეულა მთელი სხეულით გაქიმული ძალი გვერდზე იწვა, თავი წინა ფეხებში დაედო. მისი თვალები გულმოსულად მისჩერებოდნენ ამხანაგს. ყვავმა რამდენჯერმე დაიჩხავლა, მაგრამ რუდისს ყურიც არ გაუბარტყუნებია, ქარი მის ბეწვს არხევდა. ხახა გაშეშებოდა და რამდენიმე დაკრეპილი კბილი მოუჩანდა.

ყვავმა კიდევ რამდენჯერმე დაიჩხავლა მწუხარედ. მერე მიხვდა: წყალი რომ კიდევ აღიდდეს, არყის ხეები

ამწვანდეს, ციდან გემრიელმა ძვლებმა ცვენა იწყოს, რუდისი მაინც არ აღგებო...

შავი, ბებერი ყვავი მძიმედ აფრინდა, თითქოს სიკვდილს გაურბოდა, ხოლო მზრწყინავ ყინულზე მისმა მწუხარე ლანდმა გაიკრინა. ის მიფრინავდა, სანამ შიმშილმა ისევ დედამიწას არ დაუბრუნა.

არასოდეს ის ასე დაღლილი და მშვირი არ ყოფილა, არასოდეს ასე არ სტკიოდა გული. უცებ ერთმა აზრმა გაუელვა: თუკი რუდისი მეტს აღარ ადგება, არ ირბენს, არ შეხედავს მზეს, არც გაზაფხულს იხილავს, რაში სჭირდება თვალები? ის რუდისს თვალებს ამოსთხრის და შიმშილისაგან იხსნის თავს.

ყვავი გაუბედავად მიუახლოვდა ძველ მეგობარს და მაშინვე შეშინებული უკანვე გადახტა. რუდისის თვალები ბოროტად მისჩერებოდა მას. არა, ამას ის ვერ ჩაიდენს! დაე, ხალხმა მასზე რაც უნდა ის ილაპარაკოს, დაე, თქვან, რომ სულელია, წიწილებს იპარავს და სასარგებლო მწერებს ანადგურებს. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მას ჯერ არავისთვის არ ამოუთხრია თვალი, ის მხოლოდ იმას იღებდა, რაც კეთილ ხალხს გადაუყრია, მწერებითა და ქივებით იკვებებოდა. ნუთუ ახლა ის თვალებს ამოსთხრიდა თავის კეთილ მეგობარს, რომელიც გაჭირვების დროს უკანასკნელ ლუკმას უყოფდა.

ცა მოიწმინდა. ყინვა მატულობდა, მაგრამ ახლა ყვავი თითქმის სიხარულით უყურებდა ამომავალ მზეს. ისევ თბილ ტალღად მოაწვენენ მოგონებანი. თვალიან გაურბინეს განვლილმა წლებმა.

თითქოს სიზმარში ხედავდა ბუდეებს და ეჩვენებოდა, ვითომ ცაში მადლამალა დაფრინავდა. ძირს იშლებოდნენ ჭრელი მდელოები, ზაფხულის

შუადღის სიჩუმეში გარინდებულოყო სახლები.

რა მსუბუქად და მხიარულად დაფრინავდა ცაში, რა მარად გადადიოდა ყირაზე.

სულ მალა, მალა მიიწვედა, უკვე ძირს დაშვება უნდოდა, დედამიწამდე, რომ უცებ მკერდში მწვავე სიცივე შეიგრძნო, მოეჩვენა, რომ თოვლივით თეთრი გახდა, გული კი ყინულის ნაჭკვივით გაეთოშა.

ყინულზე გაწოლილმა თათის განძ-

რევა სცადა, მაგრამ ერთი გაიბრძოლა აცახცახებულმა და ფრთები უძლურად გაეშალა.

ორი მეგობრის გაყინულ სხეულს ქარმა თოვლის მაღალი ნაშქერი მიაყარა და დიდი სამშო საფლავი გააკეთა. ეს საფლავი გაზაფხულამდე ასე დარჩა, მერე თბილი წვიმები დაიწყო, მდინარე ნაპირზე გადმოვიდა, თოვლის გორაკი გააღლო, ორივე მეგობრის სხეული გაიტაცა და თავის დინებას გააყოლა.

თ უ რ მ ა ნ ი *

მოწინააღმდეგეებს თხელი მდინარე ყოფდა ერთმანეთისაგან. მდინარის აატარა კუნძულებივით ამოდიოდა წყლით გაბერილი, მზის სხივებზე მოლაპლაპე მოკლული ცხენების მძორები.

დათესილ ყანებზე ეცემოდა ყუმბარები, რომლებიც ნიადაგიდან ამოტყორცნილი მიწის სვეტებით ფარავდნენ მზეს.

მარცხენა ნაპირზე ფაშისტები ჩაფლულიყვნენ სანგრებში, მარჯვნივ კი — წითელარმიელები, რომლებმაც მხოლოდ გუშინ დაიხიეს უკან, მდინარის გადამა და მორევზე დადგეს თავიანთი ბატარეა.

გაცარიელებული სოფლის მიწებზე პაპანაქება სიცხე იდგა. არ ჩანდა არც ადამიანი, არც პირუტყვი. აფეთქებისაგან აფორიაქებული პაერი ტალღებად ეხეთქებოდა აყვავებულ ჭევივის ყანებს, შემდეგ იქიდან ამოდიოდა მომწვანო, პურის სუნით გაჟღენთილი ღრუბლები.

აი ისევ გასკდა ყუმბარა, მახლობელი კარმიდამოს გომურის სახურავიდან ჩამოვარდა რაღაც მრგვალი ფუთა და პირდაპირ მდინარეში მოადინა ტყაპანი.

ტანისამოსის გროვიდან გამოჩნდა ბავშვის სუსტი ხელი და გამოიხედეს

შეშინებულმა, ცისფერმა თვალებმა. ეს იყო ცხრა წლის ბიჭი — ქერა, გამხდარი, ფერმკრთალსახიანი, ყურებზე თმა ჩამოსცივნილი, მკერდზე მტრედი ჰყავდა მიკრული.

ბავშვი ღობეზე გადაძვრა და კოკლობით გაიქცა ხევში. იგი თავის ბებიასთან ერთად ცხოვრობდა სულ განაპირა ქოხში, მდინარის პირდაპირ, ფერდობთან. ქოხი ძველი იყო, ერთთავად კვამლით გაჟღენთილი, ოდესღაც აბანოსაგან გადაკეთებული. სახურავი შუაზე იყო გაყოფილი და მიწამდე ჩამოფხატული. ამის გამო სოფლად ოსუნჯობდნენ: „შეხედეთ ბებია სტიპასს ქოხს, ნახევრად უკან გაწეულა, თითქოს საცეკვაოდ ემზადებათ“.

მეტსახელად „ბებია სტიპასოვა“ შემოენახა დედაბერს. დიდი ხნის წინათ ოჯახში, ახლა უკვე სრულიად ამომწყვდარში, ბევრ ბავშვს ნათლობის სახელს აძლევდნენ სტიპასს. ამ მოდგმას არასოდეს არ გააჩნდა საკუთარი მიწა, თაობიდან თაობამდე არ იღვოდნენ ხელოსნები, დურგლები, მკედლები და მეკასრეები.

ამ მიდამოებში გამძვინვარებულმა ტიფმა უკვე იმსხვერპლა ოჯახის ბურჯი, და ოდესღაც მრავალრიცხოვანი გვარეულობიდან დარჩნენ მხოლოდ ბებია სტიპასოვა და მისი შვილიშვილი, დაბადებიდან უმწეო, რომელიც ძალიან

*მტკედ-ტრიალა.

ადრე ჩააფიქრა ცხოვრების უკუღმართობამ.

იყო ხოლმე ისეთი შემთხვევები, როცა ბავშვი თავდახრილი დაჰყურებდა რომელიმე პაწაწინა ხოქოს და თავს იმტრევედა იმაზე, თუ რას ეძებს ასე გამალეხებით ეს ხოქო ბალახში? ის უკვირდებოდა იმასაც კი, თუ ბაყაყი რად დატის და არ დარბის, როგორც სხვა ბუნების ცოცხალი არსებანი, და რატომაა, რომ, როცა წყალში შედიხარ, საკუთარი ფეხები მუდამ მრულე გეჩვენება.

ბებია და შვილიშვილი მცირედით კმაყოფილდებოდნენ. დედაბერი, სანამ ძალა ეყოფოდა, ძაფს ართავდა, ქსოვდა, ზაფხულში კი კალათებით დაჰქონდა ქალაქში მწვანელი და სოკოები.

როცა ლიტვაში წითელი არმია შევიდა და ბატონები სულ ჩამოცივდნენ თავიანთი ადგილებიდან, მწვენიერმა მზემ დააცხუნა და ბებია სტიპასოვას შვილიშვილი სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ სკოლაში შეიყვანა და საქმეც გამოუჩინა: სწავლის მთელ პირველ ზამთარს. ბავშვი წიგნებს უჭდა, ზაფხულში კი თავმჯდომარეს ესმარებოდა სოფელში ქაღალდებისა და უწყებების მიტანა-ჩაბარებაში. ამისათვის ბებია სოფლის საბჭოდან ღებულობდა ულუფას.

ბავშვი აღფრთოვანებული იყო თავისი სამუშაოთი. სახლიდან სახლში სიარული ქაღალდებითა და ჯოხით ხელში, მკედელ მიკოლასავით, გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ნახირის მწყემსვა.

მაგრამ ბავშვის ნამდვილი გატაცება იყო მტრედები. მას ჰყავდა მტრედების თორმეტი წყვილი: აქ იყვნენ სხვადასხვა ჯიშის, ეგვიპტური თეთრი და მტრედისფერი. და ისეთებიც, რომლებსაც თვითონ ვერ გამოუნახავდა სახელს. ყველაზე უფრო ის თურმანებით (მტრედი-ტრილა) ამყობდა, რომლებსაც პაერში ყირაზე გადასვლა შეეძლოთ და ადვილად გაუსხლტებოდნენ ხოლმე ხელიდან ქორს... ბიჭი მათ

ყიდულობდა, ანდა კიდევ უცვლიდა სოფლის სხვა მწყემსებს.

როცა ის ამხანაგებთან მიდიოდა გადაცვლის საკითხებზე, მუდამ ეჩხებდა ჯიბეებს მოჩველებული ზამბარებით, მავთულით, ან ფოლაქებით.

თუმცა სოფლად გამოჩნდნენ ისეთი ბიჭები, რომლებიც დახარბდნენ უდიდესი მემტრედის სახელს და გადაწყვიტეს გადაებირებიათ მტრედები სპირტით გაჟღენთილი ცერკვით. როცა მტრედები ითრობოდნენ, ბიჭები მათ კეტავდნენ ვალიაში და შემდეგ ხელზე იჩვევდნენ. მაგრამ თურმანი (ასე ეძახდნენ ბიჭს ამხანაგები) ვალში არ დაურჩა მათ: როგორც კი იშოვა სპირტი, მანაც ისეთივე წესით დაიწყო სხვისი მტრედების ვადმობირება. ხანგრძლივი ბრძოლა მტრედებისათვის მიენც იმით დამთავრდა, რომ სოფლის მემტრედებმა თურმანთან დადეს ზავი და ორივე მხარემ დაამტკრია სპირტით სავსე შუშის ბუთოტულები.

ბიჭს თურმანი დააჩქევს ერთი შემთხვევის შემდეგ. ერთხელ ბიჭუნა იღვა და თვალს ადევნებდა, თუ როგორ ყირამალა გადადიოდნენ ცაში მტრედები. იგი ისე გაიტაცა ამ ამბავმა, რომ თავისდა უნებურად ხელი ხელს შემოჰჭრა, კლდეზე ფეხი დაუსხლტა, ჩამოვარდა და ფეხი იღრძო. სოფელში კი უყვარდათ მისი გაჯავრება:

— აბა ჰე, ტიფლიუკ, გვიჩვენე როგორ გაერბიან ქორს შენი „მტურმანები“?

— მტურმანები კი არა, თურმანები, — გაუსწორა მათ მემტრედემ, თან უჩვენებდა, თუ როგორ ყირამალაობდნენ პაერში ცქვიტი ფრინველები.

არა ერთხელ გულის ფანცქალით, სუნთქვა შეკრული, დასისხლიანებული, ნაკენეტი თითებით ადევნებდა თვალს მისკენ მძლავრი სიჩქარით წამოსულს ან ღრუბლებს ამოფარებულ სიკვდილის ჩრდილს. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მიწაზე ცვიოდა. ხანდახან მხოლოდ თეთრი, სისხლში დასვრილი ფრთები. ბავშვი დაღონე-

ბული დასცქეროდა მათ, აგროვებდა ყველაზე ლამაზ ფრთებს და უბეში ილაგებდა. ასეთ უბედურ დღეებში ყველაფერი ავიწყდებოდა ამქვეყნიური და საათობით იჭდა ფაცხის ჩრდილში. ბებია სტიაპასოვა კი, რომელსაც ხანგრძლივ ლოცვაში უკვე მოხსენებული ჰყავდა თავისი ნათესავეები, ბურთივით მომრგვალებული იჭდა ლოგინზე, ჩახველებით იტყოდა ხოლმე.

— წასულიყავი დასაძინებლად. რას უყურებ მაგ სიბნელეში?

— მე კი სულ ვფიქრობ, — ამბობდა ბიჭი, — მე უკვე ბევრი მოვიფიქრე... ქორის წინაღმდეგაც ვიფიქრე... ბებია, ჰა ბებია, რატომ არის რომ ქორი მტრედებს იჭერს?

— ...მამაო ჩვენო და უკუნითი უკუნისამდე — ამინ! — თთავებდა კიდევ ერთ ლოცვას დედაბერი, როცა მოაგონდებოდა რომელიმე მახსოვრობიდან გამორჩენილი ნათესავეი.

იგი იძირებოდა თავის ჯერ კიდევ მშობლების ოჯახიდან მზითვად წამოდებულ ბალიშებში და ქოხში დუმილი ისადგურებდა, რომელსაც თვით ქრიქინაც კი ვერ არღვევდა.

— შენ არც კი კითხულობ, ბებია, თუ რაზე ვფიქრობ მე. რად არ მეკითხები? — ამბობდა ბიჭი, მაგრამ პასუხის დაუცდევლად, გაუხდევლად ჩაეძინებოდა ხოლმე.

ერთ ზაფხულის დილას სოფელს გრგვინვა და მეხი ეწვია მოწმენდილი ციდან, მაგრამ ისეთი საშინელო, რომ საქონელიც შეშფოთებული გაიქცა საძოვარი მინდვრებიდან. ხალხმა დატოვა სამუშაო, გარბოდნენ ჭგუფ-ჭგუფად და დასაგლეთისკენ იყურებოდნენ.

სოფლად ამბობდნენ, რომ ეს ომიოა, რომ ლიტვაში ფაშისტები მოვიდნენო. ყველა გაიქცა დაბიდან, სოფელი ცარიელდებოდა, მაგრამ ბებია სტიაპასოვამ, რომელმაც სასიკვდილო საათისათვის უკვე გაამზადებინა ტანისამოსი, გადაწყვიტა დარჩენილიყო თავის 9. „მნათობი“, № 8.

მტრედებთან, თუმცა მას ამინებდა აურ-ზსური, რომელიც მეზობელთა ოჯახებში ტრიალებდა: საცოდავად უყაროდა და ბლაოდა ტყეში ვახარეკად გამზადებული ნახირი, ხალხი საზიდრებზე აწყობდა ნივთებს, მიწაში მარხავდნენ მარცვალს და ქურქლეულობას, ავეჯს და სამკაულს.

ისინი კი, ვინც ვერ აბერებდნენ ყველაფრის წაღებას, სთხოვდნენ თურმამს, რომ მას თვალყური ედევნებინა დატოვებული გოჭებიანი ღორებისათვის, ან ყურადღება მიექცია ბებერი, კოჭლი, ჯახრაკა ცხენისათვის. ამისათვის ბავშვს ჰპირდებოდნენ, რომ საჩუქრად ჩამოუყვანდნენ არნახულ, უცხო ქვეყნის მტრედებს.

• • •

თურმანი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სოფლიდან. თხრილებზე გადაბრომის ღროს, მან ბალახებში დაინახა გასისხლიანებული, კბილებდაკრეჭილი ძაღლი. ბავშვი დააკვირდა და მიხვდა, რომ ძაღლის მხოლოდ თავი და წინა ფეხები დარჩენილიყო. შემდეგ კი იწყებოდა გადაბრუნებული მიწა. ბიჭმა კიდევ უფრო სწრაფად მოკურცხლა სახლისკენ.

ბებია სტიაპასოვა, რომელიც გოვხაკზე იჭდა, ვერ გაიგო მისი ნაბიჯები.

— ომიო, ბებო, ომიო უკვე ძაღლიც მოუკლავთ... — ჩაილაპარაკა ბიჭმა და ფართოდ გახელილი თვალებით დაუწყყო ყურება მოხუცს. — სად არის ეს ომი, ბებო?

— იესო, მარიამ, მერე და შენ სად დაენებები, ტაფილიუკ? თვითონაც არაფერი გიკამია და მეც შიშშილითა მკლავ-აიღე დოქი და ჩქარა გაიბრინე წყალზე, მე ტურაბს მაინც გავაკეთებ, დააბოლოვა ბებია სტიაპასოვამ.

თურმანმა, რომელიც თვალებს აბაქუნებდა და არ უშვებდა უბიდან მტრედს, დოქი აიღო და მძიმე ფიქრებში ვართული გაიქცა ტბორისკენ.

ამოიღო თუ არა წყალი, მან თვითონ გადაყლაპა რამდენიმე წვეთი, შემდეგ დააღვიძა რამდენიმე ყლუბი თავის მეგობარსაც.

ბავშვის წარბები ნოჰქებმა დაღარა. ტუჩები ოდნავ იძროდნენ. იგი ჩურჩულებდა რაღაც, მხოლოდ მისთვის გასაგებ სიტყვებს. უცებ თურმანმა ყური მიუგდო. შემდეგ დატრვა დოქი, წამოხტა და დიმილით გამოიტანა ფარდულიდან გრძელი ლატანი, მასზე მობმული ჩვრით. იგი როგორც კატა, ასევე სახურავის კუთხეში: მის ქერათმიან თავზე ტრიალი დაიწყო ჩვარმა, რომელიც წრეში მოცურავე ფრინველს ჰგავდა.

ბიკი ახლა მასზე გადმოფარებულ ღურჯი ცის გარდა აღარაფერს ხედავდა. ომის გრუხუნისაგან გაბნეულმა მტრედებმა შეამჩნიეს თეთრი ნიშანი. თანდათან ახლოვდებოდა მათი ფრთების მშვიდი სტეენა, რომელიც საყვარელი აღამიანის სტეენას ჰგავდა. მთელი საათი სროლის ხმა არ ისმოდა. ბიკი განუწყვეტლივ ატრიალებდა თავის თავზე გრძელ ლატანს, თითქოს ამინებდა საშინელ, ქრიალს ლიეთონს, კვამლითა და თოფის წამლით მსუნთქავ ძალას.

უცებ ყოველი მხრიდან, თითქოს რაიმე ნიშნისდა მიხედვით, ისევ გაისმა ხმაური. წითელარმიელებმა ფაშისტები დაინახეს, რომლებიც ხშირი სროლით ბუჩქებსა და გორაკებს შორის მიდიოდნენ და დაუშინეს მათ რიგებს ტყვევ.

ჰვავის ყანის განაპირას ორი გერმანელი ჯარისკაცი გამოჩნდა. მეორე უჩაჩქნოდ იყო. მისი სათვალეების შინები ბრჭყვიალებდა მზეზე. თურმანმა დაინახა, როგორ მიაყუდა ფაშისტმა ვე-

ლოსიპედი ნეკერჩხლის ხეს, მოიხსნა მხარზე გადაკიდებული, ექლარნეტის მსგავსი შაშხანა და დატყუო. მასს დაამიზნება.

და აი თითქოსდა ვიღაცამ სილა გააწინა ბიკუნას, რომელიც სახურავზე იჯდა და რომელსაც თითქოს ეუბნებოდნენ: „ტაფიუტ, აბა გვიჩვენე როგორ ტრიალებენ შენი მტრედები“. — თურმანს ხელიდან გაეშვა ლატანი, შეხტა ჰაერში და ხელების გნევით ძირს ჩამოვარდა. მისი უბიდან გამოფრინდა თეთრი, თოვლის გუნდასავით თეთრი მტრედი და ცაში აფრინდა. თურმანმა დიმილით გააცილა იგი და ვულში დაქრიალი ჩავარდა ქინქარში. სათვალეებიანმა ფაშისტმა დიდი ყვირთელფეხსაცმლიანი ფეხი მიარტყა ბიკს და ერთი წიხლის კვრით გადააბრუნა იგი.

— ჯაშუში! — თქვა მან.

ჯარისკაცებმა დინჯად გადახედეს მოკლულს, შემდეგ ასეთივე მღუმარებით და გულგრილად, ცოლადის ჩხარუნით დაემშვენებნენ ხევე.

აფორიაქებული ბებია სტიაპასოვა დიდხანს დაეხეტებოდა კარმიდამოში, ეძებდა შვილიშვილს, ის კი წყნარად, ხმამოუღებელი იწვა ბალახებში და თითქოს ბუტბუტებდა:

— მე ვფიქრობ, ბებია... რად არ მეკითხები, ბებო, თუ რაზე ვფიქრობ მე?

სალამოს სიცხემ იკლო. ხმაური მიჩუმდა. მხოლოდ სროლის გრგინებისაგან აფორიაქებული ჰაერი ტალღებად ასკდებოდა აყვავებულ ჰვავის ყანებს და იქიდან ამოდინდა მომწვანო, ბურის სუნით გაყდენთილი ღრუბელი.

ლატვირიდან თარგმანა E. შიქავაძე.



საგზო ჟიურის

პოლიტარკმ კაპაბაძის დრამატურგია

დრამატურგია, საყოველთაოდ აღიარებული აზრის მიხედვით, მწერლობის ერთ-ერთი ურთულესი ჟანრია, იგი ლიტერატურის ის დარგია, რომელიც მჭიდროდა დაკავშირებული თეატრთან. დრამატული ნაწარმოები მოქმედებით გვიჩვენებს, თეატრალურ სანახაობაში განსახიერებს კონფლიქტზე დაფუძნებული ხასიათების ბრძოლას, განსაკუთრებული სულისკვეთებით, მიზანსწრაფითა და იდეალებით გამსჭვალული ხასიათების ქიდილს. პროზისაგან განსხვავებით, აქ ხასიათი მკაფიოდ გამოხატულია, აჩვენებს მოქმედებაში, დიალოგით, რეპლიკით; პერსონაჟთა მოქმედება-გამოცხადებით, ქესტებით, პაუზებითა და სხვა საშუალებებით. ამრიგად, დრამატული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, თეატრალური ე. ი. რეატრისათვის დაწერილი ნაწარმოებია. ეს როდი გამოორიკხავს დრამატული ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას.

შეთაური და დამარსებული ქართული თეატრისა, დამწვები ქართული დრამატურგიისა გიორგი ერისთავია. დამახასიათებელია, რომ მან შექმნა და ააღორძინა უმთავრესად კომედიური ჟანრი. გიორგი ერისთავი ჰუმორიტი კომედიოგრაფია და ამ გარემოებამ ერთგვარად კიდევაც განსაზღვრა მთელი მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიის განვითარება. გიორგი ერისთავმა კომედიას თავისი ეპოქის, თავისი დროის საზოგადოებრივი და სოციალუ-

რი ძალების გამოსახვა დააკისრა და ამით უაღრესად ხალხური, საზოგადოებრივი ხასიათი მიანიჭა თავის პიესებსა და თავის თეატრს.

გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესებით საფუძველი ჩაეყარა ქართულ ნაციონალურ კომედიოგრაფიას, რომელიც ასახავდა რა უმთავრესად მდებრივ თენების წარმომადგენლებს, მძაფრად ამხელდა არისტოკრატიასაც, რასაკვირველია, გ. ერისთავს არ ჰქონდა დიდი ენობრივი ლამილარობა, სტილის მომპირინეობა, რომელიც კომედიისაში დიალოგს, რეპლიკას სტირდება; ამ მხრივ უთუოდ სუსტია მისი დრამატული თხზულებები, მაგრამ მისი კომედიების დრმა სოციალური პათოსი, მხილებითი ხასიათი ჰუმორიტად სამაგალითო გახდა შემდეგი თაობისათვის. მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ დრამატურგიაშიც უფრო მძაფრად შეიტანა სოციალური და რევოლუციური მოტივები (ზ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“, „გუშინდენი“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“ და სხვა).

საბჭოთა დრამატურგიამ მიიღო და განავითარა ქართული დრამატურგიის ეროვნული ტრადიცია კომედიის ჟანრშიც. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: დრამატურგიის ჟანრს არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი ხვედრითი წონა, როგორც მან საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა. საბჭოთა ეპოქამ ააღორძინა და მანამდე არახულ სიმაღლემდე აიყვა-

ნა ქართული დრამატურგია. ეს აუცილებელი ისტორიული ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგია თანამედროვე ქართული მწერლობის სხვა ძინარებს ამ უკანასკნელ წლებში ერთგვარად ჩამორჩა, იგი საბჭოთა ქართულ მწერლობაში მაინც კანონიერად იკავებს საპატიო ადგილს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პოლიკარპე კაკაბაძეა.

პ. კაკაბაძის ისეთმა დრამატულმა თხზულებებმა როგორცაა „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“, წარუშლელი კვალი დატოვეს ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. განსაკუთრებით ფრიად პოპულარულია კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელშიც სახელი და დიდება მოუტანა დრამატურგს.

მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ ორი ლიტერატურული ტიპი წარმოშვა: ერთი და უმთავრესია ტიპი რევოლუციონერისა. საზოგადოების უკეთესი იდეალებსათვის შებრძოლი გმირისა, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციის რომანტიკით, ურყევი რწმენითა და შემართების პათოსით; მეორეა — რევოლუციასთან მიტმასნებულის, პირადი სიკეთისათვის, პირადი გამორჩენისათვის მებრძოლი ტიპი. პირველის რევოლუციონერის ტიპის კლასიკური სახე ლეო ქიაჩელმა გამოხატა ტარიელ გოლუას ხასიათში. მეორის, — რევოლუციასთან შემთხვევით მიტმასნებულის ასევე კლასიკური სახე პ. კაკაბაძემ შექმნა ყვარყვარე თუთაბერის სახით. თუთაბერი, ვამბობთ იმიტომ, რომ ასევე დამოუკიდებლად შექმნილი ტიპი მიხეილ ჯავახიშვილისა — ჯაყო, რევოლუციას მიტმასნებულის ტიპის კლასიკური სახეა აგრეთვე. ოღონდ ამ ხასიათებს შორის არის განსხვავება. პ. კაკაბაძემ ხალხურ ნიადაგზე შექმნილ ნაცარქექიას სახეს მოარგო და შეუფარდა რევოლუციას მიტმასნებულის შემთხვევითი გმირის ტიპი და სრულიად საწინააღმდეგო ბაღაწყვეტა მისცა ხალხის მიერ შექმნილ

ნაცარქექიას ხასიათს. მიხ. ჯავახიშვილმა კი რევოლუციის ეპოქაში დაბადებული ახალი ტიპი, ტიპი კულაკისა, შექმნა და ეს სახელი ლიტერატურაში შრავალმხრივ დამუშავებულ მოუთრავების სახეს შეუფარდა. ამრიგად, ერთის წყარო ხალხური ნიადაგი — ნაცარქექია იყო, მეორის წყაროს ლიტერატურა წარმოადგენდა და, მაინც, უნდა ვთქვათ, რომ ჯავახიშვილის ჯაყო უფრო უნარიანია, უფრო გამძლე და საშიში საზოგადოებრივად, ხოლო ყვარყვარე შინაგანად ფუყე და ცარიელია, იგი ერთბაშად იჩუტება წინააღმდეგობებთან შეხლაში. ჯაყო უფრო გაიძვერა და საშიში პიროვნებაა. პირველი ქართულ ნიადაგზე გაჩნდა და უფრო ზოგადია, მეორე კი უფრო კონკრეტული გარკვეული სოციალური წრის თუ ჯგუფის კლასობრივი წარმომადგენელია. რასაკვირველია, ჩვენ აქ არ გვაინფიცება არც კვაქის სახე, მაგრამ კვაპი რევოლუციონდელი ტიპია. ის რევოლუციას არ წარმოუშვია. ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს და დაინადოს ჯაყოსებური გაქნილი ტიპი. როცა რევოლუციის ეპოქაში დაბადებულ ორ გმირზე ვლაპარაკობთ, ორ განსხვავებულ ტიპზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს რევოლუციის დადებითი გმირი და რევოლუციასთან შემთხვევით მიტმასნებული, პირადი ბედნიერებისა და კარიერის მაძიებელი უარყოფითი ადამიანის სახე. ამ მხრივ, პ. კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერს, როგორც ტიპს: განსაკუთრებული ადგილი უკავია მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში.

„ყვარყვარე თუთაბერი“ არ არის რთული პლანის კომედია. მისი სიუჟეტი მარტივია, მაგრამ ფრიად მახვილ და მძაფრ ხასიათზე დაფუძნებული. ხასიათის ეს სიმძაფრე სწორედ რევოლუციური ეპოქისა და სიტუაციის განმარტებასა და განსაზღვრას უკავშირდება.

პიესის ფონი ოქტომბრის რევოლუციის წინა დღეა.

1917 წელი... რუსეთ-ოსმალეთის

ფრონტი. ფრონტის პირას წისქვილში კერიისთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია. იგი რკინი-გზის გეგმას ხაზავს ნაცარში და, ოცნებით გაამაყებული, წისქვილის პატრონს გაგდებას ემუქრება.

ბეისის დასაწყისშივე ერთბაშად შემოდის ყვარყვარე მთელი თავისი გონებრივი ავლადიდებითა და სულიერი სიდატაკით. ერთბაშად ნაცნობი ხდება ჩვენთვის ეს უნიდადგო ფანტაზიორი ნაცარქექია. შემდეგ ირკვევა, რომ ნაცარქექიას რამდენიმე დღის წინათ ფრონტისპირა უბანში, საიჭარო სამუშაოზე, თავისი თანასოფლელი გლეხები—კაკუტა და ქუჩარა—წამოუყვანია, რათა მათი ფიზიკური შრომით თავი გაეტანა. შემდეგ საქმე მობეზრებია, ზარმაცი ყვარყვარე იქიდან გამოქცეულა და მიწისქვილეს შეჰკედლებია. ყვარყვარე იმდენად უქნარაა, რომ შეშის დაჩეხვა და წისქვილში შემოტანაც კი ეზარება. ამ დროს წისქვილში კაკუტა და ქუჩარა შემოდინან და შემოაქვთ მოკლული ოსმალო ჯარისკაცის ტანსაცმელი. ამ ნადავლს ყვარყვარე წაართმევს მეზობლებს. მახლობელი ფრონტიდან შემორბიან ჯარისკაცები. ნაცარქექია თავის გადარჩენის მიზნით ოსმალურ ტანსაცმელს გადაიცვამს. მეფის ჯარისკაცები განთქმულ რევოლუციონერს დაეჭებენ. ეს რევოლუციონერი სევასტია, რომელიც მეწისქვილის ქალიშვილთან გულთამზესთან ერთად ჯარისკაცებს შორის ბოლშევიკურ პროკლამაციებს იკრცლებს. ქალის დანახვა ყვარყვარეს დააბნევს. ყვარყვარე იმის მოწმეც ვახდება, რომ დამალული სევასტი და გულთამზე ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებიან. ჯარისკაცები გადაცმულ ყვარყვარეს რევოლუციონერად მიიჩნევენ და აპატიმრებენ. გულთამზე ყვარყვარეს შეგობრობას პირდება და ემუდარება ამ გათქვას ნამდვილი რევოლუციონერი სევასტი. ამას მოსდევს ყვარყვარეს გამოგონილი რევოლუციონერობა და მისი „დეფლი“. საკმაოდ კომიკურად არიან წარმოდგენილი მეფის

მონღლეები, შტაბის მუშაკები. ყვარყვარეს, როგორც განთქმულ რევოლუციონერს, ფრიად სერიოზულს წაქმენა შეუდგენენ და ჩამოხრჩობას მიუსჯიან. დადგა განაჩენის სისრულეში მოყვანის ეპოე. ამ დროს შემოაქვთ დეპეშა, რომელიც მეფის გადადგომასა და დროებითი მთავრობის შექმნას იტყობინება. დამფრთხალი გენერლები და შტაბის მუშაკები ქედს იხრიან „რევოლუციონერის“ წინაშე და ერთმანეთს ეჯიბრებიან მისი გულის მოგებაში. ასე ვახდა ყვარყვარე „რევოლუციონერი“. ასე გამოდის იგი სამოქმედო ასპარეზზე ჯერ დროებითი მთავრობის, შემდეგ მენშევიკების ხელისუფლების დროს.

მწერალმა ყვარყვარეს გვერდში ამოუყვანა უნიათო ინტელიგენტი ტიტე ნატუტარი. ტიტე თავისი სულიერი სიდატაკით თავისებური ნაცარქექიაა. ის დიდად არ განსხვავდება ყვარყვარესაგან, თუმცა უფრო განათლებული კაცის სახელი აქვს მოპოვებული. ნამდვილად ისიც ისევე მიერთმანა რევოლუციას, როგორც ყვარყვარე. ეს ორი კაცუნა — ყვარყვარე და ტიტე ნატუტარი — მწერალმა მძაფრი სატირული ფერებით გამოსახა.

მკაფიოდ ხატავს პ. კაკაბაძე ამ ორი „რევოლუციონერის“, ამ ორი „სარდლის“ სახეებს, და ჩვენ ნათლად ვხედავთ მათ უსუსურობასა და უნიათობას, ვხედავთ იმ ხელისუფლების უმწეობასაც, რომლის ბატონობის დროს ყვარყვარე და ტიტე ნატუტარი განაგებენ ქვეყნის ბედს. როცა მათ დიდი დროს ვისმენთ, არა მარტო ვიცინით გულიანად, ამასთან გული გვტკივა, რომ რევოლუციის ბედი ასეთი კაცუნების ხელში აღმოჩნდა.

ყვარყვარე თუთაბერი ხალხური ნაცარქექიას მეტად ორიგინალური და თავისებური ნიდაბია. ძველი ხალხური ზღაპრების მიხედვით, ნაცარქექია ბოროტი როლია. ნაცარქექია სიზარმაცის, ტრახახის, ბაქიაობის, მაგრამ ამავე დროს მკუთამაზვილობის ხალხური განსახიერებაა. სულ სხვა პლანით წარმო-

ადგინა ეს ნიღაბი პ. კაკაბაძემ. მან ყვარყვარე თუთაბერი წარმოსახა როგორც უქნარა, ზარმაცი, ხოლო შემდეგ შემთხვევით ამოტივტივებული და რევოლუციასთან მიტმასნებული. ამ ფონზე, ამ ხასიათში, — ცრურევიოლუციონერის ხასიათში, — ავტორმა წინ წამოსწია გაიძვერა, პირფერი ადამიანის ტიპური და განზოგადებული თვისებები. დრამატურგმა მკვეთრად გამოამზეურა ნაცარქექიაობასთან დაკავშირებული ცრურევიოლუციონერის ნიღაბს შეფარებული ყველა მანკიერება:

ყვარყვარე — ახალთაობის კაცად მიცნეს, ხელმწიფის მტრად გამოამაცხადეს.

კაკუტა — (ქუჩარას) ვე, ზომ გესმის?

ქუჩარა — (ყვარყვარეს) მერე ზარმაცისათვის თავზე ხელს დაგისვამენ?

ყვარყვარე — თავზე ხელს დაისვამენ კი არა, კიდევ ჩამომასჩნობენ, დავიღუპე კაცი. ჩემს საფლავს პატრონი ვერც კი ნახავს და ცოლვით გაბარებთ მამაჩემს, წყვიწყვის, ასე უთხარიო: მისთანა ვაჟკაცურ შეღის ნაცარქექია რომ შეატქვო, ცოლი არ ათხოვო და კეტით ვააღვე სამოვარში, ეს მოეწია თქვა... ასე გადავიცი, სახრზობელაზე რომ მიმყავდათ, იქიდან შემოვივალა, ძალი ჩაგაკვდა სულში-თქვა.

ქუჩარა — უბ, საწყალო, დაღუპულა კაკუტა, შე საწყალო, ა, ახლა რისთვის შეგებდა ეს შენ?

ყვარყვარე — (იმეხად) ახალთაობის საქმისათვის.

კაკუტა — რომ არ იღავი შენ მაგისთანა კაცი!

ყვარყვარე — (თოფნაკრავივით) როგორ არ იყავი? მამ, პოლიციის ვემალბობდი და თქვენისათანა ენატარტლებს ვეტყობდი? ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი.

დრამატურგი შესანიშნავად ამხელს ამ მოჩვენებითი რევოლუციონერის ტრაბახში ყვარყვარეს ნამდვილ ბუნებას. საკმარისია ყვარყვარეს ოდნავი წინააღმდეგობა შეგხედეს, ის მაშინვე უკან იხევს და თავის ნამდვილ სახეს,

ნაცარქექიას სახეს ერთბაშად ავლენს.

გულთამზე ყვარყვარეს წყალობას შემპირდა, მაგრამ, როცა ყვარყვარე საზღვარს გადავიდა, საქმეში სევასტი ჩაერთა და მკაცრად შეუტია მოწინააღმდეგეს. ყვარყვარე ერთბაშად უკან იხევს:

გულთამზე — (იცილის) როგორ უცბად მოიკუნტა!

ყვარყვარე — (კანკალებს) თუ ისეთი რამე მოვახერხე, რომ არ დამხრზონ, სწორედ მისი-
*ლოცი ვიქნები. (სევასტის) შე კაცი, ხელმწიფეები მორიგებულან და ზენ რა?

სევასტი — სულ მთლად უსუსურიო.

ყვარყვარე — (სევასტის) ღონე კი მაქვს, მაგრამ შენისთანა პატროსან კაცს თითი როგორ დავაკარო, კაცს ხელს როგორ შემოვარტყამ, სინდისი გობქვეშ კი არ შემინახავს?

ასე ერთბაშად ხდება ნათელი ჩვენთვის ყვარყვარეს ნაცარქექიაობა, მაგრამ, რადგან მას ბედმა შემთხვევით-არაგუნა რევოლუციონერის როლი და ასპარეზზე გამოიყვანა, იგიც უკან როდი იხევს, ნამდვილი რევოლუციონერის სახელის დამკვიდრებას ლამობს. ნამდვილი რევოლუციონერისა კი მას არაფერი მოე-

ცხო. თვითონ ყვარყვარეს მეტად თავისებური შეხედულება აქვს შემუშავებული რევოლუციონერზე, სოციალისტზე: „მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ ქადაგებენ, სწორედ ჩემი საქმეა, რომელ საზღვრაც გინდა, შედი და მოირთხი მაგრად ფეხი, სმა-ჭამა სულ მუქთი იქნება. მე რომ მკითხონ,

სოციალისტების სურათებს ეკლესიაში დაკვიდრდები, სულ წმინდანებით წვალობენ ხალხსთვის, მეც ხალხსთვის ვწვალბ ამ ქვეყანაზე“.

აი, როგორ ესმის ყვარყვარეს სოციალისტის მოვალეობა და არსი, მაგრამ როცა თვითონ მოგვევლინება „სოციალისტის“ როლში, ხალხს ტყავს აძრობს, დაუნდობლად ეპყრობა. პირადი გამორჩენისათვის იბრძვის; შეკრებს თავის თანამოზიარე ყაჩაღებს, აბრაგებს და ხალხს ზურგზე ბოლს ადენს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშიც განაგრძობს იგი პარპაშს, და ხალხიც, სავსებით ბუნებრივია, უკმაყოფილოა ამ ყაჩაღისა და ბოროტი „რევოლუციონერის“ მოქმედებით. ერთი მოქმედი პირი ასე ახასიათებს ყვარყვარეს: „ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რათ გინდა, ვინც საწყალი ნახა, ზურგზე ბოლი ააღინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი გადაუსვა“. უდანაშაულო ადამიანებს იგი ციხეში ყრის და მუქარით მიმართავს: „დაუბრათ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ... შენ, პეი, მაგას თავი გაუხეთქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შედგენეთ იმ სარდაფში, კარი გამოუხურეთ, მორჩა“... ასე უმსაპინძლდება ყვარყვარე პატიოსან და მშრომელ ხალხს.

როგორ გვაგონებს ყვარყვარეს ეს მძარცველური ბუნება ჯაყოს, რომელიც ასევე მიტმასნებულია რევოლუციისა და მათურით აშინებს, აბრევს ხალხს. ყვარყვარე, ჯაყოს მსგავსად, ხალხს ართმევს და სახლში ეზიდება ყველაფერ კარგსა და ძვირფასს.

ყვარყვარე სრულყოფილად დაბატული გმირია, ტიპიზებული და განზოგადებული სახე ნაცარქექიასი, რევოლუციონერის როლში წარმოდგენილი. სავსებით ბუნებრივია, რომ ყვარყვარე თუთაბერის სახელი დაამკვიდრა ხალხში და მეტსახელად იქცა.

დრამატურგმა მძაფრად ამხილა ეს ცრურევოლუციონერი. ჩვენ სავსებით

გვჯერა სევასტის სიტყვები, როცა იგი ნილაბს ზღის ყვარყვარეს და ამბობს: „ის მეფის დროს ჩემ მაგრეს დაიჭირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსალღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ჰქუანაკლებია, ხოლო იმ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ მთავრობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეკირა და ხალხისათვის ენება მიეყენებინა. ჩვენ კი ახლა მას ნილაბი მოვხსენით და მან თავისი ნამდვილი სახელით, ნაცარქექიას სახელით იაროს ქვეყანაზე“.

ასეა მხილებული ავტორის მიერ ყვარყვარეს ხასიათი. აქ ნათლად გამოჩნდა საბჭოთა დრამატურგის პოზიცია. მან დასცინა ყვარყვარეს, მაგრამ ეს სიცილი გასართობი როდია. აქ საზოგადოებრივ სამსჯავროზეა გამოყვანილი შემთხვევითი რევოლუციონერის სახე, რომელსაც კომედიაში ისეთი ფუნქცია აქვს მინიჭებული, რომ მისი მოქმედება და მდგომარეობა სასაცილოა პიესაში, ხოლო დამოკიდებულება დრამატურგისა სავსებით ნათელი და ასევე მძაფრი ტენდენციითაა გამოვლინებული. ამ თვალსაზრისით „ყვარყვარე თუთაბერი“ ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კომედიაა.

დრამატურგმა არც სხვა მოქმედ პირებს დააკლო ფერები და სიღებავები. ავტორმა ყვარყვარეს გვერდში ამოყენა დაბალი, ცხოველური ინსტინქტებითა და ენებებით აღჭურვილი, ჩლუნგი და დამიჯებული ადამიანები — კაკუტა და ქუჩარა. ასეთ ადამიანებს მწერალმა მკვეთრად დაუბირისპირა მოწინავე, ნათელი, რევოლუციური შეგნებისა და რწმენის მატარებელი სევასტი და გულთამზე. მართალია, ეს სახეები ესკიზური, მაგრამ მათ პიესაში გადამწყვეტი ფუნქცია აქვთ მინიჭებული. სევასტისა და გულთამზეს სახით ჩვენ ვხედავთ სოციალისტური მორალის, მრწამსისა და იდეალების ადამიანებს. მათში ნათლადაა გამოკვეთილი დადებითი გმირების ხასიათი და ნიშანდობლივი თვისე-

ბები. ყველა ამ გარემოებამ კი განაპირობა „ყვარყვარე თუთაბერის“ თეატრალური და ლიტერატურული ღირსებანი.

„ყვარყვარე თუთაბერი“ დაუბერებლად შერჩა ქართულ სცენას. ის ინტერესი და დაფასება, რაც ქართული თეატრის უბადლო ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა მოუპოვა ამ პიესას ქართულ სცენაზე განხორციელებით, ის დიდი რომანტიკა და ბრწყინვალეობა, რაც მიანიჭეს მას უშანგი ჩხეიძემ, სანდრო ყორჯოლიანმა, შალვა ღამბაშიძემ და კაკო კვანტალიანმა როლების განუმეორებელი შესრულებით, დღემდე რჩება ჩვენს მხესაფრებაში, როგორც წარუშლელი თეატრალური სანახაობა. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული ცნობილი ოსტატების დამსახურება პიესის სახეების გახსნაში, მაინც „ყვარყვარე თუთაბერის“ თეატრალური გამარჯვების საწინდარი ავტორის ჩანაფიქრი, ნაწარმოების დიდი ლიტერატურული ღირსებაა.

დიდი პოპულარობა ხვდა წილად ბ. კაკაბაძის მეორე დრამატულ კმნილებასაც — „კოლმეურნის ქორწინებას“. აქ კვლავ გამოჩნდა ხალხური მდიდარი, კოლორიტული მეტყველება, ამოუწურავი იუმორი; ქართული მახვილსიტყვაობა, რაც ასე დამახასიათებელია, საერთოდ, ბ. კაკაბაძის დრამატურგიული სტილისათვის.

პიესა ასახავს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებას. ავტორმა ბრწყინვალედ გამოიყენა კომედიის ენარი იმ მძაფრი ბჭობლების გადმოსაცემად, რაც წარმოებდა ძველსა და ახალს შორის საკოლმეურნეო მშენებლობის წლებში. აქ შესანიშნავი კომიკური სიტუაციებითაა მხილებული ყოფილი ადამიანები, აზნაურები და მათთან დაკავშირებული უქნარები. სოციალისტური შრომის რომანტიკა, საკოლმეურნეო ცხოვრების მდელვარე დღეები უფრო ნათეს ზღიან ამ დროგადასული და გახუნებული ადამიანების უბადრუკობასა და უნიათობას. მეორე მხრით, დრამა-

ტურგი გვიჩვენებს, თუ რა დიდი სრლად მასზე და მშვენიერებაა შრომაში, როგორ აღამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს, როგორ ამალღებს, როგორ უქმნის სახელსა და დიდებას შრომა და მხოლოდ შრომა.

შრომაში გამოხატა მწერალმა მოწინავე ჩაის მკრეფავი გვირისტინეს სახე და ხასიათი. გვირისტინე რიგითი მუშაკია, მაგრამ ისე ისახელა თავი, ისე გამოიჩინა თავის მეგობრებსა და ამხანაგებს შორის, რომ მან შრომით არა მარტო დიდი დოვლათი, დიდი სახელიც მოიპოვა. გვირისტინეს, როგორც მოწინავე სტახანოველ ქალს, მოსკოვში გზავნიან, იქ მას თათბირზე პატივისცემით უსმენენ. ბოლოს ამ გამრჯე ადამიანს ორდენითაც აჯილდოებენ. თავის სოფელში დაბრუნებული გვირისტინე თანასოფლელებს მოუთხრობს მოსკოვში მიღებული დიდი შთაბეჭდილების შესახებ. გვირისტინეში თანასოფლელები თავიანთი ცხოვრების აზრსა და შინააზრს ხედავენ. აქი შენიშნავს ერთი კოლმეურნი: „ამხანაგებო, გვირისტინეს სიტყვები იმიტომ მოვისმინეთ აღტაცებით, რომ მისი ამბავი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების ნაწილია.“ კომედიის პათოსს სწორედ ამ მოწინავე ადამიანის შრომის რომანტიკა განსაზღვრავს. მწერალმა, ერთი მხრით, ეს მოწინავე მშრომელი ადამიანები — გვირისტინე, ირიანე, მირიანი, შატო, ჯამლეთი, მატო წარმოადგინა და მათი ხასიათით გამოხატა სოფლის ახალი ცხოვრების მთელი პათოსი, მეორე მხრით, ამ ადამიანებს დაუბრისპირა უქნარა ადამიანთა მთელი ზოგვა. მაგალითად, აზნაური მანუჩარი; ამ გუდამშიერ და სულნამცეცა აზნაურს გვერდს უმშვენებს უსაქმური ლომკაცა, მაჩანჩალა ვაკა და სოფლის ქორიკანა კაკალა. ვარეწართა წრეს აგვირგვინებს უყიართო ზარბიტონი, ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ყველაზე უფრო მძაფრად გამოქერაწილია მანუჩარის სახე.

მანუჩარი დავით კლდიაშვილს ზოგიერთ პერსონაჟს მოგვაგონებს. იგი

თითქოს კლდიაშვილის აზნაურთა სამყაროდან საკოლმეურნეო გარემოში შემთხვევით ვადმოსახლებულა. მანუჩარი კულდაზიკური აზნაურული ფსიქოლოგიით დიდად გვაგონებს შემოდგომის აზნაურების ტიპებს. დ. კლდიაშვილის პლატონ სამანიშვილი არ კადრულობს ქვეითად სიარულს. ეს შეუტაცბ.

მანუჩარი — ამ დღეს ჩემი თეთრი ცხენი შევკაზმე.

ხახული — კიდევ ცოცხალია, ხატონო, ის თეთრი ცხენი?

მანუჩარი — ნეტავ მგელს დროზე შევქაში, დახერხა, გჯესი თევა ზედ არ შევმჯღაღერა, ამ დღეს კი ვეიადრე, მაგრამ ძალიან ფორხილობდა... მერე შეზაერების შემტაცვა და შეკაში ვადმოხუტევი, აქ კი მათარაბაე არ უშველა, ბოლოს წაიქცა და ფეხი გავიშა იმ ოხერბა.

როგორ გვაგონებს ეს დეტალი იმ ამბავს, პლატონ სამანიშვილს რომ ვადახდა. მანუჩარი პიესაში წარმოდგენილია, როგორც ცხოვრებისაგან დაჩაივებული, უქნარა აზნაური, რომელსაც ახალ ცხოვრებაში, საკოლმეურნეო ვითარებაში ადვილი ვერ უპოვია. კარგად შენიშნავს ჯამლეთი: „მანუჩარი ძველი მემამულეა, ჩვენთვის საიკეთოს არაფერს ვააცხადებს, ეგი ნიაფზე დასადებია.“ მანუჩარს არც მისი შვილი ჯიბილო ჩამორჩება. ისიც უქნარაა. მანუჩარი დასციინის ახალ დროს და იოლად უნდა ფონს ვავიდეს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და მთელ იმედებს იმაზე ამყარებს, რომ მისი შვილი ჯიბილო კოლმეურნეობაში მიიღოს და აქტიურ შრომაში ჩაებას. უქნარების ეს წრე პიესაში მკვეთრად არის მხილებული.

პიესაში კომიზში დამყარებულია გაუგებრობაზე, რომელიც გვირისტიანესა და მირიანის ურთიერთობას, მათს საშიჯნურო თავგადასავალს შეეხება. ჭორიკანა ეაკა ხმებს ავრცელებს, თითქოს გვირისტინე ცოლად მიჰყვება მანუჩარის შვილს ჯიბილოს. შეუტაცბყოფილი მირიანი ნაჩუქარ ხალათს დაუბრუნებს გვირისტინეს. ამ საშიჯნურო ამბავშიაც ჭორიკანები უცნაურ ჭორის ბადეს მოქსოვენ. ასეთ გაუგებრობათა ფონზე დრამატურგი საინტერესო კომიკურ სიტუაციებს ქმნის და პიესის სიუჟეტაც ასე ეთარდება და იხსნება. უნდა ვთქვათ, რომ ამ პიესაში არ არის ისეთი

ყოფად მიანიხი და ეთაკილება. აზნაურული ფსიქოლოგია უკარნახებს პლატონ სამანიშვილს მეზობლისაგან იხოვოს გაძვალტყავებული ცხენი; არც მანუჩარი კადრულობს ქვეითად სიარულს... აი, როგორი საუბარი იმართება მანუჩარსა და მის ყოფილ ყმას შორის:

მზაფრი კონფლიქტი, როგორიც „ყვარყვარე თუთაბერშია“. მაგრამ სიუჟეტურ ნაკლს ავსებს მდიდარი ხალხური იდიომები, ანდაზები და თქმები, ხატოვანი სიტყვები, რომლებითაც ასე მდიდარია ეს პიესა. სწორედ ამ გარემოებაში განაპირობა მისი პოპულარობაც.

„კოლმეურნის ქორწინებას“ მოჰყვა პ. კაკაბაძის ისტორიულ თემაზე დაწერილი კომედია „დავით მერვე“. ამ კომედიათ პ. კაკაბაძე კვლავ მიუბრუნდა მდიდარ ხალხურ ნიღბებს და თავისებურად გამოიყენა ისინი წარსულის სურათების გადმოსაცემად.

პიესა „დავით მერვე“ გვიხატავს საქართველოს ისტორიის იმ შავბნელ დროს, როდესაც ერის ძალები შემოსეულ მტერთაგან დროებით დათრგუნვილი აღმოჩნდა. საქართველოს შემოსეული მტერი არბევს. ქვეყნად ქოსატყუილები და ნაცარქეჩები მომრავლდნენ. დაშინებული და წელში გატეხილი ხალხი, მთებში გახიზნულა და ვადამალული ელოდა გმირს და ერის ხსნას. ხვალინდელი საქართველოს ბედს მასზე ამყარებდა. მტრისაგან აოხრებული და აკლებული ქვეყანა ამ ყველაზე შავბნელ ვითარებაში იმედს არ კარგავდა, ხალხის ერთგული სული საბოლოოდ გაუტეხელი აღმოჩნდა. კომედიაში ისეა გამოხატული ვითარება, რომ ეს საიმედო გმირი არ ჩანს. ბნელი ძალები კი ამით სარკებლობენ და უმოწყალოდ ჩაგრავენ, არბევენ ხალხს, უნამუსოდ ჰუი-

ლიან ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთ ვითარებაში დრამატურგი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ძალას: ერთ მხარეზე წარმოდგენილია შრომელი, პატრიოსანი ხალხი, ჩავერისა და მონობისაგან წელში გაწყვეტილი, მაგრამ ეროვნულად გაუტრეხელი, მეორე მხარეზეა ერთი მუქა ფუქსავატი არისტოკრატია, რომელიც მლიქვნელობს დამპყრობელთა წინაშე, ხალხს კი ორმაგად ტყავს აძრობს. აი, მაგალითად, შეფის ტახტის პრეტენდენტი, ყაენის ერთგული, გადაგვარებული, ეგოისტური ზრახვებითა და განდიდების მანიით შეპყრობილი ტახტის მამიებელი ბანტანგ-ხანი საკუთარ პირშოსაც კი გასწირავს: მზადაა თავისი ულამაზესი ქალიშვილი ყაენს მიჰგვაროს, რათა მისი გული მოიგოს.

ასეთია ისტორიული ფონი, რომელსაც მწერალი მუქი ფერებით წარმოგვიდგენს. მაგრამ აქ ყველაფერი პესიმისტური სულისკვთებით როდია დაბატული. ასეთ მძიმე ისტორიულ ვითარებაშიაც მწერალი ხედავს, რომ ერის ძალები არ დაღუბულა. მწერალს პიესაში შემოჰყავს ხალხის წარმომადგენლები, რომელთა მოქმედებაშიც განზოგადებულად გამოხატულია ხალხის პატრიოტული, ეროვნული თვითშეგნება. ასეთია, მაგ: გულქანი, რომელიც ამხელს ცრუპატრიოტებსა და სამშობლოს გამყიდველებს.

კომედია გამოსახავს იმ ეროვნულ და სოციალურ დაკნინებას, რომელიც დავითისა და თამარის საქართველოს დაოტყდა თავს, როგორც დიდი ეროვნული უბედურება. ეს დაკნინების სურათი პიესაში წარმოდგენილია უქნარობის, ქოსატყუილების, ცრუ გმირისა და ბრძენი კაცის სახით. ესენი არიან: ქოსატყუილი პარტი, უქნარა და დიაცთა მოყვარული შოშკობა, ნაცარქექია გოსტაშაბი, სხვისი ნასუფრალის შემყურე, ბრძენი კაცის სახელით ვანთქმული, მაგრამ სულიერად ლატაკი და უქნარა როსტომ ბრძენი, დაშინებული და დამფრთხალი მეფე და ა. შ. თუ ყვარყვარე თეთა-

ბერში“ ერთი ნაცარქექია იყო, აქ რამდენიმე ნაცარქექიაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „დავით მეგრეში“ გამოსყვანილი ნაცარქექიები გარეგნულად თქოს კეთილი ადამიანები არიან. შემთხვევითი არც ის არის, რომ გოსტაშაბი, ნაცარქექიას სახელით ცნობილი, პიესაში მოხერხებისა და გონიერების ოსტატის როლს განასახიერებს. ტრაბახა და შიშარა, მაგრამ მოხერხებული და მიხვედრილი — ასეთია გოსტაშაბის ნიღაბი. გულქანის სიყვარულმა მის ხელში კახაბერის ხმალი ააღებინა, მაგრამ შინა და ლაშათი კახაბერის ხმლის გამოყენებისა მას არა აქვს. ის, როგორც ნაცარქექია, სხვებს შთააგონებს — კახაბერის ნიღაბი გაიკეთონ და ეს ნიღაბი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენონ. მართლაც, ამ ნიღაბის მეოხებით გოსტაშაბის ჯარი თათრებს დასძლევს და ციხეს აიღებს.

გამარჯვების სიმბოლოდ წარმოდგენილი — ორმოში გადამალული კახაბერის ხმალი შიშის ზარს სცემს მტერს, მაგრამ ხმალი ვერ მოუხსახვთ და ვერ გამოუყენებით მტრის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში გოსტაშაბი კახაბერის ნიღაბს გამოიგონებს და ჯარს ამ ნიღაბით წარუდგება. მაგრამ მწერალმა კარგად იცის, რომ ნიღაბი სინამდვილე არ არის, საკმარისია ნაცარქექიას ნიღაბს სერიოზული წინააღმდეგობა შეხედეს, რომ იგი ერთბაშად დამსხვრეს. საქართველოს მეფე ხედავს, რომ ეს იოლად მოპოვებული გამარჯვება, ეს ნიღაბის შემოვებით შექმნილი ტახტი ქარის მოტანილია, რომელსაც ქარივე წაიღებს. ნამდვილ ტახტს, ნამდვილ დიდებას ხალხი და მეფე კახაბერისაგან მოელოან. კახაბერი კი ქოსატყუილების ბრბოს ორმოში ჩაუგდია. ამ ბრბოს მეთაურობს ლიპარტი, რომელიც წარმოდგენილია ერთიანი, ცენტრალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ თავკერძა ფეოდალად. პიესის ფინალში ბოროტი ძალები იარაგუნებიან. ორმოში ჩადებული კახაბერი თავს აღწევს ტყვეობას და ხალხს უბრუნდება. მისი

გამოჩენა აქ დასახულია, როგორც სიმბოლო საქართველოს აღდგენისა.

პიესაში მართებულად არის ხაზგასმული, რომ ურცხვე გაჩეხე მტრისაგან დაპყრობილი და დაქინებული საქართველოს განახლება ხალხს და ხალხის გმირს შეუძლია მხოლოდ. ეს იდეა პიესაში ამაღლებულად ქდერს. „დავით მერვეს“ ღირსება ისიცაა, რომ ის „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ მსგავსად, დაწერილია მდიდარი ხალხური ენით.

ერთ დროს ამ პიესას დასადგმელად ამზადებდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. ამის შემდეგ, ავტორმა მის გასაუმჯობესებლად კიდევ იმუშავა, ახალი პასაჟებითა და სიტუაციებით გაამდიდრა იგი. მიუხედავად ამისა, დედაქალაქის სცენაზე პიესას მაინც არ ეღიოსა განხორციელება. შეიძლება ეს იმიტომ იხსენებოდეს, რომ პიესაში არ არის მკვეთრად გამოხატული ის ძირითადი პატრიოტული იდეა, რომელიც კახაბერის ხმლის სიმბოლოს უკავშირდება, და ცოტა უფრო რთული და გაურკვეველია ხასიათები, ვიდრე ეს თუნდაც „ყვარყვარე თუთაბერისა“ წარმოადგენილი.

პ. კაკაბაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები: „ღიმიტრი მეორე“, „ციციანთელა“, „სამი ასული“, „გათენების წინ“, „პაექრობა“ და „ქარიშხალი“. ზოგი ამ პიესათაგანი, უბრალოდ რომ ვთქვათ, სუსტია დრამატულად, ზოგი კვლავ დაუმთავრებელია. მაინც ყველაზე უფრო საინტერესო მათ შორის, ჩვენი აზრით, პიესა „ქარიშხალი“.

ამ პიესას პირველად დრამატურგმა „ლისაბონის ტუსალები“ უწოდა. მასში ასახული იყო პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში 1755 წელს მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც მთელი ქალაქი დაანგრია. 1959 წელს გამოცემულ კრებულში ეს პიესა „ქარიშხალის“ სათაურითაა შეტანილი. ახალ ვარიანტში ავტორმა ბევრი რამ შეცვალა, გადაასხვავა ადგილები, პასაჟები და მოქმედი პირებიც კი. თუ პირველ გამოცემაში ერ-

თი ქართველი გუგავა იყო გამოყვანილი, ახლა მას მეორე ქართველიც (წოწორია) ამოუდგა გვერდში. უნდა ითქვას, რომ პიესას ავტორმა მაინც ვერ მიანიჭა ეროვნული ხასიათი, ვერ გააძლიერა ეროვნული ნაკადი. ამგვარად, პიესა „ქარიშხალი“ მოკლებულია მოქმედების ადგილის კონკრეტულ განსაზღვრას, მით უმეტეს, ქართულ გარემოსა და ეროვნულ კოლორიტს. ამ გარემოებამ უთუოდ დაუქარგა ნაწარმოებს კონკრეტულობა და თვითონ ხასიათები და აღმანიები ზოგად სქემებად აქცია.

პ. კაკაბაძის პიესა „ღიმიტრი მეორე“ დაუმთავრებელი ნაწარმოებია, ამიტომ, რასაკვირველია, მის შესახებ მსჯელობაც შეუძლებელია. „ღიმიტრი მეორე“ ცალკეული ეპიზოდებია, სადაც წარმოსახულია საქართველოს ბედი თამარისა და დავით აღმაშენებლის შემდგომი ხანისა კონკრეტულად აქ მოქმედება წარმოებს 1285 წელს და ნაჩვენებია მიწისძვრისაგან განადგურებული ქალაქის ყოფა; ამას მოსდევს სამთავროს უფროსებსა და ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლ ღიმიტრი მეორეს შორის უთანხმოების, შურისა და მტრობის ეპიზოდები, რომლებშიც ჩართულია, აგრეთვე, ზენათისა და ღიმიტრის სამიწუნრო თავდადასავალი.

რაც შეეხება პ. კაკაბაძის პიესებს— „სამი ასული“ და „განთიადის წინ“, ისინი ლირიკული დრამის ნიმუშებია. აღნიშნულ პიესებში საკმაოდ მკვეთრად არ არის გამოვლენებული ის დრამატურგიული სტილი, რომელიც დამახასიათებელია „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ავტორისათვის.

პიესა „გათენების წინ“ ასახავს ომის სურათებს. შიშველ დაჭრილი ჭარისკაცისა და სათნოების დის გარდა, მოქმედ პირებად გამოყვანილია მოჩენებანი (ფერებების, ანგელოზებისა და სხვათა სახით). ამის გამო გმირების სულიერი სამყარო გამისტიკურებულია. პიესის სევდიანი, მუქი ფერები და გან-

წყობილებანი ეწინააღმდეგებიან ავტორისეულ ჩანაფიქრს — გამოიხატოს საბრძოლო სულისკვეთება და შემართება.

„სამი ასული“ ლირიკული ხასიათის დრამატული ნაწარმოებია. მასში სინათლისა და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა გადმოცემული სამი უღამაზესი ასულის — ევას, თელსა და დიას თავგადსახელის მიხედვით.

პიესები — „ციცინათლა“ და „პაექრობა“ გამოხატავენ საკულმურნეო სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას. თემატურად უაღრესად თანამედროვე ხასიათისა არიან. ეს პიესები დრამატულად სუსტია.

საზოგადოდ, პ. კაკაბაძის ამ ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის ლირიკული დინება და, ამის კვალობაზე, პიესის მთელი სიმძიმე ავტორს გადატანილი აქვს სიტყვიერ მასალაზე, დიალოგზე და არა საუბურთა სიმძაფრესა და ლიტერატურულ გამოგონებებზე. დრამატურგი განვებ გაურბის სიტუაციების დრამატულ გამჭაფრებებს. ჩვენი აზრით, შეიძლება ეს იყოს ერთგვარი დამბარკოლებელი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი თეატრები მონდომებით არ ჰქიდებენ ხელს მათ დადგმას. რასაკვირველია, ამგვარი ლირიკული ხასიათის პიესებს თავისებური სცენურ-თეატრალური გახსნა სჭირდება.

ამ პიესებში კი, სადაც მოქმედება და მდგომარეობა გამძაფრებას მოითხოვს, ტემპი შენელებულია. ხმლების ჩახაჩუხი და ზარბაზნების გრიალი თითქოს აუცილებელია „ყვარყვარე თუთაბერში“, სადაც ომის, ფრონტის, რევოლუციის ეპიზოდებია გადმოცემული, მაგრამ თვით ასეთ ვითარებაშიც პ. კაკაბაძე შეგნებულად გაურბის გარეგანულ ეფექტებს და მთელი ყურადღება ლირიკულ გამოსახვაზე გადააქვს. დიალოგი, რეპლიკა, მონოლოგი ამ შინაგანი ლირიკით არის გათბარი.

პ. კაკაბაძის დრამატული ხერხები

და მხატვრული საშუალებანი მეტიდ მდიდარია. დრამატურგი უმთავრესად ხატოვან, მოსწრებულ ხალხურ თქმებს, ტიპობრივ ფრაზეოლოგიზმს ეყარება.

თავისი ხასიათითა და პათოსით პ. კაკაბაძის ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა“ თანმიმდევრულად ავითარებს კომედიოგრაფის იმ პოზიციას, რომელიც მან ასე კლასიკურად გამოსახა პიესა „ყვარყვარე თუთაბერში“.

„ცხოვრების ჯარა“ თანამედროვე კომედიაა. იგი მოგვითხრობს იმ დიდი ტკივილების შესახებ, რომლებიც ჩვენს განვილ ცხოვრებას თან ახლდა: აქ გამოყვანილი მთავარი მოქმედი გმირი ლოპიანა დიდი თანამდებობის პირი, დიდი პორტფელის მფლობელი, ჩვენს პარტიასთან მიტმასნებული კაცია. პირადი განდიდებისა და ქონების მოხვეჭის იდეალით ცხოვრობდა და მოქმედებდა იგი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა მავნებლების, მლიქვნელების, შინაკაცების, და სულნამცეცა პატარა ადამიანების ხროვა. ეს შინაკაცები ქება-დიდებას ასხამდნენ ლოპიანას, უსაფუძვლოდ განადიდებდნენ, ფეხქვეშ ეგებოდნენ და იგიც წლების განმავლობაში პარაპაზობდა, თვითნებობდა და ცოტა ზიანი როდი მიაყენა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ყოფას, ჩვენს ადამიანებს. ლოპიანა, ვილაც მიუტუხნე — ეს უნიჭო მოღვესე — მლიქვნელი და სინდისზე ხელალებული კოლმურნეობის თავმჯდომარე ქრისტეფორე, ლოპიანეს წყალობით ქარხნის დირექტორად დაწინაურებული საზიზლარი მლიქვნელი და მავნებელი, ნაკაცარი, ლანდი ლოპიანესი — გერასიმე და სხვები და სხვები მწერლის მიერ დაუნდობლადაა მხილებული; მათი შავბნელი საქმიანობა მშის სინათლზეა გამოტანილი. როცა მათ მოქმედებას უყურებ, როცა მათ გულისამრევ საქციელს ხედავ, გული გტკივა, სანამდე მისულან ეს საბჭოთა ადამიანები, ხახელმწიფოებრივი თანამდებობის ადამიანები, რომელთაც ხალხის ბედი აბარიათ. მათ დაუპარგავთ სიღამაზე სუ-

ლისა, სილამაზე მშრომელი საბჭოთა ადამიანისა, სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებისა. მწერალს ეს უხეირო ადამიანთა ხროვა მხილებული ჰყავს ამავე პიესაში წარმოდგენილი დადებითი გმირების საშუალებით. ავტორმა როდი დააცლო ფერები და საღებავები ამ დადებით გმირებს. ეს მოწინავე, მაღალი იდეალების მქონე ადამიანები (ციცინო, ყუყუენა, გვარამი, ბახუტა). მწერალმა აღჭურვა დიდი სულიერი სილამაზით, ნათელი მიზანდასახულობით, საზოგადოებრივი ინსტიტუტითა და გრძნობებით. და ამაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა მწერლის მანერა. ნამდვილი საბჭოთა კომედია ის არის და ის აღწევს თავის დადებით მიზანს, რომელიც მძაფრად ამხელს და დასციინის უხეირო ადამიანს, უხეირო საქმეს, უხეირო მოქმედებას, და ამავე დროს მკითხველი ხედავს იმ გაცნობიერებულ იდეალს, რომელსაც ემსახურება შემოქმედი კაცი ამ ნაკლის მხილების დროს. მხოლოდ ამ გზით არის ნათელი მკითხველისათვის, თუ ვის წინააღმდეგ და რის წინააღმდეგ არის მიმართული კომედიაოგრაფის გესლი. ამ მხრივ „ცხოვრების ჯარა“ ზუტად და ზედმიწევნით ურტყამს მიზანში.

ჩვენ ზევით უკვე ვთქვით, რომ კავკასიე, როგორც დრამატურგი, უფრო ხატვის ოსტატია, ვიდრე მოქმედებისა. მის პიესებში აქცენტი გადატანილია სიტყვიერ მასალაზე: დიალოგზე, ხატოვან გამოთქმებზე, მოსწრებულ ხალხურ თქმებზე, იდიომებზე. ყველა ეს თვისება და წერის მანერა კავკასიისა ასევე ნათლად არის გამოხატული ამ ახალ პიესაში.

კომიკური სიტუაციებით, იუმორისტულ ნიღბებით, სატირული ხასიათებით, ხატოვანი ენით ბრწყინავენ პოლიკარზე კავკასიის საუკეთესო პიესები, ავტორის ძალაც და ნიჭიერებაც ამაში გამოჩვენდა. რასაკვირველია, ყველა მისი პიესა არ არის მაღალი ღირსების. ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ, რომ „ყვარყვარე თუთაბერს“, კოლმეურნის ქორწინებას“ და „დავით მერვეს“ — ამ პირველხარისხოვან თხზულებებს — გვერდში ვერ ამოუდგა მწერლის შემდგომდროინდელი პიესები. მაგრამ ეს სამი კომედია ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ დრამატურგიაში, რომ მათი ავტორი სიმუდამოდ შერჩება ქართულ მწერლობას, როგორც დიდი ხელოვანი.

ბიოგრაფიული სოციალისტური ჰუმანიზმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახალ პროგრამაში აღნიშნულია, რომ კომუნისტების მშენებლის მორალური კოდექსის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის. ამ პრინციპის განხორციელება არის საბჭოთა საზოგადოების საბაზოლო ამოცანა სოციალიზმიდან კომუნისმში გარდაცვალებული პერიოდში. მხოლოდ უცლასო სოციალისტურა-საზოგადოება არის სრულყოფილი ჰუმანური საზოგადოება. კარლ მარქსის აზრით სრულყოფილი კომუნისმი უფროს სრულყოფილ ჰუმანისმს და პირველ, სრულყოფილი ჰუმანისმი სრულყოფილ კომუნისმს.¹

პარტიის ახალი პროგრამა საშაბლოლიანდ ითვლება სოციალისტური ჰუმანისმის უდიდეს დოკუმენტად. მასში ასახულია კომუნისმის ისტორიული მისია: „იქსნას ყველა ადამიანი სოციალურა უთანასწორობისაგან, ყველა ფორმის სიყვარისა და ექსპლოატაციისაგან, ამის საშინელებისაგან“. პროგრამა მოითხოვს მთელს დედამისმზე დამკვიდრდეს მშე დობა, თავისუფლება, შრომა, მშობა და ბეჯინერება. კვლტურისა, განათლებისა და მეცნიერება ცოდნის განვითარების დარგში ახალი პროგრამა მიზნად ისახავს „პროგრესების ყოველმხრივ, პარმონიელ განვითარებას, სტლური კვლტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნას“...

ნაცვლად ძველი, ბერეუმიული საზოგადოების პრინციპისა: ადამიანი ადამიანისათვის მეტელია, პარტიის ახალი პროგრამა აყენებს პრინციპს: ადამიანი ადამიანისათვის ყველბარი, მშანავი და მშა, და ჰუმანისმის ყველბურ უფრო მაღალ იდეალად მშანა ადამიანთა და ხალხთა შორის „ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის დამკვიდრება“.

სიტყვა „ადამიანი ისმის ამაყად“ ამბობდა მარქსი გორკი და მართლაც საამაყო ნამდვილი ადამიანობა, ნამდვილი მოქალაქეობა.

ადამიანი ადამიანთ ცხოვრობს. ერთი ყველასათვის ყველა ერთისათვის“ არის ისტორიულად შემუშავებული მოწოდება, მედამ

ცხოველყოფილი ლოზუნგი ყველა დროის მშრომელი ხალხისა. ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება არის თავი და ბოლო ხალხის არსებობისა და განვითარებისა. ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების ბუნებერების ამოცანის ეშასურება. მეცნიერება და ტექნიკა, კაცობრიობის ყოველი მონამოვარი. ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება არის მიზანი, ყოველზე დანარჩენი კი — საშელება.

ჰუმანობა — ყოველი მორმალური ადამიანის განუყოფელი თვისება, მეგრამ მისი სრული გამოვლინება და განხორციელება ყოველთვის არ შექძლი მის. ადამიანს შექძლი ბრძოლა ჰუმანისმისათვის. და მართლაც იბრძვის იგი მისთვის უსოვარი დროდამ.

კავიტლისტური საზოგადოების მორალი მეტობად გამოხატავს მშრომელი ადამიანის უბეში ექსპლოატაციის სინამდვილეს, მამტრი კლასობრივ ანტაგონისმი ბერეუმიისა და პროლეტარიატს შორის მასში მომას თავის შიმევილი სახით. კარლს კავიტობა, ყოველგვარი ბორტების წყარო, კავიტლისტური საზოგადოებაში აღიარებულია ხელშეუხებელ კანონად.

კავიტლისტური წარმობის საფუძველზე უფრო მეტად ძლიერდება მუშის ექსპლოატაცია და წინამდვილობა ადამიანისა და საზოგადოების შორის. ამავე საფუძველზე წარმოიშვა მიზანტობა, კაცობრივობა, რომელიც ფილანოფიისა ტ. გობსმა გამოხატა რამეველი კომუნისტობის ტიტ პლეტის ფორმულით: „ადამიანი . ადამიანი ათვის მეტელი“.

კავიტლისტური საზოგადოება, ე. ლენინის დახასიათებით „დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: „ან შენ მარცხე სხვას, ან სხვა გმარცხავს შენ, ან შენ მეშობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და ვასაგები, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რჩესთან ერთად ითვისებდნენ ფსიქოლოგისა, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან მწარილი მესაკუთრე. ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმზე

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. из ранних произведений. 588.

ზრუნავს, რომ თავისი პეონებს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს“.¹

ასეთი სოციალურებით ადამიანი არ შეიძლება არ იყოს გამსჭვალული მესაკუთრულ-ფეოდალის მორალთა და ფსიქოლოგიით. მისთვის არაფერი არსებობს, გარდა თავისი საკუთარი ინტერესებისა, გარდა საკუთარი კეთილდღეობისა, არავითარი საზოგადო საქმე მას არ აღუდგებს, არ იზიდავს, ის ყოველთვის მზად არის სხვის უბედურებებზე აკეთოს თავისი ბედნიერება, მზად არის ფუჭქვეშ გათვლოს პატიოსანი ადამიანის ღირსება.

ბერეკუთხედილი საზოგადოების წევრთა შორის, მათი კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიას გამო, არსებობს ინტერესთა ისეთი წინააღმდეგობა, რომ, როგორც ფრანგი ეტოპისტი შარლ ფურერე აღნიშნავდა, გვიან უნდა იმატოს ავადმყოფობამ, მღვდელს — სიკვდილიანობამ, იურისტს დანაშაულობამ. ასეთ პირობებში ადამიანთა ნაერთი ინტერესებზე, ისე როგორც ჰუმანიზმზე, ლაპარაკიც არ შეიძლება.

კერძო საკუთრებასა და კონკურენციის საფუძველზე დამყარებული საზოგადოების ვახტორებულ კლასებს არ გააჩნიათ ჰუმანიზმი. ის ვაშორაცხელია მათი მორალიდან. მათ არ შეუძლიათ პედაგოგიკად განწყობა ურობითობისადმი, ვინაიდან მათ შორის ხეფენ ფარულთა და აშკარა ბრძოლა კონების შესაქნად და პრივილეგიების მოსაპოვებლად, ურთიერთის დასამცირებლად. მათ არ შეუძლიათ პედაგოგიკად აქნან განწყობით ანუ დამორჩილებული კლასის ანუ ღირებულებათა შემქმნელი მშრომელი ხალხის მიმართ, ვინაიდან ისინი ახდენენ მის ექსპლუატაციას, ითვებენ მისი აუნაზღაურებელი შრომის პრივილეგიას და აძიებენ მათ არა აქეთმშრომელი ადამიანის არამც თუ პატრისცივი — სიბრალულიც კი.

ანტაგონისტურად განწყობილ კლასობრივ საზოგადოებაში ჰუმანიზმი შეიძლება იყოს მხოლოდ მშრომელ ხალხში და მისი ინტერესების გამომხატველ პროგრესულ სოციალურ ფენებში, მოწინავე ინტელიგენციაში.

შუა საუკუნეების აღორძინების პერიოდის ჰუმანიზმი დასავლეთ ევროპაში, როგორც დიდი საზოგადოებრივ-ეკლესიური მოვლენა, ამ პერიოდის იდეოლოგიურ შინაარსს წარმოადგენდა. ჰუმანიზმის იდეები ღრმად შეიჭრა მეცნიერებასა და ხელოვნებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰუმანიზმის იდეები არ სცილდებოდა ინტელიგენტური ფენების აზროვნებას და მოღვაწეობას და ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რთიმე ქვედით გავლენას ვერ აწუხებდა.

აღორძინების (რენესანსის) პერიოდის იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ესპანეთის

ჰუმანიზმები, ფერწერის დიდი რასტრუცი და მწერლები, ფილოსოფოსები და პედაგოგები მე-14 საუკუნიდან სამასი წლამდე მწიფდებოდნენ პიროვნების ადამიანური უფროსობათა პატივისცემას, მის თავისუფლებას, სოციალურ თანასწორობას, ერთობას, მიათხოვდნენ ქალთა უფლებებზე ვათანასწორებას მამაკაცებთან. ისინი აზრბობდნენ რელიგიური ფანატიციზმისა და ანტიტიზმის წინააღმდეგ, უპირატესობას აძლევდნენ ამბევენიერ ცხოვრებას, მთელი მისი სიამოთა და სიმწარით, ამბევენიერ სამთხოვსაან წედარებით და მოუწოდებდნენ ყველას დამტბარეყვენ სიცოცხლის სიღამებით, ბუნებით, ფიზიკური განსაღობით. ჰუმანიზმები ვერცერთი, რაბლა, მონტენი, ერასმ როტერდამელი, გვეესა და სხვები) მითხოვდნენ ბაქშეთა პარამონულ განვითარებას, მათ რელიგისტურ განთლებას, სწავლების ახალ მეთოდებს, მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებობათა ცოდნის და მათგამი დიფერენციულ მიღვამას, აუცილებლად მიიწინააღმდეგებდნენ სწავლებას, შრომითი აღზრდა. მაგრამ მიუხედავად ასეთი მოწინავე იდეებისა, აღორძინებისა, შემდგომი პერიოდის ჰუმანიზტები ვერ მიასწავდნენ აზრს, რომ პიროვნების ნამდვილი განთავისუფლებისათვის, ე. ი. ნამდვილი ჰუმანიზმისათვის, პირველ ყოვლისა, საქირო იყო თეთი საზოგადოების გარდაქმნა. ყველაზე უკეთესი, რაც მათ გააკეთეს ჰუმანიზმისათვის — ეს იყო მათი ბრძოლა კლასიური (ანტიკური) ლიტერატურისა და ფილოსოფიის აღდგენა-აღორძინებისათვის, რადგანაც ის მიიწინააღმდეგებდა რელიგიისა და კლასის მკაცრი წესებისაგან პიროვნების განთავისუფლებას და მისი განთავისუფლების მთავარი საშუალება.

ჰუმანიზმის პრობლემის გადაჭრისათვის უფრო ახლოს მივალდებენ ეტოპიური სოციალიზმის აღორძინებას და მოგვიანო წარმომადგენლები: შორო, კანანელა, სენ-სიმონი, ფურერე, ლენინი. ადამიანის განთავისუფლების საშუალებად ისინი აღიარებდნენ საზოგადოების გარდაქმნის საყოველთაო შრომისა და მისი პროდუქტების თანაბარი განაწილების პრინციპის მოხდევით. მითხოვდნენ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობას, მის თანასწორობას, თავისუფლებას, განთლებას, და მამისადავმე, მისაღმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, მაგრამ ეტოპისტებმა არ იცოდნენ ბერეკუთხედილი საზოგადოების გარდაქმნის რევოლუციური გზა. ისინი დარწმუნდნენ იყვნენ, რომ კერძო მესაკუთრეთა, ანუ საწარმოთა პატრონების კეთილი განწყობილება ღირსი ხალხის მიმართ, კავშირყოფიერება, ღმობიერება და სხვა სუბიექტური სურვილები საქარისი იქნებოდა ჰუმანიზმის მშვიდობიანი განსორციელებისათვის.

საფრანგეთის დიდი მწერალი ენ-ჯაკ რუსო აღიარებდა: „ყველაფერი კარგია, რაც გამოდის შემოქმედის ხელიდან, ყველაფერი ფუჭ-

¹ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31 გვ. 352-353.

დება ადამიანის ხელში". მან იცოდა, რომ ადამიანი თავისუფალ პიროვნებად იბადება, რომ ის ზუნებით თავისუფალია და თავისუფლად უნდა იხრდებოდეს, მაგრამ საზოგადოება ართმევს მას თავისუფლებას, როგორც მის ზუნებაზე უფლებებსა და თავისუფლო განათარების შესაძლებლობას. ამის მთავარ მიზეზად რუსო სამაჩთლიანად თვლიდა კერძო საკუთრების და ამის ნადავზე აღმოცენებულ წინააღმდეგობას პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, მაგრამ ის მიაჩნ ურთვედობა კერძო საკუთრებისა და მასზე დამყარებულ კლასობრივი საზოგადოების პიროვნებას ეჭვბემა როგორც პიროვნების განათვისუფლებას, ისე, საერთოდ, ჰუმანიზმის შესაძლებლობას.

მე-18 საუკუნის ყველაზე უფრო განსკოთხებული მნიშვნელობის მოკლემა. ჰუმანიზმის ისტორიაში იყო საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულა რევოლუციის (გრანოვლო კრების) 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. მართალია, ეს დეკლარაცია გამოდიოდა დიდ განმანათლებელთა (მონტესკიე, რუსო, დიდილი) ჰუმანიტური იდეებისაგან და მოათხოვდა ადამიანის ზუნებრივ უფლებათა დაცვას, სიტყვისა და ბუნებრივ თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, მაგრამ ის ძალაში ტოვებდა კერძო საკუთრებას — მამასა და მე ღირსისა და სუსტის ექსპლოატაციას მდიდრისა და ძლიერის მიერ და ამით ფაქტურად სპობდა ნამდვილი ჰუმანიზმის საფუძველს.

ვერც ლოდვივ ფიორბანი ჩასწვდა ჰუმანიზმის ნამდვილს არსს. ის ცნობილია როგორც ანტროპოლოგური მატერიალიზმის წარმომადგენელი, მაგრამ მისი „ადამიანი“ არის ყველა დროისა და მდგომარეობის, და, მაშისადამე, ზოგადი, აბსტრაქტული ადამიანი. ის უფრო მითოლოგური არსებია ვიდრე სოციალური. ფიორბანმა ფიქრობს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობას განსაზღვრავს არა ეკონომიური ცხოვრება, არამედ შორალურა პრინციპები, ამიტომ მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული, მეგობრობა, პატივისცემა, დობა მამიანა მის სიყვარულ საყოველთაო ჰუმანიზმის დასამყარებლად.

რუსოსისა და საქართლოის რევოლუციური დემოკრატები—ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ძლიი ჭავჭავაძე და სხვები ჰუმანიზმის უფრო მოწინავე იდეებს იცავდნენ. მათი აზროვნება და პრაქტიკული მოღვაწეობა გამსჭვალელი იყო ადამიანისადმი მტანხრობე სიყვარული, ნერასოვი ამბობდა, რომ ბელინსკიმ „ჰუმანურად აზროვნება გესწავლა“. ეს ყველა მათგანზე ითქმის. რევოლუციური დემოკრატები ფიქრობდნენ, რომ ჰუმანიზმი განვითარებისა და პროგრესის ძირითადი ნიშანია, ხოლო სისასტიკე ჩამორჩენილობის დამახასიათებელი თვისება. მათი აზრით, ყველას მოწოდებას უნდა შეადგენდეს: იყო ს ა დ ა მ ი ა ნ ი, კ ა ც უ რ ი კ ა ე თ. ისინი ადამიანში ადამიანს

უძებდნენ, ე. ი. თავის დროის რეალური ადამიანი — უკეთეს ადამიანს. ამასთან ბ. ბელინსკი გარკვეულად აღნიშნავდა, რომ „რევოლუციური რევოლუციონობა და თავისუფლება“ უნდა იყოს მხოლოდ სიმართლესა და მშველობაზე დამყარებულ საზოგადოებაში. მაგრამ არც მას ესმოდა ასეთი საზოგადოების შექმნის სწორი, რევოლუციური მეთოდი და მეშათა კლასის როლი მის შექმნაში.

ბურჟუაზიული ჰუმანიზმის მწვერვალს წარმოადგენდა კანტის იმპერატივი: „მოიქეცი ისე, რომ შენი ყოფაქცევის წესი შეიძლებოდეს ყოველთვის გახდეს სავითო კანონად“. კლასობრივ საზოგადოებაში ყოფადიკვის ასეთი უნივერსალური წესი და საერთო კანონი არ შეიძლება არსებობდეს. ამასთან კანტისეული ეთიკის ფორმულა: „მოიქეცი ადამიანს ისე, როგორც შენ გინდა ის გექცეოდეს“, ერთი შეხედვით, მართალია ჩამოყავს მთელ ჰუმანურ პრინციპს, მაგრამ არსებითად იგი მერკანტილური აზრისა და შორსა სრული და ნამდვილი ჰუმანიზმის პრინციპიდან. ადამიანს უნდა ექცეოდეს ისე, როგორც მისი საზოგადოებრივი ინტერესები და პირადი ღირსებები მოითხოვენ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გექცევა იგი შენ ამაყად ან ვინდა ექცეოდეს მომავალში. თუ მას შეგნად უფრო მეტი დამმარება და ყურადღება სჭირდება, ვიდრე მას შეუძლია შენ აღმოგინოს, — არ უნდა მოაკლო მას ასეთი დამმარება და ყურადღება თუ ეს მისთვის მართლაც აუცილებელია და შენ კი შეგაძლია. წმ ი ნ დ ა მ ო რ ა ლ უ რ ა გ რ ძ მ ბ ა ს ა ს წ ო რ ზ ე ა რ ი წ ო ნ ე ბ ა და ა რ ც ს ა მ ა გ ი ე რ ო ს მ ო თ ო ს ო ე ს.

ბურჟუაზიული საზოგადოებას ჰუმანიტებმა ვერ შესძლეს ჰუმანიზმის პრობლემის სწორი გადაჭრა. ისინი აყენებდნენ პრობლემის განთავსუფლების იდეას, მაგრამ ისაზღვრებოდნენ მხოლოდ თეორიებით, მოწოდებით, დეკლარაციებით. მათი ბაძოლა იმ იდეების განხორციელებნათვის არ სცილდებოდა ლტერატურია, აზრნასა და კულტურის. მას არ ჰქონდა პოლიტიკური სიმშველე, არ იყო დავაშორებულ ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებასთან. ისინი ვერ მისწვდნენ იმ აზრს, რომ პიროვნების, როგორც საზოგადოების წევრის განათავსუფლება არ შეუძლებოდა თვით საზოგადოების განთავსუფლების გარეშე.

სოციალისტური ჰუმანიზმი, როგორც ჰუმანიზმის უმაღლესი სახე, ასახავს ადამიანისადმი ადამიანის დამოკიდებულების სოცოეთესო ნორმებს, შეუშვავებულს საზოგადოებრივი განვითარების თვით მანიძლზე. სოციალისტური ჰუმანიზმი არა მარტო აღიარებს მშრომელი ადამიანს

1 ბ. ბელინსკი, ჩიეული ფილოსოფიურ-თხზულებანი, 290, 1948.

შიანის პიროვნების ნამდვილ თავისუფლებასა და განვითარებას, არამედ ამასთან გულისხმობს მის რეალურ განზორციელებას.

პირველი ძირითადი ნიშანი სოციალისტური ჰუმანიზმისა არის პიროვნების თავისუფლება. პიროვნების თავისუფლება გულისხმობს მისი შრომის, სიტყვის და ყოველი სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების თავისუფლებას. ცხადია, პიროვნების თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი გეონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ნორმალური პირობებით.

თავისუფლება იყო აღმავანებისა და ხალხთა სასოციალური მოთხოვნილება, მათი სანუკვარი ოცნება, მუდმივი მისწრაფების საგანი. თავისუფლებას შენატოდნენ და უმღეროდნენ პოეტები. მისი მოპოებისა და შენარჩუნებისკენ მოუწოდებდნენ მეცნიერებარ, საზოგადო მოღვაწენ; თავისუფლებას სიყვარულს მუყუადა ხალხის სამკედრო-სასოციალური ბრძოლაში შემოსეულ და შინაგან შტრებთან. მას ეწვირებოდა საუკეთესო აღმავანთა სოციალური.

ცნობილია, რომ აღმავანი თავისუფალი შეიძლება იყოს, როცა მის გეონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად სრულიად დამოუკიდებელია სხვისგან. ასეთ დამოუკიდებლობას შტრტულია გართულებული შრომითი აღმავანთა არც არავის ყმა გუოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი პერა, ძველი ღვინო წლიდან-წლამდე გამყოლია" არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის, ვინც სხვისი შონაა, არც ის, ვინც სხვაზე ბატონობს.

თავისუფლება, მოპოვებული აღმავანის მიერ თავისი საკუთარი შრომით, უნდა იყოს წმინდა, ხელშეუხებელი, ის უნდა იყოს ბატონეპმული ყველას მიერ.

ჰუმანიზმის სხვა ნიშნები ბევრით არიან დამოკიდებული პირველ მის ნიშანზე — პიროვნების თავისუფლებაზე.

ჰუმანიზმის განზორციელება შეიძლება მხოლოდ აღმავანთა სოციალური და იურიდიული თანასწორობის პირობებში. თანასწორობა გეონომიურად ყველაათვის ერთნაირ უფლებას შრომისზე, განათლებაზე, განმარტოების დაცვაზე, დასვენებაზე და ამ უფლების არა მარტო აღიარებას, არამედ მის სრულ პრაქტიკულ უზრუნველყოფას სახელმწიფოს ან საზოგადოების მიერ. აღმავანთა თანასწორობა მოითხოვს შრომის ანაზღაურებას შრომის პროდუქტის ღირებულების მიხედვით, ხოლო თანასწორობის უმაღლესი სახე იქნება ჰუმანიზმის კომუნისტური პრინციპი — ყველასაგან უნარის მიხედვით, ყველას მოთხოვნილების მიხედვით.

პირადა და საზოგადოებრივი ინტერესების ერთნაობა გულისხმობს საზოგადოების საერთო ინტერესების ვადამყევას მის ცალკეულ წევრთა ინტერესებზე, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების ერთმანეთისაღმი დამ-
10. „მნათობი“, № 8.

თხვევას. ეს შესაძლებელი იქნება, როცა პიროვნების ყველა კანონიერი ანუ სამართლიანი მოთხოვნილება საკუთებით დამყოფილებდა სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, როცა განზორციელება შრომით ხალხთა და აღმავანთა საუკუნობრივი ოცნება: „ერთი ყველა ახალგის, ყველა სოციალისტის“.

წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, როგორც ვიცით, კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ ის შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ასეთი სოციალური საფუძველი არ არსებობს, მაგრამ პიროვნება ისაღებრება თავისი ცხოველური მოთხოვნილებების დამყოფილებით, რაც სხვას (მეორე პირს, საზოგადოებას) უპირისპირდება, ზიანს აყენებს, სურათზე ამბობდა: ჩემი სხეული ჩემი მხოლოდ, მაგრამ ჩემი მე არ არის იგი, ე. ი. აღმავანი უფრო მეტია, ვიდრე მისი სხეული. აღმავანის სულიერი არსი უფრო მაღალია, ის ვერ უნდა დაფაროს მისმა ფიზიკურმა არსმა.

წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ზირად იმითაცა გამოიწვეულია, რომ პიროვნება საკუთარ ნაკლს ვერ ხელავს თავისი ნაპირისნილობის გამო, ვერ ახდენს მის ობიექტუალურად, ვერ ამხნევს ღირეს თავის თვალში. ხოლო, როცა ეს ნაკლი მას არ სურს დანახოს, მაშინ საჭმე გვაქვს მის ეგოიზმთან. პიროვნებას დამირისპირება საზოგადოებასთან შეიძლება გამოიწვიოს ძველი ცხოვრების სხვა ვაშპონაშთებზე და, ცხადია, ყოველივე ის რაც ხელს უწყობს ამ დამირისპირებას უნდა აღმოფხვრას აღმავანის შეგნებლად.

რამდენადაც არ არსებობს პიროვნება საზოგადოების ვარემე, ისე როგორც საზოგადოება პიროვნების ვარემე, იმდენად უკლასო სოციალისტური საზოგადოების ინტერესები არ შეიძლება არ გამოხატაქვს პიროვნების ინტერესებს და პირუკუ. მოსაზრა ყოველგვარი წინააღმდეგობისა და დამირისპირებისა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის შექმნის ნამდვილ პირობებს იმისათვის, რომ აერთოს თავისუფალი განვითარება იყოს პირობა მეორის თავისუფალი განვითარებასა“ (შარქში).

კოლექტივიზმი და მისი ანალოგი მოკლებულია მეტობრობა, ამხანაგობა, კოლექცილობა წარმოადგენს აღმავანის ისეთ ფსიქოლოგიურ თვისებებსა და სოციალური ურთიერთობის ისეთ ფორმებს, რომლებშიც ყველაზე უფრო მაგვიოდ იჩენს თავს ჰუმანიზმის პრინციპი. კოლექტივი, როგორც საზოგადოებრივი უკრული, არის აღმავანის შრომისა და მოღვაწეობის საუკეთესო სტერა, პიროვნების ინდივიდუალურ ძალთა თავისუფალი გამოყენებისა და გამოითარების ფართო ასპარეზი. კოლექტიური შრომის საფუძველზე მტკიცდება აღმავანთა სოციალური კავშირი და ურთიერთობა. კოლექტივი შრომის პროცესში ჩამუშავებული აღმავანების აქტი-

ური მონაწილეობით და თანამშრომლობით იქმნება საერთო საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქტი და ამდენად ყოველი მათგანი ზღვება ერთმანეთისათვის აუცილებელი, რაც იწვევს და ამტკიცებს მათი ურთიერთდახმარების გრძნობას, ერთმანეთისადმი შეგობრობას და ურთიერთის მოქალაქეობრივ ღირსებათა პატივისცემას.

თავისუფალი შრომა არის როგორც შეძლებული ცხოვრების, ისე კეთილშობილების წყარო. შრომა არის ადამიანის მოწოდების საგანი, მისი ღირსების სახეობა, შრომისმოყვარეობით იწყება ადამიანის პიროვნების ნამოყალიბება, შრომაში იქმნება მისი ხასიათის ძირითადი თვისებები და მათ შორის — ჰუმანიზმი. შრომა ადამიანს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს საზოგადოებასაგან ის, რაც მას ეკუთვნის, რაც მას დამსახურებული აქვს: თავის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ჰუმანიზმი მოითხოვს ყველა პიროვნებას ქონებს თავისი შესაფერისი მორალური და უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა დამოკიდებული უნდა იყოს მის შრომაზე, შრომის პროდუქტის საზოგადოებრივ ღირებულებაზე და არა თანამდებობაზე, ან ქონებაზე.

სიყვარული და პატივისცემა პიროვნებისადმი გულისხმობს სიყვარულსა და პატივისცემას მისი შრომის და აღზრდელი ერისადმი, მაგრამ რამდენადაც ყოველი პიროვნება ამა თუ იმ ერის შეილა და ყოველ მათგანს მოეთხოვება ურთიერთის პატივისცემა, იმდენად სოციალისტური ჰუმანიზმი არის როგორც პატრიოტული, ისე ინტერნაციონალური ბუნების მოვლენა.

პიროვნება დასდება იმ დამსახურების მიხედვით, რომელიც მას მიუძღვის ადამიანისა და საზოგადოების მიმართ. მაგრამ ყოველი პიროვნება, ემსახურება რა იგი ადამიანსა და საზოგადოებას საერთოდ, ემსახურება როგორც ერს, ისე კაცობრიობას. „იქვე გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარული, — წერდა იყვან გოგება შეილა, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ანხორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლისა და თვისტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც უფრო ახლია მასთან და, მაშასადამე, არის კუშიარტი პატრიოტი. მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართალიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო მშობის მალაი გრძნობის განხორციელებას.“¹⁾

ცნობილია, რომ შრომულ ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ურთიერთ მხარდაჭერის გაჩენა არ შეიძლება სოციალიზმის საბიოლო გამოჩენვით. არც ისაა უცნობი, რომ

ხალხთა და მათ წარმომადგენელთა სოლიდარობის საფუძველი არის ხალხთა შეგობრობა, ხელო ხალხთა შეგობრობა შეუძლებელია ამ ხალხთა და მათ წარმომადგენელთა ურთიერთ პატივისცემასა და საერთოდ, ჰუმანიზმის გაჩენვით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოციალისტური ჰუმანიზმი არ იფარგლება ერთი სახელმწიფოთი, ის არის ინტერნაციონალური მოვლენა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი.

ადამიანი არის კაცობრიობის მთელი მატერიალური და სულიერი კულტურის შემოქმედელი. ყოველ ადამიანს გააჩნია აქტიობის უნარი, რომელიც ზოგნი აღვიდად იჩენს თავს და მის შრომაში ვლინდება, ზოგნი კი თვლემს, პასიურ მდგომარეობაშია. ჰუმანიზმი გულისხმობს და მოითხოვს პიროვნების შემოქმედებითი უნარის ჩრქუნას, მისი გამოწვევისა და თავისუფალი განვითარების პირობებს.

ყველა ადამიანს უნებარს სიცოცხლე, მაგრამ არა უმინო და უფერულა სიცოცხლე, არამედ აზრიანი, ღამაზი და საზოგადოებრივი ღანიშნული და მქონე სიცოცხლე. კაცი განილია არა მარტო იმისათვის, რომ ჰქონს და ოჯახის წევრებს არაფერა მთავლავს. ზრუნა მსოფლიო საკუთარ თავზე და საკუთარი ოჯახის კეთილმოწყობაზე ამკირებს ადამიანს, დაბალი ინსტიქტის ცხოველის მდგომარეობამდე დაჟყავს იგი, სოციალისტური ჰუმანიზმის მიხედვით ღამაზა მხოლოდ იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელიც იწვევა საზოგადოებრივ მოვრებებს, ზრუნავს ხალხის მალა იფარგლება, მის კეთილდღეობაზე და ცოცხლობას მისი ინტერესებით. ამაშია სიცოცხლის აზრი.

ადამიანის შემოქმედებითი ძალის რჩენა გულისხმობს მისადმი ნდობას, მისთვის შესაფერისი მოვალეობის დაკისრებას. „რაც შეიძლება მეტი პატივი ეცე ადამიანს და რაც შეიძლება მეტი მოთხოვე მას“ — წერდა ანტონ მკარჩენო. პიროვნების უნარის რჩენა, მისა დაფასება და პატივისცემა ახსენებს, ახლისებს და ენერჯის მატებს მას, უფრო ნაყოფიერს ხდის მის შემოქმედებას.

სოციალისტური ჰუმანიზმის ძირითად ნიშანთა შორის სიამაყეს თავისი სპეციფიკური ადგილი უჭირავს. სიამაყე საკუთარ ადამიანურ ღირსებათა შეგნების საფუძველზე პიროვნების საქსებით ბუნებრივი და კანონიერი თვისებია. ადამიანი, რომელიც გრძნობს თავის დამსახურებას სახალხო საქმის ამა თუ იმ უბანზე, შეძლებდა ამაყობდეს თავის მიღწევებით და ამის გამო გრძნობდა ერთგვარ უპირატესობას. ამაში საძრახისი არაფერია.

თავისუფალ პიროვნებას შეუძლია იამაყოს საკუთარი წარმატებებით, საზოგადოების ყურადღებით, თავისი შრომის მიუდგომელი დაფასე-

¹ Правда о Тифлисе, 3.

ბით. საამაჟო ვარძობა უნდა ქონდეს იმ ადამიანსაც, რომელიც ჭერჭერობით მოკლებულია თავისუფლებას, მაგრამ სწორედ თავის ადამიანურ ღირსებათა შეგნების გამო, იბრძვის თავისუფლებისათვის. საამაჟის გარძობა ხელს უწყობს ადამიანს ქელს არ იბრძოდეს. უკუნი ძალის წინაშე და არ ურიგდებოდეს თავისი პიროვნებასა და ხალხის დამამტარებელ მდგომარეობას.

პიროვნების ბუნებრივი ანუ ზომიერი საამაჟე ხალხის თავდადებელი სამსახურის, ადამიანის სიყვარულის, გულკეთილობის და ყოველი კეთილშობილური მოქმედების გამო, არის ადამიანის დადებითი თვისება. ის შეიცავს თავისუფლების გრძნობას და ცხადია, გამორიცხავს ყოველგვარ ქედმაღლობას, მედიდერობას, ყოყორობას, ბეჩიობას, ტრაბახს და ამპარტავენობას, როგორც უარყოფით თვისებებს.

ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამამშენებელ თვისებას წარმოადგენს თავმდაბლობა. პატრიისცივით სარგებლობს ყველა ის, ვინც ნაკლებად ლამაზკობს თავის დამსახურებაზე. ურიდება თავის ქება-ღიდებას, ვაჭრების სხვის შეწუხებას პაჩად სამშეზე, მოკრძალებით და პატრიისცივით ეპყრობა ყველას, ცდილობს არსად და არსდროს არ წიმოწიოს თავისი უპირატესობა სხვებთან შედარებით. არ იხვს უკადრლობას დაბალი თანამდებობისა და სოციალურ მდგომარეობის პირთა მიმართ, არ ერიდება არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს, ვერავითარი მაღალი თანამდებობა იწოდება ვერ ავარგვიანებს ზომიერების გრძნობას და ყოველთვის ახსოვს მაქსიმ გორკის სიტყვები: „იყო ადამიანი ყველაზე უფრო დიდი თანამდებობაა“.

ერთ-ერთი ძლიერი პირობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანში თავმდაბლობის განმტკიცებას, არის ვანათლება. რაც უფრო ვანათლებულია ადამიანი, ის, როგორც წესი, უფრო თავმდაბალია. ვანათლებულმა კაცმა კარგად იცის რაში მდგომარეობს ადამიანის ღირსება, იცის თავისი და სხვისი ფასი. კომპოზიტორი შ. გუნსო პირველად ძლიერ დიდა წარმოდგენისა იყო თავის თავზე და ვერ აფასებდა გენიალურ კომპოზიტორს ე. მოცარტი. მაგრამ ბოლოს, ვა-

ნათლებლისა და გამოცდილების შედეგად, ამბობდა: „როცა იცი წლის ვიყავი, მე მხოლოდ რემ თავს ვცნობდი, თუდაათი წლის ასაკში ვამბობდი: მე და მოცარტი, რომელი წლის ასაკში — მოცარტი და მე, ახლა კი — მოცარტი“. სწორედ ცოდნამ შესძინა გუნსოს, როგორც თავისი, ისე სხვისი მიუღწეველი დაფასების უნარი.

თავმდაბლობა პიროვნების საამაჟო მონაპოვარია. ის ადვილად შეიძინება, მაგრამ ძვირად ფასობს. ვისაც ესმის თავმდაბლობის მნიშვნელობა — უფრთხილდება მას როგორც მაღალ თვისებას, როგორც თავისისინს.

სოციალისტური ქაშანიში, როგორც აღვნიშნეთ, თავის მკაფიო გამოხატულებას პოუვებს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაში, ყოველმხრივ განვითარება გულისხმობს პიროვნების ფიზიკური და სულიერი ძალების თავისუფალ განვითარებას და პირველ ყოვლისა — მის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ განვითარებას და პრაქტიკული შემოქმედების უნარის შემუშავებას, გონებრივ და ფიზიკური შრომის ერთთანობის საფუძველზე.

პიროვნების ყოველმხრივ განვითარების რეალური განხორციელებისათვის საჭიროა მისი უზრუნველყოფა განმარტობით, შრომით, განათლებით, კარგი ბინით, წესიერი დასვენებით და ადამიანური ცხოვრების სხვა პირობებით. ყოველმხრივ განვითარება პიროვნებას უქმნის ფართო ასპარეზს თავისი ცოდნისა და უნარის სრულყოფისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეუზღუდავად გამოყენებისათვის. ის არის ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების წყარო, ჰუმანიზმის ნამდვილი განსახიერება.

მხოლოდ ექვასო სოციალისტურ საზოგადოებაში, კომუნისში, როდესაც დამკვიდრდება პიროვნებასა და საზოგადოების სრული მარმონია, „ღებულობს ინდივიდი იმ საშუალებებს, რომლებიც აძლევენ მას თავის მიდრეკილებათა... და ყოველი თავისი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ნიჭის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და ამოქმედების შესაძლებლობა“.1 ეს იქნება ჰუმანიზმის სრული და ნამდვილი განხორციელება.

გივი ბეჩუაშვილი

მხატვრული თარგმანის თეორიის შესახებ *

ამ წერილში ვცდივარ არ შევიჩივრებდი სკეპტიციზმის სხვადასხვაგვარ ფორმებზე, რომელიც ამჟამად მხატვრული თარგმნის თეორიის მიმართ არსებობს. სკეპტიციზმის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს რაიმე მოკლე წინადადებისაგან შემდგარი ფორმულა: რა თეორია, რის თეორიაა უნდა თარგმნის ნიჭიერი, მორჩი და ვათავდა! მართალია და, ეს რეპლიკა არ არის მოკლებული სიმაართეს. არ შეიძლება თარგმნის ნამდვილი ნიჭის და შთაფრენების გაჩვენება. ევრაეითარი თეორია ვერ გვიშველის, თუ ნიჭი არ გვწყალობს. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა შევეცადოთ სკეპტიციზმს. განათეორიო იმისთვის გუნდა, რომ იმით შევიცადოთ ნიჭი ან გავიხადოთ იგი სახელმძღვანელო? პრაქტიკა მედამ მალა დგას ყოველ თეორიასზე, მაგრამ უთეორიოდ პრაქტიკა დარჩებოდა შეუცნობელი და უპერსპექტივო თავის განვითარებაში. განა შესაძლებელია წარმოადგინოთ ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც არ ხდებოდეს მსჯელობის საგანი და რომლის შესახებ მკითხველები არ უზიარებდნენ ერთმანეთს თავის შთაბეჭდილებებს? ხილო ეს ზომ თეორიაა მის ჩანასახ ფორმის, და თეორიის მეტად მალა დგას ფორმაც იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნების შემფასებელი ღრმად ედებურელი ადამიანია. ასეთივეა ვითარება, როცა საქმე გვაქვს მხატვრულ თარგმანთან, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს. მხატვრული თარგმანის, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, შობს თავის თეორიას, როგორც პრაქტიკის განვითარებას. რომელიც ხელს უწყობს იმავე პრაქტიკის შემდგომ განვითარებას.

ყველაფერი ეს საყოველთაოდ ცნობილი ჰქმნა-რიკობა. მაგრამ იგი საჭიროებს ისევ და ისევ გამეორებას იმ მიზნით, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაძლეულ იქნას ვერ კიდევ აღმოუფხვრელი სკეპტიციზმი, რომელიც თან სდევს ყოველ ახალ საქმეს.

არის კიდევ ერთი გარემოება. სიტყვიერებაზე

ლოვნების არც ერთი სახეობა არ წარმოშობს იმდენ წინააღმდეგობრივ მსჯელობებს, რამდენსაც მხატვრული თარგმანი. ამიტომაც იგი ყველაზე მეტად საჭიროებს ასე თუ ისე ზუსტად მოხაზულ კრიტიკულუმებს. თითქმის არაფერია ამათვისვე ისე გარკვეული და დადგენილი, როგორც თარგმნის პრინციპები და არსად იმდენი ბუნდოვანი აზრი არ არსებობს, როგორც მხატვრული თარგმანის უკვე ცნობილი პრინციპების გაჩვენება-გაგებაში. და ბოლოს, არაფერი ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, როგორც ყოველი თეორიული მსჯელობა თარგმნის საკითხებზე.

მოელ ამ მომწვევების ვარკვეულობას იმდენი არა-დარევა შეაქვს მხატვრულ თარგმანზე გამართულ თეორიულ მსჯელობაში, რომ სრულიად იოლ საქმედ ხდება ერთი და იმავე თარგმნის ქებაც და გინებაც. აი რატომ არის საჭირო და აუცილებელი მანამდე, ვიდრე მოვიწონებდეთ ან დავიწუნებდეთ მხატვრულ თარგმანს, წინასწარ შეეთანხმეთ ზუსტ კრიტიკულუმებზე ეს გარემოება უკვე ვარგა ხანია ვათავალისწინებულა ჩვენში, საბჭოთა კავშირში. აქედანაა ესოდენ მზარდი ინტერესი მხატვრული თარგმნის თეორიასადმი, თუმცა ეს ინტერესი გაიკრავილა მსწავლარგატაცა, არისაზა მარტო ედაძველ კითხვის გაცივს ახალი პასუხი, ჩვენი გეოქის შესაბამისი პასუხი, არამედ ედაც განვითარდეს, აიხსნას ყველაფერი აღრივე თქმული და შთინახოს მხატვრული თარგმნის პირობების რადაც მათერთ ვასაღებო.

ამემაღ არაიენ უაწყობს, რომ მხატვრული თარგმანი შემოქმედების ერთ-ერთი სახეობაა ყველა იმ თვისების ჩათვლით რაც შემოქმედების ახასიათებს. თითო-ოროლა მველევარი მანინც ედილობს მოქმენის ახალი საბუთები ამ ძველი ჰქმნარტების დასამტკიცებლად და შეამოქმდის მისი სისწორე. თემცა შემოქმედების ფარგლები შეუშინეველი და მიუწვდომელია, მაინც გვმართებს დაინახოთ მათი მოხაზულობა. ამიტომ აუცილებელი ხდება გამტკიცოთ ვერ კიდევ ეციტონის ან გეტამ მტარეს მიერ გამოთქმული ჰქმნარტება. თეთი დასაქვლთშიც კი, სადაც თარგმნის შეუძლებლობის რეაქციულ თეორიებს ეცლება ნიადაგი, უფრო და უფრო

* წაკითხულია მოხსენების სახით ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რევოლუციური კონფერენციასზე მხატვრული თარგმანის საკითხებზე, ამა წლის 18 მარტს.

ხშირად გაისმის კითხვა: მოვითხოვთ თარგმანის სიზუსტეს, მაგრამ როგორ სიზუსტეს? უნდა ითქვას, რომ ეს ერთი ძირითადი საკითხთაგანია, რომელიც მხატვრული თარგმანის თეორიის საგანს წარმოადგენს. რა არის სიზუსტე, როგორ უნდა იყოს იგი? რა პოზიციებიდან ხდება მისი გარკვევა და დადგენა? — აი, მხატვრული თარგმანის თანამედროვე თეორიის ძირითადი, უმარტივესი და იმავე დროს ურთულესი საკითხებია.

არ იწყებს გაკვირვებას ის ფაქტი, რომ მხატვრული თარგმანის თეორიაში სწორედ იწყებს ქვეყანაში ჰოვია ყველაზე ნოყიერია ნიადაგი, სწორედ აქ იწყო განვითარება. უდავოა, რომ არც ერთი ქვეყანა ისე არ არის დაინტერესებული სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ერთმანეთებთან კავშირით, როგორც საბჭოთა ქვეყანა. იქედანაა მხატვრული თარგმანის პრაქტიკის ესოდენ სწრაფი ზრდა და მთელი გამოცდილების განხილვების სასიცოცხლო საკურობა. სსრკ საბჭოთა მწერლების II ყრილობაზე წარმოდგენილი პ. ანტოკოლსკის, მ. აუზნოვის და მ. რაისკის მოხსენების ერთერთ ბრწყინვალე ფორმულაში ნათქვამია: «Переводимость как важная возможность общения народов между собой» — «თარგმნელობითი პრაქტიკა იგივეა, რაც ხალხებს შორის ურთიერთკავშირი, ამ ფორმულაში წარმოდგენილი არა მარტო ხალხების ურთიერთობასთან მხატვრული თარგმანის ორგანიული კავშირი, არამედ საბჭოთარი მხატვრული თარგმანის თეორიის ინდიფოტოფური საფუძველი; მასში კონდენსირებულია მხატვრული თარგმანის ამოცანები და შესაძლებლობანი.

არავის აკვირებს, აგრეთვე, მხატვრული თარგმანის პრაქტიკით და თეორიით მომხმ ხალხების სისხლ-პორცეული დაინტერესება. საბჭოთა ქვეყნის მკვლერი მომხმ ხალხებისათვის მხატვრული თარგმანი არის არა მარტო საერთო კვლტურის გამდიდრების საშუალება, არამედ ეროვნული ტესურების განვითარების, კომსოპოლტურ კვლტურაში ეროვნული კვლტურის ვითქვაფისაგან თვდაცვის საშუალებაც, ყველა საერთო საკაცობრიო, ინტერნაციონალური, და თავისი შინაარსით სოციალისტური მხატვრული ნაწარმოებებისთვის ეროვნული ფორმის შენარჩუნების საშუალებაც. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში ყველაზე წინ დგას დიდი რუსი ხალხი — რუსულ ენაზე გამოცემულია მრავალიცხოვანი, დიდად მნიშვნელოვანი შრომები მხატვრული თარგმანის თეორიიდან.

არ შეიქმრდება თარგმანის სფეროში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ გამოთქმულ საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მხატვრული თარგმანის საბჭოთარ თეორიას საკურობა არ

მოითხოვს, აგრეთვე, გვიხსენოთ რუსი მწერლების და მოაზროვნეების — ძუკოვსკის, მუშენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, შაქარმა გუარკის და სხვთა ასევე ცნობილი მოაზროვნები ამ საკითხში. მოკლედ შევხებით მხოლოდ მხატვრული თარგმანის საბჭოთარი თეორიის განვითარების უკანასკნელი ეტაპის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს.

უწინარეს ყოვლისა, გვერდს ვერ იფუძვლიათ ვ. ზუკოვსკის ღრმად მოფიქრებულ, განებამახვილ ბრწყინვალე წიგნს „მხალე ბელოვნება“. ეს არის წიგნი საქმის ღრმა მკოდნისა და მხატვრისა, რომელმაც წინ წამოსწია ყველა ძირითადი შემოქმედებითი საკითხი, რაც ასე აღუღებს და აწუხებს მოარგონებსაც და მკოდნეულსაც; საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ეს წიგნი დაიკავებს თავის შესაფერავ ადგილს და მასში აღბეჭდილ ისტორიულ ეტაპს გვერდს ვერ აუტყვის მხატვრული თარგმანის ისტორია, თუ თეორია.

არ შეიძლება არ გავისხენოთ ადევანტურა თარგმანის ის ფორმულა, რომელმაც ოცდაათწამ წლებში ჩამოაყალიბა ცნობილი ლიტერატურისმკოდნეუ ა. ა. სმირნოვისა. ადევანტური თარგმანის თავის განსაზღვრებაში იგი შეეცადა მოეცა თემცა აბსტრაქტული, მაგრამ ლიტერატურისმკოდნის დვალსაზრისით, ამომწურავა ფორმულა, სადაც გათვალსწინებულა იქნებოდა აერთარის მხატვრულად ხორკმუქსხმეტი განზრახვების კი, რომელთა ამოსხნა ევლება მთარგმნელს. ა. ა. სმირნოვის ფორმულის ჩამდენად მე წინამდღეგობრივმა, აბსტრაქტულმა და არარეალურმა ხასიათმა წარმოშეა ე. წ. ადევანტური თარგმანის ცნების ხელახალი ფორმულირების საკურობა უყვე ნათომკოდნეობის თვალსაზრისით. მხედველობაში მოქვს ე. წ. სწულუფსოგინი თარგმანის განსაზღვრება, რომელც მოცემულია ა. გ. ფედოროვის წიგნში „თარგმანის თეორიის შესავალი“. მე არ ვეზიარებ ამ წიგნის ძირითად ლინგვისტურ კონცეფციას და მიმანია, რომ არ შეიძლება მხატვრული თარგმანი წარმოვიდგინოთ ენობრივი შესატყვისობის მხოლოდ ნაირსახეობად, თუ ამასთან მხედველობაში არ იქნება მიღებული მხატვრული შემოქმედების კანონზომიერებათა წამყვანი როლი. მიუხედავად ამისა, უდავოა ამ შრომის ღირსება და ასეთი შრომების დადებითი როლი მოარგმნელთა კადრების მომზადების საქმეში, განსაკუთრებით მანამდე, ვიდრე მთარგმნეში მხატვრული ნაწარმოების თარგმანის მოკიდებდეს ხელს. ეს ერთგვარად მოგვაგონებს წერა-კითხვის დაფუძლებას მანამდე, ვიდრე კაცი მწერლობას შეუდგებოდას. მაგრამ თარგმანის სწავლა რთული და მძიმე საქმეა. ეს არის სწავლა არა ერთი ენისა, მით უფრო დედაენისა, რომელიც აღმანისათ-

ვის ბავშვობიდანვე ხდება ბუნებრივი და მშობ-
ლიერი, არამედ სწავლა ორი ენისა ერთბაშად,
რადგან ფლადანაც ხდება შესწავლის საგანი
უცხო ენისათვის შეპირისპირების გამო დიდი შე-
მოქმედებითი შრომისათვის მთარგმნელის მომ-
ზადების პროცესში.

შეიქმნება ვილაპარაკოთ მხატვრული თარგმ-
ნის საბჭოთა თეორიტიკოსების მთელ პლუდა-
ზე, რომლებიც წარმოადგენილი არიან რუსუ-
ლად გამოცემულ ორ ლირსშესანიშნავ კრებულ-
ში „მხატვრული თარგმანის საკითხები“ (1955
წ.) და „თარგმნის ისტატობა“ (1959 წ.). ყო-
ველმხრივ მისასაღებელია, რომ ეს გამოცემე-
ბი უკვე იქცა ყოველწლიურ ორგანოდ „თარგ-
მნის ისტატობის“ სახელწოდებით, ორგანოდ,
რომელიც მოწოდებულია სისტემატრად გაა-
შუქოს მხატვრული თარგმანის პრაქტიკის, თე-
ორიისა და ისტორიის საკითხები.

დადებითი როლი შეასრულეს აგრეთვე საბ-
ჭოთა პერიოდიკის ფურცლებზე გამოქვეყნე-
ბულმა მრავალრიცხოვანმა თეორიულმა სტა-
ტიკებმა. დიდ და სასარგებლო საქმედ უნდა
ჩაითვალოს ერთნაღ ალტერატირანია გრე-
ზის* რედაქციის მიერ 1960 წელს მოწყობილი
დისკუსია პოეტურ თარგმანში მთარგმნელის
თავისუფლებებს ფარგლების საკითხზე, დის-
კუსია, რომელმაც ბევრი საინტერესო და მნიშ-
ვნელოვანი პრობლემა აღძრა და ამით საკავში-
რო რეზონანსი მოიპოვა.

საზვასით მიზნად აღენიშნო ი. ა. კაშკინის
შრომების როლი რეალისტური თარგმანის პრო-
ბლემის გაშუქებაში. ავტორმა გამოამყვანა დი-
დი შემოქმედებითი ნიჭიც, ღრმა ერუდიციაც,
მდიდარი გამოცდილებაც, ფაქიზი გემოვნებაც
და, რაც მთავარია, თვით პრობლემის არსის
სწორი გაგება. თავის შრომებში ი. ა. კაშკინმა
მოაშადა ყველა საჭირო წინაპირობა რეალის-
ტური თარგმანის პრობლემის სწორი მეთო-
ლოგიური გადაწყვეტისათვის და მხატვრული
თარგმანის საბჭოური თეორიის შემდგომი გან-
ვითარებისათვის. სწორედ ამასთან დაკავშირე-
ბით, ჩვენს მოვალეობად მიმაჩნია გამოვთქვა რამ-
დენიმე ჩემი თეორიული მოსაზრება.

რეალისტური თარგმანის პრობლემა თანამე-
დროვეობის პრობლემაა. მასში კონდენსირებუ-
ლია მხატვრული თარგმანის თანადროული თე-
ორიის ყველა ძირითადი პრინციპი.

რეალისტური თარგმანის პრობლემა დააყუ-
ნა იმის საჭიროებამ, რომ დიალექტიკურად იქნას
გადაწყვეტილი წინააღმდეგობა მხატვრული თა-
რგმანის ორ ძირითად, ისტორიულად ურთიერთ-
თან შედრებულ და პრაქტიკულად ურთიერთის
გამომრიცხველ პრინციპს შორის — თავისუ-
ფალ და სიტყვა-სიტყვით თარგმანს შორის.

დიდი ხანია იდებლად არის აღიარებული ამ
ორი პრინციპის სინთეზი — სიღამაზე (მხატვ-

რული სრულფასოვნება) და დედნისადმი, ერთ-
გულბა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გუქონია შე-
თადი, რომელიც თეორიულად დასასაღებელია ამ
სინთეზის კანონზომიერებას, და ყველა თეორი-
ული მსჯელობა ასეთ სინთეზზე ფარგლებოდა
ამ თუ იმ კონკრეტული ტექსტისადმი მიყენებუ-
ლი ცალკეული პრაქტიკული პრინციპით. იდეა-
ლური სინთეზი თეორიული აზრისათვის მიუღ-
წვეელი რჩებოდა.

მხატვრული თარგმანის საბჭოური თეორიის
განვითარება აყენებს რეალისტური თარგმანის
პრობლემას მეთოდოლოგიურ პლანში, იმ მიზ-
ნით, რათა დაძლეულ იქნას ზემოხსენებული წი-
ნაღმდეგობა.

პრობლემა ისეაა განსვითარებულია: რა
არის მხატვრული თარგმანი და შესაძლებელია
თუ არა მისი არსებობა? დიდი ხანია ეს საკით-
ხები აღძრა და ყოველი ებოჯ ამ საკითხებ-
ზე აღეოდა ისტორიულად გაპირობებულ პა-
სუხს.

მარქსისტული განსვითარების თვალსაზრი-
სით შეიქმნება საყარობა, სადაც სხვადასხვა
ენათ მეტყველი ხალხები ცხოვრობენ. შეცნობა
მათი კულტურისა, კერძოდ, მხატვრული ლიტე-
რატურისა, შესაძლებელი ხდება თარგმანის სა-
შუალებით. რა თქმა უნდა, ეს ამას როდი ნიშ-
ნავს, რომ ყოველი თარგმანი საყვებით ასახავს
შესაქნობა საგანს ე. ი. დედანს, ორიგინალს. გან-
საზღვრა პირობებისა. რომლებშიც შესაძლე-
ბელია შესრულდეს მხატვრული თარგმანის წი-
ნაღ განსვითარებულად დასმული ამოცანა, წა-
რმოადგენს თარგმანის თეორიის საგანს. შეიქლე-
ბა პირდაპირ ელასუბოთ ზემოხსენებული სა-
კითხებიდან ერთ ძირითად საკითხს: ყოველი
თარგმანი, მათ შორის, მხატვრულიც, არის ერთ
რომელსავე ენაზე შექმნილი ნაწარმოების წარ-
მოქმნა მეორე ენის საშუალებებით. პრაქტიკუ-
ლად ეს შესაძლებელია და ისტორიულად დადა-
სტურებულია სხვადასხვა ხალხების ურთიერ-
ობით. რაც შეეხება ამ წარმოქმნის ხასიათს,
მის ხარისხს და სხვა პირობებს — ყოველივე
ამის გარკვევა და დადგენა პრაქტიკის განვითარ-
ების საფუძველზე შეადგენს მხატვრული თარ-
გმანის თეორიის ამოცანას.

მხატვრული თარგმანი მეორეობის ორ უკიდურ-
ეს პრინციპს შორის. არის სიტყვა-სიტყვითი,
ჩუქტი, მაგრამ მხატვრულად ამსრულფასოვანი
თარგმანი და არის მხატვრულად სრულფასოვა-
ნი, მაგრამ დედანს დაშორებული, თავისუფალი
თარგმანი.

ერთი შეხედვით, სრულიად არ არის ძნელი მო-
გახდინოთ ამ ორი პრინციპის სინთეზი და იდეა-
ლად ვლიაროთ უკიდურესად ჩუქტი და მხატ-
ვრულად სრულფასოვანი თარგმანი. მაგრამ სი-
ნამდვილეში ეს იდეალური სინთეზი შეუძლებე-
ლი ხდება: ორი სხვადასხვაგვარი ენა ერთსა და
იმევე აზრის გამოხატქმელებად იყენებს სრულიად

სხვადასხვაგვარ საშუალებებს. სიტყვა-სიტყვითა სიზუსტე და მხატვრულობა ურთიერთთან შერამე ვინააღმდეგობაშია. საჭიროა მოინახოს ამ წინააღმდეგობათა ერთიანობის პრინციპის დღევანდელი ვადამდეგობის საშუალება. უნდა გაიყვეს და დადგინდეს სიზუსტის ცნება, ანუ უფრო სწორად, მხატვრულობის გულისხმობის სიტყვა-სიტყვითი სიზუსტის დარღვევის შესაძლებლობა და პირველ — სიზუსტის გულისხმობის მხატვრულობის დარღვევის შესაძლებლობა. მიზანი, რომლისაღმდეგ მისწრაფება აწინასწორებს ორივე ამ დარღვევის დონეს, არის სხვა ენაზე დედნის ფორმის და შინაარსის ერთიანობის მაქსიმალურად შესაძლებელი გადართვა. ამრიგად, თარგმანის ე. წ. ადეკვატურობის მისაღწევ საშუალებათა გარკვევა-დადგენა — მხატვრული თარგმანის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა.

მხატვრული თარგმანის სფერო იწყება იქ, სადაც თავდება ენობრივ შესატყვისობათა სფერო.

სტილისტიკა არჩევს საუკეთესო ენობრივ საშუალებებს მხატვრული ამოცანის შესაბამისად და წარმოადგენს მერწმან ენობრივ და ესთეტიკურ შესატყვისობათა შორის.

ენა ისეთივე მასალა მთარგმნელისთვის, როგორც ქვა მოქანდაკისთვის. მთარგმნელი ისევე, როგორც მოქანდაკე, ანგარიშს უწევს მასალის ხარისხს, მაგრამ მთავარი, ანუ მას ამოირჩევს. — ეს არის დედნის მიერ ჩაგონებული იდეა, რომელიც აძლევს მას მოქმედის ადეკვატური ენობრივი საშუალებანი. მთარგმნელი ისევე ეძებს სიტყვებს იდეის გამოსათქმველად, როგორც დედნის ავტორს; მის მიერ მონახული სიტყვებიც და შესიტყვებანიც უფელთვის როლი შეესაბამებთან დედნის სიტყვებს, არა მართო ამ ადეკვატის მიხედვით, რომელიც მათ ტექსტში უჭირათ, არამედ ზეპირად საკუთარი კერძობითი აზრის მიხედვითაც.

თუ სტუდენტისთვის მხატვრული თარგმანი ამავე დროს ლინგვისტურადაც შეესაბამება დედნს, ეს არის ბედნიერი შემთხვევითობა. ჩვეულებრივ მხატვრული თარგმანი წარმოადგენს დედნის ადეკვატურ შესაბამისობას არა ლინგვისტური, არამედ ესთეტიკური ვაგებობ.

თარგმანის ხელოვნების მეთოდოლოგიური წინამძღვარია ნაწარმოების ფორმის და შინაარსის ერთიანობის დიალექტიკურ-მარტივალისტური პრინციპი. ერთ-ერთი ამ კომპონენტის დარღვევა იწვევს თეორიულ შეუსაბამობას მხატვრობაში და პრაქტიკულად ზიანს აყენებს მხატვრულ თარგმანს: შინაარსისადაც მეტისმეტ მიმდევრებას თარგმანში შეუძლია წარმოშვს ტექსტის „ბუკვალისტური“, სიტყვა-სიტყვითი გადართვა, რაც თავისთავად იქნებოდა ფორმალური ერთ-ერთი ნაირსახეობა, — ე. ი. იქმნება ეთარგმან, როცა მეტისმეტად ზუსტად ითარგმნება სიტყვები და

შესიტყვებანი, უცხოურა ენობრივი ფორმები, ხდება სტილიზაცია უცხო ენის კანონების მიხედვით და ყოველივე ამის მეორეხაზად ხელს უწყობს რჩება მხატვრული თარგმანის მთავარი ამოცანა — სტუდენტისთვის მხატვრული მიუღლის წარმოქმნა მეორე ენაზე. მეორე მხრივ, შეუწყნარებელია მეტის მეტად ვაგვიტაციოს დედნის ფორმის ზუსტად ვადართანის ამოცანამ, — ამას შეიძლება მოკვეთს დედნის იდეურა მიზანდასახულობის შერყვნა-დაშლენება, რაც ურთავალიზმის მეორე ნაირსახეობა იქნებოდა. მხოლოდ ფორმისთვის არსებული ფორმავერ შესარტყვებს ორიგინალის იდეურ ფუნქციას და ამიტომაც მთლიანად ვერც წარმოქმნის დედანს.

მხატვრული თარგმანის შესრულებისათვის აუცილებელია შემოქმედებითი მეთოდი: დედნი ასრულებს ცოცხალი ნატურის როლს, ხოლო თარგმანი ამ ცოცხალი ნატურის მხატვრული ასახვა ისევე, როგორც მხატვრის მიერ დაწერილი პორტრეტი აღმანიანა მხატვრული ასახვა: პორტრეტი, აღმანიანს უბრალო ასლი როდია, მასში არის აგრეთვე ხელოვნების დამახასიათებელი პირობითობა, დედნის ფორმის და შინაარსის ასეთ პირობითს შეცვლას გულისხმობს მხატვრული თარგმანიც, ეს შეცვლა სრულად აუცილებელია, თუ გვიჩნდა მეორე ენის მასალის საფუძველზე წარმოქმნათ დედნის ანალოგიური ერთიანობა ფორმისა და შინაარსისა. ამიტომაც არის, რომ საუკეთესო თარგმანში შეიცავენ პირობით ცვლილებებს დედანთან შედარებით. ამ ცვლილებათა მოცულობაზე და ფარგლებზეა დამოკიდებული თარგმანის ხასიათი, ფორმის და შინაარსის ერთიანობის შენარჩუნების შემთხვევაში ცვლილებების მინიმუმს აძლევს ეგვრეთლოებული ადეკვატური თარგმანი, ხოლო ცვლილებათა მაქსიმუმს — მიზანზე. ხოლო ცვლილებებს, რომლებიც თარგმანის ფარგლებს სცილდება, მაგრამ რამდენადმე მაინც ინარჩუნებს დედნის არსებობის ელემენტებს, მიუხედავად უკეთეს შემთხვევაში — ლიტერატურულ ვაგენამდე, უარეს შემთხვევაში კი — ემიგრანობამდე. ამრიგად, დედნის და თარგმანის ურთიერთდამოკიდებულება — სინამდვილის და დედანში მისი ასახვის ურთიერთდამოკიდებულების ანალოგიურია. მთარგმნელის წინაშე დგას დედნის მხატვრული სინამდვილე, როგორც მთარგმნელს აქტიური დამოკიდებულების ობიექტი, როგორც ასახვის ობიექტი. მთარგმნელი მხატვრულად ასახავს დედანს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ცოცხალი სინამდვილის ასახვას სხვანაირად რომ უქვეით, დედანი წარმოადგენს პირობითს, მეორად სინამდვილეს ე. ი. დედნით ვაშუალებულ ისტორიულ სინამდვილეს, რომელსაც ჩვენ დედნის მხატვრულ სინამდვილეს ვეროვებთ.

ამრიგად, თარგმნა შემოქმედებითი პროცესია, ხოლო ნათარგმნი ნაწარმოები — შემოქმედების ნაყოფი.

თარგმნის პროცესის, როგორც დედნის მხატვრული სინამდვილის ასახვის პროცესის, ჩვენს გაგებას საფუძვლად უდევს ასახვის ლენინური თეორია.

ვ. ი. ლენინი ამბობს: „შემეცნება არის აზროვნების მარადიული, დაუსრულებელი მიზნოვანი ობიექტთან. ბუნების ასახვა ადამიანის აზრში უნდა გაფიქროთ არა „შეგდროულად“, არა აბსტრაქტულად, არა მოძრაობის გარეშე, არა წინააღმდეგობათა გარეშე, არამედ მოძრაობისა, წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათი გადაჭრის მარადიულ პროცესში“.¹

„შემეცნება არის ბუნების ასახვა ადამიანის მიერ. მაგრამ ეს არის არა უბრალო, არა უწყლო, არა მთლიანი ასახვა, არამედ აბსტრაქციების რიგის, ფორმირებისა, ცნებათა, კანონთა და წარმოქმნის პროცესი“.²

ასევე, მხატვრული თარგმანის შექმნა არის ობიექტური სამყაროს ასახვის შემოქმედებითი პროცესი, ობიექტური სამყაროს, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია დედნით, ვ. ი. მთარგმნელის შემეცნების ობიექტით.

„ადეკვატური“ ანუ „სრულფასოვანი“ თარგმანის დღემდე არსებული ცნება, რომელსაც, მისი აბსტრაქტული ხასიათის გამო, ჩვენ ვცდილი მეთოდოლოგიურად უფრო კონკრეტული და ხელშესახები ცნებით — რეალისტური თარგმანის ცნებით, არ შეიძლება გულისხმობდეს დედნის აბსოლუტურად სრულ განმეორებას თარგმანში. ასეთი განმეორება პრაქტიკულად შეუძლებელია: სწორედ ეს ვარაუდია შეიძლება გამხდარიყო სებად თარგმანის ფორმული უარყოფისათვის, მაგრამ თარგმანის შესაძლებლობა დედასტრუბულია ასახვის ლენინური თეორიით. თარგმანი მთლიანად როდი ამოსწორავს დედანს ისე, როგორც შემეცნებითი სახე ვერ ამოსწორავს საგანს, ანუ ფორმირების სურათი ვერ ამოსწორავს ახასიახვ სავანს. ჩვენი შესწავლა ეყრდნობა სწორედ უკანასკნელი შედარების არსს. რაც შეეხება „ასილას“ და „პარას“ ცნებებს, ჩვენ მათ პრინციპულად ვუპირისპირებთ ცნებას „ფორმირების სურათი“, რადგან „სურათი“ გულისხმობს შემოქმედებით პროცესს, რომელიც გამოირიცხავს „ასილს“ და „პარას“. ეფიქრობთ, რომ ეს გარემოება უფრო ნათელი გახდება რეალისტური მეთოდის უწყლო მოქმედებით, რეალისტური მეთოდისა, რომელიც წარმოადგენს ადეკ-

ვატური ან სრულფასოვანი თარგმანის ცნებების შემცველ არა უბრალო ტერმინს, არამედ ცნებას, რომელიც გამოხატავს თარგმანის რეალისტური ადეკვატურობის ან სრულფასოვნების მისაღწევ შემოქმედებით სწავლას. რეალისტური მეთოდი კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს თარგმანის პროცესში ობიექტური სინამდვილესთან შეგონებასა და აზრის მიხედვითი დამთხვევა; სხვა სიტყვებით, რეალისტური მეთოდი განსაზღვრავს, რეალურად დედნის რა ელემენტები გადადის თარგმანში.

პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება სრული ადეკვატურობის მიღწევა, რეალისტური თარგმანი კი პრაქტიკულად შესაძლებელია. ეს უკანასკნელი თეორიულად ახდენს მხატვრული თარგმანის ფაქტობრივ მდგომარეობის კანონიზაციას და არ მოითხოვს მთარგმნელისაგან შეუძლებელს და არაკადრულს, ამიტომ ტერმინი „ადეკვატური“ შეიძლება ეხმარათ ბირობითად, როგორც საუკეთესო, სრულფასოვანი თარგმანის აღმნიშვნელი ცნება და ჭეშმარიტ ადეკვატურ თარგმანად შეიძლება ჩაეთვალოს რეალისტური თარგმანი, რომელიც მისაღწევი ხდება დედნის მხატვრული ასახვის რეალისტური მეთოდის შემოქმედებითი გამოყენებით. ამ შემთხვევაში „ადეკვატური“ იგივეა, რაც „საუკეთესო“, „სრულფასოვანი“, ხოლო რეალიზმი კი არის მხატვრული თარგმანის სრულფასოვნების მიღწევის საუკეთესო საშუალება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, იღბთ, ყოველი სხვა, არარეალისტური მეთოდი თვლის თავის თარგმანს ადეკვატურად. სწორედ ამიტომ ამ შემთხვევაში საკითხი დგას არა ტერმინების შეცვლის, არამედ მათი შინაარსის გარკვევა-დადგენის შესახებ. ტრადიციული ადეკვატურობა — საუკეთესო თარგმანის, აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც ყოველ მეთოდს შეუძლია ჩასდოს თავისი შინაარსი, ხოლო რეალისტური თარგმანი — ადეკვატურობის საუკეთესო კონკრეტული ფორმა ჩვენი გაგებით. ყოველი მეთოდი ისწრაფვის, მიადგინოს ზუსტს, სრულფასოვნებას ანუ ადეკვატურ თარგმანს მაგრამ მათ შორის არსებული განსხვავება იყენებს საკითხს გაირკვევს ცნების შინაარსი. ადეკვატური, მაგრამ რით? — აი საკითხი, რომელიც ყოველთვის ისმის ჩვენს წინაშე. რეალისტური თარგმანი იძლევა კონკრეტულ პასუხს ამ კითხვაზე. ამის გარეშე წარმოდგენილი აბსტრაქტული ადეკვატურობა გამოსული იქნება თარგმანის როგორც დედნის ასლის ვაგებიდან, რაც გამოირიცხავს შემოქმედებით მომენტს თარგმანის პროცესში, დედნის მხატვრული სინამდვილის შემოქმედებით ასახვის შესაძლებლობას.

მხატვრული ნაწარმოები ზემოქმედებას ახდენს მთარგმნელზე, რომელიც თავის მხრივ ამა-

¹ В. и. Ленин — Философские тетради. Госполитиздат, 1947., გვ. 163.

² იქვე, გვ. 156.

მღაწენებს მინაღმი გარკვეულ ემოციურ დამოკიდებულებას. ამ ფაქტორების—ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთზემოქმედების შედეგად მთარგმნელის ცნობიერებაში ყალიბდება სათარგმნად აღებული ნაწარმოების ესა თუ ის აღქმა, რომლის შესაბამისად იქმნება თარგმანი.

ყოველივე შემოქმედელი ანალოგიურად ვლინდება ორიგინალური შემოქმედების პროცესშიც. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ თარგმანს არ გააჩნდეს თავისებურება, თავის სპეციფიკა. ჩვეულებრივ მთარგმნელს წინაშეა—მხატვრული იდეა, მხატვრულად განსახიერებულად სხვა ენაზე. ამიტომ მთარგმნელს ისლარჩება, რომ წარმოქმნას მხატვრულად ღედნის მთლიანი სურათი საკუთარი შემოქმედებით მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თავისი ფსიქოლოგიური სულისკვეთების შესაბამისად. ანალოგიური მხატვრული მიმბაძველობის, ლიტერატურული ზეგავლენის ან გვიგონობის ფსიქოლოგიური პროცესის საწყისები, და განსხვავება მათ შორის უნდა ვეძიოთ მხოლოდ ორიგინალური ელემენტის რაოდენობასა და ხარისხში.

ახლათ, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ყოველი მთარგმნელი ქმნის იმ ნაწარმოების სრულფასოვან თარგმანს, რომელიც ახლოა მასთან თავის განწყობილებით და უბასუხებს მის შემოქმედებით ინდივიდუალობას. რაც შეეხება მთარგმნელს, რომელსაც შესწევს უნარი თანაბრად კარგად თარგმნოს სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებები. — ეს მთარგმნელის საკოხია.

ორიგინალური ნაწარმოების ავტორის წინაშე დგას ოცებალი ცხოვრების სინამდვილე, რომელსაც აგი ასახავს; მთარგმნელის წინაშე კი — სათარგმნი ნაწარმოების მხატვრული სინამდვილე. მთარგმნელმა ანგარიში უნდა გაუწიოს ერთსადაც და მეორესაც. ვარდა ამისა სინამდვილე, რომელიც თავათ მთარგმნელი ცხოვრობს უკარნახებს მას, რა და როგორ უნდა თარგმნოს, ხოლო სათარგმნი ნაწარმოები ზღუდავს მას თავისი ფორმით და შინაარსით. დედნის ავტორისაგან მთარგმნელის არსებითი განსხვავება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მთარგმნელის შემოქმედება არა მარტო გამორობებულია მისი თანადროული ცხოვრების სინამდვილით, არამედ შემოფარგლულ-შემოზღუდულია სათარგმნი ნაწარმოების მხატვრული სინამდვილით. ეს უკანასკნელი გარემოება განსაზღვრავს და განაპირობებს მთარგმნელობით ხელშეუბნის სპეციფიკას.

მხატვრული თარგმანი არის ახალ ვითარებაში შექმნილი ახალი კულტურული ღირებულება, მთარგმნელის შემოქმედებით ინდივიდუალობით აღბეჭდილი, ამიტომაც მის მსოფლ-

მზღველობას დაქვემდებარებული და ამის შესაბამისი მხატვრული მეთოდით შესრულებული. ეს ღებულება ვახლავს ჩვენს მსწერლობის გამოსავალი წერტილი.

ასეთ ვითარებაში, მთარგმნელის მსოფლმზღველობის და მეთოდის შესაბამისად იცვლება იდეატური თარგმანის ცნების შინაარსი და ამრავალ ისტორიულად, პროგრესული მსოფლმზღველობისათვის (წარსულში და აწმთარს) იგი (ცნების შინაარსი) მელაენდება სათანადო ფორმაციის რეალისტური მეთოდის მოქმედების შედეგით. ამიტომ წინააღმდეგობანი „იდეატური თარგმანის“ ცნების გაგებაში არსებითად წარმოადგენენ მეთოდოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება არსებობდეს მხატვრული თარგმანის მეთოდების ნაირსახეობანი: რომანტიკული, რეალისტური, იმპრესიონისტული, ნატურალისტური და ა. შ.

ერთი რომელიმე მეთოდით შექმნილი ნაწარმოები შეიძლება ითარგმნოს სხვა მეთოდით (მაგალითად, შესაძლებელია რომანტიკული ნაწარმოების რეალისტური თარგმანი). სხვადასხვაგვარი მეთოდით ვამოყენება თარგმანში ცვლის ერთსა და იმავე ღედანს. მაგალითად, რომანტიკული თარგმანი გაღმოგვეცემს ღედანს ახალღებული ფორმით, შუაქს მასში ზუნღოვანება, აფაროება მას მთარგმნელის ფანტაზიით, ფართოდ უხსნის გზას მთარგმნელის ინდივიდუალობის, მის იღებებს, შესაბამისად ცვლის ფორმას და ა. შ. ნატურალისტური თარგმანი იღღევა ღედნის უსიცოცხლო ფორმირის, სიტყვა-სიტყვით გაღმოგვეცემს შინაარსს და ამაგურად არღვევს ღედნის ფორმას (ზუკეაღზში) ან, პირრეტ, იფორებს ფორმას და არღვევს შინაარსის (ფორმალღზში) ესა თუ ეს მოღდარისიტუღლი მეთოდით თავს ახვევს ღედანს მთარგმნელის სუბიექტივისიტური სიტღლს და მის საკუთარ სახეებს, თვითნებურად ცვლის ნაწარმოების იღვას და ა. შ.

ცხადია, რომ ყოველი მეთოდის უკან დგას შესაბამისი მსოფლმზღველობის მთარგმნელი.

რეალისტური თარგმანი მოწოდებულია თავისი მოქმედებით დღამიტკურად გაღწყვეტოს წინააღმდეგობა თავისუღლ და სიტყვა-სიტყვით თარგმანებს ზორის. რეალისტური თარგმანი არსებითად განსხვავღდება სიტყვა-სიტყვით და თავისუღლად თარგმანებისაგან და იმავე ღდრის კისრღლობს მათ პირითად ღუნღციღებს.

ერთის მხრივ, ის არ ისახავს მიზნად ზუსტად დაიცვას ღედნისაღმი თარგმანის ფორმალური ენობრივი შესატყვისობის პრინციპი, და ამავე ღდრის რეალისტური ზღლოვნების ფარგღებში თარგმანის ენაზე შეარჩევს ღედნისათვის და-მასხასიათებელი და ტბიური ენობრივი ფორ-

მების და მიმოქცევის ექვივალენტებს, რომლებიც ექვივალენტებიან თარგმანისაში დედნის ესთეტური შესატყვისობის პრინციპს. ამრიგად, განსხვავდება რა სიტყვა-სიტყვითსავე, რეალისტრი თარგმანი უფრო უკეთ და სწორად აღწევს სიტყვა-სიტყვით თარგმანის პრინციპს—აგრანობის მქონეებს დედნის ენა და ფორმა.

მეორე მხრივ, შემოქმედებითად ასახავს რა დედანს, როგორც მხატვრულ მთლიანობას, როგორც ფორმის და შინაარსის ერთიანობის, დედნის დამახასიათებელ და ტიპურ მხატვრულ, რეალისტრი თარგმანი არ იქცევა დედნის შინაარსის გადმოცემად ახალ ნაციონალურ ფორმად, ე. ი. არ იქცევა თავისუფალ თარგმანად. განსხვავდება რა სწორედ ამით უკანასკნელისავე, თავისი შემოქმედებით ხასიათის გამო, რეალისტრი თარგმანი უფრო უკეთ და უფრო სწორად აღწევს თავისუფალ თარგმანის მიზანს—აგრანობის თარგმანის მქონეებს დედნის შინაარსს. ამასთან თარგმანის ფორმა და შინაარსი დიალექტიკურ ერთიანობაშია ისევე, როგორც დედნის ფორმა და შინაარსი.

სწორად რეალისტრი თარგმანი წარმოადგენს დედნის არა ფორმის, არამედ ისტაბლის დენქით დაწერილ პორტრეტს, სადაც დედანსა და თარგმანს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც ცოცხალ ნატურასა და ხელოვნების ნაწარმოებს შორის.

ასახვის ლენინური თეორიის დეჰე რეალისტრი თარგმანი წარმოადგენს დედანთან მთარგმნელის აზროვნების მარადიულ, დაუსრულებელ მიახლოების საუკეთესო გამოვლინებად, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როგორც მხატვრის სურათი მთლიანად ვერ ამოსწორავს ასახვის ობიექტს, მთარგმნელის ნამუშევარი ვერ ამოსწორავს დედანს, ზედმა დედანთან თარგმანის მიახლოებით დამთხვევა, ანუ იქმნება შესატყვისობა რეალისტრი ხელოვნების ფარგლებში, ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ზემოქმედებულ თეორიულ დებულებებთან მჭიდროდა დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკული საკითხი. შევხებით ორ მათგანს ერთი: პუბლიცის საკითხი. მთარგმნელთა მთელი პრაქტიკული მუშაობის მტივირული საკითხი. თეორიულად იგი მარტივი გადასაწყვეტია: პუბლიცისათვის მხატვრული თარგმანის თეორიაში ადგილი არ რჩება, რადგან მხატვრული თარგმანის მთელი თეორია ემყარება ყოველ შემთხვევაში ორი ენის—მშობლიური ენის და დედნის ენის ღრმა ცოდნას, ზოლო უკარგი — ეს არის დედნის ენის არცოდნით გამოწვეული დამოება, დროებითი დამოება, რომელიც, უნდა ითქვას, საქმიად დიდხანს ვრძელდება. პუბლიცის საკითხში არ

არსებობს თეორიული ალტერნატივა და ამით შეიძლება დამთავრდეს თეორიული მსჯელობა პუბლიცის შესახებ. საქმე პრაქტიკულად უნდა მოვაგრდეს. პუბლიცის შედეგად საბოლოოდ გადაწყდება მაშინ, როგორც კი ერთგული ლიტერატურების ნიჭიერი მთარგმნელები საფუძვლიანად დაეუფლებიან იმ ენებს, რომლებიდანაც თარგმნიან.

მხატვრული თარგმანის თეორიასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეორე საკითხი გახლავთ მთარგმნელთა კადრების მომზადება, რომლებსაც უნდა შეასწავლონ თარგმანის თეორია და პრაქტიკაც კვალიფიკირი მთარგმნელები დღედ გვესპირებოდან და მათი მომზადება სწორი მოებს კიდევ მუდგელობაში შეყავს ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკრეტული კადრები, რომლებიც თარგმნიან ქართულიდან რუსულ ენაზე, და ახალგაზრდები, რომლებიც თარგმნიან უცხო ენებიდან ქართულ ენაზე.

მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი ამზადებს ქართულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელების ჩვეულ, მე ვიცოხ ამ ჩვეულის ნამუშევრებს და შემოიღია ვთქვა, რომ მათგან თარგმანის მომწოდებელი რსტრები გამოვლენ. ორი წლის წინათ მათი მომზადება საეალლო მდგომარეობაში იყო. მათ არ ასწავლიდნენ იმას, რაც საჭიროა, და ისე არ ასწავლიდნენ, როგორც საჭიროა. ახალგაზრდები მერად იმედგაცრუებულ იყვნენ. ყოველივე ეს მე მოგახსენეს სსრ მწერლების კავშირის ხელმძღვანელობამ. არ გასულა დიდი ხანი და მდგომარეობა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად საჭირო დისციპლინებში მათ ლექციებს უკითხავენ და პრაქტიკულად ამუშავებენ მთარგმნელობითი საქმის დიდი სპეციალისტები. გორკის სახ. ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჩვეულ შარშან და წელს პრაქტიკას ვადიოდა თბილისში, მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი მაინც მოგვარებული არ არის. გამოქვეყნდების მხრით ისინი აქტიურ ხელისშეწყობას საჭიროებენ, და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მიიღებენ კიდევ ასეთ ღახმებებს. ახალგაზრდებსა სურთ და სრული ეფლუბაც აქვთ საქმით გამაყვლინონ მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა.

ორი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა მხატვრული თარგმანის სპეციალური დარგი. ეს იყო ქმედითი პასუხი სსრ მწერალთა კავშირის მოწოდებაზე—შემოღებულყოფ ასეთი სპეციალობა ყველგან, სადაც კი შესაძლებელია.

თუ თავდაპირველად ეს საქმე ჩვენს უნივერსიტეტში იგეგმებოდა, როგორც ექსპერამენტია, ამჟამად იგი გასცილდა ამ ფარგლებს და გახდა უნივერსიტეტის ჩვეულებრივ ყოველდღიურ საქმედ, მთელი სიგრძე-სიგანით დღისგა სა-

კახი სსსწელო გეგმის შედგენის, თეორიული დისკვიპლინების, უწინარეს ყოვლისა, მხატვრულ თარგმანის თეორიის და ისტორიის სწავლების შესახებ, იმ სტუდენტთა პრაქტიკული შეცადინების შესახებ, რომლებიც ამჟღავნებენ თარგმანის უნარს და სიყვარულს. მე, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთ მუშაკს, რომელსაც მიმუშავია ამ დარგში, დამეცალა პროგრამის შედგენა. მეც შევიადგინე პროგრამის პროექტი, რომელსაც მოკლედ გავეცნობ მკითხველს.

პროგრამა შესდგება ორი ძირითადი განყოფილებისაგან. მხატვრული თარგმანის ისტორიის და თეორიის განყოფილებაში განზრახულია ნაჩვენები იქნას მხატვრულ თარგმანის პრაქტიკის და თეორიის განვითარების მსვლელობა სამი ლიტერატურული სამყაროს (დასავლეთი, რუსეთი, საქართველო) მიჯაღითზე. თუ ეს პროგრამა საყოველთაოდ მოწონებულ იქნა, საქართველო შეიძლება შეიცვალოს იმ რესპუბლიკით, სადაც შემოღებული იქნება ეს კურსი. იგივე შეიძლება ითქვას საილუსტრაციო მასალაზე, რომელსაც რა თქმა უნდა, შეიცვლება ამა თუ იმ ხალხის ენის და ლიტერატურის შესაბამისად.

პროგრამაში მხატვრული თარგმანის ისტორია წარმოდგენილია იმ ანგარიშით, რომ წინ წამოწეული იქნას ძირითადი პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც შესწავლილი და გადაწყვეტილი უნდა იქნას პროგრამის მეორე თეორიული განყოფილებაში.

მეორე განყოფილება შესდგება ოთხი ნაწილისაგან: 1) თარგმანის შესახებ მარქსიზმის კლასიკოსებისაგან გამოთქმულ მოსაზრებათა განხილვა; 2) მხატვრული თარგმანის, როგორც შემოქმედების სახეობის, ზოგადი მეთოდოლოგია; 3) პროზაული თარგმანის კერძო-

ბითი თეორია; 4) პოეტური თარგმანის კერძობითი თეორია. ამ განყოფილებაში აგრეთვე შეტანილი ყველა ძირითადი კერძობის საკითხი და ვათვალისწინებელია მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხების წრის შემდგომი გაფართოება. უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის განზრახულია შემოღებულ იქნას: ქართული და უცხოური ენების შედარებითი გრამატიკის სპეციალური კურსი იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას უცხოური ენობრივი ფორმების კლვირება, და მხატვრული თარგმანის სტილისტიკის კურსი იმ მიზნით, რომ მსვენელს გამოუმუშავდეს ლიტერატურული მუშაობის აუცილებელი ჩვევები.

უნდა მოველოდეთ, რომ მომავალი წლიდან ჩვეს უნივერსიტეტში დაიწერება სადიპლომო შრომება მხატვრული თარგმანის ისტორიიდან, თეორიიდან და პრაქტიკიდან; ხოლო მომავლიდან ეს დარგი კიდევ უფრო გაფართოებს თავის საქმიანობას და იმუშავებს სრული დარგით.

ასეთია მდგომარეობა მთარგმნელთა კატეგორიის მოწინააღმდეგე მხრით საქართველოში. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ საქმეს სერიოზულად მოკიდებს ხელი სხვა უმადლესმა სასწავლებლებმაც—მოსკოვის გორკის საბ. ლიტერატურულმა ინსტიტუტმა, ლენინგრადის და ტაშკენტის უნივერსიტეტებმა. ამრიგად, იმედი უნდა გვაქონიოთ, რომ უახლოეს ხანში ეს სპეციალობა შემოღებულ იქნება სხვაგანაც და მთარგმნელთა მაღალკვალიფიციური კატეგორიის აღზრდა გახდება დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მხატვრული თარგმანის თეორია მოწოდებულია შეასრულოს ვადამწვევტი. როლი ამ საქმეში.

გაგალი თორვა

მცირე შენიშვნები ვეფხისტყაოსანზე

1. „ნ.ა. ვასტეხს ქვახაცა მავარსა გრდემლი ტყვიისა ღბილისა“.

ამ ტაყს თვის ღროზე სწორად განმარტავ, ღნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ ბაგრატიონი, მაგრამ მერე და მერე ეს განმარტება შიდაიწყდა და მის თაობაზე ცხარე კამათიც კი ატყდა. ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ ბაგრატიონის სწორი მოსაზრება ჩვენს ღროში ერთხელ კიდევ შეგვახსენია ვ. ნოზაძემ, — რუსთაველს შეტყფორად აღმოსავლეთში გავრცელებული ხერხი: ტყვიით აღმასის დამუშავება აქუს გამოყენებული. ვ. ნოზაძეს გამოცხადებრა ი. მგერელიძემ, რომელმაც მიუთითა თ. ბაგრატიონის განმარტებაზე, კერძოდ ამაზე, რომ ტყვიით აღმუშავებენ არა მარტო აღმასს, არამედ სერათოდ ძვირფას ქვეებს. ასეთ სიტყვიასი, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესმოყვებული თუ შევეთთობთ ერთ ლიტერატურულ ძეგლზე, სადაც ეს ხერხია ფიქსირებული. მხედველობაში გვაქვს ახანული ზღაბების კრებული „ათასგობი ღამე“, რომელშიაც სინდბადის ამბების ციკლია, კერძოდ იმ ზღაბარში, რომელსაც შაბრახადა ხუთასორმოცდამეოთხე ღამეს ჰყვება, იეთხება (ტექნიკური მიზეზების გამო არახული ორგანიზაციი ვერ მოგვაქვს, შოვიტანთ მის თარგმანს):

„შემდეგ მე წამოდექი, ძალი შოვიკობე, გვიანერ ამ ხეობაში და ვნახე შიწა აღმასის ქვისა, რაშილითაც ლითონებსა და ძვირფას ქვეებს, ფიფქრსა და ონიქსს ხერტენ. ეს ქვა მავარია და ფიცხი; მის პირს ვერცს რკინა ჰქედებს და ვერც კაფი, და არაფერს შეუძლია მოტეხოს მას რაიმე ან დამტვირთოს იგი თვინიერ ტყვიის ქვისა“.¹

ამ საყურადღებოა ერთი მომენტი: ძვირფას ქვეებს აღმასით ხერტენ, ხოლო თავად აღმასს ტყვიით ამტვირვენ.

2. მელიქ-სურხაგი

ნესტანის საძებნად წასული აეთანდლიო ერთ ტუცხო ქალას მიადგება. ნახსადგურში იყითხვის: ამ ქვეყანას რა ქვილა? დამხედურცი მიგებს:

„1055. ესეა ზღეათა სამეფო თვისა ათისა საელითი,

თეთ გულანშაროს ქალაქი, საესე ტურფითა შრავლითა;

ამ მოღის ტურფა ყველაი ნაეთსა ზღეა-ზღე შევლითა;

მელიქ-სურხაგი ხელმწიფობს, სრული სეითა და დავლითა“.

პროფესორი იუსტინე აბულაძე მელიქ-სურხაგის სამართლიანად მიიჩნევდა არახულ-სამართლი წარმოშობის სახელად. იგი მასზე ორგან ხერტება: ერთხელ, როცა საერთოდ მსყელობს პოემის საყუთარ სახელთა წარმოშავლობაზე და შოროგვან, როცა ასეთი სახელეში ცალკე გამოვაქვს. მაგრამ პირველად მკვლევარს მელიქ-სურხაგის არახული შრიდთი აღღგენილა აქვს როგორც მელიქ-სურხაგი, ხოლო შოროგვან როგორც მელიქ-სურხაგი. საბოლოოდ კი შეითხველსათვის მიინც გუეგებათი ჩნება თუ როგორ ხსნის მას მკვლევარი.

რა უნდა იყოს მელიქ-სურხაგი?

პირველი ნაწილი კომპოზიციისა მელიქ-სურხაგის არ იწყებს, იგი არახული სიტყვაა და შეფხს აღნიშნავს. რა არის სურხაგი? რადგან კომპოზიციის პირველი სიტყვა მკვფეა, მოსალოდნელია, შემდეგ მოდიოდეს ან სახელწოდება მისი ქვეყნისა, ან თეთი შეფხს საყუთარი სახელი. პირველად ვარაუდი, გარდა იმისა, რომ სპარსულ

¹ Arabская хрестоматия. Составил Л. З. Писаревский. Ленинград. 1950, 105. შდრ. რუს თარგმანი: „Книга тысяча и одной ночи. т. 5. 1959, 282. ათასერთი ღამის საბოლოო ვერსიასი აღმასის მიწა კია მოხსენიებული, მაგრამ მას რომ ტყვიით ამუშავებენ, ეს არაა ნათქვამი. იხ. „სპარსული ათასერთი ღამე“, 1891, ხუთას ორმოცდამესამე ღამე, გვ. 6 (სპარ. ენაზე).

ეხვედის მოათხოვს, ხეამჩხრავდა საეკვო: სურხავის სახელწოდებით ვინ ზოგი ადგილი ცნობილი აღმოსავლეთში, მაგრამ ისინი ან მეტად უმნიშვნელო პუნქტებია (ამ ისიც უნდა ვთავსდეთ, რომ საერთოდ რუსთაველმა გაურბის რომელიმე რეალურად არსებული ქალაქის სხენებას), ანდა მას ზღვა არ აკრავს. ჩვენი აზრით, სურხავი საეკვთაბი სახელი უნდა იყოს. იგი იშვიათი არ უფილა ახლო აღმოსავლეთში, ეს სახელი ერთგვარ მითითებებს და ისტორიულ პირთაც. ასე, მავალითად, სურხავი პევი შამანებს რამდენიმე გვიჩს, ასე იწოდება ბარამ-გურის ერთერთი ჩამომავალი; სურხავი ეწოდება სასანიანთა ირანის უკანასკნელი მეფის ივლიგერდის ვაჟს; კიდევ პეტრი, სურხავი ივრევა, რაც სომხად (სურხავი, შამანებს გვიჩს), როგორც ამას ცნობილი ლექსიკოგრაფები განმარტავენ, 2 სპარსულ სომხად ქართულში ირანური ფორმით შემოვიდა: სურხავი და სურხამი, რაც შეეხება მის პარალელურ სურხაბას, იგი სურხავ ფორმით შემოსულა ჩვენში.4

3. "დაწვა"

ავთნილი ფაქტისთვის ვაიგებ, რომ ნესტანი ქაჩეთის ციხეში გამოწყვედილი, აშენ არის მართო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია" (124,2) გაზაფხული ურბა პირველად პ. ინგოროყვამ დაიწუნა, მის არზია წაკითხვა, რომელსაც ორი ხელნაწერი (H461, W17) იძლევა: „შენ არის მართო მნათობი მისთა შორს მყოფთა მწველია“. პ. ინგოროყვა ასე მსყველობს: „რადგან ნესტანი-ღარჯანი მართო იყო დატყვევებულთა ქაჩეთის ციხეში, მასზე ვერ ითქმოდა: „მისთა შემყრელთა მწველიაო“. პ. ინგოროყვას ეს მოსხზრება გაიზიარა ე. ნოზაძემ, რომელიც წერს: „ამელი ხელნაწერის

მიხედვით პ. ინგოროყვას ეს შესწორება მართებულად მიიჩნია. ამ ლექსში მნათობი არის ნესტანი, ოღონდ იგი არის მნათობი მწველიც მისი გეან შორს მყოფთა მწველითავე ისი შეკითხვა სწავას" (ზაზი ჩვენია, მ. თ.) პ. ინგოროყვას წაკითხვას არ უთანხმებია რ. ფირცხალაიშვილი. პ. ინგოროყვა იქედან გამოდის, რომ ნესტანი მართო იყო და ახლოს ვერაფერს დასწავდა, ამიტომაც მისთა შორს მყოფთა სწავადო; ე. ნოზაძე ამ ბოლო მომენტს მიაკვეთს ყურადღებას: ნესტანი ისე ძლიერად ამოქებდა, რომ მისგან შორს მყოფთავე კი დასწავდა მისი სიმშრეაღვა; რ. ფირცხალაიშვილის აზრით კი ტექსტი უცვლელად უნდა დარჩეს, რადგან „ამ შორს შექთა სძლიერესა და შორსგაწველიშვილთა კი არ ტყდება მეთაფორის სძლიერე, არამედ ბუნებრივ მოღონებთან შეპირისპირების კანონზომიერებაზე“.

H 461 და W 17 ხელნაწერების წაკითხვა სწორი ჩანს, მაგრამ მისი დასახულება, რომელსაც პარტიკული პ. ინგოროყვა იძლევა, მცდარი უნდა იყოს:

ვეფხისტყაოსანში იკითხება ორი ასეთი სტროფი:

„1086. შენ გტრფალიბენ მჭერტელი,
შენთვის სამარაოდ ბნდებანი,
ვაძლი ხარ, მეფეარს ბულბული რად
არა შენზე კრუხებიანი
შენი შშენება ვეავილთა აქნობს და
ჩენივე კენებიანი,
სრულად დაშწარავარ, თუ მზისა შეწინ
არ მომესწრებინარ“.

„1270. ფატმან სწერს: აბ, მნათობო, სთლ-
ლისა მზეო ზენო,
შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამწვე-
ლო, ამარჩენათ,
სიტყვა-მჭვერთ და წყლიანო, ტურფათ,
ლამაზენათ,
ბრილო და ლალო, თრევე ცუბა ერთგან
შენათხვენათ“.

ამ სტროფთა გახაზულ ადგილებს შეგონა რ. ფირცხალაიშვილი თავის შრომაში, რომელიც ზემოთ მოიხსენიეთ. მეტყველების აზრით, ამ ადგილების გასწორება აუცილებელია, რადგან ვეფხისტყაოსანში „ზე წე ავს ყველს, ვინც მისთან ახლო, მზის ხიშორე კი არაობს. ამ მომხბნილო კანონზომიერება“. მართლაც, თუ დამწვეარანი, კიდევ მზის შუქის მოსწრება რადე უნდათ! შეტყვეარს მოაქვს ბევრი ადგილი ვეფხისტყაოსანიდან, სადაც დაწვის საპირის-

1 სურხავი ერთგვარ დაბას საეკვება-
ლაში (იხ. ბორჩაძე ვთე, თეირანი, 1952, ტ. II, 1119, სპარს. ენაზე).

2 ბორჩაძე ვთე, II, 1119 (მის შეხედულებას იზიარებს ცნობილი სპარსული მეცნიერთა მოაზრებელი ბორჩაძე, II, 1195); Мирза Абдулла Гаффаров, персидско-русский словарь, Москва, 1927.

3 ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმომავლის სიტყვითა ისტორიიდან, ვენაში, ინსტ. შრომები, აღმოს. ენათა სერია, III, 1.

4 არ არის გამოჩინებული შესაძლებლობა, რომ მედიქ-სურხავი მედიქ-ხუხავი-ის დამხინებულთა ფორმა იყოს. ამ შემთხვევაში მეფის აღმნიშვნელ არაბულ-სპარსულ სინონიმურ პარალელისთან გვექნებოდა საქმე. ამას გვაფიქრებინებს ვისრამიანის ერთი ადგილი: „შენი მამა-ზეღმწიფე ზუასროვი, და შენი დედა-ხელმწიფე დედოფალი გუარაინი“ (ვისრამიანი, 1962, 40).

5 ს. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1953, 479.

1 ეიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის გარს კლავიშტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957-57.

2 რ. ფირცხალაიშვილი, ვეფხისტყაოსანის ზოგიერთი ადგილის წაკითხვისათვის, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962, 27.

პირი სახელ დაწომა გველინება და, თუცა ხელნაწერები არ უტყვან მხარს მანც ასევეს: „სრულად და მზრბეც, თუ შისა შექნი არ მომესწრებინა“ უნდა წაიკითხოთო (როგორც თავად აცხადებს, ამ შეთხვევაში რ. ფირცხალაიშვილი იმეორებს მ. წერეთლის წაიკითხვას).

ფაქობილ და დავიარებულ მკვლევარს ყუჩადლების გარეშე არ დარჩენია 1270 სტროფი. მას აქაც უადგილოდ მიანია შორს მყოფთა ყოველთა დამწველო და მოითხოვს მის გასწორებას ასე: შემყრელთა ყოველთა დამწველო (თუცა ხელნაწერები აქაც არ უბაერ მას მხარს). რ. ფირცხალაიშვილს არც პ. ინგოროყვას მიერ შესწორებული ტაევი ავიწყდება და ვინაიდან მას მიანია, რომ წვეას მზრბეც იწვევს და არა მზის განაორება, ტრადიციულ წაიკითხვას (შემყრელთა) უტყვან მხარს და არა პ. ინგოროყვას მიერ გამოშვებულ ხელნაწერებს სადაც ვიმეორებთ, შორს მყოფთა იკითხება.

რ. ფირცხალაიშვილის შესწორებებს ვერ გავიზიარებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც პ. ინგოროყვას მიერ მოწონებულ (1242,4) ისე რ. ფირცხალაიშვილის მიერ ექმიტანილ (1086,4; 1270,2) ტაეებში რუსთაველს ერთი და იგივე პოეტური სახე აქვს გამოყენებული—მისიგან შორს ყოფნით დაწვა. აი ეს აღვლინეთ.

„მუნ არის მარტო მნათობი მისთა შორს-
მყოფთა მწველია“.

„სრულად დამწეარეარ, თუ შისა შექნი
არ მომესწრებინა“.

„მზო... შენთა შორს-მყოფთა
ყოველთა დამწველო...“

განვიხილოთ, რა სიტუაციებშია ნახმარი ეს სახეები; ჭერ ბოლო ორ სტროფს შევეხებით. უკანასკნელს ფატმანი მიუწერს ნესტანს, რომელიც სადაც შორს, ქაქეთშია გადაყარული „სრულად დამწეარეარ, თუ შისა შექნი არ მომესწრებინა“ ამას ფატმანივე უთვლას ფთანდის, რომელიანაც შეერთებას იგი ესწრაფვის. როგორც ნესტანი, ისე ავთანდილი აქ მტკაფორულად მზეა და ამიტომაც, ხუნებრიაჯია, მათთან შეყრლოთ ისინი წეავენ. მაგრამ ვიკითხოთ: რა მოუფა მათ, ვისაც ეს მზე ათბობდა. მაშინ, რაცა იგი მოშორდება? შორიდან გაათბობს თუ ასე გაეივებთ (ჩაგორც ეს პ. ინგოროყვას ესმის), ორგვარი უხეცხულობა იჩენს თავს: უხეში ნატურალიზმი (რომ, ვთქათ, ნესტანს ასეთი თუ ამდენი შექი და სითბო

აქვს და ამიტომ ანათებს ასე შორიდან) და მზის სიშორის აინუნშიაც არ ჩავდება (რადგან იგი შორიდანაც გაანათებს, სულერთია, ახლოს იქნება თუ შორს). ანკარა, აქ მზის ახლისყოფანასთან კი არა, დაშორებასთან გვაქვს საქმე. და მართლაც, როგორ აღენიშნეთ, შინაარსის მიხედვით ამ ეპითეტებით დახატული გვიარები შოლს არიან: ერთი ნესტანია, რომელიც რახანია მოშორებულა თვისიანთ და ამათთვის ეს დამორება მწველი და ამზრზენია, ხოლო მეორე—ავთანდილი, რომელთანაც ჭერ ვერ შეყროლა ფატმანი, შორსაა მისგან და თუ არ მოუწერო მან, დაიღუპება.

მაგრამ რას ნიშნავს მზისგან შორს ყოფნით დაწვა?

ზემოთმოტანილი სტროფების მკვლევართ აიწყდება, რომ ქართულში დაწვა მზით დაწვასაც აღნიშნავს და უმუშობით ანუ ყინვით დაზარობასაც. სიცივისაგან ხეხილის ყვავილის მოწვა („ერთი ღამის განმავლობაში ხეხილის ყვავილი მოწვა“ დ. დონდუა, ვეოგრაფია), ყინვისაგან ფეხის მოწვა ჩვეულებრივი გამოთქმა ქართულში, საერთოდ ქართველურ კნებში (შდრ. რუსული жаруым мороза: სპარს. აზ სარმა დასთამ სუსხო—„ყინვამ ხელი მოწვა“). ჩანს, იგი ძველდაც გვექონდა. საბას დაწვა დაზარობის მნიშვნელობით განმარტებული არა აქვს, მაგრამ თავად დაზარობა ესმის როგორც „ყინვისაგან დაწვა“ (იხ. საბა, დაზარობა), საიდანაც აშკარაა, რომ მას დაწვა (სწორედ რომ დაწვა) და არა დღეიანდლო მოწვა) ესმის ობიექტი ვაგებით: დაწვა როგორც ცეცხლისაგან, ისე ყინვისაგან.

ჩვენი დასკვნა ასეთია: 1) 1086 სტროფა როგორც იკითხებოდა, ისე უნდა დარჩეს, — „სრულად დამწეარეარ, თუ შისა შექნი არ მომესწრებინა“ — რომ ამბობს ფატმანი, ამით მას უნდა თქვას: თუ მზემ არ მომისწრა, სულ გაეითხოვეო. 2) ასევე უნდა დარჩეს 1270 სტროფის ტრადიციული წაიკითხვა: „შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამწველო, ამზრზენიაო“, რადგან აქაც მიმართება შისადმი: შენგან შორს დარჩენილბს ცეკათ, ისინ ამზრზენ ყინვას მოუყრაო. 3) 1242 სტროფის ობიექტი ტაეებში უნდა აღდგეს ხელნაწერითა (H461, W17) სწორი წაიკითხვა, რომელიც პირველად პ. ინგოროყვამ წარმოაჩინა: „მუნ არის მარტო მნათობი მისთა შორს-მყოფთა მწველია, მაგრამ აქ ის კი არ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს მნათობი შორიდანაც წეავს ვაცს, არამედ ის, რომ თავისი სიშორით აზრობს.

გაბრიელ პონდოვი

საქ. სსრ დამსახურებული ექიმი.

რუსთაველის გირი ტარიელი

ვუძღვნი პიროვ. ა. დ. ზურაბაშვილს

ფსიქოგრაფიული ეტიუდი

რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ისეთ ლატერატურულ ძეგლთა რიგს ეკუთვნის, როგორც არის პომერანის „ილიადა“ და „ოდისეა“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, სერვანტის „დონ-კისოტი“, შექსპირის ტრაგედიები, გოტეს „ფაუსტი“ — უკვლავი ნაწარმოებნი, რომლებიც არასოდეს არ ძველდება და თაობიდან თაობაში გადადის თავისი უქვანობი მწვენიერებით.

უილიამ შექსპირი, რომელიც თავის ტრაგედიებს XVI სუდუენში ქმნიდა, ჩვენ გვაოცებს აღმამანის სულის და მისი მოძრაობის უფაქიზები ნოვანების უღრმესი ცოდნით.

რუსთაველი შექსპირს მთელი თთხი საუკუნით უსწრებს წინ. ვეფხისტყაოსანში ჩვენ განსაკუთრებით დავაანტერესა პოემის მთავარი გმირის ტარიელის სულიერი მდგომარეობის გამოსახვამ.

დებრესადლა ემოციის მოტივი რუსთაველს ისეთი სიზუსტით აქვს ვადმოცემული, თითქოს მას ხელთ პქონოდეს ფსიქიატრიის რომელიღაც საბელმძღვანელო. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება ასე ყოფილიყო, და მით უფრო განაოცარია, რომ სულიერი ვითარების ასახვის დეტალები პოემაში ყოვლისმომცველია, მათში აზიფერი ზედმეტი არ არის, და არც ის შეიძლება იტყვას, რომ მათ რაიმე აყვდეს.

რუსთაველმა სწორუმთავარი ოსტატობით გადაწყვიტა ამოცანა — დებრესიული ემოციის მოტივიც ინიეითი სისწორით და სიმართლით ასახა თავის პოემაში.

მაგრამ როგორ შეძლებოდა ეს მომხდარიყო? ეს არის ინტუიციის, თუ რაღაც ზუსთაგონების ნაყოფი? არც ერთი და არც მეორე! პოემაში ჩვენ საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან, — სახელობრ, — დიდი პოეტის სურვილთან და მასწრაფებასთან დინამოს სამყარო და მისი მოვლენები ისეთი სახით, როგორც ის არის სინამდვილეში. ამისათვის კი აუცილებელია შედურბეველი, შეუპოვარი დამკვირვებელია და უტყუარი, მართალი ასახვა იმისა, რაც დაკვირვებით არის მიღებული. ეს უბადლო

ნივი უხვად პქონდით მომადლებული რუსთაველსა და შექსპირსაც, და ამიტომაც მათ მიერ შექმნილი სახეები მთელი მათი მრავალმხრივობით სინამდვილის სარკისებურ ანარეკლს, უკუფენას წარმოადგენენ.

თუმცა ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სინამდვილის უტყუარი ასახვა ვეფხისტყაოსანში იყოს პასიურა, მკვანეტრ-ნატურალისტური. კემპარტი პოეტს არ შეუძლია თავის ქმნილება არ ამაღლოს, არ გაამწვენიეროს შემოქმედებითი ფანტაზიით, მოვლენების პიპერბოლიზაციით. ამით დიდად ივებს მხატვრული ნაწარმოები, ხდება რა უფრო სინტერესო და წარმტაცი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ფანტაზია, ვახეილება, პიპერბოლია არ აყვალბებს და არ ამასინეებს სინამდვილს.

როგორც ცნობილია, მუსიკალურ ნაწარმოებში სწორად ვხედებით ერთი და იმავე პასიების, ერთი და იმავე ნოტების გამეორებას, რაც მუსიკალურ ქმნილებას გარკვეულ ხასიათს, გარკვეულ ფერადობას ანიჭებს; ამასვე ვამჩნევთ ხშირად ლატერატურულ-პოეტურ ნაწარმოებში. იმავე ზეგნს მიმართავს რუსთაველი ვეფხისტყაოსანში. პოემის მთავარ გმირად ვეგვიჩენა სედვის და მწუხარების რაინდი. ცრემლი და მწუხარება — განუყოფელი მომენტებია იმ დებრესიული ემოციისა, რომელსაც ტარიელმა შეუქმნა. ცრემლი ის პასიება, ის ნოტაა, რომელიც წითელ ხაზად გაადევს მთელ პოემას. პოემაში ტარიან და ცრემლს აფრქვევენ უფალი — მეფეები და მეფის ასულიც, მხედარ-მეომარნიც და მონებიც; ცრემლები, ზოგჯერ სისხლმორყულნი, დიან აღმასიებს თვალბადან და ნაყოლებად მივლინებთან მდინარეებისა და ზღვებისაკენ.

რა თქმა უნდა, ეს პოეტური პიპერბოლია, მაგრამ ეს ქმნის პოემის თავისებურ, სპეციფიკურ ფონს, რომელიც შეესაბამება პოემის მთავარი გმირის მიმე და უნდუშო სულიერი მდგომარეობას, მის მწუხარე სულისკვეთებას. მოცარტმა თავისი „რეკვიემს“ ერთერთ ნა-

წილს უწოდა „Lacrimosa“, ე. ი. ცრემლიანი, იგივე ვიზიტით შეიძლება მივაჯიჟიროთ რუსთაველის პოემასაც რომელიც, მართლაც, ცრემლიანია, ვარდა ფინალისა, სადაც ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა სიკეთის გამარჯვებით თვებდება ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ნესტან-დარეჯანის მოტაცებით და ვიზიტით ნათესავის არსებობა აღბრუნ უსახლგრო დარღვის და მწუხარებას ფინალში ცვლის სანატრელი შეხვედრით გამოწვეული სიხარული და აღტაცება *Cessante causa — cessat effectus* — ამბობს ლათინური ანაბა, რაც ქართულად ნიშნავს მიზეზის მოსპობასთან ასობა შედეგით.

ზოგჯერ ჩანს, ტარიელის სახით, ჩვენ გვყავს პიროვნება ადვილად აღმზნები უნილენი ნერვული მოქმედებით, დეპრესიული ფორმის ემოციური რეაქციით. ეს დეპრესია არის საპასუხო რეაქცია იმ ფსიქიკურ ტრავმაზე, რომელიც ტარაქმა გადაიტანა. დეპრესიის ქონდა დროებითი ხასიათი ე. ი. ვაქჩა იმ მიზეზის გაქრობისთანავე, რომელმაც იგი გამოიწვია. იმ სწორედ ამ რეაქტიულ დეპრესიას გვიხატავს რუსთაველი.

უწინაეს უთვლისა, დიდი ეპიკოსი რუსთაველი არ აყოენებს დავისათვის მთავარი გმირის გარდაცვალებას. „მოვიწილე, დავიწვავებ მზესა თვალად, ლომსა ნაყოფად“ (სტროფა 319) — ამბობს ეროვან თავის თავზე ტარიელი, და შემდეგ განაგრძობს: „შენსა მე ვკობდრ შევნიებით, ვით მინდაცაში დილისა, იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „შეგესია ელეშ ზრდილისა“ (321). ფიზიკური ავადმდებლობით ტარიელი ნამდვილი ათლტობა: შში მყერდი გოლიათის ეულმყერდია (1597); ფიზიკური ძალაუვნება იშვიათია, ებურთობდა და ენაღირთობდა, ვით კატანა, ვიოციდი ლომსა“ (328); „ეარ უმავრესი რვალისა“, (363) — შოახსენებს ტარიელი თავის თავზე ინდოეთ მეფის.

ფსიქიკურმა ტრავმამ, რომელიც ტარიელმა ნესტან-დარეჯანის მოტაცებით და გამოწვეული განიცადა, შესცვალა მთელ მისი გარემოება. პირველად პოემაში მოკლებული მას ზედება ამტარალს, წყლისა პირსა“ (84), „იგი ტირს და არა ესმის“ (87), „სსუთავინ ქრის მისი გონებნა“; „როცა მეფისა ბრძანება ვითხელ ეკლა ჰვადრა მონანან, არცა დაავადო ტირილი, არცა რა გაიგონა მან“ (89).

უგუნებობა და უხალისობა, დამწუხრობა, გულწაბრებლობა არ შორდება რაინდს. „ხეობა შირსა ვიქონენე... მერე ავღვდა სუელიანი, მილაშებდა გულსა მერი... ევლთა ცრემლი ასოვლენდა, თვალთა ჩემთა მონაწერიო“ (592) იგი გაბრბის „დამიანებს, სეედის აღუპრავს კაცთა ნახუა (271), „აბას ნახავს პირმეტყველსა; ვით ნაღირი ეკლთა ჰკრთების“. ტარიელი იმდენად აღზნებულია, რომ ერთ ადგულს ვერ ზერ-

დება, მოსას და ბარში დაეხებებო, სადგომად მლომე და გამოქცეული გახდობა. „მავრა დავყარენ არენი მე კაცთიელთა უთმანსა“ — სასულად სამყოფნი მიმანდეს თხათსა და მას სარკმლსანი. გავიჟერ, სრულად დატკეპნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“ (653). მარტო-მარტო ყოფნა, მარტოდ ხეტალი სულ უარესად მოქმედობს მის სულიერ ვითარებაზე. „თვალთა ახმალცა ზარედე, სრულად მიხდობდა ცნობასა, მიხდებობდა სიყვლილსა მოშორებებოდა თმობასა“. (870). „მას არა ღია შევსმის რეტსა, თვალ-დაუფახელსა (871); დარღისა და მწუხარებისაგან რეტ-დასხმული — გაოგნებული ტარიელი არ ერია დება თეთრკვამის, მყარდებ ლოდის და თავნი კეტის ცემას:

„ცოტად მიწვა, მიიძინა, თუცა ყოლა ევრა მერტი შეკრთა, დიდნი დიხანსა, წამოიჭრა ვითა რეტი
 იხანდის და წამწამ იყრის გულსა ლოდი თვისა კეტო. (269)

ხოლო 498-ე სტროფი გვაუწყებს, რომ წამოწოლილი ტარიელის სხეულზე „ორგნით ჩანს ლედი მვილისა, მართ გულსა გარჯანავარსა“. ტარიელისათვის უცნო არ არის იდეა — ყველა თავის უბედურებაში თავის თავს დასდოს ბრალი, უწოდებს თავს უღმრთოდ დამადებული: „ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცო რას ვიძობდა“

განაღამცა ვაენაღირდი, თავი ასრე გაიბნადე“ (277). „მე სიყვლილსა აღარ ვახსოვ, ვარ მისგანცა ვანწირული“ (284) „იგი ვინ ხელქმნი, მიველი მისგან არადღეს ლენასა“ (310). „ოღონ დამიწდი, დავაყრდი“ (512).

არ არის გასაკვირალი, თუ ვთვით მძიმე დეპრესიული ემოცია ტარიელში აწევს ამ სულიერი მდგომარეობის დამახასიათებელ თარ სიმპტომს — ფიქრობას და მადის დაკარგვას, ჰაის სურვილის დაკარგვას („ცოტა მიწვა, მიიძინა“), ცდილობს შევამოს რაიმე, მავრამ არ ყოფნის ძალა ვაღვალაპოს ლეკმა, „ერთი ახლია“ შემწვარს ზორსც, მავრამ ძალა არ ეყო, „დაუწყო გამოყრა უცხოენლისა“. ასმათი, ვითანდელი და სხვა ახლობლნი ევედრებინ ტარიელს შევამოს რაიმე, მავრამ ამაოდ, „მას (ტარიელს) შევხაწუნეს: „ჰამეო“ ძალა არ ჰქონდა ჰამისა, თაკობნის, ლეკმა გაატყორცის, წონა ძლივს ჩანთქის ღრამისა“ (923).

ჩვეულებრივ სულიერ დეპრესიას როდი სდებს თან ინტელექტური დეპრესი, გონებრივი დაქვეითება, მავრამ როცა ერთი რომელიმე აკადემიკური მშრი ამქვეს და დღენის სტა ბერებს, შეიძლება მივიღოთ გონებას დახნულიობის სურათი. ამ მხარეც რუსთაველი იმდენად არ ცოდავს ჰუმანიტეტებს წინაშე, როცა თავის ვიზიტის ტარიელის სულიერ ვითარებას გაღმოცვემს, ასე, მაგალითად, ვითანდელი-

თან საუბარში ტარიელი აცხადებს: „ძმომ, ჩა გითხრა, ძვრაცა არ ძალმიც ენისა, ძალა არა მკაცს ხელქმნილსა შენსა სიტყვათა ზნუნისა, (881). ტარიელის საუბარსა და მტყუებლებში ვერ ნახავთ რაიმე უაზრო, ბოღეიფს იღებებს, დემენტობის (უტკუობის) ელმენტებს, ტარიელს ყოველი მოქმედება, მთელი ყოფაქცევა მომღინარეობს მისი მძიმე სულიერი განწყობილებიდან, რომლის დროსაც მას ერთი წუთითაც არ ავიწყდება რომენტი, რომეც მისი სულიერი დებრესია გამოიწვია. ტარიელს ვერსად ვერ დაეღებო ბრალს ალოგიურ აზროვნებასა და მოქმედებაში, — იგი ეკუთვნის ადვილად აღმზნება ნერველი სისტემის მქონე პირთ: კატეგორია. ამით ახსნება ტარიელის ფეკტური ლაბილობა, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს აფექტების აფეთქება, უკიდურესი აგრესიულობა, შავალითად, ისეთი, როგორც იყო სსსკვდლილად დასახიჩრება მოგზაურებისა, რომლებმაც ტარიელს შეპყრობა დაუპირეს.

დებრესია — ეს ისეთი სულიერი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანს იპყრობს უაღრესად შავნული ფიქრი, რომელიც მუდამ თან სდევს მას. მაშინაც კი, როცა დებრესიის დონე უმწინვენლოა, ფიქრი იმისა, რომ აღარ დირბს სიცოცხლე, არ შორდება ტარიელს. რუსთაველს ძალიან ვარჯად ესმის, რომ მის მიერ დაბატული დებრესიული ემოციის სურათს სრული და დამთავრებული არ იქნება, თუ მას — ამ სურათს აქლია ეს ფრად მნიშვნელოვანი შტრიხი. ჩვენც ტარიელისგან გვეხების სიტყვები, რომლებიც გვიანშენებენ, რომ, ტარიელისათვის უცხო არ არის ფიქრი თვითმკვლელობისა. „ჩემი ღბინა ნაველილი, ვაყრა ხორცთა და სულისა“, — ეუბნება ასმათს ტარიელი (274), „შეტმან სევდამან მომწურა გულსა დაცემად დანისა“ (517), „ახვად არას ვიჯ ღმერთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები“ (656), „სიცოცხლესა გაეყვარე, სიკვდილიცა გამოივიტრა“ (913).

ვედებისტყუარისში კიდევ ბევრგან ვხვდებით ტარიელის მწარე ამონავენებს, რომ სიცოცხლე მისთვის შეიქნა აუტანელი, რომ იგი ეძებს შემთხვევის და საბაბს ბოლო მოუღოს თავის თავს. რუსთაველს ზედმწვენილ აქვს შეცნობილი და გარკვეული, რომ თვითმკვლელობის აზრი დებრესიული სულიერი მდგომარეობის დროს ვაბატონებული აზრია ადამიანის მთელ შეგნებაში, რომ ამ აზრით არის აღბეჭდილი ტარიელის მშფოთვარე სულის ყოველი მოქმენტი. ამიტომაც არის, რომ რუსთაველი „ვედებისტყუარისში“ ხშირად იმეორებს ამ აზრს. რუსთაველისათვის ნათელია, რომ სულიერი დებრესია და თვითმკვლეობის იღებულ უკიდურესისაგან გაუთიშავი და განუყოფელია.

ხაზავსმით ავლენშენათ რა სულიერი დებრეხის რუსთაველისებელი აღწერის და დახატვის არაჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ სიამართლეს და 11. „მნათობი“, 14 8.

მიუზღაეთ რა თავისას პოეტის გენიალურ დემკვირებლობას, ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია აღვრთოვანება არ გამოუთქვათ „მწიბრანძობის“ რჩევისა და დარიგების გამო, რომელსაც ქრესთთელი და მისი გმირები აძლევენ ტარიელს ამ პიზნით, რომ შეუშუსუბუქონ ან სრულიად გაუქარწყლონ დარდი, რომელსაც ტარიელი თავის მოკელის განზრახვამდე მიჰყავს.

რუსთაველის ღრმა რწმენით, ყველაზე უბნარი წამალი განსაცდელში მძიმე სულიერ ვითარებაში პირში ჩავარდნილ ადამიანისათვის, არის თანამგზანძობი და ნუგეშისმცემელი შეგობარი: „ოდეს კაცსა დაციროს, მაშინ უნდა ძმა და თვისა“ (773). როგორც მეთხველს მოვეხსენება, რუსთაველმა ასეთ ძმად და „თვისად“ ტარიელს მოეუღებინა აეთანდლი, რომელმაც კარგად იცის, რომ შავი ნაღველის ვასაფანტივად უბნარი საშუალება მოგზაურობა. ამიტომ არის, რომ აეთანდლილი ევედრება ტარიელს: „ნუ გამზავანი გულმოკლეულსა, ერთი მიყავ საწადელი, გროხელ შევე, ცხენისანი ვნახო ჩემი სულთა მხდელი“ (890).

ეთანდლიმა იცოდა, „რომე შევდომა კაცშანს მოაქარებდა (891), მართლაც, ამ ღონისძიებამ შეუშუსუბუქა ტარიელს მწუხარება და კეთანი; აეთანდლიმა მძაღნაფიცს ცხენი მოპოვებია, წყნარად შესეა, არ სიჩქარით აქშინია, შინდორთავე წაიყვანა, ტანი მქვერი აქტევიანა, ხენი წარვლეს, სიარულმან მოკოებეა დააჩინა“ (892). ძვეგობის სეელის გასაქარებულად აეთანდილს საჭიროლ მიიჩნია ავრთვეე მასთან სსსამოგნო საუბრის გაბმა, სხვადასხვა ამბით მისი შექცევა: ამაო, რომე კაცი კაცს ამოსა ეუბნებოლეს; მან გულგროს, რაცა თქვას, არ ცუდად წაუბდებოლეს, ცოტად ეგრეცა დაუესებს, ციხელი ჩაზომეა სუბობლეს, დლი ღბინია კირთა თქმა.

თუ ვაქვამს მოუხდებოლეს (924) განა ამ სიტყვებში არ გამოვცივთ აზრი, რომელსაც ემყარება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ფსიქოანალიზური ხერხი, დაფუძნებული იმ დებულებაზე, რომ სულიერად დაზარალი ადამიანს მიერ თავის დარღ-ვარამის გამოძლევენება ე. წ. ხშირტანურ გამოთქმებს თან დევს სულის შემძებრე-შენაშფოთებული აფექტის გაღანტვა დაცხრობა და მძიმე სულიერი მდგომარეობისა შემსუბუქება.

ის ძალა და მნიშვნელობა, რომელსაც სიტყვას ნიაწერს რუსთაველი უახლოვდება პავლოვის მოძღვრებას სიტყვაზე, როგორც სამკურნალო ფაქტორზე, რუსთაველის ღრმა რწმენით, შეიძლება სიტყვით ბევრ რამეს მივაღწიოთ, თუ იგი თავის დროზე და თავის ადგილზე არის

თქმული, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმა-სა, ზოგჯერ თქმითაც დამადგენის“ (751).

პელოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შემდეგ, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ეს შექმნილებები, რომელთა მიხედვით მკურნალის მიერ ადამიანისათვის თქმულ სიტყვას შეუძლია კეთილშეიყვანილი გავლენა იქონიოს ავადმყოფზე და პირიქით, — გამოიწვიოს სულ საწინააღმდეგაო ეფექტი (იატროგენური დაავადებანი). ეფემისტყაოსნიდან ამოკრეფილი ციტატებით ჩვენ ცხადვით თუ ვრამდენად ზუსტი იშვი-ათად სწორი და მართალი შტრიხებით აქვს დახატული რუსთაველს დეპრესიული ემოცია, რომლითაც ტარებდა შეპყრობილი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოეტს გამოტოვებული არა აქვს ილქვარილი მდგომარეობის დამახასიათებელი არცერთი შტრიხი, — უმთავრესად აქ სწარბობს მწვავე სულიერი დაჩაგრულობა, რომელსაც თან ახლავს ცრემლთა ფრქვევა, ღრმა სევდა, გულისწყნობა, უიმედობა, გულგრილობა და ამათა გარემოსადმი, ადამიანთაგან განმარტოება. მარტოდ დარჩენის მისწრაფება, უეცარი და სწრაფი მთავლობა, მტრუფობის შენელება-შეფერხება, ზოგჯერ გამანადგურებელი, აგრესიამდე მისული რისხვიანი აღფრთხილება, მოძრაობითი აღგზნება, რომელსაც ცვლის მოჩაობის დამხრუტება, ლაპარაკის სურვილის დაკარგვა, უმადობა და უძრობა. ფორმალურად რაინდის ინტელექტი შეუძლავს ჩვენს, მაგრამ ზოგჯერ მის ბნელი გადაცურის ახრის დენის შენელებიანი ან ვრთისა და იმევე მომენტზე ახრის ხანგრძლივი შეჩერების გამო. „ეფემისტყაოსნიში“ მკვეთრად და მკაფიოდ გამოკვეთილი დეპრესიის ისეთი დამახასიათებელი თვისებებია, როგორც არის თავისთავის დამცირება, თვითგვემა, რასაც რაინდი ზოგჯერ თვითმკვლელობის განზრახვამდე მიჰყავს.

არ შეიძლება მკითხველი არ გაათავოს დეპრესიული ემოციის ამ საცხებით დამთავრებულსა სურათმა.

ღამატება კი მინივ გვეწვდის, მაგრამ დამატებას საუბრობებს არა რუსთაველის მიერ მოცემული დეპრესიული ემოციის სიმპტომათაგან, არამედ იმ ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც პოეტი ვეთავაზობს იმ სულიერი ტანჯვისაგან თავისი გმირის — ტარიელის განსაკურნავად.

„სიგელის შეფარასი“ რაღონი გვევლინება ტარიელის მძინაფიცის რაინდი ავთანდილი. არ შეიძლება არ გაათავოს კაცი იმ ფსიქოთერაპევტულმა ღონისძიებებმა, რომელთაც ტარიელის მიმართ იყენებს ავთანდილი. პირდაპირ არ გვჩანს, რომ ყოველივე მის დიქციაზე მე-12 სურათურში. პოემაში ვხვდებით იმდროინდელ ყოცხობრებაში საყოველთაოდ გავრცელებულ ღონისძიებებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ცნობილი იყოს რუსთაველისთვის.

ჩვეულებრივ, სევდის და ვარამის გასაქრებლად ახლაც ვერჩვეთ ადამიანებს სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებს — სპორტს, ტურისტულ მოგზაურობას, სპექტაკლურზე, კინოსეანებზე დასწრებას, კონცერტის მოსმენას და ა. შ. მაგრამ ამ ღონისძიებებს ყოველთვის რაღონი მოსდევს სასურველი ეფექტი. სიგეა, ყოველთვის წარმატებით რაღონი თვადება ავთანდილის ცდებში შეინელის ტარიელის ღრმა მწუხარება. ასეთი ცდების წარუმატებლობათა შემთხვევაში პოემის ავტორი მიმართავს თითქმის ჩვენი დროის მეთოდებს — ფსიქოანალიზის და სიტყვიერი შეგონების მეთოდებს. ჩვენ გვანცვიდრებს რუსთაველის ასეთი განმეურტელობა, პოეტი ეფემისტყაოსანში ამყავნებს ადამიანის სიღრმე განცდათა იმდენად ფაქივ გაგებას, რომ ჩვენ საშუალება გვეძლევა ამოვიცნოთ იმ ღრმადროვანი ფსიქოთერაპიული დახმარების საიდუმლოება, რომელსაც პოეტის ჩაგონებით, რაინდი ავთანდილი უწყევს თავის მძინაფიც ტარიელს.

ამით უნდა დაგვეთავაზებია ეს მოკლე ფსიქოგრაფიული ეტრული. მაგრამ რაკი მსოფლიო ლიტერატურის ამ უნიკალურ ძეგლს შევხებით, ჩვენ არ შეგვიძლია შემოვიფარგლოთ ეიწრო პროფესიული საკითხის ჩარჩოებით, (რამ არ დავმეზღვსებოდით ამ შემთხვევაში გამომშრალ პედანტ მცენიერს, რომელიც დიდებულ მყინვარწერზე ასულა. მეწინაურული სიზუსტის გამოტრკევეთა მისი სიმძალე ზღვის დონიდან და სრულად გულგრილი დარჩენილა ბუნების იმ გრანდიოზული სურათსადმი, რომელიც ადამიანის თვალწინ იშლება ამ ბუნებებში მწვერვალიდან.

ეიტრებით რა რუსთაველის პოემის სიღრმეში, ჩვენ ვიხიბლებით მისში უხვად მიმოფანტული ფილოსოფიური აზრების შარავლიტებით; წმინდა მხატვრული სილამაზის გარდა, ვარდა ადამიანის სულის ყოველმხრევი და ღრმა ცოდნისა, ჩვენ მისში ვხვდებით მორალური ხასიათის სენატციებს, რომლებიც ჩვენი დროის ადამიანებსაც ჩაგონებებს მთავალეობის, პასუხისმგებლობის შეგობობის გრძობებს, ადამიანისადმი ზოგჯერულს, უმწიკელ პატიოსნებას. განა შეიძლება ჩვენი გული არ ათართოლოს ადამიანის სულს იმ საღამაზემ, რომლითაც აღბეჭდილია რუსთაველის პოემა ჩვენი პროფესია — მკურნალის ხელობა, ყველაზე კეთილშობილი სხვა პროფესიათა შორის, წარმოუდგენელია იმ სულიერი სილამაზის გარეშე, რომელსაც ასე სახიზვად და შთამაგონებლად გვექადაგებს ბრძენი რუსთაველი, რამდენი რამ არის მისში ჰკუთის სასწავლებელი. საგულისხმო და სასარგებლო ჩვენი თანამედროვეობისათვის, არა მარტო ექიმისთვის, არამედ ყველა პროფესიის ადამიანათვის!

იოსებ მგებელიძე

აღმოსავლეთმცოდნე და რუსთველოლოგი

(ალ. სვანიძის გარდაცვალების 20 წლისთავის გამო)

თავის საბოლოო სიტყვაში სკკპ XXII ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა: პიროვნების კულტის გამო „ილუპებოდა ბევრი სრულიად უღანაშაულო ადამიანი“, და ასეთთა შორის მოიხსენია ალექსანდრე სვანიძე, ძველი ბოლშევიკი, რომელიც „უწინარეს ყოვლისა, პატიოსანი ადამიანი იყო“.

ალექსანდრე (ალიოშა) სიმონისძე სვანიძე დაიბადა 1886 წელს ახლანდელი ამბროლაურის რაიონის ს. ბაჭში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1903 წელს შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ბოლშევიკებს მიემხრო. პარტიაში მისი საქმიანობა მეფის ეანდარმერიას არ გამოჰპარვია. ა. სვანიძე იბუღებული შეიქმნა გერმანიაში წასულიყო (1910 წ.) აქ ის გახდა იენის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი. ა. სვანიძე, რომელიც წინა დიპტლებოდა ქართულ პრესაში, გერმანიიდან ვზავნის წერილებს ძველი ქართველი ტომების მცირე აზიის ტომებსა და ხალხებთან ურთიერთობის შესახებ (იხ. ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ყურნალი „განათლებლა“, 1912 წ. № 12; 1913 წ. № 2, 7, 9, 10 და შემდეგი წლების ნომრები).

სუფიქრებელია, რომ ა. სვანიძეს ქ. იენში ცხოვრება აუკრძალეს, და იგი ქ. ჰალეში გადადის. ამის საფუძველს გვაძლევს 1915 წლის 29 ნოემბრის გაზ. „სახალხო ფურცლის“ სურათებიან და-

მატებაში მოთავსებული ფოტოსურათი ჩოხოსანი ახალგაზრდისა, წარწერით: „ჰალეს უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე სვანიძე (დაკავებულია.)“¹ საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ, სვანიძე მუშაობდა მეზალედ და ისმენდა ლექციებს. მას ცხოვრებას ურთულბდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის ქვეშევრდომი იყო: ინტერნირებულებს პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში აკრძალული ჰქონდათ ქალაქიდან ქალაქში გადასვლა და თავისუფალი ცხოვრება.

ნიქიერი და შრომისმოყვარე ა. სვანიძე ეუფლება გერმანულ ენას, სწავლობს ფრანგულს, ინგლისურს, მკვლარ ენებს — ხეთურს, ქალდეურს (ურარტულს) ანუ ალაროდულ ენებს; ფინანსებისა და ეკონომიკის საფიქსებს; სპეციალობად ირჩევს ძველი აღმოსავლეთის ისტორიას.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ა. სვანიძე სამშობლოში ბრუნდება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მუშაობდა განათლების სახალხო კომისრად, ეხმარებოდა თბილისის უნივერსიტეტს, მუზეუმებსა და არქივებს, ხელს უწყობდა ინტელიგენციის შემოქმედების მუშაობას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა

1 ამ წყაროზე მივითითა მარქსის სახელობის სახელმწ. ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა თამარ მჭავარიანმა.

ფინანსურ დაბრკოლებებს წააწყდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ა. სვანიძე დანიშნეს ფინანსთა სახალხო კომისარად. მან აქაც გააუმჯობესა მდგომარეობა და განაგრძო კულტურის მუშაობისადმი მზრუნველობა.

დიდი ლენინის ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ქართველ ბოლშევიკებს შორის ა. სვანიძე იყო ერთ-ერთი დიდად განათლებული და ინიციატივიანი პიროვნება. იგი დანიშნეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად გერმანიაში. 1927 წლიდან ა. სვანიძე სამსახურებრივ მივილინებაში დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის (ირანი, მონგოლეთი, ჩინეთი) ქვეყნებში. ოცდაათიან წლებიდან ა. სვანიძე მუშაობს საბჭოთა სახელმწიფო ბანკის მმართველს მოადგილედ.

ამ სპასუხისმგებლო თანამდებობაზეც ა. სვანიძე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას თავის სპეციალობაში საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისა და რუსთველოლოგიის განვითარებისათვის; ორგანიზაციულად ხელს უწყობდა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს შორის შეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

საერთაშორისო წერილებსა და რუსულად თარგმნილ „ფეხისტუაოსნის“ წინასიტყვაობის გარდა, ა. სვანიძემ გამოაქვეყნა ნაშრომები: „შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა“ (თბ., 1936 წ.) „Материалы по истории алародийских племен“ (თბ., 1937 წ.) და „ფეხისტუაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული“ (თბ., 1934 წ.). უკანასკნელი წიგნის ვრცელი რედაქცია გამოიცა თბილისში 1936 წელს რუსულ ენაზე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ უშუალოდ ა. სვანიძის ან მისი აქტიური მონაწილეობით განხორციელებული სამი დიდი ღონისძიება, რომლებიც ფრიალ შედეგად გამოდგა:

1. 1936 წელს ლენინგრადიდან მოსკოვს სპეციალურად გამოძახებულ ამ სტრუქტურის ავტორს ა. სვანიძემ უთხ-

რა: მინდა დავაარსო მეცნიერული პერიოდული ორგანო ძველი აღმოსავლეთის საკითხებზე. მისი ყოველი ნომერი დაიბეჭდება საუკეთესო ქალაქზე კარგი კლიშეებით, კულტურულად. მასში საბჭოთა მკვლევარებს გარდა, უცხოელი მოწინავე მეცნიერებიც ითანამშრომლებენო. მოელაპარაკეთ თქვენს უფროს კოლეგებს (ლენინგრადელ აღმოსავლეთმცოდნეებს) — მეშჩანინოვს, სტრუვეს, ორბელს, ჭრაჩკოვსკის და სხვებს. სთხოვეთ მათ გახდნენ ჩვენი ორგანოს თანამშრომლებო.

მან აქვე დასძინა: აკადემიკოსებს აქვთ ბეჭდვის საშუალება, და ამას გარდა, ისედაც შეიძლება რომელიმე მათგანმა იუკადრისოს კიდევ ჩემთან, — არააკადემიკოსთან თანამშრომლობასთეგებს ხევეწნა არ დაუწყეთო.

საქმე ჩინებულად გაიჩარხა; დაარსდა ორგანო „Вестник древней истории“, ე. ი. ორგანო არა მხოლოდ ორიენტალისტიკის, არამედ, საერთოდ, ძველი კულტურული ქვეყნების შესწავლის პროფილით. როცა პირველი წინა-საორგანიზაციო თათბირი შედგა, ეურნალის პროფილის გაფართოების ეს იდეაც ა. სვანიძემ გამოთქვა. ე. ორბელმა შენიშნა: ეს სწორია, საბერძნეთ-რომს და, საერთოდ, დასავლეთს გვერდს ვერ ავუვლით; ვერ გავმიჯნავთ ერთი-მეორისაგან აღმოსავლურ და დასავლურ კულტურას; ვის შეუძლია თქვას, რომელი რომელ საზღვრებში თავსდებაო.

საერთო აზრი მაინც ის იყო, რომ ეურნალში უპირატესობა ისეთ მასალებს მიეცემოდა, რომლებიც საბჭოთა ხალხების, მათი წინაპრებისა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ხალხების ისტორიისა და კულტურულ ურთიერთობათა საკითხებს გააშუქებდა. აქვე შევნიშნავთ: როდესაც გაიგეს, რომ ეურნალში უცხოელი ავტორებიც ითანამშრომლებდნენ, აკადემიურ წრეეშიც კი აღმოჩნდნენ ცალკეული პირები, რომლებიც ამის წინააღმდეგ წავიდნენ. ან თქვეს: რა საჭიროა ახლა, ქალაქის ნაკლებობის დროს, პერიოდული ორ-

განო ძველი ისტორიის საკითხებზე, ეს არააქტუალურიაო. ა. სვანიძემ მინც თავისი გაიტანა.

გახანგრძლივდა მხოლოდ ორგანოს პირველი წიგნის დაკომპლექტება და რედაქტირება, მაგრამ ჩაიშვა თუ არა წარმოებაში ეს რთულტექსტიანი წიგნი. საოცრად მალე გამოვიდა, ოქტომბრის რევოლუციის 1937 წლის დღესასწაულზე ნოემბერში წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. შინაარსით და გამოცემის ტექნიკის მხრივაც საერთო მოწონება დაიმსახურა. იგი იხსნება რედაქტორის ა. ს. სვანიძის შესავლით — „Наши задачи“. იქვეა მოთავსებული მისი გამოკვლევა „Названия древневосточных богов в грузинских песнях“, რეცენზია ი. მეზინანოვის, „Язык ванской клинописи“, გამოკვლევები ი. მეზინანოვისა, ე. სტრუვესი, ა. ებელიოვისა, ა. მიშულინისა, ნ. ვ. პივლუევსკაიასი და სხვა საბჭოთა მეცნიერებისა, აგრეთვე გამოკვლევები და წერილები უცხოელებისა: გამოჩენილი ზეთოლოგის პრადელი პროფ. ფრიდრიხ პროზნისა, დიდი ქალღოლოგის ინსტრუქციული პროფ. გ. ფ. ლემან-ჰაუპტისა, პარიზელი პროფ. შ. ვიროლოსი და კოპენჰაგენელი სემიტოლოგის პროფ. დ. ნილსენისა. წიგნს დართული აქვს გამოკვლევების რეზუმეები ფრანგულად.

მაშინ უცხოელ მეცნიერებთან ასეთი თანამშრომლობა და უშუალო კონტაქტი იღვწებოდა, მაგრამ დიდი განათლებისა და ფართო დიპლომატიის მქონე ა. სვანიძე წინააღმდეგი იყო კარჩაქტილობისა. მას მეცნიერთა და ხალხთა თანამშრომლობა სასარგებლოდ შიანდა და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდა.

ხსენებულ „Вестник“-ის მთელმა ტირაჟმა ვერ მოასწრო სტამბიდან გამოსვლა, რომ ა. სვანიძე დააბატონრეს. ტირაჟის ძირითადი ნაწილი მოისპო და ამიტომ მისი ეგზემპლარები ახლა იშვილად იპოვნება, მაგრამ კარგ თაოსნობას

გზა გახსნილი დაურჩა, ეს ორგანო სსრკ მეცნიერებთა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ურწმუნოდ იქცა (წელიწადში ოთხჯერ გამოდის) და 1937 წლიდან დღემდე მისი 80 წიგნია გამოცემული. მის ფურცლებზე საბჭოთა და სხვა ხალხების მრავალი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული საკითხია გაშუქებული და კულტურის ისტორიის უამრავი წყაროა გამოქვეყნებული. როგორც დავინახეთ, ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოთავე და პირველი ორგანიზატორი ა. სვანიძე იყო.

2. ა. სვანიძე პირადად იცნობდა ზემოხსენებულ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს, იყო მათდამი გულისხმიერი. 1936 წელსვე ა. სვანიძემ მოიწვია საბჭოთა კავშირში პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და თბილისში წაიკითხა ლექციები — კურსი ქალღოლოგისა, და პროფ. პროზნი, რომელიც იმავე წლის 7 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე საქარო ლექციებით გამოვიდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოსა და ერევანში.

3. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული სრული თარგმანი კ. დ. ბალმონტისა მისივე წინასიტყვაობით 1933 წელს გამოქვეყნდა პარიზში. მანამდე, საერთოდ, არცერთი ასეთი თარგმანი გამოცემული არ ყოფილა. ბალმონტი ემიგრანტი იყო, მას ჩვენში არ ბეჭდადნენ. ჩვენ ვიცით, რომ ა. სვანიძის მეშვეობით მოხდა საბჭოთა კავშირში ამ თარგმანის გამოცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა. სვანიძემ დიდად შეუწყო ხელი თბილისის უნივერსიტეტთან რუსთაველის ინსტიტუტის დაარსებას 1933 წ.

ა. სვანიძე ერთი იმათგანი იყო, რომელთა თაოსნობით 1937 წელს აღინიშნა რუსთაველის იუბილე, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი პოეტის სახელისა და ვეფხისტყაოსნის შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი შეიქმნა 1935 წელს, მაგრამ მან საქმიანობა 1936 წელს დაიწყო. კომიტეტის თავმჯდომარედ ა. სვანიძე დანიშნეს მოსკოვში. მან მოადგილედ ლენინგრადში აირჩია მასთან დაახლოებული აკადემიკოსი ი. ა. ორბელი, ხოლო მდივნად ამ სტრუქტურის ავტორი.

ორჯერ, 1936 და 1937 წ. გამოიცა კ. ბალმონტის და მაშინ პირველად გამოქვეყნდა გ. ცაგარელის თარგმნები ა. სვანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით. მათ მოჰყვა ნ. ზაბოლოცკის (1937 წ.) პ. პეტრენკოს (1938 წ.) და შ. ნუტუბიძის (1941 წ.) თარგმანები, რუსთველოლოგიური გამოკვლევები და წერილები.

კომიტეტს განზრახული ჰქონდა საიუბილეოდ გამოცემულიყო აკადემიური და პოპულარული ხასიათის რიგი ნაშრომები რუსთაველის პიროვნების, შემოქმედებისა და მისივე ეპოქის კულტურის საკითხებზე. ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალიდან პროფ. ს. ჯანაშია ესწრებოდა, თავმჯდომარემ ა. სვანიძემ დააყენა საკითხი, მთლიანად გამოქვეყნებულიყო ნიკო მარის მიერ გამოცემული და არქივში დაცული გამოუქვეყნებელი რუსთაველოლოგიური შრომები.

ა. სვანიძის მითითებით ს. ჯანაშიამ ლენინგრადის ჯგუფს გადასცა გამოსაცემად „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოსეული რუსული თარგმანი, — მას ი. ორბელი *უკეთესად გაუკეთებს რედაქციას და უფრო კარგად გამოსცემს, ვიდრე რუსული დიდი წიგნის თბილისში გამოცემა მოხერხდებაო, — თქვა ა. სვანიძემ.

მართლაც, „ვეფხისტყაოსნის“ ამ საუკეთესო გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემია,

საქართველოს ფილიალი

მოსკოვი — 1938 — ლენინგრადი“.

მისი პასუხისმგებელი რედაქტორი და

წინასიტყვაობის ავტორი გახლდათ ი. ორბელი.

ა. სვანიძის ნაშრომები ძველი ისტორიიდან ეხებიან შორეული წარსულის პრობლემატურ საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად ძალიან მცირე მასალა მოიპოვება. მაგ. ა. სვანიძე კავკასიურ ენებთან ჭაღდურის ენის ნათესაობის პიპოთეზას იცავდა (როგორც ერთ დროს ნ. მარც) და სათანადო ანგარიშს არ უწევდა პირველის უკვე აღიარებულ ინდოევროპულობას, აჭარბებდა წინააზიის ხალხებთან ძველი ქართველი ტომების ნათესაობის საკითხშიც, რასაც, ჰყავდა დამცველი და განმავითარებელი ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის სახით. მაგრამ ა. სვანიძის მიერ ხსენებული საკითხების წამოჭრას და კვლევას დადებითი მხარეც გააჩნია. ა. სვანიძე სწავლობდა ალაროდიელი (ურარტული), ქართველი, სომეხი, ოსი და მცირე აზიის რიგ ხალხთა და ტომთა ეთნოგენეზის საკითხებს. აღარებდა ერთმანეთს მცირე აზიისა და კავკასიის მიწა-წყალთა რიგ გეოგრაფიულ სახელებს, ეხებოდა აღმოსავლეთის ძველი ხალხებისა და ქართველი ტომების რელიგიათა საკითხებს; პირველთა ღვთაებებისა და ღმერთების სახელებს. პარალელურად უძებნიდა ქართულ ხალხურ სიმღერათა მისამღერებში და ა. შ.

თავის რუსთველოლოგიურ შრომებში ა. სვანიძემ სწორად აღნიშნა: „რუსთაველის დროის მსოფლმხედველობა მხოლოდ სამ ბატერიკს იცნობდა ხუთის მაგიერ (ამერიკა და ავსტრალია იმ დროს ჯერ არ იყვნენ აღმოჩენილი)“.

„რუსთაველის მიერ დასახელებული სახელმწიფოები და ქვეყნები — არაბეთი, ინდოეთი, ქაჩეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ჩინი (ჩინეთი), მულაზანზარი, რომანია, ვულანშარი, რეალური, „ისტორიულად და გეოგრაფიულად არსებული სახელმწიფოების სახელებია“ — ა. სვანიძის აზრით, ზღაპრული ქაჯთა ქალაქი, ანუ ქაჩეთი, იგივე რეალური გიბრალტარია, ხოლო ვულანშარი ვენე-

ციაა. ავტორი აღნიშნავს, რუსთაველის გეოგრაფიული ჰორიზონტი ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე ჰომიროსისა, და დაასკვნის: „რუსთაველი თავის მხატვრობაში იჩენს 1) განსაკუთრებულ უნივერსალიზმს და 2) კიდევ უფრო საკვირველ ინტერნაციონალიზმს“. „ქვეყნების აღწერისა და გამოხატვის მხრივ რუსთაველი უნივერსალისტია“, სრულიად სხვადასხვა ხალხებს ამოქმედებს, და ტიპებს ინტერნაციონალური, ერთნაირი სიყვარულით აგვიწერს“.

ა. სვანიძის რუსთაველოლოგიური შრომები საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ სწავლობს ქართული კულტურისა და ინდურ-ირანული, არაბულ-ბერძნულ-რომაული კულტურული ურთიერთობების ფონზე; პოემის მოქმედ პირებს ადარებს „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანის“, „შაჰნამეს“ „ლეილმეჩენიანის“, ჰომიროსის პოემების გმირებს და მათ შორის რიგ პარალელებს ავლებს.

ა. სვანიძე იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მე-13 საუკუნის დამდეგს ბიზანტია არ არსებობდა, რომ ტრაპიზონის იმპერია 1204-6 წლებში შეიქმნა, რომ 1206 წელსავე ინდოსტანი გამოეყო გურის სამეფოს, რომ სწორედ ამ დროს აღმოცენდა რომანია (საფრანგეთი), რომ რუსთაველი ახსენებს კიდევ ამ უკანასკნელს („რომანულისა დედისა“) და ბიზანტიას კი არ ახსენებს, დაასკვნის: „ვეფხისტყაოსანი“ 1204-6 წლებზე ადრე და 1236-8 წლებზე გვიან (მონგოლების შემოსევა, რომლებსაც რუსთაველი არ ახსენებს) ვერ დაიწერებოდაო. უფრო ზუსტად 1206-1219 წელს შორისაა დაწერილიო.

ჩვენ აქ ა. სვანიძის ნაშრომების სხვა საკითხებზე აღარ შევიჩერდებით.

ა. სვანიძე იყო თავმდაბალი, გულისხმიერი და კაცთმოყვარე ადამიანი. ცნობილია მომენტები, როდესაც ბეწვზე ეკიდა ზოგიერთი ქართველი მეცნიერის ბედი. (ასეთთა შორის ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც კი აღ-

მოჩნდა). ჩვენ ვიცით, რა კარგი როლი ითამაშა ა. სვანიძემ მათ დაცვაში.

ა. სვანიძე არ ჰგავდა იმას, ვინც მოწინააღმდეგის აზრს ვერ იტანს. ერთხელ მას გადაეცემა ჩემი გამოუქვეყნებელი ნაშრომი „Припевы грузинских песен“, რომელიც ზოგიერთ ნაწილში მის აზრებს ეწინააღმდეგებოდა. ა. სვანიძემ გადაათვალღერა და მითხრა: ეს ჩვენი „Вестник“-ის მომდევნო ტომში დაგებუდეთ. მომავალი გაარკვევს, რომელი ვართ მართალიო, და ნაშრომი დაიტოვა.

ისევ რუსთაველის იუბილეს დაეუბრუნდეთ. საიუბილეოდ გამოსაქეცი ნ. მარისა და ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებულები, ცალკე პირთა და თვით ა. სვანიძის ნარკვევები რედაქტორ ა. სვანიძესთან დაგროვდა. იუბილე კარზე მოგვადგა, გამოსაცემი წიგნების დედნებს კი უკან ველარ ვლებულობდით. წუხდა თვითონ ა. სვანიძეც: ხელი შემეშალა ვერ მოვასწარიო, მაგრამ გვაიმედებდა: რასაც მოვასწარებთ, სასწრაფოდ დაიბეჭდება, რასაც ვერა, ჩვენი მასალა ისეთი აკადემიური ხასიათისაა, რომ იუბილეს შემდეგაც გამოიცემაო, თანაც გვეუბნებოდა, ახლავე გამოაქვეყნეთ, თუკი რაიმე შესაფერისი გაქვთ მხად ლენინგრადშიო.

მას ერთი სიტყვაც კი არ წამოსცენია და ჩვენ რა ვიცოდით, თურმე ბერძნულაგან მიჩენილი პირები ცდილობდნენ მისთვის ფინანსური დარღვევები დაებრალებინათ; დოკუმენტებში ურევდნენ ხელებს, კომისიებს უნიშნავდნენ და დაკითხვებს უწყობდნენ, რომ როგორმე ჩირქი მოეცხოთ, როგორც სახელმწიფო მოღვაწესათვის. ეს არ მოხერხდა და მაშინ იმავე „პროვოკატორმა და ბანდიტმა... ბერიამ ყოველგვარი მაქინაციების გზით საქმე ისე დასახითოქოს გერმანიის დახვეწვამ“ მიიმხრო ა. სვანიძე,¹ და ის ცილისწამების მსხვერპლი გახადა!..

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, ნ. ს. ხრუშჩოვის სამართლი სიტყვის (1961 წ. 27 ოქტომბერი) ქართული თარგმანი, თბილისი, 1961 წ. გვ. 39.

რუსთაველის იუბილე ფართოდ და დიდი ზემოთ ჩატარდა თბილისში 1937 წლის 24-30 დეკემბერს. შემდეგ იგი მოსკოვსა და ლენინგრადშიც უნდა აღნიშნულიყო და, რადგანაც ა. სვანიძე სწორედ იუბილეს დასაწყისშივე დაამატირეს, სასწრაფოდ გამოვიხთოვეთ ყოფილი რედაქტორის პორტფელში დაგროვილი საიუბილეო მასალა. არაფერი გამოვიდა; საქმეში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ვ. ლ. კომაროვი და აკად. ი. პ. ლუბოლიც (მწერალთა კავშირის ხაზით რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე) ჩაერიეთ, მაგრამ ამოღა...

მაშინ დატრიალდა ი. ორბელი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბექუდის საქმეში აჩქარება არ უყვარდა, მაგრამ რაც მაშინ რუსთაველის იუბილესათვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით გაკეთდა, რაც მოსკოვსა და ლენინგრადში გამოიცა, უმთავრესად ი. ორბელის ენერგიული მუშაობის წყალობით გამოიცა. მართალია, იუბილე ფართოშეკვეცილი დარჩა, მაგრამ იგი მაღალაკადემიურ დონეზე ჩატარდა.

ახლა უკვე ცნობილია, რატომ გავრძელდა ორ წელიწადს ა. სვანიძის საქმის „ძიება“. რა მტკიცედ, ღირსეულად

ეჭირა თურმე თავი ცილდაწამებულს! ახლა ცნობილია უკვე ისიც, რომ ოჯახის წევრებიც — მეუღლე მარიამი და დიდი ძალმომრეობის მსხვერპლი გახდნენ. მათ ჯერ ათ-ათი წელი პატიმრობა მიუთავჯეს. აღარც ეს აკმარეს, კვლავ უხეშად დაირღვა კანონი, ისინი 1942 წელს სხვადასხვა ადგილას ერთდროულად მოსპეს!

შემთხვევით გადარჩა მხოლოდ ალი-ოშას ვაჟი ივანე სვანიძე, რომელიც 16 წლის ასაკიდან ხანგრძლივ პატიმრობაში ნამყოფი მრავალჭირნახული დაბრუნდა მოსკოვს. ახლა იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. მისი გამოკვლევები აფრიკანისტიკაში (ისტორია, ეთნოგრაფია) უკვე გამოქვეყნდა აკადემიურ ორგანოებში („Проблемы востоковедения“ 1960 წ. № 1; „Советская этнография“, 1960 წ. № 6, 1961 წ. № 5) და სადისერტაციო ნაშრომიც მზად აქვს.

აღარ არის ჩვენს შორის სპეტაკი მოქალაქე ალ. სვანიძე. ჩვენი ვალია აღეკისანდრე სვანიძის სახელი მეცნიერებაშიც აღვადგინოთ და ნათელი პიროვნება ყოველთვის პატივისცემით მოვიხსენიოთ.

1 შემდეგ ესეც უღანაშაულოდ დიხსავა, იგი დაამატირეს და წაიყვანეს ი. ჰაეპუაძის სახელმწიფო მუზეუმიდან (საგერამო).

1 ამასაც მარიამი ერჭვა, მუშაობდა სსრკ ეკის სამღიუნოს უფროსად ჯერ ა. ს. ენუქიძესთან და შემდეგ მის შემცვლელბთან.

პახანაშვილი

ივანე თარხნიშვილის მსოფლმხედველობისათვის

(ახალი მასალების მიხედვით)

როგორც ცნობილია, ივ. თარხნიშვილმა 1871 წელს, ოქტომბერში, თბილისში წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი თემაზე — „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“, ხოლო 1872 წელს ეს ლექციები დამატების სახით დაიბეჭდა თბილისის ჟურნალ „Медицинский сборник“-ში¹ და დიდი ინტერესი გამოიწვია. თვით ის ფაქტი, რომ ერთი შეხედვით, ასეთ საეცელურ თემაზე წაიკითხულ ლექციებს სისტემატურად ხუთას კაცზე მეტი ესწრებოდა, მეტყველებს, რომ ავტორი იმ დროისათვის მეტად მტკივნეულ საკითხებს შეეხო. მართალია, შთელ რიგ მონოგრაფიებში, რომლებიც უკანასკნელ ხანს ივ. თარხნიშვილის შესახებ გამოქვეყნდა, ლაბარაკია ამ ლექციების ღირსეულობის შესახებ, მაგრამ დღემდე ყურადღების გარეშეა დატოვებული ის, რომ, ვარა ვ. წერეთლისა, ამ ლექციებში აღქმულ იდეებს იცავდა აგრეთვე ანტონ ფურცელაძე, ხოლო რაც მოთავსდა, ამ მონოგრაფიებში ანაფერია ნათქვამი იმ ალიაქოთზე, რომელიც ატყდა ვაზეთ „Кавказ“-ის ფურცლებზე და არც იმ პასუხზე, რომლითაც ივ. თარხნიშვილმა კიდევ ერთხელ დაიცვა თავის შეხედულებათა სისწორე. აქ საქმე ეხება არა ერთ ან ორ წერილს, არამედ საკმაოდ ფართო მოცულობის წერილების შთელ სერიას, გამოკეთილ მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას, ბრძოლას იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის. დღემდე ეს მხარე შეუსწავლელია და ამიტომ, ცხადია, რომ მასზე ყურადღების გამახვილება უფრო გასაგებებს გახდის ივ. თარხნიშვილის ფილოსოფიურ შეხედულებათა როლს იმდროინდელი ქართული და აგრეთვე რუსული ფილოსოფიისათვის. ვარა ამისა, ყურადღებას იპყრობენ ის წერილები, რომლებიც ივ. თარხნიშვილმა „Кавказ“-ში გამოაქვეყნა თავისი კრიტიკოსების წინააღმდეგ.

და რამდენადაც ეს წერილები შეტანილი არაა ივ. თარხნიშვილის შრომებში, ისინი დღეს ფაქტურად უცნობია მკვლევართათვის.

თავის ნაშრომში „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“, რომელიც საჯარო ლექციების სახით იქნა წაიკითხული, ივ. თარხნიშვილმა ცენტრალურ საკითხად ნებისყოფის თავისუფლების საკითხი აიღო, მაგრამ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მის წინაშე უფრო ფართო ამოცანა დაისვა: როგორაა საერთოდ ადამიანის ცნობიერების მიმართება გარემოცვაში სინამდვილესთან; ეს უკანასკნელი კ, თავის მხრივ, ფილოსოფიის ძირითად საკითხს წარმოადგენს. ამიტომ ნებისყოფის თავისუფლების საკითხის განხილვა ივ. თარხნიშვილთან უშუალოდ დაკავშირდა ფილოსოფიის ძირითად საკითხს.

ივ. თარხნიშვილის მსჯელობის ძირითადი აზრი იმის აღიარებაში მდგომარეობს, რომ „მოძრავი ცოცხალი მანქანის“ მთელი მუშაობა ხორციელდება გარეგანი ბიძგების მეშვეობით. ე. ი. ყველა მოძრაობა, რომელსაც კი აღვიღო აქვს ამ ცოცხალ მანქანაში, გამოწვეულია ორგანიზმის შემგრომბზე ზედაპირზე გარეგან მოვლენათა ზემოქმედების შედეგად. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის ისევე, როგორც ყოველი ორგანიზმის, მოქმედება აქ მკაცრად დეტერმინირებულია.

ივ. თარხნიშვილმა უაყრთ იდეალიზმის მთავარი საყრდენის — ცნობიერებისა და, კერძოდ, კი ნებისყოფის დამოუკიდებლობა, როგორც წარმოშობის ისე მოქმედების მხრით ისინი განუყრელად დაუკავშირა გარემოს ზემოქმედებას. მაგრამ ივ. თარხნიშვილი ამ დანკნით არ დაქმავთილდა. დასაბუთა რა ცხოვრების გარემო პირობებისაგან ნებისყოფის და საზოგადოებრივი ცნობიერების დამოკიდებულება, მან კრიტიკორულად დააყენა საკითხი ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. მისი მტკიცებით, ადამიანები თავისი ბუნებრივი მონაცემებით ღიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ცხოვრების პირობების გამო

¹ „Медицинский сборник“, 1872, № 14, приложение: д-р И. Р. Тарханов. „Роль нервной системы в движении животных“.
² „დროება“, 1871 № 44.

ადამიანები გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაში მხრივ განსხვავებულნი ხდებიან. ამისათვის, რომ ადამიანები აღიზარდნენ თავიბი ბუნების შესაბამისად და მათში განვითარდეს არა ბოროტი, არამედ კეთილი თვისებები, საჭიროა მათ მეცნიერ თანაბარი განვითარების საშუალება. ადამიანებს შორის ამ მხრივ რომ არ არსებობდეს უფსკრული, საჭიროა ცხოვრების არსებულ პირობების გარდაქმნა, ასეთი პირობების შექმნა, რომლებიც ადამიანებს განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს შეუქმნიან. „პრაქტიკულ ცხოვრებაში გაუმჯობესებათა შეტანის ცდები გამოიხატება პიროვნების გამოშროშველ გეგმობით და სოციალურ პირობათა მრავალგვარი ცვლადობათა ფორმებით, — მიუთითებს ივ. თარხნიშვილი. ყველა ღონისძიება ამ მიმართულებით იხსნება იქითკენ, რომ ადამიანთა, რაც შეიძლება, მეტი გათანაბრება მოხდეს როგორც გეგმობით ისე სოციალურ უფლებებში“.

ივ. თარხნიშვილის ლექციების ამ ძირითად ღებულებიდან, მართალია, ჩანს, რომ ის შექმნილი მატერიალისტი იყო, მაგრამ მაინც აღნიშნავდა ორგანულ მატერიის თავისებურებებს, თუმცა ვერ ასხნა ამ თავისებურებათა ნამდვილი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ ივ. თარხნიშვილი არა ერთხელ აღნიშნავდა მსგავსების უბრალო მანქანასა და „ცხოველურ მანქანას“ შორის, ეს მსგავსება მას იგივეობაზე არ დაყვავდა. შეცნობის შენიშვნა, რომ ცხოველურ ორგანიზმში ადგილი აქვს მექანიკურ ბევრად უფრო რთულ პროცესებს, მაგრამ მათი ასხნა მან ვერ შესძლავდა. ივ. თარხნიშვილმა ვერ მოგვეცა ვერც ნებისყოფის თავისებულების ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი მეცნიერული ასხნა, მაგრამ მისი თეალსწრისი თითქმის ყველა დასმულ ზაკითში დამეტრატულად უმკობისობრივად იდეალიზმს და მატერიალიზმის დაცვას წარმოადგენდა. ზოლო თუ იმასაც ვაგვითვალისწინებთ, რომ ანალოგიურმა საკითხებმა ქვერ კიდევ 60-იან წლების დასაწყისში დასმული იყო გ. შიქოძის „ცდამდულ ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ „სადაც ამისთან ერთად ძლიერი იყო აგრეთვე იდეალიზმის ნაკადი, მაშინ ივ. თარხნიშვილის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. მან სენტიმენტისა და სხვა იმდროის გამოჩენილ ბუნებისმეტყველთა მოღვევებზე დაყრდნობით, მექანიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან, საგრძნობი ნაბიჯი გადადგა წინ, ქართული ფილოსოფია მექანიკური მატერიალიზმის თეალსწრისით იდეალისტური გადახრებისაგან განთავსულდა და მეტიც; თავიბი დასკვნებში მან პრაქტიკული ცხოვრების საკითხებს დაუკავშირა. ცნობიერებისა და ყოფიერების მიმართების მატერიალისტურად გადაჭრის საფუძველზე ივ. თარხნიშვილმა ცხოვრების არსებულ პირობების გარდაქმნა ადამიანთა და საზოგადოების

პროგრესის აუცილებელ პირობად გამოაცხადა ივ. თარხნიშვილის ლექციების მატერიალისტურ სკლისკვეთებას აღფრთოვანებით შეხედა გ. წერეთელი. მან შენიშნა, ეს გარემოება რომ გამოჩენილმა მეცნიერმა ახალი დროის მოთხოვნა — ცხოვრების პირობების გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ — ფიზიოლოგიური კანონების საფუძველზე მეცნიერული გამოართლება მისცა; ცხოვრების პირობებით ადამიანის ცნობიერების განსაზღვრულობის საფუძველზე, ივ. თარხნიშვილმა უარყო ნებისყოფის თავისებულების იდეალისტური გაგება და აქედან გამოამდინარე მცდელობა თეალსწრისი დანიშნულებისა და სასწარისი შესახებ. მაგრამ გ. წერეთელიმა გადამეტრატულად შეაფასა ივ. თარხნიშვილის ლექციებში გატარებული მექანიკური თეალსწრისი და დეტერმინიზმი; მან ისინი აჩსებითად ფატალიზმზე დაიყვანა. გადმოსცემდა რა ივ. თარხნიშვილის ლექციების ძირითად ღებულებებს, გ. წერეთელი აღნიშნავდა:

„ყოველი სხეულის მოძრაობა და მოქმედება გარემო მყოფ გაკეობებზე და მოყოფილებული: თავის ნებით, უმიზეზით და თუ ვარემო მყოფი გარემოებები არ მოითხოვენ ამას, კაცს უბრალო თავისი დასაბამებზე არ შეუძლიან“...

რასაკვირველია, ასეთი უქედურესი დასკვნა ივ. თარხნიშვილის არ ვაუკეთებდა. პირაქით, გარკვეული აზრით, იგი ნებისყოფის თავისებულებას აღიარებდა, თუმცა მას რა ანიჭებდა განსაზღვრულ მნიშვნელობას. დაახლოებით ანალოგიურად შეაფასა ივ. თარხნიშვილის მატერიალისტური იდეები ა. ფურცელაძემ. 1872 წელს, „მნათობში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი ნარკვევი „საქართველო“, რომელშიაც ის უმთავრესად ზოლისა და დრეპერის მოძღვრებას განიხილავს, მაგრამ აქვე ხეხა იმ შეხედულებებს, რომლებიც სენტიმენტის მოძღვრებიდან გამომდინარე განავითარა ივ. თარხნიშვილმა (თუმცა ავტორი თარხნიშვილს არ იხსენიებს).

ა. ფურცელაძე აქ ნებისყოფის თავისებულების საკითხს განიხილავს და ენიადან იგი უარყოფდა მის იდეალისტურ გაგებას, ამიტომ არ შეიძლება უარადღენის გარეშე დამტკიცებინა მისი ასეთი შესანიშნავი ასხნა, რომელიც ივ. თარხნიშვილმა მოგვეცა თავის ლექციებში. ა. ფურცელაძის აზრით, ადამიანი არაა თავისუფალი თავის მოქმედებაში, მისი მოქმედებანი განსაზღვრულია იმ შეგრანებებით, რომლებიც მასზე ბუნების მოქმედებითა გამოწვეული. მსგავსად ივ. თარხნიშვილისა, ა. ფურცელაძე აღიარებს მონოთეორიული აუცილებლობის და იქედან გამომდინარე მკაცრ დეტერმინიზმს:

„ბუნება მოქმედობს კაცზედ, კაცს მსაზრავს და იმგვარად იქცევა, — წერს ა. ფურცელაძე.

1 „დროება“, 1871, № 45.

2 „მნათობი“, 1872, იანვარი.

— ჩამდუნადაც ეს ქვევა შეესაბამება ბუნებას, კაცის მოთხოვნილებას და ვარემშო მყოფთ ვარემშოთ. ყოველი კაცის მოქმედებანი იღებებენ კაცის სრულიად ამის უნებურად და ღელეთხადათ, იღიძებენ გარეგანის მოქმედებით. კაცსა აქვს თავის ტვინი, რომელიც არის ისე მომართული, როგორც ჩაჩხი, როგორც მამინა, რომელიც როდესაც მომართავენ, მამინ დაბრუნდება და სათავე დააბრუნებენ იქით დატრიალდება¹ შემდეგ ავტორი განიხილავს ადამიანის ორგანიზმს, როგორც ერთ მთლიან მექანიზმს და აქაც იგი საესებით იმეორებს ივ. თარხნიშვილის შეხედულებებს.

როგორც ვხედავთ, ა. ფერცელაემ, მსგავსად გ. წერეთლისა, მატერიალისტური თვალსაზრისით უდღებდა და იწინებს ივ. თარხნიშვილის შეხედულებებს, მაგრამ ისიც არასწორად, უკიდურესად აზვიადებს მექანიკურ თვალსაზრისს და დეტერმინიზმის ივ. თარხნიშვილისებულ გაგებას, განიხილავს რა ორგანიზმს, როგორც უბრალო მექანიკურ ავრეგატს, რომლის ყოველი მოქმედება თითქმის ფაქტურ გარდევალაბამდა მიყვანილი. ბუნებრივია რომ ასეთი უკიდურესი დასკვნებისათვის საბაბი თვითონ ივ. თარხნიშვილმა მისცა. იგი, როგორც მექანიკის მატერიალისტი, მკვეთრად უსვამდა ხაზს მანქანურ ავრეგატის მსგავსებას სოციალურ მანქანასთან. მაგრამ ეს მსგავსება მის იგივეობამდე არ დავადა, იგი მათ განსხვავებამდე მიუთითებდა, რაც კრიტიკის ყურადღების გარეშე იქნა დატოვებული.

ივ. თარხნიშვილის შეხედულებათა შესახებ არი გამოთქვა არა მარტო ამ მომდგრების მომხრეთა მიერ, არამედ (და განსაკუთრებულ ენერჯით) მის ლექციებში განმთავრებულ შეხედულებებს თავს დაესხა კონსერვატულ გაზეთი „Кавказ“-ში თავმოყრილი იდეალისტების ქველი. ეს უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელებმა ივ. თარხნიშვილის ერთ შეხედვით უბრალოდ ფიზიოლოგიურ გქსპერიმენტებზე დამყარებულ მსჯელობაში ნებისმიერ და არანებისმიერ მოძრაობათა შესახებ, დაინახეს იდეალიზმის საყრდენების დამსჯერების საშიშროება, ხოლო მის თეორიულ-პრაქტიკულ დასკვნებში — აშკარა მოწოდება არსებულ სოციალურ-გეონომიურ სისტემის გარდაქმნის აუცილებლობისაკენ.

ივ. თარხნიშვილის მატერიალისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ 1872 წლის გაზეთი „Кавказ“-ში დაბეჭდა წერილების სერია ა. სტადლინისა და პ. ზალესკისა. ივ. თარხნიშვილის შეხედულებათა დასაცავად იმავე წელს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა დანიელ-ბეკოვის წერილები, რომლებსაც მოჰყვა ა. სტადლინის პასუხი, შემდეგ თავის კრიტიკოსებს პასუხი გასცა

ივ. თარხნიშვილმა, რომელსაც თავის მხრივ კვლავ გამოეხმურა ა. სტადლინი.

როგორც ვხედავთ, პაეტრობშიც² უკიდურესად ფართო ხასიათი მიიღო, ხოლო თუ ვინმეს ვა ვითვალისწინებთ, რომ პაეტრობის ხაგანი გახლან არა უმთავრესად ფიზიოლოგიის კერძო მეცნიერული საკითხები, არამედ აქედან გამომდინარე ძირეული ფილოსოფიური პრობლემები, მასწავთური გასაგები გახდება ივ. თარხნიშვილის ლექციების დიდი ფილოსოფიური ღირებულება სიერთოდ/და კერძოდ კი მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის სრული დამატისპირება იდეალიზმისადმი.

აღნიშნული ავტორებიდან ა. დანიელ-ბეკოვის წერილები უფრო სპეციალური ხასიათისაა. აქ უმთავრესად თავის ტვინისა და გრძნობის ორგანოებს შორის მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზეა ლაპარაკი. რაც შეეხება ზოგიერთ ზოგად ფილოსოფიურ პრობლემას, რომელსაც მან გვერდი ვერ აუარა, კერძოდ, ხაეთხს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, აქ იგი საესებით თანხილავს ივ. თარხნიშვილს. ა. დანიელ-ბეკოვი აკრიტიკებს ა. სტადლინს, რომ თითქოს მოძღვრება გარკვეული ადამიანის მოქმედებათა განსაზღვრულობის შესახებ და ამდენად ნებესყოფის იდეალისტური გაგების უარყოფა. ივ. თარხნიშვილის მიერ იუს პირველად შემოტანილი მისი აზრით, ივ. თარხნიშვილის მიერ წამოყენებული დებულებები აშკარად იყო გამოთქმული თანამედროვე სოციალოგიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიერ, რაც შეეხება ივ. თარხნიშვილს, მან ექსპერიმენტულურად დასაბუთა ეს დებულებანი და, მასწავლამდე, ძირითად ფილოსოფიური პრობლემაც — მთელი ადამიანის ცნობიერი და არაცნობიერი მოღვეწეობის გარემოთი განსაზღვრულობის შესახებ. ა. დანიელ-ბეკოვი არსებითად მატერიალიზმის თვალსაზრისით ახსებდა ივ. თარხნიშვილის ლექციებს და ამდენად გაშლილ ფილოსოფიურ პაეტრობაში იცავდა მის იდეალისტების შემოტვეებისაკენ.

იდეალისტები ივ. თარხნიშვილს აკრიტიკებდნენ, როგორც მატერიალისტს, ცდილობდნენ, მის საწინააღმდეგოდ, იდეალისტური ფილოსოფიის მეტაფიზიკური პრინციპების დაცვას.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ჩვენ საქმე ვკავებს არა მეცნიერების ბრძოლასთან ფილოსოფიის წინააღმდეგ, არამედ „ორი საბირისპირო ფილოსოფიური მიმდინარეობის ბრძოლასთან“, რომელიც მეტაფიზიკური საწინების უარყოფელ მატერიალიზმს პოზიტივიზმად ნათლავს. ფილოსოფიური იდეალიზმის დამცველს, ა. სტადლინის კარგათა აქვს გათვალისწინებული, რომ ამ ორ მიმდინარეობას შორის წყალგამყოფს წარმოადგენს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იდეალისტური თუ მატერიალისტური გადარჩა.

1 „მთაბი“, 1872, იანვარი.

„არსებობენ თუ არა იდეები ცდისაგან დამოუკიდებლად? — ან ყოველი ფილოსოფიის ანალიზზე ფუნდამენტური და დაუქმებელი, საბუნებისმეტყველო საკითხი“ — წერდა ა. სტადლინი. იგი უარყოფითად პასუხობს დასმულ კითხვას. ცდა მისთვის საგნის შემეცნების საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ საშუალებას მისი შექმნისა. ა. სტადლინი კანტის აპრიორიზმის თვალსაზრისზე დგას. სამყარო მისთვის მოვლენათა ქოსისა, რომელიც სისტემაში უნდა მოიყვანოს ზენმა სუბიექტურმა უნარმა. ფილოსოფიის საქმე აქვს არა ერთეულ ფაქტებთან, არამედ იმ აპრიორულ გამოკვლევებთან, რომლებსაც სისტემაში მოჰყავს ფაქტები. მისი საგანი მეტაფიზიკური პრობლემებია, რომლებსაც ცდა ვერ სწევდა. ამიტომ იქ, სადაც მოაგრდება ცდა ცდისეული მეცნიერებანი, იწყება ფილოსოფია. ამ თვალსაზრისზე დამყარებით სცადა ა. სტადლინი ბოლოს პოზიტივისტური სოციოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების ვადანსწავა და ამავე არგუმენტებზე დამყარებით სცადა იგი. თარხნიშვილის შეხედულებათა უარყოფა. ა. სტადლინიმა შენიშნა, რომ იგი. თარხნიშვილის ღმკობები ორი ძირითადი განყოფილებისაგან შედგებოდა: ფიზიოლოგიურისა და ფილოსოფიურისაგან, და რადგან ავტორის ყურადღების ცენტრში უმთავრესად ფილოსოფიური პრობლემები იდგა, ამიტომ არსებობდა ფიზიოლოგიური კვლევა-ძიება დაქვემდებარებული იყო ფილოსოფიურსადაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი. თარხნიშვილის მსჯელობის ძირითად საკითხს ნებისყოფის თავისუფლება წარმოადგენდა. მან ფიზიოლოგიური ექსპერიმენტებით უარყო ადამიანში გარემოს ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელი რაიმე უნარს, მათ შორის დამოუკიდებელი ნებისყოფის არსებობა და უკანასკნელის საფუძვლზე დასაბუთა ადამიანის მთელი ცნობიერების განსაზღვრულობა გარემოთი. ა. სტადლინი მთავარ დარტყმას იგი. თარხნიშვილის ამ მოსაზრების წინააღმდეგ წარმოათვის, რადგან ზედგას, რომ ცნობიერების დამოუკიდებლობის ვექსელებით ბოლო ედგა იდეალიზმს და გზა ებნება იმ მატერიალიზმს, რომლის წარმოადგენლად იგი იგი. თარხნიშვილს თვლის. ამ შემთხვევაში თარხნიშვილის კრიტიკოსმა ემყარება თავის არგუმენტს იმის შესახებ, რომ ცდას არ შეუძლია იმის ახსნა, რაც ცდის მიღმა. ფილოსოფიური პრობლემები ცდის ფარგლებს სცილდებიან. ბოლო რადგან ნებისყოფის თავისუფლების საკითხი ფილოსოფიური პრობლემაა, ამიტომ გაუმართლებლად თვლის იგი იგი. თარხნიშვილის ექსპერიმენტებს, რომლებმაც ცდა მან ნათლად აჩვენა ნებისმიერ მოძრაობა

ბათა ტპიურობა აჩანებისმიერთან ან რეალისტურთან შედარებით. საქმე იმაშია, რომ იგი. თარხნიშვილმა თავისი ექსპერიმენტებით უჩვენა ფიზიოლოგიის ფიზიოლოგიური საფუძვლები: ამით კი ის გადაუღებდა წინააღმდეგობა, რაც მანამდე არსებობდა მატერიალიზმსა და სულიერს შორის, რომელიც ერთნაირად გადანიშნული იყო ფილოსოფიაში ორივე მიმართულებისათვის, მეცნიერულად იქნა ახსნილი და გადაჭრილი.

იდეალისტმა ა. სტადლინიმ ერთმანეთს მოწყვიტა მიზეზობრიობა და აუცილებლობა, ქართული მეცნიერის სწორი თვალსაზრისი დეტერმინიზმზე ვერ გაიგო და მიზეზობრივი მოქმედება იგი. თარხნიშვილიან ვინიხილა, როგორც რაღაც გარდუვალი ხასიათის იძულება. ბოლო რადგან მისი აზრით, გარეგან გამორჩენილებს „იძულებს“ ხასიათი არა აქვს, არამედ მხოლოდ „საბაბისა“, ამიტომ ნებისყოფის თავისუფლება კი არ იზღუდება, როგორც ფაქტობა იგი. თარხნიშვილი, ირამედ პირიქით, მის მოქმედების არე უფრო უდარბოვდება. ა. სტადლინი ყველა ეს საწინააღმდეგო მტკიცება ერთი ძირითადი აზრის გამართლებისათვის სწირდება: ცნობიერება დამოუკიდებელია და იგი თვით არის სამყაროს კანონმდებელი, ხოლო რაც შეეხება კერძოდ ნებისყოფას, იგი არამც თუ დამოუკიდებელი არაა გარემოსაგან, არამედ პირიქით, თვითონ არის აღამაინა, საზოგადოების და მთელი კაცობრიობის მამობრებელი. ა. სტადლინი იდეალიზმის პოზიციებიდან უარყოფს იგი. თარხნიშვილის ნატურალიზმს, რომელსაც იგი მექანიზმისა და ფაქტუალისის ნიარსაბუთად თვლის, იცავს ცნობიერების დამოუკიდებლობის თვალსაზრისს და ამიტომ, ცხადია, უარყოფს იმ პრაქტიკულ დასკვნებსაც, რომლებზეც იგი. თარხნიშვილმა ლოგიკურად გამოიყვანა თავისი თეორიული დებულებებიდან.

ასეთი იყო ა. სტადლინის ბრძოლა ორ ფრონტზე, ერთი მხრივ იდეალიზმის, ხოლო მეორე მხრივ არსებული ცხოვრების დასაცავად, რომლებსაც იგი. თარხნიშვილმა თავისი მოძღვრებით მნიშვნელოვნად შეუწვრილა კარები. ანალოგიური არგუმენტებით გამოილაშქრა მატერიალიზმისა და, კერძოდ კი იგი. თარხნიშვილის შეხედულებების წინააღმდეგ აგრეთვე მეორე იდეალისტმა პ. ზალესკიმ, უკანასკნელის ორიენტაციის გასარკვევად საგმარისისა მხოლოდ იმის დასახელება, რომ იგი იყო ერების ასიმილაციის აუცილებლობის შესახებ გრ. მუხრან-ბატონის რეაქციული თეორიის დამცველი და მდიდრებელი. როგორც ფილოსოფოსი, იგი ვექსეტრიკოსი იყო, თუმცა არსებითად, მსგავსად ა. სტადლინისა, ისიც კანტის თვალსაზრისზე იდგა, მაგრამ მატერიალიზმთან ბრძოლაში სტადლინიც კიდევ უფრო მარჯვენად წავიდა.

¹ А. Стадлин. Беседы о философии и науке, 213.

თავისი რეაქციული მოსაზრებანი პ. ზალესკიმ იგი თარხნიშვილისა და, საზოგადოდ, გასულ სუენის სამოცდაათთან წლებში გავრცელებული მატერიალიზმის წინააღმდეგ წამოაყენა. ისევე, როგორც ა. სტალინიმა, ა. ზალესკიმაც ორი მიმართლებით განაღო ბრძოლა. ერთი მხრით სცადა იდეალისტური ფილოსოფიის მატერიალიზური პრინციპების შეურყეველობის დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, იგი თარხნიშვილის იმ არგუმენტების უპასუხოდა, რომლებიც არსებული წყობილების რადიკალურად გარდაქმნისაკენ იყენენ მამართლებს.

იდეალისტების ასეთი შეწყობილი გამოსვლა იგი თარხნიშვილმა უყურადღებოდ არ დატოვა, წერილების მთელი სერია გამოაქვეყნა თავისი კრიტიკისთვის წინააღმდეგ; ამ წერილებში შეცნობრმა არა მარტო იდეალისტ კრიტიკოსებს გასცა პასუხი, არამედ იმ თავის თანამოაზრეებსაც, რომლებმაც ზედმეტად ვაზუვიადეს იგი თარხნიშვილის შეხედულებათათვის დამახასიათებელი შექანიციზმი, ხოლო მისი დეტერმინიზმი ფატალიზმამდე მიიყვანეს. იგი თარხნიშვილმა თავის პასუხში კიდევ უფრო ვაუსვა ხაზი ფსიქიურის ან ცნობიერების ფიზიოლოგიურ საფუძველს და აღნიშნა, რომ უკანასკნელის გამოყენე, საერთოდ, შეუძლებელია ლამარაჟი პირველის არსებობის შესახებ.

იგი თარხნიშვილის წერილებში გარკვეულად არის აღნიშნული ორი გარემოება, ხაზი აქვს გასმული იმას, რომ ცნობიერი მოქმედება, რომელიც თავისი წარმოშობის მხრივ, გარემოს ზემოქმედებითაა დეტერმინირებული, უაღრესად რთული პროცესია, რომელიც ამავე დროს არ გამოირჩევათ თვითონ ამ მოქმედების და, მაშასადამე, მთლიანად ცნობიერების შედარებით დამოუკიდებელ ხასიათს. ეს კი სრულიად განსხვავებულია იმ ფატალური გარდევლობისა-

გან, რომელსაც იგი თარხნიშვილს მისი თანამოაზრეები — გ. წერეთელი და ა. ფერცელაძე მიიწერდნენ. მეორე მხრივ, ხაზი აქვს გასმული გარემოთი ცნობიერებას დეტერმინირების საკითხს, იმას, რომ, მართალია, ცნობიერ მოქმედებას წინ უძღვის რთული პროცესები, მაგრამ ეს პროცესები შედგება ორგანიზმზე გარემოს ზემოქმედებისა, ერთხელ კიდევ არის უარყოფილი იდეალიზმის საყრდენის ცნობიერებისა და მისი აქტების გარემოსაგან დამოუკიდებლობა.

როგორც იდეალისტ-კრიტიკოსების წინააღმდეგ გამოქვეყნებული იგი თარხნიშვილის წერილები, ისე იგი თარხნიშვილის შეხედულებათა გარშემო გამოიწერა პაექრობა ნათელს ზღის, რომ 70-იან წლებში საქართველოში გამოქვეყნებული ბრძოლა წარმოებდა ორ ძირითად ფილოსოფიურ მიმართლებას შორის. იგი თარხნიშვილის დიდი როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან განუხრებლად დაიცვა მატერიალიზმის პრინციპები და საბუნებისმეტყველო მონაცემებზე დამყარებით აშხილი იდეალიზმის პრინციპების სიყალბე. მაგრამ თარხნიშვილის მნიშვნელობა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიაში მარტო ამით არ ამოიწურება. როგორც აღვნიშნეთ, იგი აგრძელებს საქართველოში მექანიკურ მატერიალიზმის იდეებს, ათვისუფლებს რა მათ აშკარა იდეალისტური გადაბრებისაგან, რომლებიც მათ მანამდე ახასიათებდა. მაგრამ ეს ცალკე საკითხია და სხვა ასპექტში მოითხოვს იგი თარხნიშვილის შეხედულებათა განხილვას. მოკლებულ შემთხვევაში ჩვენ ხაზი გაუვსვით მხოლოდ იგი თარხნიშვილის შეხედულებათა დაბრუნებისაკენ მხოლოდმხედველობრივ მოწინააღმდეგეებთან, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის.



გივი შირაღანი

უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში

მოელა შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველო წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო გზაჯვარედინს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. ცნობილია, რომ საქართველოს გზით თბილისსა და შავი ზღვის პორტებზე გაქონდათ დასავლეთის ქვეყნებისაგან სპარსული, უმთავრესად ვიღანური აბრეშუმი, და ეს გზა, უცხოელ მოგზაურთა მოწოდებით, წარმოადგენდა ერთ უმთავრეს გზათაგანს (ასეთები იყო: სპარსეთიდან დასავლეთისაგან მთავალი სავაჭრო გზები სირიის ქალაქ ალექსანდრეპოლის ზღვასა და სპარსეთის ყურეში მდებარე ბენდერ-აბასიხზე და კენქელ პორტზეზე გავლით). ამავე გზით გადიოდა აურქეთისა და დასავლეთის ქვეყნებში ქართული ნაწარმი — ნეფლი აბრეშუმი, ღვინო, სელი, სელის ტილო, თაფლი, ცვილი, ლითონები და სხვ.

დასავლელი ვაჭრებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ვაჭარულ მდელ აბრეშუმს, რომელიც იმპარებოდა დასავლეთის ქვეყნების აბრეშუმის მრეწველობაში, ამიტომ, ბირველ ყოვლისა, სწორედ ამ საქონლით ვაჭრობა აღვიძებდა დასავლელ ვაჭართა და მოგზაურთა ინტერესს საქართველოს მიმართ.

ძალიან დიდ როლს თამაშობდა ნეფლი აბრეშუმითა და სხვა აღმოსავლური საქონლით ვაჭრობაში ბოშურთა ქალაქები — ჟელა (ჟელდა) და აქელისი (დაშთი), რომელიც მდებარეობდნენ დიდ საქარეინო გზაზე და წარმოადგენდნენ სომხური სავაჭრო კაპიტალის თავმოყრის უმნიშვნელოვანეს ბუნქებს; დაწყებული XV საუკუნის დამლევადან ევლერ XVII საუკუნის დამდეგამდე რანის ბაზრებს ისინი აკავშირებდნენ შერეო აზიისა და აღმოსავლეთ მიმავალ გზებთან. ჟელდაში ვაჭრები იყვნენ უმნიშვნელოვანესი შუამავლები ნეფლი აბრეშუმით ვაჭრობის საქმეში, XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან მათ დაამყარეს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ქალაქ ვენეციასთან.¹

როგორც ცნობილია, სომხების ე. წ. „დიდი გამოსახლების“ (მეწ სურგენ“) ვაშს შავ აბაზ 1-მა 1604-1605 წლებში მდიდარი სომეხი ვაჭრ-

ბი ჟულიდან, თავზირიდან, ერევნიდან და ბბე ქალაქებიდან გადაასახლა სპარსეთის დედაქალაქ ისპაანში; მათ შექმნეს ქ. ისპაანის გარეუბანი ნორ ჟელა, ე. ი. ახალი ჟელდა, რომელიც მალე სომხური სავაჭრო კაპიტალის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა, ხოლო სომეხი ვაჭრები როგორც ცნობილია, შეიქმნენ სპარსეთის შაჰის მოვარე სავაჭრო ფაქტორებად. XVII საუკუნის დასავლელი მოგზაურები (ოლერიუსი, ტავერნიე, შარდენი და სხვანი) ერთხმად აღნიშნავენ იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებდნენ იმდროინდელ საშუამავლო ვაჭრობაში სომეხი ვაჭრები, უმთავრესად სწორედ მათ გაქონდათ სპარსეთიდან სხვა ქვეყნებში ნეფლი-აბრეშუმსა და სხვა საქონელი.

გარდა სომხებისა, თურქეთისა და სპარსეთში ვაჭრობას ეწეოდნენ დასავლეთელი ვაჭრები — განსაკუთრებით ვენეციელები, ინგლისელები და პოლანდიელები. მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ ინგლისელთა მოსკოვური კომპანიის აგენტების მოღვაწეობა. ისინი, როგორც ცნობილია, XVI საუკუნის 60-70-იან წლებში მოგზაურობდნენ ვოლგა-ასტრახანს და ეწეოდნენ სავაჭრო საქმიანობას სპარსეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში².

ამ ვაჭრობებზე ვაჭრობაში ნეფლი აბრეშუმით და სხვა აღმოსავლური საქონლით მონაწილეობდნენ ქართველი ვაჭრებიც. ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში უკვე აღინიშნა ცხელი ვაჭრების ურთიერთობა ინგლისელ ვაჭრებთან XVI საუკუნის იმ-იან წლებში.³

ამ შეკვრება მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი ამ ურთიერთობიდან, მოხსენებული ინგლისელ მოსკოვური კომპანიის აგენტის ლორენს ჩუბმენის მიერ, რომელმაც ინგლისელთა კომპანიის მეორე აგენტ არტურ ედვარდსთან ერთად დასკო შამხიისა და ყაზვინში 1568-1569 წლები.

თავის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა ერთ ინგლისელ ვაჭარს 1569 წლის 28 აპრილს, ლორენს ჩუბმენი, სტაათა შორის წერდა: „თავიზში მე შემთხვევით შევხვდი საქართ-

¹ ი. ბერიძე, „სომხური სავაჭრო კაპიტალი“.

² ი. ბერიძე, „სომხური სავაჭრო კაპიტალი“.

³ ი. ბერიძე, „სომხური სავაჭრო კაპიტალი“.

ველოს მმართველის ვაჟარს, რომელსაც ძალიან სწავდა ეყრდნა ჩემგან 100 ნაჭერი ლანდარქ თა- ვისი პატონისათვის, რომელსაც ჰქვიან ლორტი, და მარწმუნებდა, რომ უყანასკნელი საყვებით მზადა გადამიხადოს, ლანდარს ჩაბარებისას, ფულით ან აბრეშუმით, რაც კი შეიძლება მო- იპოვებოდეს ამ მხარეში. ამის გარდა, იგი მითა- ვაზობდა თავისი პატონის სახელით მოეცა სივლე- ლი, რომლითაც კარბელობდა, რომ ლანდარში არ მოითხოვდნენ საბაჟო გადასახადს, თანაც მპირდებოდა, რომ პატრეცემული კომპანია მი- იღებს მისი პატონისაგან მის სამფლობელოებში სიარულის ისეთსავე ფართო პრივილეგიას, რო- გორც უბოძა კომპანიას შაჰმა. შევერტყე რა სომხებისაგან ძალიან კარგე აზრი ამ მმართვე- ლზე და გვივტე რა, რომ იგი ქრისტიანია, მე მით უფრო მასთან საქმის დაქვრის მოსურნე ვიყავი და ამიტომ მივეციე მას 100 ნაჭერი ლან- დარა, ნაჭერი 160 შაჰიდ ამ ძიარობით, რომ ზემოსხენებულ ვაჟარს უნდა გადაეხადა ფასი საქართველოში ფულით ან აბრეშუმით 3 დღას განმავლობაში ადგილზე, ლანდარს ჩაბა- რებისთანავე". ლ. ჩემპენი შემდეგ აღწვთებ- ბულა მოგვახსობს, რომ, როდესაც აღნიშ- ნული ნაჭონელი შაჰატანს საქართველოში, მი- სნა მმართველმა არ მიიწინა ამ საქონლის ყიდვა და უყან დაუბრუნა იგი ინგლისელებს.⁶ ექვს ვაჭრეა, რომ ინგლისელი აგენტის მიერ მოსხენებული „ლონტი“ არის კახეთის მეფე ლევან II (1520-1574 წწ.), რომლის მმართველობის ხანაში, ვახუშტის გამოთქმა რომ ვა- ჩართ „კახეთი იყო ფრიად შუნი და მაგარი“.⁷ კახეთის მეფე ლევან II, რო- გორც ჩანს, უცდია 1569 წლის ვაჭრეებზე, თავისი აგენტის, რომელიც კახელი ვაჭრის მეშ- ვეობით, დაემყარებინა სავაჭ- რო ურთიერთობა იმ დროს თავ- რისში მეფე ინგლისელთა მოს- ვაჭარი კომპანიის აგენტთან, მაგრამ რადაც მიზეზის ვაჭარ ეს ცდა ჩაფუჭულა, შეიძლება კახთა მეფის ასეთი „უპირილობა“ აიხსნება იმით, რომ მას არ მოეწონა უხეში შალის ქსოვილი, ლანდარ; შეიძლება, ეძებრა ვადგილ მართლაც, ერთ ნა- ჟერ ლანდარში 160 სპარსული შაჰის (ე. ი. ამ- დენივე ინგლისური შლინგის), ანდა ამის ფასი ნედლი აბრეშუმის მოთხოვნა მერად მალედი ფასი იყო. როგორც არტურ ედვარდსის წერი- ლებიდან ჩანს, ალბოში ვენეციელები ჰყიდ- დნენ ლანდარს 132-144 შაჰიდ, ანდა 11-12 ლუ- კატაღ, შაჰახიაში ლანდარს ნაჭერი იყიდებოდა 146 და 147 შაჰიდ, სულ დიდი 130-160 შაჰიდ,⁸ ხოლო იმავე ლორენსი, ჩემპენის მოწოდებით, თავიზნო არავინ შეაძლია ნაჭერ ლანდარში 140 ჰამზე მერტიმ. მაშასადამე, ინგლისელებს მოუჭურებიათ გამოყრდნობით კახთ პატონისა-

თვის ფრიად მალედი ფასი, რაზედაც იგი, ცხა- ლია, არ დათანხმდებოდა, მით უფრო, რომ მის აგენტ ვაჭრებს შეეძლოა წაეღოთ დამ გვეყრდნობ მისი აბრეშუმით, ანდა ვადეცვალოთ სკი ამხვე- ლანდარზე თავრისა, ალბოში, ან სხვა რომე- ლივე ქალაქში გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში. ცხადია, რომ ადგილობრივი ვაჭ- რებიც უკმაყოფილონი იქნებოდნენ ინგლისელი აგენტების კახეთში შეღწევით და არ დაიშურებ- დნენ შეცადილობას, რათა ხელი შეეშალათ მათთვის ამ წამოწყებაში.

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVI საუკუნის კახეთის ეკონომიური გაფუტრ- ქებისათვის იმ ვაჭრობებს, რომ, როგორც სა- მართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ეს სამეფო საქართველოს ყველა სხვა ნაწილზე უფრო ახლოს მდებარეობდა გილან-შაჰახია- ასტრახანის „აბრეშუმის გზასთან“.¹¹

ჭართველ ვაჭართა ატბორი საქმიანობა შემ- დევაც არ წუღებდა. ასე, მაგალითად, ინგლისელი ვაჭარი და მოგზაური კარტრაიტი, რომელმაც გაიარა ძველი ქუდა (ქუდა) 1590 წელს, შე- ნიშნავდა, რომ ამ ქალაქში მოსახლეობდნენ სო- მხები და ქართველები, რომელნიც ეწეოდნენ აბრეშუმით ვაჭრობას. ს. ტერ-ავეტისიანი, რომელსაც მოჰყავს თავის წიგნში ეს ცნობა, ფა- ქრობს, რომ ამ მოხსენებულ ქართველებს უნ- და ყოფილიყვნენ არა ქუდას მკვიდრნი, არა- მეღ ჩასული ვენეციელები.¹² მაშასადამე, ამ მოხ- სენებულ ქართველები ყოფილან ქუდაში ჩა- სული ვაჭრები, რომელნიც XVI საუკუნის 90-იან წლებში ეწეოდნენ აბრეშუმით ვაჭრობას.

როგორც ჩანს, ასევე აქტიურ ვაჭრობას ეწე- თდნენ ქართველები თურქეთის სამფლობელოებ- ბით ასე, მაგალითად, ქართლის ცხოვრებას ერთ-ერთ გადამწვევებულ ვაჭარებულაში მოხსე- ნებულა ერთი ქართველი ვაჭარი, ვაჭარდ ლიპ- ენისშვილი, რომელმაც ჩამოიტანა თურქეთის მიცვალებული სიმონ მეფის ნაჭერი.

როგორც ცნობილია, გვირი ქართველი მეფე სიმონ I ვარდაცივლი სტამბოლში თურქეთის ტყვეობაში, რაც, მ. ფ. ბროსის თანახმად, უნდა იმშხდარიყო 1611 წლის ახლო ხანებში.¹³ ხალხო თურქული წყაროების მიხედვით სულთან ამ- მედის მეფობაში (1603-1617 წწ.)¹⁴

ქართლის ცხოვრების გადამწვევებულ ვაჭარ- ძელებში ვკითხულობთ, რომ სიმონის ტყმ ქართლის მკვე გიორგი X დიდი საუწყ წარგ- ხავენა თურქეთს „საკუთრად მეფის სვიმონისაჲ. მაგარმ სიმონი უკვე ვარდაცილოლიყო საპარო- ბილუში და „ესკოდენი სიუნჯუკა მუნ დამთა“.

„ხოლო იყო მუნ სტამბოლს. — ვანჯარძობს მემბატანე, — ერთი გორელი ვაჭარი, რომელსა ეწოდა ლიპენისშვილი და ამან იპოვნა ძუღლი სვიმონი მეფისანი და წარმოიღო იგი და მია- რთუა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დარე- ყანს. და ყვეს გლოფა დიდი და დამარხეს სასა-

რხისა, თესსა მცხეთას, ზოლო რომელმანცა მოილო ჰელნი მისნი, იგი დიაცუნისშვილი ყოვლოთრთ სახლულთო მისით ვააზატეს, და შესწირეს პატრისანსა და ცხოველ-ყოფელსა ჟუარის მონასტერსა სალხინებულა და საოხად შეფისა სემონისა და არიან აჲცა გორს დიაცუნისაშვილები უმანი ჟუარის მონასტრისანი".¹⁵

შემტკიცების ამ ცნობიდან ჩანს, რომ გორელი ვაჭარი დიაცუნისშვილი ეწეოდა საქმიად მნიშვნელოვან ვაჭრობას თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში. ცხადია მას იაფად არ დაუფლებოდა სიმამ შეფის ნემტის შეძენა და მისი გადმოსვენება სამშობლოში. გორელი დიაცუნისშვილი მდგომარეობით უმაღლები უფილა და ამ დამსახურებისათვის შეფე ვითრეი X ვაჟნატებიც ისიც და მთელი მისი ოჯახიც, შეუწირავს იერუსალიმის ქართველთა ჟურის მონასტრისათვის შეფე სიმონის სულის საოხად და ამჟორიდან გორში მცხოვრები დიაცუნისშვილები ითვლებოდნენ ჟურის მონასტრის ყმებად (ცხალებად).

2

სპარსეთში ქართველების ვაჭრობის შესახებ საყურადღებო ცნობას იძლევა გერმანელი ადამ ოლუაროუსი (ოლშლეგერი), რომელმაც როგორც პოლშტაინის ელჩობის მდივანმა, წელიწადნახევარი — 1636 წლის შემოდგომის დამლევებიდან 1638 წლის გაზაფხულამდე — დაყო არხის სხვადასხვა პრაიონციაში, ზოლო აქედან 4 თვენახევარი — 1637 წლის აგვისტოს დამლევებიდან იმავე წლის დეკემბრის მეორე ნახევრამდე — ვაჭარა სპარსეთის დედაქალაქ ისპანში, რომლის ცხოვრებასაც საქმიად კარგად ვაეცნო.

ისპანის მოსახლეობის აღწერისას ოლუაროუსი, სხვა ეროვნების ვაჭრებთან ერთად, იხსენიებს ქართველ ვაჭრებსაც, რომელნიც იქ ბინადრობდნენ და საქმიანობდნენ სხვადასხვა ეროვნების ვაჭრებს ოლუაროუსი ჩამოთვლის ასეთი თანამიმდევრობით: სპარსელები, რენდოელები, სხვადასხვა თათრები ხეჩაზბოიდან, ხატაეიოიდან (ჩინეთიდან) და ბუზარიიდან, თურქები, რუდეელები, სომხები, ქართველები (Georgianer), ინგლისელები, პოლანდიელები, ფრანგები, იტალიელები და ესპანელები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველებს სპერით ისპანის გრე-ერთი ვაჭრებანი, ოლუაროუსი წერს, რომ ისპანს ბჭონია მის დროს ეწეო დიცი რაბანი ანუ ვაჭრებანი. ამითგან იგი პირველ ადგილზე იხსენიებს მდიდარი სომეხი ვაჭრებით დასახლებულ ვაჭრებან ახალ ჯულფას (Tzulfa), ზოლო მესამე ადგილზე ვაჭრებანს, რომელსაც ეწოდებოდა

ასენაბათი (Hassenabath), უფრო სწორად ჰასენაბადი

„ჰასენაბადი (Hassenabath), — წერს ოლუაროუსი, — წარმოადგენს ვაჭრებანს ჯურჯისანს ანუ ქართველ ქრისტიანთა (eine Vorstadt der Tzurtzi, oder Georgianischen Christen), რომელნიც გადაყვანილნი არიან იქ საქართველოდან (aus Georgia) [ისინი] ვაჭრეფე არიან წარჩინებული ვაჭრები (fürnehme Kauffleute), რომელნიც თავიანთ სავაჭრო საქმეების გამო, ისევე როგორც სომხები, ვეჯდენ და მოგზაურობდენ და სხვა ქვეყნებშიც დაიარებიან".¹⁶

მამასაღამე, ოლუაროუსის აღწერის თანახმად, რომელიც საქმიად სანდო წყაროს წარმოადგენს, ქართველი ვაჭრები თრიალდიდროლს თამაშობდნენ სპარსეთის დედაქალაქში ისინი აწარმოებდნენ აქტიურ ვაჭრობას როგორც სპარსეთში, ისე სხვა ქვეყნებში და გამდიდრებულან კიდევ ქართველები ახალშენიარსებობდა ქ. ისპანის ვაჭრებან ქაბენაბადში.

აქ აღსანიშნავია, რომ ვიეტორი, ოლუაროუსის თხზულების ფრანგულ ენაზე მთარგმნელი, თავისით უშტებეს ორიგინლის ამ ადგილს ცნობებს, რომლებიც მას თვითონ შეეპოვებოდა¹⁷. ეს ცნობები ჩვენთვის საყურადღებოა ენაიდან იმ დროს, როდესაც ვიეტორი თარგმნიდა ოლუაროუსის თხზულებას (ამ თხზულების ფრანგული თარგმანის პირველი გამოცემა გამოვიდა 1656 წელს, მეორე — 1659 წელს), მის ეჭირა ბრანდენბურგის კურფიურსტის რეზიდენტის თანამდებობა პარიზში, ვიეტორი ძალიან კარგად იცნობდა თავის უბოქას და იმდროინდელ სეარაშორისო ურთიერთობას.

შეეშათ მოგვეყვან ვიეტორის ფრანგული თარგმანის ეს ადგილი მთლიანად:

„ვაჭრებანი ჰასენაბადი (Hassenabath) წარმოადგენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ჯურჯისას (Tzurtzi), ესე იგი ქართველები იქანს (des Géorgiens), რომელნიც ავტოიეფე ქრისტიანები არიან, მოშტებულად ვაჭრები და ყველანი მდიდარნი, ისევე როგორც სომხები, (გამდიდრებულნი) იმ მსხვილი ვაჭრობის წყალობით, რომელსაც ისინი აწარმოებენ როგორც სამეფოს შიგნით, ისევე ყველა სხვა ადგილში. მათ ძალიან უყვართ მოგზაურობა, განსაკუთრებით ინდოეთსა და ევროპაში, და მოშტებულნი ნაწილი იმ ვაჭრებისა, რომელთაც ვხედავთ ვენეციაში, პოლანდიაში და სხვა ადგილებში, და რომელთაც იქ უწოდებენ სომხებს, ეკუთვნიან ამ ქ. ი. ქართველთა — გ. ე. ე. ეს იმითმ კი არა, რომ ქრისტიან სომხებსა და ქართველებს უ-

ლიდეს ვინმე ქალაქში (ისპანში — გ. ე.) ცხოვრებას, არამედ მხოლოდ იმითაჲ, რომ მათ უჩვენიათ ქონდეთ განსაკუთრებული საცხოვრებელი ადგილი, სადაც შეუძლიათ დამშვიდებით ცხოვრება და რწმენის თავისუფლებით სარგებლობა; ვინაიდან სპარსელები არამცთუ არ უშლიან მათ ზელს იტხოვრონ ყველგან, ხოლო ქალაქ ისპანში მათ აქეთ განსაკუთრებული უზენაი, მესჯედ მეჰდის (Metchi mehedi)²⁰ უყენებენ ადგილს, რომელსაც ეწოდება ნესერა (Nessera),²¹ არამედ მათ (გ. ი. სპარსელებს — გ. ე.) უყვართ კიდევ ისინი არა მარტო იმიტომ, რომ ჰხედავენ სარგებლობას შათთან ვაჭრობაში, და (იმიტომ) რომ ისინი იხდიან ვადასაჲს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისინი რგავენ და ამწენებენ ვაზს და აყენებენ ღვინოს...²²

ამგვარად, აბრაამ ეციფორის მიერ შეკრებილი ცნობების თანახმად, ქართველი ვაჭრები, ისევე მდიდარნი როგორც სომეხი სოფელები, დიდ პატივით სარგებლობდნენ სპარსეთში და დღიოდნენ საავტოროდ შორეულ ქვეყნებში, მათ შორის ინდოეთსა და დასავლეთის ქვეყნებში (გენეივასა და პოლანდიაში). სადაც ვერაძელები ურევდნენ თურმე მათ სომეხს. ისინი არა მარტო ცხოვრობდნენ ქ. ისპანის ვარუბან ქაყნაბადაში, არამედ თვით დედაქალაქში, სომეხებთან ერთად, მოსახლეობდნენ ქალაქის იმ უბანში, რომელიც მდებარეობდა მესჯედ მეჰდის (მეჰდის მეციეთის) უკან.

3

თუ როგორ გაჩნდა ისპანის გარეუბანში ქართველთა ახალშენი, ამანზე უპასუხებს ოლეარიუსი. იგი წერს, რომ ქალაქის მცხოვრებლები ქართველები „იქ საქართველოდან გადაყვანილნი არიან“-ით (aus Georgia dahin geföhrt worden).

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შამ აბაზის საქართველოზე მეორე დაშტრობის ამბის გადმოცემისას, ოლეარიუსი დასძევს: „იმ დროს საქართველოდან (aus Georgia) ისპანს გადასახლებული იყო მრავალი ქრისტიანი, რომელთა შთამომავალი (derer Geschlechter) ზეენ იქ ჩავსესწარი“-ით.²³

როგორც ჩანს, ქართველი ვაჭრები მრავლად გაჩნდნენ სპარსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით ისპანში შამ აბაზის მიერ ქართველთა აყრას ვაშს.

ქართველი მესტორიანი (მერა ეგნატაშვილი, ვლემტი, ფარსადან გორგოჯინძე) და უცხოელ მოგზაურები (მარდენი, პეტრო დელა ვილა, ტეფერინი და სხვანი) მოწმობენ კახელებისა და კახეთში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხის — სომეხების, ებრაელების, ჩერქეზების — კახეთიდან აყრასა და ჩასახლებას სპარსეთის 12. „შენათობა“, № 8,

სხვადასხვა პროვინციაში, პირველ ყოვლისა, კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარე მახანდერანსა და ისპანის მიდამოებში მდებარე ფერიაში (ფერეიდანში), ატრეპატე ჩორაზმანში, ფარსისტანში, ქირმანში, შირაზსა და სხვა ოლქებში. კახეთიდან აყრილი მოსახლეობით დაუსახლებიათ ქალაქები და სოფლები, ხოლო ზოგიერთ ოლქში ისინი შეადგენდნენ, თურმე, მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს.²⁴

ვარდა კახეთისა, მოსახლეობა აუერაით ქართლიდანაც. მაგრამ, ვერ ერთი, გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით და, მეორეც, ქართლებს სხვაგვარი ბედი ჰედომიათ წილად, ცნობილი სომეხი მესტორიე არაქელ დავრივეი (თავრიზელი) გარკვევით გაარჩევს ურთიერთისაგან ქართველ კოლონისტებს ამ ორ ნაწილს — კახეთიდან და ქართლიდან. კახეთიდან აყრილ მოსახლეობისათვის, არაქელის თანახმად, ვერ მოუყრიათ თავი მდინარე მტკვრის სანაპიროსთან, შემდეგ აყრილნი წაუსსამთ ქ. ყაზვინში, ხოლო იქიდან — მახანდერანის ქ. ფაბრაბადაში, ანუ ფერაბადაში. ამ ქალაქში დავრივეით აყრილი ქართველები, სომეხების მტკლმანებისა და ებრაელებს ერთი ნაწილი, ხოლო დღი ნაწილი დავუანტავთ ფერაბადადის შიდამოუბის სოფლებში, სადაც შათთვის უწყალობებით სახლები, ვენახები და ზაღები... ამის შემდეგ არაქელ დავრივეი აღწერს მახანდერანს ჩასახლებული კახელი კოლონისტების საეალალო ბედს, მათ ვაჭირებებს, ამოწყვეტას, გამამჰდაინებებს და კიციხეთ ახსენებს, ამასთან დაეყმირებით, შამ აბაზის სახელს.²⁵

რაც შეეხება ქართლიდან აყრილთ, არაქელ დავრივეის აღწერის თანახმად, „ისინი გარკვეს სპარსეთისაყენ, მაგრამ ფაბრაბადის (ფარაბაბადის) ნაკელად ქართლის მცხოვრებნი მიიყვანეს ისპანს და საცხოვრებლად მისცეს მათ ის გარეუბნებო, რომელნიც უკვე დაქერილი იყო სომეხების მიერ“.²⁶

უპველა, სწორედ ამ ქართველებს იხსენიებს ოლეარიუსი ისპანის ვარუბან ქაყნადადის მცხოვრებლებად. საფიქრებელია, რომ ისპანში და, პირველ ყოვლისა, ქალაქადაში ჩასახლებულ ქართველები თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობითაც გამოირჩეოდნენ ფერიაში (ფერეიდანში), მახანდერანში, ხორასანსა და სხვა პროვინციებში — უმთავრესად სოფლებში — ჩასახლებულ ქართველ კოლონისტებსაგან. ეს უყანასყენი, უპველა, უმეტესად მიწათმოქმედნი გლეხები იყვნენ; ხოლო ქალაქებში ჩასახლებულნი და მათ შორის ქალაქადადის მცხოვრებნი — ვაჭრები და ხელოსნები.

უპველა ისიც, რომ შამ აბაზი ქართველ ვაჭრებს, ისევე როგორც სომეხ ვაჭრებს, ბევრად უკეთ მოეყიდა, ვიდრე ქართველ და სომეხ მიწათმოქმედ გლეხებს; შეუქმნა მათ ცხოვრების

შედარებით კარგი პირობები, რათა ამით მიეღწეოდა თავისი მთავარი მიზნისათვის — სპარსეთში ვაჭრობის განვითარებისათვის. ამ მართლაც, ამ მიზნისათვის აბაზს მნიშვნელოვნად შეუღწევია კიდევ, რადგან, როგორც ოლეარიუსის აღწერისაგან ჩანს, სომეხი და ქართველი სოფელები ეწეოდნენ ვაჭრობას სპარსეთსა და სხვა ქვეყნებში, რაც ზრდიდა სპარსეთის სახელმწიფოს ეკონომიურ ძალას.

არაქელ დავრიყევი კარგად აღწერს, რა ხერხებს მიმართავდა შაჰ აბაზი იმისათვის, რომ დავრიყევიებმა იძულებით დასახლებული სომეხი ვაჭრები ახალ „სამშობლოსთან“, შეეყვარებინა მათთვის ეს „დედინაცალი“ და დაეეწეებინა დედო-სამშობლო. შაჰმა დაიხატოვა თურმე ახალქული დავრიყევი ვაჭრები, ხოცებდა, ღადიოდა მათთან სტუმრად, ჭამდა და სეამდა მათთან ერთად, პატრონობდა თავისთან, ყოველმხრივ ელოიავებოდა, შეუმსუბუქე ვადისახლებები, არ ანავგრიებდა მათ თავის ქვეშევრდომ მამადიანებს; ისპანელი ქრისტიანები სარგებლობდნენ კულტის სრული თავისუფლებით, ჰქონდათ საკეთარი საყდრები და ა. შ. ამგვარი საშუალებებით და მოზარტებულ ტაქტიკით, შაჰ (შაჰა — გ. შ.) მოიგო ქრისტიანთა გული და განაწყო ისინი, რათა დარჩენილიყვნენ სპარსეთში... — შენიშნავს ამ აღწერის შემდეგ არაქელი.²⁷

არაქელ დავრიყევის თანახმად, შაჰ აბაზმა თურმე ასე დაამშვიდა თავისი მამადიანი ქვეშევრდომები, რომელთაც სწევინდათ თავიანთი მშობანების მხრივ ქრისტიანების ამგვარი მფარველობა: „ნუ გაბოროტდებიან იმ მცირედი და მოსვენებითი მგობრობის გამო, რომელსაც მე მათ (ე. ი. ქრისტიანებს — გ. შ.) ვუწვი; ნუ მეციხავთ იმის გამო, რომ დიდი ხარკის გაწევით, დიდი ვაჭარებთა და მეცადინეთის შევქელი მათი მოყვანა ისპანში; და ეს (ჩავიდინე) არა მათი, არამედ ჩემი ინტერესებისათვის, რათა სარგებლობა მიიღოს ჩემმა ქვეყანამ და განვითარდეს ჩემი ხალხი. ახლა, თუ ქრისტიანთა მოღვაძე, გამოყვანილი მათი ქვეყნიდან და აქ დასახლებული, დავანაწილეთ და დავანაწიერეთ, არც ერთი მათგანი არ მიიღებს ჩვენს სარწმუნოებას; სხვანი გამოაკლავდებიან და იღუპილად გაიქცევიან; ჩვენი შეუღლიერობა უშედეგოდ ჩაივლის. ხოლო თუ მოვეპყრობი მათ ისე, როგორც ამას ჩავდევარ, მე დავუკავშირებ მათ ჩვენს ქვეყანას. მათი მოხუცნი, დაბადებულნი სომხეთში, ყველა დაიბოცება, მათი შვილები კი, აქ დაბადებულნი, თავისთ, ჩვენი მოწვევის ვარსემ, მიიღებენ ჩვენს სარწმუნოებას...“

არაქელი მწარედ შენიშნავს, რომ შაჰის ეს მოსაზრება საყვებით გამართლდა: ხანში შესულინი დაბოცნენ, ხოლო ზოგიერთი ქრისტი-

ანთა შეიღმა, ახალი თაობიდან, მიიღო მუსლიმანობა...²⁸

მამადიანებში გათქვეფრისა და დენაციონალიზაციის საფრთხე, ცხადია, უტყობ მტრად იყო ქართველებისათვის. ვერ ერთი, ისინი სომეხებზე ნაკლებ იყვნენ ორგანიზებული და მათზე ნაკლები კაპიტალის მქონე და, მეორედ, შაჰ აბაზი განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი სწორედ მართლმადიდებელ ქართველთა სარწმუნოების მიმართ.

ე. ვაზაშვილს კარგადაა ეჭვს ნახევნება, რომ შაჰ აბაზის რელიგიური პოლიტიკა შვიდროდ იყო დაგეგმიებული ირანის ამ მშობანების საერთო პოლიტიკისთან. იგი ასალებდა თავს „ქრისტიანთა მფარველად“, მაგრამ სრულიადაც არ ეცდებოდა ერთნაირად ქრისტიანული ეკლესიის ყველა მიმდინარეობას. კარგად ეცოდნოდა შაჰი გრიგორიან სომეხებს, რომელთაც არა მარტო ნორ ჯღაში, არამედ თვით ისპანშიც საკეთარი ეკლესიები ჰქონდათ. სამაგიეროდ შაჰი სდევნიდა სპარსეთში დასახლებულ ქართველთა მართლმადიდებლობას, რადგან ძალიან აღუჭრებდა საერთო სარწმუნოების დიდებულ რუსეთ-საქართველოს დაახლოების პერსპექტივას და საქართველოს სამეფო-სამთავროებზე რუსეთის გავლენის ზრდას. ამიტომ ქართველ მართლმადიდებლებს არა მარტო არ გააჩნდათ ირანში საკეთარი ეკლესიები, არამედ შაჰი ეღობოდა სპარსეთში მცხოვრები ქართველები ან გაემშვიდობებინა — გაესპარსებებინა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მოეციკა ისინი სომხურ-გრიგორიანულ ან რომის — კათოლიკურ სკოლებზე.²⁹

სპარსეთში ჩასახლებულ ქართველთა გადავარებისა და დენაციონალიზაციის პროცესი, როგორც ჩანს, საკმარის სწრაფად მიმდინარეობდა, ამას მომწონს იგივე არაქელი დავრიყევის აღწერა, შედგენილი ოლეარიუსის ისპანში ყოფნიდან დაახლოებით ოციოდე წლის შემდეგ.

ეჭება რა ქართველების ისპანში და მის გარეუბნებში დასახლების ამბავს, რახედაც ზემოთ იყო ნახსენები, არაქელი განაცხადობს: „იმ ეამს, როდესაც ვერტი ჩვენს ისტორიას, ე. ი. 1107 წელს (ჩვენი წელთაღრიცხვით ძველი სომხური წელთაღრიცხვის — ეს წელი მოდიოდა 1657/58 წლებზე — გ. შ.), ყველა ამ ქართველთა მიატოვა თავისი სარწმუნოება და გაეცალა იგი ისლამისაზე“. არაქელის აღწერის თანახმად, ეს რენეგატები იქნენ თავიანთ ყოფილ თანამორწმუნეთათვის „შეუბრალებელ ქალთებად“, თანდათან წინაპართა და მათი სარწმუნოების მფარველებად.³⁰

იმ დროისათვის, როდესაც არაქელ დავრიყევი წერდა თავის თხზულებას, როგორც ჩანს, პასენაბადში უკვე ღიარ ანუებობდა ქართველთა სომხობა, ყოველ შემთხვევაში, შარდენი, ისპა-

ანის გარეუბანი პანკაბადის ანუ ხაჭუვის აღწერისას³¹, სრულიად აღარ იხსენიებს იქ ქართველ მოსახლეობას.

მეორე მხრივ, აქ გასათვალისწინებელია ის ვარაუზობაც, რომ სავსებით შესაძლებელია, როგორც ის აბაანში და პანკაბადში, ისევე სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში მცხოვრებ ქართველთა ხაკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას, როდესაც აქ შედარებით სიმშვიდე დამყარდა და ნორმალური ცხოვრების პირობები შეიქმნა.

იტალიელი მოგზაური პეტრო დელა ვალე კარგად იცნობდა სპარსეთში იძულებით გადასახლებულ ქართველებს და ზოგერთთან იგი მგებორულ და მოყვრულ ურთიერთობაშიც იმყოფებოდა; უპაველია მან უმთავრესად სწორედ ამ ქართველებსავე შეიტყო საქართველოს მანამდელი ვითარებისა და შაჰ აბაზის შემოსევის ამბები.

დელა ვალე მოუთხრობს პაპს თავის „მოხსენებაში საქართველოს შესახებ“, რომ ისაბანში იძულებით დასახლებული ქართველნი დიდ სიმეტროს ირანდენ რეშენის დაცვის საქმეში, რამდენიმე წლის განმავლობაში „ისინი მოთმინებათ იტანდნენ თავიანთ სიღარიბეს, თუმცა აღიზარდნენ საქართველოში სიუხვეში და პატივში. ვინაიდან მათ არა ჰქონდათ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების ნება, დიდ ტანჯვას აყენებდა მათ სპარსეთში ასეთი გაპირებული ცხოვრება. იმის შემდეგ, რაც მათ დაყიდეს და დასაჩუქეს ის, რისი წამოღებაც კი შესაძლებელი იქნებოდა, ისინი ირანდენ თავს და არსებობდნენ თავიანთ მარჯვენის შრომათ და, ხშირად, მოწყალეობითაც...“ და ყველაფერ ამას, დელა ვალეს სიტყვით, ქართველნი ჩადიოდნენ იმსათვის, რომ შეენარჩუნებინათ რეშენი, რადგან შაჰ აბაზი დახმარებას უწყვედა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მათ, ვინც ლაღობდა ქრისტიან სჯულს.³²

თავისი „მოხსენების“ მეორე ადგილას დელა ვალე შენიშნავს, რომ სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში ჩასახლებული ქართველები მომეტებულად ქრისტიანებად რჩებოდნენ.³³

რეშენის დაცვა იმ პირობებში ნიშნავდა ერთეული რაობის დაცვას და მთავარ იარაღს წარმოადგენდა დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის წინააღმდეგ. უპაველია, სწორედ ასეთი ქართველნი, მთელი თუ არა მათ ამის უფლება, დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას, ასეთი შესაძლებლობა, უპაველია, გაჩნდა შაჰ აბაზის მემკვიდრის შაჰ სეფის მეფობაში, როდესაც სპარსეთ-საქართველოს ურთიერთობამ სულ უფ-

რო და და უფრო ნორმალური და მშვიდობიანი ხასიათი მიიღო.

აღმა ოლგაიუსის გადმოცემით, სპარსელებს შაჰ სეფის ყველაზე უფრო საქმნაჩ საქმედ იმ მაიანდათ, რომ მან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო „სპარსლო ხალხს“ (das arme Volk), რომელიც შაჰ აბაზმა გამოასახლა ლა ერეენიდან, ნახქევანიდან, საქართველოდან (von Georgia) და შვიდი ათასზე მეტი ჩაასახლა ფერაბადში (Ferabad). ახლა მათ ნება დართო დაბრუნებულებს თავიანთ მშობლოში. ოლგაიუსს აქვე დასძენს, რომ ამ შვიდი ათასიდან სამასიც კი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, რადგან დანარჩენნი ამოწყდნენ მათთვის უხვეულო პაეის წყალობით.³⁴

ოლგაიუსის ეს ცნობა სანდო ჩანს. და თუ ეს ასეა, უძველესი, შაჰ სეფიმ საერთოდ დართო სამშობლოში დაბრუნების ნება ყველა ქრისტიანს, რომლებიც პაპისის შაჰ აბაზ I-ის დროს იყვნენ ძალით აყრილი და ჩასახლებული სპარსეთის სხვადასხვა პროვინციაში. ცხადია, რომ ყველა ისინი ისევე არ ამოწყდნენ, როგორც ფერაბადში ჩასახლებულნი და ვინც კი გადაჩრა, შეეცდებოდა დაბრუნებოდა სამშობლო კერას. ცნობილია, რომ ასევე მოიქცა ჯუღელ-ლო სომხების ნაწილი.³⁵ მიუხედავად იმისა, რომ ისაბანსა და საერთოდ სპარსეთში სომხები ქართველებზე უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ და უფრო მყარ პოზიციებსაც ფლობდნენ.

უპაველია აყრილი მოსახლეობის დაბრუნებას ექნებოდა ადგილი, როცა თეიმურაზი შეუერთდა შაჰ სეფსს, და ნიშნად ამ შეტრეებისა მიათხოვა კიდევაც შაჰ თავისი ასული თინათინი.³⁶ ბროსეს დათხზავს, ამ შეტრეებას ადგილი უნდა ჰქონოდა ან 1634, ან 1635 წელს, არა უფროდნენ 1635 წლის აგვისტოს დამდეგისა.³⁷ ყოველ შემთხვევაში, აღმა ოლგაიუსმა ისაბანში ყოფნისას — 1637 წლის აგვისტო-დეკემბრის თვეებში — მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ „თეიმურაზ ხანი“ მბრძანებლობდა იმ დროს საქართველოში, ე. ი. კახეთის სამეფოში.³⁸

ვახუშტი წერს, რომ კახეთში დაბრუნების შემდეგ „...ჩვეს უმეტეს აწ შენობად და მოსახლობად კახთა, რამეთუ ჩამოვიდნენ ხიზანნი და დაეშენებოდნენ...“³⁹

„ქართლის ცხოვრების“ გავრელებამი, რომელიც შედგენილია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, ვკითხებით: „და იყო მას ვამსა კახეთი გაოკრებული, და ჩავიდნენ ლტოლვილი კაცნიცა და რაც მუნ იყენენ, მცორედ ოდენ იწყო შენობად და მოსახლეობად...“⁴⁰

საფიქრებელია, რომ ეს „ხიზანი“ და ეს „ლტოლვილი“, პირველ ყოვლისა, იყვნენ შაჰ აბაზის კახეთში შემოსევის ვამს ძალით აყრილი ქართველნი, რომელნიც გადასახლეს სპარ-

სეთში და ახლა, რაც მიეცათ შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ შოშოლიურ კერას.

ამავე მოწმობს რუსი ბაზიარი ივანე კოვალოვიც, რომელიც ახლდა რუსეთის ელჩებს — თ. ვოლკონსკისა და დიაც ა. ხატოვის კახეთში, სადაც მათ დაჰყვეს 9 თვე — 1638 წლის აგვისტოს დამდევიდან 1639 წლის აპრილის დამდევამდე. ამ რუსმა ბაზიარმა საელჩო პრიკაზში დაეთხვის დროს, სხვათა შორის, განაცხადა, რომ, რაც შაჰი შეუტრედა თეიმურაზს, ამის, თეიმურაზ მეფის მიწაზე ყოველგვარმა ხალხმა იყო ვახისა და ანბუშუმის და სახანეების გაშენება და ქსენების შექმნა, ხოლო მათ, ვინც გქვეყნდნი იყვნენ ყიზილბაშებში და შეხიზნულნი მთებში, იწყყეს დაბრუნება თავიანთ ძველ საცხოვრებლებში და ამჟამად იყრატა მიწაყალზე ყველა იწყებს კეთილად და მშვიდად ცხოვრებას* (შაჰი ხვეწია — ვ.ვ.). ცხადია, თავიანთ კერას დაუბრუნდებოდნენ არა მარტო კახელები, არამედ სამშობლოდან აყრდნილ ქართველებიც.

მამასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1614—1616 წლებში ქართველთა აყრის ეპის, შაჰ აბაას ისინი, ისევე როგორც დაახლოებით ახალი წლით ადრე სომხები, მასობრივად გადაიხადნენ სპარსეთის სხვადასხვა პროვინციებში — მაზანდერანში, ხორასანსა და სხვა ადგილებში. მრავალი ქართველი და, პირველ ყოვლისა, ქართლის მკვიდრი ჩიუქსაბლებით სპარსეთის დედამიწაზე ისპანში და მას მიდამოებში.

ერთნაირი არა ყოფილა ყველა ქართველი კოლონიების ხვედრი, სწორედ ისევე, როგორც ერთნაირი არ იყო აყრის სომეხი მონაბედილობის სხვადასხვა კატეგორიის ბედები: მიწათმოქმედ გლეხობა, რომელიც შეადგენდა აყრითა უმრავლესობას, როგორც ჩანს, ზუსტად იგივე სოფლებში, მათ შორის ისპანის მახლობლად მუხრანე ფერაში (ფერეიდანში), მაზანდერანის ქალაქი ფერაჰაბადის მახლობლად სოფლებსა და სხვა ადგილებში; ვაჭარ-ბელონები კი დაუტოვებიათ ქალაქებში — უმთავრესად ისპანში, აგრეთვე ფერაჰაბადში; გადასახლებულთაგან ზოგნი თვითონ გადასულან შირაზში და ა. შ.

ისპანში ქართველ ვაჭრებს ერთხანს საპატრიო მდგომარეობა ჰქონიათ და მათ მთავარ საცხოვრებელ ადგილად ქვეყლა ისპანის დიდი ვაჭრებანი მასენაბადი, ოღერიფისის დროს (1637 წლის ცნობა) ქართველი ვაჭრები მნიშვნელოვან კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ სპარსეთში და სავაჭროდ შორეულ ქვეყნებშიც მოგზაურობდნენ.

მაღე ამ ქართველთა ერთმა ნაწილმა იყო დენაციონალიზაცია, გამამადიანება და XVII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში გადასახლებულ ქართველთა ეს ნაწილი ძირითადად შაჰი გამამადიანებული ყოფილა, მაგრამ ყველას არ მოუნდომებია რენეგატობა: მეორე ნაწილი სპარსეთში გადასახლებული ქართველების დამბრუნებია სამშობლო კერას და ქართველობა შეუნარჩუნებია.

ქართველი ვაჭრები, უმეტესად, შემდეგაც განაგრძობდნენ სპარსეთის პროვინციებთან და, პირველ ყოვლისა, სპარსეთის აზერბაიჯანთან გაცხოვლებულ ვაჭრობას.

ქართველების ამ აქტიურ ვაჭრობაზე მოგვიტხრობს ცნობილი ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ტავერნიე.

თავრიზში წარმოებულ ვაჭრობის აღწერისას ტავერნიე წერს: „გაცივებულ ვაჭრობა (le grand trafic) თავრიზისა უნეტეს დიდ სახელს ამ ქალაქს მივლს აზიაში, და იგი აწარმოებს გახუწულ ვაჭრობას (un commerce continuel) თურქებთან, არაბებთან, ქართველებთან, მგრელებთან, სპარსელებთან, ინდოელებთან, მუსკოვიტებსა და თათრებთან“⁴².

მამასადამე, ტავერნიეს მოწმობით, თავრიზში, რომელიც წარმოადგენდა სპარსული აზერბაიჯანის უდიდეს ქალაქს და აზიური ვაჭრობის ერთ მთავარ ცენტრთაგანს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართველი ვაჭრები — როგორც აღმოსავლეთ, ისევე დასავლეთ საქართველოდან, ვინაიდან, უდავოა, რომ „ქართველებს“ (les Géorgiens) ტავერნიე უწოდებს აღმოსავლეთ საქართველოს, ლიბთანგრეთის მცხოვრებთ, ხოლო „მეგრელებს“ (les Mengreliens) — საერთოდ, დასავლეთ საქართველოს, ლიბთიმგრეთის მცხოვრებთ.

თავისი თხზულების მესამე წიგნის მეცხრე თავში, რომელშიც იგი აღწერს „საქართველს“ (la Géorgie), ე. ი, აღმოსავლეთ საქართველოს, ლიბთანგრეთს, ტავერნიე ასე ახასიათებს ქართველებს: „ქართველებს ძალიან იტაცეთ მოგზაურობა და ისინი დიდი მოვაჭრენი არიან“ (Les géorgiens se plaisent fort à voyager, et sont grands négocians).⁴³

ამგვარად, იმდროინდელი სერეთაშორისო ურთიერთობათა და სავაჭრო-საეკონომიკური საქმიანობის სხვათა კარგა მკოდენნი, როგორებიც იყვნენ ოღუზარუსი და ტავერნიე, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველებს, როგორც ვაჭრებს.⁴⁴



¹ უღუფელთა ვაჭრობის შესახებ იხ. С. В. Тер-Аветисян, Город Джура. Материалы по истории торговых сношений джурьфинских купцов XV-XVII вв., Тб., 1937.

² ინგლისელ ვაჭართა მოგზაურობების აღწერა იხ. ი. ვ. გოტიფს მიერ რუსულ ენაზე თარგმნილ კრებულში: „Английские путешественники в Московском государстве в XVI веке“, М., 1937. ინგლისელ ვაჭართა მოსკოვური კომპანიის ცნობების ნაწილობრივი მიმოხილვა მოცემულია ს. ტერ-ავეტიციანის სემოდასახლებელ ნაშრომში. ამვე ცნობების შესახებ და ანალიზს უყვების ვ. გაბაშვილი თავის თხზულებაში „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI-XVII სს.)“, იხ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. რსტორიის ინსტიტუტის გამომცემა, თბ., 1954, გვ. 71 შემდ.).

³ იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, „მასალები...“, გვ. 63, 72-73.

⁴ უბეშის შალის ქსილთა. ფრანგულად — „კრუზე“, სომხურად — „კრავ“, რუსულად — „ქარავაი“.

⁵ შაჰი ეწოდებოდა სპარსული ფელის ერთეულს. ერთი თუმანი ღირსდა 200 შაჰის, ერთი აბ.ხი—4 შაჰის. ინგლისელები შაჰის აფასებდნენ ერთ შილინგად, ე. ი. 12 ინგლისურ სენსად; მოგვიანებით ერთი ტალერი ფასობდა 10-12 შაჰიდ.

⁶ „Английские путешественники в Московском государстве в XVI веке“, გვ. 240-241; ეს ფაქტი აღნიშნული აქვთ ს. ტერ-ავეტიციანსა და ვ. გაბაშვილს, იხ. С. В. Тер-Аветисян, დასახ. ნაშრ., გვ. 26, ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., „მასალები...“, გვ. 72-73.

⁷ ვახუშტი, ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და კერეთისა, თავი: „ცხოვრება აწინდელთა გეპატრონეთა“, „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი მეორე, გამოცემული ჩუბინოვისა გან, სანკტ. ტეტროფლს, 1854, გვ. 107. იხ. აგრეთვე გვ. 108 და 109. კახეთის ეკონომიურ და სოზოგადობრივ აჯუგუხაზე XVI საუკუნეში იხ. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI в.), Тб., 1938, стр. 27-28.

⁸ „Английские путешественники в Московском государстве в XVI веке“, გვ. 229

⁹ იქვე, გვ. 223.

¹⁰ იქვე, გვ. 240.

¹¹ Н. Бердзенишвили, დასახ. ნაშრ.,

¹² С. В. Тер-Аветисян, დასახ. ნაშრ., გვ. 74.

¹³ მარტი ბრატე, საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, თარგმ. ს. ლობთბერაძე: სს., ტფ., 1900 გვ. 18; „Histoire de la Géorgie“, traduite du géorgien par M. Brosset, Ир., Ire livraison, St.-Pth., 1856, Addition IX, 63-626.

ია, ნაწილი მეორე, თარგმ. ს. ლობთბერაძე: სს., ტფ., 1900 გვ. 18; „Histoire de la Géorgie“, traduite du géorgien par M. Brosset, Ир., Ire livraison, St.-Pth., 1856, Addition IX, 63-626.

¹⁴ ს. ჯიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან (ნაიმიან-ს ერთი ცნობის განმარტება), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 31 თბ., 1954, გვ. 57-58.

¹⁵ „ქართლის ცხოვრება“, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, ტ. II (ახალი ქართლის ცხოვრება. შესამე ტექსტი), თბ., 1959, გვ. 536-537. იხ. ბრატეს ფრანგული თარგმანი შენიშვნებით „Histoire de la Géorgie“, Ир., Ire livraison, გვ. 374. ს. კაკაბაძის თხზულებაში აღნიშნულია ფაქტი სიმონის ნეშტის ჩამოსვევებისა და მცხეთაში დაკრძალვის შესახებ, მაგრამ მისი ჩამოსვენებელი—გორელი ვაჭარი დიაკენისშვილი არაა მოხსენებული. იხ. სარჯის კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების გეოგ. ტფ., 1922, გვ. 39.

¹⁶ Adam Olearius, Vermehrte Neue Beschreibung der Muscovitischen und Persischen Reyse. Schleszwig, 1666, წ. V, თ. 6, გვ. 559 (შემდეგ დასახლებული იქნება ქოთლად); იხ. ხერცეფ, ოლფარიუსის თხზულების ფრანგული თარგმანი ა. ვიკტორისა (ანსტერდამის 1727 წლის გამოცემა), გვ. 770 და რუსული თარგმანი ბ. ბარსოვისა, გვ. 727.

¹⁷ შესაძლებელია სახელწოდება „ქსენაბადი“ შეესაბამებოდეს არც სიტყვის შეფარებისაგან „ქას-ს ანა“, რაც აღნიშნავს „კარავს“, „ლამანს“, „ნიშენიერს“ და „აბად“, რაც ნიშნავს „დასახლებულს“, „დასახლებულ ადგილს“. საიდანაც წარმოსდგება „აბადი“ — დასახლებული ადგილი, „საცხოვრებელი ადგილი“, „სამოსახლო“. იხ. Персидско-русский словарь, составил Б. В. Миллер, М., 1953, გვ. 1 და 176; „Türkisch - Arabisch - Persisches Handwörterbuch“ von J. Th. Zanker, Bd. I, Leipzig, 1866, გვ. 1 და 387. მაშასადამე, „ქსენაბადი“, ამ გავებით აღბათ „კარავ, მშენებელი დასახლებულ ადგილს“, „მშენებელი სამოსახლოს“, „ლამან სამოსახლოს“ ზიშნავდა. მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლებელია, ეს სახელწოდება საუთარ სახელ „ქასან“—თან იქონ დაკავშირებული. ამაზე მივიჩითებენ ჯან შარდენის თხზულება. ტ. ჯაკ ისაანის აღწერისას შარდენი იხსენიებს სპარსეთის დედაქალაქის გარეუბან ნაჟფეს, ანუ მეორეორაგ, ქსენაბადს (Le faubourg de Cudjone, qu'on appelle aussi la contrée de Hassein—Abad) იხ. „Voyages du chevalier Chardin en perse et a autres lieux de l'Orient“, t. VIII, P., 1811, გვ. 46 შმდ. ასევე იხსენიებს ეს ფრანგი მოგზა-

ური ქ ლაჰის ერთ-ერთ კარიბჭეს, ჰასენაბადის (de Hassan abad), რომელსაც იგი თვლის შეველსად. სწორედ ამ კარიბჭიდან იწყებოდა ჰასენაბადის გარეუბანი. შარდენის ახრით, სახელად ჰასენაბადი—ჰასანის სამოსახლო, ანუ უბანი (habitation ou quartier de Hassan) უკავშირდებოდა ძველ ჰასანის (Hassen) სახელს, რომლის სახელისკენაც მივყავით ამ ოთხას ორმოცდაათი წლის წინ—ჰასენაბადის კარიბჭეს. იხ. „Voyages du chevalier Charadin en Perse et autres lieux de l'Orient“, t. VII, P., 1811, გვ. 293 (შემდეგ დასახელებული იქნება ქართულად). შარდენის თხზულების გამომცემელ ლ. ლანკლეს ახრით, შარდენი აქ გულისხმობდა მეფე უზუნ ჰასანს (იხ. იმავე გვერდზე მეორე შენიშვნა). მაგრამ, საფიქრებელია, რომ შარდენი იხანუბებს არა უზუნ ჰასანს, როცა იგი წერს ამ ჰასანის მეფობაზე, რომ ამას ჰქონდა ადგილი „ოთხას ორმოცდაათი წლის წინ“ მის (შარდენის) დროს—თუ შედარებით („il y a quelque quatre cent cinquante ans“). უზუნ ჰასანი მეფობდა XV საუკუნის მესამე მეოთხედში, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შარდენის აღწერა მოდის XVII საუკუნის 60—70-იან წლებზე. მივიღებთ, რომ აღ იწვევს მეფე ჰასანს უნდა ეცხოვრა არა XV საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ XIII საუკუნეში, და, საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმება ჰულაგუიდების ყველაზე თელსაზიზო წარმომადგენელი ყახან ყანგი, რომელიც მმართვედა ირანს 1295—1304 წლებში (ეფრომელ ენებზე) მისი სახელი იწერებოდა და გამოითქმოდა სხვადასხვაენაირად: „Casan“, „Ghazan“, „Haçan“).

¹⁸ ადამ ოლეარიუსი, დასახ. ნაშრ., V, თ. 6, გვ. 562; იხ., აგრეთვე, ოლეარიუსის თხზულების რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 731—732.

¹⁹ აბრაამ ვიკუფორტი (Wicquefort) იყო XVII საუკუნის ცნობილი დიპლომატი და მწერალი. დაბადებით ჰოლანდიელი. იგი დიდხანს (1626—1660 წწ.) ცხოვრობდა პარიზში, სადაც კარგა ხანა ექრა შარდენბურჯის კურფიურსტის რეზიდენტის თანამდებობა, შემდეგ მსახურობდა დიპლომატიურ სარბიელზე ჰოლანდიაში, ერთხანს—როგორც ბრაუნშვაიგ-ლუნებურჯის ჰერცოგის რეზიდენტი, მის კალამს ეკუთვნის არა ერთი თხზულება. იხ. Grand dictionnaire universel par P. Larousse, ტ. XV, გვ. 1329; Meyers Groszes Konversations-Lexikon, მეექვსე გამოცემა, ტ. XX, გვ. 589. ვიკუფორტი, როგორც დიპლომატიის დარგის მწერალზე იხ. История Дипломатии, т. I, 1941, გვ. 179—181.

²⁰ შესაძლებელია, ეს სახელწოდება წარმოსდგება ორი არაბული სიტყვისგან „მასჯედ“—„მეჩეთი“ და „მინაჰ“, „მინაჰ“, „სეტიკი“—„შეუბლაღი“, „უოდეელი“, „უმანკო“. იხ. Персидско-русский словарь, составил Б. В. Миллер, М., 1953, გვ. 470 და 493. იხ., აგრეთვე, ცენტრის დასახელებული ლექსიკონი, ტ. II, 1876 წლის გამოცემა, გვ. 824 და 846. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება ეს სახელწოდება უკავშირდებოდეს საერთო სახელსაც. ასე, მაგალითად, შარდენის ცნობის თანახმად, შაჰ აბაზ II და სოლემან I დროს დიდ ენობრივ ყოფილა ეინზე მუჰამედ მედი—Mahammed Mehdy. იხ. შარდენი, დასახ. ნაშრ., P., 1811, ტ. IV, გვ. 234, ტ. VII, გვ. 363, 416; ტ. VIII, გვ. 85.

²¹ ეს სახელწოდება, ალბათ, წარმოდგება სპარსული სიტყვისგან „ნასარ“, ან „ნასარ“-რაც ნიშნავს „ჩრდილოენი“. იხ. ბ. ვილერის დასახ. ლექსიკონი, გვ. 562 და ცენტრის დასახ. ლექსიკონი, ტ. II, გვ. 910. მაშასადამე, თუ ეს ასეა, ამ უბანს ჰქმევია „ჩრდილოენი უბანი“.

²² „Voyages très-curieux et très-renommés... par Adam Olearius... traduits de l'Originel par augmenter par le s-r De Wicquefort“, à Amsterdam, 1727, გვ. 775—776 (შემდეგ დასახელებული იქნება ქართულად).

²³ ადამ ოლეარიუსი, დასახ. ნაშრ., V, თ. 31, გვ. 646; იხ., აგრეთვე, ოლეარიუსის თხზულების რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 855. ა. ვიკუფორტის ფრანგულ თარგმანში ნათქვამია: „იმ დროს იყო, რომ ქართული ქრისტიანების დიდი ნაწილი გამოსახლდა თავისი ქვეყნიდან და ჩავსახლა ისპანში სამეფოს დედაქალაქში, სადაც იმყოფებოდა მათი ერთგულების თჯობა დიდი რაოდენობა“. ადამ ოლეარიუსის თხზულების ფრანგული თარგმანი ა. ვიკუფორტისა, გვ. 916.

²⁴ იხ. „ქართლის ცხოვრება ნაწ. II, სანკტებერტონი“, 1854, გამოცემა ჩუბინოვისა, გვ. 118; „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959, გამოცემა. ს. ყუბინოვილისა, გვ. 401; ს. ვაკაბაძე. ფარსადან გორგჯიანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 22; შარდენი, დასახ. ნაშრ., ტ. II, გვ. 62; Pietro della Vallé, Relation de la Géorgie, „Voyages de Pietro della Vallé“, t. VIII, P., 1745, გვ. 395-396; „Les six voyages de Jean Baptiste Tavernier...“, t. II, Rouen, 1724, გვ. 395-396. შემდეგ (დასახელებული იქნება არათულად).

პეტრო დელა ვალეს მიერ პაპისათვის წარდგენილი მოხსენება თანახმად, სპარსეთში იმყოფებოდა მასხლებული ქართველები რომდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს.

ერთ ნაწილს შეადგენდნენ მიწათმოქმედნი, დასახლებულნი სპარსეთის სხვადასხვა პროვინციებში, ისინი ანუ შეეგებდნენ ნიწას,

რომელიც მისცა მათ შაჰმა და ისევ, როგორც სხვა მაჰმადიანი ტყვედგრომებიც, უხდიდნენ მეფეს გადასახადს. მათ, დღლა ვაღეს თანაზმად, მომეცხულად შეინარჩუნეს ქრისტიან სჯული იხ. პიეტრო დღლა ვაღე, დასახ. ნაშრ. ტ. VIII, გვ. 396—397.

მეორე კატეგორიას შეადგენდნენ სამხედრო სპორტნი, ესე იგი ის ქართველი, რომელთაც იწვეს სამსახურს შაჰის არმიასო, ასეთებს, პირველი ყოვლისა, შეადგენდნენ ქართველი აზნაურები, რომელთაც მოსალოდნელი წყალოზის იმედით, თავისი ნებით უარსყვეს ქრისტიან სჯული და დაიწვეს საზნდურო სამსახურს სპარსეთის არმიასო ჯერ კიდევ შაჰ აბაზის საქართველოში ლაშქრობის ვაჟს, იხ. იქვე გვ. 395. სამშობლოდან აყრილ და სპარსეთში გადასახლებულ ქართველ თავან ბევრი იძულებული იყო ასევე მოტყუებულიყო, რათა შიშნლით არ მომეკდარიყო. ასეთი გამაჰმადიანებული ქართველი მეომრების რიცხვი დღითი დღე მატულობდა და, დღლა ვაღეს სიტყვით იმეჟამად (1627 წ.) შაჰის არმიასო მოითვლებოდა ოცდაათი ათასზე მეტი ქართველი რენდგატრი. ზოგიერთმა მათგანმა მიადწია მაღალ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობას, ინიშნებდნენ ხანებად და სხვა დიდ თანამდებობებზე. იხ. იქვე, გვ. 397—398. სწორედ ასეთს, შაჰის სამხედრო ცხახურებად ტყველ ქართველებს იხსენიებს ბერი ეგნატაშვილი, როდესაც შაჰ აბაზის მეორე შემოსევის მიმოხილვისას დასძენს, რომ აყრილ ქართველთაგან „... რომელთაგან ახლანან თანა აწყო წინამძღოლმეთოფედ და არიან დღინდღლად დღედამდე მეთოფედ, წინა უძღუებიან ყაენსა“. იხ. ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრების გაგრძელება, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 401.

დებოლს, სპარსეთში გადასახლებული ქართველი მოსახლეობის მესამე, თანაც მეტად მნიშვნელოვან კატეგორიას შეადგენდნენ ქართველი წარმოშობის მოსამხედროები. დღლა ვაღეს თანაზმად, სპარსეთში შეიყვანეს აუარებელი ქართველი მონა და მძევლები, არა მარტო მდაბო, არამედ კეთილშობილი წარმოშობისაც. რომელნიც დაიწინეს სპარსელებმა შაჰ აბაზის ლაშქრობის დროს, ამ იტალიელი მოგზაურის სიტყვით, საბლი არ დარჩენილა მთელს სპარსეთში, რომ არ ჰყოლოდეთ ქართველი მონები და ბელები, არ იყო ისეთი სპარსელი დიდგაცი, რომ არ ესურგა ქართველი ცოლების ყოლა და თვით შაჰის სასალე სავსე ყოფილა ქართველი მონებითა და მხელებით. ამათგან თითქმის ყველანი, ნებით თუ უნებლიეთ, იძულებულნი შეიქმნენ უარყოფით ქრისტიან სჯული და ამ საბოლოო მხოლოდ ნაწილიდა განაგრძობდა სადღმლოდ მამაპაპის სჯულის აღიარებას, იხ. პიეტრო დღლა ვაღე, დასახ. ნაშრ., გვ. 398. სპარსელებს,

დღლა ვაღეს თანაზმად, იმდენი ქართველი მონა და მხევალი წაუყვანიათ, რომ თურმე მათი დიდი რაოდენობა პორტუგეზ უფრო აძნად გაყიდულა, იხ. იქვე, გვ. 399.

შეიძლება მონების ამ სიიამემატ განაპირობა იმ ტყველების წარმოშობა, რომლის თანაზმად, როგორც ამას გადმოგვეცმს ადამ ოლგარიუსი, სპარსეთელოხ თავის მეორე გლამსტრებამდე შაჰ აბაზს აოთქმა დაუღვია: ყოველი ქართველი თითო აბაზად გაყვია... იხ. ადამ ოლგარიუსი, დასახ. ნაშრ., წ. V, თ. 31, გვ. 646; იხ., აგრეთვე, ოლგარიუსის თხზულების რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 855.

23 „Collection d'historiens arméniens“, traduits par M. Brosset, t. I, St. Ptb., 1874, გვ. 333—334.

26 იქვე, გვ. 334.

27 იქვე, გვ. 300—301.

28 იქვე, გვ. 301, იხ., აგრეთვე, С. В. Тер-Аветисян, Город Джуга. Материалы по истории торговых сношений джувльфинских купцов XV—XVII вв., Тб., 1937, стр. 79—80.

29 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., „მასალები“, გვ. 110—112.

30 „Collection d'historiens arméniens“, ტ. I, გვ. 334.

31 იხ. შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 43, შნდ, 61 შნდ.

32 პიეტრო დღლა ვაღე, დასახ. ნაშრ., ტ. VIII, გვ. 384.

33 იქვე, გვ. 396—397. იხ. ზემოთ შენიშვნა მეორე სქოლოში.

34 ადამ ოლგარიუსი, დასახ. ნაშრ., წ. V, თ. 34, გვ. 663; იხ., აგრეთვე, ოლგარიუსის თხზულების რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 880.

35 იხ. С. В. Тер-Аветисян, დასახ. ნაშრ., გვ. 80—81.

36 თეიმურაზ I ამ დამოკრებაზე შა სიფისთან მოწმობს ქართველი მეისტორიე უარსადან გორგჯანიძე, იხ. სკაკაბაძე, ფასადან გორგჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 36—ამასვე მოწმობენ ისკანდერ მენში (იხ. „Histoire de la Géorgie“, II, 1^{re} livraison, Addition, St.-Ptb., 1856 გვ. 497) და ადამ ოლგარიუსი (იხ. ადამ ოლგარიუსი, დასახ. ნაშრ., წ. V, თ. 34, გვ. 663).

37 იხ. „Histoire de la Géorgie“, II, 1^{re} livr., გვ. 67, შნდ. 1.

38 იხ. ადამ ოლგარიუსი, დასახ. ნაშრ., წ. V, თ. 34, გვ. 663 იხ., აგრეთვე, ოლგარიუსის თხზულების რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 881.

39 ვახუშტი, ცხოვრება კახეთისა, „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, საწყობეუბერი, 1851, გვ. 122.

¹⁰ „ქართლის ცხოვრება“, გამოც. ს. ყუბნიშვილისა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 421.

¹¹ „... и в земле-де ево Теймуразоме царе все люди учили заводити винограды и шок и пашни и всякие пожитки, и люди, которые были в бегах в Кызыл-башех и в горах, и те стали приходить на старые свои житья. И ныне-де в Иверской земле все люди починают жить по благоденствию и в тишине“. „Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640“. Документы к печати подготовил М. Полиевктов, Тб., 1937, стр. 421.

¹² გ. ბ. ტავერნიე, დასახ. ნაშრ., ტ. I, წიგნი I, თავი IV, გვ. 70.

¹³ იქვე, გვ. 447.

¹⁴ აქ უნდა აღინიშნოს, რომ გველა ევროპელი მოგზაური არ ამღვებს ასეთ მაღალ შეფასებას ჩვენს წინაპართა ნეგოციანტურ უნარსა და მისწრაფებას, ასე, მაგალითად, იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე თავის „მოზესენებაში საქართველოს შესახებ“, რომელიც მან წარუდგინა რომის პაპს 1627 წელს, სხვათა შორის, შენიშნავს, რომ საერთოდ ქართველნი—არა მარტო აზნაურნი, არამედ მდამბიონიცი—ერიდებთან ქალაქებში ცხოვრებას, ხელნაწილისა და ვაჭრობისათვის ხელის მოკიდებას, არამედ მიანდეს ეს საქმიანობა უცხოელებს, ისეთებს, როგორც არიან სომხები და ებრაელები, რომელთა რიცხვი მათ ქვეყანაში ძალიან დედა, და სხვა მათდაგვართ...“ (პიეტრო დელა ვალე, დასახ. ნაშრ., ტ. VII,

გვ. 378 - 379). ამავე მოხსენების მეორე ადგილას ეს იტალიელი მოგზაური შენიშნავს, რომ ქართველების ვაჭრობა ევროპაში „შეირება (იბიქვე, გვ. 412). მაგრამ დელა ვალეს შემომოგვანილ შეფასებებს, რასაკვირველია, არ შეუძლიათ გააბათილონ და გააუფასურონ ოლღარიუსისა და ტავერნიეს ჩვენებები. ამ იტალიელის ასეთი შეფასებები, შესაძლებელია, ნაწილობრივ, განპირობებული იქნათ, რომ დელა ვალე გაეცნო სპარსეთში ახლად ჩასახლებულ ქართველებს, როდესაც მათი ქვეყანა აიპრობული იყო, ისინი კი თავიანთი საქმიანობის კალაპოტიდან ამოვარდნილნი იყვნენ და ჯერ ვერ შესძლეს შეექმნათ მგარი მდგომარეობა თავიანთი სავაჭრო საქმიანობისათვის. რაც შეეხება ქართველთა ვაჭრობას გეროპაში, რასაკვირველია, იგი შეუდარებლად უფრო ნაკლები მნიშვნელობისა იყო, ვიდრე მათი ვაჭრობა სპარსეთთან და თურქეთთან და ოლღარიუსი და ტავერნიეც ხომ ეხებთან სწორედ ამ უკანასკნელს, თანაც საკმაო მაღალ შეფასებას ამღვებს მას. ამ მხრივ აღსანიშნავია ოლღარიუსის გამოცემა „ერთი ქართველი ვაჭრის“ (ein Georgianischer Kauffman) შესახებ, რომელსაც, როგორც ეს მისთვის უამბნიათ, შაჰ აბაზის მეფობის უამს ეწვეციოდან ისპაანა ჩაუყვანია რამდენიმე ინდაური და გაუყვინდია თითო ცალი თითო თენდა, ანუ 16 რაიხსტალერად. იხ. ადამ ოლღარიუსი, დასახ. ნაშრ., წ. V, თ. 16, გვ. 596; იხ., აგრეთვე, ოლღარიუსის თხზულების ფრანგული თარგმანი ა. ვიკუორისა, გვ. 829 და რუსული თარგმანი პ. ბარსოვისა, გვ. 783.

მარიჯანის მოთხრობების კრებული*

მარიჯანი 1933 წლიდან ბავშვებისათვის უმათავრესად მოთხრობებს წერს. სწორედ ამ წელს დაიბეჭდა ისორიან გასმაურებული მისი ვრცელი მოთხრობა „ზურა ატმის ქალაქში“, რომლის მთავარი პერსონაჟია თერთმეტი წლის ბიჭი და რომლის მღვდელივე თავადამაგალბეცაა ავებელი ეს ნაწარმოები.

ზურა წესიერი და ბევრით ბავშვია. ოთხი კლასი რომ დაამთავრა, გორის საკონსერვო ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ. ზურას ჯერ კიდევ სკოლაში ჰქონდა გადარწმუნებული ქარხანაში დაეწყო მუშაობა და ეს მისი მისწრაფება ზარკთოდებდა სწორედ იმიტომ, რომ შ.ს.წ.წ. შინაგანი ძალა და უნარი დასახტული შიშინა გადაწყვეტოს. ამიტომ იმსახურებს იგი მკითხველში თანაგრძნობასა და სიმართლას.

საკონსერვო ქარხანაში ზურას და თავის ტოლრუს ბიჭს სერგოს შორის მკიდრო მეგობრული ურთიერთობა მთელი ცხოვრების მანძილზე მტკიცე და ურყევია. შემდეგ გვეხვრტობთ, რომ ამ ორ ვჰმარწეს სწავლის გასაგრძელებლად ქარხნის აღმინისტრაცია ქალაქში გზავნის და რომ ისინი ზოლომდე ერთგული და გაუწყრელი მეგობრები რჩებიან. მწერლის მიერ მოთხრობილი ამბავი მათს მეგობრულ ურთიერთობაზე ზართულ ებიზოლს კი არ წარმოადგენს, არამედ ნაწარმოების ორგანიცია ნაწილია. ერთ სიტყვით, სერგოსა და ზურას მეგობრობა მოთხრობის ერთერთ ზოგად აზრსა და მამოძრავებელ ძალას შეადგენს. მოთხრობაში ვატარებულა ზოგადკაცობრიული იდეა: აღმინების უწმინდესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოზარდი ადგიდანვე გამსჭვალოს ხალხებს შორის სიყვარულისა და სამართლიანობის გრძნობით და რომ ეს გრძნობა ბავშვებში უნდა აღზარდოთ და ჩაეღწეროთ, ჯერ კიდევ ადრე, ბავშვობის ხანაში. სწორედ ამიტომაც საუბრადებო მარიჯანის „ზურა ატმის ქალაქში“.

ამის შემდეგ მარიჯანმა გამოაქვეყნა მოთხრობები: „როგორ გავაგებინო“, „ბევრზე ბევრი“,

„ბეკემოტი“, „იმანათი“, „ცული ზღაპარი“, „გემრიელი ზილი“, „შავი თვლები“, „ფინსო დაგვენმარა“, „ამდენი — ბევრი“, „როცა წვერულეაშიანი იქნები“, „ლაშარას მადა მოგმატე“ და სხვა. ყველა ეს ნაწარმოები დაწერილია ცოცხლად და მიმზიდველად.

მარიჯანის გმირები ზალასი და უშუალო ბავშვური გონებამახვილობით გამოირჩევიან. საინტერესოა ამ მხრივ მოთხრობა „როცა წვერულეაშიანი იქნები“.

ვატანგს იზიდავდა უფროსების სუფრა. მაგრამ ერთხელ პაპამ უთხრა: „ჯერ შენთვის ადრეა უფროსებთან სადილის ჰამა, როცა ჩემსავით წვერულეაშიანი იქნები, მაშინ მე და შენ ერთად ვისადილებთო!“. მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებისას პაპს შავიდასთან ნიღბიანი ვატანგი დაუხვდა. თოვლის პაპის თეთრწვერულეაშიანი ნიღბი გაეკეთებია სახეზე და დარბაისლად ებიზა თავი. პაპს ვაეცინა, ვაუმარჯოს ბერიკაცს! მიგსალმა პაპა ვატანგს, მეტე სედო-იაზე მიიწვია, ყველაფერს სთავაზობდა, მაგრამ ნიღბი უწოდა და მაინც ვერაფერი ვერ გავა-მა“. ასე ამთავრებს ვატანგის გონებამახვილობით, სწრაფი მოსაზრების უნარით მოხიბულული მწერალი თავის მოთხრობას.

მწერალი ბავშვის ცხოვრებიდან ასეთ ებიზოდებს იღებს, რომლებიც მათთვის არსებითი და დამახასიათებელია, ეს ოთქმის არა მარტო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ვათეალისწინებულ მოთხრობებზე, არამედ საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის შექმნილ ნაწარმოებებზეც. 10-13 წლის ბავშვს უკვე აქვს საკუთარი შეუდომის შეგნების უნარი, შეუძლია შევადგას ოგორკო თაივის, ისე სხვისი სპეციული, ვაერკვეს კარგსა და ცუდში. მაგრამ 10-13 წლის ბავშვი ამავე დროს მოთხოვს განსაკუთრებულ მეთვალყურეობას, ეს წლები მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ვარდატეხის, ხასიათის ნამოყალიბების წლებია. ამ საქმეში ბავშვებს დახმარებას ვაეწვეს და შთავიანებს კარგი, ხომართლით აღსავსე ნაწარმოებები; ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის მარიჯანის მოთხრო-

* მარიჯანი, ზურა ატმის ქალაქში“, ნაკადული, 1961 წ.

ბა „სადურგლო სახელისნოში“, რომლის მთავარი გმირები — ნოდარი, ჯანიკო, ნიკა; ილევო ტაბიური სახეობა და ახალგაზრდა მკითხველზე ზემოქმედებას ახდენენ. ჯანიკოს გამოხეტყველებაში, მის ვარგენტულ თვისებებში, — მაღალ შუბლსა, კვიციან დიდრას შავ თვალეში გამოსკვივის მისი ხასიათი. მკითხველმა იგი პირველად სადურგლო სახელისნოში გაიცნო, მისმა მსყრდნობამ, მოქმედებამ და ვარგენტობამ თავიდანვე მიიპყრა ყურადღება. ნოდარს კი უარყოფით თვისებებთან ერთად დადებითი თვისებებიც აქვს. მას შესწევს ძალი და უნარი ღრმად ჩასწვდეს თავისი მოქმედების არსს და შეიგნოს საკუთარი შეცდომები. ნოდარი თუ მკითხველს თვალში ასე ამაღლდა, ამას იგი ჯანიკოს უნდა უმაღლროდეს. მწერალმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე წესიერი და კარგი მეგობარი და საერთოდ კოლექტივი. ყალბი მეგობრობის ნიშნულად მოთხრობაში წარმოდგენილია ნოდარისა და ნიკას დამოკიდებულება. ნიკა ბრძალ თანადურგენტობს ნოდარს. მაგრამ ჯანიკომ მასზეც მოახდინა გარკვეული გავლენა. ნიკა მიხვდა, რომ უპრინციპო მეგობრობა არ ვარგა, დამღუბებელია მეგობრობა არ ნიშნავს ყველგან და ყველანაირად თანაგრძნობას. ამ ნაწარმოების გმირების განვილილი გზა ახალგაზრდა მკითხველისათვის ბევრი რამის მოქმელი და შთაბეჭადბელია.

რუხოს მამა („დეიდას საუარძელი“) სამაქლო ომში გმირულად დიღუბა. ცამეტი წლის ყმაწვილი მამიდა ვანიციდის მამის სიკვდილს. მაგრამ ის არანაყოფიერებ ნებისყოფას ამტკიცებს. მამის ნათელი მსოფნა მასში კიდევ უფრო აღტირებს სწავლისა და შრომისადმი სიყვარულს.

განსაკუთრებით საყურადღებო და სამაგალითოა მისი დამოკიდებულება ღრმად მოხუცებულ და დიდებისადმი. სწორედ აქ იხსენება მოთხრობის ახალგაზრდა გმირის ხასიათი. რუხოს ოჯახს არაფერი აკლია. მაგრამ დიდდა კატო მიანიც

შვილად ვერ გრძნობს თავს, რადგან მისი საყვარელი საგარძელი მოძველდა. იგი კიდევ უფრო დაღონდა მას შემდეგ, როცა ინტელიჯენტი საგარძელი ჩატყდა. ახალი საგარძელი არ ინება. რუხო ამბანაგების დახმარებით საგარძელს შეაგებებს.

თითქოს ეს ყველაფერი მეტისმეტად უბრალო და ახალგაზრდა მკითხველისათვის ნაკლებად საინტერესო ამბავია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სიმრალულთან, არამედ მოხუცი ადამიანის დაფიქრებასა და პატივისცემასთან, იმ მაღალ გრძნობასთან, რომელიც საბავშვო ლიტერატურის საბავშვო თემას წარმოადგენს.

მოთხრობაში „მამიდა თვის მარანი“ უსულო საგნებში ზვეს თვალწინ ცოცხლებიან, მოძრაობენ და საუბრობენ. ეს ისე ბუნებრივად ხდება, რომ პატარა მკითხველი დიდი ინტერესით უსმენს მათ საუბარს, ზაასს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი ამშვენებს მამიდა თვის მარანს. ბოლოს ირკვევა, რომ ოჯახში ყველაფერი საჭიროა და თავის თავზე კიდევ წარმოდგენა ვერაფერი ვაჯაკობაა, ზოგჯერ დამღუბებელიც კია. ისინი თავგამოდებით იბრძვიან მამიდა თვის მარანში უბრაატესობის მოსაპოვებლად. ამ „ბრძოლაში“ განსაკუთრებით გამოიჩინება ქოთანი, რომელიც ზეჟიანობს და თავის „შეგობარს“ სასწველს აბუჯად იგდებს.

მოთხრობის თვითნული გმირის მოქმედება და საქციელი ჰეროს სასწავლებელია ბავშვებისათვის. მათ შეუძლიათ გაიგონ, როგორი უნდა იყო და როგორი არა. რაა მისაღები და გამოსადეგი და რაა უარსაყოფი და ვიდასადეგი.

„მამიდა თვის მარანი“ და ბევრი სხვა მოთხრობა გულწრფელი განცდებით არის აღსაყვ. მწერალი სავანს უბრალოდ კი არ იფიქრებს, არამედ ცდლობს შექმნას ისეთი სახე, რომელიც ბავშვის გულსა და გონებაში ღრმად ჩაბეჭდება და საჭირო ზეგავლენას მოახდენს მასზე.

ვლადიმერ ჯიბაძე

გული დაქმნეს გულს*

ომისშემდგომ წლებში ზვეს ლიტერატურას შემოემატა ნიჭიერი ახალგაზრდობა, საიხედო ძალები. მორის ფოცხიშვილი ამ თაობიდან გამოსული პოეტების ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. მისი მსუბუქი, გულთბილი ლირიზმით ვაჟდენილი ლექსები შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, ქართველმა ახალგაზრდობამ. მ. ფოცხიშვილის წიგნებს ყოველთვის ინ-

ტერესით მოვლიან პოეზიის მოყვარულები და, შეიძლება ითქვას, არც თუ აშაოდ, ავტორი ყოველთვის ამართლებს ამ დაინტერესებს.

იდეურობასა და მხატვრულ აზროვნებასთან ერთად ლიტერატურის, პოეზიის უპირველესი და ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა სიამოვნება მიანიჭოს მკითხველს, გაახაროს და აღაფრთოვანოს იგი. მორის ფოცხიშვილის ლექსებს თავიდანვე ახსიათებად ეს ბედნიერი თვისება. შეიძლება ითქვას, იშვიათად თუ უღალატია მას თავისი მხატვრული მრწამსისათვის:

* მორის ფოცხიშვილი, „გული დაქმნეს გულს, 1961 წ.

გახსოვს? როგორ არ გახსოვს
წვიმა, წვიმა, წვიმა...
ნიღბური არ გახსოვს
ჩვენი სახლის წინა?

გახსოვს? როგორ არ გახსოვს
ამინდები ვიყი...
წყალში დაეტანტალუბდი
ფეხშიშველა ბიჭი.

გახსოვს? როგორ არ გახსოვს
ქრიაშული ჩვენი,
ის ქალაქის ნივები,
ის მუყაოს გემი? —

წერს მ. ფოცხიშვილი და მკითხველს მოსწონს, სიამოვნებს პოეტის სინათლით საესე ხილვები, მისი მარტივი, უაღრესად მიწიერი ფიქრები და ის ფერები თუ საღებავები, რომლებსაც ასე უხვად იყენებს იგი თავისი შინაგანი სამყაროს მხატვრულად გააზრებისას, პოეტის მჭიდრო კონტაქტს მკითხველთან ერთი გარემოებაც უწყობს ხელს: შორის ფოცხიშვილის ლექსების ძირითადი თემაა ვანელილის გახსენება, ბავშვობის სურათების მხატვრული გაცოცხლება და აღრიზნული განწყობილების ხელახალი პოეტური განცემა, რომელიც ყველაზე ძვირფასი, ნათელი და ამბულვებელია ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც მ. ფოცხიშვილის ლექსებს კითხულობ, ისეთი განცდა გეუფლება, თითქმის მოვიდა შენთან შენი ბავშვობის მეგობარი და დიდი შინაგანი სიბოძითი ვესაუბრება შენი ცხოვრების ყველაზე უზრუნველ ყველაზე საუკეთესო დღეებზე.

მ. ფოცხიშვილს საკუთარი პოეტური ხელწერა აქვს. მისი ლექსის ფორმალური მხარე ზუსტად შეესაბამება პოეტის თემატიკას, განწყობილებებს. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია — აღქმის სისადავე, გულწრფელი ტონი და მეტისმეტად თავისებური ინტონაციები. მ. ფოცხიშვილი საკუთარი გზით მიდის პოეზიაში და შემოქმედი, რომელსაც ეს თვისებები გააჩნია, უსათუოდ კვშმარტივ ხელოვნებასთან არის წილნაყარი.

მ. ფოცხიშვილის მხატვრული სახეებიც ისეთივე სადა და ნათელია, როგორც მისი თემატიკა, მისი ლექსების შინაარსობრივი და ფორმალური მხარე. მ. ფოცხიშვილის მხატვრული სახეები ფერადი ფანქარებით შესრულებულ გრაფიკის უახლოვდება და სხვაგვარი ხასიათის ასოციაციები წარმოუდგენელია ისეთი პოეტისათვის, როგორც მ. ფოცხიშვილია. როდესაც ზანს ვესვამთ მ. ფოცხიშვილის ლექსების ძირითად თვისებებს და მათ შორის განსაკუთრებით აღვნიშნავთ სინათლესა და სისადავეს, არ უნდა დავავიწყდეს, რომ იგულისხმება ანაბავშვური სისადავე, გამოწვეული გულბრწყვილობით, ანამედ ჩამოყალიბებული, შეგნებული

მწერლის შემოქმედებითი მანერა.
არის მომენტები, როდესაც მ. ფოცხიშვილი, მხატვრული, ბავშვობის გაფრენულ/დღეებზე და აღრეულ სიკაბუტეზე მდონებზე პოეტის ჩაფიქრება ღრმად, სევდა შემოაწეება და მაშინ მისი ლექსიც უფრო ფიქრიათი, უფრო მძიმე, უფრო გადატეხილია აზრობრივად. ამასიც ისევე, როგორც სიხარულსა და სიმსუბუქეში, არის თავისებური პოეზია, თავისებური თართოლა და მღელვარება:

მე მუდამ გელო,
როგორც ცისიერს,
როგორც ბართებს ჩემთვის დაწერილს,
რაც რამ დარღები შემომოსივ,
შენ ხარ, მე ვარ და სხვა არაფერი.

...
გზარობი და გული მაინც გეიტრის
ამ სიხარულის
საღდაც გაფრენით,
ვით დებადება, ისე სიკედლივც
შენ ხარ, მე ვარ და სხვა არაფერი.
(„სხვა არაფერი“)

მ. ფოცხიშვილი არ არის ერთფეროვანი პოეტი არც ფორმის თვალახარისით და, მით უმეტეს, არც თემატიკის მხრივ. მ. ფოცხიშვილს აქვს ასე ვთქვათ, თავისი თემა, მაგრამ პოეზიაში არსებობს ე. წ. საყოველთაო, მართალი თემები, რომელთაც გვერ ერთი კვშმარტივ შემოქმედი გვერდს ვერ აუვლის, და რომელთაც ყველა ნამდვილი ხელოვანი საზოგადოებრივ ტენდენციებისა და გემოვნების მიხედვით ახალ სულს ჩაბერავს, ახლებურად აელვარებს.

სიყვარული მამულისა და ქალისადმი, ევთილი საწყისის ძიება, როგორც ცხოვრებაში, ისევე ადამიანში და სხვა მრავალი, ყველა დროის ყველა შემოქმედს აღვლევებდა და აღვლევებს.

მ. ფოცხიშვილის უქანასკნელი წიგნი „გული დაქმებს გულს“ თავიდან ბოლომდე ერთი მთავარი იდეით, ერთი მთავარი მიზნით არის გატენილი: საყოველთაო მშვიდობა, საყოველთაო სიყვარული, სიყვარული, და კიდევ სიყვარული...

მ. ფოცხიშვილის წმინდა სუბიექტური ლირიკაც, საყვარელი ქალისადმი მიძღვნილი ლექსები, ამბლბული და ნათელი განცდილია ხასიათობენ:

ოღონდ მინატრე, —
როგორც სიხარო
მოგფრინდები გუგუნით, გზნებით...
ფრთები??
გულს ანა რად უნდა ფრთები...
გზნები??
რე არის გულისთვის გზნები...

ოლონდ შელოდე —
 მე შენით მთვალე
 გამოფხიზლდები კვლავ შენს მკლავებში.
 წვიმა??
 შენამდე სიმღერა არის...
 ქარი??
 ჩემს აფრას უბერავს ქარი...

(.ოლონდ.)

მამულისადმი უსახლერო სიყვარული იგრძნობა ლექსში „შო მღვიმის ღილილოები“.

...ღილილოები,
 ღილილოები —
 კოდეც და კოდეც ღილილოები —
 აქ ხომ ღილილო არ იყიდება.

საქართველოში ღილილოები
 იყენენ, ზარბდნენ
 ჩვენს ვაზნამდე, —
 უკველ ცისმარე ამ ღილილოებს
 სხეები გლვანდენ და
 სხეები სთელადნენ...

2. ფოცხიშვილი კონკრეტული აღქმის პოეტია, ძირითადად კონკრეტულია მისი მხატვრული აზროვნება და მხატვრული სახეებიც. ისეთ ლექსშიც კი, როგორც „საათის სიკვდილი“, წმინდა რელიგიატური სახეებით აზროვნებს პოეტი: ძველ საათს, რომელმაც „შეწყვიტა სუნთქვა“, რომლის წამები „ემთასელის ჩქერებს აღარ ერთვინა“:

შაშა ციციანური

წიგნი სალიტერატურო ენისა და მწერლობის საკითხებზე

„საბჭოთა მწერალმა“ ახლახან გამოსცა ზუ-რბა ჰუმბერტის წიგნი „სალიტერატურო ენა და მწერლობა“. ეს შრომა ვაგრაჟდება იმავე ავტორის პირველი წიგნისა — „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“ (1956 წ.).

ამ წიგნში წარმოდგენილი ცალკეული ნარკვევები ავბულჯა ენობრივი მასალის კონკრეტულ შეცნობურად, ანალიზზე და დასკვნებზე სიყვარულდობა და დამაგრებელია.

სარეცხიშო შრომა ორ ნაწილს შეიცავს. პირველ ნაწილში დაბეჭდილი წერალები — „სალიტერატურო ენა და მწერლობა“, „ფიჭრები საბავშვო ლიტერატურის ენაზე“, „ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში“ (თანავტორი თ. კოპლატაძე), „არსენა მარბდელი“, „პოეტური მოთხრობა“, „საბავშვო ენა სუბარია“, „პრეხის ენის სრულყოფისათვის“ (თანავტორი თ. კოპლატაძე) — უშუალოდ სწორედ სტილისტიკის საკითხებს ეხება, მეორე ნაწილში მოთავსებული სტიტები — „ვეფხისტ-

შავი ისრები, როგორც ხელები, მკერდზე სიმშვილით დაუქრედი... ეს ძალიან კარგია, მაგრამ, მთელ რიგ ლექსებში, გვეხდება ზოგადი, აბსტრაქტული სახეები. მაგალითად — ლამის შედარება დათვით, გოგოს შედარება ნისლიან. —

ბაღში გოგო დაგოგმანობს,
 გოგოა თუ ნისლია.

მართალია, ასეთი შორეული საგნების ერთ სიბრტყეზე მოთავსება ფრანს სიხლის ელფერს აძლევს, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი ზოგადი რთული შედარება ზოგ შემთხვევაში აბნევს მკითხველს, უძნელებს ლექსის აღქმას.

ერთი მკორე შენიშვნა მ. ფოცხიშვილის პოეტური ენის შესახებ, მ. ფოცხიშვილის ლექსებში, მისი წერის მანერა, მოთხოვნა მეტად ბუნებრივ, თითქმის სასაუბროსა და ნათელ პოეტურ მეტყუველებას, ეს ასეც არის, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პოეტი პათეტიკაში ვარდებდა. ამის მიზეზი ძირითადად ე. წ. „ნართანაინი“ მრავლობითის ხმარებაა. ამ უკანასკნელს საგრძნობი დიონანაი შეაქვს მ. ფოცხიშვილის ზოგიერთი ლექსის მარმონილობაში.

მ. ფოცხიშვილი სწორი შემოქმედებით გზით მიდის. ამის ნათელი დადასტურებაა მისი უკანასკნელი ლექსების კრებულიც „გული დაუძებს გულს“.

ტუაოსნის ტექსტის ვარშემო“, „ილია ჰექავადის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ფერცელი“, „ბრესტოლოვიტრი შენიშვნები“, „არქიში ნაოლეი მარგალიტები“, „ავია და ცინურა“ — კონკრეტული ტექსტოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი და წიგნის პირველ ნაწილთან იმდენად არის დაკავშირებული, რამდენადაც ენობრივ-სტილისტიკური ანალიზის ვარშემო, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება შეუძლებელია.

ცალკეული ენობრივი ფაქტების სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე წიგნში ფრიად საყურადღებო საკითხებია დასმული და ვადაწყვეტილი. ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნება სმთქმელისა და თქმულის ურთიერთმიმართება მხატვრულ ნაწარმოებში, მწერლის ინდივიდუალური სტილის რაობისა და მისი ნიშნების ვარშემო. მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტიზმების, არქაიზმებისა და სხვა არალიტერატურული მასალის გამოყენების საკითხი, მხატვრულ-ეს-

ატიკური ფაქტორების როლი მწერლობის ენაში, ორთოგრაფიულ თავისებურებათა მიმართება სტილის ინდივიდუალობასთან, საბავშვო ლიტერატურის ენის სპეციფიკური მხარეები და სხვ. ამ საკითხებზე მსჯელობისას ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

წერილი კუბათული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში¹ თარგმანის წმინდა ენობრივ საკითხებს ეხება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხატვრული თარგმანის დასაცავად უნდა მივუტყვის ენის მხატვრულ ხარისხს, მის ექსპრესიულ ძლიერებას. წერილში შემდეგ საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული კუბათული ენის თავისებურებანი, რომლებიც მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს; ამ მხრივ სინტაქსის დაკვირვებები წარმოდგენილია. წინა პლანზეა წამოწეული ისეთი საკითხები, როგორცაა აქტივისა და პასივის ურთიერთობა, სახელწმინდა და პირიანი ფორმა, ქართული ზმნის ქცევა, გრამატიკული სტრუქტურის, მრავლობითი რიცხვი, თანდებულთა სიჭარბე, თანდებულთაი სახელი და წინადადების მთავარი წევრები, სხვისი ნათქვამის ვაძმობა, მარტვი და რთული წინადადებების ურთიერთმიმართება, სინონიმების გამოყენება, ფრაზეოლოგიური შესტყუებანი და სხვ. თითოეული ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულია თარგმანების ნიმუშები, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს თვალნათლივ დაინახოს თარგმანის არსებითი ნაწილი და მიინახებულა ის საშუალებანი, რომლებითაც შეიძლება მისი დაძლევა. წერილი მართებულია ავტორის მსჯელობა, რომ შეუძლებელია მთარგმნელი მარტო თანამედროვე სალიტერატურო ენის ცოდნას დაეყაროს, იგი უშუალოდ ენის სიღრმეში უნდა შეიჭრას, ე. ი. საფუძვლიანად გაეცნოს ძველ ქართულს. ეს წერილი არა მარტო იმით არის საყურადღებო, რომ იგი პრაქტიკულად დიდად დაეხმარება მთარგმნელებს, არამედ იმითაც, რომ მასში წარმოჩენილია ქართული ენის რამდენიმე არსებითი თავისებურება სტილისტიკური თვალსაზრისით.

ენობრივ-სტილისტიკურ ეტიუდში — „არსენა მარაბლეში“ — დაწვრილებით არის გაანალიზებული შ. ჯავახიშვილის ამ რომანის მხატვრული ენა, დადგინებულია ის ხერხები, რომლებითაც მწერალი აღწევს უაღრეს ექსპრესიულობას, რომანის ენის ერთ-ერთ დიდ ღირსებად მიჩნეულია მისი ლექსიკის ხალხრობა და სიმდიდრე. რომანის მთელი ფრაზეოლოგია ხალხის ცოცხალ მეტყველებაზეა დაფუძნებული და ამიტომ ძლიერია, შთამბეჭდავია. ამ მხრივ შ. ჯავახიშვილი აგრძელებს იმ ტრადიციას, რომე-

ლიც ქართულ სალიტერატურო ენაში ი. ჯავახიშვილმა და ა. წერეთელმა დაამკვიდრეს. წარჩევი ნათელ წარმოდგენას ძალზედ კარგავს მწერლის ამ რომანის ენობრივ მხარეზე.

მტკიცეული საკითხებია დასმული წერილში — „პრესის ენის სრულყოფისათვის“. ჩვენი პრესის ენის ძირითად ნაკლოვანებებზედ მიჩნეულია დაწვრილებული გამოთქმების სიჭარბე, სიტყვა-მრავლობა, ცალკეული გამოთქმების ხელოვნური გართულება, მიიშვ, არაბუნებრივი სინტაქსი — ფრაზის მახინჯი შეყვეცა, ფრაზის გაკაინტრება, სინტაქსურ წვეილთა დიდი დაშორება, ერთნაირ ფორმათა სიმრავლე და სხვ. ყოველივე ეს წიგნი ილუსტრირებულია ქურნალ-ვაჭურთბიძის ამოყრებილი მაგალითებით, იქვე ნახვებენია, თუ როგორ უნდა იყოს ავებელი თითოეული წინადადება.

წერილი დასმული საკითხები მით უფრო საყურადღებოა, რომ ჩვენს ქურნალ-ვაჭურთბიძის დიდი სიჭრელე შეინახევა ენობრივი ნორმების დაცვის მხრივ. ერთი ვახუთი წერს — „ეაშა“, მეორე — „ეაშა“, ზოგი წერს — „პოვა“, ზოგი — „პოვა“; ასევე — „ჩილიში“ და „ჩილიში“, „პროხა“ და „პროხა“, „უენახავარ“ და „უენახავარ“ და სხვ. უფრო საზიზიო ის არის, რომ უგულვებელყოფილია ბუნებრივი ქართული გამოთქმები და გზა ხსენება ნაძალადეგ სინტაქსურ კონსტრუქციებს, როგორცაა „სუქებიაზე დაყენება“, „სუქებიდან მოხსნა“, „განეთიარების განცდა“ და სხვ. ერთიანი სალიტერატურო ნორმების დაცვა მწერლობასა და პრესაში ჩვენი ყოველწლიური საზრუნავია.

კონკრეტული ტექსტოლოგიური საკითხები საღმი მიიღწილია წერილებიდან გასაზიარებელია ავტორის მოსაზრება „ეფესისტყაოსნის“ 384-ე სტროფის ერთი სიტყვის — „ჩამსხდომი“²ს შესახებ.

ავტორი ადგენს, რომ „ეფესისტყაოსანში“ მოთხრობითი ბრუნვის ხმარების მხრივ ძველი ნორმებია დაცული — გაბატონებულია მან ძველოლოგია, მაგრამ ვეგულება ამ ნორმის დარღვევის მეორეოლენი მაგალითებიც, როცა მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტად გამოყენებულია მ ან მა. ამასთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი დართული აქვს საკუთარ სახელსაც. აქედან ვამოღის დასკვნა, რომ „რამდენიმე შემთხვევაში რუსთაველი არღვევს სალიტერატურო ენის ძველი ტრადიციით განმტკიცებულ ნორმებს საკუთარ სახელთა ბრუნებისას და შემოაქვს ისეთი ფორმები, რომელნიც ცოცხალ მეტყველებაში იჩნდნენ თავს. ასეთივე ვითარებაა საზოგადო სახელთა ბრუნებაშიაც“ (გვ. 192).

წერილი — „ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ფურცელი“ — ავტორი ნათელს ეხუწს დიდი ქართველი მწერლის მოღვაწეობის ამ ნაკლებად დამუშავებულ უბანს. ფილოლოგიური თვალსაზრისით მტკიცე-

ყურადღებო საკითხებია“ გამოქვეყნებული წიგნის დანართზე გამოკვლევებშიც—„ტექსტოლოგიური შენიშვნები“ (აკეთი წიგნების თხზულებათა გამოკვების გამო), „არქივში ნაპოვნი მარგალიტები“ (ვიკის აქამდე უცნობი ლექსები) და „იუცა და ცენურა“.

ხ. ჭუმბურიძის შრომა „სალიტერატურო ენა და მწერლობა“ დაწერილია საქმის ცოდნითა და საყვარელით, ავტორის მსჯელობა დამაყრებელია, სახალისო მასალა—მარჯველ შერჩევულ,

დასკვნები — გასაზიარებელი, წიგნში დანტყლილი ყოველი სტატია დასრულებული გამოკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს. წიგნი გამოქვეყნებულია დასმული საკითხის საჭიროებანი განხილვით, მსჯელობის ლოგიკურობით და მეცნიერული სიღრმით.

შეკთხევი ამ წიგნის ავტორისაგან კვლავაც მოვლის ახალ გამოკვლევებს ქართული ენის სტილისტიკის დარგში.

გიორგი ზალაზნარიძე

გოეთეს „რაინეკე მელა“*

გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის ზოგიერთ ღირსშესანიშნავ ძეგლს დიდხანია იცნობს ქართველი საზოგადოება. მაგრამ მის ვრცელ და მრავალფეროვან შემოქმედებაში ჭრე კიდევ ბევრი რამ გვრჩება ისეთი, რაც კაცობის ღირსია. ქართულად თარგმნილია გოეთეს ლირიული შედევრების მრავალი ნიმუში, თარგმნილია დრამატული ნაწარმოებები და სხვ.

გოეთეს ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს ახლახან კიდევ ერთი თარგმანი შეემატა — „რაინეკე მელა“; თარგმანი ვ. ბუწუჯალისა, (რედატორი ჯ. ლაშქარაძე).

...ვის არ სმენია გააფერა მელაეუდას სიონტერუსო თევდადასავალი, მრავალ ზიფათთან და განსაცდელთან რომ იყო დაეფიქრებულო, მაგრამ მელაეუდას გამკრაძხვა გონებაშ და მისმა ეშმაკობაშ იხსნა იგი დაღუპვისაგან. ვის არ ახსავს ამ თაღლითის ვაფთაებელი ოინახობა, რომლის მსხვერპლი გამხდარან არა მხოლოდ ყვაი და სათნო კურხლელო, არამედ დათვიც და მელაეო.

ვერსაში გავრცელებულ მთარულ სიტყვებზე აგებულ ცალკეულ ამბებს, რომელთა მოქმედი პარნი ცხოველები იყენენ, ბევრი მწერალი დაუინტერესებია. ამ ამბებს განსაკუთრებით გაუტაცნია გოეთე და გააღწევემტია მათი შეკრება-შესწავლა.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ ზნორად იდამიანებს რომელიმე ცხოველის თვისებებს მიაწერდნენ, მაგალითად, ზოგიერთი მათგანი მელასავით ეშმაკი და გველავით ბრძენია, ზოგს მგლის მადა აქვს და არწივივით ხელაქვს, ზოგიც კამეჩივით ზანტია ან დათვივით დაბაჯნავს და ა. შ. როდესაც მთ შესახებ საუბრობენ აღარაა საჭირო განმარტება, თუ რა კატეგორიის იდამიანებზეა ლაპარაკი, რადგან ყველასათვის ნათელია, ეშმაკობისა და მელაბრკეილობის, ქვედაღობისა და ამპარტავნობის,

ბის, ბოროტებისა და სიკეთის განმასახიერებელი ცხოველების რალება.

„რაინეკე მელა“ ამ მხრივ უღიღესი და უმდიდრესი გადარება, სადაც თავმოყრილია ბოროტებისა და სიკეთის მატარებელი ცხოველები, ყოველ მათგანში ჩვეულებრივ იგულისხმება ასეთივე თვისებების მქონე ადამიანი.

„რაინეკე მელა“ იყო გარკვეული საზოგადოებრივ ფორმაციის — ფეოდალზმისაღმომიპართული სტირია. მაგრამ ამ ნაწარმოებში უღიღესი არ დაეყარვას თავისი სოციალური სიმძაფრე. ამასთანვე წიგნს თაიდან ბოლომდე დიდაქტიურ-აღმზრდელი მორიყეები და მალალო მორალური პრინციპები გასდევს. ამიტომაცაა სასახარლო „რაინეკე მელას“ ქართულ ენაზე გამოსვლა.

არის თარგმანები, რომელთა შესახებ აუცილებელი რაიმე დაიწეროს, და განსაკუთრებით ისეთ თარგმანებზე, როგორც „რაინეკე მელა“, ყველა დაგვეთანხმება რომ ამ ნაწარმოების გადმოქართულება მეტად საპატიო და რთული საქმეა.

რამდენიც არ უნდა ვწერთ და ვილაპარაკოთ საერთოდ თარგმანებზე, სათქმელი მიიწევს არ გამოიღვეა, თუნდაც იმიტომ, რომ ახალ თარგმანს თუ ავტორისა და მთარგმნელის ახალი გვარი არ აწერია, სხვა ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, რომელსაც გააინია დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება და თავისი აკარგიანობით კეთუნილ იდგის იქერს ერას ლიტერატურულ საგანძურში.

გოეთეს „რაინეკე მელა“ ერთი იმ შედევრთაგანია, რომლის ქართულად დამორჩილებას მხოლოდ ლამების ტეხვა როდი უშველის. ამისათვის საჭიროა ლექსის სტრუქტურა ქაშანდივით თავისუფლად მოკვეთბოდეს ხელში და რატმის მხოლოდობა გრძნობა გქონდეს.

ერტობა, მთარგმნელმა ლექსის სხვადასხვა ევრასა მოსთხვა, ვიდრე ათმსაკვლოვანი ლექსით ამ პოემის თარგმნას გადასაწვევტად. მართალია, ამომარცვლოვანმა ლექსმა პოემა გაზარდა, მაგრამ, ვფიქრობთ ვ. ბუწუჯალის ეს გა-

*გოეთე, „რაინეკე მელა“, გერმანულიდან თარგმნი ვ. ბუწუჯალმა, 1962.

დაწყებულა სწორია.

საილუსტრაციოდ დავასახელებთ მაგალითს. მელი სამსჯავროს წინაშე სიტყვას წარმოთქვამს.

denn Grimbart hatte sich einmal Morgens lustig getrunken und war gesprächig geworden; Seinem Weibe verschwätzte der Thor die Heimlichkeit alle, Legte schweiden ihr auf, da, glaubt'er, wäre geholfen
Eben so wenig hat auch mein Weib das Versprechen gehalten:
Denn sobald sich mich fand, erzählte so, was sie vernommen

ჭართელ თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოტანილი:

ერთ მშვენიერ დღეს გრიმბარტი თურმე გამოითვრალაყო ზომიზე მეტად და ასტეხადა ქველი ვნის, თავის ცოლისთვის ეთქვა იმ სულელს ეს საიდუმლო, თანაც სასტიკად ებრძანებინა, არსად დაეცდესო. ეგონა საქმეს ეს უშველიდა.

ჩემმა დიაცამაც ვერ შესძლო დიდხანს სიტყვის შენახვა, გატეხა ფიცი, რადგან, როგორც კი მიხილა, წამსვე

დამიწიგნარა სუყველაფერი... (გვ. 96-97)
მთელი პოემა ათმარცვლთვანი ლექსითაა გაშართული და ლაღად იკითხება. მართალია, მთარგმნელს ზოგიერთი ადგილი, რომელიც დედნში შედარებით რთულია, ქართულად ხელოვნური გამოსვლია, მაგრამ ეს არაა დიდი ცოდვა, რადგან უზარმაზარი პოემის უკანასკნელ სტრიქონამდე ერთნაირი სიძლიერით თარგმნა თითქმის შეუძლებელია. ძირითადად ქართული ლექსი თავის სიმალეზე დგას და

უადვილებს მკითხველს დახლოებულ წინაარსის აღქმას. თავისუფლად ეღერს და ქართულ ენის ნორმებს შეესაბამება პინცეს სიტყვები, რომლითაც იგი მოახლოებულ უბედურებას ამცნობს თავის მეგობრებს — დათვისა და მგელს:

ხედავთ, სულ წყალში გადაიყარა ამდენი გარჯა, წვალება ჩვენი, ნეტავ, აქედან დამკარგა ახლა, რაკი მელაა კვლავ შეიწყნარებს, აღარ დამზოგავს ჭკუას თუ ხერხბსა, რომ სამივენი გავგანადგუროს, ერთი თვალი ხომ დამკარგე უკვე, ვემიწობ, მეორეც არ გამომთხარონ" (გვ. 114)

ასეთი მეტრიკითაა თავიდან ბოლომდე თარგმნილი პოემა. მთარგმნელს ეტყობა, ენერგია არ დუზოგავს, რათა ქართულად საიმო საკითხავი უოფილიყო „რაინეკე მელა“. მას კარგად მოუგნია ეპითეტების, შედარებების, ალორიზმებისა თუ ფრთიანი სიტყვებისათვის.

გვინდა ორაოდენ უხერხულ გამოთქმებზე მივუთითოთ მთარგმნელს. სწორი არაა გამოთქმები: „მიიღო მკედაპი მელიას სახე“ (გვ. 19), „რომ დაეზილა იმასაც ტყავი“ (გვ. 28), „და დატვირთული მსუბუქ ნადავლით“ (გვ. 42), „თოვის საკითხში, მოგეცმდით რჩევას“ (გვ. 83). „აქა დგას ახლა მელა ჩემი მჭარველობის ქვეშ“ (გვ. 113), „და დაათენდა ამ ფიქრებში დილა“ (გვ. 15). შეიძლება ყველა ეს წინადადება დედანთან უფრო ახლოსაა, მაგრამ ქართულად ბუნებრივად არ ეღერს.

თარგმანს თან ერთვის დ. ლაშქარაძის წინასიტყვაობა და შენიშვნები, რაც ასეთი ხასიათის წიგნისთვის აუცილებელია, რადგან მკითხველს ხშირად უხდება ზოგიერთ ადგილის ასწავნილობისათვის სქოლიოში ჩახედვა.

ნიდარ მშვილდაძე

ახალი წიგნები

„ნაკადული“

- მხიელ ლევაჯა — სამი წუთი. რედ. ზ. ჭუმბურიძე. გვ. 123. ფასი 15 კაბ.
 ეთერ გუგუშვილი — აკაკი ხორავა, რედ. ნ. გურაბანიძე. გვ. 70. ფასი 35 კაბ.
 ისინი იბრძოდნენ შენი მომავლისათვის (ნარკვევები სამოქალაქო ომის გმირებზე) რედ. თ. ჯანგულაშვილი. გვ. 188. ფასი 52 კაბ.
 შოლა ნასრედინის ოხუნჯობანი — შეადგინა და თარგმნა ნ. კოჭლაშვილმა. რედ. ვ. ნატროშვილი. გვ. 166. ფასი 40 კაბ.
 ს. აქსაკოვა — ბაგრატიანთ შვილიშვილის ბავშვობა. თარგმ. რ. ქანთელაძისა. რედ. ნ. ლორთქიფანიძე. გვ. 197. ფასი 70 კაბ.
 რთარ ხადრაძე — ბაბათი მარსიდან. რედ. ვ. შატბერაშვილი. გვ. 212. ფასი 50 კაბ.
 შეინვაართა ვეფხვი — თარგმ. ლ. და ნ. ჩხეიძეებისა. რედ. მ. ქარჩავა, ვ. ძიძიგური. გვ. 190. ფასი 70 კაბ.
 მხიელ კეკელიძე — ბრწყინვალე ვარსკვლავის შაბიბუდინი. რედ. რ. ჯაფარიძე. გვ. 612. ფასი 15 კაბ.
 ა. ვერწინინი — ჭინრები. თარგმ. ვ. გოგოლაშვილისა. რედ. ჟ. ჭანტურია. გვ. 192. ფასი 45 კაბ.
 გ. შატბერაშვილი — ხილთა ჭება. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 12. ფასი 10 კაბ.

„საბჭოთა საქართველო“

- თ. ჯანგულაშვილი — შუადღე. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 86. ფასი 15 კაბ.
 ოტია იოსელიანი — ვარსკვლავთცვენა, რომანი. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 220. ფასი 38 კაბ.
 დ. სულაშვილი — ტომი პირველი. რედ. ციციშვილი. გვ. 510. ფასი 1 მან.
 მ. მაქვარიანი — ლექსები, პოემა. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 182. ფასი 36 კაბ.
 მ. მ. ქვლივიძე — მოკთხეამდე. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 150. ფასი 24 კაბ.
 კ. ბობოხაძე — ნაკადულები და წყაროები. რედ. გ. ციციშვილი. გვ. 102. ფასი 28 კაბ.
 შ. ამისულაშვილი — პოემები რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 119. ფასი 25 კაბ.
 მ. აბრამია — თეთრი აფრები. რედ. შ. ამისულაშვილი. გვ. 162. ფასი 22 კაბ.
 ვლადიმერ ჯიბუტი — მწერალი და თანამედროვეობა. რედ. ილ. ხოშტარია. გვ. 135. ფასი 30 კაბ.

წაკი 80 კაკ.

639/280



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**მ ნ ა თ ბ ი**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“